

სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი  
LEPL GORI STATE TEACHING UNIVERSITY



საგეცნიერო კვლევების ჟურნალი

JOURNAL OF SCIENTIFIC RESEARCHES

ტომი I, №1

Volume I, No 1

2018

სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალის - „სამეცნიერო კვლევების ჟურნალი“ წინამდებარე ნომერში ქვეყნდება გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მიერ 2017 წლის 17-18 ნოემბერს ჩატარებულ მეათე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე - „უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია: გამოწვევები და პერსპექტივები“ წარმოდგენილი ნაშრომები განათლებისა და ჰუმანიტარული მეცნიერებების მიმართულებით (გარდა ისტორიის სექციაზე წარმოდგენილი სამეცნიერო ნაშრომებისა, რომლებიც იბეჭდება გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრის მიერ მომზადებულ შრომების კრებულში), რომლებმაც გაიარეს რეცენზირება.

In the current issue of LEPL – Gori State Teaching University Scientific Journal “Journal of Scientific Researches” are published the Education and Humanities sphere works, that were presented at the X<sup>th</sup> International Scientific Conference – “Internalization of Higher Education: Challenges and Perspectives”, held by Gori State Teaching University on November 17-18, 2017. All the works have been reviewed. The History sphere scientific works are not included in the Journal, as they are published in the proceedings of Gori State Teaching University History and Archeology Center.

**სარედაქციო კოლეგია:**

- გიორგი სოსიაშვილი - სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე (საქართველო);
- ვიანორ ახალაია (საქართველო);
- გიზო გოგიჩაიშვილი (საქართველო);
- გიორგი გოგიჩაძე (საქართველო);
- იან მალიცკი (პოლონეთი);
- თეიმურაზ მთიბელაშვილი (საქართველო);
- დიმიტრი ნადირაშვილი (საქართველო);
- იურგიტა რაუდელიუნიენე (ლიტვა);
- ზვიად როგავა (საქართველო);
- მანანა რუსიეშვილი (საქართველო);
- სოსო სიგუა (საქართველო);
- იანის სტრადინში (ლატვია);
- ომარ ფურთუხია (საქართველო);
- ჰარუნ ჩიმქე (თურქეთი);
- ჯემალ მაგანია (საქართველო);
- ქეთევან ჭკუასელი (საქართველო);
- მიხეილ ჯიბუტი (საქართველო).

**ტექნიკური რედაქტორი:** გიორგი ყაზიშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

**EDITORIAL BOARD:**

- Giorgi Sosiashvili - Chairman of the Editorial Board (Georgia);
- Vianor Akhalaia (Georgia);
- Gizo Gogichaishvili (Georgia);
- Giorgi Gogichadze (Georgia);
- Jan Malicki (Poland);
- Teimuraz Mtibelashvili (Georgia);
- Dimitri Nadirashvili (Georgia);
- Jurgita Raudeliuniene (Lithuania);
- Zviad Rogava (Georgia);
- Manana Rusieshvili (Georgia);
- Soso Sigua (Georgia);
- Janis Stradinsh (Latvia);
- Omar Purtukhia (Georgia);
- Harun Chimke (Turkey);
- Jemal Dzaganian (Georgia);
- Ketevan Chkuaseli (Georgia);
- Mikheil Jibuti (Georgia).

**TECHNICAL EDITOR:**

Giorgi Kazishvili, Gori State Teaching University

გამოქვეყნებული სტატიის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. მისი პოზიცია შეიძლება არ ემთხვეოდეს სარედაქციო კოლეგიის შეხედულებებს.

ჟურნალის რედაქცია პასუხს არ აგებს სტატიის გამოქვეყნების შედეგად გამოწვეულ შესაძლო ზარალზე. იმ შემთხვევაში, თუ სტატიის გამოქვეყნების შედეგად დაირღვა საავტორო ან სხვა უფლება, რედაქცია უფლებამოსილია გამოქვეყნებული სტატია ამოიღოს მონაცემთა ბაზიდან.

The author is liable for the accuracy of the published article. His views may not coincide with the ideas of editorial board.

Editorial Board is not responsible for the possible damage caused by the publication of the article. In case the author's or other rights are violated after the publication of the article, the editorial board is authorized to remove the published article from the database.

# შ ი ნ ა ა რ ს ი

## განათლება

- ნანა ახოზაძე – უცხოური ენის სწავლების ინტენსიფიკაცია. აქტიური მეთოდების გამოყენება სასწავლო პროცესში – 7
- მანანა ზანძელაძე, დარეჯან ჩხიროძე – ზნეობრივი აღზრდის ადგილი საზოგადოებრივ განვითარებაში – 9
- ციური ბაქრაძე – მოტივაციის გზით მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში – 11
- ელენე გეგეშიძე – საგანმანათლებლო ვითარება მეთვრამეტე-მეცხრამეტე საუკუნეების საქართველოში – 14
- ეკატერინე გიგაშვილი – განათლების ხელმისაწვდომობის და სასწავლო პროცესში თანამონაწილეობის პრობლემის კვლევა უმაღლესი განათლების საფეხურზე – 22
- მზია გოგიაშვილი – ემოციები სკოლამდელ ასაკში – 33
- ნინო დავითაშვილი – შფოთვის შემცირების მოდელი მოსმენის სწავლებისას – 35
- ზურაბ ზურაბაშვილი – უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია საქართველოსა და ესტონეთში (შედარებითი ანალიზი) (ინგლისურ ენაზე) – 39
- ლია მენთეშაშვილი, ნინო ჩახუნაშვილი – ეკოლოგიური აღზრდა-განათლება – პედაგოგიკის მეცნიერების მნიშვნელოვანი პრობლემა – 44
- ნოდარ მირაზანაშვილი – საგანმანათლებლო რესურსების გამოყენება გაკვეთილებზე - მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების ეფექტური საშუალება – 49
- გიორგი მძინარაშვილი – მინი ჭიდაობის შედეგად მიღებული დადებითი მაჩვენებლები – 55
- პაატა ქურდაძე – პიროვნებისა და სოციალური ურთიერთმიმართების პრობლემა „ვეფხისტყაოსანში“ – 56
- მარინე ქურიძე, თინათინ იოსებიძე – ფერმენტები, როგორც მნიშვნელოვანი ბიოპოლიმერები და საბუნებისმეტყველო დისციპლინებში მათი სწავლების ზოგიერთი ასპექტი – 61
- დარეჯან ჩხიროძე, მანანა ზანძელაძე – გარემოსდაცვითი განათლება და ეკოლოგიური ეთიკა – 65
- ნანული (ნანა) ცხვედაძე, ქეთევან ლომსაძე – აღზრდის სტილი და სასწავლო მოტივაცია – 68
- ნინო მარქაროვი, ნათელა ხინჩაგაშვილი, ნინო ილურიძე – სკოლამდელი ბავშვების რუსულ ენაში ტესტირების საკითხის შესახებ (რუსულ ენაზე) – 75

## ფილოლოგია

- ნანა არახამია – სოციალური ტიპის დეფინიციისათვის მხატვრულ ნარატივში – 78
- ვიანორ ახალაია – სიტყვათქმნადობა ლევან გოთუას თხზულებებში – 83
- ქეთევან ზარბაქაძე – თავფარავნელი ჭაბუკის მითოსური სახე თანამედროვე მხატვრულ ტექსტებში (გ. დოჩანაშვილი, თ. ჭილაძე) – 86
- მაია ბოლაშვილი, რუსუდან ბერიძე – ერთი ნოველის ორი თარგმანი (დ.პ. ლორენსის „პრუსიელი ოფიცრის“ მიხედვით) – 89
- თამარ გელიტაშვილი – „ლურჯა ცხენების“ კონცეპტი გალაკტიონის შემოქმედებაში – 93
- თამარ გოგოლაძე, ნინო მინდიაშვილი – ა. პ. ჩეხოვის „ალუბლის ბაღი“ ქართულ კულტურულ სივრცეში – 99
- თენგიზ გუმბერიძე – ერთი გახმაურებული ლიტერატურული პოლემიკის შესახებ – 108
- მაია დარასელია – მანიპულირების ფუნქციების განსაზღვრა პრაგმალინგვისტურ ჭრილში – 111
- ლუკა დვალისხვილი – ტრაგიზმი ორი ათასწლეულის გასაყარზე (ტრაგიზმი ოთარ ჩხეიძის რომანის „2001 წელი“ მიხედვით) – 115
- ნინო ვახანია – რუსთაველი და მისი პოემა XIX საუკუნის ქართულ მწერლობაში (რომანტიკოსები და აკაკი წერეთელი) – 120
- თამილა ზვიადაძე – ენობრივი რესურსის სტილისტიკური ფუნქცია დოკუმენტურ პროზაში (ელგუჯა თავბერიძის ბიოგრაფიული რომანის - „მარშალი და მარშლის შვილის“ მიხედვით) – 126
- ელენე ზურაბაშვილი – ივანე მაჩაბლის თარგმანი და ქართული თეატრის აღორძინება – 130
- მარინე კაკაჩია, ქეთევან მარგიანი, მარინა ჯღარკვა – ზმნათა პოლისემიისათვის ქართველურ ენებში – 133

- მარიამ კობერიძე – ზმნის უღლების პარადიგმები იოანე ქართველიშვილის „ქართულ დრამმატიკაში“ – 138
- ქეთევან მარგანი – სვანური დარგობრივი ლექსიკა – 148
- მარიამ მარჯანიშვილი – ემიგრანტთა შემოქმედებაში გაცოცხლებული პოეტი – 152
- ნინო მაშია – მარცვლოვანი კულტურების ლექსიკა მეგრულ-ლაზურში – 157
- ლელა მახვილაძე – დიმიუტიური წარმონაქმნები გერმანულ ენაში – 161
- მაია მელანაშვილი – ქართული პიკარესკა - ეპოქის პრობლემების წარმოჩენის გზა – 167
- ციალა მესხია – ახალი სიტყვათქმნადობა ქართულ პოეზიაში (თემურ შავლაძე) – 173
- მარიამ მირესაშვილი, ოლღა პეტრიაშვილი – დეტექტიური ნარატივის სტრუქტურული ორგანიზაცია (არტურ კონან დოილის დეტექტიური მოთხრობების მიხედვით) (რუსულ ენაზე) – 178
- ტიტე მოსია – „ვეფხისტყაოსნის“ ფერთამეტყველების ერთი ასპექტისათვის – 182
- ალექსანდრე მღებრიშვილი – რელიგიური ცხოვრება ცხინვალში და ქართულ-ოსური ურთიერთობები – 188
- ანარა ნასირლი – ფრაზეოლოგიური ერთეულების წარმოშობა - ნეოლოგიზმები თანამედროვე ინგლისურში (ინგლისურ ენაზე) – 194
- ნიკოლოზ ოთინაშვილი – საამილახოროს მოლაშქრეთა დავთრის (1656-1696 წ.წ.) ენობრივი მახასიათებლები – 199
- გულნოზ სატოროვა – გლობალიზაციის პრობლემების ასახვა ლიტერატურაში (ინგლისურ ენაზე) – 203
- თამარ სიდამონიძე – ქართული ეპისტოლარული მემკვიდრეობის ერთი ფურცელი – 205
- ნათია სიხარულიძე – ვარიანტული წაკითხვები, როგორც პოეტური ტექსტის დათარიღების საშუალება – 208
- ლუარა სორდია – მიწის კონცეფცია გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებაში – 213
- ნესტან სულავა – მზისა და ვარდის მეტაფორული ხატ-სახეების ტრანსფორმაცია, როგორც „ვეფხისტყაოსნის“ კომპოზიციის ერთ-ერთი საფუძველი – 221
- მარინე ტურავა, ნანა კუცია – გოთურმანის თამაში /ელგუჯა თავბერიძის „მარშალი და მარშლის შვილი“ (სვიმონ გიორგის ძე წერეთლის ცხოვრების ქრონიკა)/ – 227
- ტარიელ ფუტყარაძე – პასიური საზოგადოების პრობლემა ილია ჭავჭავაძის შემოქმედების მიხედვით – 232
- მარიკა შერაზადიშვილი – კომუნიკაციური ამოცანა და წინადადების ინფორმაციული სტრუქტურის კომპონენტები – 237
- ზურაბ ჩხიკვაძე – აზრობრივი ჯგუფების ტონალური კვანძები და მათი სახეები ინგლისურ გამოთქმაში – 239
- მარინე ცერცვაძე – როსტომ ჩხეიძე - „ქართული მწერლობა თვალის ერთი გადავლებით“ – 243
- ჯუღიტა ძაძუა – საყოველთაოდ ხმარებული ლექსიკის სტილისტიკური ფუნქციისათვის – 248
- ნელი ჭამპურიძე – სარწმუნოებისა და მეცნიერების ურთიერთმიმართების საკითხისათვის ქართველ სამოციანელთა შემოქმედებასა და სამეცნიერო-პუბლიცისტურ ნააზრევში – 251
- გიორგი ხორბალაძე – დასასრულისა და დასაწყისის ძიება მწერლის შემოქმედებაში (გიორგი სოსიაშვილის წიგნის - „წითელი უდაბნო“-ს მიხედვით) – 254

## CONTENTS

### Education

- Nana Akhobadze** – *INTENSIFICATION OF FOREIGN LANGUAGE TEACHING. USE OF ACTIVE METHODS IN THE LEARNING PROCESS* – 7
- Manana Bandzeladze, Darejan Chkhirodze** – *THE ROLE OF MORAL EDUCATION IN THE DEVELOPMENT OF SOCIETY* – 9
- Tsiuri Bakradze** – *INVOLVEMENT OF STUDENTS IN THE EDUCATION PROCESS USING MOTIVATION* – 11
- Elene Gegeshidze** – *SITUATION IN EDUCATION SPHERE IN GEORGIA OF EIGHTEENTH – NINETEENTH CENTURIES* – 14
- Ekaterine Gigashvili** – *RESEARCH OF THE PROBLEM OF AVAILABILITY TO EDUCATION AND PARTICIPATION IN EDUCATION PROCESS AT HIGHER EDUCATION* – 22
- Mzia Gogishvili** – *EMOTIONS AT PRESCHOOL AGE* – 33
- Nino Davitashvili** – *THE ANXIETY-REDUCING MODEL WHEN TEACHING LISTENING* – 35
- Zurab Zurabashvili** – *INTERNATIONALIZATION OF HIGHER EDUCATION IN GEORGIA AND ESTONIA (COMPARATIVE ANALYSIS)* (in English) – 39
- Lia Menteshashvili, Nino Chakhunashvili** – *ECOLOGICAL EDUCATION - ACTUAL PROBLEM OF PEDAGOGICAL SCIENCE* – 44
- Nodar Mirazanashvili** – *APPLICATION OF EDUCATIONAL RESOURCES AT THE LESSON – AN EFFECTIVE TOOL TO INCREASE MOTIVATION AMONG STUDENTS* – 49
- Giorgi Mdzinarashvili** – *POSITIVE RESULTS RECEIVED BY MINI-WRESTLING* – 55
- Paata Kurdadze** – *THE PROBLEM OF PERSONALITY AND COMMUNITY RELATIONSHIPS IN “THE KNIGHT IN THE PANTHER’S SKIN”* – 56
- Marine Kuridze, Tinatin Iosebidge** – *ENZYMES AS ESSENTIAL BIOPOLYMERS AND SOME ASPECTS OF ITS TEACHING IN NATURAL DISCIPLINES* – 61
- Darejan Chkhirodze, Manana Bandzeladze** – *EDUCATION OF ENVIRONMENTAL PROTECTION AND ECOLOGICAL ETHIC* – 65
- Nanuli (Nana) Tskhvedadze, Ketevan Lomsadze** – *THE UPBRINGING STYLE AND EDUCATIONAL MOTIVATION* – 68
- Natela Khinchagashvili, Nino Iluridze, Nino Markarovi** – *ON THE QUESTION OF THE TESTING OF PRESCHOOLS IN THE RUSSIAN AS A FOREIGN LANGUAGE* (in Russian) – 75

### Philology

- Nana Arakhamia** – *FOR THE DEFINITION OF OPPRESSOR, VICTIM IN ARTISTIC NARRATIVE* – 78
- Vianor Akhalaia** – *WORD CREATION IN LEVAN GOTUA’S WORK* – 83
- Ketevan Barbakadze** – *A MYSTICAL IMAGE OF “THE LAD FROM TAVPARAVANI” IN MODERN LITERARY TEXTS (G. DOCHANASHVILI, T. CHILADZE)* – 86
- Maia Bolashvili, Rusudan Beridze** – *TWO TRANSLATIONS OF THE SAME SHORT STORY (ACCORDING TO D.H.LAWRENCE’S “THE PRUSSIAN OFFICER”)* – 89
- Tamar Gelitashvili** – *THE CONCEPTION OF “BLUE HORSES” IN INSPIRATION OF GALAKTION TABIDZE* – 93
- Tamar Gogoladze, Nino Mindiashvili** – *A. P. CHEKHOV’S “CHERRY GARDENS” IN GEORGIAN CULTURAL AREA* – 99
- Tengiz Gumberidze** – *ONE OF THE HIGH-PROFILE LITERARY POLEMICS* – 108
- Maya Daraselia** – *DEFINITIONS OF MANIPULATIVE FUNCTIONS THROUGH PRAGMALINGUISTIC ASPECTS* – 111
- Luka Dvalishvili** – *THE TRAGICISM BETWEEN TWO MILLENNIUM (TRAGICISM BY OTAR CHKHEIDZE, NOVEL “2001 YEAR”)* – 115
- Nino Vakhania** – *“THE KNIGHT IN THE PANTHER’S SKIN” AND XIX CENTURY’S LITERATURE (ROMANTICISTS AND AKAKI TSERETELI)* – 120
- Tamila Zviadadze** – *STYLISTIC FUNCTION OF LINGUAL RESOURCE IN DOCUMENTARY PROSE (IN ACCORDANCE WITH ELGUJA TAVBERIDZE’S BIOGRAPHICAL NOVEL – “MARSHAL AND MARSHAL’S CHILD”)* – 126
- Elene Zurabashvili** – *TRANSLATIONS BY IVANE MACHABELI AND THE RESTORATION OF GEORGIAN THEATRE* – 130
- Marine Kakachia, Ketevan Margiani, Marina Jgharkava** – *ABOUT THE POLYSEMY IN THE KARTVELIAN LANGUAGES* – 133

- Mariam Koberidze** – *PARADIGMS OF VERB CONJUGATION IN IOANE KARTVELISHVILI'S „GEORGIAN GRAMMAR”* – 138
- Ketevan Margiani** – *VOCABULARY RELATED TO MOWING IN SVAN* – 148
- Mariam Marjanishvili** – *EMIGRANTS CREATIONS OF THE POET REVIVES* – 152
- Nino Mashia** – *VOCABULARY OF GRANULAR CROPS IN MINGRELIAN-LAZ LANGUAGES* – 157
- Lela Makhviladze** – *DIMINUTIVE FORMS IN THE GERMAN LANGUAGE* – 161
- Maia Melanashvili** – *GEORGIAN PICARESQUE – AN ALTERNATIVE TO EXPLORING THE PROBLEMS OF THE EPOCH* – 167
- Tsiala Meskhia** – *NEW WORD FORMATION IN GEORGIAN POETRY (TEMUR SHAVLADZE)* – 173
- Mariam Miresashvili, Olgha Petriashvili** – *DETECTIVE NARRATIVE WITHIN THE SCOPE OF STRUCTURAL ORGANIZATION (ON EXAMPLE OF ANALYSIS OF ARTHUR CONAN DOYLE'S DETECTIVE STORIES)* (in Russian) – 178
- Tite Mosia** – *ONE ASPECT OF COLOR TOPIC IN “THE KNIGHT IN THE TIGER'S SKIN”* – 182
- Aleksandre Mghebrishvili** – *RELIGIOUS LIFE IN TSKHINVALI AND GEORGIAN – OSSETIAN RELATIONS* – 188
- Anara Nasirli** – *THE ORIGIN OF PHRASEOLOGICAL UNITS - NEOLOGISMS IN MODERN ENGLISH* (in English) – 194
- Nikoloz Otinashvili** – *LANGUAGE PECULIARITY OF AMILAKHVARI FIGHTERS RECORDS (1656-1696)* – 199
- Gulnoz Sattorova** – *REFLECTION OF GLOBALIZATION PROBLEMS IN LITERATURE* (in English) – 203
- Tamar Sidamonidze** – *A PAGE IN GEORGIAN EPISTOLARY INHERITANCE* – 205
- Natia Sikharulidze** – *VARIORUM AND THE PROBLEM OF DATING OF POETICAL TEXTS* – 208
- Luara Sordia** – *THE CONCEPT OF LAND IN THE WORKS OF GRIGOL ROBAKIDZE* – 213
- Nestan Sulava** – *THE TRANSFORMATION OF THE METAPHORICAL ICONS OF THE ROSE AND THE SUN, AS ONE OF THE BASES OF THE COMPOSITION “KNIGHT IN THE PANTHER SKIN”* – 221
- Marine Turava, Nana Kutsia** – *THE GAME OF GOTHURMAN „MARSHALL AND MARSHALL'S SON BY ELGUJA TAVBERIDZE (LIFE CHRONIC OF SVIMON TSRETELI SON OF GEOGRE)* – 227
- Tariel Putkaradze** – *THE PROBLEM OF PASSIVE SOCIETY ACCORDING TO ILIA CHAVCHAVADZE WORKS* – 232
- Marika Sherazadishvili** – *COMMUNICATION TASK AND INFORMATION STRUCTURE ELEMENTS OF A SENTENCE* – 237
- Zurab Chkhikvadze** – *PROSODY OF TONAL JUNCTIONS IN UTTERANCE AND THEIR STYLES IN ENGLISH* – 239
- Marine Tsertsvadze** – *ROSTOM CHKHEIDZE ‘GEORGIAN WRITING AT A GLANCE’* – 243
- Juleta Dzadzua** – *COMMON VOCABULARY FOR STYLISTIC FUNCTION* – 248
- Neli Champuridze** – *FOR THE ISSUE OF RELATIONSHIP BETWEEN RELIGION AND SCIENCE IN THE WORKS OF GEORGIAN SIXTIERS AND SCIENTIFIC-PUBLICISTIC VIEW* – 251
- Giorgi Khorbaladze** – *SEARCHING FOR THE END AND THE BEGINNING IN THE WRITER'S WORK /ACCORDING TO GIORGI SOSIASHVILI'S BOOK – “THE RED DESERT”/* – 254

# გ ა ნ ა თ ლ ე ბ ა

## Education

*ნანა ახოზაძე*  
*სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

### **უცხოური ენის სწავლების ინტენსიფიკაცია. აქტიური მეთოდების გამოყენება სასწავლო პროცესში**

მეოცე საუკუნის სამოციან წლებში, მსოფლიო მასშტაბით საზოგადოებრივ ცვლილებებთან დაკავშირებით, უცხოური ენების პრაქტიკული ფლობა უფრო აქტუალური ხდება, რის გამოც ვითარდება მათი სწავლებისადმი კომუნიკაციური მიდგომა.

- Communicative Language Teaching – ბრიტანელ სპეციალისტთა მიერ შემუშავებული ენის კომუნიკაციური სწავლების უნიფიცირებული სასწავლო პროგრამები, რომლებიც აქამდე ტრადიციული ენობრივი (ფონეტიკური, ლექსიკური, გრამატიკული) მასალის გარდა სამეტყველო ფუნქციებზე (კომუნიკაციის ამოცანაზე: ინფორმაციის გაზიარება, სოციალურ სიტუაციებში ზრდილობის ნორმების შესრულება და სხვ.) ამახვილებენ ყურადღებას.

უცხოური ენების სწავლებისადმი ინტერაქტიურ მიდგომაში, გულისხმობს:

- პრაქტიკული, ცხოვრებისეული (და არა ლინგვისტური) ამოცანების წინ წამოწევას;
- დასაუფლებელი ენის საშუალებით ინფორმაციის გაზიარებას მეცადინეობაზე;
- ავთენტური (რეალური ცხოვრების შესატყვისი) ენისა და დავალებების გამოყენებას;
- შემსწავლელის როლის წინ წამოწევას სასწავლო მასალების შედგენისას, გაკვეთილის დაგეგმვისა და რეალიზაციის ეტაპზე;
- მოტივაციის მაღალ დონეს;
- კომუნიკაციისათვის კეთილი ურთიერთგანწყობის შექმნას.

უცხოური ენის მეცადინეობაზე შემსწავლელთა შორის ურთიერთობას წამყვანი ადგილი უჭირავს. შემდგომში დაგვარად უცხოურ ენაზე კომუნიკაცია სასწავლო ამოცანებსა და გარემოს უნდა სცილდებოდეს და ღებულობდეს ავთენტურ ხასიათს. მასწავლებელი არ უნდა იყოს უცხოურ ენაზე კომუნიკაციის ერთადერთი ინიციატორი.

თანამედროვე პირობებში უცხოური ენა სკოლაში და უმაღლეს სასწავლებლებში ისწავლება საკომუნიკაციო დანიშნულებით. ენობრივი კომუნიკაცია ხორციელდება ზეპირი და წერილობითი ფორმით. ზეპირმეტყველება წარმოადგენს ადამიანთა შორის ურთიერთგაგებინების ერთ-ერთ ძირითად საშუალებას. თანამედროვე ინფორმაციულ საზოგადოებაში დედაენა უცხოურ ენასთან ერთად მრავალფეროვანი ინფორმაციის და ცოდნის მიღების აუცილებელი საშუალებაა. უცხოური ენის ისეთი დაუფლება, რომელიც მას ნამდვილად გადააქცევს ინფორმაციის მიღება-გაზიარების საშუალებად, შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ სასწავლო პროცესის ინტენსიფიკაციას მოვახდენთ. სწავლების ინტენსიფიკაცია ნიშნავს სასწავლო პროცესის აქტიურ მართვას. იგი გულისხმობს აქტიური მეთოდების გამოყენებას, სტუდენტთა შემოქმედებითი ინტერესის გაზრდას. ენა კომუნიკაციის საშუალებაა და მისი სწავლება კომუნიკაციური მიზნითა და საშუალებებით უნდა წარიმართოს. ენის სწავლების მთლიანი პროცესი ორ დონეზე – ინფორმატულსა და კომუნიკაციურზე - უნდა მიმდინარეობდეს.

როდესაც სწავლების პროცესს ინფორმაციის და კომუნიკაციის თეორიული საფუძვლების თვალსაზრისით განვიხილავთ, თავს იჩენს თავისებურებები, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია იმისათვის, რომ უცხოური ენის სწავლება მაქსიმალურად ეფექტური გავხადოთ:

ა) საკომუნიკაციო თვალსაზრისით ზუსტად უნდა დავადგინოთ ის მოდელები, რომელნიც უზრუნველყოფენ შესასწავლი მასალის ეფექტურ შეთვისებას. სწავლების მიზანი ზუსტად უნდა იქნას განსაზღვრული;

ბ) სასწავლო პროცესი სწავლების ძირითად მიზანს უნდა დავუქვემდებაროთ;

გ) საგანგებოდ შევარჩიოთ ენის საკომუნიკაციო ფორმები

დ) გამოუმუშავდეს უცხოური ენისათვის საჭირო საკომუნიკაციო ჩვევები.

ასეთი მიდგომის შედეგად უცხოური ენის შესწავლის პროცესი ზუსტად “რეგლამენტირებული” ხდება. ამ პროცესის განხორციელება მოითხოვს გადასაცემი ინფორმაციის მიწოდებას მრავალნაირი ხერხით, რის შედეგადაც ეს მასალა შემსწავლელისთვის კომუნიკაბელურ ფორმას მიიღებს.

სათანადო უნარ-ჩვევების გამოყენება შექმნის იმის პირობას, რომ შესასწავლი მასალა შემსწავლელს ინდივიდუალურად მივაწოდოთ და მასალის ათვისების ზუსტი კონტროლი მოვახდინოთ.

გაკვეთილზე უნდა შევქმნათ რეალობასთან მიახლოებული სასწავლო სიტუაცია. ამ მიზნით, კერძოდ, შექმნილია მრავალი სასწავლო მასალა, რომელიც ეხმარება მასწავლებლებს, რათა ფართოდ გამოიყენონ ტექნიკური საშუალებები. სწავლების კომუნიკაციურობის მისაღწევად საჭიროა ორიენტაცია იმაზე, რაც უზიბგებს სტუდენტს, მიიღოს აქტიური მონაწილეობა სააუდიტორიო დისკუსიებში.

უცხოური ენის სწავლება გულისხმობს ძიებითი მეთოდის დანერგვას. ეს მეთოდი მჭიდროდ არის დაკავშირებული პრობლემურ სწავლებასთან. ამ მუშაობაში სტუდენტს დიდ დახმარებას გაუწევს მასწავლებლის მიერ წინასწარ მოფიქრებული შემეცნებითი ღირებულების მქონე მისახვედრი კითხვები. ამ შემთხვევაში სასწავლო ამოცანა არა რომელიმე უცხოენობრივი კანონზომიერების გაგება-წვდომა სტუდენტის მიერ, არამედ უკვე ცნობილი ენობრივი სტრუქტურების გამოყენებით კონკრეტული საკომუნიკაციო აქტის განხორციელება და შექმნილი სამეტყველო ჩვევების ახალ, ამ ენისათვის დამახასიათებელ, სხვადასხვა სიტუაციაში შემოქმედებითად გამოყენების ჩვევის გამომუშავება. ასეთი მიდგომა ხელს შეუწყობს შემსწავლელს უცხოური სამეტყველო ჩვევების გამომუშავებას და შემეცნებითი აქტივობის განვითარებას.

წერისას სტუდენტი უფრო ავტონომურია, ვიდრე საუბრისას. მან არა მარტო უნდა იცოდეს სიტყვები და მათი გრამატიკულად სწორი გამოყენება, არამედ დამოუკიდებლად უნდა შეძლოს მათი სწორი გამოყენება წერის დროს. თვითკონტროლის როლი წერისას მაღალია, რაც წერას ნამდვილად აქტიურ პროცესად აქცევს.

წერისადმი ინტერესის სტიმულირებისათვის ყველაზე კარგი იქნება, სტუდენტებმა ინტერნეტის საშუალებით კომუნიკაცია დაამყარონ ამ ენაზე მოლაპარაკე სხვა შემსწავლელებთან. სინქრონული მიწერ-მოწერა ზოგიერთი თვისებით ზეპირმეტყველებას უახლოვდება. უცხოური ენის წერის სწავლებისას კომპიუტერის გამოყენება ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესის აქტივიზაციას, გააძლიერებს მოსწავლეთა ინტერესს. ენობრივი უნარ-ჩვევების ფორმირება მნიშვნელოვანი ფაქტორია სტუდენტთა შემეცნებითი აქტივობის გამომუშავება-სრულყოფისათვის. იგი ხელს უწყობს უცხოური ენის პრაქტიკულ დაუფლებას საკომუნიკაციო ფუნქციით.

წერა უცხოური ენის მომავალი სპეციალისტების მომზადებისას არ შეიძლება წარმოადგენდეს მხოლოდ სწავლების საშუალებას. წერის სწავლებისადმი აქტიური მიდგომა იმასაც ნიშნავს, რომ იგი სწავლების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიზანს უნდა წარმოადგენდეს. წერისადმი მხოლოდ როგორც დამხმარე საშუალებისადმი მიდგომა არ შეესაბამება ენის შესწავლისადმი აქტიურ მიდგომას და აბრკოლებს სამეტყველო აქტივობის სხვა სახეების განვითარებასაც. აქტიურობა ენის დაუფლების პროცესში ნიშნავს სტუდენტის მრავალმხრივ ვარჯიშს.

ამრიგად, უცხოური ენების სწავლებისადმი ინტერაქტიური და კომუნიკაციური მიდგომა წერის სწავლებისას უნდა განხორციელდეს განმავითარებელი და პრობლემური სწავლების გზით, კომუნიკაციური მეთოდების რაციონალური გამოყენებით. ყოველივე ამან უნდა უზრუნველყოს სწავლების ეფექტის ამაღლება, სტუდენტთა შემეცნებითი აქტივობის განვითარება, სწავლისადმი ინტერესის გაზრდა, წერითი უნარ-ჩვევების სრულყოფა.

#### ლიტერატურა:

1. განვითარების ისტორია და დღევანდელი მდგომარეობა საქართველოში. - საერთაშორისო სიმპოზიუმის შრომები საბუნებისმეტყველო და საინჟინრო დარგების განვითარების ისტორიის საკითხებზე. თბილისი. 2000
2. . . . . 1988.
3. . . . . ( ) - . . . . . 1998
4. Carrier, M. ELT on-line: the rise of the Internet. ELT Journal. Oxford. vol. 51, # 3, 1997
5. Coniam, D. A Computerized English language proofing cloze program. – CALL, Lisse, the Netherlands, 1997.

**Nana Akhobadze**

*Sokhumi State University*

### **INTENSIFICATION OF FOREIGN LANGUAGE TEACHING. USE OF ACTIVE METHODS IN THE LEARNING PROCESS RESUME**

Intensification of teaching means active management of the learning process. It involves the use of active methods, increasing the student's creative interest. Computer in motivation of writing overcoming the anxiety connected with making an error. Language it means communication and its teaching should be determined to communicate.



## **ზნეობრივი აღზრდის ადგილი საზოგადოების განვითარებაში**

განვითარება ის ცნებაა, რომელიც მოიცავს ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს. გამონაკლისი არც ზნეობრივი ცნობიერებაა.

განვითარება და ზნეობა ერთ-ერთი დაკავშირებული ცნებებია ზნეობაშიც. ხშირადაა დადებითი და უარყოფითი მომენტების მონაცვლეობა, ანუ ის, რაც განვითარების ერთ საფეხურზე ზნეობრივად ითვლება, შემდეგ საფეხურზე უარყოფით ზნეობრივ ნორმად განიხილება და ა.შ. ამ ცვალებადობაში გზას იკაფავს დადებითი ზნეობრივი ტენდენციები, რომლებიც გადაეცემიან თაობიდან თაობას და ბოლოს რაფინირებული სახით ყალიბდებიან მორალურ კოდექსში.

ზნეობა მხოლოდ ადამიანისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფენომენია. ანთროპოლოგია, როგორც ერთ-ერთი ფილოსოფიური დისციპლინა, იძლევა იმის საშუალებას, რომ ჩავწვდეთ ზნეობის წარმოშობისა და განვითარების არსებით ნიშან-თვისებებს.

ადამიანების მოქმედების სპეციფიკა იწყება იქ, სადაც ადამიანი იწყებს შრომით საქმიანობას. შრომის პროცესი და ზნეობის განვითარება ერთმანეთთან ურთიერთკავშირშია, რაც უფრო იხვეწება შრომის პროცესი და ფორმები, ადამიანები მით მეტად გრძნობენ ურთიერთდახმარების აუცილებლობას. ამ ფონზე ვითარდება ზნეობრივ ფენომენიც. ამდენად, ისტორიულად ზნეობა, ერთი მხრივ, საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების პროდუქტია, მეორე მხრივ, საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების აუცილებელი პირობაა.

ჯერ კიდევ ადამიანის არსებობის პირველ საფეხურზევე გაჩნდა პირველი სათნოება და პირველი მანკიერება. შესაბამისად, პირველი ზნეობრივი ნორმები, პირველი სათნოება ეს იყო სამართლიანობა და პირველი მანკიერება - უსამართლობა.

მანკიერებათა და სათნოებათა მრავალფეროვნებას ხელს უწყობს ეკონომიკური პირობების განვითარება. პირველ ეტაპზე ყალიბდება თანაგრძნობის, გულწრფელობის, სიმამაცის განცდა. პარალელურად ყალიბდება პირველი ამკრძალავი ნორმები: „არ წაართვა“, „არ მოკლა“, „არ იცრუო“.

ჩვენ დღევანდელი ფორმატით ვერ განვიხილავთ თითოეული საზოგადოებრივი ფორმაციის ზნეობას. საკმარისია იმის აღნიშვნაც, რომ ისტორიულად არსებობდა უკლასო და კლასობრივი საზოგადოების ზნეობა, საზოგადოების ცვალებადობასთან ერთად სიკეთისა და ბოროტების, ბედნიერებისა და უბედურების, ჰუმანიზმისა და მიზანტროპიის ფონზე გზას იკაფავდა ზნეობის დადებითი ტენდენციები. ყოველივე ამის გათვალისწინებით, დაისვა საკითხი ზნეობრივი განვითარების კრიტერიუმის შესახებ.

ზნეობრივი განვითარების ზოგად კრიტერიუმს განსაზღვრავენ როგორც ჰუმანიზმს. ჰუმანიზმი ლათინური სიტყვაა და ნიშნავს „ადამიანურს“.

ჰუმანიზმის არსი სწორედ ისაა, რომ გულისხმობს ადამიანის სიყვარულს. ჰუმანიზმი აერთიანებს ყველა იმ ღირსებას, რომელიც ჭეშმარიტ ადამიანურ ურთიერთობებს მიეწერება. მასში შემოდის შრომის სიყვარული, კეთილსინდისიერება, ღირებულებებისადმი პატივისცემა და არა ნივთების მონად ქცევა. ჯერ კიდევ იოანე ბატონიშვილი აღნიშნავდა, რომ „ვერცხლის მოყვარეობა არს ძირი ყოვლისა ბოროტებისა და გაქანებისა ყოველისა გონიერებისა, თუ რომლისა ძალით მოიხვეჭოს იგი, ხოლო მას შეუდგების ანგარების, მერე ამპარტავნება, პატივმოყვარეობა და ოდესმე მკვლელობაცა“ (ქ.პ.ტ. 6, გვ. 40).

ზნეობრივი ნორმები იცვლებიან, მაგრამ ზოგჯერ ათასწლეულებით არსებობენ და ადათ- წესების სახეს იღებენ. მათი დაძლევა ძალიან ძნელია, რადგან ღრმად აქვთ ფესვები ადამიანთა ცნობიერებაში. თუმცა პერიოდულად იძულებულნი ხდებიან გზა დაუთმონ ახალს. ტრადიციებს ქმნის ხალხი. ამიტომ მათში ჩადებული ზოგი რამ, რაც დღეს მიუღებელია, ისევ და ისევ მიგნების საფუძველზე უნდა შეიცვალოს. ზნეობრივი შეგნება, მოგვწონს თუ არ მოგვწონს, დეტერმინირებულია ცხოვრების მატერიალური პირობებით, ეკონომიკური განვითარება განსაზღვრავს ზნეობრივს. პროგრესულ მატერიალურ გარემოს შეესაბამება პროგრესულ-ზნეობრივი შეგნება. შეიძლება ერთი-ორი საპირისპირო შედეგების მოტანაც, მაგრამ ეს არ ცვლის კანონზომიერებას.

ზნეობა ისტორიული კატეგორიაა. თანამედროვე ეპოქა ადასტურებს, რომ შეუძლებელია არსებობდეს მონისა და მონათმფლობელის, ფეოდალისა და ყმის, კაპიტალისტისა და მუშის ზნეობა. იგი

ერთნაირია ყველა ადამიანისთვის. მასში თავმოყრილია დადებითი ზოგადსაკაცობრიო ელემენტები, რომელთაც საყოველთაო ხასიათი აქვთ. მათი დაცვა აუცილებელია საზოგადოების ყველა წევრისთვის, განურჩევლად სქესისა, ეროვნებისა, სარწმუნოებისა. საყოველთაო ზნეობრივი ელემენტების დამკვიდრებაში უდიდესი როლი შეასრულა რელიგიურმა რწმენამ. მას უდიდესი სოციალური ფუნქცია ეკისრება. რწმენის ერთიანობა ხელს უწყობს ზნეობის ერთიან ელემენტთა სრულყოფას.

საზოგადოების ეკონომიკურ განვითარებასთან ერთად შეიმჩნეოდა ზნეობის როგორც პროგრესული, ისე რეგრესული ელემენტებიც. საზოგადოების განვითარების ყოველი ეტაპი პიროვნების განვითარების ბრძოლის ისტორიაა. ადამიანს სჭირდება არა მხოლოდ ფორმალური, არამედ იურიდიული თავისუფლებაც. ამის განხორციელება მხოლოდ სამართლებრივ სახელმწიფოშია შესაძლებელი, ყველა საზოგადოების განვითარება საბოლოოდ აქეთვე მოდის, რადგანაც სამართლებრივი სახელმწიფო თავისუფლების და ზნეობრივი განვითარებას საფუძველია. თავისუფლება აუცილებლობისადმი შეგნებული დაქვემდებარებაა. მხოლოდ ის პიროვნებაა თავისუფალი, ვინც ანგარიშს უწევს საზოგადოებრივ აზრს და მასში დამკვიდრებულ ზნეობრივ ნორმებს.

როგორ ხდებოდა ისტორიულად ზნეობის თანდათანობით განვითარება და მისი განწმენდა ეროზიული ელემენტებისაგან? ამ კუთხით მნიშვნელოვანია ზნეობრივი შეგნების ამღობვა, სულიერი ვაკუუმის შევსება. ამის დეფიციტი დღეს არა მხოლოდ საგრძნობია, არამედ თავის გამანადგურებელ ძალას სულ უფრო და უფრო ავლენს.

თავისუფლების გზაზე მნიშვნელოვანია დემოკრატიული ელემენტების დანერგვა. ისინი ყველაზე ნაკლებად სწორედ ზნეობის სფეროში იჭრებიან. მხოლოდ დემოკრატიული სახელმწიფო უზრუნველყოფს ზნეობის სრულყოფას.

ეპოქებს ახსოვთ კეთილისა და ბოროტის ბრძოლის კონკრეტული პერიპეტიები. ისტორიულად სიკეთეს ყოველთვის მეტი ძალა აქვს. ზნეობის ფენომენის განვითარება საზოგადოების წინსვლის აუცილებელი პირობაა. ამ კუთხით საქმე არც საქართველოშია კარგად. უჭირს დღეს საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური თვალსაზრისით. უჭირს ეთიკის, ზნეობის სფეროშიც. განვითარების პროცესმა კარგად დაგვანახა ყველა ის ნაკლი, რომელიც მოაქვს ბიუროკრატიულ, ადმინისტრაციულ, ტოტალურ მეთოდებს მართვაში. ეროვნული ცნობიერება ახალ ფორმას ეძებს. ეს საკმაოდ რთული პროცესია. ვინაიდან ქართული საზოგადოება სავსეა ისეთი ადამიანებით, რომლებიც მიუხედავად მათი წარსულისა, ზნეობრივი „სენტენციებით ცდილობენ ქართული ცნობიერების სიმპათიის მოპოვებას. პარალელურად ზნეობრივ ადამიანს თითქმის „ზედმეტი ადამიანის“ სტატუსი აქვს მინიჭებული. ჯერ კიდევ ბატონობს საზოგადოებაში ნეპოტიზმი, სამსახურებრივი პრივილეგია, ქონებრივი ცენზი. სწორედ ამის შედეგია ქვემო ქართლისა და აფხაზეთის ამბები, ათასობით უმუშევარი, გადატაკებული მოსახლეობა.

ზნეობრივი ფენომენის არსი ისაა, რომ დავიბრუნოთ პიროვნება. იგი უნდა ამოქმედდეს, შექმნას ახალი აზროვნება, ზნეობრივი ფასეულობანი. სწორედ ზნეობრივი ფენომენი უნდა კვებავდეს საზოგადოებრივ ცხოვრებას. სწორედ მისი საშუალებით უნდა დაიმსხვრეს წარსულის რუტინა.

ზნეობრივი ფენომენი უნდა შეიჭრას ცხოვრების ყველა სფეროში და გზა მისცეს ახალ, პროგრესულ განვითარებას.

#### ლიტერატურა:

1. არისტოტელე. დიდი ეთიკა. თბ., 1994.
2. ავ. ბაქრაძე. სულის ზრდა. თბ., 1996.
3. გ. ბანძელაძე. ზნეობრივი განვითარებას თეორია და პრაქტიკა. თბ., 1982.
4. ზ. კაკაბაძე. ფილოსოფიური საუბრები. თბ., 1988.
5. მ. ბანძელაძე. ეთიკა. ქუთ., 2010.

*Manana Bandzeladze*  
*Akaki Tsereteli State University*  
*Darejan Chkhirodze*  
*Kutaisi University*

### **THE ROLE OF MORAL EDUCATION IN THE DEVELOPMENT OF SOCIETY RESUME**

Development is a notion that covers almost all spheres of life. The exception is moral consciousness.

Harsh events around us require theoretical reasoning, on the one hand and practical and moral action, on the other hand. Courageous theoretical ideas need to be put into practice on time so that we can eventually get economic

and spiritual recovery of our country. Moral values gradually lose their formal outfit. Dry propaganda of moral values is confronted by the real picture of the modern social life. The current process of development forwarded the phenomenon of morality. This is what determines the success of the already started political and economic movement.

*ციური ბაქრაძე*  
*გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი*

### **მოტივაციის გზით მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში**

ტერმინი „მოტივაცია“ პედაგოგიკაში მოსწავლის სწავლის პროცესში ჩართულობას, სწავლის მიმართ ინტერესსა და დადებით განწყობას აღნიშნავს. იგი ინდივიდუალურია, ამავე დროს არ არის თანდაყოლილი და უცვლელი. საკმაოდ დინამიურია და იცვლება ასაკთან სოციალური ფაქტორების ზეგავლენით.

არსებობს მოტივაციის ორი ფორმა – შინაგანი და გარეგანი. შინაგანი მოტივაცია – განპირობებულია პიროვნული ფაქტორით, შინაგანი ინტერესით, ხოლო გარეგანი მოტივაცია – ადამიანის ქცევა როცა განპირობებულია გარეგანი ფაქტორებით. გარეგანი ფაქტორებია: სხვა პირის მაგ. მასწავლებლის ან მშობლის მიერ შექება, წახალისება და სხვა.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ მოსწავლეთა აკადემიურ წარმატებებთან განსაკუთრებით მჭიდრო კავშირი აქვს შინაგან მოტივაციას. მოსწავლეებს, რომელთაც შინაგანი მოტივაცია აქვთ, უფრო მეტი პასუხისმგებლობით ეკიდებიან სწავლას, ხასიათდებიან თვითრეგულაციის მაღალი უნარით, ისინი უფრო ეფექტური გზების მუდმივ ძიებაში იმყოფებიან.

გარეგანი მოტივაციის მქონე მოსწავლეების მიზანია, ნებისმიერ სიტუაციაში ძალისა და ენერჯის მინიმალური დანახარჯებით მაქსიმალური ეფექტის (წახალისება, ჯილდო) მიღება. მათი მცდელობა თავი არიდონ რთულ დავალებებს. ხანგრძლივი დროით ამ მოტივაციის გამოყენება მნიშვნელოვნად აქვეითებს წარმატებების მიღწევას, მაგრამ ზოგჯერ საჭიროა ერთ შემთხვევაში მოსწავლის ქცევას წარმართავდეს გარეგანი ფაქტორი, მეორე შემთხვევაში კი – შინაგანი. ერთი და იგივე მოსწავლე სხვადასხვა დროსა და გარემოში შეიძლება იყოს ორიენტირებული ხან საკუთარ განვითარებაზე, ხან შესრულებაზე.

მოსწავლის სწავლისა და კოგნიტური განვითარების ხელის შესაწყობად, მნიშვნელოვანია მასწავლებელმა წახალისოს, განამტკიცოს მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებული ქცევა, შექმნას ისეთი სასწავლო გარემო, რომელშიც შეცდომა, წარუმატებლობა და სირთულე აღიქმება, როგორც მოსწავლის სწავლისა და განვითარების თანამედროვე ფაქტორები. მოტივაციის თემაზე ქართველი მეცნიერებიც მუშაობდნენ. მაგ. დ. უზნაძეს მიაჩნდა, რომ „ნამდვილი სწავლა შესაძლებელია მხოლოდ, შემეცნებითი ინტერესის, ცოდნის წყურვილის, მაშასადამე შინაგანი მოტივაციის პირობებში“ [1. 103]. იგივე მოსაზრება ჰქონდა შ. ჩხარტიშვილსაც. თავის შრომებში ერთმანეთისგან ასხვავებს შინაგან და გარეგან მოტივაციებს და აღნიშნავს, რომ „სწორედ ჰომოგენური“ (შინაგანი) მოტივაცია გულისხმობს სწავლის ობიექტური ღირებულებების შეგნებას. [2.8].

უდიდესი გავლენა აქვს სასწავლო გარემოს რამდენიმე კომპონენტს მოსწავლეთა მოტივაციაზე. ეს კომპონენტებია: სასწავლო აქტივობები, მოსწავლეთა შეფასება-წახალისება და კონტროლის - პასუხისმგებლობის განაწილება.

სასწავლო აქტივობაში იგულისხმება მოსწავლეთა ცოდნის დონის ამაღლებაზე ორიენტირებული აქტივობათა ერთობლიობა. ყოველი კონკრეტული სასწავლო აქტივობა მოსწავლისათვის საკუთარი უნარებისა და შესაძლებლობების ერთგვარი საზომია. თუ მოსწავლე აქტივობას რთულად, დაუძლეველად მიიჩნევს, მაშინ ალბათობა დიდია იმისა, რომ მან დაკარგოს რწმენა საკუთარ შესაძლებლობებში და ინდიფერენტული გახდეს სწავლის მიმართ. შეიძლება მოტივაცია დაკარგონ იმ შემთხვევაშიც, როცა აქტივობა მარტივია, არ მოითხოვს განსაკუთრებულ ძალისხმევას, უინტერესოა. ორივე შემთხვევა ნეგატიურად აისახება სასწავლო პროცესში მის ჩართულობაზე.

როგორი უნდა იყოს დავალება, რომ მოსწავლე სიამოვნებით ერთვებოდეს მის შესრულებაში? მარტინი აღნიშნავდა, რომ „დავალება მოსწავლისათვის საინტერესო და მოტივაციის აღმძვრელია, თუ ის არის: 1. ორიგინალური და შემოქმედებითი; 2. მრავალფეროვანი, რაც უფრო განსხვავებულია ესა თუ ის

აქტივობა მოსწავლისათვის უკვე კარგად ნაცნობისაგან, მით უფრო დიდია ალბათობა იმისა, რომ იგი ინტერესით ჩაერთოს მის ჩართულობაში“ [3. 14].

გარდა ამისა მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებისათვის ნათელი იყოს დავალების შესრულებაში ჩართვის აუცილებლობაც და შესრულების მიზანი. ამისათვის მასწავლებელმა უნდა შეძლოს ყოველი კონკრეტული აქტივობის დაკავშირება მოსწავლისათვის საინტერესო სფეროსთან.

ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს მასწავლებლის შეფასების პოლიტიკას. პოლიტიკაში იგულისხმება შეფასების სტანდარტები, კრიტერიუმები, კონკრეტული მეთოდები და მათი გამოყენების სიხშირე. მნიშვნელოვანია, რომ შეფასების ეფექტურობა დამოკიდებულია არა მხოლოდ შეფასების პოლიტიკის ობიექტურ მახასიათებლებზე, არამედ ამ მახასიათებლების ინტერპრეტაციაზე მოსწავლეების მიერ, იმაზე, თუ რამდენად სამართლიანად და ობიექტურად მიაჩნიათ მათ არსებული პოლიტიკა.

შეფასების სისტემის თავისებურებებს შეუძლია მნიშვნელოვნად შეიცვალოს მოსწავლეთა მოტივაცია არა მხოლოდ ხარისხობრივად, არამედ მიმართულების თვალსაზრისითაც. მასწავლებელი ძალიან ფრთხილად უნდა იყოს შეფასების სისტემის შემუშავებისას და მუდმივად უნდა აანალიზებდეს, თუ რა ტიპის ქცევას - შედეგებს წახალისებს მოსწავლეებში არსებული შეფასების სისტემით.

მოსწავლეთა მოტივაციაზე გავლენა აქვს იმასაც, თუ რას მიიჩნევენ ბავშვები შეფასების დანიშნულებად. ანდერმანი აღნიშნავს, რომ „შეფასების გამოყენება მოსწავლეთა ურთიერთ შედარებისათვის (ყველაზე წარმატებული მოსწავლის საჯაროდ გამოყოფა, საკლასო რეიტინგების შედგენა და ა.შ.) ნეგატიურად აისახება მოსწავლეთა მოტივაციაზე, მათ თვითშეფასებასა და ჩართულობაზე სასწავლო პროცესში“ [4.35].

მაგალითად, თუ მოსწავლე რეიტინგის ბოლო ადგილზე მოხვდა, იგი დაკარგავს არა მხოლოდ ინტერესს სწავლის მიმართ, არამედ საკუთარი შესაძლებლობების რწმენასაც. შეფასებასთან ერთად მნიშვნელოვანია წახალისების პოლიტიკის საკითხის განხილვაც, მცირე წარმატებები შეიძლება გახდეს უფრო დიდი წარმატებების მიღწევის სტიმული.

ბოლო პერიოდში, სპეციალურ ლიტერატურაში მოსწავლის სწავლის მოტივაციის გაღვივების ერთ-ერთ ეფექტურ სტრატეგიად განიხილება აკადემიური მიზნების მცირე „ქვემიზნებად დაყოფა“.

მარტივი მიზნების მიღწევა პროგრესის მიღწევის განცდას უჩენს მოსწავლეს. მცირე და მარტივი ქვემიზნების მიღწევის პირობებში იზრდება მოსწავლის დაინტერესება და მოტივაცია, დაძლიოს უფრო დიდი და რთული მიზნები.

მარტინი აღნიშნავდა, რომ „მოსწავლეებში წარმატების მიღწევის სტიმულირებისა და მოტივაციის გაღვივებისათვის მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა საგანგებოდ გაამახვილოს ყურადღება მოსწავლეების პროგრესზე, სისტემურად მიაწოდოს მათ დადებითი უკუკავშირი, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ წახალისება და შექება ყოველთვის არ არის ეფექტური. თუ მოსწავლე ჩათვლის, რომ წახალისებისას მასწავლებელი არ იცავს სამართლიანობის პრინციპს, შესაძლებელია მან სწავლაზე აიცრუოს გული. პოპულარული არ უნდა გახდეს წახალისება მცირეოდენი წარმატებისათვის, ეს შეიძლება ნეგატიურად აისახოს მოსწავლის მოტივაციაზე“ [3. 14]. მაგალითად, თუ მოსწავლეს (დაწყებით კლასებში) აინტერესებს კითხვა და მისთვის ეს აქტივობა თავისთავად ღირებულია, ანუ ბავშვი შინაგანად არის მოტივირებული, მასწავლებლის მხრიდან ამ აქტივობის სისტემატური წახალისება მაღალი ნიშნით, საჯარო შექებით და ა. შ. შეიძლება შინაგანი ინტერესის შესუსტების ან დაკარგვის წინაპირობა გახდეს.

მნიშვნელოვანია მოსწავლეთა ჩართულობა მნიშვნელოვანი საკლასო გადაწყვეტილებების მიღებასა და საკუთარი სასწავლო პროცესის მართვა-დაგეგმვაში. ტრადიციულად, მასწავლებელი სასწავლო პროცესის ძირითად მკონტროლებელ პირად გვევლინება. ის ერთპიროვნულად იღებს გადაწყვეტილებას სწავლების მეთოდებსა და სტრატეგიებზე, შეფასების სისტემაზე, განსახილავი საკითხების თანმიმდევრობაზე, ეს კი ხელს უწყობს მოსწავლეებში სწავლა-განათლების მიმართ პასუხისმგებლობის დაკარგვას. რაკი მასწავლებელი თავის თავზე იღებს ყველაფრის პასუხისმგებლობას, მოსწავლეც ხდება პასიური და აღარ ზრუნავს აკადემიურ შედეგებზე.

მოსწავლეს არ უნდა შეექმნას შთაბეჭდილება, რომ იგი სწავლობს მასწავლებლისთვის და არა საკუთარი თავისთვის.

საჭიროა მასწავლებელმა ისეთი სასწავლო გარემო შექმნას, რომ მოსწავლეები ნაწილობრივ მაინც იყვნენ პასუხისმგებლები საკუთარ განათლებასა და განვითარებაზე. ამდენად გარემო, სადაც ისინი თავს მასწავლებლის პარტნიორებად, სკოლის სრულფასოვან წევრებად გრძნობენ, ხელს უწყობს მოტივაციის ზრდასა და სასწავლო პროცესში ჩართულობას.

მოტივაციის სტრატეგიები შეიძლება ავამაღლოთ:

- სასწავლო პროცესის გამდიდრებით, შეიძლება დამატებითი, კლასგარეშე აქტივობებით, მრავალფეროვანი სასწავლო მასალებით და ახალი სწავლების მეთოდების სტრატეგიების გამოყენებით.

- მოსწავლეთა გააქტიურებით - რომელიც მოსწავლეთა ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია. ბავშვებისათვის ბევრად უფრო ბუნებრივი და სასიამოვნოა რაიმე საქმიანობაში აქტიურად ჩართვა, ვიდრე გაკვეთილზე ჯდომა და მოსმენა. გაკვეთილის „გააქტიურება“ ბევრი სტრატეგიით შეიძლება, მაგალითად დისკუსიები, ჯგუფური მუშაობა, პრეზენტაციები, როლური თამაშები, საგანმანათლებლო ექსკურსიები და სხვა. ამისათვის მნიშვნელოვანია დროის სწორი შერჩევა. ყველაზე ეფექტური სტრატეგიაც კი შეიძლება არ იყოს შედეგიანი, თუკი მასწავლებელმა იგი დღის ბოლოს, დადლილ მოსწავლეებთან ან რაიმე სხვა შეუსაბამო დროს გამოიყენა.
  - მოსწავლეთა ჩართვა ცოდნის შეფასების ინსტრუმენტების მომზადებაში, ერთ-ერთი სახალისო და სასარგებლო აქტივობაა, რომელშიც მოსწავლეები შეიძლება იყვნენ ჩართულნი, აქ იგულისხმება მოსწავლეების ჩართვა სემესტრული ტესტების, კონკრეტულ თემასთან დაკავშირებული კროსვორდების, სიტუაციური ამოცანების და სხვათა მომზადებაში.
  - განსხვავებული სირთულის დავალებების აქტივობები, როცა ერთსა და იმავე საკითხზე - თემაზე განსხვავებული სირთულის ამოცანები, დავალებები და აქტივობები მოფიქრებული. ეს შესაძლებლობას იძლევა მოსწავლეთა შესაძლებლობების და შესაფერისი დავალებების მიცემის გზით გავზარდოთ მათი მოტივაცია.
  - „უნიშნო“ აქტივობები - ამგვარ დავალებებში მოსწავლეთა ყურადღება საბოლოო შედეგიდან უფრო პროცესზე გადაერთვება, მათთვის მნიშვნელოვანი იქნება არა იმდენად ნიშანი, არამედ პროგრესი და აქტიურობა.
  - შეცდომები, როგორც სწავლის საუკეთესო საშუალება - მნიშვნელოვანია კლასში ისეთი გარემოს შექმნა, რომელშიც მოსწავლეებზე ნეგატიური შეფასების კრიტიკის ან შეცდომის დაშვების შიში არ ექნებათ. კოდუა აღნიშნავდა, რომ „დამზავებული შეცდომა და სწორი პასუხის აღმოჩენის სურვილი მოსწავლისათვის ხშირად ახალი ცოდნის მიღების, საკუთარი უნარებისა და შესაძლებლობების გაუმჯობესების ბიძგი ხდება. [5. 60].
  - ზოგიერთი პედაგოგის აზრით ეფექტურია მოსწავლეებისათვის საკუთარ ნაშრომში შეცდომების გასწორების შესაძლებლობის მიცემა, ვიდრე ამ შეცდომების წითელი კალმით მონიშვნა და შეფასების დაწერა.
  - მოსწავლეთა გაკრიტიკება საჯაროდ ყოვლად დაუშვებელია. საჯარო კრიტიკამ შეიძლება ძლიერი ნეგატიური გავლენა მოახდინოს მოსწავლის თვითშეფასებასა და მოტივაციაზე. ზოგჯერ ყოველდღიურ ვითარებაში პედაგოგისათვის ეს შეუძლებელი ხდება საჯარო კრიტიკისაგან თავის შეკავება, მაგრამ ეს აქვეითებს ასევე მასწავლებლისადმი ნდობას და პატივისცემასაც.
  - მიუკერძოებლობა - პედაგოგი უნდა იყოს მიუკერძოებელი. დაუშვებელია პიროვნული შეხედულებების და განწყობის გამოვლენა სასკოლო გარემოში. ეს ეხება როგორც ზოგადად ურთიერთობებს მოსწავლეებთან, ისე მათი შეფასებისა და წახალისების კონკრეტულ შემთხვევებს.
  - ტესტირებისას სხვადასხვა ტიპის შეკითხვების გამოყენება ნამდვილად ეფექტურია სასწავლო პროცესში. ზოგიერთ მოსწავლეს წერის კარგი უნარი აქვს, ღია კითხვებს ადვილად სცემს პასუხს, ზოგს კი დახურული კითხვები მოსწონს. მასწავლებელმა უნდა შეუქმნას ცოდნისა და შესაძლებლობების გამოვლინებისათვის პირობები, რათა ინდივიდუალურმა თვისებებმა არ მოახდინონ ნეგატიური ზეგავლენა მოსწავლეთა ტესტირების შედეგებზე. კარგი იქნება თუ დაცული იქნება ბალანსი ღია და დახურულ კითხვებს შორის.
- ამდენად, საგაკვეთილო პროცესსა და მოსწავლეებთან ურთიერთობაში უნდა იკვეთებოდეს მასწავლებლის დამოკიდებულება, რწმენა, რომ ყველა მოსწავლეს შეუძლია ისწავლოს და იყოს წარმატებული, თუმცა ამისათვის თითოეულ მათგანს განსაკუთრებული მიდგომა და ყურადღება ესაჭიროება.
- მასწავლებლის განწყობას მოსწავლის მიმართ ძალიან დიდი გავლენა აქვს მის განწყობაზე საკუთარი თავის მიმართ, მის თვითრწმენაზე და ზოგადად სწავლისადმი დამოკიდებულებაზე.

**ლიტერატურა:**

1. დ. უზნაძე, სასკოლო ასაკის ფსიქოლოგია, თბ., 2003.
2. შ. ჩხარტიშვილი, სწავლის მოტივაციური სტრუქტურა, თბ., 1978.
3. Martin., A & Dawson, M. (2009) Interpersonal relationships, motivation, engagement and achievement: yields for theory, current issuers and educational practice, 2010.
4. Anderman, H., L. & Midgley, Motivation and Middle School Students, ERIC Digest, Retrived on December 1, 2010.
5. ნ. კოდუა, სოციოლოგია, II ნაკვ. თბ., 1999.

*Tsiuri Bakradze*  
*Gori State Teaching University*  
**INVOLVEMENT OF STUDENTS IN THE EDUCATION PROCESS USING MOTIVATION**  
**RESUME**

For Raising the academic achievements, as well as a positive attitude towards learning and knowledge creation, it is important for teachers to care for its pupils' motivation.

Motivation is an internal state of the organism, which applies to the behavior of people in the desired direction. It is characterized by the dynamics and depends on the individual and environmental factors.

Learning activities, evaluation of policies and responsibilities are the elements connected with the motivation.

The care of students' motivation should not be limited by specific classrooms. Motivated environment should be created throughout the school system.

*ელენე გეგეშიძე*  
*ივანე ჯავახიშვილის სახელობის*  
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

**საგანმანათლებლო ვითარება მეთვრამეტე-მეცხრამეტე საუკუნეების საქართველოში**

ქართველი ერის კულტურული წინსვლის საქმეში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა X-XI-XII საუკუნეების გამოჩენილი მოღვაწეებისა და მწიგნობრების საქმიანობას. ესენი იყვნენ: ათონის ივერთა მონასტრის დამაარსებელი იოანე მთაწმინდელი (920-1005 წწ) და ექვთიმე მთაწმინდელი (955-1028 წწ); ექვთიმე მთაწმინდელის ტრადიციების გამგრძელებელი გიორგი მთაწმინდელი (1009-1065 წწ); XI საუკუნის მეორე ნახევრის ქართველი ფილოლოგი, ფილოსოფოსი და საკუთარი მთარგმნელობითი თეორიის შემქმნელი ეფრემ მცირე; XI-XII საუკუნეების გამოჩენილი ფილოსოფოსი და მწერალი, გელათის აკადემიის პირველი რექტორი არსენ იყალთოელი (7:17-19, 36).

სწორედ ამ საუკუნეებში დაარსდა იყალთოსა და გელათის აკადემიები - საქართველოში უმაღლესი განათლებისა და სამეცნიერო ცენტრები. აქ ისწავლებოდა ფილოსოფია, რიტორიკა, გრამატიკა, გეომეტრია, არითმეტიკა, ასტრონომია, მუსიკა, მედიცინა და ითარგმნებოდა და იწერებოდა მნიშვნელოვანი თხზულებანი ქართულად (7:43-54). ამასთან ერთად, იყალთოს აკადემიაში ისწავლებოდა მჭედლობა, კერამიკა, მევენახეობა (14:89-90).

თითოეულმა ამ მოღვაწეთაგან უდიდესი წვლილი შეიტანა ქართულ მეცნიერებათა ფორმირების საქმეში.

ასეთი წარმატებული მუშაობა, რაზეც უდიდესი გავლენა მოახდინა ძველბერძნულმა და ლათინურმა ენებმა, საუკუნეებით დაამუხრუჭეს - შეაჩერეს ქართული ცნობიერების მტრებმა, რომელთა მიზანი იყო ქართული ტერიტორიების მიტაცება-გავერანება და ქართული სულიერების განადგურება.

მიუხედავად ამისა, ქართველთა შორის დროდადრო გამოჩნდებოდნენ მამულის და რწმენის შეუპოვარი დამცველნი. მათი დიდი მცდელობის შედეგად, მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში შესაძლებელი გახდა წინსვლა კულტურის დარგში და კერძოდ განათლებაში, რასაც დიდ ყურადღებას უთმობდა ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II (1720-1798 წწ) (4:196).

განათლების საქმის უშუალო ორგანიზატორი და წარმმართველი იყო კათალიკოსი ანტონ I - ერისკაცობაში თეიმურაზ ბაგრატიონი (1720-1788 წწ), რომლის მეცადინეობით მეთვრამეტე საუკუნის საქართველოში საფუძველი ჩაეყარა ან ალსდგა საუკუნეების განმავლობაში შეწყვეტილი კულტურული და საგანმანათლებლო ცხოვრება. ანტონ I ენერგიულად შეუდგა სასწავლებლების ორგანიზებას ქართლ-კახეთის მთელს ტერიტორიაზე.

მისი ინიციატივით, 1755 წელს ანჩისხატის ტაძრის ეზოში გაიხსნა თბილისის სემინარია. აქ ისწავლებოდა რიტორიკა, ლოგიკა, მეტაფიზიკა, ფსიქოლოგია, ფილოსოფია და ანტონ I-ის მიერ 1753 წელს დაწერილი ქართული ენის გრამატიკა.

ანტონ I-ის უდიდესი დამსახურებაა ქართული გრამატიკული ტერმინოლოგიის შექმნა. მას ეკუთვნის: ასო, ხმოვანი, მარცვალი, არსებითი სახელი, ზმნა, დადებითი ხარისხი, მდებრობითი, ზმნიზედა, ბრუნვა, სახელობითი, მძიმე, წერტილი, ორწერტილი, ფრჩხილი და სხვა (12:32).

ამ გრამატიკული ტერმინების შესახებ არსებობდა აზრი, თითქოს ანტონ I-მა ისინი გადმოთარგმნა რუსული შესატყვისი ტერმინებიდან, რაც არაა მართებული. საქმე ისაა, რომ „ქართული გრამატიკული ტერმინოლოგიის აბსოლუტური უმრავლესობა ანტონის შექმნილია და გვხვდება გრამატიკის პირველსავე რედაქციაში, რომელიც დაიწერა 1753 წელს. საკმარისია ბევრ ამ ტერმინს შევადართო რუსული შესატყვისი ტერმინი და სრულიად აშკარად წარმოიქმნება ილუზია, რომ ისინი წარმოადგენენ კალკას, მაგრამ ჩვენ დანამდვილებით ვიცით, რომ როცა ანტონი წერდა პირველ გრამატიკას, მას წარმოადგენდა კი არ ჰქონდა რუსული ენის გრამატიკაზე.

მაშ, საიდან მივიღეთ ასეთი „აბსოლუტური“ დამთხვევები?

ქართული ენის გრამატიკის წერისას ანტონი იყენებდა ლათინური და სომხური ენის გრამატიკებს, რომლებშიც ყველა ეს ტერმინი კალკირებული იყო ბერძნული გრამატიკული ლიტერატურიდან. რუსულ გრამატიკულ ლიტერატურაშიც ლათინურის მეშვეობით იმავე ბერძნული ტერმინების კალკასთან გვაქვს საქმე და ამიტომაც, რუსული და ქართული ტერმინები ასე ჰგვანან ერთმანეთს (12:99).

1758 წელს თელავში, მეფის სასახლეში დაარსდა საეკლესიო კადრების მოსამზადებელი სკოლა. 1782 წელს ის გადაკეთდა თელავის სემინარიად, რომელიც გაუქმდა 1803 წელს, როგორც ბუდე თვითმპყრობელი რუსეთის წინააღმდეგ აგიტაციისა (3:315-317). იქ ისწავლებოდა: მათემატიკა, ფილოსოფია, ღვთის-მეტყველება, გრამატიკა, რიტორიკა და მოსწავლეთა მიღება ხდებოდა წოდებრივი განსხვავების გარეშე.

ამ სემინარიის პირველი რექტორი იყო მისი გახსნის ინიციატორი, არქიმანდრიტი გაიოზ რექტორი (1746-1821 წწ) (4:197).

გაიოზ რექტორმა 1789 წელს დაწერა ქართული „ღრამატიკა“, რაც 1796-1800 წლებში დაიბეჭდა მოზდოკში მის მიერვე 1796 წელს დაარსებულ სტამბაში (13:630).

აღსანიშნავია, რომ რუსეთის ქალაქ ვლადიმირის ეპარქიის მთავარ ეპისკოპოსად 1756 წელს დანიშნულმა ანტონ I-მა, იმავე წლის დეკემბერში დაასრულა ქართულად თარგმნა გერმანელი ფილოსოფოსისა და ფიზიკოსის ქრისტიან ვოლფის შვიდნაწილიანი „ფილოსოფიის“ მეშვიდე ნაწილისა „თეორიული ფიზიკა“ (10:13). ამ წიგნის დედანი ინახება იოსებ (სოსო) გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმის დაკეტილ სტენდზე (ხარფუხში).

ეს სახელმძღვანელო სავალდებულო იყო თბილისისა და თელავის სემინარიებში. თბილისის სემინარიაში ამ სახელმძღვანელოთი კითხულობდა თვით ანტონ I და მის ლექციებს ესწრებოდა ერეკლე II. თარგმნისას ანტონი სარგებლობდა სულხან-საბა ორბელიანის (1658-1725 წწ) „ლექსიკონი ქართულით“ და არსენ იყალთოელის (XI-XII სს) „ფისიკით“ (10:14).

ვლადიმირში ყოფნის დროს, კერძოდ 1762 წელს, ანტონ I-ს ქართულად უთარგმნია ქრისტიან ბაუმაისტერის (1709-1785 წწ) თხზულებანი: „ლოგიკა“, „მეტაფიზიკა“, „საყოფაცხოვრებო ფილოსოფია“ ანუ ეთიკა და „განსაზღვრება ფილოსოფიისა“ (12:90-91).

თბილისის სემინარიამ იარსება 1795 წლის სექტემბრამდე, ვიდრე ირანის შაჰმა აღა-მაჰმად-ხანმა (1742-1797 წწ) არ დაანგრია თბილისი. შაჰის ერთ-ერთი მიზანი იყო საბრძოლო იარაღების სახელოსნოების გაძარცვა-განადგურება და ხელოსნების წაყვანა ირანში. თელავის სემინარიამ კი იარსება საქართველოს რუსეთის მფარველობაში შესვლამდე (1801 წ), რის შემდეგ მანაც შეწყვიტა არსებობა.

მეთვრამეტე საუკუნის საქართველოში სწავლა-განათლების ზოგიერთ საკითხზე საუბარს დავამთავრებთ, თელავის სემინარიასთან დაკავშირებული ერთი მეტად საყურადღებო ფაქტის აღნიშვნით. საქმე ისაა, რომ თელავის სემინარიის დაარსების წლისთავზე, 1783 წლის 28 მაისს, სემინარიაში გამართულა საჯარო დისპუტები (პაექრობანი), რაც მიზნად ისახავდა სასწავლო წელში შესრულებული მუშაობის შეჯამება-შემოწმებას და ეს იმართებოდა ამა თუ იმ დისციპლინის კურსის მოსმენის შემდეგ. პაექრობა წარმოადგენდა დიდ სადღესასწაულო აქტსაც.

რადგან თელავის სემინარიაში დიდი ყურადღება ექცეოდა საგრამატიკო დისციპლინებს, ამიტომ ეს საზეიმო სხდომაც სწორედ საგრამატიკო თემისადმი ყოფილა მიძღვნილი. ძირითადი მოხსენება ჩაუტარებია რექტორს, გაიოზ არქიმანდრიტს (1:51).

მეცხრამეტე საუკუნის საქართველოში სწავლა-განათლების ზოგიერთ საკითხზე საუბარს დავიწყებთ იმ პოლიტიკური აქტის აღნიშვნით, რომლის თანახმადაც რუსეთის მეფე ალექსანდრე I-მა (1777-1825 წწ) გამეფების პირველსავე წელს, 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტით გააუქმა ქართლ-კახეთის სამეფო და ის მიერთებული იქნა რუსეთთან.

1802 წელს საქართველოს მთავარმართებლად და ასტრახანის გენერალ-გუბერნატორად დანიშნეს პავლე ციციანოვი (1754-1806 წწ), რომელიც იყო კავკასიაში რუსეთის პოლიტიკის აქტიური გამტარებელი.

რუსეთის ბიუროკრატიულ ხელისუფლებას საქართველოსა და ამიერკავკასიისთვის სჭირდებოდა მოხელეთა დიდი შტატი. მაღალ, დიდ თანამდებობებზე მუდამ ნიშნავდნენ რუსებს, მაგრამ დაბალ ადგილზე საჭირო იყო ადგილობრივი წარმომადგენელიც, ოღონდ იგი რუსულის მცოდნე ან რუსულ სკოლაში ნასწავლი უნდა ყოფილიყო.

საქართველოს რუსეთთან მიერთებისთანავე, ქართული სკოლების უმეტესობა დაიხურა. რუსეთის მმართველობამ საჭიროდ სცნო მხოლოდ რუსული სკოლების არსებობა, როგორც საიმედო საყრდენი თავისი პოლიტიკის განხორციელებისთვის საქართველოში. რუსული ორკლასიანი პირველი სასწავლებელი 1802 წელს იქნა გახსნილი, რაც იმავე წელს დაიხურა. მისი დახურვის მიზეზი იყო ის, რომ ის გამოდგა არა რუსულ-ქართული, პირვანდელი განზრახვის მიხედვით, არამედ წმინდა რუსული სასწავლებელი. მოსწავლეებს არა ესმოდათ რა არც თავისი მასწავლებლისა, არც სკოლისა საერთოდ და იძულებული იყვნენ მალე მიეტოვებინათ იგი (8:73).

რუსული პოლიტიკის უკეთ გატარების მიზნით, 1803 წლის 27 ივლისის მოხსენებით ციციანოვი მეფეს არწმუნებდა თბილისში კეთილშობილთა სასწავლებლის გახსნის აუცილებლობაში იმით, რომ რუსული ენის ცოდნა აუცილებელია ამ მხარეში, სადაც სამართლის წარმოება რუსულადაა და თარჯიმნებიც არიან, მაგრამ ადგილობრივი თავადაზნაურობა იმდენად უვიცია, რომ წესისამებრ მშობლიურ ენაზედაც ვერ საუბრობს (19:5).

ციციანოვის ინიციატივით, 1804 წელს თბილისში აღადგინეს ქართული სტამბა, რომელიც მტრებმა 1723 წელს გაანადგურეს (12:88).

თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელი ციციანოვს გაუხსნია 1804 წლის 31 მაისს და ამ სასწავლებელს უარსებია 26 წელი (8:76), რომელიც სახელმწიფო დაკვეთას ასრულებდა და მოხელეებს ზრდიდა. მაგრამ მოწაფეობა სასწავლებელს გაუბოდა, განსაკუთრებით ათიან წლებში, როცა საქართველოში შავი ჭირი მძვინვარებდა.

კეთილშობილთა სასწავლებლის დირექტორი იყო ალექსი პეტრიაშვილი, რომელსაც სასწავლებლის გახსნის დღეს მგზნებარე სიტყვით მიუმართავს საზოგადოებისთვის. სასწავლებელი 1814 წლამდე საქართველოს მთავარმართებლის სამოქალაქო საქმეთა ექსპედიციაში შედიოდა, ხოლო 1814 წლიდან კი გადარიცხულ იქნა ხარკოვის სასწავლო ოლქის უწყებაში (16:3-4).

ამ სასწავლებელში 1828 წელს მიუბარებიათ საქვეყნოდ ცნობილი ფიზიკოს-ქიმიკოსი პეტრე რომანის ძე ბაგრატიონი (1818-1876 წწ), რომლის მიერ შექმნილი „მუდმივეფექტიანი წყვილი“ კეთილშობილი ლითონების, კერძოდ ოქროს მისაღებად ცნობილი იყო რუსეთში, ევროპასა და ამერიკაში 1843 წლიდან (10:24-30).

1811 წლის 1 ოქტომბერს, უწმინდესი სინოდის მიერ თბილისში დაარსდა მართლმადიდებელთა სასულიერო სემინარია. ეს იყო მეორე ოფიციალური რუსული სასწავლებელი, რომელიც მეფის მთავრობამ გახსნა საქართველოში (16:5). ეს სემინარია დაიხურა 1917 წელს, რომლის ერთადერთი ქართველი რექტორი 1916-1917 წლებში იყო დეკანოზი კორნელი კეკელიძე (1879-1962 წწ) (6:310).

თბილისის სასულიერო სემინარიას დასახული ჰქონდა ორი ძირითადი მიზანი: 1) მას უნდა აღეზარდა კულტურის მსახურნი და თვითმპყრობელობისთვის საიმედო, სასულიერო სასწავლებელთა მასწავლებლები და 2) მოემზადებინა მისიონერები მთაში ქრისტიანობის დასანერგად, რომ ხელისუფლება უფრო მტკიცედ გაბატონებულიყო და დაემონა კავკასიის მთის ხალხი (2:108).

დარეჯან დედოფლისეულ (მეფე ერეკლე II-ის მეუღლისეულ) სასახლეში, ავლაბარში, გახსნილმა ამ სემინარიამ თვალსაჩინო როლი შეასრულა ქართველი ხალხის ნაციონალურ-რევოლუციურ მოძრაობაში (8:87).

თბილისის სასულიერო სემინარიისა და მის სისტემაში შემავალ სკოლათა რეორგანიზაცია გატარდა 1835 წლის 1 სექტემბრიდან. სემინარია დაუქვემდებარეს კიევის აკადემიის ოლქს და ამიერიდან ამ ოლქს უნდა ეზრუნა და ხელმძღვანელობა გაეწია მისთვის. რეორგანიზაციის გატარების შემდეგ სასწავლებელში რუსულის სწავლება მიანდეს მხოლოდ რუსებს, ქართველს აღარ ნიშნავდნენ (2:126).

სასულიერო სემინარიაში მსოფლიო ისტორიასთან ერთად ისწავლებოდა რუსეთის ისტორია, ხოლო საქართველოს ისტორია საეკლესიო ისტორიასთან ერთად (16:7).

საქართველოში ფიზიკისა და გეოფიზიკის განვითარებას დიდად შეუწყო ხელი 1844 წელს თბილისში გეოფიზიკური ობსერვატორიის გახსნამ (10:8). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თბილისში ობსერვატორიის არსებობა დაფიქსირებულია 1158 (15:32) და 1258 (7:23) წლებშიც კი. გარდა ამისა, ამინდზე პირველი დაკვირვება დაიწყო 1932 წლიდან.

თბილისის გეოფიზიკურ ობსერვატორიას გააჩნია განვითარების საინტერესო ისტორია (5:142, 155-159).

1825 წლიდან თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში ისწავლებოდა: ქართული ენა, რუსული ენა, არითმეტიკა, თარგმნა, ცეკვა, თათრული ენა, საღვთო სჯული, გეოგრაფია, ისტორია, ხატვა,



გომეტრია, ალგებრა, რუსული და ქართული სიტყვიერება, ფორტიფიკაცია, გეოდეზია. მოსწავლეთა დატვირთვა იყო 40-46 საათი კვირაში და გაკვეთილები ტარდებოდა დილით და საღამოს 4-4 საათი (19:16).

1829 წლის 2 აგვისტოს დამტკიცდა დებულება ამიერკავკასიის სასწავლებელთა შესახებ. ეს დებულება ითვალისწინებდა ერთ გიმნაზიას თბილისში და 20 სამაზრო (საერო) სასწავლებელს თბილისში, გორში, თელავში, სიღნაღში, დუშეთში, ახალციხეში, ქუთაისში, სამეგრელოში, გურიაში და სომხეთისა და აზერბაიჯანის სამაზრო ცენტრებში (8:104).

ამ დებულებით, სამაზრო სასწავლებელი ორკლასიანი იყო, ხოლო 1835 წლის დებულებით ისინი გადაკეთდა სამკლასიან სასწავლებლად (16:11).

თბილისში გიმნაზია გაიხსნა 1830 წლის მარტში, საქართველოს მთავარმმართველ პასკევიჩის დროს. უფრო სწორად, თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელი გადაკეთდა გიმნაზიად (8:105) და მასთან ერთად გაიხსნა პანსიონიც აზნაურთა შვილებისთვის (16:11).

თბილისის გიმნაზიაში ქართულ ენას ასწავლიდნენ ჯერ სოლომონ დოდაშვილი (1805-1836 წწ) და მისი დაპატიმრებიდან, 1832 წლიდან ვიდრე 1868 წლამდე კი მოსკოვის ლაზარევის ინსტიტუტის ყოფილი სტუდენტი ზაქარია ყორღანოვი.

1837 წელს მეფე ნიკოლოზ I ესტუმრა ამიერკავკასიას. მის მგზავრობასთან დაკავშირებით ამიერკავკასიაში გამოაშკარავდა მრავალგვარი ბოროტმოქმედება, რომელშიც მონაწილეობას იღებდა მაშინდელი მთავარმმართველი როზენი თავისი ოჯახის ყველა წევრითურთ. მექრთამეობა და სახაზინო ფულის მითვისება „სავალდებულოდ“ ითვლებოდა ყველა მოხელისთვის, ვისაც ამის შესაძლებლობა ჰქონდა. გიმნაზიის მაშინდელ დირექტორს გასენ მილერს გაუფლანგავს გიმნაზიისა და სამაზრო სასწავლებლების მშენებლობისთვის გადადებული 50 000 მანეთი. დირექტორი ამ ბოროტმოქმედებისთვის, რომელიც გამჟღავნდა 1839 წელს, ციმბირში გაგზავნეს ყოველგვარი უფლების აყრით. მეფის მგზავრობას შედეგად მოჰყვა როზენის მოხსნაც (18:93).

თბილისში საჯარო ბიბლიოთეკების დაარსება იწყება მეცხრამეტე საუკუნის 30-იან წლებიდან. 1842 წელს დიმიტრი ყიფიანის (1811-1887 წწ) ინიციატივით ქართველი ინტელიგენცია აარსებს ბიბლიოთეკას, რომელიც 1846-1848 წლებიდან საფუძვლად დაედო მთავრობის საჯარო ბიბლიოთეკას (19:209).

1848 წლის დებულებით, თბილისის გიმნაზიაში ყველა მოსწავლისთვის სავალდებულო იყო ქართული და თათრული ენები, მაგრამ სიმძიმის გამო მხოლოდ ერთი ენა გახდა სავალდებულო (19:21).

თბილისის გიმნაზია, რომელიც ერთადერთი იყო მთელს ამიერკავკასიაში, შედარებით ნაკლები მომზადებისა და ცოდნის ახალგაზრდებს უშვებდა. ამის გამო, თბილისის გიმნაზიის კურსდამთავრებულს უფლება არ ჰქონდა პირდაპირ შესულიყო მოსკოვის უნივერსიტეტში (16:12).

მეორე გიმნაზია საქართველოში დაარსდა ქ. ქუთაისში 1848 წელს და მათ (თბილისის და ქუთაისის გიმნაზიებს) მიეცათ ის უფლებები, რომლებიც მინიჭებული ჰქონდათ რუსეთის გიმნაზიებს სრულიად რუსეთის 1828 წლის წესდებით. იმავე წელს საქართველოში გიმნაზიის კურსი 8-წლიანი გახდა (16:13).

1851 წელს თბილისში გაიხსნა საოპერო თეატრი, ხოლო საკმაოდ გვიან, 1917 წელს დაარსდა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია (11:12-15).

აღზრდა-განათლება და სკოლა იყო მეცხრამეტე საუკუნის 60-იანი წლების ქართული პერიოდული პრესის ერთ-ერთი ყველაზე უფრო დიდი საბრძოლო საკითხი.

მოწინავე ქართული პრესა ბრძოლას აწარმოებდა ერთი მხრივ იმისთვის, რათა ხალხის მშრომელი მასების ცნობიერებაში შეეტანა იმის შეგრძნება, რომ „განათლება ყველაზე უფრო ძლიერი ძალაა“ და რომ ახლა თოფითა და ხმლით მებრძოლ ქართველ ვაჟკაცთა დრო აღარ არის, ახლა არის სწავლისა და მეცნიერების დრო; მეორე მხრივ პრესა ბრძოლას აწარმოებდა ხალხის განათლების უფლებისთვის, სკოლების რიცხვის გადიდებისა და სწავლის ხარისხის გაუმჯობესებისათვის (8:379).

1864 წელს მთავრობამ შემოიღო გიმნაზიისა და პროგიმნაზიის ორი ტიპი: კლასიკური და რეალური. ეს გიმნაზიები ერთმანეთისგან განსხვავდებოდნენ როგორც სასწავლო გეგმით და სწავლის შინაარსით, ისე უფლებებით. აქ პირველად დაარსდა პედაგოგიური საბჭო სასწავლო და აღმზრდელობითი საქმიანობის გასაუმჯობესებლად. უქმდებოდა წოდებრივი პრივილეგიები და ფიზიკური დასჯა „როზგი“ - „გაწკეპვლა“.

1865 წელს თბილისში დაარსდა ქალთა პირველი თანრიგის ღია სახელმწიფო სასწავლებელი, პედაგოგიური ციკლით. იმავე წელს კი, ქუთაისში გაიხსნა ქალთა ელემენტარული სკოლა.

1866 წელს ქ. თელავში გაიხსნა წმ. ნინოს სახელობის ქალთა საზოგადოების სასწავლებელი (თბილისისა და ქუთაისის ასეთივე სასწავლებლის სტრუქტურით, გეგმით და პროგრამით), რომელიც 1867 წლიდან განთავსდა ერეკლე II-ის სასახლეში.

1867 წლის დებულებით, ქართული ენა სავალდებულო გახდა მხოლოდ ქართველებისთვის, სომხური-სომხებისთვის და თათრული-თათრებისთვის.

პირველი ნაბიჯი ქართული ენის შესაკვცად გადაიდგა 1861 წელს, როდესაც საშუალო სასწავლებლებში მკვეთრად შეამცირეს ქართული ენის გაკვეთილების რაოდენობა.

მთავრობის აგრესიულმა პოლიტიკამ კავკასიის მოსახლეობის, კერძოდ ქართველების მიმართ განათლების დარგში გამოხატულება ჰპოვა 1873 წლის 21 ნოემბრის დადგენილებაში, რომლითაც ადგილობრივი ენები კავკასიის საშუალო სასწავლებლებში რჩებოდა მხოლოდ ოთხ კლასში და ისიც როგორც არასავალდებულო საგანი - ვისაც სურდა ადგილობრივი ენის გაკვეთილები, მას ხელფასი უნდა გადაეხადა მასწავლებლისთვის.

ამ დებულების შესამუშავებლად, 1871 წლის დეკემბერში სასწავლო ოლქის მზრუნველმა ნევეროვმა თბილისში მოიწვია საშუალო სასწავლებლებისა და სახალხო სკოლების დირექტორ-ინსპექტორების ყრილობა.

ჯერ კიდევ ყრილობამდე, ოლქის ინსპექტორი ილიაშენკო აღნიშნავდა: მთავრობის ზრუნვა ადგილობრივი ენების წინ წამოწევისა ზიანის მომტანია რუსული ენისთვის. ამ პოლიტიკით ჩვენ მივდივართ არარუსი ხალხების არა ასიმილაციისკენ, რაც ჩვენს მთავარ ამოცანას შეადგენს, არამედ მათ საშუალებას აძლევს ადვილად გავიდნენ საზოგადოებრივ ასპარეზზე თავიანთი ბუნებრივი ენით (19:42).

კავკასიის სასწავლო ოლქის უფროსად 1878 წლის 13 ნოემბერს დაინიშნა კირილე იანოვსკი, ერთი იმ „ვემპათაგანი“, რომელნიც ხელმძღვანელობდნენ ცარიზმის კოლონიურ პოლიტიკას საქართველოში.

იანოვსკის დანიშვნას სიხარულით შეხვდნენ მაგალითად, ილია ჭავჭავაძე, სერგეი მესხი და სხვები. სამწუხაროდ აღმოჩნდა, რომ იანოვსკი ორმაგ თამაშს ეწეოდა: 1879 წლის 22 დეკემბრის წერილში იგი მხარს უჭერდა ადგილობრივ ენაზე სწავლებას დაბალ კლასებში, ხოლო 1880 წლის 20 ოქტომბრის ცირკულარით ხელქვეითებს ამცნობს, რომ კავკასიის ხალხები უმეცარნი არიან, რომელთა შორის უნდა განმტკიცდეს რუსული ცივილიზაცია რუსული ენის საშუალებით. თუკი ამ ერების გადაგვარება ვერ შეძლეს წარსულში დამპყრობლებმა, ამის მიზეზია დამპყრობელთა უკულტურობა, გაუნათლებლობა. სკოლა კი, რომელსაც ცარიზმი ფლობს, იანოვსკის აზრით, მძლავრი იარაღია, რომელიც აქ განამტკიცებს რუსულ ცივილიზაციას (19:88).

იანოვსკის უნდოდა გაეტარებინა თვითმპყრობელობის პოლიტიკა საქართველოს სკოლებში, გაედევნა ქართული ენა, გადაეგვარებინა ქართული ახალგაზრდობა და ამით ლახვარი ჩაეცა ეროვნული კულტურისა და შემოქმედებისთვის ერთი მხრივ, ხოლო მეორე მხრივ, გადაგვარებული თაობების სახით ხელისუფლებისთვის მიეცა გონებით დაკნინებული და სულით დამონებული მოხელე-ჩინოვნიკობა.

იანოვსკის მტკიცედ სწამდა, რომ განაპირა ქვეყნებში სკოლა უნდა იყოს რუსული ცივილიზაციის დამწერგავი და ადგილობრივი კულტურის შემმუსვრელი.

1880 წლის 20 ოქტომბრის ცირკულარით, იანოვსკი თავის ხელქვეითებს წერდა: კავკასიაში რუსული სკოლების დაარსება და ადგილობრივ მკვიდრთა მოზიდვა მათში სასწავლად, უდავოდ უნდა ჩაითვალოს ამ მხარეში რუსული ცივილიზაციის განმტკიცების უმთავრეს საშუალებად... ეს ცივილიზაცია აღმოჩნდება წინათ აქ არსებულ ცივილიზაციაზე უფრო მტკიცე (19:91).

იანოვსკის ცბიერი და ორმაგი ბუნება კარგად გამოავლინა ილია ჭავჭავაძემ „ივერიის“ 1881 წლის მარტის „შინაურ მიმოხლივაში“: იანოვსკის ისე, როგორც ყველა ფლიდსა და გაიძვერა მოხელეს, თავი მოაქვს ქართველი ერის მეგობრად და ქართველი ერის ახალგაზრდობის მოამაგედ.

80-ანი წლების მიწურულში ხელისუფლება აუქმებს 1881 წლის სასწავლო გეგმას და დაწყებითი სკოლებიდან სავსებით დევნის ადგილობრივ ენას და საგნების სწავლებას აწყობს რუსულ ენაზე ბავშვის სკოლაში შესვლის დღიდანვე, რადგანაც ქართულ ენაზე არ არსებობს სახელმძღვანელოები და ტერმინები. მაგრამ რუსული ენის შესწავლის პროცესში მასწავლებელს სჭირდებოდა მშობლიური ენის მოშველიება უცხო სიტყვებისა და ფრაზების ასახსნელად. განათლების მესვეურნი მალე დარწმუნდნენ, რომ ამ მეთოდით მიზანს ვერ მიაღწევდნენ. გარუსების საქმეში მეტი ეფექტის მისაღწევად, განათლების მესვეურებმა ორ მთავარ ზომას მიმართეს: რუსული ენის შესწავლის საქმეში მშობლიური ენის სრულ აკრძალვას და ბავშვის სააზროვნო ენად რუსულის ენის გადაქცევას.

ქუთაისის სახალხო სკოლების დირექტორ ლევიტსკის აზრით, მშობლიური ენა ხელს უშლის სხვა ენის შესწავლას და ის არ უნდა იქნეს გამოყენებული სხვა (რუსული) ენის შესასწავლად (19:109-112).

ასეთ კრიზისულ სიტუაციაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა რაფიელ ერისთავის წერილმა „რაოდენათ მართალია, რომ ქართულს ენას სიღარიბე შესწამეს?“ (20:1-2). წერილის ავტორი ამბობს, რომ ქართულ ენას საკმაოდ მოეპოვება ტერმინები, რომელთა ბაზაზე შეიძლება შეიქმნას ქართული სახელმძღვანელოები. ქართული სამეცნიერო ტერმინების არსებობის დასადასტურებლად, წერილში ჩამოთვლილია საკმაოდ ბევრი ტერმინი ბუნების რვა სამეფოდან (21:143-145). მაგალითად, ამ წერილში მოწოდებული არითმეტიკული ტერმინი „ბევრი“ ნიშნავდა ათიათასს. „ბევრი“ რომ ათიათასის მნიშვნელობით იხმარებოდა თამარ მეფის დროსაც, ჩანს შემდეგიდან: „ერთი ბევრი და ორი ათასი კაცი

ეკლესიათა შინა, ვითარ ცხვარი, დაკლეს“, ანუ თორმეტი ათასი კაცი გაჟუჟეს. და კიდევ: ჟამთააღმწერლის ცნობით, 1226 წლის 9 მარტს მეტეხის ხიდთან „ათბევრი“ ანუ ასიათასი ქართველი დახოცეს.

1881 წლის მიწურულში გაუქმდა კავკასიის მეფისნაცვალობა და აღდგენილ იქნა მთავარმმართველობა. რეაქციის გაძლიერებას განათლების დარგში მოასწავებდა რეაქციონერ დელიანოვის დანიშვნა განათლების მინისტრად.

მეფის რუსეთის ბრძოლა განათლების წინააღმდეგ, საზოგადოდ, სწორედ ასეთი ფორმით წარმოდგა საქართველოში. თვით რუსეთში კი ეს ბრძოლა მიმდინარეობდა სხვა ფორმით. სახელდობრ: „ნაპოლეონის დამარცხების შემდეგ რუსეთი დარწმუნდა თავის ძლიერებაში და ალექსანდრე I და ნიკოლოზ I იმპერატორები მეცნიერებას აღარ აქცევდნენ ყურადღებას. მეტიც, ალექსანდრე I-ს ზოგიერთები ურჩევდნენ ყაზანის უნივერსიტეტის დაწვას, რადგან მასში ურწმუნოებისა და რევოლუციის იდეები სუფევსო. ხოლო პეტერბურგის საუკეთესო პროფესურა სამუშაოდან დაითხოვეს და მეტიც: უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების „გაძლიერების“ მიზნით ხარკოვის უნივერსიტეტის ფილოსოფიის პროფესორად დანიშნეს უზნის პოლიციის უფროსი“ (9:29).

სასულიერო სასწავლებლებში და სემინარიაში ქართული ენის გაუქმებამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია მოსწავლეებში და ზოგიერთ მასწავლებელში. მოსწავლეებს და არასაიმედო მასწავლებლებს დაუწყეს თვალთვალი და ეს უფრო გაძლიერდა, როცა ცნობილი გახდა სემინარიელების მიერ საეკლეო ლიტერატურით სარგებლობის შემთხვევები.

სემინარიელების დაინტერესებას სხვადასხვა ლიტერატურით ხელს უწყობდა სემინარიის ბიბლიოთეკის გამგე იაკობ გოგებაშვილიც (1840-1912 წწ).

ქართველი ახალგაზრდობის გათვითცნობიერების საქმეში დიდი როლი შეასრულა ე.წ. „ივანოვის ბიბლიოთეკამ“. 1870 წლის „დროების“ №47-ში განთავსებული წერილი „სამწიგნობრო და საკითხავი ოთახი“ იტყობინებოდა, რომ მიმდინარე წლის 19 ნოემბერს ფოსტის ქუჩაზე, სემინარიის მოპირდაპირედ ზუბალოვის სახლში გაიხსნა აღნიშნული ოთახი, სადაც წიგნებით სარგებლობა შეიძლება როგორც ადგილზე, ისე სახლში წაღებითაც გარკვეული თანხის სანაცვლოდ.

საქმე ისაა, რომ იმ დროს გაზეთები ცალკეობით არ იყიდებოდა და მხოლოდ თვეობით გამოიწერებოდა თანხის წინასწარ გადახდით, რასაც ყველა მსურველი ვერ შეიძლებდა. ვინმე ივანოვმა თავისი ფული ჩადო საზოგადოებრივად სასარგებლო საქმეში და არ დაუწყია მევახშეობა (19:211).

მოსწავლეების მიერ სემინარიის ბიბლიოთეკით სარგებლობა მკაცრად კონტროლდებოდა. სინოდის ოპერ-პროკურორის 1884 წლის 4 მაისის განკარგულებით სემინარიის ბიბლიოთეკიდან ამოიღეს მრავალი „არასასურველი“ წიგნი, მათ შორის დ. მენდელეევის წიგნი „ქიმიის საფუძვლები“.

1883 წლის მაისში თბილისის სემინარიის რექტორად დაინიშნა პავლე ჩუდეცვი, რომელმაც მაშინვე დაიწყო სემინარიელების გაკონტროლება არასაიმედო ლიტერატურით სარგებლობასთან დაკავშირებით (19:235).

თბილისის სემინარიის მოსწავლეთა მღელვარების მიზეზები იყო ცუდი ნიშნებისთვის დასჯითი რეჟიმი, თვით კარცერში რამდენიმე საათით მოთავსებით, ცუდი კვება და დაგლეჯილი ტანსაცმელი. ჩუდეცვის მიერ ბევრი მოსწავლე იქნა გარიცხული სემინარიიდან აკრძალული ლიტერატურით სარგებლობისთვის (19:240-248).

სემინარიის ადმინისტრაციამ რეპრესიები გააძლიერა მას შემდეგ, რაც 1885 წლის დეკემბერში მას ხელში ჩაუვარდა სემინარიის უდემდამო მოსწავლე იოსებ ლალიაშვილის „დღიური“, საიდანაც გამჟღავნდა ბევრი საიდუმლოება: არალეგალური ჟურნალ „ყვავილის“ არსებობა და საიდუმლო წრის არსებობა მისი წევრების დასახელებით. 1885 წლის 9 დეკემბერს სემინარიის პედაგოგიურმა საბჭომ ი. ლალიაშვილი ამორიცხა სემინარიის საერთო საცხოვრებლიდან და ამიტომ მოუხსნეს სახაზინო ხარჯი. სანაცვლოდ დაუნიშნეს 6 მანეთი თვეში. ი. ლალიაშვილი იძულებული გახდა ბინისა და სადილის საფასურისთვის მიეცა კერძო გაკვეთილები. მაგარამ ჩუდეცვიმ აიძულა მოსწავლის მშობლები, უარი ეთქვათ ი. ლალიაშვილის მასწავლებლობაზე.

ამის შემდეგ, ი. ლალიაშვილს სახლში უპოვეს აკრძალული ლიტერატურა და ჩუდეცვიმ აიძულა იგი თხოვნა შეეტანა სემინარიიდან ამორიცხვის მიზნით. ეს თხოვნა მან დაწერა 1886 წლის 13 მარტს და იგი გარიცხულ იქნა თბილისის სემინარიიდან (17:24).

ი. ლალიაშვილმა რამდენჯერმე თხოვა ჩუდეცვის სემინარიაში აღდგენა ან ცნობის მიცემა, რომ მას დამთავრებული ჰქონდა გორის სასულიერო სემინარია. ორივე თხოვნაზე მან უარი მიიღო. იგივე თხოვნით, იგი ჩუდეცვისთან კაბინეტში მისულა 1886 წლის 24 მაისს დილის 11 საათზე და ისევ უარი. ამის შემდეგ მან ტანსაცმლის ქვეშ დამალული ხანჯალი ჩასცა ჩუდეცვის, რომელიც კაბინეტიდან გავარდნილა მეზობელ ოთახში და კისერში ხანჯლის დაკვრით იქ იქნა მოკლული (17:25-29).

საქართველოს ეგზარქოსმა, მთავარ ეპისკოპოსმა პავლემ (პეტრე ვასილის ძე ლებედევმა, 1827-1892 წწ.) ჩუდეცვის დასაფლავებაზე წარმოთქმულ სიტყვაში დასწყევლა მკვლეელი იოსებ ლალიაშვილი. ამავე

სიტყვაში მან ანათემას გადასცა მთელი ქართველი ერი, რის გამოც დიმიტრი ყიფიანმა სადგურ ხაშურიდან პავლეს გაუგზავნა ისტორიული წერილი, სადაც იგი პავლეს ურჩევდა დაეტოვებინა მის მიერ შეურაცხყოფილი საქართველო.

ყოველივე ამას მოჰყვა ეგზარქოსის გადაყენება და დიმიტრი ყიფიანის გადასახლება სტავროპოლის გუბერნიაში, სადაც იგი 72 წლის ასაკში მოკლა ვინმე რუსმა ბერმა თავში უროს ჩარტყმით. დიმიტრი ყიფიანი დაკრძალულია მთაწმინდაზე. მის ხსოვნას აკაკი წერეთელმა უძღვნა ლექსი

განთიადი  
მთაწმინდა ჩაფიქრებულა,  
შეჰყურებს ცისკრის ვარსკვლავსა,  
მნათობი სხივებს მალლით ჰვენს  
თავდადებულის საფლავსა.

.....  
„დედა-შვილობამ მეტს არ გთხოვ:  
შენს მიწას მიმაბარეო,  
ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,  
ჩემო სამშობლო მხარეო!“

[1892 წ]

იოსებ ლაღიაშვილი გასამართლებულ იქნა 1886 წლის 16 ივნისს და მას მიესაჯა 20 წლით გადასახლება კუნძულ სახალინზე. განაჩენის გამოტანისას გათვალისწინებულ იქნა მისი არასრულწლოვანება - იგი დაბადებულა 1866 წლის 2 იანვარს და ჯერ კიდევ არ იყო 21 წლის. სახალინიდან იგი გაქცეულა იაპონიაში და 1889 წელს კი ამერიკაში, სადაც იგი გარდაცვლილა სან-ფრანცისკოში 1913 წელს (ვინმე ჭავჭავაძის თქმით). სინოდმა კი სემინარიის რექტორ ჩუდეცკის ნაცოლევს და პავლე ეგზარქოსის საყვარელს, მარიამს თვეში 100 მანეთი პენსია დაუნიშნა. იმ დროს, თბილისის სასულიერო სემინარიის ზოგიერთი მასწავლებლის ხელფასი 40-50 მანეთს არ აღემატებოდა (17:30-37).

ჩუდეცკის მკვლელობის შედეგად მთავრობამ სემინარია გაანადგურა. მხოლოდ ერთ დღეს სემინარიიდან დაითხოვეს 34 მოსწავლე; ბევრი კიდევ მანამდე ან მას შემდეგ, გახშირდა სემინარიელების მღელვარება, რასაც ხშირად იწვევდა ადმინისტრაციის უადგილო მოთხოვნები და შენიშვნა-გაფრთხილებები. იყო შემთხვევები სემინარიიდან გარიცხვისა და სხვა სემინარიაში შესვლის აღკვეთით ან ქ. თბილისში ცხოვრების აკრძალვით.

დიდი არეულობა მომხდარა სემინარიაში 1893 წლის 1-4 დეკემბერს. ამ გამოსვლების დაწყებამდე ერთი თვით ადრე, რექტორ სერაფიმეს მოთხოვნით შედგენილ იქნა სია საექვო მოსწავლეებისა მათი მოკლე დახასიათებით. ამ დროისთვის სემინარიაში ყოფილა 412 მოსწავლე. 1-4 დეკემბრის არეულობის გამო სემინარია დახურეს 1894/5 სასწავლო წლის დასაწყისამდე.

მეცხრამეტე საუკუნის სემინარიელების უკმაყოფილებანი, სწავლების მაშინდელი სისტემის მიმართ, გაგრძელდა მეოცე საუკუნის პირველ ათიან წლებშიც. უკმაყოფილება გრძელდებოდა იმის გამო, რომ ხელისუფლება ძალიან ცდილობდა რუსულ ენას მოეპოვებინა გაბატონებული მდგომარეობა საქართველოში. ამის საილუსტრაციოდ გამოდგება შემდეგი ორი შემთხვევა.

1) 1903 წელს დირექტორების, ინსპექტორების, პედაგოგების, მეურნეთა, სასულიერო პირთა ერთ-ერთ ფართო შეკრებაზე პედაგოგმა ივანე როსტომაშვილმა განაცხადა, რომ რუსული ენისთვის ზიანის მომტანია მისი ცალკე საგნად სწავლება და რომ ყველა საგანი უნდა ისწავლებოდეს რუსულ ენაზე. როსტომაშვილის ამ გამოხდომას საკადრისი პასუხი გასცა იაკობ გოგებაშვილმა, რის შემდეგაც როსტომაშვილმა უკან წაიღო თავისი სიტყვები.

2) 1905 წელს მთავრობამ შექმნა რევოლუციასთან მებრძოლი შავრაზმული ორგანიზაცია, რომლის წევრი იყო ქუთაისის წმ. ნინოს სასწავლებლის უფროსი ტიმჩენკო-აროშჩენკოს ქალი. იგი რუს მოსწავლეებს ასე მიმართავდა: გახსოვდეთ რომ ხართ რუსი, საჭირო არ არის ქართველების ველური ინსტინქტების მიბადვაო. ეს მოხდა 1912 წელს. ამის გამო საჩივარი შევიდა მთავრობაში 200 მშობლის ხელმოწერით, მაგრამ შედეგი სავალალო: რამდენიმე რუსი და ყველა ქართველი მასწავლებელი გადაიყვანეს ქუთაისიდან. სასწავლებლის ინსპექტორმა კონსტანტინე ღოღობერიძემ კი თავი მოიკლა - მას ბრალს სდებდნენ ტიმჩენკოს წინააღმდეგ ქმედებაში (22:63-64).

აი, ასეთი მძიმე რეჟიმის პირობებში უხდებოდათ ახალგაზრდებს სწავლა-განათლების მიღება მეთვრამეტე-მეცხრამეტე საუკუნეების საქართველოში.

#### ლიტერატურა:

1. **ბარამიძე ა.** საჯარო პაექრობა თელავის სემინარიაში. სწავლა-აღზრდის ისტორია საქართველოში, მასალების კრებული, I. ტფ., 1937, 51-65.

2. **ბაკურაძე ი.** ტფლისის სასულიერო სემინარია 1817-1835 წლებში. სწავლა-აღზრდის ისტორია საქართველოში, მასალების კრებული, I. ტფ., 1937, 107-126
3. **ბერიძე ვუკ.** დავით რექტორი-ლექსიკოგრაფ საბა-ორბელიანის გამგრძელებელი. ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, I. 1936, 310-332.
4. **გამსახურდია ს.** სწავლა-განათლება ძველ საქართველოში. თბ., 1975.
5. **ერემეიშვილი ი.** ცხოვრება და ღვაწლი ანდრია რაზმაძისა. ქუთაისი, 1997.
6. **ვართაგავა ი.** მოგონებები, II. თბ., 1962.
7. **თავზიშვილი გ.** უმაღლესი განათლების ისტორიისთვის საქართველოში, ნარკვევი პირველი. თბ., 1938.
8. **თავზიშვილი გ.** სახალხო განათლებისა და პედაგოგიკური აზროვნების ისტორია საქართველოში 1801-1870. თბ., 1948.
9. **პარკაძე ვ.** დავით ბაგრატიონი და მისი „შემოკლებული ფისიკა“. თბ., 1954.
10. საქართველოს ფიზიკოსები, შეადგინა **ვ. პარკაძემ**. თბ., 1982.
11. **ტორაძე გ.** მუსიკის სამყაროში. თბ., 2010.
12. **ფოცხიშვილი ა.** პოლემიკა ანტონ ბაგრატიონის გარშემო. თბ., 1990.
13. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. 2., 1977.
14. **ღამბაშიძე რ.** ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია და მისი შედგენის ძირითადი პრინციპები. თბ., 1986.
15. **ჩაკვეტაძე ვ.** გელათის აკადემია. თბ., 1958.
16. **წერეთელი ქ.** სასკოლო ისტორიული განათლება საქართველოში. თბ., 1978.
17. **ხუნდაძე არკ.** რექტორ ჩუდეცკის მკვლელი იოსებ ლაღიაშვილი. ტფ., 1932.
18. **ხუნდაძე ტრ.** საერო განათლება საქართველოში მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში. სწავლა-აღზრდის ისტორია საქართველოში, მასალების კრებული I. ტფ., 1937, 74-106.
19. **ხუნდაძე ტ.** ნარკვევები სახალხო განათლების ისტორიიდან საქართველოში. თბ., 1951.
20. გაზ. „დროება“, 1880, #212.
21. **ლალი იორდანიშვილი.** რაფიელ ერისთავის ენა. თბ., 2015.
22. **ხუნდაძე ტროფიმე.** ქუთაისის ქართული გიმნაზიის ისტორიიდან. თბ., 1976.

*Elene Gegeshidze*

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

## SITUATION IN EDUCATION SPHERE IN GEORGIA OF EIGHTEENTH – NINETEENTH CENTURIES RESUME

The work offers discussion of some aspects of education in Georgia, in the period specified in the title.

In 10<sup>th</sup> – 11<sup>th</sup> – 12<sup>th</sup> centuries, targeted translation and terms development work of the outstanding thinkers of that period contributed greatly to formation of favorable situation in the education sphere, Old Greek and Latin languages had substantial impact on this.

Enemies of Georgian consciousness whose goal was taking over of Georgian lands and elimination of Georgian spirituality have slowed down educational work for many centuries.

As a result of long-term confrontation with the conquerors, in the second half of eighteenth century, certain progress in education sphere was achieved. Erekle II, King of Kartli and Kakheti (1720-1798) paid great attention to it. Certain achievements in the education sphere could be seen in the first half of the nineteenth century as well. Russian imperial government made the first steps to eliminate teaching in Georgian language in 1861 and in 1881 it was fully prohibited, with the motivation that allegedly, in Georgian, there was no terminology and no textbooks.

Realization of this decision was hindered by Rapiel Eristavi's (1824-1901) newspaper article "Is it True that Georgian Language is Poor?" ("Droeba", 1880, No: 212). The article offered numerous terms from the eight natural sciences. After this, there were certain attempts to prohibit teaching in Georgian but they failed.

## **განათლების ხელმისაწვდომობის და სასწავლო პროცესში თანამონაწილეობის პრობლემის კვლევა უმაღლესი განათლების საფეხურზე**

საქართველოს განათლების სისტემისთვის ინკლუზიური განათლება სიახლეს აღარ წარმოადგენს, თუმცა ინკლუზია, როგორც მიდგომა, განათლების სისტემის ყველა საფეხურზე, თანაბრად ჯერ კიდევ არ არის დანერგილი. 2006 წლამდე საქართველოში არსებული სპეციალური სკოლების „ჩაკეტილი“ სისტემა, რომელიც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთა განათლების უზრუნველსაყოფად არსებობდა, კურსდამთავრებულთათვის ცხოვრებისთვის ნაწილობრივი მომზადების შესაძლებლობას იძლეოდა და მოკლებული იყო სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას. განათლების სისტემის დეცენტრალიზაციის შედეგად სპეცსკოლებმა სტატუსი შეიცვალეს და საჯარო სკოლების სახით საერთო სასკოლო სისტემის ნაწილთან ინტეგრირდნენ. საქართველოში ინკლუზიურ განათლებაზე როგორც საგანმანათლებლო კონცეფციაზე, ღია საუბარი 2004-2005 წლიდან დაიწყო და ნორვეგიის მთავრობის მხარდაჭერით განხორციელდა პირველი პროექტი სკოლებისთვის. შემდგომში სხვა აქტივობებთან ერთად ამ ინიციატივას, საუნივერსიტეტო განათლებაში ინკლუზიური განათლების სასწავლო კურსის დანერგვის, ხოლო მოგვიანებით, პროფესიულ განათლებაში ინკლუზიური განათლების ხელშეწყობა მოჰყვა.

დღეისათვის უმაღლესი განათლების საფეხურზე ინკლუზიური განათლების ხელშეწყობა უკვე ინიცირებული და მხარდაჭერილია სახელმწიფოს მხრიდან, რაც ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტების შემუშავებით იქნა გამოხატული კერძოდ: ახალი სტანდარტებით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს სსსმ ან შშმ პირთათვის განათლების ხელმისაწვდომობა და განათლების შესაძლებლობების გაძლიერებით მისცეს მათ სოციალური ინტეგრაციის შესაძლებლობა. ამავ პრინციპზე დაყრდნობით, ქვესტანდარტში საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურასა და შინაარსთან დაკავშირებით არის ზოგადი ხასიათის ჩანაწერები, რომლებიც ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებასთან არის დაკავშირებული. ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მეშვეობით უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების გათვალისწინებას და მათ შეუფერხებელ ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში. აღებული ვალდებულებების მიხედვით ინდივიდუალური სასწავლო გეგმით უსდ უზრუნველყოფს სტუდენტის განსხვავებული მოთხოვნების, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების გათვალისწინებით სწავლა-სწავლების, შეფასების სათანადო ფორმებისა და პირობების შეთავაზებას, ამასთან, სასწავლო პროცესის ადაპტირებულ გარემოში განხორციელების შესაძლებლობას და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი ადამიანური რესურსით უზრუნველყოფას.

მიმდინარე პერიოდში, რეალურად, საგანმანათლებლო დაწესებულებებს, ავტორიზაციის სტანდარტის დაკმაყოფილების მიზნით, აქვთ ადაპტირებული გარემო სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისთვის, რაც მხოლოდ პანდუსებითა და სველი წერტილების ადაპტირებით ვლინდება, რაც შეეხება სტუდენტის/შშმ პირის ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას, რომელიც საჭიროებს როგორც მატერიალური, ასევე ადამიანური რესურსის არსებობას, დღეს დაწესებულებებისათვის კვლავ მწვავე პრობლემად რჩება. ინკლუზიური განათლების უზრუნველსაყოფად უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის მიზნით გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ დიდი ხანი არაა, რაც დაიწყო სსსმ ან და შშმ პირთათვის ადაპტირებული გამოცდების ჩატარება, თუმცა, როგორც ხდება მათთვის სასწავლო გეგმის ადაპტირება, ამასთან დაკავშირებული კვლევა მიმდინარე პერიოდისთვის არ არსებობს. აღსანიშნავია, რომ საკითხით დაინტერესების ეტაპზე, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში განათლების ხელმისაწვდომობისა და სსსმ და შშმ პირთა სასწავლო პროცესში ჩართულობის შესასწავლად, გამოვრიცხეთ უშუალოდ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისგან კითხვარის საშუალებით ინფორმაციის მოგროვება. ინფორმაციის მოკვლევისთვის შევარჩიეთ ექსპერტული ცოდნის მქონე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციისა და აკრედიტაციის დამოუკიდებელი ექსპერტები, რომლებსაც აქვთ ექსპერტად მუშაობის გამოცდილება და აქვთ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის და აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის უნარი. გარდა ამისა, ექსპერტული ცოდნა და სამუშაო გამოცდილება აძლევს მათ

შესაძლებლობას სხვადასხვა დაწესებულებაში არსებული მდგომარეობის შესწავლის შედეგად კითხვარის საშუალებით დააფიქსირონ რეალური სურათი.

#### **კვლევის დიზაინი;**

**კვლევის მიზანს** წარმოადგენს **გარე შემფასებლების მიერ** განათლების ხელმისაწვდომობის და სსსმ და შშმ პირთა სასწავლო პროცესში ჩართულობის შესაძლებლობების შესწავლა საქართველოს უმაღლესი განათლების საფეხურზე. ამ მიზნიდან გამომდინარე, **კვლევის ამოცანებს** წარმოადგენს კვლევის კითხვარის შემუშავება, კვლევის მეთოდოლოგიის და კვლევაში მონაწილე პირთა წრის განსაზღვრა, რეკომენდაციების შემუშავება.

#### **კვლევის მეთოდოლოგია;**

I ეტაპზე შემუშავდა საკვლევი ჰიპოთეზა: უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში არ არსებობს განათლების ხელმისაწვდომობა და არ არის უზრუნველყოფილი სსსმ ან შშმ პირთა თანამონაწილეობა სასწავლო პროცესში. კვლევის მიზნად განისაზღვრა განათლების ხელმისაწვდომობის და სასწავლო პროცესში სსსმ და შშმ პირთა ჩართულობის უზრუნველყოფის საკითხის შესწავლა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში გარე შემფასებლების მიერ. კვლევის ინსტრუმენტად შემუშავდა სტრუქტურირებული ინტერვიუ, რომლის საფუძველზეც მოხდა მონაცემების მოპოვება (ელექტრონული კითხვარი - google form);

II ეტაპზე, საკვლევი ინსტრუმენტის აპრობირების მიზნით, საპილოტე კვლევის ფარგლებში ჩატარდა ორი კოგნიტური ინტერვიუ. კოგნიტური ინტერვიუები ჩატარდა როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების, ასევე ისეთი ტიპის ორგანიზაციასთან, რომელსაც არ აქვს აქტიური შეხება უმაღლეს განათლებასთან. აღნიშნული მიდგომის გამოყენებამ, საშუალება მოგვცა საფუძვლიანად შეგვემოწმებინა კითხვარში არსებული მიმართულებები, კითხვები, ლოგიკური გადასვლები და ინსტრუქციები. შერჩევის მიზანს წარმოადგენდა ისეთი ადამიანების შერჩევა და მათთან აღნიშნული კითხვარების გამოყენება, რომლებიც სხვადასხვა დაწესებულებასთან არიან შემხებლობაში და შესაძლებელია მათგან მიღებული ინფორმაციის განზოგადება მთლიან სამიზნე ჯგუფზე. ექსპერტთა კორპუსში არიან საგანმანათლებლო დაწესებულებების მხოლოდ ავტორიზაციის ექსპერტები, ასევე აკრედიტაციის ექსპერტები, თუმცა არსებობენ ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტები, რომლებიც დაწესებულებებს იცნობენ ინსტიტუციურ დონეზე და პროგრამების შინაარსის, პერსონალის და სწავლის შედეგების მიღწევის დონეზე. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, წინასწარ მოხდა ექსპერტთა ჯგუფის წარმომადგენლების ინფორმირება კვლევის ჰიპოთეზასთან დაკავშირებით და შეთავაზება, ნების არსებობის შემთხვევაში, არსებული გამოცდილების საფუძველზე მიეღოთ მონაწილეობა კვლევაში და დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრებები.

შემდეგ ეტაპზე მოხდა ჯერ კვლევის კითხვარების გაგზავნა და მიღებული ინფორმაციის სტატისტიკურად დამუშავება, შემდეგ კი ანალიზი. წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს ჩატარებული კვლევის ანგარიშს. ინფორმაციის შეგროვებისას გამოიკვეთა რესპონდენტების განწყობაც, რაც ვლინდება პასუხში - არ გამიმახვილებია ყურადღება.

#### **შერჩევის დიზაინი**

კითხვარში შეკითხვების შედგენის ძირითადი პრინციპები იყო რესპონდენტების ცოდნისა და დამოკიდებულებების შესაბამისობა საკვლევი საკითხთან, კერძოდ, რამდენად იცნობენ ექსპერტები საგანმანათლებლო ინსტიტუციებს და იქ მიმდინარე სასწავლო პროცესს (პროგრამა, ადმინისტრაციასთან, მასწავლებლებთან, სტუდენტებთან ინტერვიუება, სწავლების მეთოდები, ლიტერატურა, მხარდაჭერის მექანიზმები და სხვა). ჩვენი კვლევის განხორციელება **გენერალური ერთობლიობიდან** - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტების შემადგენლობიდან **შერჩევითი ერთობლიობის** საშუალებით განხორციელდა. შერჩევით ერთობლიობას წარმოადგენენ ექსპერტები, რომლებიც ერთდროულად ავტორიზაციის და აკრედიტაციის ექსპერტებს წარმოადგენენ. ჩვენ დავუკავშირდით და მივაწოდეთ ინფორმაცია კვლევის შესახებ ექსპერტთა დიდ ჯგუფს, მაგრამ რეალურად კვლევაში მონაწილეთა და **გამოკითხულთა ერთობლიობა** განისაზღვრა 22 ექსპერტით. კვლევის ანონიმურობას უზრუნველყოფს ელექტრონული გამოკითხვის ფორმატი, რაც ექსპერტებს საკუთარი დამოკიდებულების თავისუფლად დაფიქსირების შესაძლებლობას აძლევს. ჩვენ მიერ განხორციელებული რაოდენობრივი კვლევისთვის ექსპერტთა შერჩევა რეპრეზენტატულია, რადგან შერჩევითი ერთობლიობის პარამეტრები ზუსტად ასახავს გენერალურ ერთობლიობას და, მიუხედავად იმისა, რომ კვლევაში ჩაერთო შედარებით მცირე ჯგუფი, შედეგები მთელ გენერალურ ერთობლიობაზე შეიძლება განზოგადდეს. ჩატარებული გამოკითხვის შედეგები გაანალიზდა და კონკრეტული კვლევის ფორმატში ჩატარდა უნივარსიციული ანალიზი, რაც გულისხმობს ერთი ცვლადის შემთხვევათა განაწილების შესწავლას. უნივარსიციული მონაცემების პრეზენტაციის ყველაზე გავრცელებული ფორმატია სიხშირეთა განაწილება.

### კვლევის ინსტრუმენტი:

კვლევის მიზნების შესაბამისად შემუშავდა რაოდენობრივი კვლევის ინსტრუმენტი. კითხვარი შედგებოდა რამდენიმე კითხვისგან, რომლებიც აკუმულირებულია ხუთ თემატურ მიმართულებაში:

1. სტუდენტთა და პოტენციურ სტუდენტთა საჭიროებების კვლევა უნივერსიტეტების მიერ;
2. უნივერსიტეტის ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის დამოკიდებულებები სსსმ და შშმ სტუდენტთა მიმართ;
3. ინფრასტრუქტურული მხარდაჭერისა და რესურსებით უზრუნველყოფის საუნივერსიტეტო პოლიტიკა;
4. ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და ჩართულობის უზრუნველყოფა;
5. კურიკულუმის უნივერსალური დიზაინი.


### კვლევის შედეგები

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების თანაბარი ხელმისაწვდომობისა და სასწავლო პროცესში სსსმ და შშმ პირთა ჩართულობასთან დაკავშირებული პრაქტიკის შესწავლის შედეგად, კვლევაში ჩართული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციისა და ავტორიზაციის ექსპერტთა უშუალო მონაწილეობით და წინასწარ განსაზღვრული ინსტრუმენტის საშუალებით გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

#### 1. სტუდენტთა და პოტენციურ სტუდენტთა საჭიროებების კვლევა უნივერსიტეტების მიერ;

**გრაფიკი 1.** უნივერსიტეტებში სტუდენტთა და პოტენციურ სტუდენტთა საჭიროებების კვლევასთან დაკავშირებით გამოკითხულთა 55% ფიქრობს, რომ სტუდენტთა საჭიროებების კვლევა არ ხდება; 33% ფიქრობს, რომ სტუდენტთა საჭიროებების კვლევა ხდება კითხვარებით; 11% არ გამომხვილებია ყურადღება; ხოლო პოტენციურ სტუდენტთა საჭიროებების კვლევასთან დაკავშირებით მოსაზრება არ გამოთქმულა.


1. ხდება თუ არა პოტენციურ სტუდენტთა და სტუდენტთა საჭიროებების კვლევა უნივერსიტეტების მიერ?



**გრაფიკი 2.** საუნივერსიტეტო საქმიანობაში სტუდენტთა საჭიროებების კვლევის შედეგების შემდგომი გამოყენების შესახებ გამოკითხულთა 33% ფიქრობს, რომ კვლევის კითხვარები არ მოიცავს შემდგომი საქმიანობის დაგეგმვისთვის შესაბამის აქტივობებს; 33% ფიქრობს, რომ კვლევის შედეგები გამოიყენება შემდგომი საქმიანობის დაგეგმვისთვის შესაბამის აქტივობებში; 22% ფიქრობს, რომ სტუდენტთა საჭიროებების კვლევის შედეგები ანალიზი არ ხდება; 11% ფიქრობს, რომ კვლევის შედეგები არსებობს, მაგრამ ისინი არ გამოიყენება შემდგომი საქმიანობის დაგეგმვისთვის;



2. რა ფორმით ახდენენ უნივერსიტეტები სტუდენტთა საჭიროებების კვლევის შედეგების საუნივერსიტეტო საქმიანობაში ასახვას?



**გრაფიკი 15.** უნივერსიტეტების სტრატეგიული განვითარების გეგმებში სსსმ და შშმ პირთა სასწავლო პროცესში ადაპტირებასთან დაკავშირებით რაიმე გეგმების შესახებ გამოკითხულთა 55 % ფიქრობს, რომ ასეთი მიმართულებები სტრატეგიულ გეგმებში არ არსებობს, 22% ფიქრობს, რომ არსებობს ასეთი ჩანაწერი სტრატეგიულ გეგმებში, მაგრამ ფორმალურად, 22% არ მიუქცევია ყურადღება სტრატეგიულ გეგმებში ასეთი ჩანაწერისთვის, ხოლო ინფორმაციას სტრატეგიულ გეგმებში მიზნებისა და საქმიანობების დონეზე გაწერილი, წლების და შემსრულებელი პირების მითითებით დაფიქსირებულ ინფორმაციას საუნივერსიტეტო სტრატეგიული გეგმების ფორმატში არცერთი გამოკითხული არ ადასტურებს.


15. არსებობს თუ არა უნივერსიტეტის სტრატეგიულ გეგმაში სსსმ და შშმ პირთა ადაპტირებისთვის რაიმე მიზნები და საქმიანობები?



2. უნივერსიტეტის ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის დამოკიდებულებები სსსმ და შშმ სტუდენტთა მიმართ;

**გრაფიკი 3.** სტუდენტთა საჭიროებების კვლევის შედეგების რეალურად გამოყენებასთან და გათვალისწინებასთან დაკავშირებით გამოკითხულთა 55 % ფიქრობს, რომ სტუდენტთა საჭიროებების კვლევა ფორმალურ ხასიათს ატარებს; 33% თვლის, რომ უსდ ითვალისწინებს საქმიანობაში სტუდენტთა კითხვარების ანალიზს; 11% თვლის, რომ გამოკითხვის შედეგების ანალიზი არ ხდება; ყურადღება არ გაუმახვილებია ამ საკითხზე 0%

3. სტუდენტთა საჭიროებების კვლევას ფორმალური ხასიათი აქვს თუ პრაქტიკულად აისახება კვლევის შედეგები საუნივერსიტეტო საქმიანობაში?




**გრაფიკი 4.** საუნივერსიტეტო საზოგადოების სსსმ და შშმ პირთათვის შესაბამისი სასწავლო გარემოს უზრუნველყოფასთან და დამოკიდებულებებთან დაკავშირებით გამოკითხულთა 55,5% თვლის, რომ სსსმ და შშმ პირთათვის სასწავლო გარემოს უზრუნველყოფა პანდუსით და სველი წერტილებით განისაზღვრება, 44,4% თვლის, რომ არ ჰყავთ და არც ჰყოლიათ სსსმ ან შშმ სტუდენტი;

4. რა დამოკიდებულება იკვეთება საუნივერსიტეტო საზოგადოებაში სსსმ ან და შშმ პირების მიმართ და რა ინფორმაცია გააჩნიათ უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს სსსმ და შშმ პირთა განათლების ხელშეწყობის სასწავლო გარემოსთან დაკავშირებით?



**გრაფიკი 5.** უნივერსიტეტების თანამშრომელთა ინფორმირებულობა სსსმ და შშმ პირთა განათლების საკითხებთან დაკავშირებით გამოკითხულთა 44,5% აზრით სსსმ და შშმ პირთათვის უნდა შედგეს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, მაგრამ არ იცის, როგორ და ვის მიერ; 22,2 % თვლის, რომ არ იცის, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის თავისებურებანი, 33,3 % არ იციან, რა განსხვავებაა სსსმ და შშმ პირებს შორის;


5. რა ცოდნას ფლობენ უნივერსიტეტის თანამშრომლები სსსმ ან შშმ პირების განათლებასთან მიმართებაში?



**გრაფიკი 12.** აქვთ თუ არა პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პირებს რესურსცენტრში ტრენინგის გავლის გამოცდილება და შესაბამისი კომპეტენცია, გამოკითხულთა 33,3 % ფიქრობს, რომ არ


არსებობს უნივერსიტეტებში ამის შესაძლებლობა, ამდენივე ვერ ამახვილებს ამ საკითხზე ყურადღებას, 22.2. % ფიქრობს, რომ ამის საჭიროებას ვერ ხედავენ პროგრამის განმახორციელებლები, ხოლო 11.1 % მიიჩნევს, რომ უნივერსიტეტებს აქვთ პროფესიული განვითარების ცენტრებში სპეციალური კურსების გავლის შესაძლებლობა.

**12. აქვთ თუ არა პროგრამის განმახორციელებლებს სპეციალურ რესურს-ცენტრებში ტრენინგის გავლის, პრაქტიკული კომპეტენციების გამოიშვავების შესაძლებლობა უნივერსიტეტებში?**



**გრაფიკი 14.** გამოწვევებთან დაკავშირებით, რომლებსაც აწყდებიან უნივერსიტეტის წარმომადგენლები სსსმ ან შშმ პირების მიმართ, 11.1.% აზრით, არის შესტური ენის არცოდნა, ამდენივე ფიქრობს, რომ ყურადღება არ გაუმახვილებია ამ საკითხზე, ხოლო 77.8 % მთავარ გამოწვევად ასახელებს სსსმ და შშმ პირებთან კომუნიკაციის არქონას.


**14. რა გამოწვევებს ასახელებენ უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლები სსსმ ან შშმ სტუდენტებთან ურთიერთობის შემთხვევაში?**



**3. ინფრასტრუქტურული მხარდაჭერისა და რესურსებით უზრუნველყოფის საუნივერსიტეტო პოლიტიკა;**


**გრაფიკი 8.** უნივერსიტეტებში სსსმ და შშმ პირთა განათლების მიღებასთან დაკავშირებული მხარდაჭერის მექანიზმების შესახებ 66.7 % ფიქრობს, რომ ეს მექანიზმები თუ არსებობს, ფორმალური ხასიათისაა; 16.7 % ფიქრობს, რომ მხოლოდ სამართლებრივ აქტებში არის მხარდაჭერის მექანიზმები ასახული, ხოლო ამდენივეს არ გაუმახვილებია ყურადღება;

8. არსებობს თუ არა რაიმე ტიპის მხარდამჭერი( სამართლებრივი აქტები, სპეც.პერსონები, სოც.მუშაკები, ოკუპაციური თერაპევტები და სხვა) მექანიზმები, რომელიც ხელს უწყობს უნივერსიტეტში სსსმ ან შშმ სტუდენტთა განათლების მიღებას?




**გრაფიკი 11.** აკადემიური პერსონალის, მასწავლებლების კომპეტენციებთან დაკავშირებით, 44.4 % ფიქრობს, რომ აქვს მხოლოდ ინტუიტიური მიდგომა, 22,2 % ფიქრობს, რომ არანაირი კომპეტენცია არ აქვთ და ამდენივეს არ გამომავლილება ამ საკითხზე ყურადღება;

11.რა სპეციალური კომპეტენციები გააჩნიათ იმ მასწავლებლებს/აკადემიურ პერსონალს, რომელიც ასეთის არსებობის შემხვევაში, ცვლის სასწავლო გეგმას?



**გრაფიკი 13.** უნივერსიტეტებში ინკლუზიური გარემოს ძირითად მახასიათებლად გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობის მიერ სახელდება პანდუსი და სველი წერტილები და არავინ ასახელებს აუდიო-ვიზუალურ სასწავლო მასალას, ლიტერატურას, ბრაილის შრიფტს, სპეცმოწყობილობებს, კომპიუტერულ ტექნიკას და რესურსს-ცენტრებს.

13. ჩამოთვალეთ სსსმ და შშმ სტუდენტთათვის ინკლუზიური გარემოს მხარდამჭერი ინფრასტრუქტურული მახასიათებლები, რომლებიც არსებობს რეალურად უნივერსიტეტებში;




**4. ინფორმაციის ხელმისაწვდომობის და ჩართულობის უზრუნველყოფა;**

**გრაფიკი 18.** ნორმატიული ბაზა, რეგულაციები, რომელსაც იყენებენ უნივერსიტეტები სსსმ და შშმ სტუდენტებთან ურთიერთობისთვის, გამოკითხულთა 44.4. % აფიქსირებს, რომ ასეთი რეგულაციები არ არსებობს, 22,2 % ფიქრობს, რომ არსებული რეგულაციები აკმაყოფილებს სტანდარტულ მოთხოვნებს და არ მოიცავს სსმ და შშმ პირთა საჭიროებებს, ამდენივე ფიქრობს, რომ სტუდენტის გზამკვლევაში არ


არსებობს სსსმ და შშმ პირებზე ორიენტირებული რეგულაციები, ხოლო 11.1 % არ გაუმახვილებია ყურადღება.

18. არსებობს თუ არა უნივერსიტეტებში რაიმე სამართლებრივი რეგულაცია, გზამკვლევი, დებულება, რომელიც საერთო, მისაღები და საინფორმაციო ხასიათისაა საუნივერსიტეტო საზოგადოებისთვის და რომელსაც იყენებენ ისინი სსსმ და შშმ სტუდენტებთან ურთიერთობაში;



გრაფიკი 19. სსსმ და შშმ პირთა ინფორმირების გზების და ინტერესის მიღების შესაძლებლობასთან დაკავშირებით გამოკითხულთა 55.6 % თვლის, რომ ვებგვერდი ნაწილობრივ იძლევა ინფორმაციის მიღების შესაძლებლობას, 33.3. % ფიქრობს, რომ ვებგვერდი არ იძლევა სსსმ და შშმ პირთათვის ინფორმაციას;

19. არსებობს თუ არა უნივერსიტეტების ვებგვერდის საშუალებით სხვადასხვა ტიპის შესაძლებლობების მქონე პირთათვის ინფორმაციის მიღების და ინტერესის დაკმაყოფილების შესაძლებლობა?



5. კურიკულუმის უნივერსალური დიზაინი


გრაფიკი 6. საუნივერსიტეტო კურიკულუმის უნივერსალური დიზაინის გათვალისწინებით, არსებობს თუ არა სასწავლო გეგმის მოდიფიცირების ან აკომოდაციის პროცესისადმი რეალისტური მიდგომები, გამოკითხულთა 44.4. % აღნიშნავს, რომ აქვს სასწავლო გეგმის ცვლილებასთან დაკავშირებით ინფორმაცია, მაგრამ არ იცის განხორციელების შესაძლებლობა, 11.1 % არ გაუმახვილებია ყურადღება და ამდენივე ფიქრობს, რომ მზაობა საამისოდ არ აქვს, 33.3 % აღიარებს, რომ არანაირი ინფორმაცია არ გააჩნია;

6. არსებობს თუ არა უნივერსიტეტში სასწავლო გეგმების მოდიფიცირების ან აკომოდაციის პროცესისადმი რეალისტური მიდგომები?




**გრაფიკი 7.** სსსმ და შშმ სტუდენტთათვის სასწავლო გეგმის მიხედვით ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაზე პასუხისმგებელი პირების შესახებ 44.4 % თვლის, რომ არ აქვთ ამასთან დაკავშირებით ინფორმაცია, 22.2 % ფიქრობს, რომ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას უნდა ადგენდეს სასწავლო კურსის ლექტორი და ამდენივე ფიქრობს, რომ ამას უნდა უძღვეოდეს სპეციალური პირი, რომელმაც იცის სასწავლო გეგმის მოდიფიცირება, 11.1. % არ გაუმახვილებია ყურადღება ამ საკითხზე;

**7. ვინ არის პასუხისმგებელი სსსმ ან შშმ სტუდენტისთვის სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაზე?**




**გრაფიკი 9.** სასწავლო პროგრამებში სპეციალური მიდგომებისა და სტრატეგიების არსებობასთან დაკავშირებით გამოკითხულთა 44.4 % ფიქრობს, რომ პროგრამის შედგენისას გათვალისწინებულია სსსმ და შშმ პირთა ჩართულობა, მაგრამ როგორ, არ იციან, ხოლო 55.6 % აფიქსირებს, რომ პროგრამა რეალურად არ ითვალისწინებს სსსმ და შშმ სტუდენტთა განათლების სტრატეგიებს;

**9.1. მოიცავს თუ არა სასწავლო პროგრამები სპეციალურ მიდგომებს / სტრატეგიებს სსსმ ან შშმ სტუდენტთა განათლებისთვის?**




**გრაფიკი 10.** სსსმ და შშმ სტუდენტთა ჩართულობის მიზნით სასწავლო გეგმის მოდიფიცირების ვალდებულების მქონე პირის იდენტიფიცირებასთან დაკავშირებით 44.4 % ფიქრობს, რომ პროგრამის მოდიფიცირება იგეგმება პროგრამის ხელმძღვანელის მიერ და ხორციელდება სასწავლო კურსის განმახორციელებლის მიერ, 33.3 % ფიქრობს, რომ ოფიციალური ვალდებულება პროგრამის მოდიფიცირებასთან დაკავშირებით არ არსებობს, ხოლო 22.2 % ფიქრობს, რომ არ ხდება სსსმ და შშმ პირთათვის პროგრამის მოდიფიცირება;

10. ვის მიერ იგეგმება და ხორციელდება სსსმ ან შშმ პირთა პროგრამების მოდიფიცირება და ამ პროცესის განხორციელება?



**გრაფიკი 17.** აკადემიური პერსონალის მიერ სსსმ და შშმ სტუდენტთა შეფასებასთან დაკავშირებული ტექნიკური დახმარების მიღებასთან დაკავშირებით გამოკითხულთა 44.4 % მიიჩნევს, რომ ტექნიკური დახმარებისთვის უნივერსიტეტში არ არის ადგილი, 22.2 % არ გამომხატავილება ამ საკითხზე ყურადღება და ამდენივე ფიქრობს, რომ საერთოდ არ ჰქონია ასეთ ფაქტს ადგილი და არ აქვთ გამოცდილება, 11.1 % კი ფიქრობს, რომ არსებობს ასეთი რესურსცენტრები;

17.სად, ვისგან ღებულებენ ტექნიკურ დახმარებას სასწავლო გეგმის ადაპტირების შემთხვევაში, განსხვავებული საჭიროებებისმქონე სტუდენტთა შეფასებისას აკადემიური წრეების წარმომადგენლები?



კვლევის ჩატარების პერიოდში, ექსპერტების მიერ დაფიქსირდა, რომ უსდ-ებს პრაქტიკულად არ ჰყავთ სსსმ ან შშმ სტუდენტები. უსდ-ები, რომლებსაც საგანმანათლებლო საქმიანობის უფლება აქვთ მოპოვებული და აკმაყოფილებენ ავტორიზაციის სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნას სსსმ და შშმ პირთათვის ადაპტირებულ გარემოსთან დაკავშირებით, შემოიფარგლებიან პანდუსისა და ადაპტირებული სველი წერტილების არსებობით. კითხვარის შემუშავებისას გამოკვეთილი მიმართულებების მიხედვით შესაძლებელია დასკვნების გაკეთება საბოლოო რეკომენდაციების შესამუშავებლად:

1. სტუდენტთა და პოტენციურ სტუდენტთა საჭიროებების კვლევა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში შეიძლება ითქვას, რომ არ ხორციელდება, ან ფორმალური ხასიათი აქვს;

**რეკომენდაცია:** უნდა დაინერგოს სტუდენტთა და პოტენციურ სტუდენტთა საჭიროებების კვლევის პრაქტიკა საუნივერსიტეტო საზოგადოებაში. დაწესებულებებმა უნდა შეისწავლონ საჭიროებები და გაითვალისწინონ ისინი;

2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები განვითარების გრძელვადიან სტრატეგიაში არ მოიაზრებენ სსსმ და შშმ სტუდენტთა მხარდაჭერასთან დაკავშირებულ მიზნებს და საქმიანობებს, შიდა რეგულაციებს, ასევე, ინფრასტრუქტურულ პროექტებს სსსმ და შშმ პირებზე მორგებული სასწავლო პროცესის უზრუნველყოფისთვის;

**რეკომენდაცია:** უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ უნდა მოხდეს მისიის შესაბამისი და სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვა და განხორციელება, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს დაწესებულების გრძელვადიან სტრატეგიული დოკუმენტის გადახედვას და სტუდენტთა საჭიროებებზე, მათ შორის სსსმ და შშმ სტუდენტზე მორგებული გრძელვადიანი მიზნებისა და საქმიანობების განსაზღვრას;

3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ადმინისტრაციისა და აკადემიური პერსონალის ინფორმირებულობა და მზაობა, სსსმ და შშმ პირთა სასწავლო პროცესში ჩართვისა და განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდის თვალსაზრისით, საკმაოდ დაბალია;

**რეკომენდაცია:** საგანმანათლებლო დაწესებულებების ადმინისტრაციის და აკადემიური პერსონალის კომპეტენციის გაუმჯობესება, მათ მიერ სსსმ და შშმ სტუდენტთა მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, შესაძლებელია ინფორმირებულობის გაზრდით ან და ტრენინგის საშუალებით;

4. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ პანდუსისა და სველი წერტილების ადაპტირება ითვლება სასწავლო გარემოს უზრუნველყოფად სსსმ და შშმ პირთათვის;

**რეკომენდაცია:** უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ სსსმ და შშმ სტუდენტთა მხარდაჭერა გულისხმობს დამატებით ინფრასტრუქტურულ ინოვაციებს, რესურს ოთახის, დამატებითი საგანმანათლებლო ტექნოლოგიების, ელექტრონული და წიგნადი რესურსის გაუმჯობესებას;

5. საგანმანათლებლო მიზნებიდან და განათლების ხელმისაწვდომობიდან გამომდინარე, კურიკულუმის შინაარსი, სწავლების მეთოდები, შეფასების სისტემა, რესურსები, სასწავლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები არ ითვალისწინებს სსსმ და შშმ პირთა ჩართულობის შესაძლებლობებს;

**რეკომენდაცია:** განათლების ხელმისაწვდომობის, სსსმ და შშმ სტუდენტთა სასწავლო პროცესში აქტიურად ჩართულობის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია უნივერსალური დიზაინის კურიკულუმის შემუშავება, რაც ითვალისწინებს სხვადასხვა საჭიროების მქონე პირთა აქტიურად ჩართვას სასწავლო პროცესში.

#### **ლიტერატურა:**

1. განსხვავებული საჭიროებების მქონე პირთა განათლება - ბერიტ ჰ. იანსენისა და მ.დ. შერტენის საერთო რედაქცია - 2007;
2. განათლების ფსიქოლოგია - ანიტა ვულფოლკი, 2009;
3. გოგსაძე, გ., კაჭკაჭიშვილი, ი., ბაშალიეშვილი, ლ. (2014). უმცირესობების ინტეგრაცია საქართველოში: ძირითადი გამოწვევები და შესაძლებლობები.  
[http://www.mikeladzefoundation.org/publications/geo/Minority\\_Integration\\_in\\_Georgia\\_\\_\\_\\_\\_Levan\\_Mikeladze\\_\\_Foundation.pdf](http://www.mikeladzefoundation.org/publications/geo/Minority_Integration_in_Georgia_____Levan_Mikeladze__Foundation.pdf);
4. თარხნიშვილი, ლ. (2013). ღირებულებები: კონცეფცია, კვლევა და ალტერნატიული მიდგომა. სადოქტორო დისერტაცია. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.  
<http://iliauni.edu.ge/uploads/other/1/1468.pdf> ;
5. Violence Against Children in Georgia (National Survey of Knowledge, Attitude and Practices), UNICEF, 2013  
[http://www.unicef.org/ceecis/Unicef\\_VAC\\_ENG\\_final.pdf](http://www.unicef.org/ceecis/Unicef_VAC_ENG_final.pdf)

*Ekaterine Gigashvili*

*Gori State Teaching University*

## **RESEARCH OF THE PROBLEM OF AVAILABILITY TO EDUCATION AND PARTICIPATION IN EDUCATION PROCESS AT HIGHER EDUCATION RESUME**

The level of achievement of the availability and participation to education is lower for potential students and students with different possibilities at higher education . To reach the availability to the physical space of higher education means to reduce the barriers and availability to all learning resources. Participation and activity is the prerequisite for higher academic achievements and future successful life for the CPM and IDPs. Receiving relevant education for life and academic achievements at the Higher education can be reached by studying the current situation, infrastructural innovations, retraining academic and administrative staff and curriculum with universal design.



### **ემოციები სკოლამდელ ასაკში**

ემოცია არის ადამიანის ფსიქიკური მდგომარეობა გარე სინამდვილესა და თავისი თავისადმი ინდივიდის დამოკიდებულების განცდა. ემოცია გამოიყენება რთული გრძნობების გამოსახატავად. ეს არის პიროვნების შინაგანი მდგომარეობა და მიმართულია გარკვეული საგნისაკენ.

ემოციები მთავარ როლს ასრულებს ადამიანის ყველა წამოწყებაში, მათ შორის კოგნიტურ დამუშავებაში, სოციალურ ქცევასა და ფიზიკურ ჯანმრთელობაში. ემოციები დიდ როლს ასრულებს თვითანალიზშიც, რომელიც თავის მხრივ თვითშეფასების ახალ ემოციებს წარმოშობს.

ემოცია იყოფა დადებით და უარყოფით სახეებად და თითოეულს აქვს თავისი დამახასიათებელი გარეგნული გამოხატულება, მიმიკა, ქესტიკულაცია, მოქმედება და ახასიათებს შინაგანი ფიზიოლოგიური ცვლილებები.

დაბადებიდან ყოველი ცოცხალი არსება გამოხატავს ემოციას. ემოციას კი გააჩნია ობიექტი. სიხარული, სიყვარული, შიში, რისხვა - ეს ემოციებია. ემოცია შინაგანი მდგომარეობაა, რომელიც ჩვენს დამოკიდებულებას ასახავს. ემოციის აღწერას თან სდევს სხეულებრივი გამოვლენა.

ზოგადად ბავშვები ემოციურები არიან. ისინი შეუნიღბავად გამოხატავენ საკუთარ ემოციებს. ასევე მათ უნდა შეძლონ საკუთარი და სხვების ემოციების გაგება და გრძნობების გამომხატველი სიტყვების გამოყენება, მდიდარი ლექსიკა წარმატების საწინდარია.

ხშირად ბავშვი ისეთ სირთულეებს ხვდება, რომლებიც სკოლამდელ ასაკში არსებობს. მაგალითად როდესაც ვერ ახერხებს გამოხატოს თავისი გრძნობები მოქმედებით.

ბავშვები სხვადასხვაგვარად ახერხებენ ემოციების გამოხატვას. დახმარებასა და მზრუნველობაზე დაფუძნებული ურთიერთობა აუცილებელია, რომ ბავშვებმა შეძლონ საკუთარი და სხვების სოციალური მინიშნების ეფექტურად წაკითხვა. ისეთი ემოციები როგორცაა იმედგაცრუება, მოწყენილობა, გაბრაზება, ბედნიერება - ესაა გრძნობების გამომხატველი სიტყვები და ეს სიტყვები უნდა იყოს გამოყენებული ემოციების მართვის სხვა ფორმების მსგავსად.

ბავშვებს, სწორად რომ აღიქვან საკუთარი და სხვისი გრძნობები, უნდა ჰქონდეთ ლექსიკური მარაგი ამ გრძნობების გამოხატვისა. ზოგჯერ ბავშვები ვერ ახერხებენ გრძნობების დიფერენციაციას იმიტომ, რომ არ იციან შესაბამისი სიტყვები მათ გამოსახატავად და არ შეუძლიათ ემოციების აღქმა. მასწავლებლებმა და მშობლებმა ხელი უნდა შეუწყონ ემოციების გამომხატველი ლექსიკონის ჩამოყალიბებას გრძნობების გამომხატველ სიტყვებსა და ემოციებს შორის განსხვავების სწავლებით, სპეციალური სავარჯიშოებით. თამაშისა და საუბრის დროს ამის მიღწევა შესაძლებელი ხდება.

იმ მშობლების ბავშვებს, რომლებიც შვილებთან თბილ ურთიერთობას ამყარებენ, აცნობიერებენ ემოციურ რეაქციებს და ბავშვებს ემოციასთან დაკავშირებულ ინფორმაციებს აწვდიან, ემოციის გაგების (აღქმის) უკეთესი შესაძლებლობები აქვთ. თანატოლებთან ინტერაქცია ემოციის სწავლის შესანიშნავი საშუალებაა.

რუბინი, კოპლანი და სხვ. აღიარებენ ემოციური გამოვლინებების ფუნქციონალურ მნიშვნელობას ინფორმაციის გადაცემაზე სოციალური ურთიერთობის პროცესში. მაგ., რისხვა შეიძლება გამოვლინდეს უარყოფით სიტუაციაში, დაძაბულობა - როგორც რეაქცია ახალ სიტუაციაზე.

ბავშვები, რომლებსაც არ შეუძლიათ საკუთარი ემოციების რეგულირება, შესაძლოა თანატოლთა ჯგუფში იზოლაციაში აღმოჩნდნენ. თავიდანვე მათი იზოლაციაში ყოფნა კი ხელს უშლის თანატოლებთან ურთიერთობის გამოცდილების მიღებაში და ავლენს მათ, როგორც სოციალურად არაკომპეტენტურებს. სოციალური არაკომპეტენტურობა და უარყოფითი დამოკიდებულება თანატოლთა მხრიდან შესაძლოა მათში დაბალი თვითშეფასების მიზეზი გახდეს.

ბავშვი, რომელსაც უჭირს რისხვის რეგულირება და ავლენს აგრესიას თანატოლების მიმართ, უარყოფილია ჯგუფის მიერ.

სკოლამდელი ასაკის ბავშვებს შეუძლიათ გამოხატონ გრძნობები ნახატებზე. საბავშვო წიგნები, რომლებშიც ემოციების გამომხატველი სახეებია, სწავლების საუკეთესო საშუალებაა.

საბავშვო ბაღებში მასწავლებლებს შეუძლიათ ჩაატარონ გრძნობების გამომხატველი თამაშები. მაგალითად, სხვადასხვა ემოციის გამოსახულებიანი სურათების ჩვენება და სთხოვოს ბავშვებს აღწერონ სურათი. ასეთი თამაშით ბავშვები იხსენებენ იმას, თუ როდის იყვნენ თვითონ ასეთ განწყობაზე. მასწავლებელი უნდა ცდილობდეს ასწავლოს ბავშვებს საკუთარი გრძნობების განსაზღვრა, საკუთარი

გრძნობების სხვებისთვის გაზიარება, აღმოაჩინონ სხვა ადამიანის განწყობილება მათ სახეზე დაკვირვებით, ადამიანის განწყობა მისი ხმის ტონის მოსმენით, იმედგაცრუება. ბავშვები სწავლობენ, რა შეუძლია იგრძნოს ადამიანმა რომელიმე კონკრეტულ სიტუაციაში. როდესაც ვაცნობთ ლიტერატურულ გმირს, ვუკითხავთ მოთხრობას, ბავშვები განიხილავენ ხასიათისა და გრძნობების მდგომარეობას, ეს ეხმარებათ გამოიცნონ რას გრძნობდა ესა თუ ის პერსონაჟი მოცემულ სიტუაციაში. ასევე როლური თამაშის გამოყენებით ვასწავლოთ პოზიტიური ემოციების მართვაც. საბავშვო ბაღის მასწავლებელი ვალდებულია დაეხმაროს ბავშვებს სოციალური და ემოციური სტაბილურობის მიღწევაში, ემოციების განვითარებასა და სრულყოფაში, ამისთვის კი საჭიროა ჯგუფის ოთახში სხვადასხვა ემოციის გამომხატველი სურათების განთავსება, დაგეგმონ აქტივობები ისე, რომ ბავშვებმა ისწავლონ საკუთარი გრძნობების გამოხატვა. განამტკიცონ ემოციების გამომხატველი სიტყვების გამოყენების დრო. ყოველდღიურად გამოიყენონ ემოციების გამომხატველი სიტყვები, მასწავლებლები კი აკვირდებოდნენ, თუ რას გრძნობენ ბავშვები. აღმზრდელები ასევე უნდა ეხმარებოდნენ ბავშვებს სიბრაზისა და წყენის გაკონტროლება-დამლევაში. როდესაც ბავშვი გამოხატავს იმედგაცრუებას, მასწავლებელმა მას უნდა აუხსნას, რისი გაკეთება შეუძლია, როცა თავს ასე გრძნობს.

იმ ბავშვებს, რომლებმაც ვერ შეძლეს საკუთარ თავთან კონფლიქტისა თუ აგრესიის გაკონტროლება, უჭირთ თანატოლებთან პრობლემის დამლევა და უკვე სკოლაში ვერ ახერხებენ ემოციების რეგულირებას. ამ დროს მასწავლებელს შეუძლია ითამაშოს დიდი როლი ბავშვების სიბრაზისა, იმპულსების გაკონტროლებისა და წყენის დამლევაში სწავლების პროცესში. მათ უნდა აუხსნან ბავშვებს თუ რას გრძნობენ თვითონ, როცა ვინმე აწყენინებთ, ბრაზდებიან, აუხსნან, რომ ეს არ არის გამოსავალი, ამიტომ უნდა დაიწყონ რაიმე კარგზე ფიქრი, როგორ შეინარჩუნონ სიმშვიდე, ასწავლონ როგორ მართონ ბავშვებმა იმპულსურობა, სიბრაზე და იმედგაცრუება. შეაქონ და წახალისონ ბავშვები, როცა ისინი ახერხებენ სიმშვიდე შეინარჩუნონ.

აღმზრდელმა უნდა უზრუნველყოს მშობლების ჩართულობა, რომ მშობლებს შეეძლოთ შვილების თვითკონტროლის განვითარება, შესთავაზოს გზები და საშუალებები, რომლის მიხედვითაც ოჯახს მიეცემა საშუალება მეტად წახალისონ ბავშვთა მიღწევები.

ემოციის რეგულაცია მიიღწევა აღმზრდელებსა და ბავშვებს შორის ნდობაზე, უსაფრთხოებასა და სითბოზე დამყარებული ურთიერთობებით. ამით ბავშვებს საშუალება ეძლევათ გაუმკლავდნენ ემოციებს, გახდნენ უფრო ყურადღებიანი, დაინტერესებულები და პასუხისმგებელი. სხვადასხვა დამხმარე მიდგომები ბავშვს ნათლად დაანახებს როგორი მნიშვნელობა აქვს ემოციების მართვას, მაგრამ ემოციების მართვის სასწავლებლად საჭიროა დამატებითი სწავლება.

#### **ლიტერატურა:**

1. იმედაძე ნ., ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 4, 1979, გვ. 139.
2. Симонов П.В., Теория отражения и психофизиология эмоций, М., 1970.
3. Дерябин В.С., Чувства, влечения, эмоции, Л., 1974.
4. იმედაძე ნ., სკოლამდელი ასაკის ბავშვის ემოციური განვითარება, ბავშვის ფსიქოლოგია (სკოლამდელი ასაკი), თბ., 1964.

***Mzia Gogiasvili***  
*Gori State Teaching University*  
**EMOTIONS AT PRESCHOOL AGE**  
**RESUME**

Children of preschool age must be able to understand their own and others feelings as well. That's why they should have large vocabulary to express them, because they cannot differentiate feelings when they lack appropriate words and cannot perceive emotions.

A teacher in the nursery school can play games with children that express feelings, teach them to define their feelings, to share their feelings with others, help the children in the development of emotions and their improvement. The teacher should involve parents in the work, and with their help the family will have the opportunity to encourage children's achievements.

## **შფოთვის შემცირების მოდელი მოსმენის სწავლებისას**

### **შესავალი**

შფოთვა განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს ასრულებს მოსმენის სწავლებისას. უცხო ენის სწავლებისას/სწავლისას არსებული შფოთვა უარყოფით ფაქტორადაა მიჩნეული.

შფოთვა უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, რომელიც აბრკოლებს სწავლის პროცესს. შფოთვის მაღალი ხარისხი სწავლების დაბალ შედეგს განაპირობებს, რაც შემსწავლელის დაძაბულობით აიხსნება.

### **შფოთვის შემცირების მოდელი მოსმენის სწავლებისას**

მოსმენის სწავლებისას არსებული შფოთვის მოხსნის ჩვენეული მოდელი შემდეგ აქტივობებთან არის დაკავშირებული:

- თავდაჯერების გრძნობის, სამუშაო მეგობრული ატმოსფეროს, შფოთვის დონის და სტუდენტთა მოტივაციის განსაზღვრებების მოძიება;
- მოსმენის ეფექტური სტრატეგიების შესწავლა;
- სტუდენტების ძლიერი და სუსტი მხარეების მოძიება მოსმენის სავარჯიშოების შესრულებასთან დაკავშირებით შემსწავლელის თავდაჯერების ამაღლების მიზნით;
- სტუდენტების მოტივაციის გაზრდის მიზნით მათთვის საინტერესო თემატიკის მოძიება და მოსმენის სწავლების დროს მისი მოსმენის ტესტებში გამოყენება.

**თავდაჯერების გრძნობის, სამუშაო მეგობრული ატმოსფეროს, შფოთვის დონის და სტუდენტთა მოტივაციის განსაზღვრებების მოძიება** - თავდაჯერებულობის გრძნობის **სალექსიკონო განსაზღვრებაა**: რწმენა საკუთარი შესაძლებლობებისა, რომ გააკეთებ რაიმე საქმეს და იქნები წარმატებული (Crowther, J. (Ed.). (1999). Oxford Advanced Learner's Dictionary. Oxford: Oxford University Press, გვ. 318).

რა როლი აკისრია ამ ფაქტორს სწავლების პროცესში? ამ კითხვაზე პასუხი ბევრ მკვლევარს გააჩნია.

სამუშაო მეგობრული ატმოსფეროს **სალექსიკონო განმარტებაა**: გრძნობა ან საჭიროება, რომელიც გააჩნია ორ ან რამოდენიმე ადამიანს ერთმანეთის მიმართ გარკვეულ სიტუაციაში (Crowther, J. (Ed.). (1999). Oxford Advanced Learner's Dictionary. Oxford: Oxford University Press, გვ. 82).

სამუშაო მეგობრული ატმოსფეროს შექმნა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სწავლების პროცესის წარმატებით წარმართვისათვის. სწორედ უსაფრთხო მეგობრულ სამუშაო ატმოსფეროს ანიჭებს დიდ მნიშვნელობას არნოლდი და ფონსეკა (Arnold and Fonseca, 2007). ისინი თვლიან, რომ პედაგოგმა უნდა შექმნას უსაფრთხო სასწავლო გარემო, სადაც შემსწავლელებს არ შეეშინდებათ ისაუბრონ უცხო ენაზე.

შფოთვის დონის **სალექსიკონო განსაზღვრებაა**: შიშის შეგრძნება, რომელიც არ გტოვებს. (Summers, D. (Ed.). (1995). Dictionary of Contemporary English. Cambridge: Cambridge University Press, გვ. 48).

შფოთვის დონის განმარტებას იძლევიან მაქინთირი და გარდნერი (MacIntyre and Gardner, 1994, გვ. 284). ისინი უცხო ენის სწავლებისას არსებულ შფოთვას (Foreign Language Anxiety - FLA) განმარტავენ, როგორც დაძაბულობის შეგრძნება, რომელიც თან ახლავს მეორე ენის შესწავლის პროცესს. ჰორვიცი (Horwitz, 1986, გვ. 128) უცხო ენის სწავლებისას არსებულ შფოთვას (Foreign Language Anxiety - FLA) უცხო ენის გაკვეთილზე/ლექციაზე არსებულ შფოთვას უწოდებს (Foreign Language Classroom Anxiety - FLCA ) და მას განმარტავს, როგორც შფოთვის განცდას, რომელსაც ადგილი აქვს უცხო ენის გაკვეთილზე/ლექციაზე.

სტუდენტთა მოტივაციის **სალექსიკონო განსაზღვრებაა**: სურვილი იმოქმედო ძალდატანების გარეშე (Summers, D. (Ed.). (1995). Dictionary of Contemporary English. Cambridge: Cambridge University Press, გვ. 929).

მოტივაციას განსაკუთრებული როლი აკისრია მეორე/უცხო ენის შესწავლის პროცესში. დორნიეი (Dörnyei, 1998, გვ. 117) მიიჩნევს, რომ მოტივაცია ერთგვარი ბიძგია მეორე/უცხო ენის შესწავლის დასაწყისში და მოგვიანებით ის სწავლების პროცესის მამოძრავებელ ძალად იქცევა. გარდნერი (Gardner, 1985), ვილიამს და ბურდენი (Williams & Burden, 1997) მოტივაციას რთულ, მრავალსახიან მოვლენად მიიჩნევენ. ისინი თვლიან, რომ მოტივაცია მოიცავს ისეთ ფაქტორებს, როგორებიცაა:

- წარმატება, რასაც შემსწავლელი ელიან;
- შემსწავლელის წარმატების ან წარუმატებლობის მიზეზი.

გარდნერი (Gardner, 1985) მეორე ენის შესწავლასთან დაკავშირებული მოტივაციის სამ მთავარ კომპონენტს ასახელებს. ესენია:

- მოტივაციის ინტენსიურობა;

➤ ენის შესწავლის სურვილი;

➤ ენის შესწავლასთან დაკავშირებული შესაძლებლობები.

ქსიზერი და დორნიეი (Csizer & Dörnyei, 2005), დორნიეი და ქლემენტი (Dörnyei & Clement, 2001), დორნიეი და ოთო (Dörnyei & Otto, 1998), ოქსფორდი და შეარინი (Oxford & Shearin, 1994) თანხმდებიან, რომ პედაგოგის ფაქტორი დიდ გავლენას ახდენს შემსწავლელის მოტივაციაზე და მისი როლი განსაკუთრებულია. კიკუჩის (Kikuchi, 2009), საკაის და კიკუჩის (Sakai & Kikuchi, 2009), თანაკს (Tanak, 2005) მიაჩნიათ, რომ პედაგოგს შეუძლია გაზარდოს სტუდენტების მოტივაცია, წარმატებით ჩართოს ისინი სასწავლო პროცესში.

**მოსმენის ეფექტური სტრატეგიების შესწავლა** - ექსპერიმენტის მონაწილე სტუდენტებს ვასწავლიდით გოჰის (Goh, 1997, 1998) შემდეგ მეტაკოგნიტურ სტრატეგიებს:

- იყავით მზად და გქონდეთ გეგმა მოცემული სავარჯიშოს წარმატებით შესრულებისათვის;
- გამოიყენეთ ზოგადი ცოდნა, რომ იწინასწარმეტყველოთ რას მოისმენთ;
- დააკვირდით როგორ გადმოგვცემენ მოსასმენ მასალას;
- მოუსმინეთ შერჩევით და უარყავით ინფორმაცია, რომელიც თქვენთვის არ არის საინტერესო;
- ამოიცანით უცნობი სიტყვების/სახელების მიახლოებითი მნიშვნელობა;
- მოუსმინეთ საკვანძო სიტყვებს მოსასმენი თემის ამოცნობის მიზნით;
- გადაამოწმეთ პასუხები სხვა მსმენელებთან;
- დასვით შეკითხვები, რომ მოისმინოთ ახსნა-განმარტებები სტუდენტების მხრიდან;
- ხელახლა შექმენით ტექსტი ზეპირად ან წერილობით;
- მოისმინეთ ტრანსფორმაციის მიზნით.

ასევე ინტენსიურად ვიყენებდი გოჰის (Goh, 2006) *მეტაკოგნიტური თანმიმდევრობის ნაბიჯებს მოსმენის სწავლებისას*.

სტუდენტებს ვურჩევდი გამოეყენებინათ შემდეგი აქტივობები მოსმენის სწავლებისას ო'მალის, ჩემოთის და კუპპერის (O'Malley, Chamot & Copper, 1989), იოუნგის (Young, 1997) და გოჰის (Goh, 2000, 2002) მიხედვით :

*აქტივობები მეტაკოგნიტური სტრატეგიების გამოყენებით*

- მიმოიხილეთ შინაარსი სხვადასხვა ფორმით;
- დააკვირდით შინაარსთან დაკავშირებული სიტყვების წარმოთქმას;
- ჩამოაყალიბეთ მოსმენის მიზანი;
- ივარჯიშეთ მოსასმენი მასალის გაგების მიზნით რეგულარულად;
- ჩაიწერეთ შინაარსთან დაკავშირებული სიტყვები;
- სირთულეების მიუხედავად გააგრძელეთ მოსმენა;
- შეაფასეთ როგორ იგებთ მოსასმენ მასალას;
- გამოიყენეთ შერჩევითი მოსმენა;
- მოუსმინეთ მთავარი აზრის გასაგებად.
- ყურადღება მიაქციეთ თალსაჩინოებებს, სხეულის ენას, ტონს, პაუზას.

*აქტივობები კოგნიტური სტრატეგიების გამოყენებით*

- გაარკვიეთ უცხო სიტყვები კონტექსტის და ვიზუალური დახმარების საშუალებით;
- გამოიყენეთ ზოგადი ცოდნა;
- გამოიყენეთ რაც უკვე გისწავლიათ შესასწავლი ენის შესახებ;
- წარმოიდგინეთ ის ეპიზოდები, საგნები, მოვლენები, რასაც უსმენთ;
- ტექსტის ერთი ნაწილი დაუკავშირეთ მეორე ნაწილს;
- განსაზღვრეთ მოსასმენი ტექსტის თქვენთვის პრობლემური ნაწილის მნიშვნელობა და გადაწყვიტეთ მოახდინოთ მათი იგნორირება, თუ მოისმინოთ ყურადღებით და გაიგოთ;
- მოსმენამდე იწინასწარმეტყველეთ მოსასმენი ტექსტის შინაარსი.

*აქტივობები სოციალურ/ეფექტური სტრატეგიების გამოყენებით*

- მოახდინეთ მოსაუბრის საუბრის პერეფრაზირება;
- სთხოვეთ მოსაუბრეს გაიმეოროს ნათქვამი;
- განიტვირთეთ მოსმენის წინ და მოსმენის შემდეგ;
- მოუწოდეთ საკუთარ თავს გააგრძლოთ მოსმენა.

მოსმენის სტრატეგიების სწავლებისას ასევე გამოვიყენეთ:

- მეტაკოგნიტური, კოგნიტური და სოციალურ/ეფექტური სტრატეგიები ბრაუნის (Brown, 2007) მიხედვით;
- მოსმენის სტრატეგიები ვილსონის (Wilson, 2008) მიხედვით.

სტუდენტების ძლიერი და სუსტი მხარეების მოძიება მოსმენის სავარჯიშოების შესრულებასთან დაკავშირებით შემსწავლელების თავდაჯერებულობის ამაღლების მიზნით - მოვიძიეთ რა ტიპის მოსმენის სავარჯიშოებს ასრულებენ შემსწავლელები მეტი წარმატებით, რათა მათი ეს ძლიერი მხარე გამოგვეყენებინა მათივე თავდაჯერებულობის ასამაღლებლად. სტუდენტებისათვის ადვილად შესასრულებელი სავარჯიშო აღმოჩნდა სწორი/მცდარი სავარჯიშო და ამ ტიპის სავარჯიშოები გამოვიყენეთ ექსპერიმენტის დროს გამოყენებულ მოსმენის ტესტებში.

სტუდენტების მოტივაციის გაზრდის მიზნით მათთვის საინტერესო თემატიკის მოძიება - გავარკვიეთ, რომ სტუდენტებისათვის საინტერესო იყო შემეცნებითი თემატიკა და სათავგადასავლო სიტუაციები. ამ თემატიკასთან დაკავშირებით ვადგენდით ექსპერიმენტის დროს გამოყენებულ მოსმენის ტესტებს.

ამრიგად, მოსმენის სწავლებისას არსებული შფოთვის მოხსნის ჩვენეულმა მოდელმა შემდეგი სახე მიიღო:



ამრიგად, მოსმენის სწავლებისას შფოთვის მოხსნის ჩვენეული მოდელი გულისხმობს:

- თავდაჯერებულობის გრძნობის, სამუშაო მეგობრული ატმოსფეროს, შფოთვის დონის და სტუდენტთა მოტივაციის რამდენიმე ტიპის განსაზღვრებების მოძიებას;
- მოსმენის ეფექტური სტრატეგიების შესწავლას;
- შემსწავლელების თავდაჯერებულობის ამაღლების მიზნით მათი ძლიერი და სუსტი მხარეების მოძიებას მოსმენის სავარჯიშოების შესრულებასთან დაკავშირებით;
- სტუდენტების მოტივაციის გაზრდის მიზნით მათთვის საინტერესო თემატიკის მოძიებას.

#### დასკვნა

ამრიგად, განხილული ლიტერატურის ანალიზის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ უცხო ენაზე (ინგლისურ ენაზე) მოსმენის სწავლების მიზნები დაკავშირებულია თანამედროვე გამოწვევებთან, საქმიანობათა სხვადასხვა სფეროსთან, სამუშაო მიზნებსა და აკადემიურ მოთხოვნებთან და

- მოსმენის ეფექტური სტრატეგიების გამოყენება ხელს უწყობს მოსმენის პროცესის წარმატებით განხორციელებას;
- განასხვავებენ მეტაკოგნიტურ (metcognitive strategies), კოგნიტურ (cognitive strategies) და სოციალურ/ეფექტურ (social/affective strategies) სტრატეგიებს;
- მეტაკოგნიტური სტრატეგიები იძლევიან საშუალებას სტუდენტებმა დაგეგმონ, მართონ, შეაფასონ რას აკეთებენ ინგლისური ენის შესასწავლად;
- კოგნიტურ სტრატეგიებს ყოფენ: ღრმა კოგნიტურ სტრატეგიებად და ზედაპირულ კოგნიტურ სტრატეგიებად;
- ღრმა კოგნიტური სტრატეგიები დაკავშირებული არიან ბლუმის ტაქსონომიის მაღალ სააზროვნო უნართან - სინთეზთან;
- ზედაპირული კოგნიტური სტრატეგიები დაკავშირებული არიან ბლუმის ტაქსონომიის დაბალ სააზროვნო უნართან - ცოდნასთან;

- სოციალური/ეფექტური სტრატეგიები აძლევს სტუდენტს საშუალებას გამოიყენონ არსებული ცოდნა და ისაუბრონ შესასწავლ ენაზე;
- პედაგოგის საუბარი, სტუდენტის/სტუდენტების საუბარი, ინგლისურენოვანი სტუმრის საუბარი შესაძლებელია მნიშვნელოვან რესურსად ჩაითვალოს მოსმენის სწავლების დროს, რადგან მათი გამოყენება საშუალებას იძლევა:
  1. აჩქარდეს საუბრის ტემპი, თუ ამის საჭიროება არსებობს;
  2. გამეორებულ იქნას მნიშვნელოვანი ინფორმაცია მოსმენის დროს;
  3. განმარტებული იქნას რთული ლექსიკა;
  4. შერჩეულ იქნას საუბრის შინაარსი შემსწავლელების ინტერესის გათვალისწინებით და მათი მოტივაციის გაზრდის მიზნით.

სიმღერის და ვიდეო რესურსების გამოყენებასთან დაკავშირებით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ

- სიმღერების რესურსი მოსმენის სწავლებისას ერთ-ერთ სახალისო რესურსადაა მიჩნეული და სახელმძღვანელოებში მოცემული მოსასმენი რესურსი ძალზე მრავალფეროვანია;
- ვიდეო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რესურსია მოსმენის სწავლებისას;
- ვიდეოს შერჩევას სტუდენტების ცოდნის დონის, მათი ინტერესების და კულტურის გათვალისწინებლობამ შესაძლებელია უარყოფით შედეგებამდე მიგვიყვანოს;
- სწორად შერჩეულმა ვიდეო რესურსის გამოყენებამ შესაძლებელია ენის შემსწავლელების მოტივაციაზე დადებითი ზეგავლენა მოახდინოს.

სწავლების პროცესის წარმატებით განხორციელებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სწავლების ეფექტური სტრატეგიების გამოყენება. სხვადასხვა ტიპის შემსწავლელი სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენებას არჩევს. კოგნიტურ, მეტაკოგნიტურ და სოციალურ/ეფექტური სტრატეგიების გამოყენებას კავშირი აქვს სწავლის სტილთან.

მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ

- სტუდენტებს სჭირდებათ სისტემატურად გამოიყენონ მოსმენის სტრატეგიები;
- პედაგოგებმა უნდა შესთავაზონ ენის შემსწავლელებს სწავლების სხვადასხვა სტრატეგიები, ასწავლონ მათ ამ სტრატეგიების გამოყენება;
- რა თქმა უნდა, ყველა სტუდენტი არ გამოიყენებს მოსმენის სტრატეგიებს, მაგრამ პედაგოგების მიერ მოსმენის ეფექტური სტრატეგიების ხშირად სწავლებამ შესაძლებელია სტუდენტები მიაჩვიოს მათ გამოყენებას.

რაც შეეხება მოსმენის სავარჯიშოებს, მოსმენის სავარჯიშოების კლასიფიკაციისას განიხილავენ: მოსმენას კომენტარის გარეშე, მოსმენას მოკლე კომენტარით და მოსმენას ვრცელი კომენტარით.

მოსმენის ტესტების საკმაოდ ვალიდური ნიმუშები კი მოსმენის შემდეგი ტიპის სავარჯიშოებს იყენებენ: მრავალი პასუხიდან სწორის ამორჩევა (მრავალჯერადი არჩევანი), დაჯგუფება, გამოტოვებული ადგილების შევსება, სწორი/მცდარი და წინადადების დასრულება.

#### ლიტერატურა:

1. Arnold, J. and Fonseca, C. (2007). Affect in teacher talk. In B. Tomlinson (Ed.), *Language Acquisition*. London: Continuum, pp. 107-121.
2. Brown, H. D. (2007). *Principles of language learning*. London: Pearson.
3. Crowther, J. (Ed.). (1999). *Oxford Advanced Learner's Dictionary*. Oxford: Oxford University Press.
4. Csizér, K., & Dörnyei, Z. (2005). The internal structure of language learning motivation and its relationship with language choice and learning effort. *Modern Language Journal*, 89, 19–36.
5. Dörnyei, Z. (1998). Demotivation in foreign language learning. Paper presented at the TESOL 98 Congress, Seattle, WA, p. 117.
6. Dörnyei, Z., & Otto, I. (1998). Motivation in action: a process model of L2 motivation, *Working Papers in Applied Linguistics*, 4, 43-69. London: Thames Valley University.
7. Dörnyei, Z., Clément, R. (2001). Motivational characteristics of learning different target languages: results of a nationwide survey. In Z. Dörnyei & R. Schmidt (Eds.), *Motivation and second language acquisition*. Honolulu, HI: Second Language Teaching & Curriculum Center, University of Hawaii, pp. 399-432.
8. Gardner, R. (1985). *Social psychology and second language learning: the role of attitude and motivation*. London: Edward Arnold.
9. Goh, C. C. (1997). Metacognitive awareness and second language listeners. *ELT Journal*, 51, 361–369.
10. Goh, C. C. (1998). How ESL learners with different listening abilities use comprehension strategies and tactics. *Language Teaching Research*, 2, 124-147.
11. Goh, C. (2000). A cognitive perspective on language learners. Listening comprehension problems. *System*, 28, 55-75.
12. Goh, C. (2002). *Teaching Listening in the Language Classroom*. Singapore: SEAMEO Regional Language Centre.
13. Goh, C. & Y. Taib. (2006). Metacognitive instruction in listening for young learners. *ELT Journal*, 60, 222–232.

14. Horwitz, E. K., Horwitz, M. B., & Cope, J. (1986). Foreign language classroom anxiety. *The Modern Language Journal*, 70, 2: 25-132.
15. Kikuchi, K. (2009). Listening to out learners' voices: what demotivates Japanese high school students? *Language Teaching Research*, 13, 453-471.
16. MacIntyre, P. D., & Gardner, R. C. (1994). The Subtle effects of language anxiety on cognitive processing in the second language. *Language Learning*, 44, 283-305.
17. O'Malley, J. M., Chamot, A. U., & Kupper, K. (1989). Listening comprehension strategies in second language acquisition. *Applied Linguistics*, 10, 4: 418-437.
18. Oxford, R. & Shearin, J. (1994). Language learning motivation: expanding the theoretical framework. *The Modern Language Journal*, 78, 1: 12-28.
19. Sakai, H., & Kikuchi, K. (2009). An analysis of demotivators in the EFL classroom. *System*, 37, 57-69.
20. Summers, D. (Ed.). (1995). Dictionary of Contemporary English. Cambridge: Cambridge University Press, 33. 48.
21. Tanaka, T. (2005). Teacher influence on learner motivation system, 37, 57-69. Retrieved December, 15, 2013 from [http://www.wilminam.ac.jp/ojc/kiyo\\_2005/kiyo\\_35\\_PDF/2005\\_06.pdf](http://www.wilminam.ac.jp/ojc/kiyo_2005/kiyo_35_PDF/2005_06.pdf)
22. Williams & Burden, (1997). Psychology for language teachers: a social constructivist approach. Cambridge: Cambridge University Press.
23. Wilson J. (2008): How to teach listening. Essex: Pearson Longman.
24. Young, M. Y. C. (1997). A serial ordering of listening comprehension strategies used by advanced ESL learners in Hong Kong. *Asian Journal of English Language Teaching*, 7, 35-53.

***Nino Davitashvili***

*Gori State Teaching University*

**THE ANXIETY-REDUCING MODEL WHEN TEACHING LISTENING  
RESUME**

The work deals with our model of decreasing anxiety while teaching/learnig listening skill which is connected to finding definitions of self esteem, friendly working atmosphere, level of anxiety and students' motivation. Our model of decreasing anxiety while teaching/learnig listening skill is also connected to teaching/learning affective listening strategies, finding strong and weak points of students with listening skill as well as finding interesting topics to increase students' self esteem and motivation and using these topics in listening exercises.

***Zurab Zurabashvili***

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

**INTERNATIONALIZATION OF HIGHER EDUCATION IN GEORGIA AND ESTONIA  
(COMPARATIVE ANALYSIS)**

**Preface**

The aim of the research is to study existing strategies and models of internationalization of higher education in order to draw possible recommendations for Georgia and Estonia so that stimulate the development of the process of internationalization of higher education and consequently explore, whether the current strategies and models are compatible for using internationalization of higher education as a mean for education export.

**Introduction**

Over the past 25 years, the international dimension of higher education in Europe has become more central on the agenda of European and national governments, institutions of higher education and their representative bodies, student organizations and accreditation agencies. Stimulated in the 1980's by European programs for cooperation and exchange in education and research, internationalization over these years has moved from a reactive to a pro-active strategic issue, from added value to mainstream, and also has seen its focus, scope and content evolve substantially.

Increasing competition in higher education and the commercialization and cross-border delivery of higher education, have challenged the value traditionally attached to cooperation: exchanges and partnerships. At the same time, the internationalization of the curriculum and the teaching and learning process (also referred to as 'internationalization at home') has become as relevant as the traditional focus on mobility (both degree mobility and

mobility as part of your home degree). Internationalization has become an indicator for quality in higher education, and at the same time there is more debate about the quality of internationalization itself. The international dimension and the position of higher education in the global arena are given greater emphasis in international, national and institutional documents and mission statements than ever before.

Altbach, Reisberg and Rumbley (2009, 7) in their report to the UNESCO World Conference on Higher Education note that “Universities have always been affected by international trends and to a certain degree operated within a broader international community of academic institutions, scholars, and research. Yet, 21st century realities have magnified the importance of the global context. The rise of English as the dominant language of scientific communication is unprecedented since Latin dominated the academy in medieval Europe. Information and communications technologies have created a universal means of instantaneous contact and simplified scientific communication. At the same time, these changes have helped to concentrate ownership of publishers, databases, and other key resources in the hands of the strongest universities and some multinational companies, located almost exclusively in the developed world.”

It would be too easy, however, to assume that everything has changed over the past ten years with regard to the internationalization of higher education, and that this change in Europe is primarily from a more cooperative model to a more competitive model. As Van der Wende (2001, 255) writes: “Not surprisingly most continental European countries pursue a cooperative approach to internationalization, which in terms of international learning and experience is more compatible with the traditional values of academia.”

In a benchmarking exercise on the internationalization strategies of five European universities, De Wit (2005, 2) encountered clear differentiations. “Striking is the difference between the approaches to internationalization of three Northern European universities and two Southern European universities with respect to co-operation and competition. Where the two Southern European universities have a traditional cooperative approach, one Northern university has a strong competitive approach and the two Scandinavian universities are moving into the directions of such an approach, although all three mix it with co-operative activities, in particular in the framework of their involvement in the European programs. These approaches give a more balanced picture to the idea of shifting paradigms for internationalization from co-operative to competitive, as presented in current debate and study of the international dimension of higher education in Europe.” This was confirmed in a second benchmarking exercise, which involved three other European and four Latin American universities. (De Wit, 2007) In other words, the changing landscape of internationalization is not developing in similar ways in higher education throughout Europe and the world as a whole.

There are different accents and approaches. Internationalization strategies are filtered and contextualized by the specific internal context of the university, by the type of university, and how they are embedded nationally. For Norway, Frolich (2008, 120) comes to the conclusion that “Internationalization in higher education institutions is a case of a match between the inherently international character of academic activities and external demands and changing environments.” But in a comparative study on internationalization strategies in Europe, Frolich and Vega (2005, 169-170) observe also that “the internationalization of higher education is a complex, multidimensional and often fragmented process. The factors that foster or impede internationalization activities developed at an institutional level cannot be viewed only in the national and international context. There are influences deeply rooted in the normative and cultural insights, such as history and culture; academic disciplines and subjects; the higher education institution’s profiles and individual initiatives; national policies; regulatory frameworks; finance; European challenges and opportunities; and globalization.”

### **Key thematic areas of Internationalization of higher education**

Key analyses of internationalization in higher education point to a broad range of international dimensions in higher education (see de Wit 2002; van der Wende 2001; Altbach/Teichler 2001; OECD, 2004; Knight 2004). One might argue, though, that the term internationalization has been employed regarding seven themes (Teichler 2007, pp. 10-11):

**Physical mobility**, notably of students, but also of academic staff and occasionally administrative staff as well, is obviously the most visible international activity, and it is in the forefront of programs aiming to promote internationalization.

**Recognition across borders of study achievements** is a second major theme which, naturally, is clearly linked to the first one: are the results of learning in one country accepted as equivalent to that which is expected to be learned in another country, if persons are mobile at the beginning of their study, during the course of study, upon graduation or in later stages of learning and work, and what endangers and facilitates such acceptance?

**Other modes of transfer of knowledge** across borders have been less the focus of recent public debates, but certainly have altogether a stronger weight than physical mobility of students and scholars: e.g. international knowledge transfer through media (printed publications as the traditionally open mode of transfer within and across countries, patents as an example of knowledge transfer with financial constraints, virtual communication for varied purposes, and “trans-national education” as modes of transporting study programs across borders).

**International orientations and attitudes**, or, in contrast, national orientations and attitudes of the actors, the students and possibly the academics are a major issue of internationalization. For example, various programs for the support of student mobility were established with the hope, in mind or officially declared, that cognitive enhancement



would be accompanied with attitudinal change: growing “global understanding”, more favorable views of the partner country, a growing empathy with other cultures, etc. These five themes can certainly be viewed as genuine themes of “internationalization”. Two other themes play a role as well and are often referred to when “internationalization” is on the agenda, though one could argue that they are at most loosely related to it;

The similarity or heterogeneity of national systems of higher education plays an ambivalent role in this respect. On the one hand, a variety of national higher education systems, for example, are considered beneficial in order to provide mobile students the opportunity to learn from contrasts and thus to develop a more reflective mind and a better understanding of diversity. On the other hand, for example, the Bologna Declaration called for a structural convergence of higher education systems in Europe, among other reasons, as a means of facilitating intra-European student mobility.

Finally, internationalization is underscored as an argument for almost any higher education reform. No matter whether one discusses the steering of higher education systems, the management of higher education institutions, quality and relevance of research and study programs, efficiency of the utilization of resources or other topics: higher education should improve in those respects, in order not to fall behind in worldwide competition and to be successful according to “international standards”. Top quality is called “world class”, efforts for quality enhancement are viewed as part of “global competition”, and regional and national approaches are often seen as academically less demanding, though some experts claim that the divides between “regional”, “national” and “global” are vanishing.

### **Rationales for Internalization of higher education**

When we talk about internationalization, it is important to distinguish the question of why we are internationalizing higher education, from what we mean by internationalization. Many documents, policy papers and books refer to internationalization, but do not define the why. And in much literature meanings and rationales are confused, in the sense that often a rationale for internationalization is presented as a definition of internationalization. Literature (De Wit, 2002, 83-102) identifies four broad categories of rationales for internationalization: Political rationales, economic rationales, social and cultural rationales and academic rationales. Political rationales such as foreign policy, national security, technical assistance, peace and mutual understanding, national and regional identity, have been very important, in particular after the Second World War, and in the Cold War period, when they were very dominant in the internationalization of higher education. After 9/11/2001 national security has regained importance.

The second groups, economic rationales, including growth and competitiveness, national educational demand, labor market, financial incentives, have come more to the forefront in present-day globalization of our economies.

The third groups of rationales are the social and cultural rationales. The cultural rationale has to do much more with the role that universities and their research and teaching can play in creating an intercultural understanding and an intercultural competence for the students and for the faculty and in their research. And the social rationale has to do with the fact that the individual, the student, and the academic, by being in an international environment, become less provincial.

As mentioned before, there is concern that the role of universities in social and cultural cohesion is under pressure these days. The last group is the academic rationales: developing an international and intercultural dimension in your research, teaching and services, extension of the academic horizon, institution building, profile and status, the improvement of the quality, and international academic standards. Among these, profile and status, as expressed in the growing importance of international rankings seem to become more dominant. It is clear that there are different rationales for the internationalization of higher education. These are not mutually exclusive, may be different in importance by country and region, and can change in dominance over time. In the present time, the economic rationales are considered to be more dominant than the other three, and in connection to these, academic rationales such as strategic alliances, status and profile are also becoming more dominant. Knight ( 2008, 25) speaks of emerging rationales at the national level such as human resource development, strategic alliances, income generation/commercial trade, nation building, and social/cultural development and mutual understanding; and at the institutional level: international branding and profile, quality enhancement/international standards, income generation, student and staff development, strategic alliances and knowledge production.

Several authors like Teichler (2004) mention a growing emphasis on marketization, competition and management. Reinalda and Kulesza (2005, 99) note that “since the end of the last century, a shift in higher education has taken place from the public to the private domain, parallel to an increase in

international trade in education services (...) These developments enhance the significance of the education market as an international institution, but also contribute to changing the structure of that market. In doing so, an increase in worldwide competition is being revealed.” Nimes and Hellsten (2005, 1) observe that internationalization of higher education tends to have been too much identified in the past with positive opportunities: “Under internationalization, the world is our oyster, or perhaps, our garden, in which we sow the seeds from the fruits of our academic labors: powerful knowledge, proven (best) practices, and established systems of scholarship, administration and inquiry.” They (ibid, 14) look “to trouble such unproblematized notions and to provide more critical readings and explorations of the process.” They call for “review, renewal and critical insight into current practices of internationalization.”

All these authors have a strong inclination to call for more attention to social cohesion and to the public role of higher education as an alternative force to the growing emphasis on competition, markets and entrepreneurialism in higher education. Brandenburg and De Wit (2010) in a provocative essay ‘The end of Internationalization’ state that there is a tendency to see “internationalization as “good” and globalization as ”evil”. Internationalization is claimed to

be the last stand for humanistic ideas against the world of pure economic benefits allegedly represented by the term globalization. Alas, this constructed antagonism between internationalization and globalization ignores the fact that activities that are more related to the concept of globalization (higher education as a tradable commodity) are increasingly executed under the flag of internationalization”

### **Program strategies for internationalization of higher education**

In this section of the document we discuss the different types of activities which fall under the category of program strategies. A list of activities falling within the framework of internationalization of higher education is grouped under three different types of activities: research-related activities, education-related activities; and extra-curricular activities and institutional service. However, it should be noted that the list could be further modified and formatted accordingly to the institutions strategies.

#### **Research-related activities**

We think that research is a vital and fundamental activity that all the higher education institutions should practice, and therefore see a strong link between the research mandate and the institutional strategy towards internationalization.

Activity under this head includes:

- The establishment of the research centres that have both the international mandate and the vision;
- The incorporation of the international (regional) perspective and issues into existing research centres
- Increasing collaboration with the existing international partners and expand the collaboration with new international partners
- The organization of academic events such as conferences, seminars, workshops, etc in order to increase the cooperation between local and international researchers
- Dissemination of research results and sharing of knowledge through international networks and communication systems, such as databases, conferences, seminars, workshops, etc.
- The establishment of networks of research institutes by discipline/specialisation or by faculty/department
- The establishment of networks and associations of researchers by discipline
- Participation in international research and development programs and funds( such as Erasmus +, Horizon 2020, etc.)
- Individual international mobility of researchers
- International quality control and review of research
- Cooperation between researchers and research institutes and international business

#### **Educational-related activities**

Within our classification scheme, the internationalization of education covers the widest range of possible activities. In general when the term internationalization of education or international education is used, the principal reference is to teaching and training, however we deem it necessary to include those support services that is necessitated by internationalization.

Activity under this head include:

- Internationalization of the curriculum, including: the infusion of disciplines with international content, interdisciplinary studies, area studies, international development studies;
- Foreign language studies;
- Recruitment of foreign students for full degree studies or special programmes(vocational and higher vocational programs);
- Study abroad opportunities for students for full degree studies or special programmes(vocational and higher vocational programs);
- International cooperation agreements;
- International exchange of students;
- International exchange of faculty for teaching purposes;
- International guest lectures;
- Joint or double degree programmes
- Systems for study or degree equivalence
- Systems of credit transfer
- International internships for students and faculty
- International summer courses and programs
- International study visits by students and faculty

#### **Extra-curricular activities and institutional services**

This category refers to the various clubs, events, associations that relate to international issues and activities for both foreign and national students. They include provisions of special services in support of internationalization, such as:

- International student advisory body or advisers;
- Orientation programs;
- Social events and other social facilities for foreign guests;
- International students associations;

- International houses for students and scholars (preferably within the university campus territories);
- International guest organizations;
- Provision of institutional facilities for foreign students and scholars, such as libraries, restaurants, medical services, sports facilities.

All the activities mentioned above for research, education and extra-curricular activities can be part of a strategy for internationalization. The activities do not exclude one another, but only in a few exceptional cases will an institution have an explicit strategy that covers all or even most of the activities mentioned above. It is essential to state that an institution should not be judged for its internationalization strategy on the assumption that all or most of these activities mentioned are implicitly or even explicitly part of their policy plan. It is more important that institutions identify which priorities they have decided upon and how these are integrated in a strategic plan of institution.

### **Organizational Strategies for internationalization of higher education**

The previous section illustrates the number and variety of activities and services which are part of integrating an international dimension into the teaching, research and service-functions of the higher education institutions. Even if there is a large number of academic programs and activities, if they are not underpinned by a permanent organizational commitment and structure, they may die when supporters leave the institution, resources become scarcer or new priorities emerge. Internationalization requires being entrenched into the culture, policy, planning and organization processes of the institution so that it is not marginalized or treated as a passing trend. Giving equal attention to both the programs and organizational strategy types as well as differentiating between the two types is essential.

In the past more attention seems to have been given to program/activity strategies. However, by only focusing on the academic program activities one can overlook the organization process issues which are important to ensuring that the different activities reinforce each other; that they become central to the mission of the university. Strength lies in the whole being greater than the sum of the individual parts. When internationalization activities are fragmented and isolated on campus there is an increased probability that their impact and benefit will be weakened.

We discuss below the organizational strategies which have been identified as important elements for successful internationalization.

**Commitment and support of senior administrators** ( in some cases board of trustees, board of governors or the Ministry of Education itself could play vital role with regards to this matter)

The commitment of senior administrators emphasizes that internationalization is part of the overall mission of the university – it reinforces the legitimacy of internationalization and allows for it to be integrated and taken into consideration in overall decision-making for the university

### **Support and involvement of the faculty/staff**

It is obvious that the interest of the faculty and staff is crucial, but the factors stimulating their interest bear scrutiny. Experience and research shows that interest comes chiefly from individuals who have had a direct international experience or activity either on campus with international students, or through research or international assignments.

### **Functional Internations Relations Office**

An International Relations Office with experienced personnel to provide advisory, coordination or communication support is of key importance. The role of this international office as a catalyst for institutional change in favor of internationalization of the total institution is critical. Monitoring of activities is important in maintaining integrity and professionalism in international work. The leadership of a such centre must relate well to and have credibility with faculty but also have administrative, academic, entrepreneurial and cross-cultural skills.

### **Internal and external support and funding**

Experience indicates that additional funding facilitates internationalization, but attitudinal commitment and innovative ways of incorporating international perspectives into existing programs are more important factors to contributing to the success of internationalization.

Working externally, through partnerships and consortia, is a good way of finding financial and human resources as well as opportunities for international activities.

### **Policy**

Policy can be developed and used in several different ways. Often it is developed as a result of different practices or activities already in operation and a policy framework is deemed necessary to coordinate and monitor activities. In other instances policy stimulates and informs practice. It can provide direction, express commitment and even define particular goals of internationalization. Both types of policy are usually helpful, depending on which stage of development the institution is moving through. Policy statements can also be empty public relations exercises and so it is very important for commitment and support to lie behind them.

### **Annual planning, budget and review process**

Regular integration of an international dimension into annual plans and budgets ensures that it is internationalized. Integrated programming and strategic planning ensure that international efforts are institutionalized rather than marginalized, are mutually reinforcing and make the best use of resources.

### **Guiding principles for internationalization of higher education**

Internationalization can be seen as an ongoing and integrative process, and different types of strategies make up this process. If one adopts a process approach and the concept of different types of strategies, it is also important to consider the principles which guide the whole process.

In summary, there are two major types of strategies to be considered in the internationalization process: 1) the academic programs, activities and services which support and encourage student, faculty and staff participation, and 2) the organizational strategies which will help to integrate internationalization into the university's administrative processes and structures. Principles which guide the process and create a culture which values and supports the benefits of internationalization are related to both strategies and will be developed by institutions to reflect the goals for internationalization but also the existing culture or climate of the organization.

### **Bibliography:**

- 1) Adams, S., Transnational education project report and recommendations. Confederation of European Rectors' Conferences, March 2001
- 2) Altbach P.G. & Teichler, U., 2001. Internationalization and exchanges in a globalized university. *Journal of Studies in International Education*, spring, 5(1)
- 3) Altbach, P.G., Knight J., 2007. The Internationalization of Higher Education: Motivations and Realities. *Journal of Studies in International Education*, 11(3/4), Fall/Winter. pp. 290-305.
- 4) Amaral, A., & Neave, G. (2009). The OECD and its influence in higher education: A critical revision. In R. Bassett & A. Maldonado (Eds.), *International organizations and higher education policy: Thinking globally, acting locally?* (pp. 82-98). New York: Routledge.
- 5) Ayoubi, R.M. & Al-Habaibeh, A., 2006. An investigation into international Business collaboration in higher education organizations: A case study of international partnerships in four UK leading universities. *International Journal of Educational Management*, 20(5), pp. 380-396.
- 6) Bartell, M., 2003. Internationalization of Universities: A University Culture-Based Framework. Higher Education, 45, pp. 43-70. Kluwer Academic Publishers. Netherlands.
- 7) Carpenter, M, Sanders, G., 2007. Strategic Management, 2nd ed, Pearson Education.
- 8) Coulter, M., 2013, Strategic Management in Action, 6th ed. Prentice Hall.
- 9) Crowter, P., 2000. Internationalization at home – institutional implications. In: P. Crowter, et al, eds. 2000. *Internationalization at home: a position paper*. European Association for International Education. Ch.5.

*ლია მენტემაშვილი, ნინო ჩახუნაშვილი  
თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი*

### **ეკოლოგიური აღზრდა-განათლება – პედაგოგიკის მეცნიერების მნიშვნელოვანი პრობლემა**

თანამედროვე მსოფლიოს, ახლანდელი და მომავალი თაობების წინაშე, მთელი სიმწვავეით დგას ბუნებასთან ადამიანის ურთიერთობის მართვისა და ბუნების კვლავწარმოების, მისი წონასწორობის შენარჩუნების უზრუნველყოფის საკითხი. ამ საქმეში უდიდესი როლი მოსახლეობის ეკოლოგიური განათლების გაძლიერებამ, სათანადო კულტურის ამაღლებამ და მოსწავლეთა ეკოლოგიური აღზრდის გაუმჯობესებამ უნდა შეასრულოს. მომავალმა თაობამ საჭიროა იცოდეს ბუნებაში ათასწლობით ჩამოყალიბებული წონასწორობის დარღვევის მიზეზები, აუცილებელია ესმოდეთ რას გვიქადის იმ დარღვევათა შემდგომი გარმავება, რა არის საჭირო ამ საბედისწერო ტენდენციის შეჩერებისა და ადრინდელი წონასწორობის აღდგენისათვის.

ბუნების სიყვარული, მისი დაცვა-მოვლის ჩვევები მემკვიდრეობითი ხასიათის არ არის. იგი სკოლასა და ოჯახში, საზოგადოებრივი თანაცხოვრების პირობებში ყალიბდება და აღზრდის კეთილისმყოფელ ზეგავლენას ექვემდებარება. ბუნებასთან ურთიერთობის კულტურა მიზანმიმართული, ორგანიზაციული და აღმზრდელი მუშაობის შედეგია.

ბოლო პერიოდში ახალგაზრდობის ეკოლოგიური აღზრდა-განათლება მსოფლიო საზოგადოების ყურადღების ცენტრშია. იმართება ამ პრობლემისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენციები, სიმპოზიუმები. მეცნიერები შეშფოთებას ვერ ფარავენ პლანეტის ბიოსფეროს საბედისწერო ცვლილებების

გამო, რომლებიც თვალნათლივ გამოიკვეთა მეოცე საუკუნის მეორე ნახევარსა და ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში და სულ უფრო ღრმავდება ადამიანთა წინდაუხედავი საქმიანობის შედეგად.

ქალაქების ზრდამ, დასახელებული ადგილებისა და სამრეწველო ცენტრების სწრაფმა მშენებლობამ, მიწათმოქმედების, სატყეო მრეწველობისა და სამთამადნო დარგის პროგრესულმა მასშტაბებმა თუ პლანეტის მოსახლეობის მატებამ, კაცობრიობის წინაშე დააყენა უაღრესად სერიოზული ეკოლოგიური პრობლემები.

ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით იზრდება მოსახლეობის ეკოლოგიური ცოდნის გაღრმავების მნიშვნელობა.

ადამიანის ბიოსფეროზე ზემოქმედება პოტენციურ საფრთხეს უქმნის ბუნებაში წონასწორობის შენარჩუნებას. პირველი ბზარი ბუნებასთან ურთიერთობაში გაჩნდა მაშინ, როცა პირველყოფილმა მონადირეებმა დაიპყრეს ცეცხლი და დაიწყეს შეტევა გარემო ბუნებაზე. შემდგომში, „ბუნების დამორჩილებამ“ სულ უფრო საშიში ხასიათი შეიძინა, ტყეების განადგურებას დაემატა ზომიერ და ტროპიკულ სარტყლებში მიწების არარაციონალური გამოყენება, რამაც გამოუსწორებელი ზიანი მიაყენა ეკოსისტემას დედამიწაზე.

პლანეტის ბუნებრივი კომპლექსის დაცვაში მცენარეულ საფარს ენიჭება პირველხარისხოვანი როლი. მცენარეული საფარი შესანიშნავად იცავს ცოცხალ ორგანიზმთა არსებობას დედამიწაზე. მწვანე ფოთლის ბუნებრივ ლაბორატორიაში ყოველ საათსა და ყოველ წუთში ხორციელდება ორგანული ნივთიერებების სინთეზის უდიდესი საიდუმლო. მასში ხდება მზის ენერჯის მილიარდობით კალორიის აკუმულირება.

დღევანდელი ეკოლოგიური მდგომარეობა მთელი აუცილებლობით აყენებს საგანმანათლებლო ორგანოების წინაშე მოთხოვნებს, უზრუნველყოს საჯარო სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ისე დაყენება, რომ მოსწავლეები საფუძვლიანად ერკვეოდნენ ბუნების საიდუმლოებებსა და მის შინაგან კანონზომიერებებში, ჰქონდეთ მათ ცოდნა და შესაძლებლობა, რომ თითოეული მათგანი აქტიურად მონაწილეობდეს ბუნების მოვლა-დაცვაში.

რას შეისწავლის ეკოლოგია? მოკლედ ამ კითხვას შეიძლება ვუპასუხოთ ასე: ბუნების მექანიზმებსა და მათი მოქმედების კანონებს. ეკოლოგიის ერთ-ერთი ცენტრალური კატეგორიაა ბიოგეოცენოზის („ბიო“ – სიცოცხლე, „გეო“ – დედამიწა) ცნება. ნიადაგი, ადგილის რელიეფი, „წყალი, ჰაერი, მზე და ბიოლოგიური სამყარო მჭიდრო ურთიერთქმედებაში წარმოქმნიან ერთიან ფუნქციონალურსა და სტრუქტურულ მთლიანობას – ფიზიკურ გარემოს, რომლის ფარგლებში ხორციელდება სხვადასხვა სახის მცენარეების, ცხოველების ან ბაქტერიების სიცოცხლისათვის ყველა მნიშვნელოვანი პროცესი.

ეკოლოგიური აღზრდა-განათლების, ბუნების მოვლა-დაცვის პირველადი ჩვევების გამომუშავება, როგორც ზნეობრივი აღზრდის შემადგენელი ნაწილი, საოჯახო აღზრდის მრავალმხრივ საქმიანობასთანაა დაკავშირებული. აქ ეყრება საფუძველი აღსაზრდელთა ყველა მაღალზნეობრივ თუ უზნეო გამოვლინებას, რასაც ოჯახის წევრთა აღმზრდელობითი ზემოქმედება განაპირობებს. სამშობლოს წარსულისა და დღევანდელის, მისი მომავლის სიყვარული, მისი მთების, ველების, მდინარეების, ფლორისა და ფაუნის, საკუთარი ხალხის სიყვარული მემკვიდრეობით არ დაჰყვება ადამიანს. იგი გარკვეული გეგმაზომიერი აღმზრდელობითი მუშაობის შედეგად უნდა გავივდეს აღსაზრდელებში, რაც დიდ ზრუნვასა და მშობელთა მხრიდან გარკვეულ პედაგოგიურ მომზადებასაც გულისხმობს. ცალკეული სკოლების დაწყებითი კლასების მოსწავლეთა მშობლების გამოკითხვამ გვიჩვენა, რომ მშობელთა ერთ ნაწილს წარმოდგენა არა აქვს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა წარმართონ აღმზრდელობითი მუშაობა საერთოდ, და კერძოდ კი ეკოლოგიური აღზრდა, როდის უნდა დაიწყონ იგი და რა საკითხებზე გაამახვილონ ყურადღება, რადგან მათ არ იციან, თუ რა როლს ასრულებს მომავალი თაობის ზნეობრივ აღზრდაში ბუნებასთან სწორი, გონივრული ურთიერთობა, რა მნიშვნელობა აქვს მშობელთა პირად მაგალითს ბუნებასთან ურთიერთობისას და რა გავლენას ახდენს იგი აღსაზრდელებზე; რა უნდა გააკეთონ იმისათვის, რომ მათ შვილებს ჩამოუყალიბდეთ ბუნებისადმი სიყვარულის, სათუთი დამოკიდებულებისა და მისი მოვლა-დაცვის ელემენტარული ჩვევები, მაგრამ უფრო სავალალოა, რომ ზოგჯერ ისინი თვითონ აძლევენ ბავშვებს ბუნებისადმი უხეში დამოკიდებულების მაგალითებს: ამტვრევენ მწვანე ნარგავებს პირადი საჭიროებისათვის, ჭრიან ქარსაფარ ზოლებს; არ ერიდებიან თვით ბავშვთა დასასვენებელ ადგილებში, ბაღებსა და სკვერებში ხეების მოჭრას; უხეშად ეპყრობიან ცხოველებსა და ფრინველებს; გულგრილ, უყაირათო დამოკიდებულებას იჩენენ შრომითი დოვლათის მიმართ, რის საფუძველზეც ბავშვებში ყალიბდება უხეში, მომხმარებლური დამოკიდებულება ცოცხალი და არაცოცხალი ბუნების მიმართ.

ცნობილია, რომ ახლო წარსულში სავალდებულო წესით ყველა სკოლასთან არსებობდა მშობელთა პედაგოგიური უნივერსიტეტები, სადაც მშობლები მოწვეულ ლექტორთა დახმარებით ეცნობოდნენ ბავშვთა ასაკობრივ თავისებურებებს, მათი აღზრდის პრინციპებსა და მეთოდებს; კომპლექსურ ცოდნას

იღებდნენ პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის სხვა საკითხებზე, რაც მათ საშუალებას აძლევდა კონკრეტული ცოდნა მიეღოთ და გარკვეულიყვნენ საოჯახო პედაგოგიკის პრობლემებში.

მშობლებთან მუშაობის მრავალგვარი ფორმებიდან ეკოლოგიური აღზრდა-განათლების გაუმჯობესების მიზნით მიზანშეწონილად მიგვაჩნია ლექცია-საუბრების ჩატარება.

საუბრების მეშვეობით და ბავშვებთან პრაქტიკული სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაანალიზების შედეგად ისინი გააცნობიერებენ, რომ სათანადო სიმაღლეზე დაყენებული ეკოლოგიური აღზრდა ხელს უწყობს მოზარდს უფრო ღრმად, ემოციურად შეიცნოს გარემომცველი ობიექტური სინამდვილე, შეამჩნიოს და ჯეროვნად შეაფასოს ლამაზი, კარგი, სრულქმნილი და დატკბეს მისი სიმშვენიერით. ამას კი უდიდესი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს, რადგან ცნობილია, რომ გარემომცველი სინამდვილისადმი გონივრული დამოკიდებულების უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება ხელს უწყობს როგორც პიროვნების გონებრივ, ისე ზნეობრივ განვითარებასა და საერთო განათლების დონის ამაღლებას.

მშობლებს კარგად უნდა ჰქონდეთ გაცნობიერებული, რომ ადრეული ასაკიდანვე ბავშვებს საჭიროა ვასწავლოთ არა მარტო საყოფაცხოვრებო და სანიტარულ-ჰიგიენური წესები, არამედ სპეციალურად შერჩეული ზნეობრივი შინაარსის შემცველი საუბრების მეშვეობით გავაგებინოთ, თუ რა როლს ასრულებს ადამიანის ცხოვრებაში ჰაერი, წყალი, მზე, გარემო, მწვანე საფარი, ცხოველები და ფრინველები; ავუხსნათ, რომ ის დიდი სიკეთე, რომელსაც ბუნება სთავაზობს კაცობრიობას, შეიძლება ადამიანის არაგონივრული მოქმედების შედეგად უმოწყალოდ განიავდეს, ადამიანებმა ბავშვობიდანვე უნდა ისწავლონ ბუნებასთან ურთიერთობის წესი და რიგი, შეიძინონ ბუნების მოვლა-დაცვის ელემენტარული ჩვევები.

ბუნების მოვლა-დაცვის ჩვევების ჩამოყალიბება და ბუნებისადმი სიყვარულის გრძნობის განვითარება მტკიცედ არის დაკავშირებული ადამიანის საერთო განვითარების დონესთან და ოჯახმა ამ მიმართულებითაც უნდა გაატაროს საჭირო ღონისძიებები. ფსიქოლოგიური გამოკვლევები ადასტურებს, რომ სასტიკი და უხეში, ბარბაროსული დამოკიდებულება ბუნებისა და ცხოველების მიმართ იმ ადამიანთა ხვედრია, რომელთაც გააჩნიათ განათლების დაბალი დონე.

ვერავითარი საუბარი, თუნდაც ღრმა შინაარსიანი, ვერ მოგვცემს სასურველ შედეგს თუ მშობლები თვითონ არ იძლევიან ბუნებასთან ურთიერთობის დადებითი ქცევის მაგალითებს. თუ უფროსები შვილებისაგან მოითხოვენ იმას, რასაც თვითონ არ აკეთებენ, მაშინ ასეთ მოთხოვნებს თავისი ღირებულება არ გააჩნია, რადგან სულ ერთია, შვილები მას არ შეასრულებენ.

მშობლებმა ბავშვებს ადრეული ასაკიდანვე უნდა ასწავლონ, რომ ყველაფერი ის, რითაც ადამიანი სარგებლობს ამ ქვეყნად, ბუნების ნობათია და ადამიანისავე ხელით შრომის მეშვეობითაა მოპოვებული და თვალისჩინივით უნდა უფრთხილდებოდნენ. ბავშვებს უნდა გავაგებინოთ, რომ თუ ბუნების ქომაგად არ ვიქცევით, ბუნების ენას არ დავუფლეთ და ბუნებასთან ურთიერთობის წესები არ ავითვისეთ, ამ შემთხვევაში ჩვენ თვითონვე შევუქმნით ჩვენს თავს საფრთხეს, რადგან ბუნება ვერ იტანს მის მიმართ უხეშ, უგუნურ დამოკიდებულებას და შურს იძიებს ადამიანებზე.

ბუნებისადმი სიყვარულის აღზრდის მეშვეობით ოჯახს შეუძლია იმავდროულად აღსაზრდელში ისეთი მაღალზნეობრივი ადამიანური თვისებებიც ჩამოაყალიბოს, როგორცაა სამშობლოს უსაზღვრო სიყვარული, პატიოსნება, მოკრძალება, ერთგულება, ერთმანეთისადმი მზრუნველი დამოკიდებულება და სხვ. მოზარდი, რომელიც ასეთი მაღალზნეობრივი თვისებებითაა შეიარაღებული, მზრუნველობით ეპყრობა არა მარტო ბუნებას, არამედ ადამიანებსაც, ავლენს კეთილ, ადამიანურ თვისებებს გარშემო მყოფთა მიმართ და რაც მთავარია, აცნობიერებს, რომ ის დიდი სიკეთე, რომელსაც ბუნება სთავაზობს კაცობრიობას, შეიძლება უმოწყალოდ განიავდეს, თუ ადამიანებმა ბავშვობიდანვე არ ისწავლეს მისი გაფრთხილება, ბუნებასთან ურთიერთობის წესი და რიგი, თუ მათ არ გაიგეს, რომ ყოველივე ის, რითაც ისინი ასე უხვად სარგებლობენ, ბუნების წყალობითა და ადამიანთა დაუღალავი შრომის შედეგადაა მოპოვებული. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ბავშვებში ბუნების მოვლა-დაცვის ჩვევების გამომუშავება ადრეული ასაკიდანვე, დედის კალთიდან იწყება და მათ აყვანას მსოფლმხედველობრივ დონემდე, რწმენად ქცეული მტკიცე შეგნებამდე დაწყებით სკოლაში ეყრება საფუძველი და დასრულებულ სახეს იგი შემდგომი, სისტემატური სწავლებისა და პრაქტიკული გამოცდილების შედეგად სკოლის დამთავრებისას აღწევს. გამომდინარე აქედან, სკოლაში ეკოლოგიური აღზრდა – ბუნების სიყვარულისა და ბუნების მოვლა-დაცვის ჩვევების აღზრდა და ბუნებასთან სწორი დამოკიდებულების ანბანის სწავლება ფრიად მნიშვნელოვან პედაგოგიურ პრობლემად უნდა მივიჩნიოთ.

ჯერ კიდევ არისტოტელეს პედაგოგიკურ შეხედულებებში, ციცერონის, მარკ ფაბიუს კვინტილიანეს იდეებში ის აზრია გატარებული, რომ გარემომცველი ბუნება „კაცთა სასოებად და იმედად“ ახალგაზრდობაზე მოქმედ ძლიერ ფაქტორადაა მიჩნეული. ხოლო აღორძინების ეპოქის პედაგოგიკური აზროვნების უდიდესმა წარმომადგენელმა ვიტორინო დე ფელტრემ ქალაქგარეთ დააარსა

ახალი ტიპის სკოლა სიხარულის სახლი. სკოლას შესანიშნავი ადგილმდებარეობა ჰქონდა. მინჩოს უმშვენიერეს სანახაობებს გადაჰყურებდა. ვიტორინო თვლიდა, რომ ბუნების წიაღში ლამაზი და მიმზიდველი გარემო მნიშვნელოვნად უწყობდა ხელს საღ, გონიერულ მუშაობას, სიხარულს.

ჰუმანისტებმა წამოაყენეს ბავშვების ბუნებასთან დაახლოების, მასზე დაკვირვებისა და მისი შესწავლის იდეა. მათი აზრით, პირველი მასწავლებელი და აღმზრდელი ბუნებაა. ამ მოსაზრებიდან გამომდინარე, ჰუმანისტი ფრანსუა რაბლე თავისი ნაშრომის გმირს („გარგანტუა და პანტაგრუელი“) ბუნებაზე დაკვირვების გზით ზრდიდა.

კლასიური პედაგოგიკის ფუძემდებლის იან ამოს კომენსკის პედაგოგიური სისტემის საძირკველს ბუნებათმესაბამისობის ზოგადდიდაქტიკური პრინციპი წარმოადგენს. მან შექმნა შესანიშნავი წიგნი „ხილვადი სამყარო სურათებში“, რომელიც წარმოადგენს ერთგვარ მასალებს ბავშვების ბუნების სამყაროში შესასვლელად მომზადებისათვის. მისი აზრით ბუნება „საუკეთესო წიგნია“, რომელიც მასწავლებელს დიდ დახმარებას უწევს ბავშვების სწავლებასა და ყოველმხრივ აღზრდაში.

რუსული მეცნიერული პედაგოგიკის ფუძემდებელი კ. დ. უშინსკი მოზარდებში დედა-ბუნებისადმი სიყვარულის აღზრდას, მისი სიკეთის უნარიანად გამოყენების ჩვევების ჩამოყალიბებას სკოლის საპატიო ამოცანად მიიჩნევდა. მისთვის ბუნება წარმოადგენს მხნეობის, სიხალისის, სილამაზის, ჯანმრთელობის უცვლელ წყაროს. ამიტომ, კ. დ. უშინსკი სკოლაში ბუნებისმეტყველების სწავლების მაღალ დონეზე დაყენებას ბავშვთა გონებრივი განვითარებისა და განმტკიცების, ბუნებისადმი სიყვარულის აღზრდის ერთ-ერთ ნაცად საშუალებად მიიჩნევდა.

ბუნება, როგორც ბავშვებზე აღმზრდელობითი ზემოქმედების ფაქტორი, უყურადღებოდ არ დარჩენია ქართულ პედაგოგიურ აზროვნებას. როგორც ცნობილი ქართველი მეცნიერი პროფ. უ. ობოლაძე მიუთითებდა, ბუნებას, როგორც ჩვენს უპირველეს მზრუნველს, ჩვენი მაღლისა და სიკეთის წყაროს უამრავი ქომაგი, მზრუნველი და მეხოტბე ჰყავდა და ჰყავს. შორს ნუ წავალთ, აქ გვეყოფა ვაჟა-ფშაველას და იაკობ გოგებაშვილის სახელები. ვაჟა-ფშაველას აზრით ბუნება არა მარტო ლამაზია და ესთეტიკური ტკბობის წყაროს წარმოადგენს, არამედ სიბრძნისა და სათნოების წყაროცაა. რაც უფრო ახლოა ადამიანი ბუნებასთან, მით უფრო მაღალი და სპეტაკია მისი სული, ფართოა მისი გონებრივი ჰორიზონტი.

აღსანიშნავია, აგრეთვე დიდი სამოციანელის, პოეტისა და საზოგადო მოღვაწის, ერის მამად წოდებული ილია ჭავჭავაძის შეხედულებანი განათლებისა და საგანმანათლებლო საქმიანობაში საბუნებისმეტყველო – სამეურნეო ცოდნის ათვისების დიდ როლზე ერის ეკონომიკური სიძლიერის ამაღლების საქმეში.

ფრიად საყურადღებოა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის შეხედულებები მომავალი თაობის ეკოლოგიური აღზრდა-განათლების შესახებ. უწმინდესმა და უნეტარესმა 2008 წელს საშობაო ეპისტოლეში სრულიად საქართველოს მიმართა: „რა არის სამშობლო, როგორ აღვიქვამთ მას? ენა, ღვთისა და მოყვასისადმი გამოვლენილი ჩვენი წარსული, აწმყო და მომავალი.

საქართველო ჩვენი უნიკალური ფლორა და ფაუნაა ჩვენი მთა და ჩვენი ბარია, ჩვენი უდაბნოა, ჩვენი წყალი და ზღვაა“ (6, 5). უწმინდესი და უნეტარესი ეკოლოგიურ აღზრდაში მნიშვნელოვან როლს ანიჭებს მშობლებს, სკოლას და მასწავლებლებს. პატრიარქის შეხედულებით, მასწავლებელმა სულიერად ამაღლებული და სრულყოფილი პიროვნება რომ აღზარდოს, აუცილებელია ადრეული ასაკიდანვე შეაყვაროს მოსწავლეებს ბუნება.

ეკოლოგიურ აღზრდა-განათლებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს სწავლების პროცესი. ბუნების, მისი ფლორისა და ფაუნისადმი სიყვარულის აღზრდა და ეკოლოგიური განათლება ძირითადად სწავლების პროცესში ხორციელდება. აქ მთავარია შესაბამისი პროგრამული მასალის საფუძვლიანი შეთვისება პედაგოგიურ-მეთოდოლოგიური მოთხოვნების გათვალისწინებით.

საბუნებისმეტყველო თემებისადმი მიძღვნილი მასალები უხვადაა მოცემული დაწყებითი სკოლის პროგრამებსა და სახელმძღვანელოებში.

პირველ რიგში აუცილებელია ისეთი ზოგადპედაგოგიური პრინციპის დაცვა, როგორცაა აღმზრდელობითი სწავლება. აღმზრდელობითი სწავლება მოითხოვს როგორც ეკოლოგიური განათლების დაუფლებას, ისე ბუნებისადმი სიყვარულის გრძნობის აღძვრა-განვითარებას.

დიდაქტიკურ საშუალებებს შორის დიდმნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სახელმძღვანელოებსა და დამხმარე წიგნებს, რომელთა გარეშე სერიოზული ეკოლოგიური განათლების მიღება შეუძლებელია. სახელმძღვანელოებისა და დამხმარე წიგნების დიდი ნაწილი შეეხება ბოტანიკას, ზოოლოგიას, ზოგად ბიოლოგიას, გეოგრაფიას და, რა თქმა უნდა, ეკოლოგიას, როგორც მეცნიერების შედარებით ახალ დარგს.

როგორც ყოველი სასწავლო პროგრამული მასალა, ისე საბუნებისმეტყველო საგნების სწავლების პროცესში საქმის ცოდნით, ოსტატობით უნდა გამოვიყენოთ სწავლების კერძო დიდაქტიკური პრინციპები: სისტემატურობისა და თანმიმდევრობის, შეგნებულობის, თვალსაჩინოების, დასაძლეობის, მისაწვდომობისა და ცოდნის მტკიცედ დაუფლების.

გარკვეული მნიშვნელობა აქვს თვალსაჩინო დიდაქტიკურ მასალებს განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სპეციალური სახელმძღვანელო არ არსებობს. ასეთი დიდაქტიკური საშუალებებია: სურათები, სქემები, ადგილობრივი რესურსების ცნობარები, კინოფილმები, დიაპოზიტივები და ა.შ.

სწავლების პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ნატურალურ ობიექტებს, რომლებიც მოსწავლეებს შესაძლებლობას აძლევს უშუალოდ აღიქვან ბუნების საგნები და მოვლენები გრძნობათა ორგანოების მეშვეობით. სწორედ ასეთი სწავლება არის უფრო ნაყოფიერი, ეფექტური. ნატურალური ობიექტების ცნებაში იგულისხმება: ნიადაგის ნიმუშები, წიაღისეული კოლექციების მასალები, ტორფის, გრანიტის, კირქვის, ჰერბარიუმების, ნედლეულის ნიმუშები, ცხოველების, ფრინველების, მწერების ფიტულები, თიხისაგან და სხვა ბუნებრივი მასალებისაგან დამზადებული ჭურჭელი და ა.შ.

მოსწავლეთა ეკოლოგიური აღზრდის ძირითად საშუალებას სკოლაში სწავლება წარმოადგენს. სწავლების ძირითადი ფორმა გაკვეთილია, მაგრამ საჭიროა აგრეთვე ჩვეულებრივი გაკვეთილის გარდა მოსწავლეთა ეკოლოგიური აღზრდისათვის მასწავლებელი იყენებდეს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ისეთ დამხმარე ფორმებს, როგორცაა „თავისუფალი გაკვეთილები“.

ეკოლოგიური აღზრდა-განათლების პრობლემები რომ წარმატებით გადაიჭრას, აუცილებელია ეს პროცესი დაეფუძნოს მეცნიერულ საწყისებს.

მასწავლებლებმაც და მშობლებმაც აუცილებელია იცოდნენ, რომ ეკოლოგიური აღზრდის პროცესი ემყარება შემდეგ პრინციპებს: 1. მიზანსწრაფვა; 2. ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინება; 3. აღზრდა დადებითზე დაყრდნობით; 4. მოსწავლის პიროვნებისადმი მტკიცე მომთხოვნელობის შეხამება მისდამი პატივისცემასთან; 5. აღმზრდელობით ზემოქმედებათა ერთიანობის პრინციპი; 6. სისტემატურობისა და თანმიმდევრობის პრინციპი.

აღმზრდელობით მუშაობაში აღზრდის პრინციპებთან ანუ იმ სახელმძღვანელო დებულებებთან ერთად, რომლებსაც ეყრდნობა მომავალი თაობის ეკოლოგიური აღზრდა, აუცილებელია ვიყენებდეთ აღზრდის შემდეგ მეთოდებს: დარწმუნება მისი სხვადასხვა სახეობით (მაგალითი, ახსნა-განმარტება, ეთიკური საუბრები), წახალისება და დასჯა.

ზავშვთა და მოზარდთა ეკოლოგიურ აღზრდაში მეთოდთა მექანიკურად შერჩევა-გამოყენება დაუშვებელია. აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს: ა) აღზრდის მიზანი და ამოცანა; ბ) მოსწავლეთა ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებები; გ) ის გარემო პირობები, სადაც მოზარდებს უხდება ყოფნა.

ეკოლოგიური აღზრდის პრობლემა სცილდება ერთი რომელიმე სასწავლო საგნის ჩარჩოებს. მისი გადაჭრა სხვადასხვა საგნის მასწავლებელთა ბეჯითი შრომის, ოჯახის უფროსი წევრების, საზოგადოების შეთანხმებული მუშაობითაა შესაძლებელი.

ეკოლოგია, რომელიც გარემოს დაცვასა და აღდგენას შეისწავლის, მოიცავს გლობალურ პრობლემათა მთელ რიგს, რომელთა გადაჭრაში როგორც საბუნებისმეტყველო, ისე ჰუმანიტარული ციკლის საგნების გაუმჯობესებულ სწავლებას, ეკოლოგიური აღზრდის საკითხებისადმი ინტეგრირებულ, კომპლექსურ მიდგომას შეუძლია თქვას გადამწყვეტი სიტყვა.

ეკოლოგიური აღზრდა-განათლების პრობლემები რომ წარმატებით გადაიჭრას, აუცილებელია კომპლექსურად იქნეს გამოყენებული ჩვენ მიერ ზემოთ განხილული სწავლებისა და აღზრდის ფორმები, მეთოდები და პრინციპები.

#### **ლიტერატურა:**

1. ანთია მ., ეკოლოგიური განათლება, თბ., 2008.
2. ბასილაძე ნ., პედაგოგიკის საკითხები, ბათუმი, 1999.
3. თავდგირიძე ლ., მოსწავლეთა ეკოლოგიური აღზრდის ამოცანები, თბ., 2000.
4. მალაზონია შ., პედაგოგიკა, თბ., 2001.
5. საპატრიარქოს უწყებანი, №1, 10-16 ივნისი, თბ., 2008.
6. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, ილია II, ეპისტოლეები, სიტყვანი, ქადაგებანი, ტ. I, თბ., 1997.



*Lia Menteshashvili, Nino Chakhunashvili*

*Tbilisi Teaching University*

## **ECOLOGICAL EDUCATION - ACTUAL PROBLEM OF PEDAGOGICAL SCIENCE RESUME**

Current and future generation of modern world faces the tense relation in between a human being and the nature. In this sphere the main role has to play the strengthening of ecological education of population, elevating certain culture and improvement ecological education of students.

Current ecological situation clearly shows the necessity of certain requirements in educational system, public school students have to profoundly understand the secrets of the nature and its inner phenomenon.

The issue of ecological education exceeds the frame of a regular subject. Teachers' hard work, with the assistance of the adult family members and society can solve this problem.

Ecological education and development of primary habits of protecting the nature, as the contained part of moral education is related to divers family responsibilities.

Teaching process plays the important role not only in ecological education, but also in encouragement to love nature, flora and fauna. According to pedagogic-methodical requirements, relevant program material has to learn profoundly

Natural objects have the key role in the teaching process, where students have the opportunity to explore natural objects and elements using the sense organs.

As in any teaching program or in teaching process of any natural science subject, we have to be knowledgeable to use the following didactical principles: systematic and subsequent approach, to achieve a goal, to gain the knowledge, to accomplish, to manage, to show examples.

In order to solve the ecological educational problems successfully, the process has to be based on scientific sources. Teachers and parents have to know that the process of ecological education is based on following principles : 1. ambition 2. consideration of individual and age characteristics . 3. Teaching based on the positive principles. 4. requirement tasks considering the respect 5. educational influential principle 6. systematic and subsequent principle.

During the teaching process, It is necessary to use different methods of teaching as well as the principles: persuade, using its various characteristics (for example, explanation, ethical conversations), encouragement and punishment.

*ნოდარ მირაზანაშვილი*

*გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი*

### **საგანმანათლებლო რესურსების გამოყენება გაკვეთილებზე - მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების ეფექტური საშუალება**

თანამედროვე სკოლის წინაშე დგას ამოცანა, პრიორიტეტული გახადოს მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება. მასწავლებლის მიზანია გაკვეთილი გახადოს აქტიური, სახალისო და შთამბეჭდავი. ამ მიზნის მისაღწევად საგანმანათლებლო რესურსების გამოყენება მეტად ეფექტური საშუალებაა, რთული თეორიული მასალა ადვილად მისაწვდომი გახდეს მოსწავლეებისათვის. საგანმანათლებლო რესურსები გაკვეთილზე გამოყენებული უნდა იყოს, როგორც ცოდნის წყარო და მოსწავლეთა დამოუკიდებელი შემოქმედებითი საქმიანობის სასწავლო აქტივობა. ამდენად, რესურსები მნიშვნელოვნად ამაღლებს მოსწავლეთა მოტივაციას, ეხმარება მოსწავლეს გაკვეთილის უკეთ გაგებაში, სასწავლო პროცესი ხდება სახალისო და საინტერესო, იზრდება მოსწავლეთა ჩართულობა და უმჯობესდება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება. აქედან გამომდინარე, კარგად დაგეგმილი სასწავლო პროცესი გულისხმობს სხვა კომპონენტებთან ერთად სასწავლო რესურსების მოძიებას, მობილიზებასა და შექმნას.

საგანმანათლებლო რესურსი სასწავლო პროცესის აუცილებელი კომპონენტია, ამიტომაც ეთმობა მას ცალკე თავი ეროვნულ სასწავლო გეგმაში [2017-2023 წწ. ეროვნული სასწავლო გეგმა, თავი VI, საგანმანათლებლო რესურსები], სადაც ვკითხულობთ: „საგანმანათლებლო რესურსის ან თვალსაჩინოების სასწავლო პროცესში გამოყენება უნდა ემსახუროდეს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას. მისი შინაარსი, დიზაინი ან სხვა რაიმე ნიშანი არ უნდა

შეიცავდეს დისკრიმინაციულ ან/და დისკრედიტაციულ (მათ შორის, ენის, ეროვნების, სქესის, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების და სხვა ხასიათის) ელემენტებს.“

საგანმანათლებლო რესურსების შერჩევა დამოკიდებულია გაკვეთილის მიზანზე - როგორ დაეხმარება რესურსი საგნის შესწავლას. გაკვეთილზე საგანმანათლებლო რესურსების გამოყენებისას გათვალისწინებული უნდა იქნას რა ასაკის მოსწავლეებისთვის არის განკუთვნილი სასწავლო მასალა და შესაბამისი რესურსი; მოსწავლეთა ინტერესები რა საბაზისო უნარ-ჩვევებს ფლობენ და რომელი უნარების განვითარებას შეუწყობს ხელს. რა შედეგებს მოველით მოსწავლეებისგან ამ რესურსების გამოყენებით.

ნებისმიერი რესურსის მოპოვება საინტერესოდ და სასურველად მიიჩნევა - განსაკუთრებით მაშინ, როცა რესურსების ნაკლებობას განვიცდით, თუმცა, ამ შემთხვევაში მათი გამოყენების სტრატეგიის შემუშავება აუცილებელი პირობა უნდა იყოს. მართალია რესურსების რაოდენობის ზრდა სწავლისა და სწავლების ხარისხის ავტომატურად გაზრდას არ ნიშნავს, მაგრამ ცხადი ხდება, რომ სასწავლო პროცესში, რომელშიც მასწავლებლის პროფესიონალიზმი და სწორად შერჩეული რესურსები ერთმანეთს ერწყმის, სასწავლო შედეგები მნიშვნელოვნად დიდია.

კვლევის მიზანი იყო საგანმანათლებლო რესურსების გამოყენების სწავლებასთან დაკავშირებით არსებული პრობლემების დადგენა, მათი გადაჭრის გზების დასახვა, თანამედროვე სტანდარტების შესატყვისი სწავლების მეთოდების შემუშავება.

გაკვეთილის ან გაკვეთილების დაგეგმვის დროს ძალზე მნიშვნელოვანია განვიხილოთ, თუ როგორ უნდა გამოვიყენოთ რესურსები მიზანმიმართულად და ეფექტიანად. იმისათვის, რომ მასწავლებლის მიერ შექმნილი რესურსი იყოს ერთდროულად ეფექტიანიც და ეფექტურიც, აუცილებელია შემდეგი ასპექტების გათვალისწინება:

1. რესურსის მართებულად გამოყენება ნიშნავს იმას, თუ რამდენად შეესაბამება ის გაკვეთილის მიზანს. რესურსის შექმნისას მასწავლებელს მკაფიოდ უნდა ჰქონდეს წარმოდგენილი, რა ეფექტი შეიძლება ჰქონდეს მის მიერ შექმნილ რესურსს, დაეხმარება თუ არა ის დასახული შედეგების მიღწევაში.

2. მასწავლებლის მიერ შექმნილი რესურსი უნდა ითვალისწინებდეს მოსწავლეების ცხოვრებისეულ თუ სასწავლო გამოცდილებას, მან იმდენად უნდა დააინტერესოს მოსწავლე, რომ იმავე თემის შესახებ უფრო მეტი ინფორმაციის გაგებისა და მოძიების სურვილი გაუჩნდეს.

3. რესურსმა უნდა უზრუნველყოს მოსწავლეთა ჩართულობა და გაუძლიეროს მათ თანამშრომლობის სურვილი. რესურსი, რომელიც მოითხოვს ერთად ფიქრს, ერთად კეთებას და ამ კეთებით რაღაცის აღმოჩენას, ამ შემთხვევაში შეგვიძლია თქვა, რომ ჩვენ მიერ შექმნილმა „პროდუქტმა“ გაამართლა.

4. მნიშვნელოვანია, რომ რესურსი არ იყოს ორიენტირებული მოსწავლეების რომელიმე ერთი უნარის განვითარებაზე, არამედ იძლეოდეს უნარები კომპლექსურად განვითარების საშუალებას. მაგალითად, სასწავლო ფილმის შექმნისას მასწავლებელს შეუძლია ჩართოს მოსწავლეები სცენარის წერაში (წერის უნარი), ფილმის გახმოვანებაში (ზეპირმეტყველების უნარი, მიიღოს მათგან რჩევები ხედებისა და რაკურსების შესარჩევად (სივრცითი ინტელექტი), დააფიქროს განათების წყაროზე (ფიზიკაში მიღებული ცოდნის ტრანსფერის უნარი) და ა.შ.

5. რესურსი უნდა მისდევდეს გარკვეულ სქემას და იყოს თანმიმდევრული. ორგანიზებულიობა მნიშვნელოვანი კომპონენტია რესურსის შედგენისას. როცა მასწავლებელს თავიდანვე აქვს განსაზღვრული რესურსის მიზნები, შეძლებს თანმიმდევრულად დაალოგოს მასალა, რომელიც მოსწავლეებს მისცემს საკითხის აღქმის, გააზრებისა და განზოგადების საშუალებას.

6. რესურსმა უნდა წახალისოს მოსწავლეები ჩაუღრმავდნენ საკითხს, გაანალიზონ, შეხედონ სხვადასხვა კუთხიდან, დაადგინონ კანონზომიერებები.

7. რესურსს უნდა ერთვოდეს მკაფიო და ადვილად გასაგები ინსტრუქცია, მიწოდებული იმ ენით, რომელიც შეესაბამება სამიზნე მოსწავლეთა ცოდნის დონეს.

8. რესურსმა უნდა უზიაროს მოსწავლეებს, გამოიყენოს სწავლის სხვადასხვა სტრატეგია, რათა შემდეგ თავად შეძლონ დამოუკიდებლად საკუთარი სწავლის პროცესის დაგეგმვა, საკუთარ თავისებურებებზე მორგებული ეფექტიანი სტრატეგიების გამოყენება.

9. რესურსი უნდა ემყარებოდეს სანდო წყაროებს. მოსწავლეებმა უნდა აღიქვან, მოისმინონ და წაიკითხონ ის მასალა, რომლის მეშვეობითაც გაიღრმავებენ ცოდნას, ამიტომ აუცილებელია, რესურსის შექმნისას მასწავლებელმა იხელმძღვანელოს ავთენტური წყაროებით – ენციკლოპედიით, სამეცნიერო-პოპულარული ნაშრომებით, სხვადასხვა სახის ლექსიკონებით, რომლებიც მოსწავლის ცოდნის დონის შესაბამისად იქნება ადაპტირებული და დამუშავებული.

10. რესურსმა უნდა უზიაროს მოსწავლეს, მიღებული ცოდნა გამოიყენოს საკლასო ოთახის გარეთაც, დაუკავშიროს ის რეალობას, პრაქტიკას.

11. რესურსის ეფექტიანობას განსაზღვრავს ისიც, თუ რამდენად ფართოა მისი გამოყენების არეალი, შეიძლება თუ არა ერთი და იგივე რესურსი გამოვიყენოთ სხვადასხვა აქტივობისათვის, სხვადასხვა საგანში და სხვადასხვა უნარ-ჩვევების განსავითარებლად.

12. დაბოლოს, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, თუ რამდენად უსაფრთხოა რესურსი, უნდა მოვერიდოთ მსხვრევადი, ტოქსიკური ნივთიერების შემცველი მასალის, ბასრი საგნების/დეტალების გამოყენებას და ა.შ. ერთი შეხედვით უსაფრთხო რესურსი შესაძლოა სახიფათო აღმოჩნდეს კონკრეტული ასაკობრივი ჯგუფისათვის, ამიტომ რესურსის შეთავაზებისას მასწავლებელმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ნებისმიერი რისკი და წინასწარ მიიღოს ზომები მისი თავიდან აცილებისათვის.

რესურსების გულისყურით შერჩევას, შესაბამისი სახით წარდგენას და მათ მიზნობრივ გამოყენებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სწავლების პროცესში. სხვადასხვა სახის სასწავლო რესურსი ის საკომუნიკაციო საშუალებაა, რომელმაც მოსწავლეში უნდა განავითაროს აზროვნება, შემოქმედებითობა, დაკვირვება, კვლევა, ესთეტიკური გემოვნება და სხვა. ასევე ხელი უნდა შეუწყოს მოსწავლეებში ინფორმაციის ვიზუალურად მიღებასა და გაგებას; სწავლის, ანალიზის, კვლევისა და სხვა უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას.

დამხმარე საშუალებების, მასალებისა და რესურსების შერჩევა დამოკიდებულია გაკვეთილის მიზანზე. ამიტომ მასწავლებელმა გაკვეთილის დაგეგმვის დროსვე უნდა გაითვალისწინოს, თუ რა სახის რესურსი სჭირდება და როგორ გამოიყენებს მას მიზნობრივად და ეფექტურად.

წარმატებული და შედეგზე ორიენტირებული სწავლებისათვის გამოსაყენებელი რესურსების ეფექტიანობის შესამოწმებლად მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა გაითვალისწინოს რამდენიმე ფაქტორი, კერძოდ, რამდენად შესაძლებელია სასწავლო რესურსების დახმარებით:

- გავეუღვივოთ მოსწავლეებს სწავლის სურვილი (ხელს უწყობს თუ არა სასწავლო რესურსები მოსწავლეებში სწავლის მიმართ მოტივაციას, ინტერესის აღძვრას);

- მოსწავლეებმა შეძლონ სწავლა კეთებით (უწყობს თუ არა ხელს რესურსების გამოყენება სწავლას გამოცდილების საფუძველზე, პრაქტიკით);

- მოსწავლეებმა შეძლონ უკუგება (შეუძლიათ თუ არა მოსწავლეებს გადმოსცენ, რა ისწავლეს გაკვეთილზე რესურსის გამოყენებით, რა ისწავლეს ერთმანეთისგან და მასწავლებლისგან);

- მოსწავლეებმა შეძლონ მასალის ათვისება (დაეხმარება თუ არა ეს რესურსი ნასწავლის უფრო უკეთ გააზრება-გაგებას).

სასწავლო გარემოს მოწყობისა და რესურსების შექმნის პროცესში ძალიან მნიშვნელოვანია მოსწავლის ჩართვა. მოსწავლეებს თავად, მასწავლებლის ხელმძღვანელობით შეუძლიათ შექმნან სხვადასხვა სახის რესურსი მაგ: მოდელები, მაკეტები, კოლექციები, ამონაბეჭდები ჟურნალ-გაზეთებიდან, წიგნები, კარიკატურები, პლაკატები და ა.შ.). ამავე დროს შეიძლება სტუმრის (მოწვეული მეცნიერის, სპეციალისტის და ა.შ.) კონსულტაციების გამოყენებაც.

სასწავლო მასალების გარდა, მნიშვნელოვან რესურსს წარმოადგენს ის გარემო/სივრცე, სადაც სასწავლო პროცესი მიმდინარეობს. ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება საკლასო ოთახის მოწყობას. იმ შემთხვევაშიც კი, როცა კლასში სასწავლო ინვენტარი და მასალები იდეალურადაა განლაგებული, მაინც სასურველია დროდადრო კლასის ინტერიერის რეორგანიზება. ერთგვაროვან სივრცეში ბავშვისთვის მომაბეზრებელი ხდება ყოფნა და შესაბამისად, სწავლის პროცესიც. გარემოს შეცვლის კიდევ ერთი საშუალება ასევე არის ღია ცის ქვეშ გაკვეთილის ჩატარება. მაგალითად, ღია ცის ქვეშ წარმატებით შეიძლება ჩავატაროთ ბუნებაში, მუზეუმში, საგამოფენო დარბაზში, ისტორიულ ძეგლებთან, ბოტანიკურ ბაღში, დაცულ ტერიტორიებზე, საწარმოებში და ა.შ.

პოზიტიური საკლასო გარემოს შექმნა. კარგად ორგანიზებული სასწავლო გარემო მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის ურთიერთობას აუმჯობესებს, ზრდის მოსწავლეთა აკადემიურ მოსწრებას, მნიშვნელოვანი უნარ-ჩვევების განვითარებას და პოზიტიური დამოკიდებულებების ჩამოყალიბებას განაპირობებს. რაც უფრო ხალისიანი და კომფორტულია საკლასო გარემო, მით უფრო ჯანსაღი და გულწრფელი დამოკიდებულებაა მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის.

საკლასო ოთახის სასწავლო დანიშნულების ზონებად დაყოფა სხვადასხვა მიზანს ემსახურება. სივრცის განაწილებისას მასწავლებელმა შემდეგი ფაქტორები უნდა გაითვალისწინოს: მოსწავლეთა ასაკი, სწავლების საფეხური, გაკვეთილის გეგმით განსაზღვრული მიზნები და მისაღწევი შედეგები, მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები და ა.შ. სამუშაო ზონის სიმყუდროვე და კომფორტულობა ბავშვებს დავალების შესრულების მოტივაციას უმაღლებს. ეფექტურია, როდესაც საკლასო ოთახის კედლებს მოსწავლეები საკუთარი მოსაზრებების გამოსახატავად იყენებენ. კლასის საინტერესო და მიმზიდველ იერსახეს განაპირობებს კედლების შეფერილობა და ისეთი დეკორაციები, როგორიცაა საინფორმაციო და საგამოფენო დაფა, პოსტერები და პლაკატები.

ცნობილია საგანმანათლებლო რესურსების 3 სახე: საგნობრივი, გამოსახულებითი, პირობითი.

საგაკვეთილო პროცესში სწავლებაში დიდი ადგილი უნდა ეთმობოდეს საგნობრივი მასალების გამოყენებას. არტეფაქტები, საყოფაცხოვრებო ნივთები, აქსესუარები, ჰერბარიუმები, სასახლეები, ციხესიმაგრეები, ეკლესია-მონასტრები, სამუზეუმო ექსპონატები და სხვ. მნიშვნელოვნად უწყობენ ხელს მოსწავლეს ნასწავლი მასალის უკეთ გააზრებაში. საჭიროა სწორად შერჩევა და მათი ეფექტურად გამოიყენება არა მარტო ექსკურსიების მოწყობით, არამედ გაკვეთილზე პრეზენტაციებით, აუდიო და ვიდეო მასალებით, დაუსწრებელი, ვირტუალური მოგზაურობებით;

გამოსახულებითი მასალა ეს არის რაიმე მოვლენის, ძეგლის ან ისტორიულ პიროვნებების გამოსახულებები (იგულისხმება ილუსტრაციები, ფოტოსურათები, კარიკატურები, მხატვრული, სასწავლო-სამეცნიერო და დოკუმენტური კინოფილმები

პირობითი მასალა ამა თუ იმ მნიშვნელოვანი ადგილს, ფაქტსა და მოვლენას გადმოგვცემს პირობითი ნიშნების მეშვეობით (მაგ.: სქემები, ანიმაციური რუკები, დიაგრამები, ტაბულები, გრაფიკები, ცხრილები, აპლიკაციები, მაკეტები, მოდელები, რეკონსტრუქციები და სხვ.).

დღეისათვის საქართველოს სკოლებში აქტიურად ინერგება სწავლების თანამედროვე მეთოდები და ტექნოლოგიები. ამ მიმართულებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება სკოლების და მასწავლებლების აქტიურობასა და ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებას. გამომდინარე იქიდან, რომ სკოლებში თანამედროვე ტექნოლოგიების წვდომის განსხვავებული სურათია, ბევრია დამოკიდებული, მასწავლებელი როგორ განსაზღვრავს გაკვეთილის სცენარში ტექნოლოგიების ჩართვის სქემას. მან გონივრულად უნდა შეათანხმოს ტექნოლოგიური საშუალებები გაკვეთილის სასწავლო მიზანთან, რათა უფრო ეფექტურად გავიდეს სასურველ შედეგზე. ტექნოლოგია უნდა იყოს დამხმარე საშუალება როგორც მასწავლებლისთვის, ისე მოსწავლისთვის. მასწავლებელმა კარგად უნდა დაუკავშიროს ერთმანეთს საკლასო მენეჯმენტი და მის მიერ არჩეული სასწავლო მეთოდები, სასწავლო რესურსები, სტრატეგიები და აქტივობები. სასწავლო პროცესში ტექნოლოგიების სწორად გამოყენება უზრუნველყოფს მოსწავლის სათანადო კონცენტრაციას სასწავლო ამოცანის გადაჭრაზე, რომელიც შეიძლება ინოვაციური ფორმით იყოს წარმოდგენილი (მაგალითად, სასწავლო თამაში, სიმულაცია, ინტერნეტ-საინფორმაციო რესურსი, ვიდეო ან აუდიო მასალა და სხვ.) ინტერნეტ-რეგოლუციამ ძირეული ცვლილებები შეიტანა ინფორმაციის გადაცემისა და ცოდნის მიღების ფორმებსა და მასშტაბებში. სულ უფრო მეტი სახელმძღვანელო თუ სასწავლო მასალაა ხელმისაწვდომი ელექტრონულ ფორმატში. ამრიგად,

1. ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები საუკეთესო საშუალებაა სასწავლო პროცესის დასაგეგმად;

2. სხვადასხვა სასწავლო რესურსების მოსამზადებლად შეუძლია მონაცემებისა და ინფორმაციის წყაროების შერჩევა და გამოყენება, მათ შორის კვლევითი სამუშაოს დაგეგმვისა და წარმართვისათვის;

3. სწავლა-სწავლებისათვის ისტ-ით გამდიდრებული ეფექტური და ორგანიზებული სასწავლო გარემოს შესაქმნელად, პასიური ცოდნის მიღებიდან აქტიურ სწავლაზე გადასასვლელად.

ისტ-ის საშუალებების გამოყენება ხელს უწყობს მოსწავლეთა ისეთი უნარ-ჩვევების განვითარებას, როგორცაა: სივრცესა და დროში ორიენტირება, ინფორმაციის მოპოვება და ორგანიზება, კომუნიკაცია, სწავლის უნარი, კვლევა, შემოქმედებითი უნარი, თვალსაჩინოებების გამოყენება და შექმნა, ისტორიული მოვლენების, პროცესებისა და კანონზომიერებების დადგენა, თანამშრომლობა და პრობლემური საკითხების გადაჭრა. ასევე უვითარებს კრიტიკულ და შემოქმედებით აზროვნებას.

აუდიოვიზუალური საგანმანათლებლო რესურსი - სატელევიზიო აპარატურა, პროექტორი, კომპიუტერი, ელექტრონული სახელმძღვანელოები, ისტ-ის ლაბორატორიები, ავტომატიზებული კლასები და ა.შ. აუდიოვიზუალური ერთდროულად მოქმედებს ორ ანალიზატორზე, სმენასა და მხედველობაზე, რაც განსაზღვრავს მის მიზიდველობას, შინაგანი მოტივაციის ამაღლებას. ტელევიზიისა და ინტერნეტის მეშვეობით მოსწავლეს საშუალება ეძლევათ გაეცნონ სხვადასხვა ჟანრის ფილმებს - ეს იქნება მხატვრული, დოკუმენტური, სამეცნიერო-პოპულარული, სასწავლო პუბლიცისტური თუ სხვა სახის კინოპროდუქცია. ხშირად მოსწავლეები ფილმების საშუალებით იღებს ინფორმაციას მიმდინარე პროცესების შესახებ. დასავლეთის ქვეყნებში უკვე დიდი ხანია მნიშვნელოვანი როლი ენიჭება კინოფილმებისა და სასწავლო ფილმების გამოყენებას სწავლების პროცესში, რაც ჩვენს სკოლებში ფართოდ ინერგება. სასწავლო პროცესში ფილმების გამოყენება მასწავლებლებს საშუალებას მისცემს ბევრად უფრო მრავალფეროვანი და საინტერესო გახადონ სწავლების პროცესი. თუმცა ფილმების გამოყენებისას გასათვალისწინებელია, რომ იგი შეიძლება ვერ ასახავდეს წარსულის რეალობას, ადგილი ჰქონდეს ფაქტობრივ შეცდომებს, ტენდენციურობას, ან განიცდიდეს სცენარისტი და რეჟისორი მსოფლმხედველობრივ გავლენას. უმჯობესია მინი ლექციით მიეწოდოს თუ რა ისტორიულ ეპოქასა და ვითარებაში იქმნებოდა ეს ფილმი - ხომ არ აღმოჩნდნენ მისი შემქმნელები სახელმწიფო ცენზურის ან

საზოგადოებაში გამეფებული სტერეოტიპების წნეხის ქვეშ, რომელიც მათ საშუალებას მისცემს გამოწვავონ რეალობისგან განსხვავონ.

სასურველია ისტ რესურსების მაქსიმალური გამოყენება, რადგან იგი უფრო მეტია, ვიდრე ელექტრონული ფურცელი ან პლაკატი, განსხვავებით ბეჭდური პლაკატისა თუ რუკისაგან, რომლებიც მხოლოდ მასალის დემონსტრირებისთვისაა განკუთვნილი. ელექტრონულ ინსტრუმენტებს აქვთ საშუალება მოსწავლეებამდე მასალა მივიტანოთ არა მარტო უფრო "ცოცხლად" და ეფექტურად, არამედ ჩავრთოთ ისინი ახალი სასწავლო რესურსის შექმნაში. კარგი იქნება მოსწავლეებს მივცეთ საშინაო დავალებად, მოიძიონ ინტერნეტში მასალა, რომელსაც გამოიყენებენ პრეზენტაციების წარდგენისას, კლიპის მოსამზადებლად და სხვ. დავალება შეიძლება იყოს როგორც ინდივიდუალური, ისე ჯგუფური. ამგვარი დავალებები ზრდის მოტივაციას, მოსწავლეები ხალისით მუშაობენ კომპიუტერთან.

იმისათვის, რომ დაგვედგინა რამდენად მნიშვნელოვანია რესურსების გამოყენება სწავლა-სწავლების პროცესში, საბაზო და საშუალო საფეხურის 30 მოსწავლე გამოვკითხეთ ქ. გორის IV საჯარო სკოლაში.

ანკეტა მოიცავდა შემდეგ კითხვებს:

1. საგანმანათლებლო რესურსების გამოყენება ხელს უწყობდა სწავლას;
2. მასწავლებლის მიერ ახსნილი ახალი მასალა უფრო გასაგები იყო;
3. რესურსების გამოყენება ეფექტურად იყო დაგეგმილი;
4. რესურსების გამოყენება ხელს უწყობდა ჩემს ჩართულობას გაკვეთილზე;
5. ვიზუალური მასალა იყო საკმარისი;
6. გამოყენებული საგანმანათლებლო რესურსები შეესაბამებოდა გაკვეთილის შინაარსს;
7. საგანმანათლებლო რესურსები ახალისებდა დისკუსიაში ჩემს ჩართულობას.

შესაბამისად, მოსწავლეებს უნდა გაეცათ პასუხი:

1. საერთოდ არ ვეთანხმები; 2. არ ვეთანხმები; 3. ნაწილობრივ ვეთანხმები; 4. სრულიად ვეთანხმები.

პირველ შეკითხვაზე (საგანმანათლებლო რესურსების გამოყენება ხელს უწყობდა სწავლას) 30 მოსწავლიდან გამოკითხულ მოსწავლეთა 56,7% თვლის, რომ საგანმანათლებლო რესურსების გამოყენება ხელს უწყობდა მათ სასწავლო პროცესში, მოსწავლეთა 30% ნაწილობრივ ეთანხმება აღნიშნულ თეზისს, მოსწავლეთა 10% არ ეთანხმება, ხოლო 3,3%-სათვის საგანმანათლებლო რესურსების გამოყენება სრულიად არ უწყობდა ხელს სწავლაში.

მეორე შეკითხვაზე (მასწავლებლის მიერ ახსნილი ახალი მასალა უფრო გასაგები იყო) 30 მოსწავლიდან გამოკითხულ მოსწავლეთა 60% მიაჩნია, რომ რესურსების გამოყენებით მასწავლებლის მიერ ახსნილი ახალი მასალა უფრო ადვილი იყო გასაგებად, მოსწავლეთა 23,3% ნაწილობრივ ეთანხმება, 10% არ ეთანხმება აღნიშნულ თეზისს, ხოლო 6,7%-სათვის სრულიად არ იყო ახალი მასალა უფრო ადვილად გასაგები, როდესაც მასწავლებელი რესურსებს იყენებდა.

მესამე შეკითხვაზე (რესურსების გამოყენება ეფექტურად იყო დაგეგმილი) 30 მოსწავლიდან 40% თვლის, რომ მასწავლებლის მიერ რესურსების გამოყენება ეფექტურად იყო დაგეგმილი, მოსწავლეთა 33,3% ნაწილობრივ ეთანხმება აღნიშნულ თეზისს, მოსწავლეთა 16,7% არ ეთანხმება, ხოლო 10%-სათვის საგანმანათლებლო რესურსების გამოყენება სრულიად არ იყო ეფექტურად დაგეგმილი.

მეოთხე შეკითხვაზე (რესურსების გამოყენება ხელს უწყობდა ჩემს ჩართულობას გაკვეთილზე) 30 მოსწავლიდან 66,7% თვლის, რომ საგანმანათლებლო რესურსების გამოყენება ხელს უწყობდა მათ ჩართულობას გაკვეთილზე, მოსწავლეთა 23,3% ნაწილობრივ ეთანხმება აღნიშნულ თეზისს, მოსწავლეთა 6,7% არ ეთანხმება, ხოლო 3,3%-სათვის საგანმანათლებლო რესურსების გამოყენება სრულიად არ უწყობდა ხელს მოსწავლის ჩართულობას გაკვეთილზე.

მეხუთე შეკითხვაზე (ვიზუალური მასალა იყო საკმარისი) 30 მოსწავლიდან 30% თვლის, რომ ვიზუალური მასალა იყო საკმარისი, მოსწავლეთა 36,7% ნაწილობრივ ეთანხმება აღნიშნულ თეზისს, მოსწავლეთა 20% არ ეთანხმება, ხოლო 13,3%-სათვის ვიზუალური მასალა სრულიად არ იყო საკმარისი.

მექვსე შეკითხვაზე (გამოყენებული საგანმანათლებლო რესურსები შეესაბამებოდა გაკვეთილის შინაარსს) 30 მოსწავლიდან 33,3% თვლის, რომ სასწავლო პროცესში გამოყენებული რესურსები სრულიად შეესაბამებოდა გაკვეთილის შინაარსს, მოსწავლეთა 46,7% ნაწილობრივ ეთანხმება აღნიშნულ თეზისს, მოსწავლეთა 13,3% არ ეთანხმება, ხოლო 6,7%-სათვის სასწავლო პროცესში საგანმანათლებლო რესურსები სრულიად არ შეესაბამებოდა გაკვეთილის შინაარსს.

მეშვიდე შეკითხვაზე (საგანმანათლებლო რესურსები ახალისებდა დისკუსიაში ჩემს ჩართულობას) 30 მოსწავლიდან 36,7% თვლის, რომ საგანმანათლებლო რესურსები ახალისებდა დისკუსიაში მოსწავლის ჩართულობას, მოსწავლეთა 50% ნაწილობრივ ეთანხმება აღნიშნულ თეზისს, მოსწავლეთა 10% არ

ეთანხმება, ხოლო 3,3%-სათვის საგანმანათლებლო რესურსები სრულიად არ ახალისებდა მოსწავლის ჩართულობას დისკუსიაში.

ზემოთ აღნიშნული ანალიზიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მოსწავლეთა დაახლოებით 80% ხელშემწყობ ფაქტორად მიიჩნევენ საგანმანათლებლო რესურსების გამოყენებას სწავლის პროცესში.

ამრიგად:

➤ სასწავლო პროცესში აუცილებელია მრავალფეროვანი საგანმანათლებლო რესურსების გამოყენება როგორც მასწავლებლებისათვის, ასევე მოსწავლეებისათვის.

სასწავლო რესურსის შექმნის დროს მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს შემდეგი:

➤ დაადგინოს ლოგიკური კავშირი გაკვეთილის სასწავლო მიზნებს, აქტივობებს, საგანმანათლებლო რესურსებსა და შეფასების კრიტერიუმებს შორის;

➤ განსაზღვროს, რამდენად უწყობს ხელს რესურსი სწავლის უნარის განვითარებას და ინტეგრირებას, მასალის სიღრმისეულ წვდომას;

➤ განსაზღვროს, რა არის რესურსში ისეთი, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა მოტივაციას;

➤ რესურსი უნდა იყოს მოსწავლეთა ასაკობრივი ჯგუფისათვის შესაბამისი (გასაგები), სანდო წყაროებიდან მოპოვებული, გარკვეულ სქემას მორგებული და თანმიმდევრული, მოქნილი და ადვილად გასაგები ინსტრუქციით აღჭურვილი.

➤ საგანმანათლებლო რესურსები გაკვეთილებზე გამოყენებული უნდა იყოს, როგორც ცოდნის წყარო და მოსწავლეთა დამოუკიდებელი შემოქმედებითი საქმიანობის სასწავლო აქტივობა.

#### ლიტერატურა:

1. ეროვნული სასწავლო გეგმა, 2017-2023 წ.წ.
2. მ. ინასარიძე, ს. ლობჟანიძე, მ. რატანი, ი. სამსონია, მასწავლებელთა საქმიანობის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის გზამკვლევი, ნაწ. II, თბ., 2016.
3. ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო პროცესში, მასწავლებელთა ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ტრენინგის პროგრამა, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2011 წელი;
4. სასწავლო რესურსი - რესურსის შეფასების კრიტერიუმები, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2016 წელი;
5. საგანმანათლებლო რესურსების ეფექტიანი გამოყენება - II ეტაპი, სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ტრენინგ-პროგრამა, 2005 წელი.

*Nodar Mirazanashvili*

*Gori State Teaching University*

### **APPLICATION OF EDUCATIONAL RESOURCES AT THE LESSON – AN EFFECTIVE TOOL TO INCREASE MOTIVATION AMONG STUDENTS RESUME**

The objective of the modern school is to make student oriented teaching as a priority. The goal of a teacher is to make a lesson active, interesting and impressive and to achieve this goal application of educational resources is the most efficient measure. This helps also to easily digest a difficult theoretical material.

The paper identifies the problems related to application of educational resources in teaching and provides the solutions to the problems. It also elaborates the teaching methods being in line with the modern standards. The paper also suggests how the resources should be used effectively and efficiently.

The paper, on the bases of the analysis, concludes that 80 % of the students consider that application of educational resources in the process of teaching is a supportive factor to increase a motivation among students.

## **მინი ჭიდაობის შედეგად მიღებული დადებითი მაჩვენებლები**

სასწავლო-საწვრთნო პროცესის ეფექტურობის ამაღლების მიზნით ჩვენ მიერ გორის რაიონის სოფელ ქორდის თავისუფალი ჭიდაობის სექციაში ჩატარებული იყო პედაგოგიური ექსპერიმენტი, რომელიც ითვალისწინებდა მოსწავლეთა ტექნიკური და ტაქტიკური შესაძლებლობების ამაღლებას. პედაგოგიურმა ექსპერიმენტმა მოგვცა საშუალება დაგვედგინა ქორდის თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა მიერ შესრულებული რთულად კოორდინირებული ტექნიკურ-ტაქტიკური მოქმედებების ეფექტიანობა. ამ ამოცანის გადასაჭრელად დაკომპლექტებული იყო ორი ჯგუფი საექსპერიმენტო - „ა“ და საკონტროლო „ბ“.

საექსპერიმენტო ჯგუფის მოჭიდავეთათვის ილეთების ათვისება, შესწავლა და სრულყოფა სრულდებოდა კონცენტრული მეთოდის მიხედვით, საკონტროლო ჯგუფში ილეთების შესწავლა მიმდინარეობდა ზოგადად ცნობილი მეთოდიკების მიერ.

იმისათვის, რომ დაგვედგინა მოფიქრებული და დამუშავებული ილეთების შესწავლის მეთოდიკის ეფექტიანობა, აუცილებელი იყო ამ მეთოდიკის გამოცდა საშეჯიბრო მოღვაწეობის მიმდინარეობის პროცესში, რადგან შეჯიბრი არის ობიექტური სურათი იმისათვის, რომ დავადგინოთ სპორტსმენის და, კერძოდ, მოჭიდავის რეალური მონაცემები და შესაძლებლობები.

ამ პროგრამის განსახორციელებლად და მიზნის შესასრულებლად ჩვენ მოვიფიქრეთ და დავამუშავეთ ეგრეთ წოდებული „მინი-ჭიდაობის“ წესები, რომლებიც პრინციპულად არ განსხვავდება ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის მიერ დადგენილი წესებისაგან, მაგრამ აქვს თავისი მოთხოვნები და შეზღუდვები ვარიანტების მიხედვით.

„მინი ჭიდაობის“ გამოყენებამ საშუალება მოგვცა დროის მოკლე პერიოდში გამოგვევლინა და დაგვედგინა მოჭიდავეთა შესაძლებლობები, ტექნიკური მოქმედების შესრულების ხარისხი.

„მინი ჭიდაობის“ წესების სპეციფიკა შემდეგნაირია:

ჭიდაობა ტარდება შეზღუდულ წრეში, რომლის დიამეტრი არის 5 მეტრი, ჭიდაობის ხანგრძლივობა არის 3 წუთი.

ჩვენ მიერ დამუშავებული იყო „მინი ჭიდაობის“ ოთხი ვარიანტი:

1. პირველ ვარიანტში შესაძლებელია ილეთების შესრულება ხელების მეშვეობით (იკრძალება ფეხის, ფეხების მოვლება) და ილეთების ზურგის შეტრიალებით;
2. მეორე ვარიანტში შესაძლებელი მხოლოდ ილეთების შესრულება, რომელიც გამოიყენება და სრულდება ფეხით. (ილეთები ქართული ჭიდაობიდან);
3. მესამე ვარიანტი არის პირველი და მეორე ვარიანტის კომბინაცია. ე.ი. შესაძლებელია ორივე ვარიანტში წარმოდგენილი ილეთების გამოყენება;
4. მეოთხე ვარიანტში არ იყო შეზღუდვა ილეთების შესრულებაში, მაგრამ იყო შეზღუდვა შესრულებული ილეთების ქულებში. როდესაც საექსპერიმენტო ჯგუფის მოჭიდავეები ასრულებდნენ 4 ქულიან გდებას, გადაყვანას, წაქცევას, მათ მიერ შესრულებული გდება ფასდებოდა - 2 ქულით. იმ შემთხვევაში, როდესაც ქორდის მოჭიდავეთა სექციის წარმომადგენლები ასრულებდნენ ორ ქულიან ილეთს, მათი შეფასება იყო 1 ქულა.

„მინი ჭიდაობა“ არის თავისუფალი ჭიდაობის საშეჯიბრო მოღვაწეობასთან მიმსგავსებული საშეჯიბრო მოღვაწეობა.

ჩვენ მიერ მოფიქრებული და გამოყენებული მინი ჭიდაობის წესები ასახავს თავისუფალი ჭიდაობის საშეჯიბრო მოღვაწეობის მიკროეპიზოდებს.

- საჭიდაო მონაკვეთის (ხალიჩის) შეზღუდვა ე.ი. ფართობის შემცირება გვამლევს იმის საშუალებას, რომ მოჭიდავეებმა მეტად იაქტიურონ, მეტად და მრავალფეროვნად შეასრულონ ტექნიკური მოქმედებები, რაც შეიძლება ნაკლებად შეასრულონ დიდ ჭიდაობაში, სადაც საჭიდაო სივრცე გაცილებით დიდია. ამ შემთხვევაში, როდესაც მოჭიდავე იმყოფება შეხვედრის მომგებიან სიტუაციაში, მას შეუძლია წარმოდგინოს თავისი აქტიურობა ტექნიკური მოქმედებების იმიტაციით.

- შეზღუდულ მოედანზე ჭიდაობა ამ წესებით, მოგეხსენებათ, გვამლევს საშუალებას, რომ განვაკითხოთ მოჭიდავის ტაქტიკური ანალიზატორები, ჩვენ ვიცით, რომ თავისუფალი სტილის ჭიდაობაში მოჭიდავეს ესაჭიროება ყველა ანალიზატორის განვითარება და სრულყოფა ჭიდაობის მსგავსი პირობები და წესები გამარჯვებაში მეტ უპირატესობას აძლევს ისეთ მოჭიდავეებს, რომლებიც არიან

ტექნიკური მოჭიდავეები (სათამაშო სტილი), რომლის არსენალი მოიცავს ტექნიკური მოქმედებების მრავალრიცხოვან და მრავალფეროვან კომპლექსს. ამ შემოხვევაში მოგება ხდება ტექნიკური ოსტატობის ხარისხის საფუძველზე და არა ძალისმიერი ზეწოლისა და პრესინგის შედეგად მოწინააღმდეგეზე შეხვედრის პროცესში. მინი ჭიდაობის საშეჯიბრო მოღვაწეობის ანალიზის შედეგად შეიძლება ითქვას ის, რომ საექსპერიმენტო (ჩვენი) ჯგუფი საგრძნობლად გამოირჩევა საკონტროლო ჯგუფისგან შესრულებული საშეჯიბრო პროცესში ილეთების მრავალფეროვნებით და სირთულით ყველა შემთხვევაში აღნიშნულ ვარიანტში. საკონტროლო ჯგუფის მოჭიდავეების არსენალი შედგება ძირითადად ილეთებისაგან, რომელიც დაკავშირებულია გადაყვანებთან, გდებებთან და წაქცევებთან ერთი ან ორი ფეხის მოვლების შემდეგ.

საექსპერიმენტო მოჭიდავეების მიერ ათვისებული და დამუშავებული ტექნიკური მოქმედებების მრავალფეროვნება და რაოდენობა აძლევს მათ საშუალებას წარმატებულად წარმართონ შეხვედრები. ამავდროულად რთულადკოორდინირებული ილეთები შეხვედრებში მათ აძლევთ დიდ ქულებს (შეფასებას).

აქედან გამომდინარე, ჩვენ მიერ შემოთავაზებული და გამოყენებული ტექნიკური მოქმედებების სწავლების - საშუალებებსა და მეთოდებს მოაქვს კარგი შედეგი საშეჯიბრო მოღვაწეობაში. ჩატარებული მინი ჭიდაობის შედეგებმა გვიჩვენეს, რომ ჩვენი მეთოდიკით მოვარჯიშე მოჭიდავეები ორჯერ მეტად ფლობენ მრავალფეროვან ილეთებს და ასრულებენ მათ დიდი ეფექტურობითა და შეფასებით.

#### ლიტერატურა:

1. . . . . „ . . . . . ” . . . . . „ . . . . . , 1984.
2. . . . . . . . . . . , 1986.
3. . . . . „ . . . . . ” , 1964.
4. . . . . . . . . . . , 1967.

**Giorgi Mdzinarashvili**  
*Gori State Teaching University*  
**POSITIVE RESULTS RECEIVED BY MINI-WRESTLING**  
**RESUME**

The results of mini-fighting competitions showed that fighters of experimental group make progress more than fighters of control group in the multivariate situations and regimes at the expense of the possession of complicate coordinated technical activities.

*პაატა ქურდაძე*  
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

### **პიროვნებისა და სოციუმის ურთიერთმიმართების პრობლემა „ვეფხისტყაოსანში“**

ცნობილია, რომ პიროვნების ფორმირებაზე მოქმედებს როგორც მემკვიდრეობითი, (თანდაყოლილი), ასევე გარემო ფაქტორები. გარემოს მოქმედებას პიროვნების განვითარებაზე ძირითადად განიხილავენ ეგრეთწოდებული ფსიქო-სოციალური განვითარების თეორიები. ამ სახის თეორიებში მთავარი ამოსავალი ფაქტორია ადამიანის, ინდივიდის დამოკიდებულება და მიმართება საზოგადოებასთან, იგივე სოციუმთან და მის ცალკეულ წევრებთან. ადამიანს როგორი ურთიერთობა და მიმართება აქვს სოციუმთან, სოციუმიც ისეთივე ადეკვატურად რეაგირებს მასზე. აქედან გამომდინარე ადამიანის მიმართება და ურთიერთობა სოციუმთან ისე უნდა წარიმართოს, რომ ამან არ გამოიწვიოს სოციუმში გაღიზიანება, არ აღძრას უარყოფითი განწყობა და უარყოფითი იმპულსები. ადამიანის სოციუმთან მიმართების პრობლემატიკა კაცობრიობის განვითარების ყველა ეტაპზე მეტად მნიშვნელოვანი იყო, ადამიანთა მშვიდობიანი თანაარსებობისა და შემოქმედებითი საქმიანობისათვის. ეს



საკითხი დღესაც მეტად მნიშვნელოვანია თანამედროვე დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბებისა და განვითარების ფონზე. ხსენებული საკითხი თვალსაჩინოდაა წარმოდგენილი მსოფლიო ლიტერატურულ ნაწარმოებებში და მას დიდი ყურადღება აქვს დათმობილი რუსთველის „ვეფხისტყაოსანში“. ამის საილუსტრაციოდ განვიხილოთ პოემა „ვეფხისტყაოსნიდან“ შემდეგი სტროფი:

„მიბრძანეს მათად საქებრად თქმა ლექსებისა ტკბილისა,  
ქება წარბთა და წამწამთა, თმათა და ზაგე - კბილისა,  
ბროლ - ზადახშისა თლილისა, მით მიჯრით მიწყობილისა,  
გასტეხს ქვასა და მაგარსა გრდემლი ტყვიისა ლბილისა“.

ამ სტროფში, ერთი შეხედვით, მოცემულია მეფისა და მის ნაზირ-ვეაზირთა ქება-დიდება, სადაც პოეტი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ სწორედ მეფისა და მისი დიდებულების სადიდებლად უბრძანეს ტკბილი ენით ლექსის თქმა. ჩვენთვის ამ ტექსტში საინტერესოა, თავისი ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური და აღმზრდელობითი თვალსაზრისით, ალეგორიული სახით წარმოდგენილი დებულება, რომ რბილი ტყვიის გრდემლს შესწევს უნარი გატეხოს მაგარი ქვა და კლდე. ეს დებულება, რომელიც ალეგორიული სახით არის წარმოდგენილი ისე, როგორც მთელი პოემა, შეიცავს დიდ დაფარულ ეზოთერულ სიბრძნეს. ჩვენ ქვემოთ შევეცდებით ამ სიბრძნის შინაარსის გახსნას, მის მისადაგებას ადამიანის საერთო ყოფით ცხოვრებასთან და რაც მთავარია, მის აღმზრდელობით ღირებულებას და როლს ადამიანთა ურთიერთმიმართებაში. დავიწყოთ იმით, რომ რეალურ ფიზიკურ განზომილებაში შეუძლებელია რბილმა მაგარი გატეხოს და დაამარცხოს. ასეთი სახის მოვლენა ფიზიკურ სამყაროში არ შეინიშნება, პირიქით, ფიზიკის კანონების თანახმად, ხისტი, მაგარი სძლევეს რბილს. რკინა ხის მერქანს სჭრის, ხე თიხას ფორმას უცვლის და ა.შ. ის რომ რბილი მაგარს სძლევეს აღმოსავლური ფილოსოფიიდან მომდინარეობს და მას ღრმა შინაარსობრივი დატვირთვა აქვს. უფრო მეტიც, აღმოსავლეთის ისეთ ქვეყნებს, როგორებიცაა კორეა, იაპონია, ინდოეთი და განსაკუთრებით კი ჩინეთი, მათ სახელმწიფოებრიობას მრავალი საუკუნის განმავლობაში სწორედ ეს პრინციპი ედო საფუძვლად. უნდა ვიგულისხმოთ, რომ აღმოსავლეთში ეზოთერული სიბრძნე გაცილებით ადრე გახდა ადამიანთა ყოფით ცხოვრებაში სახელმძღვანელოდ, ვიდრე დანარჩენ მსოფლიოში. ზემოთ ხსენებული დებულების განხილვისას, ჩვენ ამოვდივართ იმ ჭეშმარიტებიდან, რომ მოვლენათა განვითარება დამოკიდებულია სიტუაციაზე, დროსა და იმ პირობებზე, რომელშიც ეს დასაკვირვებელი მოვლენა მიმდინარეობს. მართალია ჩვეულებრივ პირობებში, სხეულების მიმართ არამართებულია, რომ რბილმა მაგარი გატეხოს, მაგრამ თუ ეს პირობები, დრო და სიტუაცია შეიცვლება, მაშინ ხსენებული მოვლენა შეიძლება სხვაგვარად წარიმართოს. ამის შესახებ დაახლოებით 25-26 საუკუნის წინ დიდი ჩინელი ფილოსოფოსი ლაო-ძი წერდა: „ცისქვემეთში არაფერი არ არის წყალზე უფრო რბილი და სუსტი, მაგრამ ძალუმს სძლიოს ყველაზე უფრო მაგარს და ყველაზე უფრო ძლიერს“ ან კიდევ „სუსტი ძლევეს ძლიერს. რბილი ძლევეს მაგარს.“ (5, 140) მართლაც წყლის ზვირთს შეუძლია ყველაფერი წალეკოს. ამის მაგალითად შეიძლება მარტო ცუნამი დავასახელოთ. იმისათვის, რომ ფიზიკურ სამყაროში რბილმა და სუსტმა მაგარს სძლიოს, საჭიროა გარკვეული პირობა, რაც ფიზიკის კანონზომიერებიდან გამომდინარე ურთიერთქმედ ძალთა გადანაწილების შედეგად ხორციელდება. ეს ასევე შეეხება ზოგადად ცოცხალი სამყაროს და მის ყველაზე მაღალ კატეგორიას, ადამიანთა საზოგადოებას. აქ იმისათვის, რომ რბილმა და სუსტმა ძლიერზე და მაგარზე გაიმარჯვოს, აუცილებელი პირობაა სიმშვიდე. ამის შესახებაც მიუთითებს ლაო-ძი ხაზგასმით, რომ ამ პირობის შესრულებისათვის აუცილებელია სიმშვიდე. ამას ხაზს უსვამს ლაო-ძი თავის შემდგომ გამონათქვამში: „სამყარო მშვიდია. აქ ყველაზე რბილი ყველაზე მაგარს ძლევეს“ (5, 141). ესე იგი ლაო-ძის აზრით, რბილმა რომ მაგარს სძლიოს, ამისათვის აუცილებელი პირობაა სიმშვიდე. წინააღმდეგ შემთხვევაში ძლიერის ქმედებაშიც კი საქმე გვექნება საპირისპირო მოვლენასთან, ანუ თუ ძლიერიც არ იქნება მშვიდი, ისიც დამარცხდება. აქვე უნდა გავითვალისწინოთ, რომ ადამიანთა საზოგადოებაში მიმდინარე მოვლენები ხშირად იდენტურია ფიზიკურ არაცოცხალ სამყაროში მიმდინარე მოვლენებისა და ისინი გარკვეული სახით ექვემდებარებიან ფიზიკურ და ზოგადად საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კანონზომიერებებს.

აღმოსავლური ფილოსოფიის მიხედვით, საოცრება ის კი არ არის, რომ ადამიანმა იფრინოს ცაში, როგორც ფრინველმა, ან იაროს წყალის ზედაპირზე, არამედ საოცრება ის არის, რომ ადამიანმა შესძლოს სიარული დედამიწაზე (11, 77) ამ გამონათქვამში დედამიწაზე ადამიანის სიარულის პრობლემატიკა მარტო გრავიტაციული და ხახუნის ძალებით არ შემოიფარგლება. აქ ძირითადად ყურადღება გამახვილებულია პიროვნების სოციალურ კომუნიკაციაზე. ლაო-ძი სწორედ ამ პრობლემატიკის დაძლევის ძირითად წინაპირობად სიმშვიდეს ასახელებს. ე.ი. თუ ადამიანები მშვიდად შეხვდებიან ყოფა-ცხოვრებაში მიმდინარე მოვლენას, მაშინ მათ თავიანთი რბილი „ელასტიური“ დამოკიდებულებით შეუძლიათ სძლიონ უხეშ, ხისტი წინააღმდეგობებს და ამდენად თავიდან აიცილონ მოსალოდნელი კონფლიქტები და პრობლემები როგორც ყოფით, ასევე, ფიზიკურ და სულიერ მდგომარეობაში, რითაც

მათ მიეცემათ საშუალება წარიმართონ სიკეთისაკენ. როგორც ცნობილია, ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს პიროვნების ფორმირებაში. ეს რომ ადამიანმა პიროვნებად ზრდის პროცესში შეძლოს და შეითვისოს, ამისათვის, პირველ რიგში თავის შინაგან სამყაროში სიმშვიდით უნდა სძლიოს საკუთარ „მე“-ში არსებულ სიუხუმესა და სიხისტეს. სწორედ ამასაც გულისხმობს რუსთველი წინა თავში განხილულ სურვილების შეკავებაში: „რაც არა გასურდეს იგი ქმენ, ნუ სდევ სურვილთა ნებასა“. პიროვნების ფორმირებაში და ადამიანის ყოფა-ცხოვრებაში სიმშვიდის როლზე რუსთველი პოემის სხვა ნაწილებშიც ამახვილებს ყურადღებას, ასე მაგალითად სტროფი 212-ე:

„ მიეწურა, იგონებდა, ახლოს შეყრა ვითა აგოს;  
საუბარმა უმეცარმან შმაგი უფრო გააშმაგოს!  
ხამს, თუ კაცმან გონიერმან ძნელი საქმე გამოაგოს,  
და არსიწყნარე გონებისა მოიძულოს, მოიძაგოს,“

აქ გონების არსიწყნარეში ბუნებრივია იგულისხმება აღელვება, რაც სიმშვიდის საპირისპირო მდგომარეობაა და თუ კაცი გონიერია, მან ეს არ უნდა დაუშვას, პირიქით, უნდა დამშვიდდეს და მისი მშვიდი განწყობა აუცილებლად გადავა სხვაზე, თუნდაც ის აღელვებული და გაღიზიანებული იყოს. იგივე აზრია ჩადებული პოემის 1339-ე სტროფში:

„მე მოვკალ ჩემი მოყვარე; რა მმართვეს გაწბილებულსა ?  
თავსა ვაბრალობ საქმესა, არ დასმით გაგონებულსა!  
ცრუ კაცი კარგად ვერა იქმს საქმესა გამწნელებულსა,  
და თქმულა: „სიწყნარე გამობილი სჯობს სიჩქარესა ქებულსა!“

აქაც სიწყნარე იგივე სიმშვიდესთან არის ასოცირებული. რუსთველის აზრი სიმშვიდის შესახებ ემთხვევა ღრმა ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიურ სიბრძნეს, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ერთი ადამიანის შინაგანი პიროვნული სიმშვიდე გარშემო მყოფ სოციალურ სივრცეში (და არა მარტო სოციალურში) აუცილებლად აღძრავს სათანადო ადეკვატურ რეაქციას.

განვიხილოთ ეს მოვლენა პარაფსიქოლოგიური პოზიციიდან. მატერიალისტური ფსიქოლოგია თვლიდა, რომ ადამიანი შედგება მხოლოდ ერთი ფიზიკური სხეულისაგან, რომლის ყოველგვარი ქმედება იმართებოდა ე.წ. მატერიის უმაღლესი ფორმით, მოაზროვნე მატერიისაგან, ანუ ტვინის მეშვეობით. რა თქმა უნდა, სავსებით სწორია, რომ ტვინში ის ინფორმაცია, რომელიც გრძნობათა ორგანოების მეშვეობით მიეწოდება გარედან, ის გადამუშავდება ტვინის მიერ და ამის შედეგად ადამიანი ახორციელებს გარკვეულ ქმედებებს. მაგრამ აზროვნებაში იოგური ფილოსოფიის მიხედვით, ტვინი მარტო გრძნობად-შემეცნებით არ შემოიფარგლება (4, 115.) დაახლოებით ასეთნაირად ფიქრობენ პარაფსიქოლოგები. მათი აზრით, ადამიანი არ შესდგება მარტო ფიზიკური სხეულისგან და ადამიანის ტვინში ინფორმაცია შეიძლება გრძობად-შემეცნებითის გარდა სხვა გზითაც შემოვიდეს, თუნდაც ინტუიციურად. მათი წარმოდგენები ამ საკითხში ემთხვევა რელიგიურ და ეზოთერულ სწავლებებს, ანალოგიურად არის ეს საკითხი წარმოდგენილი ანტროსოფიაში და აღმოსავლურ ფილოსოფიაში (11, 258. 260, 264 12, 78), რომელთა მიხედვითაც ადამიანი შედგება შვიდი სხეულისაგან. ეს სხეულებია: 1. ფიზიკური; 2. ეთერული; 3. ასტრალური; 4. მენტალური; 5. ასტრალური აზროვნების; 6. სულიერი აზროვნების; და 7. თავად სული. ზემოთ ჩამოთვლილ სხეულებს შეესაბამება ადამიანში ენერგეტიკული ველი, რომლესაც ხშირად აურას უწოდებენ. აურა ფაქტიურად არის ადამიანის ბიოველის ნაწილი, რომელიც გარკვეული გარსივით ეკვრის მის სხეულს. აურის სხვადასხვა ფერები შეესაბამება ზემოთ ხსენებულ ადამიანის შემადგენელ შვიდ სხეულს, აურის შრეების ფერები დროდადრო იცვლება ადამიანის განწყობილებისა და სულიერ-ფიზიკური მდგომარეობის მიხედვით, რასაც ჩვეულებრივ პირობებში ცხოველებისაგან განსხვავებით ჩვენი თვალი ვერ ამჩნევს. (იხილეთ: [www.all-esoterika.ru/boors/aura.htm](http://www.all-esoterika.ru/boors/aura.htm) . 4, 117) საინტერესოა, რა ხდება მაშინ, როდესაც ადამიანი აღგზნებული და განრისხებულია? ამ დროს, პარაფსიქოლოგთა აზრით იცვლება აურის შვიდივე შრის ვიბრაციის სიხშირე, რაც შესაბამისად იწვევს აურის შრეების ფერის ცვლილებას, ეს მიანიშნებს იმაზე, რომ ირღვევა ჰარმონია მათ ურთიერთკავშირში, ხოლო ამ უკანასკნელს თან სდევს აზროვნებასა და ემოციებს შორის დისბალანსი. მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის გამოჩენილი პარაფსიქოლოგის გურჯიევის აზრით, ამ დროს ადამიანის გონება მის საკუთარ არსში, ე. წ. ქვედა “მე“-ში, გადადინდება, რის შედეგადაც გონება ექცევა ემოციურის გავლენით ადამიანის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილის პიროვნულის გავლენის ქვეშ, რის გამოც ადამიანს უჭირს კონტროლი გაუწიოს თავისი აზრის გამოთქმას და ქმედებას, რასაც თან სდევს გარედან შემოსულ ინფორმაციაზე არალოგიკური რეაქცია (7, 80). ამას ხშირად ჩვენ ყოველდღიურ ცხოვრებაში წონასწორობიდან გამოსვლას ვუწოდებთ, რაც შეიძლება გადაიზარდოს მრისხანებაში ან სასოწარკვეთილებაში. ორივე შემთხვევაში ადამიანს პრობლემები ექმნება სოციუმში კომუნიკაბელობის სფეროში. ამ შემთხვევაში, ადამიანის ქმედება ვერ იქნება მიმართული სიკეთისაკენ. პირიქით, იგი მიმართული იქნება ბოროტისაკენ. იმის მიხედვით, თუ როგორი ფსიქოლოგიური ტიპის, სოციალური

მდგომარეობისა და ინტელექტის ადამიანთან გვაქვს საქმე, ეს გაუწონასწორებელი მდგომარეობა გამოიხატება სხვადასხვანაირად: სიტყვიერი შეურაცხყოფით, ფიზიკური ქმედებით და სხვ.

როდესაც ადამიანი არ არის გაღიზიანებული და განრისხებული, მაშინ, როგორც გურჯიევი გვასწავლის, ადამიანს შეუძლია გონება გამოეყოს თავის ბუნებრივისაგან, ე. წ. ქვედა „მე“-სგან, ანუ ემოციურ-პიროვნული გამოეყოს გონებრივიდან, რაც საშუალებას მისცემს გონებას იაზროვნოს თავისუფლად დამაბულობის გარეშე, ანუ გურჯიევის ენით, რომ ვთქვათ, გონება არ გადადინდება ემოციურში (8, 87).

ამ დროს ადამიანის ფსიქიკა გაწონასწორებულია და მას ძალუმს მიღებული ინფორმაცია ლოგიკურად გაანალიზოს „ცივი გონებით“ და იქონიოს აღნიშნულ ინფორმაციაზე ლოგიკური ადეკვატური რეაქცია თავისი თბილი, რბილი დამოკიდებულებით. ამით ის სხვა ადამიანებშიც აღძრავს საპასუხო რეაქციას, რომელიც ანალოგიური ხასიათისა იქნება, რაც ორივე მხრიდან სიკეთის ქმნადობის საწყისად გვევლინება. შეიძლება ამ შემთხვევაში ადგილი აქვს ნიუტონის ქმედება უკუქმედების კანონს, რომელსაც ჩვენი აზრით, იგივე გამოვლინება აქვს, როგორც არაცოცხალ სამყაროში. უფრო მეტიც, სოციუმში შეიძლება მცირე ქმედებას დიდი უკუქმედება მოჰყვეს, ფიზიკური სფეროსაგან განსხვავებით. ამაზე მიგვითითებს თვით მაცხოვარი, როდესაც გვასწავლის ადამიანთა შორის ურთიერთობებს: „როგორც გინდათ, რომ მოგექცენ თქვენ ადამიანები, თქვენც ისე მოექცეთ მათ“ (სახარება ლუკასი, ახალი აღთქმა, 11. 108).

ადამიანები ერთმანეთს აზრებს უზიარებენ სიტყვით, როგორც აზრის გამოხატვის ძირითადი საშუალებით. მას თან სდევს შესაბამისი ინტონაცია, და მიმიკა. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორ და რა ინტონაციაში და კონტექსტში იქნება წარმოდგენილი იგი. აი რას წერენ ამის შესახებ წარსულის დიდი მოაზროვნენი: „მშვიდი პასუხი გულისწყრომას აცხრობს, საწყენი სიტყვა კი რისხვას იწვევს“, „ავი არ სთქვა არც მეგობარზე და არც მტერზე“ პიტაკ მილეთელი (2, 91). გავისხენოთ რას ამბობს ამის შესახებ მაცხოვარი: „არაფერია ადამიანის გარეთ ისეთი, რასაც მასში შესვლით შეეძლოს მისი წაბილწვა, არამედ რაც ადამიანისგან გამოდის ის ბილწავს“ (1, 68). მოგეხსენებათ აქ იგულისხმება ადამიანის მიერ წარმოქმნილი სიტყვა. პითაგორეს რჩევით: „საუბარი უნდა წაიყვანო ისე, რომ მოსაუბრე მტერთა რიგებიდან მეგობრად აქციო და არა მეგობარი მტრად“, ან კიდევ „განრისხებულმა კაცმა არც უნდა ილაპარაკოს, არც უნდა იმოქმედოს (2, 79. 9. 144). აღსანიშნავია, რომ საანალიზო ტაეპის ფიგურალური შინაარსის ჩვენეული გაგების გასამყარებლად საგულისხმოა ვახტანგ მეექვსის თარგმანი „მეორე ესეე მგონია, როგორც რომე ტყვია აღმას გასტეხს, ისე ტკბილი და გემრიელი სიტყვა გაჯავრებულ კაცს გასტეხს და მოალობს“ (3, 66). ამ ბრძნული გამონათქვამების საფუძველზე ახალგაზრდა თაობას უნდა ვასწავლოთ, რომ მრისხანებით ვანგრევთ იმას, რაც შექმნილია, რაც ჰარმონიაშია, ხოლო სიმშვიდით, წყნარი და რბილი დამოკიდებულებით პირიქით ვინარჩუნებთ შექმნილს, მას უფრო ვამლიერებთ და ვდგებით სიკეთისა და აღმშენებლობის გზაზე. ამ მომენტს, ისევე როგორც სხვა რელიგიებში, როგორც ვიცით ქრისტიანობაში განსაკუთრებით უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ადამიანთა ურთიერთობის სფეროში. აი რას გვეუბნება ამის თაობაზე დიდი მართლმადიდებელი ქრისტიანი მორწმუნე იოანე ოქროპირი: „ისწავლეთ ძმანო უკვე უფლისა მიერ, სახარება და სიმშვიდე, ვითარცა იტყვის, ვითარმედ „ისწავლეთ ჩემგან მშვიდ ვარ და მდაბალი გულით“ (6, 91) ასევე სახარებიდან „ნეტარ არიან მშვიდნი, რამეთუ მათ დამკვიდრონ ქვეყანა“ (1, 1). აქაც, როგორც ლაო-ძი თავის ფილოსოფიაში, მაცხოვარი ჩვენს ყოფით არსებაში უმთავრესად სიმშვიდეს თვლის.

ამრიგად, თუ ადამიანი თავისი შინაგანი განწყობით მშვიდად, ალელვების გარეშე აღიქვამს მის გარშემო მიმდინარე მოვლენებს, მაშინ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პარაფსიქოლოგიური გაგებით, აურაში მისი შვიდივე „სხეული“, ნაწილი ერთმანეთის მიმართ ჰარმონიულად ირხვეა. ამ დროს ადამიანის გონებაში წარმოშობილი აზრები იქნება მდორედ მიმდინარე, რომელსაც ახასიათებს ერთგვარი სირბილე, სიხისტის საწინააღმდეგო მდგომარეობა. ასეთი აზრის გახმოვანებას და გამოთქმას შეუძლია საზოგადოებრივ ურთიერთობაში მიაღწიოს ადეკვატურ, თბილ დამოკიდებულებას. ასეთი აზრი სხვა ადამიანებში არ წარმოქმნის წინააღმდეგობას და გარკვეულწილად აღარ არსებობს მოწინააღმდეგე, „მტერი“. უფრო მეტიც, ასეთი სიმშვიდე აზრისა და მისი გამოხატულებისა, ბრძოლაშიც მტრის წინააღმდეგ ბრძოლისასაც აუცილებელია. ეს კარგად არის წარმოდგენილი განსაკუთრებით დაოისტურ ფილოსოფიაში, სადაც მითითებულია, რომ თუ აზრი ჩერდება, მაშინ ის ხდება ხისტი, ჩნდება მოწინააღმდეგე მტერი, ხოლო, თუ აზრი არის დინებადი, ანუ იგივე რბილი, მაშინ არავითარი მოწინააღმდეგე მტერი არ არის. დაოისტების აზრით სწორედ ამაში მდგომარეობს ლაო-ძის გამონათქვამის აზრი: „მსოფლო სული ავსებს მიწას და ცას“ (5, 147). როგორც ზემოთ არაერთხელ აღვნიშნეთ, ამის მთავარი პირობაა სიმშვიდე, რათა ადამიანის აურაში არ შეიქმნას შრეებს შორის დისკომფორტი, რაც ხელს უშლის აზრის სირბილეს და დენადობას, აკავებს, აბრკოლებს მის სვლას და ამის შემდეგ ის ხდება ხისტი და მაგარი, რის შედეგადაც ადამიანებს უჩნდებათ მტრის ხატი, ხოლო თუ

პირიქით ხდება, მაშინ ადგილი აქვს აზრის გამოხატულებასა და გავრცელებაში სირბილეს, რის შედეგადაც მოწინააღმდეგე - მტერი აღარ არსებობს. ჩვენი აზრით სწორედ ეს ეზოთერული (დაფარული) სიბრძნეა ჩადებული რუსთველის პოემაში მოცემულ გამონათქვამში „გასტეხს ქვასაცა მაგარსა გრდემლი ტყვიისა ლბილისა“. სიმშვიდე და სირბილე იმდენად ძლიერია, რომ მისი გამოისობით საერთოდ აღარ არსებობს მტერი, წინააღმდეგობა, ხისტე, მაგარი. ე.ი. აქედან გამომდინარე, სირბილე სიკეთის სახით იმარჯვებს, ხისტზე მაგარზე, ბოროტზე. აქ აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ კიდევ ერთი უდიდესი ეზოთერული სიბრძნე, „ოქროს შუაღებად“ წოდებული. ისევე როგორც ყველგან და ყველგან, აქაც მას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. აი, რას წერს ამის შესახებ ჩინური ფილოსოფიის თვალსაჩინო წარმომადგენელი სუნ-ძი: „თუ ძალიან მკაცრად მოიქცევი წარუმატებლობა დაგატყდება თავს. თუ ძალიან რბილად მოაქცევი თავად აღმოჩნდები ბოროტებში“ (11, 200). ე.ი. ზომიერება საჭიროა ყველგან და ყველგან.

და ბოლოს, ისევ რბილის მაგარზე გამარჯვების შესახებ. ეს სიბრძნე ყველაზე მეტად ადამიანთა ურთიერთობაში და კომუნიკაციაშია გამოსადეგი. ეზოპე წერს: „მოფერებით უფრო მეტს მიაღწევ, ვიდრე უხეში ძალით“ (2, 82). ამ დევიზით რუსთველი, ხატოვნად რომ ვთქვათ, გვასწავლის მიწაზე სიარულს აღმოსავლური თქმულების თანახმად, რაც ძალზე ძნელია, ძნელია იმდენად, რამდენადაც იმდენი შეხედულება და აზრია ამ ქვეყანაზე, რამდენი ადამიანიცაა. რამეთუ ისინი ყველა ცალ-ცალკე ინდივიდებია თავიანთი უარყოფითი და დადებითი თვისებებით აღსავსე. ამიტომ მათთან ერთად სიარული, ყოფა-ცხოვრება დედამიწაზე მეტად რთულია, უნდა შეგვეძლოს მათთან ნორმალური კომუნიკაბელობა, რაც ძირითადად მიიღწევა სიმშვიდით და სირბილით. თუ ჩვენი ცხოვრების სავალ გზაზე ამ ცნებით ვივლით ყოველთვის წარმატებას მივაღწევთ, რადგან ჩვენი ქმედება ყოველთვის სიკეთისკენ იქნება მიმართული. ჩვენი აზრით, სწორედ ასეთნაირად შეიძლება იქნეს გაგებული ეს ეზოთერული სიბრძნე, რომელიც შოთა რუსთაველმა თავის პოემაში ამ გამოთქმით „გასტეხს ქვასაცა მაგარსა გრდემლი ტყვიისა ლბილისა“ მოგვცა, რაც თავისი აღმზრდელითი მნიშვნელობით მეტად საყურადღებოა როგორც პიროვნების საერთო ფორმირებაში, ასევე მის მსოფლმხედველობრივ სრულყოფაში და პიროვნების სოციალურ თან ურთიერთმიმართებაში, სრულყოფილი წარმატებული ცხოვრებისა და მოღვაწეობისათვის.

**ლიტერატურა:**

1. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, გადამუშავებული გამოცემა, ბიბლიის თარგმნის ინსტიტუტი სტოქჰოლმი, 1991.
2. გელოვანი ა., სიბრძნის სიმფონია, გამცემლობა „ხელოვნება“, 1998.
3. ვახტანგ მე-6, თხზულებათა კრებული, თბილისი, 1949.
4. იაკობაშვილი ა., იოგა თერაპია და ბიოენერჯით მკურნალობა. თბილისი, 1998.
5. ლაო-ძი, დაო დე ძინი, თბილისი, 1990.
6. ღვთი-შვენიერი სწავლანი, რომელსა ეწოდება, ოქროს წყარო, თბილისი, 1968.
7. . . . . , 1999.
8. . . . . , 2001.
9. . . . . , 1989.
10. . . . . , 1999.
11. . . . . , 2000.
12. . . . . „ „ , 1991.

***Paata Kurdadze***  
***Gori State Teaching University***  
**THE PROBLEM OF PERSONALITY AND COMMUNITY RELATIONSHIPS IN “ THE KNIGHT  
 IN THE PANTHER'S SKIN”**  
**RESUME**

In the article “The problem personality and community relationships in (The Knight in the Panther's Skin) is considered. The great role and meaning that is able to make the divine wisdom in mens life and in the formation of improved personality is clearly shvown .In this case the accent is made on mens calmness ,the character, flexibility and mildens of his mind on the aphorsm “the anvil from soft bullet will break the herd stone”.

**ფერმენტები, როგორც მნიშვნელოვანი ბიოპოლიმერები და საბუნებისმეტყველო  
დისციპლინებში მათი სწავლების ზოგიერთი ასპექტი**

საბუნებისმეტყველო საგნების სწავლებისას მნიშვნელოვანია საგანთაშორისი კავშირების დამყარება, რათა მოსწავლემ შეიძინოს ცოდნის ტრანსფერის უნარი – ერთ საგანში მიღებული ცოდნის სხვა შინაარსობრივ კონტექსტში გადატანა, დემონსტრირება და მიღებული ცოდნის პრაქტიკული გამოყენება; აგრეთვე სასწავლო პროცესისათვის იმ ტიპის აქტივობების დაგეგმვა, რომლებიც მოსწავლეს განუვითარებს სწორ დამოკიდებულებას და პირად პასუხისმგებლობას გარემომცველი სამყაროს მიმართ, რათა მათ ჰქონდეთ სურვილი და უნარი მისი დაცვისა და აღდგენისა. მეცნიერების სხვადასხვა სფეროში მიღებული ცოდნის გაერთიანების უნარის გარეშე ძნელია მრავალი პრობლემური სიტუაციის მოგვარება. საგანთაშორისი პრინციპები მოსწავლეებს საშუალებას აძლევს, მთლიანობაში აღიქვან სამყარო, რაც პრობლემური საკითხის გონივრულად გადაჭრას ემსახურება. საგანთაშორისი პროექტების შესასრულებლად მოსწავლეებმა აუცილებლად უნდა იცოდნენ ინტეგრირების ელემენტები, ამიტომ სასურველია, სასწავლო პროცესში ჩართული იყოს ინტეგრირებული გაკვეთილებიც. გამოცდილებამ აჩვენა, რომ მსხვილი თემების განხილვის დროს პრიორიტეტულია შემდეგი საგნების ინტეგრაცია: ბიოლოგია-ქიმია; ბიოლოგია-ეკოლოგია; ბიოლოგია-ინფორმატიკა, ბიოლოგია-ფიზიკა და სხვა.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში თანამედროვე პროგრამები ითვალისწინებენ საგანთა შორის კავშირების გადრმავებას. ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სწავლების მიზანი და ამოცანაა აზიაროს მოსწავლე მეცნიერების საფუძვლებს და განუვითაროს კვლევის უნარ-ჩვევები, რაც მას საშუალებას მისცემს შეიცნოს და გაითავისოს სამყარო, ჩაერთოს საზოგადოებრივი საქმიანობის სხვადასხვა სფეროში, იგრძნოს პასუხისმგებლობა საკუთარი თავის, საზოგადოებისა და გარემოს მიმართ.

ბიოლოგია, როგორც ცნობილია, მეცნიერებაა სიცოცხლის შესახებ, რომელზეც მოსწავლე სისტემატურ ინფორმაციას და ცოდნას სკოლაში სხვადასხვა საბუნებისმეტყველო დისციპლინის (ბოტანიკა, ზოოლოგია, ანატომია, ზოგადი ბიოლოგია, ბუნებისმცოდნეობა, ქიმია, ფიზიკა) საშუალებით იღებს. საბუნებისმეტყველო საგნების სკოლაში სწავლების პროცესში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემაა ორგანიზმში შემავალი ნივთიერებების (მათ შორის ბიოპოლიმერების) შემცველობის, ფუნქციების, ცხოველქმედების პროცესში მათი მნიშვნელობის შესწავლა. ბიოლოგიასა და ქიმიაში ძირითადად შეისწავლება ბიოპოლიმერები: ნუკლეინის მჟავები, ცილები, ნახშირწყლები. გარდა ამისა 11 კლასის ქიმიის კურსში განიხილება თემა „პოლიმერები“, რითაც მოსწავლე ეცნობა პოლიმერების ზოგად თვისებებს: მოლეკულურ მასას, აღნაგობას, გამოყენების სფეროებს, თუმცა მცირე ინფორმაციაა ბიოპოლიმერების და განსაკუთრებით ფერმენტების შესახებ.

მოსწავლეებში საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისადმი ინტერესის გაღვივება არა მარტო საქართველოს, არამედ მაღალგანვითარებული ქვეყნების პრობლემას წარმოადგენს. ეს მიჩნეულია მსოფლიოს გლობალურ პრობლემად, რომელთა გამოსწორების გზებზე აქტიურად მუშაობენ განათლების სფეროს წარმომადგენლები, რომელთა მიზანია საბუნებისმეტყველო საგნების სწავლება ისეთი ფორმით, რაც უფრო საინტერესოს გახდის სასწავლო პროცესს.

ჩვენი მიზანია ბიოლოგიაში მოსწავლეებს უფრო ღრმად და საინტერესოდ შევასწავლოთ ისეთი მნიშვნელოვანი თემა, როგორცაა ფერმენტები და გავუადვილოთ ქიმიაში მისი შესწავლა. ჩვენს მიზანს რა თქმა უნდა არ წარმოადგენს ისედაც რთული სასკოლო პროგრამების კიდევ უფრო გაართულება, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ფერმენტების, როგორც ბიოკატალიზატორების მნიშვნელობა უნდა განიხილებოდეს უფრო ღრმად, რადგან ისინი წარმართავენ ცოცხალ ორგანიზმებში მიმდინარე ბიოქიმიურ პროცესებს. აღნიშნული საკითხი ბიოლოგიის სასწავლო კურსში მერვე კლასიდან იწყება და გაერთიანებულია თემებში - არაორგანული და ორგანული ნივთიერებები, საჭმლის მომნელებელი სისტემა; მეათე კლასში კი ცალკე პარაგრაფადაა გამოყოფილი. რაც შეეხება მეთერთმეტე კლასის პროგრამას, ფერმენტებზე - ჰელიკაზა, დნმ-პოლიმერაზა, რნმ-პოლიმერაზა - ინფორმაცია გვხვდება თემაში - ორგანიზმთა გამრავლება და განვითარება, ხოლო სკოლის ქიმიის პროგრამაში - ფერმენტები მხოლოდ მეთერთმეტე კლასშია წარმოდგენილი. ბიოლოგიის გაკვეთილებზე ფერმენტების უფრო ღრმად სწავლება, მოსწავლეებს საშუალებას აძლევს, მთლიანობაში აღიქვან ცოცხალი ორგანიზმი, საჭმლის მომნელებელი სისტემის სწავლებისას სასურველია მასწავლებელმა ყურადღება გაამახვილოს საჭმლის

მომწელებელ ფერმენტებზე და იმ სამკურნალო პრეპარატებზე, რომლებიც ფერმენტული ბუნებისაა და გამოიყენება კუჭ-ნაწლავის ტრაქტის პათოლოგიების დროს.

ცილების უმნიშვნელოვანეს მაღალორგანიზებული და სპეციალიზებული ჯგუფის ნაერთებზე ფერმენტებზე, უაღრესად მწირი მასალაა მოცემული და განიხილება ზედაპირულად. ფერმენტებს უდიდესი მნიშვნელობა აქვთ ნივთიერებათა ცვლის პროცესებში. უჯრედში მიმდინარე ნებისმიერი რეაქცია მიმდინარეობს ფერმენტების კატალიზური უნარის გამოვლინებით, რის გამოც ფერმენტებს ბიოკატალიზატორებს უწოდებენ. ნივთიერებათა ცვლის რეაქციებისათვის დამახასიათებელია მაღალი სიჩქარე, დაბალი ტემპერატურა, pH-ის ნორმალური ზღვრები, პროდუქტის 100%-იანი გამოსავალი, რაც განპირობებულია მუდმივად მოქმედი ბიოკატალიზატორების - ფერმენტების მოქმედებით.

ფერმენტები სხვადასხვა შეფერვისაა - წითელი, ყვითელი, მწვანე, ლურჯი, ყავისფერი, ძირითადად კი ისინი უფერულნი არიან. ფერმენტების სახელწოდებები იქმნება იმ ნივთიერებებისგან, რომელზეც ფერმენტმა უნდა იმოქმედოს და ემატება „აზა“. მაგალითად, ურეაზა, მალტაზა, ფოსფატაზა და ა. შ., თუმცა არსებობენ ფერმენტები, რომლებსაც აქვთ ტრივიალური სახელწოდებები - ტრიფსინი, პეპსინი და სხვა.

მასწავლებელმა უნდა მიაწოდოს ინფორმაცია ფერმენტებზე, როგორც უჯრედის ყველაზე მუშა ნივთიერებებზე, მათი სახელწოდების წარმოშობაზე, მნიშვნელობაზე, პრაქტიკულ გამოყენებაზე.

ცილების შესწავლის პროცესში სასურველია მოსწავლეს გავაცნოთ ფერმენტების ჯგუფის მნიშვნელობა. შესაძლებელია თეორიული მასალა საფუძვლად დავუდოთ ზოგიერთ დავალებას. დავალება შეიძლება იყოს, როგორც გაკვეთილზე, ასევე სახლში შესასრულებელი. მოსწავლეს ნათლად უნდა ჰქონდეს წარმოდგენილი ბიოკატალიზატორების მოქმედების არსი. ჩვენი აზრით, მასწავლებელს გაუადვილდება აღნიშნული საკითხის გადაცემა ფერმენტების მოქმედების მექანიზმის განხილვის ფონზე, რაც გამოისახება მარტივი სქემით (სქემა 1).



სქემა 1. ფერმენტების მოქმედების მექანიზმი

ფერმენტი აღნიშნულია E-თი (ფერმენტებს ენზიმებსაც უწოდებენ), მის მიერ გარდასაქმნელ ნივთიერება S-ით (ასეთ ნივთიერებას უწოდებენ სუბსტრატს),  $S^*$  გააქტიურებული სუბსტრატია, მიღებული ნივთიერება გამოსახულია P -თი (პროდუქტი).

აღნიშნული მასალა რა თქმა უნდა არ იქნება ამომწურავი ცოდნის წყარო, თუმცა მასწავლებელს შესაძლებლობა აქვს მეტი ინფორმაცია მიაწოდოს მოსწავლეს ფაკულტატურ მეცადინეობაზე, აგრეთვე მისცეს საშინაო დავალება, რათა მოსწავლემ მოიძიოს დამატებითი მასალა ცოცხალ ორგანიზმში ფერმენტების მნიშვნელობის შესახებ.

ფერმენტის აქტიურობაზე მოქმედებს სხვადასხვა ფაქტორები: ტემპერატურა, pH, სუბსტრატის კონცენტრაცია, ფერმენტის კონცენტრაცია, აქტივატორები და ინჰიბიტორები. ყურადღება უნდა გამახვილდეს ფერმენტების მოქმედების რეგულაციაზე, რასაც ასრულებენ აქტივატორები და ინჰიბიტორები, აგრეთვე მნიშვნელოვანია ჰორმონალური რეგულაცია.

ბიოლოგიაში ფერმენტებზე წარმოდგენას მოსწავლე პირველად საჭმლის მომწელებელი სისტემის შესწავლით იწყებს, რომელიც შემდეგი სახისაა:

- I ტიპი - საჭმლის მომწელებელი სისტემის ფერმენტები;
- II ტიპი - აუტოლიზის ფერმენტები;
- III ტიპი - ბაქტერიული ფლორის მიერ გამოიმუშავებული ფერმენტები.

საჭმლის მონელებას განაპირობებს შემდეგი ფერმენტები: პტეალინი, მალტაზა, ამილაზა, პეპსინი, ლიპაზა და სხვა.

ფერმენტები ძირეულად განსხვავდებიან არაორგანული კატალიზატორებისაგან, რომლებსაც მოსწავლეები ეცნობიან არაორგანული და ორგანული ქიმიის კურსების გავლის პერიოდში. რეაქციის სიჩქარეზე მოქმედი ფაქტორების შესწავლის შემდეგ მათე კლასის მასალის მიხედვით მოსწავლეს გაუადვილდება ერთმანეთს დაუკავშიროს ორგანიზმში მიმდინარე რეაქციებზე და ჩვეულებრივ რეაქციებზე ტემპერატურის და სხვა ფაქტორების გავლენა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შესაძლებელია აგრეთვე თვალსაჩინოების სახით დაფაზე მარტივი სქემის შექმნა, რომელზეც გამოსახული იქნება, თუ როგორ მიმდინარეობს ფერმენტული რეაქცია. ფერმენტი შეიძლება გამოვსახოთ დიდი მოლეკულის მიახლოებითი სფეროს სახით და მასზე მოვათავსოთ გაცილებით მცირე ზომის მოლეკულა (სუბსტრატი), რომელიც უნდა გარდაქმნას ფერმენტმა. სუბსტრატი ფერმენტს უკავშირდება სუბსტრატულ ცენტრში. მას აგრეთვე გააჩნია კატალიზური ცენტრი, რომლებიც შეიძლება გამოსახოს სქემაზე. ფერმენტი სპეციფიკურია სუბსტრატის მიმართ. მასწავლებელმა უნდა გააკეთოს შედარება: ფერმენტის და სუბსტრატის დაკავშირება ხდება ისე,

როგორც გასაღების და კლიტის. სქემა წარმოვადგინოთ დაშლის რეაქციის გათვალისწინებით. მიღებული ორი ნივთიერება (პროდუქტები) გამოვსახოთ მცირე ზომის რაიმე გეომეტრიული ფორმის ფიგურებით.

მას შემდეგ, როდესაც მოსწავლეები გაეცნობიან და ღრმად შეისწავლიან ორივე სახის კატალიზატორებს, შესაძლებელია საშინაო დავალებების მიცემა.

მასწავლებელი აძლევს დავალებას მოსწავლეებს - წერითი ფორმით გაეცით პასუხი შემდეგ კითხვებს:

**დავალება 1.**

- რა განსხვავებაა ბიოკატალიზატორებსა და არაორგანულ კატალიზატორებს შორის;
- როგორია მათი თვისებები და კატალიზის უნარი;
- მათი გამოყენების მრავალჯერადობის ფორმა და სიცოცხლისუნარიანობის ხანგრძლივობა.

**დავალება 2.** განსხვავეთ არაორგანული კატალიზატორების მიერ რეაქციის დაჩქარების პირობები ფერმენტებით დაჩქარებული რეაქციების პირობებისაგან.

**დავალება 3.** განიხილეთ უჯრედში არსებული ნივთიერებები და მოახდინეთ მათი კლასიფიკაცია მოლეკულური მასის, ორგანიზმში დანიშნულების, ენერგეტიკული და კატალიზური ფუნქციების მიხედვით. მონაცემების საფუძველზე შეადგინეთ ცხრილი.

ფერმენტების შესახებ შედარებით ვრცელი მასალა შესაძლებელია მიეწოდოს მოსწავლეს პროფილირებულ სკოლაში, სადაც საბუნებისმეტყველო საგნების სწავლება ხდება გაღრმავებული პროგრამით, აგრეთვე კლასგარეშე მუშაობისა და საკონფერენციო თემის დამუშავებისთვის.

გარდა ცოცხალ ორგანიზმში მნიშვნელოვანი როლისა, ფერმენტებს აქვთ პრაქტიკული გამოყენების ფართო სპექტრი. ფერმენტების მიღება შესაძლებელია დამოუკიდებელი პრეპარატების სახით ბიოტექნოლოგიური მეთოდებით, რისთვისაც იყენებენ მიკროორგანიზმებს. ბიოტექნოლოგია თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური დარგია, რომელიც საშუალებას იძლევა აწარმოოს სოფლის მეურნეობის, მედიცინის, კვების მრეწველობის, გარემოს დაცვის, ტექნიკის სხვადასხვა სფეროში გამოყენებისათვის საჭირო ნივთიერებები, რომელთა მიღება შესაძლებელია ფერმენტული პრეპარატების გამოყენებითაც.

აღნიშნული მასალის შესწავლის შემდეგ შესაძლებელია დაიგეგმოს ექსკურსია ისეთ წარმოებებში, სადაც ხდება ფერმენტული პრეპარატების გამოყენება, მაგ. პურის ქარხანა, ლუდისა და ღვინის ქარხნები, ფარმაცევტული საწარმოები, სადაც მზადდება სამკურნალო ფერმენტული პრეპარატები და სხვ. ეს კიდეც მეტად გააღრმავებს და განამტკიცებს მოსწავლის ცოდნას ფერმენტების შესახებ - მათ ბიოქიმიურ, ფიზიოლოგიურ და პრაქტიკულ მნიშვნელობაზე.

ჩვენი მსჯელობის მიზანია მოსწავლეთა უკეთესად გარკვევა პრაქტიკულ საკითხებში - კერძოდ ტექნოლოგიურ და ბიოტექნოლოგიურ პროცესებში. მოსწავლემ უნდა იცოდეს, რომ მეცნიერების ნებისმიერი დარგი მჭიდროდ უნდა იყოს დაკავშირებული პრაქტიკასთან.


ქიმიის კურსებიდან მოსწავლეები ეცნობიან ქიმიურ-ტექნოლოგიურ პროცესებს: ცხიმების ჰიდრირება, თუ როგორ იწარმოება კაუჩუკი, ქიმიური ბოჭკო, მაგრამ მათ არა აქვთ ინფორმაცია იმის შესახებ თუ როგორ ხდება ფერმენტული პრეპარატების მიღება, მათი გამოყენება. ფერმენტული პრეპარატების კატალიზის უნარი ფართოდ გამოიყენება აგრეთვე თანამედროვე ქიმიურ წარმოებებში. ფერმენტებით კატალიზის პროცესებით შესაძლებელია გლიცერინის, სპირტების, ორგანული მჟავების, ამინომჟავების და სხვა ნივთიერებების მიღება. აღნიშნული მასალის შესწავლის შემდეგ შესაძლებელია შემდეგი დავალების მიცემა სათანადო დანიშნულებით:

**დავალება 4.** წერილობით წარმოადგინეთ განსხვავება ქიმიურ-ტექნოლოგიურ და ბიოტექნოლოგიურ პროცესებს შორის. რა არის თითოეული მათგანის წარმმართველი ძალა; რა საერთო კანონზომიერებები არსებობს მათში? რა სახით ხდება ამ ორი სამრეწველო დარგის დაკავშირება.

ქიმიურ-ტექნოლოგიური და ბიოტექნოლოგიური პროცესების ერთ ასპექტში განხილვა კიდეც უფრო გააღრმავებს კავშირს ბიოლოგიურ და ქიმიურ დისციპლინებს შორის, უფრო გასაგებს გახდის იმ მასალას ბიოკატალიზატორების შესახებ, რომელიც თეორიულად შეისწავლება სასკოლო პროგრამის და დამატებითი ინფორმაციის საშუალებით, მოსწავლეებს გაუადვილებს ღრმად ჩასწვდნენ ბუნებაში და პრაქტიკაში მიმდინარე პროცესებს. შევნიშნავთ, რომ აღნიშნული საკითხების შესწავლა არ გამოიწვევს სასკოლო პროგრამების გართულებასა და თემატიკის შეცვლას.

მედიცინაში ფერმენტული პრეპარატების გამოყენების კარგი მაგალითია ფერმენტული ცილოვანი ბუნების ინჰიბიტორის 1 - ანტიტრიპსინის მოქმედება, რომელიც მიღებულია გენური ინჟინერიით. ის გამოიყენება ფილტვის ემფიზემის (ნაწილობრივი დაშლა) სამკურნალოდ, რადგან ბლოკირებას უკეთებს ელასტაზას მოქმედებას, რომელსაც ნეიტროფილები გამოიმუშავენ. სიგარეტის წვის პროდუქტები ააქტიურებენ ელასტაზას გამოყოფას და აქვეითებენ 1 - ანტიტრიპსინის მაინჰიბირებელ მოქმედებას. ჭარბი რაოდენობით გამოყოფილი ელასტაზა მიეწოდება სისხლის საშუალებით და იწვევს ფილტვის

ქსოვილის დაშლას. პრეპარატის სახით სათანადო დოზით მიღებული  $\alpha_1$ -ანტიტრიპსინი ხელს უშლის ელასტაზას მოქმედებას. აღნიშნული პროცესი მოცემულია სქემაზე (სქემა 2).



სქემა 2.  $\alpha_1$ -ანტიტრიპსინი და მისი როლი ფილტვის მთლიანობის შენარჩუნებაში

მნიშვნელოვანია აგრეთვე მოსწავლეებმა გაიგონ იმ მავნე ჩვევების შესახებ, რომლებსაც შეუძლიათ უარყოფითი გავლენა მოახდინონ ფერმენტების გამოყოფასა და ფუნქციონირებაზე და ზიანი მიაყენოს ადამიანის ჯანმრთელობას. მაგ.: ჭამის დროს კითხვა ან ტელევიზორის ყურება, მშიერ კუჭზე ხანგრძლივად კევის ღეჭვა და სხვა. არღვევს საჭმლის მონელების პროცესს, არ გამოიყოფა აუცილებელი ფერმენტები და წვენები. მშიერ კუჭზე (მით უფრო - თუ გასტრიტი ან წყლულოვანი პათოლოგიაა) კევი ნამდვილი "ტყვიამფრქვევია" - რეფლექსურად აძლიერებს შიმშილის გრძნობას და ასტიმულირებს საჭმლის მომნელებელი წვენების სეკრეციას, რაც რა თქმა უნდა არასასურველია.

მასწავლებელი ახსნილ მასალასთან დაკავშირებით მოსწავლეებს აძლევს საშინაო დავალებას - შეისწავლონ შემდეგი საკითხები:

- ფერმენტების მნიშვნელობა;
- ფერმენტების კლასიფიკაცია;
- ფერმენტების აგებულება;
- ფერმენტებზე მოქმედი გარემო ფაქტორები;
- რომელი ფერმენტები იღებენ საკვების გადამუშავებაში მონაწილეობას;
- მავნე ჩვევები.

ამრიგად, ნაშრომში განხილულია ბიოპოლიმერების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენლის - ფერმენტების სწავლება სკოლის ბიოლოგიისა და ქიმიის კურსებში. მოსწავლეს უნდა გააჩნდეს ცოდნა იმის შესახებ, რომ ცოცხალი ორგანიზმი ერთი მთლიანი სისტემაა, განიცდის ცხოველქმედებას, რაც გამოიხატება მასში მიმდინარე ფიზიკური, ბიოქიმიური, ფიზიოლოგიური პროცესების ერთიანობით, რასაც განაპირობებს ფერმენტების ფუნქციონირება.

ბიოლოგიისა და ქიმიის გაკვეთილებზე ფერმენტების საფუძვლიანი სწავლება იქნება ერთ-ერთი საშუალება, რათა საბუნებისმეტყველო საგნების შესწავლის შედეგად მოხდეს საგანთაშორისი კავშირების დამყარება.

**ლიტერატურა:**

1. ეროვნული სასწავლო გეგმა და საგნობრივი სტანდარტი, 2011-2016, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
2. გ. კვესიტაძე, ე. კვესიტაძე, ბიოტექნოლოგია, თბილისი 1999, 432 გვ.



3. გ. გოგიჩაძე, გ. ქიქავა, ლ. გოგიჩაიშვილი, მ. ნიკურაძე, სამედიცინო ბიოლოგიის საფუძვლები, ნაწ. მეორე, თბილისი, 1977.
4. ინგა ჩინჩალაძე - იწვევს თუ არა ექსპერიმენტული სამუშაოები საბუნებისმეტყველო საგნების სწავლის მოტივაციის ზრდას. საბუნებისმეტყველო განათლების კვლევითი ცენტრი SALiS თბილისი, 2016.
5. ნანა კოშორიძე, ბიოქიმია, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა 2013, 447 გვ.
6. სკოლის ბიოლოგიის და ქიმიის მოქმედი სახელმძღვანელოები (VIII-XI კლასები), 2012
7. უილიამ თიმენი, მაიკლ პალადინო, ბიოტექნოლოგიის შესავალი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2015, 399 გვ.
8. . . . . , « . . . . . », 1984, 415 .
9. . . . . , « . . . . . », 1999, 506 .

*Marine Kuridze, Tinatin Iosebidze*  
Gori State Teaching University

## ENZYMES AS ESSENTIAL BIOPOLYMERS AND SOME ASPECTS OF ITS TEACHING IN NATURAL DISCIPLINES RESUME

The article reviews teaching of one of the most essential representatives of biopolymers enzymes in school biology and chemistry courses. The focus is on enzymes as the cell's most active substance, origin of the name, importance, practical use, obtaining biotechnological methods, classification. Tasks are given to pupils, and the schemes of depicting the mechanism of enzymes are shown.

The enhanced teaching of the enzymes on biology and chemistry classes allows the establishment of inter-ties with the study of natural sciences.

*დარეჯან ჩხიროძე*  
*ქუთაისის უნივერსიტეტი*  
*მანანა ბანძელაძე*  
*აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

### გარემოსდაცვითი განათლება და ეკოლოგიური ეთიკა

განათლება ზოგადად ცოდნის მიზანმიმართული გამოყენებაა. გარემოსდაცვითი განათლება კი განიხილება, როგორც გარემოს მდგომარეობის შესწავლისა და მისი დაცვისათვის საჭირო პასუხისმგებლობის, პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავების, გარემოსდაცვითი ცნობიერების ჩამოყალიბების საშუალება.

გარემოსდაცვითი განათლება საგანმანათლებლო სისტემის საზრუნავი უნდა გახდეს და განისაზღვროს ის სირთულეები, რომელიც ამ სწავლებას თან ახლავს.

გარემოსდაცვითი განათლების საგანმანათლებლო სისტემაში ჩართვა ეტაპობრივად მიმდინარეობდა. 2002 წლის საქართველოს პრეზიდენტის N338 განკარგულებით შეიქმნა მოსახლეობის ეკოლოგიური განათლების სახელმწიფო პროგრამის შემუშავებელი კომისია, ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის ხელშეწყობით კი ასევე შეიქმნა მოსახლეობის ეკოლოგიური განათლების სახელმწიფო პროგრამა.

გარემოს დაცვითი და ეკოლოგიური განათლების საგანმანათლებლო სისტემაში ჩართვის დროს წარმოშობილი სირთულეები აისახებოდა სწავლების საფეხურებს შორის. არ არსებობდა კოორდინაცია სკოლამდელ, ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიულ განათლებასა და უმაღლეს განათლებას შორის, რაც თავისებურ არადინამიურ ასახვას პოულობდა საგნის სწავლების ხარისხზე. არ იყო შემუშავებული საგნის სწავლების სტრატეგია, სათანადო დონის სასწავლო პროგრამებით, მიუხედავად ამისა ამ კუთხით სწავლებას გარკვეული დადებითი ეფექტი ჰქონდა, მაგრამ აღნიშნული მეთოდით სწავლება, ვერ

ჩაითვალა სათანადოდ და სრულყოფილად. 2005 წლის ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შემდეგ გარემოსდაცვითი განათლება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში შემოდის ფორმალური განათლების სახით, როგორც დისციპლინათა შორის სწავლება, ზოგადი განათლების ყველა დონეზე და ყველა საფეხურზე. მას მიეცა უფრო კონკრეტული ხასიათი, რათა მოსწავლეებს გაეცნონ გარემოსდაცვითი პრობლემებს, გარემოზე ზემოქმედების პოზიტივებისა და ნეგატივების განჭვრეტით.

ეროვნული სასწავლო გეგმების შესაბამისი პროგრამების მიხედვით (I და XII კლასები) სწავლება შემდეგი თანმიმდევრობით მიმდინარეობს I და VI კლასებში.

ძირითადად მოსწავლე ეცნობა ადამიანსა და გარემოს შორის ურთიერთდამოკიდებულებას, ეცნობა ბუნებრივი სიმდიდრეების მრავალფეროვნებას, მათი რაციონალური გამოყენების გზებსა და ნარჩენების უტილიზაციის მეთოდებს. ამ დროს მოსწავლეს, უყალიბდება პირადი და ჯგუფური პასუხისმგებლობა გარემოს დაცვის საქმეში (ადამიანი და გარემო).

სამყაროს შესწავლის დროს მოსწავლე ეცნობა შეხედულებებს, გარემოს შეცნობის მეთოდების შესახებ. გათვალისწინებულია პრაქტიკული სამუშაოები, მარტივი სასწავლო ცდები, ადგილზე ორიენტირება, რუკების გამოყენება, ობიექტებისა და პროცესების მოდელირება და სხვა. ამის მიზანია მოსწავლეს დაანახვოს კავშირი ირგვლივ არსებულ საგნებსა და მოვლენებს შორის. მიღებული მოდელი ემყარება კავშირის კვლევის შედეგებსა და მეცნიერულ მოსაზრებებს შორის, ამ საფეხურზე „დედამიწა და გარესამყარო“ და „ადამიანი და გარემო“ ინტეგრირებულია ბუნების კურსში. ამ საფეხურის ბოლოსთვის დაგროვილი ცოდნისა და გამომუშავებული უნარ-ჩვევების საფუძველზე მოსწავლე ცდილობს დაადგინოს მოვლენებს შორის მიზეზშედეგობრივი კავშირები, რაც გააღრმავებს სამყაროს შეცნობის კვლევის ინტერესს.

შემდეგ საფეხურზე გარემოსდაცვითი საკითხები საბაზო სკოლებში საბუნებისმეტყველო დისციპლინებში ისწავლება სამი მიმართულებით:

1. ცოცხალი სამყარო (ბიოლოგიის საფუძვლები);
2. ფიზიკური მოვლენები (ფიზიკის საფუძვლები);
3. ქიმიური მოვლენები (ქიმიის საფუძვლები).

საშუალო რგოლში საგნები „ბიოლოგია“, „ქიმია“, „ფიზიკა“ ისწავლება შემდეგი მიმართულებით

1. ცოცხალი სამყარო (ბიოლოგია);
2. ფიზიკური მოვლენები (ფიზიკა);
3. ქიმიური მოვლენები (ქიმია).

საბაზო საფეხურზე მოსწავლე ეცნობა სამყაროს უნივერსალურ კანონებს, მეცნიერული იდეების განვითარებას და სხვადასხვა სახის მოვლენების გამოყენებით ცდილობს მოვლენათა ახსნას, გეგმავს ექსპერიმენტებს, სწავლობს შეხედულებების სწორად ფორმულირებას და სხვადასხვა მეთოდებით მათ გადმოცემას, მოიძიებს ინფორმაციებს მეცნიერული კვლევებს შესახებ და იაზრებს მათ მნიშვნელობას თანამედროვე ცხოვრებისათვის.

საშუალო საფეხურზე მოსწავლე იღრმავებს საბაზო საფეხურზე შეძენილ ცოდნას, შეისწავლის საბუნებისმეტყველო მეცნიერების პოზიტივებსა და ნეგატივებს გარემოსთან მიმართებაში, იძენს მეცნიერული კვლევების უნარ-ჩვევებს, მოსწავლე გეგმავს მარტივ ექსპერიმენტებს და აკეთებს შედარებით ანალიზს საკუთარ და მეცნიერულ კვლევებს შორის, აკეთებს პრეზენტაციებს.

ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შესაბამისი პროგრამების გარემოსდაცვითი მიმართულებით ანალიზით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საშუალო სკოლა შესაძლებლობას იძლევა გარემოსდაცვის შესახებ ცოდნის მიღების დიფერენცირებული დისციპლინათა შორის კავშირების დონეზე, ასევე იძლევა ამ ცოდნით ექსპერიმენტების, კვლევითი სამუშაოების და პრეზენტაციებს ჩატარების შესაძლებლობას.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ პროგრამით სწავლება მოსწავლეს აძლევს გარკვეულ ცოდნას და შესაბამის განსაზღვრულ პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს გარემოს დაცვის მიმართულებით, რაც ერთ-ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია დემოკრატიისაკენ მიმავალი სახელმწიფოსათვის. უნდა აღინიშნოს, რომ გარემოს დაცვითი განათლება და შესაბამისი ეკოლოგიური ეთიკა დინამიური პროცესია და ბუნებაში მიმდინარე პროცესები ხშირად წინ უსწრებს მეცნიერულ კვლევებს და შესაბამისად სწავლებაში მათი დანერგვა იგვიანებს, ამრიგად განათლება მდგრადი განვითარებისათვის ვერ შეისწავლება მხოლოდ დისციპლინათა შორის კავშირების შესწავლის დონეზე. განათლება მდგრადი განვითარებისათვის ითვალისწინებს საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას ისე, რომ ზიანი არ მიადგეს გარემოს და მომავალი თაობების უფლებას იცხოვრონ ეკოლოგიურად სუფთა გარემოში, გარემოსდაცვითი განათლება მდგრადი განვითარებისათვის მოიცავს საზოგადოების სოციალურ ეკონომიკური და კულტურული განვითარების ასპექტებს ის, რომ გათვალისწინებული გარემოს ინტერესები. სწავლების არსებული მეთოდით სწავლება სრულყოფილ შედეგს ვერ იძლევა, თანამედროვე

გარემოს არსებული მდგომარეობის, მისი დინამიკის ოპერატიულად მიღების, შეფასების და პრევენციის თვალსაზრისით.

მეცნიერთა ერთი ნაწილის მოსაზრებით სასურველია საშუალო (10 და 11) კლასებში შეიქმნას ძირითადი ან დამხმარე სახელმძღვანელო „გარემოსდაცვითი განათლება და ეკოლოგიური ეთიკა“, რომელიც დაფუძნებული იქნება მიღებულ საბაზისო ცოდნაზე და მოსწავლეს შეასწავლოს გარემოსადმი პასუხისმგებლობას დამოუკიდებლად გარემოსადმი მიდგომის მორალურ-ეთიკურ უნარებს.

„გარემოსდაცვითი განათლების ერთიანი სისტემა მოიცავს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების, დაწყებითი, საბაზო, საშუალო, პროფესიული და უმაღლესი განათლების ეტაპებს“.

„გარემოსდაცვითი განათლება და ეკოლოგიური ეთიკის“ სახელმძღვანელოს შექმნის და მისი სწავლებაში დანერგვის მიზანს წარმოადგენს:

უზრუნველყოს:

გარემოში არსებული მდგომარეობის და მასში მიმდინარე ცვლილებების შესწავლა თანამედროვე მეთოდების გამოყენებით;

გარემოში არსებული მდგომარეობის ანალიზი, შეფასება და პრევენციული ღონისძიებების შემუშავება;

მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის, ეკოეთიკური, გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლება;

ჯანსაღი გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობის დაცვისათვის საჭირო გარემოსდაცვითი უნარების გამომუშავება;

გარემოსდაცვითი განათლების პროცესში აღმზრდელობითი, კულტურულ-შემეცნებითი ღონისძიებების გატარება;

ქალაქის, რეგიონის, საცხოვრებელი გარემოს ეკოლოგიური მდგომარეობის შესწავლა, მათი ანალიზი და მინი პროექტების შედგენა;

სამეცნიერო კვლევითი დაწესებულებებთან კოორდინირებული თანამშრომლობა.

აღნიშნული სახელმძღვანელო ძირითადად პრაქტიკულ ხასიათს გაატარებს და ითვალისწინებს გარემოსდაცვითი პროექტების შედგენას და მის პრაქტიკაში დანერგვას. განხორციელებული პროექტების პოპულარიზაციის მიზნით საინფორმაციო სასწავლო აქტივობათა კატალოგის შექმნა. ეს გაზრდის მოტივაციას თანამედროვე სწრაფ და დინამიურად ცვლად სამყაროში, პროცესებში გარკვევასა და კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბებას.

თუკი ეს სახელმძღვანელო მოხვდება სავალდებულო ლიტერატურათა სიაში, მიზანი გარემოსდაცვითი განათლება და ეკოლოგიური ეთიკა მდგრადი განვითარებისათვის მიღწეული იქნება.

სწავლებაში დანერგვა მოხდება საჭირო დისკუსიებისა და დებატების, შესაბამისი ინსტიტუციებთან კოორდინირებული მუშაობით, პედაგოგთა გადამზადებით, კონკრეტული პროგრამებით უზრუნველყოფით, კვლევითი სამუშაოების ჩატარების შესაძლებლობებით, ქსელური მუშაობის გააქტიურებით, სწავლების უწყვეტი პრინციპების უზრუნველყოფით სკოლამდელი, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა, პროფესიული და უმაღლესი სწავლება, შესაბამისი პროექტებით. აღნიშნული მეთოდებით სწავლება უზრუნველყოფს მოქალაქეობრივი ცნობიერების ჩამოყალიბებას, სწავლების სხვადასხვა საფეხურებს შორის თანამშრომლობას და ერთობლივ პასუხისმგებლობას გარემოს მდგრადი განვითარებისათვის.

ამდენად გარემოსდაცვითი განათლების და ეკოეთიკის სწავლება სასურველია ხორციელდებოდეს პროფესიული და უმაღლესი სასწავლებლის ნებისმიერ ფაკულტეტზე, რათა დაცული იქნას ნებისმიერი სტუდენტის კონსტიტუციური უფლება, იცნობდეს მისი საცხოვრებელი გარემოს მდგომარეობას, იცხოვროს ეკოლოგიურად სუფთა და ჯანსაღ გარემოში, მონაწილეობდეს მისი მდგრადობის უზრუნველყოფაში, რაც მისი მოქალაქეობრივი უფლებაა. ამ მიმართულებით უწყვეტი სწავლების უზრუნველყოფა შესაძლებელია: ბაღი – სკოლა – პროფესიული სასწავლებლები და უმაღლესი სასწავლებლები“ პროექტის შექმნითა და განხორციელებით, ამ რგოლებს შორის კავშირის უზრუნველყოფით.

ამ კუთხით მნიშვნელოვანია როგორც ფორმალური, ასევე არაფორმალური განათლება. არაფორმალური განათლება უზრუნველყოფს საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერ სფეროში, გარემოსდაცვითი ინტერესების გათვალისწინება, როგორცაა ქალაქმშენებლობა, ტურიზმი, სოფლის მეურნეობა, მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, ამ საქმეში მნიშვნელოვანია დასაქმებული ადმინისტრაციული მუშაკების, ინჟინრების, არქიტექტურების, სანიტარული სამსახურის სპეციალისტების, დამგეგმარებლების მომზადება და გადამზადება, მათ შეიძლება ჰქონდეთ გარკვეული ცოდნა კონკრეტული სპეციალობის და არ ფლობს საკმარის ცოდნას გარემოსდაცვის მიმართულებით. გარემოსდაცვითმა განათლებამ ხელი უნდა შეუწყოს ისეთი მოქალაქეების ჩამოყალიბებას, რომელთაც შესწევთ უნარი შეაფასონ მათი მუშაობის ხარისხიანობა ანუ

კრიტიკული აზროვნების უნარი, სამოქალაქო საზოგადოების პასუხისმგებლობით, მდგრადი გარემოს ჩამოსაყალიბებლად. ამ კუთხით მნიშვნელოვანია არსებული სახელმძღვანელოს გამოყენება, რომელიც ასახავს გარემოს მდგომარეობას. ასევე სახელმძღვანელო შედგენისას გამოყენებული იქნება არსებული სამეცნიერო კუთხით მომუშავე სპეციალისტების და ტრენერების რესურსები, ბუნებრივი და კულტურული ლანდშაფტი, გარემოსდაცვითი განათლების განხორციელების ურთიერთკოორდინირებული ფორმალური და არაფორმალური განათლების საშუალებები.

#### ლიტერატურა:

1. ი. ელიავა, გ. ნახუცრიშვილი, გ. ქაჯაია - „ეკოლოგიის საფუძვლები“, თბილისი, 2000.
2. ც. ჟორჟოლიანი, ე. გორდაძე - „სამედიცინო ეკოლოგია“ თბილისი, 2006.
3. კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“, თბილისი, 2005.
4. საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ“, თბილისი, 1996. კარი II, თავი III. მუხლი 9
5. ზოგად ადმინისტრაციული კოდექსი. 1999 წ. საკანონმდებლო მაცნე #32

*Darejan Chkhirodze*

*Kutaisi University*

*Manana Bandzeladze*

*Akaki Tsereteli State University*

### **EDUCATION OF ENVIRONMENTAL PROTECTION AND ECOLOGICAL ETHIC RESUME**

Nowadays environmental issues (problems) should be discussed and solved by educational system. Simultaneously, we have to consider many difficulties which are in this issue. Environmental issues went to the educational system and this procedure was long. Thanks to the President of Georgia, who was in 2002, special commission was created, and the main reason of creating this commission was protection of environment. Nowadays we intend to publish a new book which will be connected with environmental issues. This book will be based on contemporary methods. Thanks to this new book people will be informed. They will have information about environmental issues and about changes which usually happen there. Simultaneously, we want to emphasize that our book will be provided with appropriate disk on which will be special information about abovementioned issues.

Eventually, we want to say that this book will help people to protect environment. It is our duty.

*ნანული (ნანა) ცხვედაძე*

*სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*ქეთევან ლომსაძე*

*გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი*

#### **აღზრდის სტილი და სასწავლო მოტივაცია**

დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე, ქვეყანაში სასწავლო სააღმზრდელო სისტემამ, როგორც ორგანიზაციული, ისე მეთოდური და მეთოდოლოგიური ხასიათის მრავალი ცვლილება განიცადა. ცვლილებები გრძელდება დღესაც, რაც აქტუალურს ხდის მიმდინარე რეფორმების გავლენის ეფექტების შესწავლას სასწავლო პროცესებსა და მოსწავლის სასწავლო მოტივაციაზე. საკითხს მეტ მნიშვნელობას სძენს, სასწავლო სააღმზრდელო სისტემის სპეციფიკა, რაც თავისთავად, ყველა დროსა და ეპოქაში თვითონ არის პრაქტიკული და თეორიული ფსიქოლოგიის ცხოველი ინტერესის საგანი.

სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი სამსუბიექტიანი პროცესია: მოსწავლე - სკოლა - ოჯახი. მრავალი კვლევა, რომელიც მოსწავლის სასწავლო მოტივაციის ანალიზსა და მასთან დაკავშირებულ რთული პრობლემატიკის შესწავლას ეთმობა (ვულფოლკი, 2009; უზნაძე დ, 2004; Краиг Греис 2000; Tskhvedadze N., Mirtskhulava R., 2011.) ხაზს უსვავს ტრადიციის თანამონაწილეობით შექმნილი პროცესის

წინააღმდეგობრივ ხასიათს. წინააღმდეგობის წყაროა ფსიქოფიზიკური განვითარების დინამიკის კანონზომიერებებში მოქცეული მოზარდი, სკოლა და ოჯახი, როგორც ამ დინამიკის წარმართველი და მარეგულირებელი ინსტიტუტები. ის, თუ როგორ სახეს მიიღებს სწავლა-სწავლების პროცესი, მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ამ ორი ინსტიტუტის მიდგომათა შეთანხმებულობაზე. ამ უკანასკნელს უკავშირდება წინამდებარე კვლევა, რომლის მიზანს, სასწავლო მოტივაციაზე აღზრდის/მართვის სტილის გავლენის ეფექტებისა და მათი კავშირების შესწავლა წარმოადგენს.

ფსიქოლოგიაში, აღზრდის ან/მართვის სტილი, სოციალიზაციის პროცესების ერთიან კონტექსტში განიხილება. სოციალიზაციის პროცესის დაწყების პირველი საფეხური ოჯახია. ოჯახი, როგორც სოციალური ინსტიტუტი ხასიათდება ერთობლივი სოციალური ნორმებით, ქცევის ხასიათით როგორც მშობლებს, ისე მშობლებსა და შვილებს შორის რეგლამენტირებული ურთიერთობით ან სხვაგვარად, ოჯახში გამეფებული მართვის სტილით. კვლევების საფუძველზე გამოყოფილ იქნა მართვის სტილის განმსაზღვრელი ორი ძირითადი ფაქტორი: მშობლების მხრიდან დასჯის ხასიათი და სიმკაცრე და მშობლის კონტროლი ანუ თანამიმდევრულობა წაყენებული მოთხოვნების შესრულების მიმართ. ფაქტორთა კომბინირებით კი - ოჯახის ხელმძღვანელობის 4 სტილი: ავტორიტეტული, ავტორიტარული, ლიბერალური, ინდიფერენტული (ბალიაშვილი მ., 2015; ვულფოლკი 2009.)

სოციალიზაციის მეორე მნიშვნელოვანი ინსტიტუტია სკოლა. ტრადიციულად, სკოლა ის ადგილია, სადაც მოზარდი თაობის სწავლა-აღზრდის მიზნით საზოგადოებრივი რესურსებისა და ძალების კონსოლიდაცია ხდება. აღნიშნული მიზანი აუცილებლად გულისხმობს მოსწავლის პიროვნების განვითარებასა და პოზიტიური იდენტობის ფორმირებაზე ზრუნვას. საგანმანათლებლო მიზნების ეს ფოკუსი მეტად კომპლექსურია. თუ ბრონფერნბრენერს დავესესხებით<sup>1</sup> შეიძლება ითქვას, რომ სკოლა, ფაქტობრივად, როგორც „მეზო სისტემა“ კრიზავს ოჯახის მიკრო და სახელმწიფო მოწყობის მაკრო სისტემიდან მომდინარე სტიმულებს და სწავლა-სწავლების, მოსწავლისთვის დაძაბულ, მიღწევაზე ორიენტირებულ სიტუაციაში მათ ფოკუსირებას ახდენს. სკოლის სისტემისა და მიზნების კომპლექსურობიდან გამომდინარე, ხშირ შემთხვევაში, საგანმანათლებლო ზემოქმედება განხორციელებული გავლენის იგივე არ არის. ამიტომ დისკურსი, რომელიც მოსწავლეს ექმნება სასკოლო გარემოსა და მასში მომდინარე პროცესების თუ მასთან დაკავშირებულ პირთა მიმართ, ყველაზე მგრძობიარე და ამავდროულად, ვალიდური მაჩვენებელია მოზარდის მთლიანი ეკოსისტემის პრობლემებისა თუ მიღწევების შესაფასებლად.

ნათქვამიდან გამომდინარე, მოზარდის სასკოლო მოტივაციასა და აღზრდის სტილის შეფასების ერთ-ერთ შესაძლებლობად ან ხერხად მივიჩნევთ მაკროგარემოს გავლენაში მოქცეული სასკოლო მეზოსისტემის დისკურსის ანალიზს. იმ კონკრეტული განწყობებს/ატიტუდებსა თუ აფექტურ-კოგნიტურ სტრუქტურებში ასახულსა და განიშნებულ სკოლის ვითარებას, რომელსაც ქმნის ბავშვი-ოჯახი-სასკოლა ტრანსაქციათა ერთობლიობა: მართვის ორგანიზაციული სტილი.

ანალიზისთვის ძირითადად ვსარგებლობთ შიშის მოტივაციური თეორიებით (ჰეკჰაუზენი და სხვ). ამ თეორიების თანახმად მუდმივად ცვალებადი გარემო ადამიანს პერმანენტულად აყენებს გარკვეული საფრთხეებისა და მათი გადაწყვეტის ამოცანის წინაშე. ამ საფრთხეების გადაჭრის ამოცანა ან სიტუაცია, ინდივიდში იწვევს ორი კონკურენტული მოტივის გაჩენას - მისი გადაწყვეტის (წარმატების) ან ამოცანის გადაწყვეტაზე უარის თქმის (წარუმატებლობის) მოტივებს. კონკურენტულ მოტივთა აქტუალიზირებით შექმნილი დაძაბულობის მოსახსნელად ინდივიდი მიმართავს გარკვეულ ქცევით სტრატეგიებს, რომელიც, თავის მხრივ ორი ფაქტორით განისაზღვრება: სიტუაციის შეფასებით და შფოთვითი დისპოზიციის ხარისხით. მოტივაციური თეორიებისთვის, სწავლის პროცესი, სწორედ ამგვარი სიტუაციაა, რადგან მისი იმანენტური ბუნებიდან გამომდინარეა ორი საპირისპირო ტენდენციის - ორგვარი მოტივის ერთდროული აქტივაცია: წარმატების მოლოდინისა და მარცხის შიშის. ამიტომ, თვლის ჰეკჰაუზენი, რომ „შიშის მატარებელი განხილული და შესწავლილი უნდა იყოს საკუთარი გარემო პირობებთან ერთობლიობაში” (X. Хекхаузен 1986).

<sup>1</sup> ამერიკელი ფსიქოლოგის, ბრონფერნბრენერის განვითარების კოლოგიური სისტემის მოდელის მიხედვით, ადამიანის განვითარება დინამიური, ორი მიმართულებით რეციპროკულად მიმდინარე პროცესია. განვითარებადი ადამიანი ჩართულია მრავალდონიან იერარქიულ გარემოში, სადაც მასზე ზემოქმედი გავლენები მომდინარეობს არა მხოლოდ უშუალოდ მისი გარემომცველი შრიდან (მიკრო და მეზო სისტემები), არამედ შედარებით ფართო ენდო და მაკროგარემოდან (ცხოვრებისეული ღირებულებები და იმ კულტურის კანონები და ტრადიციები, რომელშიც ამ ინდივიდს უხდება განვითარება). ბრონფერნბრენერის მიხედვით განვითარების ეკოლოგიური გარემო ოთხი ერთი მეორეში მოთავსებული სისტემებისგან შედგება, რომლებით გავლენათა მრავალმხრივი უკუკავშირებით არის წარმოდგენილი. ამ გავლენებიდან, ავტორი, ყველაზე დიდ როლს მაკროსისტემის დონეს ანიჭებს, რადგან მიიჩნევს, რომ მხოლოდ ეს დონეა აღჭურვილი უნარით გავლენა მოახდინოს ყველა სხვა დონეზე და გავლენები ქვემდებარე დონეებიდანაც მიიღოს.

ცნობილია, რომ მოზარდებთან მიმართებაში სამი სახის ობიექტურ სტრესორებს გამოყოფენ, ესენია: ოჯახი და ოჯახიდან მომდინარე სტრესორები, მეგობრები და მათთან დაკავშირებული სტრესორები და სასწავლო პროცესი და მასთან დაკავშირებული სტრესორები (ნ. იმედაძე, 2009; Frijba, 1963; Э. Изард, 2000). ითვლება, რომ ამა თუ იმ ობიექტურ სტრესორზე შიშის ემოციით რეაგირების ინტენსივობა დასწავლილი ქცევითი პატერნია. შესაბამისად, სტრესორზე როგორც მაღალი, ისე დაბალი ინტენსივობით რეაგირება, უნდა წარმოადგენდეს დასწავლის ეფექტებს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, რეაგირების ინტენსივობა და სიხშირე აღზრდის სტილით კონსტრუირებული რეაქციებია. **ამიტომ ვვარაუდობთ**, რომ თითოეული აღზრდის სტილი უნდა განსაზღვრავდეს შიშის რეაქციების კონსტრუქტებს. კერძოდ, დემოკრატიული აღზრდის სტილი უნდა განაპირობებდეს სტრესორებზე შიშის ზომიერ რეაქციებს; ავტორიტარული და ავტორიტეტული უნდა განაპირობებდეს - შიშის მაღალი ინტენსივობით რეაგირებას, გულგრილი აღზრდის სტილი - შიშის დაბალი ინტენსივობით რეაგირებას.

ჩვენი ჰიპოთეზიდან გამომდინარე, კვლევის ამოცანებია:

- მოზარდებში სასკოლო შიშისა და შფოთვის სტრუქტურული და დინამიკური მახასიათებლების დადგენა;
- საკვლევ ჯგუფში დომინანტური აღზრდის სტილების გამოვლენა-დადგენა;
- დომინანტური აღზრდის სტილის მიხედვით შიშის სტრუქტურული მახასიათებლებისა და სტრესორების-შიშის წყაროების შედარებითი ანალიზი.

კვლევაში გამოყენებულია ექსპერიმენტის და კვლევის ე.წ. პასიური მეთოდი. *ექსპერიმენტში* გამოვიყენეთ ჩვენ მიერ ქართულ სოციო-კულტურულ გარემოზე ადაპტირებული და რეკონსტრუირებული ერკ ჰსლაინის სასკოლო შიშისა და შფოთვის საკვლევ თემატური აპერცეპციის ტესტი (ნ. ცხვედაძე).

*კვლევის ე.წ. პასიურ მეთოდში*, აგრეთვე, ჩვენ მიერ შემუშავებული და სტანდარტიზებული „აღზრდის დომინანტური სტილის“ გასაზომი ტესტი.

ვიდრე უშუალოდ კვლევის შედეგების აღწერასა და ანალიზზე გადავიდოდეთ, მოკლედ განვიხილავთ თემატურ აპერცეფციის - სასკოლო შიშის ტესტის (SAT) -ის არსებით მახასიათებლებს (ნ. ცხვედაძე, დ. ბერეკაშვილი, 2009; ნ. ცხვედაძე, ქ. მაყაშვილი 2009; ნ. ცხვედაძე, ქ. მაყაშვილი, 2010; E. Husslein, 1978).

თემატური აპერცეფციის ტესტი (SAT) მოხრობელსა და მსმენელს დისკურსში ავლენს მოსწავლის შიშს, როგორც ერთ-ერთი ფუნდამენტური „მამოტივირებელი შუალედური პროცესის“ ან/ცვლადის შემდეგ ასპექტებს: ა) მოსწავლის შიშის ფენომენოლოგიას - შიშის სუბიექტურ განცდისეულ კომპონენტს; ბ) შიშის და შფოთვის სომატურ და ფიზიოლოგიურ კომპონენტს; გ) მოსწავლის შიშის როგორც ბუნებრივ, ისე სუბიექტურ აქტივატორებს; დ) შფოთვის და შიშის კაუზალურ მიმართებებს კოგნიტურ და მოტივაციურ-ქცევით მიდრეკილებებთან; ე) წარმატების მომთხოვნ სიტუაციებზე, მოსწავლის რეაგირების დომინანტურ ტენდენციებს და ქცევით სტრატეგიებს.

მეთოდის მიხედვით, სასწავლო გარემოში აქტივირებული შიშის ემოციური მდგომარეობა ხუთ განზომილებად დიფერენცირებული შიშის კონსტრუქტად განიხილება:

**EB – შიშის ფენომენოლოგიური ასპექტი:** ეს სკალა ზომავს შიშის ემოციის ლაბილობას.

**KZ – შიშის სხეულებრივი ნიშნების ასპექტი:** შიშის სხეულებრივ გამოვლინებებს.

**IA – „მე“-ს გაუფასურების (დევალვაცია) ასპექტი.** ზომავს არასრულფასოვნების განცდას, „მე“-ს სისუსტეს და თვითდაკნინებისა და თვითდადანაშაულებისკენ გამოხატულ მიდრეკილებას.

**SA – სოციალური შიშის ასპექტი** ზომავს სოციალური კონტაქტების დარღვევას ან შეწყვეტას.

**ZB – სამომავლო მუქარა ან წინასწარგანჭვრეტილი საფრთხის ასპექტი.** მოლოდინებს, რომლებიც შეიცავს ტკივილს და საშიშროებას.

**შიშის აქტივატორები ან/მიზეზები** ტესტში ოთხ კატეგორიად/ ბლოკად არის წარმოდგენილი: 1) *მასწავლებლის პერსონასთან დაკავშირებული სტრესორები*,<sup>1</sup> 2) გაკვეთილის პროცესთან დაკავშირებული სტრესორები, 3) სასწავლო ჯგუფი და მისგან მომდინარე სტრესორები, 4) ოჯახიდან (მშობლები დედა და მამა) მომდინარე სტრესორები.

**კვლევის შედეგების აღწერა და ანალიზი**

ექსპერიმენტში მონაწილე მოზარდებისაგან მიღებულმა მასალამ ჯამში შეადგინა 330 მოთხრობა. ისინი ტესტის სპეციალური შინაარსთა კოდების მიხედვით თვისებრივად გაანალიზდა და

<sup>1</sup> შევნიშნავთ, რომ მიზეზთა ჩამონათვალს ქართულ სინამდვილეში, დაემატა სკოლის დირექტორი/ადმინისტრაცია, როგორც დამოუკიდებელი სტრესორი, ამისთვის სპეციალურად შემუშავებულ იქნა სასტიმლო ახალი ბარათიც. (ნ.ც.).

სტატისტიკურად დამუშავდა SPSS – ის საშუალებით, განსხვავების სანდოობები შემოწმდა t- ტესტის საშუალებით.

კვლევის შედეგები წარმოდგენილია ცხრილების სახით. როგორც აღნიშნული გვექონდა, აღზრდის სტილი დამოუკიდებელი ცვლადია, ამიტომ კვლევის შედეგები აღზრდის სტილის მიხედვით ოთხ კატეგორიად დავაჯგუფეთ. თითოეული აღზრდის სტილი თავის მხრივ კიდევ ორ ჯგუფად დავყავით, სააღმზრდელო პროცესში მათი გამოყენების სიხშირის მიხედვით. საბოლოო ჯამში ანალიზს დავუქვემდებარეთ 8 ქვეჯგუფი: 1. ავტორიტარული მართვის სტილი, რომელიც გამოიყენება ხშირად; 2. ავტორიტარული, რომელიც იშვიათად გამოიყენება; 3. ხშირად გამოყენებული ლიბერალური სტილი; 4. იშვიათად გამოყენებული ლიბერალური აღზრდის სტილი; 5. ხშირად გამოყენებული გულგრილი სტილი; 6. იშვიათად გამოყენებული გულგრილი სტილი; 7. ხშირად გამოყენებული ავტორიტეტული სტილი; 8. იშვიათად გამოყენებული ავტორიტეტული სტილი.

ცხრილი #1-ში წარმოდგენილია აღნიშნული ჯგუფების მონაცემები, მასწავლებლის ფიგურასთან დაკავშირებული შიშის გამომწვევი მიზეზების შესახებ.

როგორც ცხრილიდან ჩანს, მასწავლებლის ფიგურა, როგორც სტრესორი, ყველაზე მნიშვნელოვანია აღზრდაში ავტორიტეტული და ლიბერალური სტილის გამოყენების პირობებში. ეს ნიშნავს, რომ რაც უფრო იშვიათად მიმართავენ მშობლები აღზრდის ამ სტილს, მასწავლებლის ფიგურა მით უფრო მაღალ მნიშვნელობას იძენს ბავშვისთვის.

ცხრილი #1. მასწავლებლის ბლოკით ერთზე მეტი ბარათის შემთხვევაში გამოვლენილი მიზეზების ჯამის საშუალო მაჩვენებლები.

	კეთილგანწყობის დაკარგვა	ლანძღვა	ფიზ. დასჯა	დამსჯელი საშუაო	შენიშვნა საყვიდლო	ადმინისტრაცია დირექტორი	მიზეზთა ჯამი
მთლიანი შერჩევაში	4,6	2,0	1,7	1,5	2,0	1,7	9,7
მაღალი ავტორიტარული	4,4	1,2	2,0	1,8	2,4	2,5	11,8
დაბალი ავტორიტარული	4,6	2,3	1,5	1,4	1,7	1,3	8,8
მაღალი ლიბერალური	3,8	1,3	1,6	1,7	1,6	1,2	8,6
დაბალი ლიბერალური	5,0	2,3	1,9	1,4	2,4	2,6	10,3
მაღალი გულგრილი	4,5	2,3	1,7	1,0	2,5	1,0	9,0
დაბალი გულგრილი	4,6	1,8	1,7	1,7	1,9	1,9	9,8
მაღალი ავტორიტეტული	3,4	1,2	2,0	1,3	2,1	1,4	8,3
დაბალი ავტორიტეტული	5,3	2,4	1,7	1,6	1,9	2,0	10,5

**გაკვეთილის ბლოკი, შედეგები:**

ცხრილი #2. გაკვეთილის ბლოკი, თერთმეტი ბარათის შემთხვევაში გამოვლენილი მიზეზების ჯამის საშუალო მაჩვენებლები.

	უარი წარმატებაზე	გამოცდა	საშ. დავალება	შეფასება	სხვა კლასი სკოლა გადასვლა	ჯამი
მთლიანი შერჩევაში	4,2	2,5	2,2	2,3	1,2	10,9
მაღალი ავტორიტარული	4,0	3,3	1,6	2,7	1,0	11,4
დაბალი ავტორიტარული	4,3	2,2	2,4	2,2	1,3	10,9
მაღალი ლიბერალური	4,4	2,2	2,5	2,5	1,0	10,8
დაბალი ლიბერალური	4,0	2,7	2,2	2,4	1,0	11,2
მაღალი გულგრილი		3,0	2,0	1,8	1,5	12,3
დაბალი გულგრილი	4,0	2,4	2,3	2,5	1,0	10,7
მაღალი ავტორიტეტული	4,9	2,5	2,0	2,8	1,0	11,9
დაბალი ავტორიტეტული	4,0	2,5	2,4	2,2	1,4	10,7

გაკვეთილის პროცესი და მასთან დაკავშირებული სტრესორები ყველაზე აქტუალური, აღზრდაში გულგრილი სტილის გამოყენების პირობებში გამოვლინდა.

გაკვეთილის ბლოკში შემავალი სტრესორების დიფერენცირებული განხილვა აჩვენებს, რომ ინტერაქტიული სასწავლო პროცესი უფრო მეტად აღზრდაში ავტორიტეტული სტილის გამოყენებისას იჩენს თავს, ხოლო გულგრილი სტილის გამოყენებისას ის, როგორც სტრესორი ღირებულებას კარგავს; გამოცდა - ყველაზე მნიშვნელოვანი აღზრდაში გულგრილი სტილის გამოყენების დომინანტობის პირობებში აღინიშნება; საშინაო დავალება - მხოლოდ აღზრდაში ავტორიტარული სტილის გამოყენების პირობებში კარგავს აქტუალობას; შეფასების მიმართ განსაკუთრებულად მგრძობიარენი ავტორიტარული და ავტორიტეტული აღზრდის სტილის დომინირების პირობებში იძენს მაფრუსტრირებელ მნიშვნელობას, ხოლო გულგრილი სტილის პირობებში ის, როგორც სტრესორი დევალირებულია.

**მეგობრების ბლოკი, შედეგები (ცხრილი #3):**

მეგობრების ბლოკში შემავალი მიზეზებიდან ყურადღებას იპყრობს აღზრდაში გულგრილი და ავტორიტეტული სტილების დომინაციის შემთხვევები. ამ ორივე შემთხვევაში მეგობრებთან დაკავშირებულ მიზეზობრიობა მნიშვნელობას კარგავს, ან ნაკლებად განსაზღვრავს ის მოსწავლის აფექტურ მოტივაციურ სფეროს.

**ცხრილი #3.** გაკვეთილის ბლოკი, თერთმეტი ბარათის შემთხვევაში გამოვლენილი მიზეზების საშუალო ჯამური მაჩვენებლები.

	აღიარების დაკარგვა	დაცინვა, გარიყვა	საქმის გარჩევა	მეგობრების დაკარგვა	ქმედ. შეურაცხყოფა	მიზეზთა ჯამი
მთლიანი შერჩევაში	3,3	1,6	1,0	2,0	1,8	5,6
მაღალი ავტორიტარული	3,1	1,7	1,0	1,8	3,0	6,9
დაბალი ავტორიტარული	3,4	1,5	1,0	2,1	1,1	5,2
მაღალი ლიბერალური	3,5	2,5	1,0	2,0	1,4	5,2
დაბალი ლიბერალური	3,3	1,2	1,0	2,0	2,1	6,2
მაღალი გულგრილი	2,4			1,7	1,0	4,2
დაბალი გულგრილი	3,6	1,6	1,0	2,1	2,0	6,1
მაღალი ავტორიტეტული	2,7		1,0	1,3	1,8	3,8
დაბალი ავტორიტეტული	3,6	1,6	1,0	2,2	1,7	6,5

**ოჯახის ბლოკი, შედეგები:**

**ცხრილი #4.** ოჯახის ბლოკი, თერთმეტი ბარათის შემთხვევაში გამოვლენილი მიზეზების ჯამის საშუალო მაჩვენებლები.

	წილობის დაკარგვა	ლანძღვა	ფიზიკური დასჯა	აკრძალვა ტაბუ	აკრძალვა უფლებების აყრა	ჯამი
მთლიანი შერჩევაში	2,3	1,2	1,0	1,7	1,2	3,9
მაღალი ავტორიტარული	1,9	1,4	1,0	2,0	1,7	3,6
დაბალი ავტორიტარული	2,5	1,2	1,0	1,5	1,1	4,0
მაღალი ლიბერალური	2,3	1,1	1,0		1,1	3,8
დაბალი ლიბერალური	2,3	1,3	1,0	1,7	1,4	4,1
მაღალი გულგრილი	2,2	1,0			1,0	3,4
დაბალი გულგრილი	2,3	1,3	1,0	1,7	1,3	4,0
მაღალი ავტორიტეტული	2,1	1,2			1,3	3,2
დაბალი ავტორიტეტული	2,4	1,2	1,0	1,7	1,3	4,1



როგორც ცხრილიდან ვხედავთ, ოჯახიდან მომდინარე მიზეზების მიმართ მგრძობიარენი არიან ის მოსწავლეები, რომელთან მიმართებაშიც აღინიშნება ავტორიტეტული, გულგრილი, ლიბერალური და ავტორიტარული სტილების იშვიათი გამოყენება.

მონაცემებიდან ყურადღებას იპყრობს კიდევ ერთი გარემოება, ფიზიკური დასჯის და აკრძალვების/ტაბუირებას, როგორც სტრესორს საერთოდ არც კი განიხილავენ მოზარდები, რომელთანაც ფიქსირდება აღზრდის გულგრილი გამოყენების იშვიათობა და აღზრდაში ავტორიტეტული სტილის დომინირება.

**შიშის ბლოკი, შედეგები:**

**ცხრილი #5.** შიშის დიმენსიები, თერთმეტი ბარათის შემთხვევაში გამოვლენილი შიშის ინტენსივობების ჯამური საშუალო მაჩვენებლები.

	მიზეზების ჯამური მაჩვენებელი	EB ემოციური მგრძობიარობა	IA-მეს გულგრილობა	SA-სოციალური შიში	KZ--შიშის სხეულბრივი ნიშნები	ZB-მომავლის შიში	ჯამი
<b>მთლიანი შერჩევაში</b>		3,7	3,7	3,5	3,8	3,8	12,9
<b>მაღალი ავტორიტარული</b>	33,4	3,8	3,9	4,0	3,8	4,0	13,6
<b>დაბალი ავტორიტარული</b>	28,6	3,7	3,6	3,4	3,8	3,8	12,7
<b>მაღალი ლიბერალური</b>	28,4	3,7	3,7	3,7	3,9	3,9	12,8
<b>დაბალი ლიბერალური</b>	31,7	3,7	3,7	3,6	3,8	3,8	13,1
<b>მაღალი გულგრილი</b>	28,2	3,8	3,8	3,5	3,9	4,0	12,9
<b>დაბალი გულგრილი</b>	30,6	3,7	3,7	3,6	3,8	3,8	13,0
<b>მაღალი ავტორიტეტული</b>	27,2	3,7	3,7	3,7	4,2	3,8	12,3
<b>დაბალი ავტორიტეტული</b>	31,5	3,7	3,7	3,4	3,7	3,8	13,2

როგორც ცხრილიდან ვხედავთ: აღზრდის სტილების გავლენა შიშის ემოციის სტრუქტურაზე ერთგვაროვანია, მაგრამ განცდის ინტენსივობის მიხედვით აღზრდაში გამოყენებული გულგრილი, ავტორიტეტული და ავტორიტარული სტილების პირობებში გამოვლინდა განსხვავება (თუმცა ეს განსხვავება მხოლოდ ტენდენციის ხასიათისაა, და შემდგომ დაზუსტებასა და კვლევას საჭიროებს) შიშის სხეულბრივი ნიშნების და მომავალზე ორიენტირებულ შიშის დიმენსიათა ინტენსივობების მიხედვით.

შიშის ფიზიოლოგიურ დონეზე აგზნებადობის ინტენსივობა, სტრესოგენულ სიტუაციებში სხეულბრივი რეაგირება უფრო მეტად ავტორიტეტული აღზრდის სტილის დომინირების პირობებში ვლინდება, მომავალზე ორიენტირებული შიში, უფრო მეტად აღზრდის გულგრილი და ავტორიტარული სტილების პირობებში აღინიშნება, ხოლო სოციალური შიში – ავტორიტარული სტილის დომინირებისას.

**მიღებული შედეგები და დასკვნები**

- მასწავლებლის ფიგურა, როგორც სტრესორი, ყველაზე მნიშვნელოვანი აღმოჩნდა იმ მოზარდებში, ვისთან მიმართებაშიც დომინირებს აღზრდის ავტორიტეტული და ლიბერალური სტილი. ეს ნიშნავს, რომ რაც უფრო იშვიათად მიმართავენ მშობლები აღზრდის ამ სტილს, მასწავლებლის ფიგურა მით უფრო მაღალ მნიშვნელობას იძენს. ხოლო რაც მეტად გამოიყენება აღზრდაში აღზრდის ლიბერალური და ავტორიტეტული სტილი, მასწავლებლის ფიგურა მით ნაკლები სტრესის წყარო ხდება მოსწავლისთვის.
- გაკვეთილის პროცესი და მასთან დაკავშირებული სტრესორები ყველაზე აქტუალური, აღზრდაში გულგრილი სტილის გამოყენების პირობებში გამოვლინდა.
- ინტერაქტიული სასწავლო პროცესისადმი შიში, უფრო მეტად აღზრდაში ავტორიტეტული სტილის გამოყენებისას იჩენს თავს, ხოლო გულგრილი სტილის გამოყენებისას ის როგორც სტრესორი ღირებულებას კარგავს; გამოცდა - ყველაზე მნიშვნელოვანი, აღზრდაში გულგრილი სტილის გამოყენების დომინანტობის პირობებში აღინიშნება; საშინაო დავალება - მხოლოდ აღზრდაში ავტორიტარული სტილის გამოყენების პირობებში კარგავს აქტუალობას; შეფასების მიმართ განსაკუთრებულად მგრძობიარენი ავტორიტარული და ავტორიტეტული აღზრდის სტილის დომინირების პირობებში იძენს მაფრუსტრირებელ მნიშვნელობას, ხოლო გულგრილი სტილის პირობებში ის, როგორც სტრესორი, დევალვირებულია.



9. . . . 7- . . . « . . . ». 2000
10. Ekman P., Heider C.G. The universality of contempt expression: A replication. \_ Motivation and Emotion, 1988, 12, 303-308.
11. Osgood C.E. Dimensionality of the semantic space for communication via facial expressions. - Scandinavian Journal of Psychology 1966, 7, 1-30
12. Tskhvedadze N., Mirtskhulava R., "Study of Georgian Student's Anxiety in the Process of the Educational Reform". London International Conference on Education-2011 LISE – მსსსსსსსს 2011.WWW. iiedu. org.
13. Frijba, N. H., Phillipszoon E. Dimensions of recognition of expression. - Journal of Abnormal and Social Psychology, 1963 (66, 45-55).
14. . . . . „ . . . . „ 1993.
15. . . . . „ . . . . „ 2000.
16. E. Husslein, Der Schlangst-Test (SAT). Gottingen.Toronto. Zurich, 1978.
17. . . . 1 . 1986 . 109–112; 244-267; 144
18. . . . . 11. . 1986 . 268-289

*Nanuli (Nana) Tskhvedadze*

*Sokhumi State University*

*Ketevan Lomsadze*

*Gori State Teaching University*

## **THE UPBRINGING STYLE AND EDUCATIONAL MOTIVATION RESUME**

In the present work are analyzed the data of the empirical study on the educational motivation of school children and the effects of upbringing style and management (authoritarian, authoritative, liberal and indifferent) on that latter. The independent variable is the upbringing style and the dependent variable is the school fear, as one of the main components of the achievement motivation. In the work are also analyzed the structural - dynamic features and the localities or sources of causality. As the theoretical ground are used the motivational theories of emotion. As the method of study are used the self-report and SAT.

A number of authors consider the intensity of the response towards the objective stressor of fear to be a learned pattern. Therefore, we suggested that in the conditions of different upbringing style adolescents' response will probably be different towards such distressful situations such as family, peers and the process of education.

Comparison of the structural features of fear and sources of stressors according to the upbringing style revealed, that the upbringing style affects the constructs of fear. Namely, authoritarian and authoritative upbringing styles equally affect the style of response to the stressors; this response is intensive fear. The indifferent style of upbringing causes the low level response to the fear. As for the liberal style, its differentiating effect has not been revealed.

( )

XIX -

1960-1980-

, 1996).

» (1999)

) 90-

(6-8 )

(6-8 ); 1 (8-9 ); 2 (9-11 ), 1(11-13<sup>6</sup> ), 2 (13-15 ).

6 15 .

6-8 ,



2. . – ., 2015
3. : . – ., 2017
4. : . – ., 2003.
5. / . – ., 2003.
6. - [www.ed.gov.ru](http://www.ed.gov.ru)
7. - <http://www.rusintercenter.ru>

*Natela Khinchagashvili, Nino Iluridze, Nino Markarovi*  
*Gori State Teaching University*

**ON THE QUESTION OF THE TESTING OF PRESCHOOLS IN THE RUSSIAN AS A FOREIGN LANGUAGE  
 RESUME**

The article examines the problem of testing preschoolers in Russian as a foreign language. The peculiarity of testing of A start level (preschoolers 5-7 years), test models, types of test sessions are offered.

**ფ ი ლ ო ლ ო გ ი ა**  
**Philology**

*ნანა არახამია*  
*სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

**სოციალური ტიპის დეფინიციისათვის მხატვრულ ნარატივში**

სახელმწიფოში დანაშაულის, მსხვერპლის და სასჯელის ცნება სამყაროშიც და მსოფლიო ლიტერატურაშიც სხვადასხვა ისტორიულ ეტაპზე მკვეთრ ცვლილებებს განიცდიდა. ფორმდებოდა პოლიტიკური წყობისა თუ საზოგადოებრივი გარემოებების ცვლილებათა პარალელურად. ამ პროცესების შეჩერება საბოლოოდ შეუძლებელია და დასრულებულად არ შეიძლება იქნეს მიჩნეული, ვინაიდან ცივილიზაციის განვითარების პარალელურად ვითარდება გარკვეული დანაშაულებები და შესაბამისად, ლიტერატურაშიც დამნაშავეს, როგორც ტიპის, მრავალფეროვნების არეალიც, რაც იმას ნიშნავს, რომ დანაშაულის, მსხვერპლისა თუ სასჯელის პრობლემა აქტუალური და მნიშვნელოვანია ყველა დროსა და გარემოში.

თუკი თვალს გადავავლებთ ქართული ლიტერატურის ისტორიას, ნათელია, რომ ჩვენს მწერლობაში დომინირებს ქალზე ძალადობის ფაქტების შემცველი ნაწარმოებები და ჩვენი მსჯელობის თემაც, სწორედ მხატვრულ ნარატივში დამნაშავესა და მსხვერპლის დეფინიციის საკითხებს ეხება. რა კავშირშია ლიტერატურაში ასახული ფანტაზიები რეალობასთან, არსებობს თუ არა კავშირი მათ შორის? ლიტერატურის ფუნქციად შეიძლება იყოს აღიარებული ჩამოუყალიბოს ადამიანს საზოგადოების იდეალური ყოფის სიმპტომები, რა არის ქართულ მწერლობაში ქალზე ძალადობის თემის აქტუალობის მიზეზი, რაზე მიგვანიშნებს მოძალადე, ყაჩაღ პერსონაჟთა სიუჟე და მრავალფეროვნება ქართულ სინამდვილეში, რა არის ძალადობა, ვინ არიან მოძალადეები და ვინ არის მსხვერპლი

ლიტერატურათმცოდნეების თვალსაწიერიდან? ეს ის კითხვებია, რომლებზედაც მეტ-ნაკლებად შევეცდებით ვისაუბროთ ჩვენს ნაშრომში.

სამეცნიერო ლიტერატურაში სასტიკი მოპყრობის აღსანიშნავად იყენებენ ტერმინს ბულინგი (ბულინგი, მოძალადე), იგივე მობინგი (ბრძოლა თავდასხმა, შევიწროება). ბულინგი (მობინგი) გულისხმობს დაშინებას, ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ დევნას იმ მიზნით, რომ გამოიწვიოს სხვა ადამიანში შიში, მორჩილება. ადრე ეს იყო ყოფითი ცნება, მაგრამ ბოლო 20 წლის განმავლობაში გახდა სოციალურ-ფსიქოლოგიური და პედაგოგიური ტერმინი. ბულინგი მიჩნეულია სოციალურ მოვლენად და ძირითადად დამახასიათებელია ბავშვთა ორგანიზებული კონფლიქტებისთვის (1).

არსებობს ძალადობის სხვა განმარტებაც: „ძალადობა არის ძალის ამკარა ან ფარული გამოყენება ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფისგან ისეთი რამის მისაღწევად, რაზედაც ისინი თავისი ნებით არ თანხმდებიან. სინონიმებია: აგრესია, სასტიკი მოპყრობა, შეურაცხყოფა, იძულება, ხელყოფა, წამება, მუქარა.. ძალადობის დროს ითრგუნება ადამიანის ნება, შელახულია მისი ხელშეუხებლობა” (2).

ჩვენ მიერ გაანალიზებული ტიპები ლიტერატურათმცოდნეობაში განეკუთვნებიან სოციალურ ტიპს. „ლიტერატურული ტიპის დეფინიცია პირველად ჰეგელის ესთეტიკაში გვხვდება. „ლიტერატურის თეორიაში „ტიპი“ და „ხასიათი“ მსგავსი, მაგრამ არაიდენტური ცნებებია. ტიპი წარმოადგენს ამა თუ იმ სოციალური მოვლენის განზოგადებას და დაკავშირებულია ტიპურ თვისებებთან (3).

ტიპი კონკრეტული მხატვრული სახეა, რომელშიც გაერთიანებულია ადამიანთა ან სხვა მოვლენათა ჯგუფის მთავარი დამახასიათებელი თვისებები. ავტორი პერსონაჟის ანუ ერთი პიროვნების საშუალებით მთელი საზოგადოებრივი ჯგუფის არსებითსა და დამახასიათებელ თვისებებს გვიხატავს.

შემდგომი მსჯელობისათვის ვფიქრობთ, აუცილებელია მსხვერპლის განმარტებაც: „მსხვერპლია ისეთი ქალი, რომელიც ფიზიკური ძალადობის შედეგად ფსიქოლოგიურ წნეხს განიცდის. მასზე უარს ამბობს ოჯახი, საყვარელი ადამიანი, დასცინიან და ხდება მისი გარიყვა. მსხვერპლს არ გააჩნია დამოუკიდებლად ცხოვრების უნარი, ვერ წარმოუდგენია არსებული რეალობის ალტერნატივა. თავს დამცირებულად გრძნობს და დარწმუნებულია, რომ წასასვლელი არსად აქვს“ (4).

ძალადობა მორევანა და ფიზიკურად ძლიერი მამაკაცები იმორჩილებენ სუსტ ქალებს. რა სიუჟეტურ განვითარებას გვთავაზობენ ამ მხრივ ქართული მწერლები?! ქართული ლიტერატურის პირველსავე ძეგლში „შუშანიკის წამებაში“ ვაწყდებით მოძალადე (ვარსქენი) და მსხვერპლ (შუშანიკი) პერსონაჟთა ტიპებს. ოჯახში მიმდინარე კონფლიქტი სცდება ოჯახის ფარგლებს და იღებს ერის, საზოგადოების, კონსოლიდაციის სახეს. ამას ახერხებს დედოფალი, რომელიც ფსიქოლოგიური, ფიზიკური თუ ეკონომიური წნეხის ქვეშაა, ბრძოლას არ წყვეტს და თვლის, რომ ქმართან ერთად წარწყმედას განყენება ჯობია. „ხოლო უკეთუ შემკრას და მათრიოს მიხარის, რამეთუ მით სახითა იყოს განჩინებანი ჩემი მისგან“, რითაც მეტი შესაძლებლობა ეძლევა გარშემო მყოფთ, რომ არჩევანი გააკეთონ დედოფალსა და ვარსქენს შორის. მიუხედავად ქმრის საშინელი ძალადობისა და რისხვისა, შუშანიკი ამ ქვეყნად სიმართლის ვერმპოვნელი იმ ქვეყნად ეძებს თანასწორობას: „განვისაჯეთ მე და ვარქსქენ პიტიახმ მუნ, სადა არა არს რჩევაი მამაკაცისა და დედაკაცისა“ (მიუხედავად გაუსაძლის ვითარებაში ყოფნისა შუშანიკი სულით არ ეცემა და ახერხებს საზოგადოების კონსოლიდაციას, საკუთარი თავის დაცვას). ქრისტიანული ეკლესიის წიაღში, სარწმუნოების საფარქვეშ ყალიბდება აქტიური და მებრძოლი ქალის სახე, რომელიც არსებითად განსხვავდება ქართულ მწერლობაში წარმოჩენილ მსხვერპლი ქალების ტიპთაგან.

სრულიად განსხვავებული და საინტერესოა რენესანსის ეპოქის ქალისა და მამაკაცის თანასწორობის იდეა: „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია“. მებრძოლი ქალის სახეა ნესტანიც. მამა ფსიქოლოგიურად ძალადობს ქალიშვილზე, ეწინააღმდეგება მის არჩევანს. ავტორიტარ მამას შეყვარებული წყვილი უპირისპირდება და წარმოიქმნება კონფლიქტი, რომელსაც ჩიხში შეჰყავს არა მარტო ოჯახის წევრთა ურთიერთობა, არამედ მთელი სახელმწიფოს განვითარებაც. ავტორიტარულ ინდოეთში დარღვეულ წონასწორობას, თინათინის მოწოდებით „წადი იგი მოყმე ნახე, ახლოს იყოს თუნდა შორად“, ავთანდილი აღადგენს, რომლის მისის აღსრულების შემდეგ ავტორი შემართებით გვიცხადებს: „ნახეს მზისა შესახვედრად გამოემვა მთვარე გველსა.“

გადმოვინაცვლოთ მე-19 საუკუნის მწერლობაში. ავტორთა მიერ წარმოჩენილი კონფლიქტები ძალზე ხშირად სწორედ ქალზე ძალადობის თემაზეა აგებული. ჩვენი კლასიკოსები და მათ შორის ილია ჭავჭავაძე, რომელსაც ყოფნა არ ყოფნის ზღვარზე მდგარი ერის ხსნა ეკისრება, ამ თემას ვერ ასცდა „გლახის ნაამბობში“ ვხვდებით მსხვერპლ ქალს თამროს. გაბროსა და თამროს შორის გაბროს ბატონი დათიკო დგება. მიუხედავად იმისა, რომ მან იცის ამ ორი ადამიანის სიყვარულის შესახებ, თავს უფლებას აძლევს, თამროს ნამუსი ახადოს. გაბრო კი ნაცვლად მსხვერპლის დაცვისა, ბატონზე შურისძიებას გადაწყვეტს. მსხვერპლის დაცვას ის სოციუმში გაბატონებული აზრის გამოც ვერ ახერხებს. სოციუმში, რომელიც თვლის, რომ გაუპატიურებულ ქალს არა აქვს ბედნიერების უფლება. ამ განწყობას ირეკლავს

სწორედ თამროს სიტყვები: „მე ის თამრო აღარ ვარ“. მსხვერპლი ქალი თავის განადგურებისაკენ მიიქცევა, გამოსავალს ვერ პოულობს და საროსკიპოში ამოჰყოფს თავს.

ალ. ყაზბეგის შემოქმედება გამოირჩევა დაუცველი, მსხვერპლი ქალების სიუხვით და მრავალფეროვნებით. ფაქტიურად ყველა ქალი დაუცველია. გავიხსენოთ მზალო და „ნაჩალნიკის“ ინციდენტი ან ჯაჯალა, რომელიც თითქოს ძლიერი ქალის როლში გვევლინება, მაგრამ მაინც მარცხდება. მიმიას ბედიც ტრაგიკულია. იგი უკვალოდ ქრება, მხოლოდ იმიტომ, რომ ქმარი, რომელსაც, მისი სურვილის მიუხედავად, მაინც მიათხოვეს, არ უყვარდა და სხვა მამაკაცი შეუყვარდა. მოძალადე პერსონაჟის სახეა გლაზაც „მამის მკვლელში“. იგი ადგილზე კლავს ცოლს და მასზე მოძალადე დიამბეგს.

ვაჟამ როგორც მისი შემოქმედება, ასევე ეს თემაც მეტად ორიგინალურად წარმოგვიჩინა. „წყალმა წაიღო აღაზა, ლამსა და ქვიშას შაპრია“ და რატომ? მხოლოდ იმიტომ, რომ ის იყო ქალი და მან ცრემლი დაღვარა უცნობი მამაკაცისთვის.

სულ სხვა გარემოებაა ილიას „განდეგილში“. ამ პოემაში ქალია დამნაშავეს ამპლუაში, ხოლო განდეგილი მსხვერპლია. სწორედ მწყემსი ქალის სილამაზე აღმოჩნდა განდეგილის დაღუპვის მიზეზი.

ილიას პოემა „განდეგილს“ საანალიზო კონტექსტში ენათესავება ვაჟას „გველიმჭამელი“. აქაც ქალი, ცოლი მზიაა დამნაშავე მინდიას დაღუპვაში. კ. მეძველიას თვათახედვით, ორივე თხზულების გმირი ქალის ცდუნებამ იმსხვერპლა. „ქალი კი ორივე ავტორთან რეალური ცხოვრების სიმბოლოა“ (5).

აკაკი წერეთელიც ვერ გაექცა ამ თემას. პოემა „გამზრდელში“, სადაც ძალადობის მსხვერპლი ნაზიბროლა ჩუმად ტირის და თავს ახლის კედელს, ნაცვლად იმისა, რომ თავის დაცვას შეეცადოს, თავსაც თავად გრძნობს დამნაშავედ, მხოლოდ იმიტომ, რომ მასზე იძალადეს. განსხვავებული მოძალადის ტიპია საფარ-ბეგი. ჩადენილი დანაშაულის მერე არ ასვენებს სინდისის ქენჯნა და საკუთარი სიცოცხლეც კი ემეტება ნამუსის გაწმენდისათვის.

ხშირ შემთხვევაში უზარმაზარი ზეწოლისა და სირცხვილის გამო სოციუმიდან მოწყვეტილი ქალები თავად მიდიან თვითმკვლელობის გადაწყვეტილებამდე. ეგნატე ნინოშვილის „სიმონაში“ ტიტკოს მიერ ნამუსახდილი დარიკო წყალში ვარდება, „მამის მკვლელში“ ნუნუ თავის ჩამოხრჩობას ცდილობს. „ბაში-აჟუკი“ შუამთის მონასტერზე თათრების თავდასხმა მასობრივი მკვლელობების, გაუპატიურებებისა და თვითმკვლელობის საბაზი ხდება.

1892 წელს გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნდა ეგნატე ნინოშვილის „ქრისტინე“, სადაც ნაჩვენებია ქალის ზნეობრივი დეგრადაციის წარმომშობი მიზეზები. ქრისტინე ტიპია ახალგაზრდა პატიოსანი გლეხი ქალისა, რომელიც წოდებრივმა უთანასწორობამ, აზნაურ უქმადის უმსგავსო მოქმედებამ გარყვნილების ჭაობში შეიყვანა. თვალთმაქცი იასონ უქმადე ცოლად შერთვას პირდებოდა ქრისტინეს. როდესაც იასონმა თავისი ჟინი დაიკმაყოფილა, მიატოვა ქრისტინე და აზნაური ქალი შეირთო ცოლად. ქრისტინეს შეეძინა უკანონო შვილი. მამამისი ხშირად სცემდა საბრალო ქალს. ქრისტინე ვერ უძლებს გამუდმებულ მორალურ და ფიზიკურ ტანჯვას და ქალაქელი სონას რჩევით მიატოვებს მეძუძურ ბავშვს და სრულიად მოულოდნელად პირდაპირ საროსკიპო სახლში მოხვდება. უქმადის მსგავსი ადამიანები „სინდისის ყოველგვარი ქენჯნის გარეშე ღუპავენ უმანკო მსხვერპლს - ამ ქალთა სახით“ (6).

დ. კლდიაშვილმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართულ დრამატურგიაში. გულისმომკვლელი და სევდიანი სინამდვილე გამოხატა მან პიესებში: „ორინეს ბედნიერება“, „უბედურება“, „მსხვერპლი“, რომლებიც აქტუალურია ჩვენი თემის თვალსაზრისით.

ძალადობის თემა მე-20 საუკუნეშიც გადაჰყვა ქართულ ლიტერატურას. მსხვერპლის სრულიად განსხვავებული ტიპაჟია მარიტას სახე გ. ლეონიძის „ნატვრის ხეში“, განსხვავებულია მისი სამაგალითო დასჯის მეთოდებიც. ძნელი განსასჯელია სასჯელის გამომწვევი მიზეზებიც. მარიტა, რომელიც მკითხველში ძალიან დიდ სიმპატიებს იმსახურებს, ფაქტიურად მარტოა და ნაწარმოებში მხოლოდ ფუფალა უჭერს მხარს. მარიტას დანაშაული სიყვარულია.

ქალზე ძალადობისა და დამცირების, დაცინვისა და გრძნობების აბუჩად აგდების თემები წამოსწია წინ მიხეილ ჯავახიშვილმა დრამაში „უპატრონო“, მოთხრობაში „ეკა“, „ჯაყოს ხიზნები.“

„უპატრონო“ მ. ჯავახიშვილის სოციალურ-ფსიქოლოგიური დრამაა. „უპატრონოს“ მთავარი გმირი ჩვიდმეტი წლის ნუცაა, მექათმედ წოდებული, იგივე უპატრონო, რომელიც ახალი ბატონის ხელში ცხოველური გრძნობების დასაკმაყოფილებლად სათამაშო თოჯინად ქცეულა. ნუცას დედაც ბატონის მსხვერპლი იყო. ახლა ნუცა გახდა დედის მძიმე ხვედრის გამზიარებელი. მეზობლებს საბოლოოდ ნუცა მჭედელ პავლეს მიათხოვა. მერე ქმარმაც შეიტყო სიმართლე, რომელიც დაუზოგავად სცემდა ფეხმძიმე ქალს. ნუცასა და პავლეს ცოლქმრობა იმით დამთავრდა, რომ პავლემ უბედური დედის თვალწინ მოკლა ახალშობილი.

ეკაც მსხვერპლ ქალთა რიგს მიეკუთვნება და მასზეც ძალადობენ. იგი თვრამეტი წლისაა და მოსამსახურედ მუშაობს, სწორედ აქ ქალბატონის ვაჟი იძალადებს მასზე. აქედან იწყება ეკას ცხოვრების ტრაგედია.



მ. ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნების“ პერსონაჟი მარგო, როგორც მსხვერპლი ქალის ტიპაჟი, სრულიად განსხვავებულია ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში. მარგო იქცევა ფსიქოლოგიური, სექსუალური, ფიზიკური და ეკონომიკური ძალადობის მსხვერპლად. ჩვენ მიერ განხილული მსხვერპლი ქალები აღიქმებიან როგორც შესაბრალო და სანუგეშო არსებანი. რა შემთხვევაში შეიძლება იყოს მსხვერპლი უარყოფითი პერსონაჟი? ლ. წიფურია თავის სადისერტაციო ნაშრომში – „ქართული პროზის ინტერპრეტაცია აუდოვიზუალურ ხელოვნებაში (მ. ჯავახიშვილის ნაწარმოებების საფუძველზე)“ ვრცლად საუბრობს ამ საკითხზე და ა. ბაქრაძის შეხედულებებზე დაყრდნობით, ცდილობს პასუხი გასცეს კითხვას – „ძალადობა ცუდია იმის გამოც, რომ ზოგჯერ ადამიანი ამ ძალადობას ეჩვევა და ვერც კი გრძნობს, რომ მასზე ძალა იხმარეს, ვერც კი გრძნობს, რომ იგი დამცირებული და დამონებულია. ისე შეეჩვია ძალადობას, რომ მისი მოკავშირე გახდა და ყველაზე მთავარი თვისება ადამიანისა იყოს თავისუფალი, იყოს თავისი ნების პატრონი... ამის უნარი მას უკვე აღარ აქვს. აი, ეს პროცესი სწორედ მარგოს სახეში გახლავთ გამოვლენილი“ (7). ამდენად, მარგო უარყოფითი სახე პერსონაჟია მსხვერპლისა.

ჩვენს მწერლობაში ვხვდებით სრულიად განსხვავებულ მსხვერპლი პერსონაჟების ტიპებს. ადამიანი მსხვერპლად მხოლოდ ძალადობისა და დანაშაულის შედეგად არ იწოდება. ადამიანური მორალის მქონე პერსონაჟები, რომელთა ქმედებები უზენაეს ზნეობრივ კანონს ემორჩილება, მხატვრულ ლიტერატურაში იწოდებიან მსხვერპლად, თვითონვე ჩადენილი ქმედებების შედეგად: ვაჟა-ფშაველას „გველიმჭამელის“ მინდია თავს იკლავს ხალხის წინაშე საკუთარ დანაშაულში დარწმუნებული. „ან აქ რა პირით ვიცოცხლო თავს რით ვიმართლებ ღმერთანა?!“ - კითხულობს იგი.

თემის წინაშე დანაშაულის შეგრძნება თავს აკვლევინებს ალაზასაც. „მომძეთ მოლაღატე სიცოცხლის ღირსი არ არის.“ ამ პრინციპით ხევისბერი კლავს თავის ერთადერთ შვილს. აკაკის გამზრდელი თავს იკლავს აღზრდილის საქციელის გამო. სასჯელის განხორციელების შემდეგ გოჩა ჭკუიდან იშლება და მალევე იღუპება. გუგუამ, რომელიც ონისესავით ეჭმიტანილი იყო ღალატში, თავი მოიკლა. „მორალური მართლმსაჯულების სისტემაში პიროვნება მთავარი ფიგურაა ... იგი უპირველესად იმ უზენაეს ზნეობრივ კანონს ემორჩილება, რომელსაც სინდისი კარნახობს“ (8).

როგორც მოტანილი მასალებიდან ირკვევა, არსებობდა კავშირი ცხოვრებასა და მწერლობას შორის. მაღალი იყო ზეგავლენა ლიტერატურული დისკურსისა ყოფაზე. მხატვრული ტექსტი, ერთი მხრივ, აირეკლავდა რეალობას და ამასთანავე წამყვანი ფუნქცია ენიჭებოდა სოციალური გარემოს სტრუქტურულ და ღირებულებრივ ფორმირებებში. თუკი თვალს გადავავლებთ ჩვენი კოლონიზირებული ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებას მე-19 მე-20 საუკუნეებში მსხვერპლ პერსონაჟთა მრავალფეროვნება და სიუხვე სწორედ ამ კონტექსტით არის განპირობებული. ქართველი მწერლები მსხვერპლ ქალთა ალეგორიზაციას ახდენენ დამონებული, უფლებადაკარგულ, უიმედო ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებასთან მიმართებაში.

ამდენად, მსხვერპლი ქალის სახე შეიძლება მივიჩნიოთ დაპყრობილი, თავისთავადობა დაკარგული ერის მიერ განცდილი დამცირების, ჩაგვრისა თუ მონობის მკვეთრ გამოხატულებად ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში. ამ მოვლენის აღწერის მრავალფეროვნება გამორიცხავს (შეუძლებელს ხდის) მის მიხედვას ექსკლუზიურად ერთადერთ თემასთან, იქნება ის სოციალური თუ ნაციონალური. სავსებით ვეთანხმებით ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში გამოთქმულ თვალსაზრისს იმის შესახებ, რომ „მარგოს სახის ტრაგიკული განვითარება, მისი გრძნობათა ბუნების ინტერპრეტაციის მრავალფეროვნების შესაძლებლობა იძლევა საშუალებას მარგო მოვიაზროთ, როგორც დაპყრობილი საქართველოს სიმბოლო, თეიმურაზი უნიათო ქართველობისა, ხოლო ჯაყო კი უცხოტომელი მოძალადის კრებითი სახეა“ (9).

აღნიშნული უდავოდ ვრცელდება ქართულ მწერლობაში არსებულ ყველა ლიტერატურულ ნაწარმოებზე, სადაც დანაშაულის, მსხვერპლის და დამნაშავის პრობლემა დასმული.

ჩვენი თვალთახედვით, სიუხვე და მრავალფეროვნება მსხვერპლ და დამნაშავე პერსონაჟთა სისასტიკე და უღმობელობა ჩვენს მწერლობაში სხვა რაკურსითაც შეიძლება გავიაზროთ. არისტოტელე თავის „პოეტიკაში“ ტრაგედიაზე მსჯელობისას საგანგებოდ ამხვილებს ყურადღებას იმის შესახებ, რომ ნაწარმოებში „გადმოცემული ამბავი შიშისა და სიბრაღის გრძნობას უნდა აღძრავდეს მაყურებელში და ამ გრძნობათა საშუალებით იგი ვნებათაგან უნდა განიწმინდოს“. აქედან გამომდინარე, არისტოტელეს აზრით, ტრაგედიის საბოლოო ესთეტიკურ მიზანს წარმოადგენს კათარზისი ანუ „შიშითა და თანაგრძნობით“ გამოწვეული მშვენიერების შეგრძნება... ამისთვის აუცილებელია ისეთი ადამიანი, რომლის მიერ ჩადენილი საქმეები „შიშისა და თანაგრძნობას“ აღძრავს მაყურებელში. არისტოტელეს აზრით, ასეთად არ გამოდგება უკეთური ადამიანი, რომელიც უბედურებიდან ბედნიერებაში გადადის, რადგან იგი თანაგრძნობას არ გამოიწვევს მაყურებელში. ტრაგედიაში გადმოცემული ამბავი უფრო ბედნიერებიდან უბედურებაში გადასვლას უნდა ასახავდეს (10).

ამდენად, ქართველი კლასიკოსების მთავარი მიზანია არა ძალადობის უაზრო ხდომილების ჩვენება ქართულ მწერლობაში, არამედ ძალადობის თემასთან დაკავშირებული ტრაგიკული მოვლენების ფონზე კოლონიზირებული ქვეყნის გამოფხიზლება და ლუარსაბის სახე შერჩენილი ერის კათარზისამდე მიყვანა. ეს ძველისძველი ცნება, რომელიც არისტოტელედან მომდინარეობს, თანამედროვე სამყაროსა და ხელოვნებაში დღემდე არ კარგავს აქტუალობას და ჩვენს თვალსაზრისზეც უდავოდ ვრცელდება.

#### ლიტერატურა:

1. მ. ნარიმანაშვილი, ბულინგი, 09.04.2013.education.ge.
  2. ნ. ბერიკაშვილი, რა არის ძალადობა? გენდერული პრობლემატიკა საქართველოში ქალთა განათლებისა და ინფორმაციის საერთაშორისო ცენტრი. თბ., 2002, გვ. 10.
  3. ნ. გაფრინდაშვილი, მ. მირესაშვილი, ლიტერატურათმცოდნეობის საფუძვლები, თბ., 2008, გვ. 135.
  4. მსხვერპლი, ადამიანის უფლებათა ლექსიკონი, შეადგინა ფ. საყვარელიძემ, რედაქტ. ანა ჭაბაშვილი, თბ., 1999, გვ. 128.
  5. კ. მეძველია, „განდეგილი“ და „გველისმჭამელი“, წიგნში: კ. მეძველია, ლიტერატურული ნარკვევები, თბ., 1967, გვ. 157.
  6. იუზა ევგენიძე, ეგნატე ნინოშვილი, წიგნში: ახალი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 2, თბ., 2003, გვ. 658.
  7. ლ. წიფურია, ქართული პროზის ინტერპერატაცია აუდოვიზუალურ ხელოვნებაში (მ. ჯავახიშვილის ნაწარმოებების საფუძველზე), თბ., 2012.
- სადისერტაციო ნაშრომი [www.nplg.gov.ge](http://www.nplg.gov.ge).
8. მ. ჯალიაშვილი, პიროვნება და მორალური მართლმსაჯულების ფენომენი, [www.nplg.gov.ge](http://www.nplg.gov.ge).
  9. ლ. წიფურია, ქართული პროზის ინტერპერატაცია აუდოვიზუალურ ხელოვნებაში (მ. ჯავახიშვილის ნაწარმოებების საფუძველზე), თბ., 2012.
  10. არისტოტელეს „პოეტიკა“, წიგნში: ლიტერატურათმცოდნეობის საფუძვლები, თბ., 2003, გვ. 20.

*Nana Arakhamia*

*Sokhumi State University*

### **FOR THE DEFINITION OF OPPRESSOR, VICTIM IN ARTISTIC NARRATIVE RESUME**

Together with the development of civilization in Georgian writing about topicality of the problem of crime, victim or punishment in the paper “For the definition of oppressor, victim in artistic narrative” is being developed range of certain crimes and thus, even in literature the range of crime as a variety of type, meaning that the problem of crime, victim or punishment is topical and important at any times and environment.

Writings on the facts of violence to women are dominated in Georgian writing. From this standpoint the paper includes consideration of many fictions, e. i.: I. Tsurtaveli’s “The Martyrdom of *Shushanik*”, *Sh. Rustaveli*’s “The Knight in the *Tiger’s Skin*”, I. Chavchavadze’s “*Glakhis Naambobi*” (Story of Poor), “*Gandegili*” (Hermit), Al. Kazbegi’s “*Father’s Killer*”, “*Khevisberi Gocha*”, Vazha-Pshavela’s “*Stumar-Maspindzeli*”, “*Gvelimchameli*”, Ak. Tsereteli’s “*Gamzrdeli*”, E. Ninoshvili’s “*Kristine*”, G. Leonidze’s “*Natvriskhe*”, M. Javakhishvili’s “*Upatrono*”, “*Eka*”, *Jako*’s *Khiznebi*”.

Under the basis of aforesaid materials is found out that the main objective of Georgian classics is not to show senseless event of violence in Georgian writing, but to awaken colonized country under the background of tragic events related to the theme of violence and drawing the nation with the left image of Luarsab to catharsis. This ancient concept coming from Aristotle to modern world and art to present remains topical and actually is spread even to our standpoint.

### **სიტყვათქმნაობა ლევან გოთუას თხზულებებში**

XX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიაში ლევან გოთუას შემოქმედებას ღირსეული ადგილი უჭირავს. მან საკმაოდ რთული და წინააღმდეგობით აღსავსე გზა განვლო. სამშობლოს წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე გულმხურვალედ დაფიქრებული პატრიოტი შემოქმედი ქვეყნისა და ხალხის მტრად იყო გამოცხადებული, მაგრამ არასოდეს შეუწყვეტია შემოქმედებითი მუშაობა და მთელი თავისი მწერლური სულისკვეთებით ებრძოდა არსებულ სინამდვილეს.

ლევან გოთუა - გენიალური პროზაიკოსი, შესანიშნავი დრამატურგი, ნოველების დიდოსტატი, პუბლიცისტი და თანამედროვე სამოგზაურო ჟანრის ნაწარმოებთა ავტორი, არაჩვეულებრივი მექართულე, ქართულის უბადლო მცოდნე იყო. განსაკუთრებული სწრაფვა სიტყვაწარმოებისაკენ, რთული სიტყვების, კომპოზიტების შექმნისაკენ, მაშინ მავანთა საყვედურს იწვევდა; თითქოსდა მასისთვის გაუგებარი იყო მისი წერის ტექნიკა.

მწერალი იმ კრიტიკოსების გასაგონად, რომლებიც წერის ტექნიკას და სტილს უწუნებდნენ, ბრძანებდა: „ვინც მხატვრულ წიგნში სისტემას ეძებს, ის ვერასოდეს ვერ დაწერს, ვერც გაიგებს მწერლის აღლევებულ წიგნს!.. ყველაფერი, რაც ყდაშია - წიგნი როდია! არც გაცვეთილი სიტყვები და გატკეპნილი ფურცლებია წიგნი! არც უსულო აზრებისა და სახეების გროვა... არც პირფერული ლამაზსიტყვაობა შიშნაკრავისა და ყურმოჭირილისა“.

დღეს, როცა სიტყვაწარმოების თავისებურებებზე ვსაუბრობთ, წარმოუდგენელია ყურადღება არ გავამახვილოთ, რომ ამ სფეროში ენის ფიქსირებული თუ პოტენციური შესაძლებლობანი, მწერლის ძიებათა შედეგები, როგორც ვნახავთ, სათანადოდ განსხეულდა, ავტორისა და მკითხველის შემოქმედებით სივრცეში არსებობის უფლება შეიძინა. მის ნაწარმოებებში ვხვდებით როგორც ერთნაირი, ისე სხვადასხვა ფუძეების შეერთებას. შეიძლება ითქვას, რომ კომპოზიცია მწერლის ერთ-ერთი საინტერესო, ფართო და თვითმყოფადი უბანია. მწერალმა ქართული სიტყვის ახალი დამოუკიდებელი ლექსიკური ერთეულები შექმნა, რომელიც მომხიბლავი და განუზომელია თავისი ინდივიდუალურობით, მასშტაბურობით, მსოფლხედვით... საამისოდ მწერალი საშენ მასალად იღებს ძირეულ სიტყვას და მასზე აგებს სხვადასხვა შინაარსის ლექსებს.

მწერალი ფართოდ იყენებს ქართული ენის მდიდარ შინაგან პოტენციალს, ენაში არსებულ სიტყვაწარმოების მრავალგვარ შესაძლებლობებსა და, ამასთანავე, მისი წერის მანერისათვის ძალიან ნიშანდობლივია და ჩვეულებრივი ქართული სალიტერატურო ენისა და სასაუბრო მეტყველებისათვის სრულიად ახალი, შეიძლება ითქვას, მოულოდნელი სიტყვაშეხამებანი.

კომპოზიტების შემადგენელ კომპონენტად სხვადასხვა მეტყველების ნაწილი გვხვდება:

სუბსტანციური; არსებითი+არსებითი: **თაგბელი 6; იერნატამალი 6; დედასაწყისი 7; კლდეკედელი 7; ცხენ-კაცი 11; ზარქვეშეთი 13; შორენკეცებით 21;** „ისფერ შორენკეცებით იყო მოპირკეთებული;“ **ჯუჯა-საწმართული 23; მზენათლობა 23; ოქრობედი 23; საყდრიონ-ერიონი; ალაზან-ხალხი 28; წყალ-ხმელი 28; სიცილ-ქვითინი 57.**

ადიექტიური; ზედსართავი+ზედსართავი: **შავ-კუმუტა 73;** მსაზღვრელის ფუნქციით, მქონებლობის აფიქსით; **მაღალბოხით 303; ღირსსაკადრისი 31** და სხვა.

სუბსტანციურ-ადიექტიური; არსებითი+ზედსართავი: **გულარხინად 7; გრემ-დიდი 11; პირსწორად 12; ტანპატარანი 17; თავდიდები 17; დარდასავსედ 300; კარდიდა 23,** ამ შემთხვევაშიც ზედსართავს მქონებლობის სუფიქსი აქვს დართული; **გველუშველებელი 300; ტყეხშირი 243;**

სუბსტანციურ-პარტიციპიული; არსებითი სახელი+მიმდებარე: **ენამოწეწკილი 6; ენამოსლექილი; სვეტებჩაწყობილი 11; გაღავანშეფერილი 11; ჩუქურთმამოვლებული 17; ქილვაშაფაფრული 22; ხრინწშეპარული 23; მზენახედული 96; ქარმორხეული 200; ჩრდილდაკრული 215; გულდაჩაგრული 215; ძირმოდგმული 240; წყალგანათლული 28;**

ქართულში ნამყო დროის მიმდებარე მოქმედებითი გვარი არ გააჩნია. მოქმედებითი გვარის ნამყო დროის მიმდებარე საწარმოებლად ვნებითი გვარის სუბიექტური მიმდებარე წინ პირდაპირი ობიექტი დაისმის, რის შედეგადაც ვღებულობთ კომპოზიტს, რომელიც თვითონ მსაზღვრელად გვევლინება და მოქმედების სუბიექტს გამოხატავს.

ადიექტიურ-სუბსტანციური; ზედსართავი+არსებითი: **თარსა-გალავანი** 11; **სეფესუფრა** 21; **ხატულჭურჭელი** 22; **მსხვილულვაშა** 19, მსაზღვრელის ფუნქციითაა, აქვს მქონებლობის სუფიქსი დართული;

ლევან გოთუას თხზულებებში ამგვარი სიტყვათმეთანხმებანი მრავლადაა დადასტურებული.

გვხვდება აგრეთვე ცალკეული შემთხვევები, როცა არსებითი+საწყისი და მიღებულია: **მუცელხოხვა** 17; **ელვა-თრთოლვა** 89. ფუძის რედუპლიკაციით მიღებული: **კიმკიმი** 18; **აუგთ-აუგი** 25; **ზღავილ-ზღავილით** 58.

კომპოზიტის მეორე წევრად გამოყენებულია ფერ სიტყვა: **ჭიაფრად** 19; **ღვიძლისფერ** 23.

კომპოზიციაში მსაზღვრელად გამოყენებული რიცხვითი სახელები ჩვეულებრივია: **შვიდღულელა** 235 (მქონებლობის სუფიქსით); **ორპირმაყარნი** 157.

მწერალი იყენებს ზმნისსართიან კომპოზიტებს: **ზეგადააჯდა** 17; **ზეწამოლალა** 52; **ზესაფრთხილო** 95; **გარესაფარველი** 24.

საწყისი+საწყისი: **ფხეკა-რეცხა** 6; **ელვა-თრთოლვა** 84.

რამდენიმე წლის უკან ვწერდით, რომ კომპოზიტთა ტიპების ტრადიციულ კლასიფიკაციაში არაფერია თქმული ისეთი წარმოების კომპოზიტებზე, რომელთა ორივე წევრი არის მასდარი. საჭიროა კომპოზიტთა ტიპებს შედგენილობის მიხედვით დამატოს მასდარული წარმოების კომპოზიტები, რომელთა კომპონენტი არის საწყისი. ასეთი მასდარული კომპოზიტები გვხვდება ლ. გოთუასა და სხვა მწერალთა ნაწარმოებებში.

ჩვენს მიზანს არ შეადგენდა ლევან გოთუას ენის ამ სფეროს გამოწვლილვითი ანალიზი, გვსურდა მხოლოდ ზოგადი სურათი წარმოგვედგინა და გვეჩვენებინა, რომ სიტყვათწარმოების თვალსაზრისით რამდენად არასწორია მწერლის კრიტიკოსთა ზოგიერთი ადრეული შეფასებანი და, აქედან გამომდინარე, საკითხის დასმაც კი უმართებულოა. ეს რომ ასეა, რამდენიმე სიტყვაწარმოების ნიმუშის ჩამოთვლაც საკმარისია. ყურადღება გვინდა მივაქციოთ იმას, რომ მათი ბუნება კონკრეტულ-გრძნობადია, სახიერი, რაც აღმნიშვნელისა და აღსანიშნის საერთო ნიშნებზე ხაზგასმის ფუნქციითა განპირობებული:

ალაზან-ხალხი	მზენათლობა	რიყეშეპარული
ხვეულ-კიბულები	შორენკეცებით	გულხადარა
კიბე-სართულები	მზეჩახედული	ძარღვდადლილობა
სანიშნო-საკოცონე	მტერ-შემოუბერტყავი	ოქროტვიფრული
ზარქვეშეთი	წყალგანათლული	თვალბურთულა
დედასაწყისი	საყდრიონ-ერიონი	ხმაურ-დანდგარი
ზარწკრიალეები	გულნახევრობით	დოვლათმომდგარი
ყურთმაჯებიანი	გულღრჯუდ	ქარმორხეული
დევექონდაქარი	მრუდენაზობით	ჩრდილდაკრული
კარდიდა	ხასიათუმწიფარნი	ქამარშენაწყვეტი
გალავანშეფერილი	ნაწვენეგამოცდილებით	შავ-კუმუტა
ჩუქურთმამოვლებული	ორპირმაყარნი	ჭიაფრად
ხეჩუქურთმული	სამოს-თავხურვანი	ღვიძლისფერი
ჯუბა-საწმართული	უჩინფარულად	ხატულჭურჭელი
მაღალბოხით	თაურაასოები	ნათელ-იორდანეში
ყვიცგაკრული	გვართსამხილავი	და სხვა.
ქვაფორე	ტომთსამხილავი	
ქვაბ-სახიზრები	ტომთსამყოფელი	

ლ. გოთუას ზოგიერთი შედგენილი სიტყვების კომპოზიტად მიჩნევა გაჭირდებოდა, თუმცა პირველ კომპონენტს, სადაც შესაძლებელია, ბრუნვის ნიშანი არა აქვს, რაც უდავოდ მათ კომპოზიტობას უჭერს მხარს. ხოლო რთული სიტყვის წარმოქმნის, ე.ი. სიტყვათა გაკომპოზიტების პროცესის თვალსაზრისით ეს მაინც საინტერესოა.

თუ მხედველობაში მივიღებთ ფორმისა და მნიშვნელობის განუყოფელ ერთიანობას, სიტყვაწარმოების ზემოთ ჩამოთვლილი და, აგრეთვე სხვა ფორმების მნიშვნელობები მისი ფუნქციონირებისას წარმოჩნდება. მათი ფუნქციონირების გარემო, ასპარეზი არის წინადადება, კონტექსტი და გულისხმობს წინადადების სხვა წევრებთან შესიტყვებას, ურთიერთობას. რა ვითარებას გვიჩვენებს ამ მხრივ ტექსტი. მხოლოდ ერთ მაგალითს მოვიყვანთ:

„ალექსანდრემ წყალ-ხმელზე შემოჯარულ ხალხს მოავლო თვალი... ერთად მომდგარი ალაზან-ხალხი უამრავად, უძლეველად მოეჩვენა. „ეს ხალხიც ჩემია და ამ ხალხშია ჩემი ძალა!..“

**ალაზან-ხალხი** - ამ სიტყვაშეხამებას ადგენენ სიტყვები, რომლებიც აზრობრივად სხვადასხვაა. თითქოსდა მოულოდნელია წყვილების ასე დაჯგუფება. პირველ ყოვლისა, ყურადღება მივაქციოთ წარმოების თვალსაზრისით როგორ მიემართება ერთი მეორეს; პირველს დაკარგული აქვს ბრუნვის ნიშანი, ანუ პირველი ნაწილი არ არის გაფორმებული სიტყვა, ეს კი მის კომპოზიტობას უჭერს მხარს.

ყოველი მოულოდნელი შესიტყვება თუ ლექსიკური ერთეული რაღაც მნიშვნელობის მთქმელია მოვლენათა ან მოქმედ პირთა მიმართ ავტორის დამოკიდებულების შესახებ.

კონტექსტი, ერთი მხრივ, ავლენს „ალაზან-ხალხის“ განსაზღვრულ მნიშვნელობას, მეორე მხრივ, იგივე მხატვრულ შესიტყვებაში თვით ქმნის აქტიურად თავის კონტაქტს - იმ სიტყვიერ გარსს, რომელზეც ასე თუ ისე გადაიტანება, ვრცელდება მოცემული სიტყვის ექსპრესიული ძალა. ამ შესიტყვების ემოციური ელფერი გვაძლევს ჰარმონიას ფრაზაში, იხატება სურათი და ემოციის დინამიკა სიამაყის, ამაღლების, სიძლიერის ექსპრესიას წარმოგვიდგენს. ასეთი განცდა აქვს იმ წუთებში „გმირთა ვარამის“ მთავარ გმირს, კახთა მეფე ალექსანდრეს.

მოულოდნელი სიტყვაშეხამება, ამ შემთხვევაში „ალაზან-ხალხი“ ფრაზას მოქნილსა და ჰარმონიულს ხდის და ამ შინაგანი ჰარმონიულობის ფონზე ისინი უფრო გამოკვეთავენ პერსონაჟის იერსახეს, არსებულ გარემოს.

მზა სახე გარკვეულად ბორკავს ავტორის ფანტაზიას, თავის ჩარჩოში აქცევს მას. ინდივიდუალურ სიტყვაწარმოებით კი ავტორი მხატვრული აზროვნების თავისებურებას ავლენს. ისინი ლაკონური თხრობისა და მოულოდნელი ეფექტის მიზეზითაა წარმოშობილი.

ლევან გოთუა როგორც მხატვრული სიტყვის დიდოსტატი, გამოსაცემი ამბის შინაგან დინამიურობას შესაფერის და მოქნილ ფორმოებრივ გამოხატულებას აძლევს, იყენებს ქართულ ენაში არსებულ სიტყვაწარმოების საშუალებებს, მათი ორიგინალური ხმარებით ახალ ლექსიკურ ერთეულებს ქმნის, რითაც უფრო ნათელს ხდის სიტყვების პლასტიკურობას და ამდიდრებს, ამლიერებს წარმოსახვის მხატვრულ ღირებულებას. შეიძლება ვივარაუდოთ ამ წარმოქმნილ ფორმათაგან ნაწილი მხოლოდ დიდი მწერლის შემოქმედებაში მოიპოვება. აღსანიშნავია, რომ ტექსტი არაა გადატვირთული და მოსაწყენი, ფრაზა იმდენად დახვეწილი და ლაკონურია, რომ მკითხველს არ აბრკოლებს ესა თუ ის უცნობი სიტყვა ან ახალი ფორმა, რომლის შინაარსი კონტექსტითაც ნათელია. ამ მხრივ, მწერლის ტალანტი, ოსტატობა და შემოქმედებითი ინდივიდუალობა გამორჩეულია, ამოუწურავია მისი სიტყვათქმნადობა.

*Vianor Akhalaia*  
*Gori State Teaching University*  
**WORD CREATION IN LEVAN GOTUA'S WORK**  
**RESUME**

Levan Gotua, as a master of fiction, gives the interior dynamism of the story and gives a flexible form of expression, using the words in the Georgian language, creating new vocabulary units with their original use, thus making the words more plastic and luxurious, enriches the artistic value of imagination. We can assume that part of these forms of creation can only be found in the great writer's creations. It is noteworthy that the text is not overloaded and boring, the phrase is so delicate and lonely that the reader does not interfere with the unknown word or new form whose contents are clear in the context. In this respect, the writer's talent, craftsmanship and creative individuality are distinguished.

**თავფარავნელი ჭაბუკის მითოსური სახე თანამედროვე მხატვრულ ტექსტებში**  
**(გ. დოჩანაშვილი, თ. ჭილაძე)**

ფოლკლორული ნაწარმოების მხატვრული ქმნილების წყაროდ გადაქცევა უძველესი დროიდან მომდინარეობს მხატვრულ ტექსტებში, ამისთვის შესაძლოა გამოყენებული იქნას არამეტოფი მთლიანი ნიმუში, არამედ ნაწყვეტი, ან თუნდაც სიუჟეტი, ოღონდ აქაც საქმე გვაქვს არაიშვიათად იდეურ ან თემატურ შერჩევასთან და მის კომპოზიციურ სრულყოფასთან უკვე ლიტერატურულ ნაწარმოებში. როგორც გიორგი კალანდაძე შენიშნავს, „ქართულ ხალხურ ბალადას, როგორც ხალხური სიტყვიერების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ჟანრს, თავისი ანარეკლი, თავისი გავლენის სფერო აქვს მოპოვებული სიტყვაკაზმულ მწერლობაში, ეს საკითხი სპეციალურ კვლევას მოითხოვს“ (2: 146).

წინამდებარე სტატიაში ჩვენი ყურადღება მახვილდება სწორედ ერთ, საქართველოში საკმაოდ პოპულარული ბალადის, „თავფარავნელი ჭაბუკის“, მხატვრულ ტექსტში გარდასახვაზე თანამედროვე ქართველ პროზაიკოსთა გურამ დოჩანაშვილისა და თამაზ ჭილაძის ორ ნაწარმოებში, რომელთაგან ერთი მოთხრობის ჟანრს უნდა განეკუთვნებოდეს, მეორე - დრამატურგიას (სამმოქმედებიანი პიესა-ზღაპარია).

„თავფარავნელი ჭაბუკის“ ბალადა პირველად 1882 წელს ჩაიწერა, სულ აღრიცხულია 16 ჩანაწერი, რომელთაგანაც ზოგი ს. ბაზალეთში, ზოგი მეტეხში, დიდ ატენსა თუ ერედვში, შილდაში, ფშავში თუ თუშეთში, ბარალეთში, ჩაუწერიათ სიტყვიერების შემკრებთ. 1928 წელს ია კარგარეთელმა გამოაქვეყნა ამ ბალადის სიუჟეტზე აგებული პოემა, რომელიც, მისი მოწმობით, მან სოფელ ერთაწმინდაში ჩაწერა მთქმელ გაბრიელ ეშმაკურაშვილისაგან“ (4: 353) ასე რომ ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში ქვეულა ბალადა პოემის წყაროდ, ფოლკლორისტმა ვახტანგ კოტეტიშვილმა მოძებნა პარალელები ბერძნულ მითთან ჰეროსა და ლეანდრეს შესახებ, ოვიდიუსისა და შილერის ბალადებთან, გერმანულ ბალადასთან „უფლისწული და მეფის ასული“. ამ უკანასკნელს ფოლკლორისტმა ტრისტან მახაურმა სპეციალური წერილიც უძღვნა: „თავფარავნელი ჭაბუკი“ და გერმანული ბალადა „უფლისწული და მეფის ასული“. მკვლევარი აღნიშნავს, რომ „ქართველ ფოლკლორისტთაგან ამ ბალადების (იგულისხმება ქართული და გერმანული) სტრუქტურული ანალიზი დღემდე არავის ჩაუტარებიაო“. თუმცა აქვე მიაწინებებს, რომ ვლადიმერ პროპის „ზღაპრის მორფოლოგიის“ საფუძველზე შესაძლებელი ხდება აღნიშნული ბალადების შესწავლა. ვლადიმერ პროპი ზღაპრის სტრუქტურას განიხილავს, როგორც კომპოზიციისა და სიუჟეტის ერთიანობას. კომპოზიცია წარმოადგენს ფორმას, ხოლო სიუჟეტი შინაარსს. ჯადოსნური ზღაპრის კომპოზიციას ქმნის პერსონაჟთა მოქმედების თანმიმდევრობა, ხოლო პერსონაჟის მოქმედებას ანუ ქცევას ვლადიმერ პროპი ფუნქციას არქმევს“ (3: 17)

რაც შეეხება ლიტერატურულ ტექსტს, აქ ცოტა განსხვავებული სიტუაციაა, თუ გ. დოჩანაშვილის მოთხრობას უფრო ლიტერატურული ზღაპრის ფორმა აქვს, თ. ჭილაძის პიესას პირდაპირ გამოკვეთილად აწერია „სამმოქმედებიანი პიესა-ზღაპარი“. ორივე ნაწარმოების წყარო ერთი ფოლკლორული ნიმუშია - ბალადა, რომელიც მოგვითხრობს სიყვარულისთვის თავგანწირული ჭაბუკის თავგადასავალს, რომელიც ბოროტების მსხვერპლი ხდება. როგორც ფოლკლორისტი თ. ქურდოვანიძე შენიშნავს, „ბალადაში „თავფარავნელი ჭაბუკი“ ნათლად ჩანს მის შემქმნელთა დახვეწილი პოეტური ხედვა და ტრაგიკული შეგრძნება“ (5: 145). აქვე მას მოჰყავს ვ. კოტეტიშვილის აზრიც, რომ „თავფარავნელი ჭაბუკი დიონისეს ქართული სახეა, მისი სატრფო - არტემისი - მთვარე, ხოლო დედაბერი ქართული ზღაპრის ავი დედაბერი (5: 145).

თ. ქურდოვანიძე გამოყოფს ქალ-ვაჟის სასიყვარულო ისტორიის ძირითად შემადგენელ ნაწილებს:

1. ვაჟს უყვარს კოშკში მცხოვრები ქალი. მათი შეხვედრა მხოლოდ ზღვის (სრუტის, ტბის) გადაღურვის შედეგადაა შესაძლებელი; 2. უკუნეთ ღამეში ვაჟს გზას ანთებული სანთელი უნათებს, მაგრამ სანთელს ავსული ბებერი (ქარი) აქრობს და ვაჟი აქაფებულ წყალში იხრჩობა“ (5: 146).

როგორც ქართველ ფოლკლორისტთა უმეტესობა მიიჩნევს, მიუხედავად დასავლეთ ევროპის ლიტერატურაში გავრცელებული მსგავსი სიუჟეტებისა, იგი თვითმყოფადია და ქართული, თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „თავფარავნელი ჭაბუკი“ ელეგიური ხასიათის ბალადაა. მასში მოთხრობილ ამბავს მითითურდ (ხაზი ჩვენია - ქ. ბ.) ელფერი დაჰკრავს“ (2: 93), მსგავსად ჰეროსა და ლეანდროსის შესახებ მსგავსი მითისა, ამიტომაც, ვფიქრობთ, რომ სწორედ „თავფარავნელი ჭაბუკი“ მითოსური სახეა შეყვარებული გამბედავი ჭაბუკისა, რომელიც ბოროტი ავსულის მსხვერპლი ხდება. ამიტომ და იქნებ

ამიტომაც მიაქციეს ყურადღება აღნიშნულ თემას XX საუკუნის 60-70-იან წლებში ცნობილმა პროზაიკოსებმა, გ. დოჩანაშვილმა და თ. ჭილაძემ.

გ. დოჩანაშვილი ნაწარმოების ბოლოს აღნიშნავს, „ამ მოთხრობას ვუძღვნი გლეხკაცობას - ქართული ხალხური პოეზიის ავტორს (1: 309). იგი 9 თავისგან შედგება და წამძღვარებული აქვს ეპიგრაფად

„ზღვის გაღმა, კომკში, ქალი ცხოვრობდა,  
ზღვის გაღმა, კომკში ცხოვრობდა ქალი” (1, 278)

სწორედ ქალია ის უცნაური მიუწვდომელი, სანეტარო „სიტყვის დედოფალი”. ეს კი ისევ გიორგა პაპას ლექსიდან მოდიოდა, „თავფარავნელს კი ამქვეყნად სიტყვის დატოვება სურდა მხოლოდ”. ნათქვამმა ფესვი გაიძვრა ჭაბუკის გულში, ასე გაიხსნა ფოლკლორული ნიშუმის ერთი ტაეპი, ბოროტი ბებრის ნათქვამი: „წინათაც ეგა გყვარობდა”, რომელიც ძველ სიყვარულზე გახსენებადაც შეიძლება ჩაგვეთვალოს და სიყვარულის მარადიულ სწრაფვაზეც შეიძლება მიანიშნოს. სწორედ ამის თქმა სურდა იქნებ გურამ დოჩანაშვილს. უამრავ ქალს შორის, რომელიც ხვდება ჭაბუკს გზაზე, სოფლად, ბევრია კარგი, მაგრამ მისი იდეალი მარადიულია, კომკში მჯდომი „სიტყვის დედოფალი”, რომელსაც გიორგა პაპა ასეთი ხალხური ეპითეტებით ამკობს: „შიგა ზის ქალი ლამაზი, თავის თმისაგან ბნელია”...„რადაცას მიხვდა თავფარავნელი, ცალ მუხლს დაეყრდნო...წამოდგომა სცადა...სწორედ მაშინ დაინახა ის ნეტარი შუქი, ორსავ მუხლზე დაეცა...სიტყვის დედოფალი დაინახა თავფარავნელმა, წამსვე შეიცნო სიტყვის მსახურმა თავისი მბრძანებელი...იდგა, მუხლმოყრილი...” (1, 291).

საოცარი მხატვრობითაა გადმოცემული: „ის მაღალი, დაკუნთული ტანი ცელის ყოველი მოქნევისას ერთი ჩამოსხმული ფეხიდან მეორეზე მოხდენილად ირწეოდა და გრუზა ქოჩორს უწეწდა „ქარი” (გ. დოჩანაშვილი, „თავფარავნელი ჭაბუკი”). ხალხური ბალადის ერთ ვარიანტში ყურადღება მხოლოდ ერთგანაა გამახვილებული ვაჟის პორტრეტზე:

„ვაჟი ქერაი ჭაბუკი  
ზღვას გაღმა ქალსა ჰყვარობდა” (4: 147).

იქ უფრო ზღვის (ტბის) გადაცურვაზე, ჭაბუკის ძალაზე მიანიშნებს ხალხური ბალადის მთქმელი, მწერალმა კი ჭაბუკს სიუჟეტისაგან განსხვავებით უფრო მიწაზე მუშაობა დააკისრა, ცურვას კი სწავლობს, ვარჯიშობს.

სიუჟეტის განვითარებაში თითქმის არ მოჩანს სატრფო, „სიტყვის დედოფალი”, რადგან იგი იდეალია, მარადიული, მისაღწევი, დასაპყრობი, მაგრამ მაინც მიუღწეველი, მხოლოდ სინათლეს რომ აფენს ვიწრო სარკმლიდან.

ავტორი ერიდება ზღაპრულობას, მაგრამ კუდიანი დედაბრის სურვილი, დაამარცხოს თავფარავნელი ჭაბუკი, ვერ მიაღწევინოს საწადელს, მაინც ერთგული ორბის მემკვიდრით ხორციელდება, ის აეფარება კომკიდან გამომავალ შუქს, კელაპტრისას, რაღა უკუნში დაინთქას ჭაბუკი. აქ შუამავლად სწორედ ორბი შემოჰყავს ავტორს, რომელსაც ახალი ხორციტ ახარბებს ავსული.

გ. დოჩანაშვილს ნაწარმოებში შემოჰყავს თავფარავნელის მწუხარე დედა, ჭაბუკზე უიმედოდ შეყვარებული კოჭლი ეფემია, თებრონე, მოვისპერანგა, სიმართლის მთქმელი სესია. და ისევ „ჯიუტად იყურებოდა ზღვის მიღმა რაღაცას მიმხვდარი, პატარა, რკინის ქალი. და გიორგა პაპას ახალ სიტყვას იმედით უცდიდა (1, 308)

თვით ავსული დედაბერიც აღარაა მაინცდამაინც კმაყოფილი, რადგან  
„მაინც ანთია სანთელი თეთრი,  
მუდამ ანთია სანთელი თეთრი,  
მისი ჩუმი წვა - ამაღლება...” (1, 309)

ასე ასრულებს მწერალი ტექსტს. მითოსური ჭაბუკისა და კომკში მჯდომი მშვენიერი ქალის სწრაფვის ისტორია აღნიშნულ ნაწარმოებში კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს სიყვარულის მარადიულობას.

განსხვავებით გ. დოჩანაშვილის ტექსტისაგან თამაზ ჭილაძე თავის პიესა-ზღაპარში სიზმრისეული ხილვით აკავშირებს ერთმანეთს ნანოს (კომკის ქალს) და აფრას (თავფარავნელს). სიზმარში ხილული და სინამდვილე შემდგომ გადაეხლართება ერთიმეორეს. იკვეთება აფრას დაბალი წარმოშობა (ღარიბი მეზადური) და დიდვაზირ ასპანას ასული. აქ ავტორი უშუალოდ ემყარება ხალხური ბალადის ტექსტის ერთ ვარიანტს, სადაც ასპანას (სხვა ვარიანტებით ფაშკუნჯის ქალი, გასპარა ქალი) ქალია ნანო. მესტირე ბახუტაც შემოჰყავს ავტორს პიესა-ზღაპარში, რომელიც შეყვარებულია ნანოზე. მაგრამ ადგილი, სადაც კომკია, ისევ ბალადიდან მოდის - ამკარეთი. თ. ჭილაძე ცდილობს აქაც შემოიყვანოს მთქმელი, სწორედ მას მოაყოლოს ლექსად ბალადა და შემოკლებით მოუთხროს „ბავშვებო, თქვენ ეს ხალხური ლექსი, რასაკვირველია კარგად იცით, მაგრამ ალბათ გაინტერესებთ როგორ გაჩნდა ის ამქვეყნად, ან რატომ დაიღუპა თავფარავნელი ჭაბუკი, რომელმაც ზღვის დოლაბით გადმოცურვა მოინდომა” (6: 323) და სწორედ აქ, ამკარეთის აღწერისას, აცხადებს მთქმელი, რომ ყველაფერი ეს

ზღაპარია. პიესაში რეალური და ზღაპრული ერთმანეთს უახლოვდება, რათა აღიქვას თანამედროვე მკითხველმა, თუ მაცურებელმა მითოსური სამყარო, როგორც უწინ რეალური და ამჟამად ირეალური, ზღაპრული. ავტორი აქაც ურთავს ნაწყვეტებს თუ მთლიან ტექსტებს ხალხური სიტყვიერებისაგან, რომელსაც სიკა, ჩაფრები ყვებიან. ნანოსთან მისული მესტვირე ცდილობს თავი გაასაღოს თავფარავნელად, მაგრამ ნანო რაღაცას გრძნობს. მესამე მოქმედებაში ავტორს შემოყავს კიდევ ორი პერსონაჟი: იმედა და სიმართლე. აქაც ოცნება თითქოს ზღაპრულში გადაიყვას პერსონაჟებს, ფრთებდაჭრილი სიკა გლოვობს, ნანოს შავოსანი ქალი უცხადებს, რომ მას შეეძლო აფრა ოცნებიდან ცხადში გადმოეყვანა. ეს დედაა, სიზმარული აფრას დედა. სანთელი თ. ჭელიძესთან იქცევა პერსონაჟად, ასევე სარკვე. ნანო თითქოს ფიქრობს, რომ ცხადისა და სიზმრის შეერთება არ შეიძლება, სანთელი კი აჯერებს. და სწორედ ნანო ჩააქრობინებს ძიძას სანთელს, რადგან სურს რეალობას დაუბრუნდეს და ბახუტას გაჰყვეს ცოლად, მაგრამ სიკას მონაყოლით ცხადი ხდება, რომ ნამდვილად არსებობდა აფრა „იმას დოლაბით ზღვა გადმოუცურავს. ზედ ნაპირთან დამხრჩვალყო. ქვებზე ეგდო“. აქ კვლავ შემოდის ხალხური ბალადის ტექსტი:

„წითელი მოვის პერანგი  
ზევიდან დაჰფარფარობდა (6: 365)

ნანო მიხვდა, რომ სიზმარული ხილვა ნამდვილი იყო, სანთლის რჩევაც, ამიტომ დატოვა ეს სამყარო, სადღაც შორს გზაზე მიაბიჯებს.

თ. ჭილაძის პიესა-ზღაპარი ოცნებისა და რეალობის შესახებ მოგვითხრობს. მასთან ბალადა ზღაპრის ფორმატში გადადის და სიყვარულის ოცნებისმიერი არსისაკენ გზის გაკაფვის მცდელობად წარმოგვიდგება, რაც მითიურ სახეებს კიდევ უფრო გამოკვეთს.

ორივე ზემოთ განხილული ტექსტი, ხალხური ბალადის ახალი გაცოცხლების მცდელობაა და მისი მხატვრული ღირებულებაც ფოლკლორული წყაროს მაღალოსტატური გამოყენების მცდელობასაც წარმოადგენს.

#### ლიტერატურა:

1. დოჩანაშვილი გ., მოთხრობები, თბ., 1987.
2. კალანდაძე გ., ქართული ხალხური ბალადა, თბ., 1957.
3. მახაური ტ., ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული ნარკვევები, წიგნი III, თბ., 2011.
4. ქართული ხალხური პოეზია, VI, თბ., 1978.
5. ქურდოვანიძე თ., ქართული ფოლკლორი, თბ., 2001.
6. ჭილაძე თ., თავფარავნელის ბალადა, რჩეული ორ ტომად, ტომი I, თბ., 1962.

*Ketevan Barbakadze*

*Gori State Teaching University*

### **A MYTHICAL IMAGE OF “THE LAD FROM TAVPARAVANI” IN MODERN LITERARY TEXTS (G. DOCHANASHVILI, T. CHILADZE) RESUME**

The changing of a folklore work into a literary creation takes place from time immemorial. In the current paper our attention is focused on the transformation of the literary text of the quite popular ballad in Georgia “The Lad from Tavparavani” in the works of modern Georgian novelists Guram Dochanashvili and Tamaz Chiladze. The first work belongs to the narration genre, another – to drama (a three-act play – fairy-tale).

The two above-mentioned texts are the attempt to revive a folk ballad and its literary value is the attempt to use the folk source skillfully.



**ერთი ნოველის ორი თარგმანი**  
**(დ. ჰ. ლორენსის „პრუსიელი ოფიცრის“ მიხედვით)**

ქართული მთარგმნელობითი სკოლის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მდიდარი მონაპოვრისა და უდიდესი წარმატებების მიუხედავად, მე-20 საუკუნის დასაწყისის გენიალური ინგლისელი მწერლის, მოდერნისტული აზროვნების დამკვიდრების ნოვატორის, პოეტის, დრამატურგის, პუბლიცისტის, მთარგმნელის და ფერმწერის დევიდ ჰერბერტ ლორენსის ნაწარმოებების ქართულ ენაზე თარგმნას ძალზე ხანმოკლე ისტორია გააჩნია, რაც იმ სამოცდაათწლიანი უძრაობის პერიოდის შედეგია, რომელიც პოსტ-საბჭოთა კავშირის ქვეყნებსა და კერძოდ, საქართველოში არსებობდა გასული საუკუნის 90-იან წლებამდე. თუმცა მისი სახელი ვიწრო ლიტერატურულ წრეებსა და ინგლისური ლიტერატურის სპეციალისტებს შორის მაშინაც კარგად იყო ცნობილი უშუალოდ მწერლის სამშობლოში, ინგლისურ ენაზე გამოცემული რომანებისა თუ მოთხრობების საშუალებით.

საქართველოში დ. ჰ. ლორენსის შემოქმედების მასშტაბისთვის გაცნობა, მის ერთ-ერთ საუკეთესო რომანისად აღიარება და პოპულარიზაცია სისხლ-ხორცულად უკავშირდება თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის, დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის პროფესორისა და მთარგმნელის, უ. შექსპირის საზოგადოების თავმჯდომარის, ბ.ნ. ნ. ყიასაშვილის სულმნათ სახელს, რომელიც ნამდვილი პროფესიონალისთვის დამახასიათებელი ინტერესით, იმ დროისათვის შესაშური გამბედაობით გვაზიარებდა 80-იანი წლების სტუდენტებს ინგლისური ლიტერატურის უნიკალურ შედეგებს, რომელთა შორისაც თვალსაჩინო ადგილი დევიდ ჰერბერტ ლორენსსაც უკავია. მოგვიანებით, მისივე ავტორობით, 1992 წლით დათარიღებულ წიგნში „სკილასა და ქარიბდას შორის“, ბ.ნ. ნიკო ვრცელ წერილს, - „უნდა ითარგმნოს დევიდ ლორენსი!“ უძღვნის მწერლის შემოქმედებას, სადაც პირდაპირ მოუწოდებს და ანდერძად უტოვებს ქართველ მთარგმნელებს: „ლორენსის შემოქმედება მაინც აღწევს მხატვრულობის, სიტყვის ოსტატობის იმ დონესა თუ ხარისხს, რაც ამა თუ იმ ლიტერატურულ მემკვიდრეობას ღირებულად ხდის და რის გამოც იგი მსოფლიო ლიტერატურის განვითარების მაგისტრალს ერწყმის. ამიტომაც, ლორენსის შემოქმედება საგულდაგულოდ შესწავლისა და დაკვირვების ღირსია. ამისათვის კი, უპირველეს ყოვლისა, ჩვენი მკითხველი მოითხოვს და მოელის, რომ ითარგმნოს დევიდ ჰერბერტ ლორენსი!“ [ნ. ყიასაშვილი, 234]

ინგლისურიდან ქართულად თარგმნის მზარდი მოთხოვნილებისა და ცხოველი ინტერესის მიუხედავად ჩვენს ეპოქაში, ჯერ კიდევ არ არის მწერლის ბევრი მნიშვნელოვანი რომანი თუ პუბლიცისტური ჩანაწერი თარგმნილი და მხოლოდ აქა-იქ თუ გაიღვებ მისი მცირე პროზის თარგმანებიც ქართული პერიოდული პრესის ფურცლებზე. 1988 წლის ჟურნალ „საუნჯის“ პირველ ნომერში გამოჩნდა ლორენსის ორი მოთხრობის, - „პრუსიელი ოფიცრის“ ლელა დუმბაძისეული და „ქრიზანთემების სურნელის“ მანანა ფორჩხიძის მიერ შესრულებული პირველი ქართული თარგმანები. იგივე მოთხრობა, - „პრუსიელი ოფიცერი“ ხელმეორედაც ითარგმნა ქალბატონ თამარ იაშვილის მიერ და 2014 წელს სამ სხვა ნოველასთან ერთად წიგნდაც გამოიცა სახელწოდებით „პრუსიელი ოფიცერი“. ჩვენს ყურადღებასაც სწორედ ამ ორ, ერთმანეთისგან არცთუ ისე დიდი დროით დამორებულ თარგმანებზე შევაჩერებთ.

უნდა აღინიშნოს, რომ მოთხრობა წიგნად 1914 წელს გამოვიდა „პრუსიელი ოფიცერი და სხვა მოთხრობების“ სათაურით და მწერლის იმ მცირე პროზის ნიმუშებს მიეკუთვნება, სადაც ლორენსი ადრეულ პერიოდში შექმნილი რეალისტური მოთხრობებისაგან განსხვავებით, სრულიად ახლებურ, განსხვავებული ფორმისა და შინაარსის ამბავს თხზავს და ამით საფუძველს უყრის საკუთარი შემოქმედების ახალ ეტაპს, - კერძოდ, წმიდა მოდერნისტულ პრინციპებზე აგებულ, ღრმა ფსიქოლოგიზმითა თუ ადამიანური ვნებებით აღსავსე, მისთვის მანამდე უცხო, უჩვეულო ტექსტობრივი ქსოვილის მქონე მცირე პროზას, რომელიც შემდგომში მისი მთლიანი შემოქმედების დამახასიათებელ სტილისტურ გასაღებად და ამოსავალ წერტილად იქცა.

თავის თანამედროვე მწერლების, - ჯეიმს ჯოისის, კეთრინ მენსფილდის და ვირჯინია ვულფის მსგავსად, ლორენსი აქ გაცილებით სრულყოფილად იყენებს თავისუფალი პირდაპირი დისკურსის ტექნიკას, ვიდრე ეს ადრეულ რეალისტურ მოთხრობებში აქვს განვითარებული და ამით მკითხველს მოქმედ პირთა მინიმუმამდე დაყვანილი რაოდენობისა და მხოლოდ ერთი დიალოგის მიუხედავად,

საკუთარი გმირების ფიქრთა ყველაზე დამაბულ მომენტებში კარგად გაცნობიერების, მათი ნააზრევის გაგება-გათავისების საშუალებას აძლევს.

ვიდრე უშუალოდ მოთხრობის ორი სხვადასხვა თარგმანის შედარებით ანალიზს შევუდგებოდეთ, მცირე რამ მისი სიუჟეტიდან: პრუსიელი ოფიცერი შუახნის მამაკაცია, რომელსაც ცხოვრებაში „ყველაფერი აქვს“: გარეგნობა, ფული, კარგი საზოგადოებრივი მდგომარეობა და არისტოკრატიული წარმომავლობაც კი. აკლია მხოლოდ ერთი - მისი მსახური ჯარისკაცის ახალგაზრდობა და მიაშიტობა. მოთხრობა მთლიანად ამ შინაგან კონფლიქტზეა აგებული. ოფიცერს შურს, რომ ჯარისკაცს სატრფო ჰყავს, შურს, რომ ფანქარი აქვს ყურს უკან გარჭობილი და ზოგჯერ ლექსს წერს, შურს მისი ყველაფერი. თუმცა ეს მოთხრობა შურიანობაზე როდია დაწერილი. ეს „შური“ ლორენსის მთელი მსოფლშეგრძნებითაა განპირობებული და შეფერადებული: ოფიცერს ქალები არ აკლია და ძნელი დასაჯერია, რომ ჯარისკაცის გოგოს იკადრებდა, ისიც ძნელი წარმოსადგენია, რომ მას ჯარისკაცის დაჯღაბნილი მიაშიტური ლექსები მოსწონებოდა. მას ახელებს თავისი ხელქვეითის უპირატესობა, რაც უკეთესი ქალის ყოლასა და დახვეწილი ლექსების წერაში კი არ გამოიხატება, არამედ თვით სიყვარულის უნარსა და ლექსის შეთხზვის სურვილსა და პათოსში. ჯარისკაცი ბუნების ნაწილია, „მექანისტურ ცივილიზაციას“ გადარჩენილი, შეურყვნიელი, ხალასი, მიაშიტი, ბუნებრივი ინსტიქტებითა და ინტუიციით აღსავსე. ოფიცერს კი სწორედ ეს თვისებები აქვს დაკარგული. თავისი გარეგნული დახვეწილობითა და „კულტურულობით“ იგი უფრო საინტერესო, სხვებისგან გამორჩეულ, საკუთარი ინდივიდუალობის მქონე პიროვნებად კი არ ქცეულა, არამედ პირიქით, ლორენსის აზრით, ცივილიზაცია მას საერთო სქემის უფერულ ნაწილად აქცევს, მას ბუნებასთან ორგანულ კავშირსა და ჰარმონიულობას უკარგავს.

მხატვრული თარგმანის თანამედროვე ქართველი თუ უცხოელი თეორეტიკოსები (გ. გაჩეჩილაძე, ნ. საყვარელიძე, დ. კოკია-ფანჯიკიძე, მ. ბეიკერი, ს. ბასნეტი, ჯ. კატორდი და სხვ.) ერთხმად აღიარებენ, რომ „მხატვრული პროზა ნაკლებად არის რეგლამენტირებული იმ პირობითი კანონებით, რომელთაც ქმნის ეკვირიტიმის, ეკვილინიარების, რითმების სისტემის, სტროფიკის და სხვა მკაცრი პრინციპების დაცვა პოეზიაში. პროზის მთარგმნელი თავისუფალია პოეტური პირობითობისაგან და შეუძლია თავისუფლად გამოიჩინოს ენის ცოდნაცა და შემოქმედების უნარიც, თუმცა იგივე თავისუფლება მას უფრო მკაცრ მოთხოვნებს უყენებს დედნისადმი ერთგულების თვალსაზრისით“. [გ. გაჩეჩილაძე, 228]. ასევე საზოგადოდაა აღიარებული ე.წ. სტილისტური „გასაღების“ პოვნა, რომელიც მთარგმნელის ძირითადი და უპირველესი იარაღია სათარგმნ ტექსტთან მიმართებაში, რადგან მას შეუძლია თავიდანვე დააყენოს მთარგმნელი სწორ გზაზე. სტილისტურ „გასაღებში“ მხატვრული ნაწარმოების ისეთი ასპექტები მოიაზრება, როგორცაა: რიტმი, ინტონაცია, აზრის გადმოცემის მანერა, მათი კავშირი ნაწარმოების ფაბულასა, სიუჟეტსა და კომპოზიციასთან, სინტაქსისა და სინტაგმის როლი და შემდგომ უკვე მთარგმნელის გამოცდილებაზე, მის ნიჭიერებასა და გემოვნებაზეა ბევრი რამ დამოკიდებული.

ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში უნდა აღინიშნოს, რომ „პრუსიელი ოფიცრის“ ორივე ქართული თარგმანი ზუსტადაც ამ პრინციპებს მისდევს, ორივე მთარგმნელს კარგად აქვს გაცნობიერებული და შესწავლილი მხატვრული პროზის თარგმანის პრინციპები, არც თეორიული ცოდნა აკლიათ, არც ინგლისური ენის უზადო ცოდნა და გემოვნებაც არ ღალატობთ. თუმცა, ჩვენის აზრით, აქ ორ, ერთმანეთისგან განსხვავებული სტილის თარგმანებთან გვაქვს საქმე. ქალბატონ ლ. დუმბაძის მიერ თარგმნილი „პრუსიელი ოფიცრის“ ტექსტი გაცილებით მეტი მცდელობაა ორიგინალთან დაახლოებისა და მისი ადეკვატურობისა. აქ მთარგმნელი მოთხრობის დასაწყისიდანვე ცდილობს ზუსტად მიყვეს თითოეულ პწკარედს და ზედმიწევნით პატიოსნად არც არაფერი გამოტოვოს და არც არაფერი დააკლოს მხატვრულ ტექსტს. ქალბატონ თ. იაშვილის მიერ შესრულებული ტექსტი მისი წინამორბედისგან განსხვავებით, გაცილებით უფრო „თავისუფალია“. აქ სინტაქსიც შეცვლილი, თუმცა ორიგინალთან მიახლოებული და არაადეკვატურია და მთარგმნელის პირადი დამოკიდებულება და გემოვნებაც უკეთ იგრძნობა. საილუსტრაციოდ გთავაზობთ მოთხრობის პირველივე დასაწყის აბზაცს, სადაც ბუნების სურათი და შიკრიკის ფიზიკური თუ სულიერი მდგომარეობაა აღწერილი. პირობითად ქალბატონ ლ. დუმბაძის თარგმანს დავარქვათ თარგმანი (1), ხოლო ქალბატონ თ. იაშვილის თარგმანს, - თარგმანი (2).

მდრ: “They had marched more than thirty kilometres since dawn, along the white, hot road where occasional thickets of trees threw a moment of shade, then out into the glare again. On either hand, the valley, wide and shallow, glittered with heat; dark green patches of rye, pale young corn, fallow and meadow and black pine woods spread in a dull, hot diagram under a glistening sky. But right in front the mountains ranged across, pale blue and very still, snow gleaming gently out of the deep atmosphere. And towards the mountains, on and on, the regiment marched between the rye meadows, between the scraggy fruit trees set regularly on either side the high road”.

თარგ. (1) „გათენებიდან მოყოლებული, გახურებულ, გადათეთრებულ გზაზე უკვე ოცდაათ კილომეტრზე მეტი მარშით გაიარეს. აქა-იქ ჩარიგებული გზისპირა ხეები წამიერად უჩრდილავდნენ

სავალს, მერე კი ისევ მზის გულზე მიაბიჯებდნენ. ვრცელი, მეჩხერი ჭალა ერთიანად ლაპლაპებდა სიცხეში; აქეთ მუქი მწვანე ჭვავის ყანები და ღია მწვანე ჯეჯილი, იქით ხნულები, მდელოები და შავი ფიჭვნარი გავარვარებულ, უღიმღამო დიაგრამასავით გაშლილიყო ცის კაშკაშა თალქვეშ. ხოლო პირდაპირ, გზის გარდიგარდმო აღმართულიყვნენ ცისფერი მთები და მათ გარინდულ, დათოვლილ კალთებს ნაზი ციალი გაუდიოდა ამ დამაბულ ატმოსფეროში. სწორედ იმ მთებისკენ მიიწევდა მარშით ლეგიონი; უკან ტოვებდა გზის ორივე მხარეს შორიშორ ჩამწკრივებულ ხეებს, ჭვავის ყანებსა და მდელოებს“.

თარგ. (2) „განთიადიდან მოყოლებული რაზმს მარშით ჰქონდათ დაფარული ოცდაათ კილომეტრზე მეტი დიდი და დამქანცველი გზა, რომელიც უსაშველო სისქის ხეებისგან ხან ჩამოხნელებოდა, ხანაც თვალისმომჭრელი მზის წყალობით ისევ ნათლებოდა. ორივე შემთხვევაში ფართო და მეჩხერ ხეობას ოხშივარი ასდიოდა. მოკაშკაშე ცის ქვეშ გახუნებულ ჭვავის ყანებსა და მინდვრებში ახლად ამოსული მარცვალი ერთიანად ჩამომხმარიყო. მათ გაყოლებაზე შავი ფიჭვის ტყეები უღიმღამოდ გადაჭიმულიყვნენ, თვალწინ კი უზარმაზარი მთები აღმართულიყვნენ, რომელთა მოცისფრო მწვერვალებზე თოვლის გამაოგნებელი სიჩუმე სუფევდა. ამ მარადიული სიმშვიდის ფონზე, ხმელ-ხმელი ხილის ხეები სიმეტრიულად იყვნენ ჩამწკრივებული და ალაპლაპებული ჭვავის ყანიდან სულისმხუთავი სიცხე მოდიოდა. გზის მეორე მხარეს, მწყობრად და მონოტონურად მოაბიჯებდა საბრძოლო ლეგიონი. თანდათან მანძილი სულ უფრო პატარავდებოდა და მთებიც უფრო მკაფიოდ იკვეთებოდნენ“.

როგორც ვხედავთ, მიუხედავად განსხვავებული სინტაქსური წყობისა, ორივე თარგმანი მკითხველს ნათლად აღუწერს ლეგიონის მიერ უკვე გავლილი თუ გასავლელი გზის სურათს. უნდა აღინიშნოს, რომ დ. ჰ. ლორენსი ბუნების აღწერის ნამდვილი დიდოსტატია. მის შემოქმედებაში არ მოიძებნება თითქმის არცერთი რომანი თუ მოთხრობა, სადაც მწერალს მთელი სიცხადით, უჩვეულო მეტაფორების წყალობითა თუ სიტყვაუხვობით არ ჰქონდეს შექმნილი ბუნების ცოცხალი ტილოები, რამაც შემდგომში მის ფერწერულ ტილოებშიც იჩინა თავი. თუმცა ორიგინალისგან განსხვავებით, ორივე თარგმანში სტილისტური ხერხი პარალელური კონსტრუქცია, რომლის საფუძველს ჩვენს შემთხვევაში კავშირი „დას“ („and“) ხუთჯერ გამეორება წარმოადგენს, - (1) თარგმანში დაკარგულია, ხოლო მეორეში მხოლოდ ორჯერაა გამოყენებული, თუმცა განსხვავებული სინტაქსის საშუალებით. ყურადღებს იპყრობს ლექსიკური ერთეული „diagram“, რომელიც (1) თარგმანში გადმოტანილია პწკარედულად ანუ „დიაგრამასავით“, ხოლო მეორეში მთარგმნელს მისთვის სიტყვა „სიმეტრიული“ შეურჩევია. ვფიქრობთ, რომ „დიაგრამასავით გაშლილი“ მდელოები და ფიჭვნარი ქართველი მკითხველისთვის ცოტა ბუნდოვანი წარმოსადგენია და ამიტომაც სიტყვა „სიმეტრიული“ უკეთეს წარმოდგენას გვიქმნის, თუმცა აღნიშნულ თარგმანში „pine trees“ ანუ „ფიჭვის ხეები“, რომელიც (1) თარგმანში სიტყვასიტყვითაა გადმოცემული, აქ „ხმელ-ხმელი ხილის ხეებით“ არის შეცვლილი. თუმცა კონცეპტიც და შინაარსიც ორივე შემთხვევაში მაინც შენარჩუნებულია და რაიმე განსაკუთრებულ დარღვევას არ წარმოადგენს.

ასევე აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მწერლის წერის განსაკუთრებული მანერიდან გამომდინარე, ორიგინალში ხშირად გვხვდება როგორც ინგლისური ენის, ასევე ქართული ენისთვისაც უჩვეულო, ერთი შეხედვით არასწორი წინადადებების სინტაქსური წყობა ანუ ქვემდებარის მაგივრად ჯერ წინადადების მეორე ხარისხოვანი წევრები, შემდეგ შემასმენელი ან მისი სახელადი ნაწილი, სხვადასხვა ტიპის გარემოებებით დაწყებული სინტაგმები და ა.შ. საილუსტრაციოდ გთავაზობთ შემდეგ მაგალითებს ორიგინალის ტექსტიდან და მათ ქართულ შესატყვისებს, როგორც (1), ასევე (2) თარგმანშიც:

შდრ: 1. “His time he spent riding-occasionally he rode one of his own horses at the races”.

თარგ (1): „თავისუფალ დროს ხან ოფიცერთა კლუბში ატარებდა, ხან ჯირითში.“

თარგ (2): „მთელ თავის დროს ცხენზე ჯირითს უთმობდა“.

2. “By nature he was active ,and had many friends”

თარგ (1): „ამ სიცოცხლით სავსე ჭაბუკს ბევრი ამხანაგი ჰყავდა“

თარგ (2): „ახალგაზრდა ჯარისკაცი ბუნებით ძალიან თბილი და კონტაქტური იყო“.

როგორც ვხედავთ, პირველ მაგალითში ორივე მთარგმნელს ქართული ენისთვის მისაღები სინტაქსური წყობა აქვს გამოყენებული, რაც ორიგინალში წაკითხული ტექსტის ხიბლს მოკლებულია, თუმცა ქართველი მკითხველისთვის იოლი გასაგები და მისახვედრია. რაც შეეხება მეორე მაგალითს, აქ ვფიქრობთ, რომ (1) თარგმანი უფრო ახლოა ორიგინალთან, რადგან სიტყვა “active” ქართულადაც „აქტიურს“, „სიცოცხლის უნარიან“ არსებას აღნიშნავს, ხოლო (2) თარგმანის შემთხვევაში მთარგმნელს დამატებული აქვს ლექსიკური ერთეული „თბილი“, რაც საერთოდ არ მოიძებნება ორიგინალში, მაგრამ შიკრიკის ხასიათს საკმაოდ ნათლად გადმოსცემს.

ასევე ძალზე საინტერესოა ორიგინალის ტექსტის დიალოგში არსებული იდიომატური გამოთქმა “What cattle were you bred by, that you can’t keep straight eyes? Look me in the eyes when I speak to you.” (1)



to change, leave out or add something new. We hope that the research of D. H. Lawrence's rich inheritance will make Georgian researchers interested in the future as well, though it is only possible by translating his brilliant creation into the Georgian language as it is the most important thing for the development of the cultural dialogues between two different countries.

*თამარ გელიტაშვილი*  
*გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი*

### **„ლურჯა ცხენების“ კონცეპტი გალაკტიონის შემოქმედებაში**

„მე არაერთხელ მქონია ფრთები  
თავბრუდამხვევი სიმღერით მქროლი“.  
გ. ტაბიძე

გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედების უკიდურესი ექსპრესიულობისა და მხატვრული მრავალფეროვნების კვალდაკვალ მკაფიოდ საცნაურდება სინტაქსური ერთეულის – ლურჯა ცხენების – ჭარბი გამოყენება, თუმცა ქართული ლიტერატურის მკვლევართა უმეტესობის ყურადღება მხოლოდ ლექს „ლურჯა ცხენების“ ინტერპრეტაციისკენ, მისი აზრობრივი შინაარსის ძიებისა და ამოკითხვა-ამოცნობისკენ იყო მიმართული. ასე გრძელდება დღესაც.

ლექსში „ლურჯა ცხენები“ ზოგი ლიტერატურათმცოდნე „გალაკტიონის პოეზიის უკვდავ ბუნებას“ ხედავდა (გურამ კანკავა); ზოგი – „ბედისწერით დადგენილი საზღვრების გარღვევასა“ და „ადამიანური შეზღუდულობის დაძლევის პათოსს“ (მიხეილ კვესელავა); ზოგი – „სულის უკვდავებას, სულის მარადიულ ქროლვას“ (ირაკლი კენჭოშვილი).

რევაზ სირაძის აზრით, გალაკტიონის „ლურჯა ცხენებში“ აშკარად შეიმჩნევა რუსი მხატვრის, ვასილი კანდინსკის, ნახატის „ლურჯი მხედრების“ გავლენა, თუმცა წერილში „გალაკტიონის „ლურჯა ცხენები“ და ვ. კანდინსკის „ლურჯი მხედარი“ მკვლევარი იმასაც აღნიშნავდა, რომ: „გალაკტიონის ლურჯა ცხენებისა“ და მხატვარ ვასილი კანდინსკის „ლურჯი მხედრების“ ინტერტექსტუალური წაკითხვის საფუძველს ქმნის არა იმდენად ურთიერთმსგავსი სახეები (ლურჯა ცხენები – ლურჯი მხედარი), არამედ განსახოვნების არასაგნობრიობა და განყენებულობა“.

რა თქმა უნდა, გალაკტიონისთვის, როგორც სიმბოლისტი პოეტისთვის, უცხო არ არის გამოსახვისა და აზროვნების აბსტრაქტული მანერა, მაგრამ ჩემს მიზანს ამ კონკრეტულ შემთხვევაში სწორედ ამ აბსტრაქციის შინაარსის ამოხსნა წარმოადგენს, მხატვრული სახის, „ლურჯა ცხენებისა“ და ამავე სახელწოდების ლექსის მაგალითზე.

სინტაგმა „ლურჯა ცხენები“ გალაკტიონმა პირველად ზემოდასახელებულ ლექსში გამოიყენა, 1915 წელს (ლექსი ამ წლით თარიღდება, პირველი პუბლიკაცია კი – 1916 წლით. [ქურნალი „ცისფერი ყანწები“, №1]) და მას შემდეგ აღნიშნულ ლექსიკურ ერთეულს საკმაო სიხშირით იყენებს მგოსანი, ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, გალაკტიონისეული სიტყვათქმნადობის ერთ-ერთი თვალსაჩინო და გამორჩეული პოეტური სახეა, რაც იმის საფუძველს იძლევა, რომ მისი სახისმეტყველებითი შინაარსი მხოლოდ ერთი ლექსის განხილვა-გაანალიზებასა და კონცეფციურ მსჯელობაზე არ დავიყვანოთ.

გალაკტიონი რომ არ იყო შექმნილი მიწიერი, რაციონალური ყოფისთვის („ო, უბრალო ხმებისთვის არასდროს არ მეცალა“ – „ეფემერა“), ის ფაქტი, რომ ემპირიული სამყარო მისთვის ხშირად უდაბნოს (= სიცარიელეს), ქაოსს, ანუ, როგორც თვითონ უწოდებდა, „ღრიანცელს“ („ვიყო ამ ღრიანცელში მარად ხელაღმართული“ – „ეფემერა“) წარმოადგენდა, ეს არც უცხოა ვინმესთვის და არც ახალია. ამიტომაც ამ საკითხზე აღარ შევჩერდები. მხოლოდ მისი შემოქმედებიდან რამდენიმე სტრიქონს შევახსენებ მკითხველს:

სიყმაწვილეში მე ვჭკნებოდი, როგორც ფოთოლი,  
ობოლი ვიყავ მე მაშინაც სულით ობოლი.

-----  
დღესაც მარტო ვარ, სიყვარულის არ მესმის ნანა.  
ჩემთვის მარტოდენ უდაბნოა მთელი ქვეყანა.  
-----

ო, სად ხარ, სადა უჩვეულო რაიმე ძალო,  
სიცარიელის შავი ნისლი რომ გამაცალო.  
(„უდაბნო“)

ან:

საით მივყავარ ჩემს მოწყენილ გზას,  
სად ვპოვებ შევებას მიუსაფარი?  
(„სად?“)

პოეტური ჰანგებით „დასნეულებული“ მგოსნის ეგზისტენციალური სულისკვეთებისთვის ხშირად მეტად უინტერესო, უშინაარსო იყო მიწიერი ყოფის კონცეფციური არსი (ამაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ მას სიყმაწვილიდანვე ჰქონდა მისწრაფება სუციდისკენ) და ისიც შთაგონებით, ილუზიური წარმოსახვით ქმნიდა მხოლოდ მისეულ, მისთვის სასურველ იდეალურ სამყაროს: „ერთი შეხედვითაც შეატყობდით სხვა კაცი იყო. როდესაც გესაუბრებოდათ, თითქოს სხვაგან იმყოფებოდა და ეს „სხვაგან“ იყო მისი სავანე“ (ვახტანგ ჯავახიძე). ამიტომაც ხშირად ეფემერული, ამავედროულად ვიზიონერული ხედვით იყო გამსჭვალული მთელი მისი შინაგანი მსოფლგანცდის არეალი. ამბობდა კიდევ:

მოხდება ხოლმე, ცა მიზიდავს  
განუსაზღვრელი,  
ვარსკვლავთა შორის, სხივთა ტბაში  
არა მყავს ტოლი.  
ვბრძანებ: ტყის შქერში გაჩუმდება  
ნიაგი ნელი.  
ვიტყვი და თრთოლვად გადიქცევა  
ვერხვის ფოთოლი.  
(„შემოქმედება“)

მიღმიურისკენ, ტრანსცენდენტულისკენ ლტოლვა წარმართავდა გალაკტიონის გრძნობათა ბუნების ჰარმონიულობას („ვიყო ამ ღრიანცელში მარად ხელადმართული, / ლანდი არაქვეყნიურ დარდით გადამწვარისა“ – „ეფემერა“).

დაკვირვებული მკითხველი ადვილად შეამჩნევს, რომ მგოსნის დაუოკებელი სწრაფვა მიკროკოსმიურ საზღვრებს მიღმა ხშირად ლურჯა ცხენებით ხორციელდება. სწორედ ეს ფაქტი მაფიქრებინებს, რომ მხატვრული სახე – ლურჯა ცხენები – გალაკტიონის შემოქმედებაში ღვთაებრივი ნიჭით მადლფენილი პოეტური ზეშთაგონებაა, პოეტური აღმაფრენის უკიდევანო გამოვლინებაა. ამგვარი მოსაზრების მართებულობაში გალაკტიონის შემოქმედებიდან რამდენიმე მაგალითის მოხმობა და მათი აზრობრივი შინაარსის სკრუპულოზური განხილვა-განალიზება დაგვეხმარება.

ლექსში „ეფემერა“ შთაგონებამოგვრილი მგოსნის პათოსი პოეტური დიდებისა და გამარჯვების ემოციური მუხტით არის აღბეჭდილი:

ცხენთა შეჯიბრებაზე ჩემი ლურჯა ცხენები  
ჰქროდნენ ეფემერული და ფერადი ქარებით...

მოცემულ სტრიქონებში „ცხენთა შეჯიბრება“ საუკეთესო ლექსის, შედეგის შექმნის ალტკინებულ პროცესსა და მხატვრულ პაექრობაში ჩაბმას აღნიშნავს, სადაც, გალაკტიონის ხედვით, თავისი ლურჯა ცხენების, ანუ შთაგონების რიტმულობით, ტემპერამენტით, გრძნობათა დინამიკურობით, სტილური ორიგინალობითა თუ ემოციური მუხტის ამაღლებული ჰარმონიულობით მხოლოდ ის არის გამარჯვებული:

იყვნენ საუკუნენი, მაგრამ მე ვიხსენები  
ვწუხვარ: ერთადერთი ვარ და ზეცაზე სწერია  
ჩემი გზა და ახალი ლალის კართაგენები.

-----  
ლექსთა შეჯიბრებაზე – მხოლოდ ინტეგრალები

### **ცხენტა შეჯიბრებაზე – ისევ ლურჯა ცხენები.**

პოეტის ეგზალტაცია აშკარაა. ის უზომოდ კმაყოფილია და ამავედროულად „ძლიერ წუხს“ („ვწუხვარ: ერთადერთი ვარ...“), რომ საუკუნეების მანძილზე მისი მსგავსი პოეტური სიმალეები ჯერ არც ერთ მგოსანს არ დაუპყრია, მხოლოდ ისაა ერთადერთი. ამგვარი პათეტიკური, გნებავთ, ამბიციური ტონი გალაკტიონის მხრიდან უცხო არ არის. ასეთი პიროვნული პათოსითაა აღბეჭდილი მთელი მისი შემოქმედება. ეს არცაა გასაკვირი – ის ხომ საკუთარ თავს პოეტების (პოეზიის) მეფეს უწოდებდა. გავიხსენოთ „მთაწმინდის მთვარე“, სადაც საკმაოდ ხმამაღალ განაცხადს აკეთებს: „მე მეფე ვარ, და მგოსანი...“ მეტიც, შთაგონების სანეტარო ბურუსში გახვეული, მიწიერ ღმერთადაც კი მიიჩნევს თავს:

მზე ჩემთვის ბრწყინავს და მეფე ვარ  
ყოვლისმომქმედი...  
ჩემს ხელში არის მაშინ ჩემი  
მძვინვარე ბედი,  
ქვეყნად ყოველი არსის სული  
მემორჩილება...  
ო, უძლეველო დიდო წამო  
შემოქმედების,  
ახლა ყველაფერს... ყველაფერს ვქმნი  
ახალი ღმერთი!  
(„შემოქმედება“)

ლექსში „ეფემერა“ კვითხულობთ:

ბედი – ქროლვის გარეშე – ჩემთვის არაფერია,  
ჩემთვის ყველაფერია ისევ **ლურჯა ცხენები**.  
ჰე, ქაოსში დაკარგულს ქარი დამედევნება  
მახილით: გალაკტიონ! და ძნელია მიგნება.  
სულს სწყურია საზღვარი, როგორც უსაზღვროებას...  
წინ! იმ უსაზღვროებაში მწუხარებას აიტან  
ჩემებრ დიდ საიდუმლოს მე იქ მივესალმები.

მოცემული ფრაგმენტის უტრირებას თუ მოვახდენთ, ცხადი და ნათელი გახდება, რომ საუბარი მუზის წვევას, შთაგონებით აღმაფრენას შეეხება. „**ბედი – ქროლვის გარეშე – ჩემთვის არაფერია**“, – მიგვანიშნებს, რომ ცხოვრება გალაკტიონისთვის აზრსმოკლებულია ქროლვის, ე. ი. **შთაგონების (ლურჯა ცხენების)** გარეშე – „ჩემთვის ყველაფერია ისევ ლურჯა ცხენები“. რაც შეეხება „ქაოსში დაკარგული“ მგოსნის ვერმიგნებას, აქ მკაფიოდ საცნაურდება მეწყერივით მოვარდნილი პოეტური აღმაფრენის, შთაგონების ნისლით შებურვილი მიწიერი შემოქმედის წვა და დაგვა, ის ენერგეტიკული იმპულსი, რითაც აბსურდულ ქაოსს (ლექსის შექმნის პროცესს ვგულისხმობ) წესრიგის, მხატვრული ქმნილების ფორმა და სახე ეძლევა, რითაც მუზის დამორჩილება ხდება. ამიტომაც მოუწოდებს იგი საკუთარ **პოეტურ ხმას, შთაგონებას, ანუ „ლურჯა ცხენებს“** ახალი შედეგების შექმნისკენ – **„ცხენტა შეჯიბრებისკენ“!**

**ცხენტა შეჯიბრებაზე! ცხენტა შეჯიბრებაზე!**  
**ცხენტა შეჯიბრებაზე გასწით, ლურჯა ცხენებო!**

ანალოგიური დატვირთვა აქვს ლურჯა ცხენებს ლექსში „დრო“, სადაც ლირიკული გმირის მიერ პოეტური პარნასის დაპყრობა მხოლოდ შთაგონებაზეა დამყარებული:

მსუბუქი ტალღები და **ლურჯა ცხენები!**  
შენ მხოლოდ მარადი სიმალე გიშველის,  
როს შუქად მშობლიურ ცას შეეშენები.

როგორც ვხედავთ, ერთადერთი ფაქტორი განსაზღვრავს გალაკტიონის დიდებასა და უკვდავებას – ლექსი, რომელიც ცხადია, შთაგონების გარეშე ვერ შეიქმნება.

შთაგონებას, პოეტურ აღმაფრენას აღნიშნავს აგრეთვე ლურჯა ცხენები ლექსებშიც: „ნუგეში“, სადაც მგოსანი ამბობს: „შევიდე უცხო სიმსუბუქეში, / გამომყვეს **ლურჯა ცხენების** მტვერი“ და „ვინ არის ეს ქალი?“ – „მიმაფრენდა ნაპირებზე **ლურჯა ცხენი**“.

თუ ლურჯა ცხენების სახისმეტყველებას შთაგონებასთან, ანუ პოეტურ აღმაფრენასთან მივყავართ, მაშინ ლოგიკურია ცხენების ფერიც – ლურჯი. განმარტებით ლექსიკონებში ლურჯა არის ისეთი ცხენი, რომელსაც ლურჯი ფერი გადაჰკრავს. ვინაიდან ზემთაგონება ყოველთვის რომანტიკულობის უსამანო გამოვლინებაა, ამიტომაც ასოცირდება იგი ლურჯ ფერთან, რამეთუ

ლურჯი და ცისფერი პოეზიაში, განსაკუთრებით კი რომანტიკოსებთან და სიმბოლისტებთან (მაგ. ბარათაშვილის „ცისა ფერს“ და „ცისფერყანწელები“) გაბატონებულია, როგორც რომანტიკული ფერები. გალაკტიონიც ამ მისთვის სათაყვანო ფერებს იდეალური სამყაროს სიმბოლოდ სახავდა. მისი შემოქმედების მრავალფეროვან თემატიკაში, რომელიც აღსავსეა განუმეორებელი პოეტური ინტონაციებით, რიტმის უმახვილესი გრძნობით, მუსიკალური ფერადოვნებითა და ორიგინალური ფერთა მეტყველებით, განსაკუთრებულად არის აქცენტირებული ლურჯი ფერი. წინამდებარე ნარკვევი ვერ დაიტევდა, ყველა იმ ლექსის დასახელება რომ მეცადა, რომლის მხატვრულ გამომსახველობაშიც სტიქიურადაა შეჭრილი ლურჯი ფერი. მხოლოდ რამდენიმე ნიმუშის მოხმობით შემოვიფარგლები:

ცა ლურჯი, ასე უსაზღვროდ ლურჯი...  
(„ციხის ნანგრევებთან“)

ლურჯ ზღაპარივით ხავსი ფარავს დაწეწილ წისქვლს...  
(„ძველი წისქილი“)

იქ ლურჯ კუნძულებს დაენახვება  
ხან სიზმარივით, ხან ნაფოტივით...  
(„ძველი მოტივით“)

ველად ყრია ლურჯი კომში  
და ცისფერი ატამი...  
(„ომნიბუსით“)

ტბას დაეცა ლურჯი ნისლი, მსუბუქი და გამჭვირვალე...  
(„განთიადზე“)

განთიადს სძინავს ლურჯ სარეცელზე...  
(„ახალ ცისკართან“)

ლურჯ მთების ზოლი ლურჯ ცის სივრცეში  
შორს, უსაზღვროდ შორს მიიკლავნება,  
ლურჯ ოკეანის ლურჯი ტალღები  
ლურჯ ტყიან ნაპირს აქცევს, აკვდება...  
(„გემზე“)

ასევე მრავლად არის გამოყენებული ხატოვანი გამოთქმები: „ლურჯი იორი“; „ლურჯი ბურუსი“; „ლურჯი ნიაქარი“; „ლურჯი იალქნები“; „ლურჯი ანგელოზები“; „ლურჯი დღე“; „ლურჯი მერანი“ და ა. შ. უამრავი ასეთი მხატვრული სახის დასახელება შეიძლება. გალაკტიონი ხომ სიტყვათქმნადობის ნამდვილი ჯადოქარი იყო. ასე რომ, შეიძლება ითქვას, გალაკტიონის შემოქმედების მთელ რომანტიკულ მგრძნობელობას ელფერს აძლევს ლურჯი ფონი.

\*\*\*

როგორც ითქვა, გალაკტიონის ეგზისტენციალური მსოფლგანცდა, მთელი მისი პიროვნული თუ პოეტური „მე“ სხვა, მხოლოდ მისეული სამყაროს გამუდმებული მიებით იყო აღბეჭდილი. რეალისტური ყოფის ამაოების ნისლს იგი ლურჯად შეფერილი ირაციონალური მიღმიურობისაკენ სწრაფვით ფანტავდა. მის შემოქმედებაში ხშირია ასეთი მისტიკური გარდასახვები. აქვე უნდა შევნიშნო, რომ გალაკტიონის პოეზიისათვის დამახასიათებელი არაა გრძნობათა ერთფეროვნება, თუ ზემოთ მოხმობილ ლექსებში აშკარაა პოეტის მგზნებარე, ოპტიმისტური პათოსი და კონკრეტული მიზნისკენ სწრაფვის სიცხადე, იმ მხატვრულ ნიმუშებში, რომელზედაც ქვემოთ გვექნება მსჯელობა, სკეპსისა და იმედგაცრუებას ამოიკითხავს მკითხველი. გრძნობათა ასეთი გაორება მუდმივად შეინიშნება გალაკტიონის შემოქმედებაში. ეს ალბათ არცაა გასაკვირი, რადგანაც ზოგადად ლექსი პოეტის განწყობას, მის კონკრეტულ სიტუაციურ განცდას ამჟღავნებს. პოეტის გრძნობისა და განცდის იმპულსურობა, საკუთარ ვნებათა ტყვეობაში მოქცეული აზროვნების საზრისი ვერ იქნება ერთგვაროვანი, ის ვერ მოექცევა საგანგებოდ დამუშავებულ, რაფინირებულ ჩარჩოებში.



ლექსში „მგლოვიარე სერაფიმები“ ნაჩვენებია სულთა სამყოფლიდან „მიწაზე დაბრუნებული“ ლირიკული გმირის განცდები. ის ამქვეყნიურ ცხოვრებას „სამშობლოს“ უწოდებს:

ერთხელ ზმანებით მე ამოველ ბნელ სამარიდან.  
მე მოვდიოდი სამშობლოსკენ გზებით ირიბით,  
ჰაერში ვვნესდა დაწყვეტილი წვიმის სიმები  
და სასაფლავს ძეგლებიდან მწუხარე რიგით  
მე მომყვებოდნენ და სტიროდნენ სერაფიმები.

ტრაგიკული სიმძაფრით ასახული სკეპსისი და ნიჰილიზმი აშკარაა. პოეტმა ვერც მიღმიურ და ვერც მატერიალურ სამყაროში ვერ მოიპოვა სულის სიმშვიდე, თუმცა მგოსანი აქვე შენიშნავს, რომ მისთვის ამქვეყნიური ყოფის ერთადერთ სიამეს, სიცოცხლის ერთადერთ საზრისს მხოლოდ შემოქმედებითი პროცესი, შთაგონებით მოგვრილი ეგზალტაცია წარმოადგენს. ისევე, როგორც სხვა პოეტურ ნიმუშებში, „მგლოვიარე სერაფიმებშიც“ ლურჯა ცხენები სწორედ შთაგონებას აღნიშნავს. ამას ლექსის შემდეგი სტრიქონები ცხადყოფს:

ყოველი წვეთი სავსე იყო უმძაფრეს შხამით;  
**ლურჯა ცხენებით** თუ გაფრენდა გრძნობათ სინაზე.  
იყავ საოცრად მოხიბლული ასეთი ღამით  
და უაილდის ყვავილივით დაეცი გზაზე.

სწორედ წარმავლობის სევდით აღძრული დაეჭვება და პესიმიზმი გადმოცემული გალაკტიონის სიმბოლისტურ ლექსშიც – „ლურჯა ცხენები“, რომელზე მსჯელობითაც დავიწყე წინამდებარე ნარკვევი და სადაც პოეტი დეტალურად აღწერს იმ სულისშემძვრელ მელანქოლიურ განწყობას, რაც მან „სამუდამო მხარეში“, ანუ საიქიოში წარმოსახვითი მოგზაურობის ჟამს განიცადა. ლექსი მთლიანად ეფემერული განწყობისაა და მასში გალაკტიონის ვიზიონერული ხედვის, პოეტური წარმოსახვის შთაბეჭდილებები აირეკლება. ამიტომაც ჰქვია მას „ლურჯა ცხენები“, ანუ **პოეტური შთაგონება**.

„ლურჯა ცხენების“ პირველ ორ სტრიქონში თითქოს გამჟღავნებულია გალაკტიონის წარმოდგენა თუ სწრაფვა სამუდამო მხარის იდუმალებით მოცული მშვენიერებისაკენ: „როგორც ნისლის ნამქერი, ჩამავალ მზით ნაფერი, / ელვარებდა ნაპირი სამუდამო მხარეში!“, თუმცა მომდევნო ტაქტებში მთლიანად ქარწყლდება ეს მცდარი წარმოდგენა და პოეტური რეპორტაჟი ჯოჯოხეთის საშინელებათა ლაბირინთებიდან ხორციელდება:

შემლილი სახეების ჩონხიანი ტყეებით  
უსულდგმულო დღეები რბიან, მიიჩქარაიან!

-----

ვერავენ განუგეშებს საოცრების უბეში,  
სძინავთ ბნელ ხვეულებში გამოუცნობ ქიმერებს!

მიუხედავად იმისა, რომ ლირიკულმა გმირმა სამოთხის ჩამავალი მზით ნაფერი სილამაზე იხილა („ელვარებდა ნაპირი“), რწმენის კრიზისით გამოწვეული სკეპსისი და უიმედობა აშკარა და თვალნათელია – სულთა საუფლოში, „სამუდამო მხარეში“ მან ვერ იხილა ის დაპირებული, ენით აუწერელი ნეტარება („არ ჩანდა შენაპირი, ვერ ვნახე ვერაფერი“), რაც სასუფველში მოხვედრის შემდეგ ელოდა. ამქვეყნიური ამოებით მოგვრილ კაემანს ვერც სულთა სამყოფელში გაიქარვებს პოეტი, ვერც იქ ჰპოვებს სულის სიმშვიდეს, ვინაიდან იქაც ისეთივე ცივი და მიუსაფარი მდუმარება დახვდა გამეფებული, ისეთივე სევდა-კაემანი და უსასოება, რასაც რეალურ განზომილებაში განიცდის:

სამუდამო მხარეში მხოლოდ სიმწუხარეა!  
ცეცხლი არ კრთის თვალეზში, წევხარ ცივ სამარეში,  
წევხარ ცივ სამარეში და არც გულს უხარია.

საიქიო ყოფის ამგვარი აღქმა, ერთი შეხედვით, მოულოდნელია სასულიერო სემინარიაგამოვლილ, ქრისტოლოგიაში გაწაფული პოეტისათვის, მაგრამ ერთი რამ აუცილებლად გასათვლისწინებელია: გალაკტიონი იმ ეპოქის შვილია, როცა საზოგადოება ერთი დილემის – ღმერთის არსებობა-არარსებობის – წინაშე აღმოჩნდა. ამიტომაც გალაკტიონის სიმბოლისტურ პოეზიასთან მკვეთრად არის შენივთებული ნიცმესეული დებულება: „ღმერთი მოკვდა!“ „ლურჯა ცხენებიც“ ამ ყაიდის ლექსთა ციკლს მიეკუთვნება. ლექსის კონცეფციური შინაარსი თუ არქიტექტონიკა რწმენის კრიზისით არის გამსჭვალული. სასოწარკვეთილი პოეტი ორივე განზომილებაში ეძიებს ღმერთს, არაქვეყნიურ, უცხო, შორეულ ლანდს (როგორც თვითონ უწოდებს ლექსში „ლანდი არაქვეყნიური“). ასევე რწმენის კრიზისით მოგვრილი ყოვლისმომცველი ნიჰილიზმი და დაეჭვება ათქმევინებს გალაკტიონს 1922 წელს დაწერილ ლექსში „სამშობლო შავი

ლიუციფერის“ – „არასდროს ჩვენთან აქ არ ყოფილა ნაზარეველი“. ამიტომაც არის „ლურჯა ცხენებში“ მის მიერ აღქმული საიქიო ასე მკვეთრად გამოხატული მწუხარე პოეტური მგრძობელობით, თუმც, როგორც უკვე ითქვა, ღვთაებრივ ჭეშმარიტებაში დაეჭვება გალაკტიონთან მუდმივი არ არის, ამგვარ სკეპსის მის შემოქმედებაში ხშირად ენაცვლება რწმენისა და სასოების ძიება. მაგალითად, იმავე „ლურჯა ცხენებში“ ერთადერთი იმედი, რასაც კი „შეშლილი სახეების ჩონჩხიანი ტყეებითა“ და უსულდგმულო დღეებით სავსე მწუხარე „სამუდამო მხარეში“ განიცდის პოეტი, ღმერთის ძიება, ღვთაებრივი ნათლის მოლოდინია („მხოლოდ შუქთა კამარა ვერაფერმა დაფარა“). რწმენისა და სასოების პათოსია გამოხატული ლექსშიც „რაც უფრო შორს ხარ“ („რაც უფრო შორს ხარ, მით უფრო ვტკბები! / მე შენში მიყვარს ოცნება ჩემი...“).

აღნიშნული საკითხის შესახებ ამირან გომართელი ასეთ მოსაზრებას გამოთქვამს: „ლურჯა ცხენები“ პოლემიკაა „მერანის“ ავტორთან. მაგრამ არც გალაკტიონის სკეპსისა მყარი და მუდმივი. იგი ჟამიდან ჟამზე იტყვის: „თუ გინდა ჯვარს ეცვი, საშველი არ არის, არ არის, არ არის!“ (ამ დროს მისი განცდა უფრო ტრაგიკულია, ვინემ ბარათაშვილისა), მაგრამ დროდადრო ღვთაებრივი სამყაროს არსებობის რწმენაც კიაფობს მასში“.

\*\*\*

„ლურჯა ცხენებში“ არის ასეთი ფრაზა: „მშრალ რიცხვების ამარა უდაბნოში ღელდება!“, რაც უმალ ბადებს კითხვას: რას უნდა ნიშნავდეს ეს მშრალი რიცხვები? ლოგიკური თვალსაზრისით, ადამიანისგან სიკვდილის შემდეგ რაც რჩება სამუდამოდ, ეს არის ერთადერთი რამ, მცირე ინფორმაცია, საფლავის ქვაზე მიწერილი დაბადებისა და გარდაცვალების თარიღები. ამიტომ, უნდა ვივარაუდოთ, რომ გალაკტიონი სწორედ ამ მშრალი, არცთუ ისე ბევრისმთქმელი ციფრების შესახებ საუბრობს.

როგორც ვხედავთ, გალაკტიონისთვის არც მეორე, მიღმიური, „სამუდამო მხარე“ თუ სამყარო აღმოჩნდა მიმზიდველი. მისთვის მიწიერი ყოფაცა და ვიზიონერული წარმოსახვაც, ქვესკნელიცა და ზესკნელიც ერთნაირად წარმოადგენს ფატალურ, ბედისწერით შემოსაზღვრულ არეალს. ორივე ერთნაირად დაგმობილი, შენაჩვენები და მიუღებელია („ზევით თუ სამარეში, წყევლით შენაჩვენები“).

ამდენად, როგორც ზემომხმობილი პოეტური ნიმუშების ანალიზმა ცხადყო, მხატვრული სახის – ლურჯა ცხენების – შინაარსი შთაგონების ექსპრესიას აღნიშნავს. ის პოეტური აღმაფრენის სტიქიური ქაოსია, ისეთივე მგრგვინავი და წყვილად მქროლავი, როგორც ველური, გაუხედნავი და დაუმორჩილებელი ურა ულაცები. ამიტომაც გამოირჩევა ეს სახე, პოეტურ ლიცენციად (ოკაზიურ ფორმად) ქცეული ეს სინტაქსური წყვილი, არა მარტო ტევადი შინაარსით, არამედ ყველგან, ყველა შემთხვევაში, გასაოცარი მუსიკალური ჟღერადობითა და რიტმული ინტონაციით, გალაკტიონის ოკაზიონალიზმებით სავსე პოეზიისათვის დამახასიათებელი მეტყველების ფერადოვნებით.

#### ლიტერატურა:

1. გომართელი 1997: გომართელი ა. ქართული სიმბოლისტური პროზა, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1997;
2. კანკავა 1964: კანკავა მ. გალაკტიონ ტაბიძე// ლიტერატურული ეტიუდები, თბ.: „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1997;
3. კენჭოშვილი 1999: კენჭოშვილი ი. გალაკტიონ ტაბიძის სამყაროში, თბ., 1999;
4. კვესელავა 1977: კვესელავა მ. პოეტური ინტერგალები. გალაკტიონ ტაბიძე და თანამედროვე პოეზია, საბჭოთა საქართველო, 1977;
5. სირაძე 2008: სირაძე რ. გალაკტიონის „ლურჯა ცხენები“ და ვ. კანდინსკის „ლურჯი მხედარი“, გალაკტიონოლოგია IV, თბ., 2008;
6. ჯავახაძე 1991: ჯავახაძე ვ. „უცნობი“, ნაკადული, თბ., 1991.

*Tamar Gelitashvili*

*Gori State Teaching University*

### THE CONCEPTION OF “BLUE HORSES” IN INSPIRATION OF GALAKTION TABIDZE RESUME

The phrase “Blue Horses” was used by Galaktion Tabidze at first in his poetry called: “Blue Horses”, which was published in 1915. since this period the phrase is have been using until nowadays.

The reader can understand by easy way, that the inspiration of Galaktion Tabidze's feelings is used by "Blue horses". we can think, that exactly this fact is sign that "Blue Horses" in poetry of Galaktion Tabidze means the dearest feelings about poetry. it is same in: "ephemia", "inspiration", "from ruins of the prison", "on the ship" and etc.

If the "Blue Horses" is inspiration as a symbol, those it's logical, that even the color of horses is blue. in the dictionary blue horse is defined as the horse who has blue color too. The inspiration is always romantic, because of this reason, even the blue color is romantic too.

*თამარ გოგოლაძე  
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი  
ნინო მინდიაშვილი  
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

### **ა. პ. ჩეხოვის „ალუბლის ბაღი“ ქართულ კულტურულ სივრცეში**

ა. პ. ჩეხოვის „ალუბლის ბაღი“ მეტად მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ქართულ მთარგმნელობით სივრცეში. არადა XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან თარგმან-გადმოკეთებას უკვე ფართოდ, შეუზღუდავად მისდევენ მწერლები, საზოგადო მოღვაწენი, მსახიობები თუ მასწავლებლები. ინტერესი, მშობლიურ ენაზე ეხილათ უცხოური ნაწარმოები, იმდენად დიდი იყო, რაიმე პრინციპის დაცვა თითქოს თავის აუცილებლობას ჰკარგავდა, მაგრამ სამოციანელთა მოწინავე შეხედულებანი, რომლითაც ძირითადად მთარგმნელობითი პრინციპების დადგენას ცდილობდნენ, ჯერ კიდევ თავს იჩენს ილია ჭავჭავაძის პირველი წერილიდან „ორიოდე სიტყვა“ (თუმცა აქ საქმე პოემის თარგმანს ეხება, უკვე გამოკვეთილია. რა უნდა ვთარგმნოთ და როგორ), უცხო მწერლის ნაწარმოები უნდა ინარჩუნებდეს თარგმანში ეროვნულ სულს და არ უნდა დაირღვეს ქართული ენის სიწმინდე. მოგვიანებით წერილების ციკლში „ქართული თეატრი“ ილია გადაჭრით აცხადებს: „...როცა სასცენო ხელოვნება სხვისის ცხოვრების ხატსა ჰკიდებს ხელს ჩვენს სცენაზე გადმოსატანად, ორში ერთი უნდა იქონიოს სახეში: ან იგი, რომ სხვისი ცხოვრება, ხასიათს თუ ზნე-ჩვეულებაში გამოთქმული, გვაცოდინოს ისე, როგორც არის, უტყუარად და შეუცვლელად, ან იგი, რომ მარტო აზრი, საგანი აიღოს, თუნდაც მთელი აგებულებაც პიესისა, ოღონდ იქ კი, საცა სხვისა ხასიათი, ზნე-ჩვეულება და ვითარება ცხოვრებისა არ შეგვეფერება, არ გვიხდება, გვეუცხოება – იქ ჩვენი ხასიათი, ჩვენი ზნე-ჩვეულება, ჩვენი ცხოვრების ვითარება ჩააყენოს. ამით უცხო ხატი სხვისი ცხოვრებისა ცოტად თუ ბევრად ჩვენის ცხოვრების ხატად გარდაიქმნება და რამოდენადაც ეს გარდაქმნა დიდია, იმდენად ნაშრომი კარგია და მოსაწონი. პირველ შემთხვევაში ნაშრომს თარგმანი ჰქვია და მეორეში – „გადმოკეთებული“.<sup>1</sup>

თარგმნილი და გადმოკეთებული – ასე წარმოგვიდგება უცხოური ნაწარმოები ქართულ თეატრალურ სივრცეში XIX საუკუნიდან XX საუკუნის პირველ ათეულ წლებამდე.

უკვე 1900-იანი წლებიდან ქართული თეატრის მოთავეების წინაშე დგება გადმოკეთებულის უარყოფისა და ხარისხიანი თარგმანის საკითხი, განსაკუთრებით, თუ იგი სცენისათვის არის განკუთვნილი. ამიტომ გაზეთი „ცნობის ფურცლის“ „3“-ს ფსევდონიმს ამოფარებული ავტორი 1903 წლის 27 იანვარს სწორედ ჩეხოვის „ივანოვის“ გადმოკეთებასთან დაკავშირებით („გადმოკეთდა ნიკო ჯამბარაშვილად“) მკაცრად აცხადებდა: „საკვირველია: როგორც ორიგინალური პიესების, ისე პიესების გადმოთარგმნას - გადმოკეთებას ჩვენში ისეთი ადამიანები კისრულობენ, რომელთაც ეტყობა არავითარი წინსვლა არა აქვთ ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე და ძლიერ ცუდათაც ესმით დრამატული ხელოვნების და მწერლის.“

მაგრამ ყოველს ბარონსა თავისი ფანტაზია აქვს და ყველას შეუძლია, რაც უნდოდეს, ის გადმოთარგმნოს და გადმოაკეთოს? ეს იმის თავისუფალია, ვერვინ ვერაფერს აუკრძალავს. მხოლოდ

<sup>1</sup> ჭავჭავაძე ი., ქართული თეატრი, რჩ. თხზ. ხუთ ტომად, ტ. III, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1986, გვ. 113;

სამწუხარო და გასაკვიცხია. აქ ის არის, რომ ასეთ ყოვლად შეუფასებელ გადმოთარგმნილ და გადმოკეთებულ პიესებს ვხედავთ ჩვენ ქართულ სცენაზე“.

ასე მწიფდება საკითხი, ყურადღება გამახვილდეს კარგ თარგმნაზე. ამიტომ თბილისის დრამატული საზოგადოება იძულებული ხდება ამ დროისათვის დააწესოს ფულადი ჯილდო მათთვის, ვინც კარგად გადათარგმნის ქართულ ენაზე საუკეთესო რუსულ და ევროპულ პიესებს.

როგორც თარგმნის თეორეტიკოსი გივი გაჩეჩილაძე აღნიშნავს, XIX საუკუნის „თარგმნილ ლიტერატურაში პირველი ადგილი უჭირავს რუსეთს – მის წილად მოდის 1921 წლამდე თარგმნილი ლიტერატურის დაახლოებით ნახევარი“<sup>1</sup>

უცხოელი მწერლით დაინტერესება ხშირად მისი ორიგინალში გაცნობით იწყება, შემდგომ პოპულარობას მოსდევს სურვილიც, გადმოაკეთონ ან თარგმნონ იგი მშობლიურ ენაზე, დადგან (თუ საქმე დრამატულ ნაწარმოებს ეხება) ქართულ სცენაზე. „თარგმანი ისტორიული კატეგორიაა და ამიტომ მისი ხარისხის შეფასებაც ცვალებადია და ეს ცვალებადობა მკაცრ კანონზომიერებათა ციკლს ემორჩილება. თარგმნის შეფასება დამოკიდებულია საზოგადოების ლიტერატურულ გემოვნებაზე, რაც, თავის მხრივ, იმავე საზოგადოების ესთეტიკური დონით არის განპირობებული.

მართალია, ალბათ, ბენედეტო კროჩე, რომელსაც მიაჩნია, რომ არა მარტო თარგმანი ახდენს გავლენას, ორიგინალური ლიტერატურის მხატვრულ-ესთეტიკური კრედიო მნიშვნელოვნად განაპირობებს თარგმანის კულტურასა და ესთეტიკას“<sup>2</sup>

როგორც სუსსანა ბასსნეტ-ი წერს, „დრამატული ტექსტების თარგმნის სპეციფიურ პრობლემებთან დაკავშირებით არსებული მასალა საკმაოდ მწირია, ხოლო თეატრალური თარგმანების შესახებ მოსაზრებები ხშირად გულისხმობს, რომ თარგმნის პროცესში გამოყენებული მეთოდოლოგია იგივე მიდგომას გულისხმობს, როგორც პროზაული ტექსტების თარგმნისას“ (გვ. 124).

„თუმცა, საკითხის ყველაზე ზედაპირულად განხილვისასაც კი უნდა ჩანდეს, რომ დრამატული ტექსტის თარგმნა შეუძლებელია პროზაული ტექსტის მსგავსად. პირველ რიგში უნდა ითქვას, რომ თეატრალური ტექსტი სხვაგვარად იკითხება. ის იკითხება, როგორც გარკვეულწილად დაუსრულებელი და არა როგორც სრული ერთეული, რადგანაც მხოლოდ თეატრალური წარმოდგენის დროს ხდება ტექსტის პოტენციალის ბოლომდე რეალიზება. ეს კი, მთარგმნელს უმთავრეს პრობლემას უქმნის: თარგმნოს ტექსტი წმინდა ლიტერატურულ ტექსტად, თუ სცადოს მისი თარგმნა მისი ფუნქციის შესაბამისად, როგორც სხვა, უფრო რთული სისტემის ელემენტისა. როგორც თეატრთან დაკავშირებულ ნაშრომებში ჩანს, ლინგვისტური სისტემა მხოლოდ ერთი შერჩევითი კომპონენტია იმ ურთიერთდაკავშირებული სისტემების ნაკრებისა, რომლებიც ქმნიან სპექტაკლს. ანე უბერსფელდი განსაზღვრავს, თუ როგორ არის შესაძლებელი ტექსტის განცალკევება წარმოდგენისგან, იმდენად რამდენადაც თეატრალური წარმოდგენა შედგება ამ ორის დიალექტიკური ურთიერთობისგან; ის ასევე ამტკიცებს, რომ ტექსტსა და წარმოდგენას შორის ხელოვნურად შექმნილმა განსხვავებამ გამოიწვია ლიტერატურული ტექსტისთვის უფრო მაღალი სტატუსის მინიჭება. ლიტერატურული ტექსტის უზენაესობის ერთ-ერთი შედეგი, მისი აზრით, თეატრალური წარმოდგენის მხოლოდ „თარგმანის“ სახით აღქმა“. (გვ. 124).

.....

„დაწერილი ტექსტის უპირატესობა, თავის მხრივ, იწვევს მოსაზრებას, რომ არსებობს ტექსტის წაკითხვის და აქედან გამომდინარე თეატრალური წარმოდგენის მხოლოდ ერთი სწორი გზა, რა შემთხვევაშიც მთარგმნელი ვალდებულია უფრო მკაცრად გაითვალისწინოს პირველადი მოდელი, ვიდრე ეს პოეტური ან პროზაული ტექსტების მთარგმნელის შემთხვევაში ხდება.“ (გვ. 124).

„თუკი თეატრალური ტექსტის მთარგმნელი ხვდება თამაშის უნარის დამატებით კრიტერიუმს, როგორც წინაპირობას, მისგან მაშინვე მოითხოვება სხვა ტიპის ტექსტის მთარგმნელისგან რაიმე განსხვავებულის განხორციელება. უფრო მეტიც, დაწერილ ტექსტზე დამატებითი განზომილების ცნება, რომელსაც მთარგმნელი რაიმენაირად უნდა ჩაეჭიდოს, მაინც გულისხმობს განსხვავებას ტექსტისა და წარმოდგენის იდეებს შორის, დაწერილსა და ფიზიკურს შორის. აქედან გამომდინარე, უფრო ლოგიკური იქნებოდა ვივარაუდოთ, რომ თეატრალური ტექსტი, რომელიც იწერება მისი სამომავლოდ დადგმის გათვალისწინებით, შეიცავს განმასხვავებელ სტრუქტურულ თავისებურებებს, რომელიც მას წარმოდგენითს ხდის სცენის გარეთაც კი. შედეგად, მთარგმნელის ამოცანაა განსაზღვროს ეს სტრუქტურები და თარგმნოს ის მიუხედავად იმისა, რომ ამან შესაძლოა გამოიწვიოს მნიშვნელოვანი ცვლილებები ლინგვისტურ და სტილისტურ ჭრილებში“. (გვ. 125).

<sup>1</sup> გაჩეჩილაძე გ., „მხატვრული თარგმნის თეორიის შესავალი“, „განათლება“, თბილისი, 1966, გვ. 98.

<sup>2</sup> წიბახაშვილი გ., თარგმნის თეორიისა და პრაქტიკის საკითხები, თსუ, თბილისი, 2000, გვ. 27.

„უფრო მეტიც, თეატრის თამაშის სტილი და კონცეფციები ასევე მნიშვნელოვნად განსხვავებულია სხვადასხვა ეროვნულ კონტექსტებში, რაც მთარგმნელისთვის კიდევ ერთი გასათვალისწინებელი ელემენტია“. (სუსსანა ბასსნეტ „თრანსლატიონ შტუდიეს“ - ნაწყვეტების თარგმანი ინგლისურიდან ეკუთვნის გოგა რუხაძეს). თეატრალური სემიოტიკის შემქმნელი ანე იუბერსფელდი ფიქრობს, რომ პიესის ტექსტი არ შეიძლება განვიხილოთ თეატრალური დადგმისაგან მოწყვეტით. რეჟისორის დანიშნულება კი იმაში მდგომარეობს, რომ „გადათარგმნოს სხვა ენაზე ტექსტი ისე, რომ „შეუნარჩუნოს ტექსტისადმი ერთგულება“.

დიახაც, აღნიშნავს გიორგი წიბახაშვილი, როდესაც მკითხველი არ იცნობს ნაწარმოებს ორიგინალში, ის მას თარგმანის მიხედვით აღიქვამს და აფასებსო. ამის მაგალითად წიბახაშვილი სწორედ ა. ჩეხოვის სამტომეულს მიიჩნევს, ქართულ ენაზე თარგმნილს: „ასე დაემართა ...ა. ჩეხოვის სამტომეულს ქართულად, სადაც იმდენი და ისეთი ხარვეზებია, რომ ქართველ მკითხველს გაუჭირდება აღიაროს ა. ჩეხოვის გენიალობა“<sup>1</sup> ამ სამტომეულში შედის ჩეხოვის „ალუბლის ბაღის“ შალვა დადიანისეული თარგმანი, მაგრამ ეს შეფასება ხდება 50 წლის შემდეგ, როცა იცვლება თვით ეპოქა, თარგმნის მეთოდიც, თუმცა, სავარაუდოდ, შალვა დადიანს ჩეხოვის ეს პიესა უნდა სცნობოდა ჯერ კიდევ 1908 წელს ან 1909 წელს, როდესაც იგი ივანე ბარველის მიერ გადმოკეთებული იქნა ქართულად და მას „სალხინო“ ეწოდა. თუმცა აქვე საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ უკვე 1905 წელს გამოდის „ალუბლის ბაღის“ პირველი თარგმანი ქართულ ენაზე. თარგმანი შეასრულა სოფიო ციციშვილმა, რომელიც „ჯეჯილის“ რედაქციის აქტიური თანამშრომელი, „რედაქტორის მარჯვენა ხელი იყო და თანამშრომლების სული და გული“ (ე. გაბაშვილი), საბავშვო მწერალი (ავტორი მოთხრობებისა: „გულადი“, „მეფეს სძინავს“, „მომის ხე ტყეში“, „ბუს თავგადასავალი“, „პატარა დედოფალი“, „სამზაო კოჭი“, „ვასოს საიდუმლო“, „ჭრელი სტვირი“ და სხვ.), მთარგმნელი. სამწუხაროდ, ეკატერინე გაბაშვილის მიერ „ჯეჯილში“ (1905 წ. №6) გამოქვეყნებულ ნეკროლოგში, „პორტრეტი“, არაა მოხსენიებული არც დაბადების წელი, არც სხვა რაიმე ინფორმაცია მისი ოჯახური მდგომარეობისა თუ განათლების შესახებ. მხოლოდ აღნიშნულია, რომ „სონა კითხულობდა მრავალ საყმაწვილო ჟურნალს და წინასწარ თუ იპოვიდა რასმე რიგიან და გამოსადეგს ქართველი მკითხველისათვის, მაშინვე, შეუდგებოდა იგი გადმოთარგმნას ან გადმოკეთებას“.

სოფიო (სონა) ციციშვილს ჩეხოვის „ალუბლის ბაღი“ დაწერა-დადგმიდან მალე უნდა ეთარგმნოს, 1904 წელსვე, გამოქვეყნებით კი 1905 წელს დაიბეჭდა „ივერის“ ბიბლიოთეკაში.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ 1912 წელს სწორედ „ალუბლის ბაღის“ პირველი თარგმანიდან გერმანულ ენაზე, იწყება მისი აღქმაც. პირველი მთარგმნელია მიუნხენში მცხოვრები რუსი ლიტერატორი ზიგფრიდ აშკენაზი. მაგრამ ესაა მხოლოდ სიტყვასიტყვითი თარგმანი, რომელსაც საბოლოოდ დასრულებული სახე მისცა ცნობილმა მწერალმა ლიონ ფეიხტვანგერმა. მთარგმნელებმა პირველწყაროდ გამოიყენეს არა ორიგინალური გამოცემა ჩეხოვის „ალუბლის ბაღისა“, არამედ მისივე დამუშავებული ვარიანტი სამხატვრო თეატრში დადგმისათვის. ამასთან დაკავშირებით გერმანელი თეატრმცოდნე კლაუს ბედნარცი აღნიშნავდა: „

„2

აღნიშნული მაგალითი დაგვკვირდა იმის დასამტკიცებლად, თუ რა მნიშვნელობა აქვს თარგმანის ორიგინალს. თუმცა ამ შემთხვევაში ჩვენთვის უცნობია, საიდან უნდა ეთარგმნა სოფიო ციციშვილს, ან გადმოეკეთებინა ივანე ბარველს. ვარაუდით შეიძლება აღინიშნოს, რომ ამ დროისათვის, 1904 წლისათვის, არსებობდა თვით ჩეხოვის მიერ გამოსაცემად მომზადებულ-ჩასწორებული ტექსტი, რომელიც დაიბეჭდა კრებულში „Сборник товарищества «Знание» за 1903 год, СПб, 1904, Вып. 2». ამ კრებულისათვის ჩეხოვმა აიღო თეატრალური დადგმისათვის მანქანაზე გადაბეჭდილი ეგზემპლარებიდან ერთი, სცენისათვის მომზადებულ-ჩასწორებული, და ახალი კორექტურით გაგზავნა რედაქციაში. აქ გზა-და-გზა ავტორი ითვალისწინებდა მეტ-ნაკლებად დადგმის დროის ხარვეზებს, მსახიობთა სურვილებს და ასე იხვეწებოდა რანევსკაიას, გაევის როლები, ძლიერდებოდა კომიზმი პიშჩიკის ეპიზოდებში და სხვ. ანუ როგორც მკვლევარი ა. რევიაკინი აღნიშნავს: „

1904 ...»

<sup>1</sup> იქვე, გვ. 29.

<sup>2</sup> „...«

», 2012, .287.

თითქმის ყველა ჩასწორება ხელნაწერში შესრულდა 1904 წლის იანვარში. ჩეხოვი ძირითადად ემყარებოდა კანონიკურ ტექსტს, რომლადაც მიიჩნია „Знание“-ს კრებულში გამოქვეყნებული, თუმცა დადგმების დროს ითვალისწინებდა რეჟისორთა და მსახიობთა აზრსაც. მაგრამ, თუ რამე არ მოეწონებოდა დადგმებისას, ჩეხოვი სასტიკად ბრზიდებოდა და ამბობდა, რომ ეს მე არა ვარ, თვითონ მოიფიქრეს. ეს ხომ საშინელებაა, რაც თავში მოუვათ, იმას აკეთებენ, ავტორმა კი პასუხი უნდა აგოსო. (ა. რევიაკინი).

ამდენად „Сборник“-ში გამოქვეყნებული ტექსტი, როგორც თავად ავტორი მიიჩნევდა, უნდა ჩავთვალოთ კანონიკურად მით უმეტეს, რომ პიესა მალე გამოდის ცალკე წიგნადაც: Вишневый сад. Комедия в 4-х действиях, Артистическое заведение А.Ф. Маркса. Измайл пр. №29 აქვე გასათვალისწინებელია პიესის დადგმისათვის ავტორის მიერ გაკეთებული ჩასწორებანი.

ჩვენ შევეცადეთ შეგვედარებინა ა. რევიაკინთან მოხმობილი ჩეხოვისეული ჩასწორებით გამოცემული ტექსტიდან ნაწყვეტები ს. ციციშვილის თარგმანთან და რამდენადმე დავრწმუნდით, რომ იგი მთარგმნელს პირველი გამოცემიდან უნდა შეესრულებინოს. მაგალითისათვის გამოდგებოდა პიშჩიკის დიალოგი რანევსკაიასთან. შარლოტას ფოკუსების ჩვენების ეპიზოდი და მისი ფირსთან საუბრის მეორე მოქმედების დასაწყისში გადატანა, ანუ ავტორისეული ჩასწორებანი, რაც მოჩანს თარგმანის ტექსტშიც.

ჩვენთვის სავსებით უცნობია ი. ბარველის მიერ გადმოკეთებული „სალხინო“ ჩეხოვის რომელიმე გამოცემიდან შესრულდა, თუ მოსკოვის სამხატვრო თეატრის ეგზემპლარიდან, მაგრამ, რამდენადაც 1904 წლის გამოცემისათვის თავად ჩეხოვიც ჩქარობდა, რადგან პროვინციული თეატრები გამუდმებით სთხოვდნენ ავტორს, მათთვის მიეწოდებინა დაზუსტებული ტექსტი, ვვარაუდობთ, რომ ისიც „Сборник“-ში გამოქვეყნებული ტექსტიდან ან ცალკე გამოცემიდან უნდა შესრულებინა.

რაც შეეხება, პროზაიკოსის, დრამატურგის, რეჟისორის შალვა დადიანისეულ თარგმანს (1874-1959) აქაც მხოლოდ ვარაუდი შეიძლება გამოვთქვათ. „ალუბლის ბაღის“ შ. დადიანისეული თარგმანი პირველად გამოსცა 1954 წელს „ხელოვნებაში“. 1962 წლისათვის კი, როდესაც გამოვიდა ა. ჩეხოვის თხზულებათა მესამე ტომი (რომელშიც შედიოდა „ალუბლის ბაღის“ შ. დადიანისეული თარგმანი) არსებობდა რუსულ ენაზე ჩეხოვის თხზულებათა და წერილების სრული კრებული 20 ტომად (M., 1944-1951), სხვადასხვა დროის უამრავი ცალკე გამოცემანის, მაგრამ, ამჟამად, შ. დადიანს არ უნდა გაეთვალისწინებინოს ს. ციციშვილის თარგმანი, რასაც ერთი პატარა მაგალითიც გვიდასტურებს: ს. ციციშვილის თარგმანში, ერთ-ერთ ეპიზოდში (რომელზედაც ჩეხოვიც ამახვილებდა ყურადღებას), იაშა ეპიზოდოვს ასე ახასიათებს: „მეტად სასაცილოა ეპიზოდოვი, - თავცარიელია, ოცდაორი უბედურება“. დადიანისეულ თარგმანში კი: „მეტად სასაცილო რამ არის ჩვენი ეპიზოდოვი, ჭკუათხელი კაცი. ოცდაორფათერაკიანი“. ამჟამად, თავცარიელი-ჭკუათხელის სინონიმები ერთმა თავისი დროის ლექსიკაში მიღებულიდან აიღო, რუსულ დამცინავ ფორმას პირდაპირი თარგმანი მისცა – двадцать два несчастья – 22 უბედურება, ხოლო მეორე მთარგმნელმა მოხდენილად შეუფარდა „ფათერაკიანი“. რომელ ტექსტს უნდა ემყარებოდნენ მიხეილ ქვლივიძე და მანანა ანთაძე?

აქაც მხოლოდ ვარაუდი შეიძლება გამოვთქვათ მიხეილ ქვლივიძის წყაროსთან დაკავშირებით. 1982 წელს ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნებაში“ იბეჭდება „ალუბლის ბაღის“ თარგმანი (1982 წლის №4, გვ., 135-156). შემდგომში კი 1990 წელს იგი შევიდა ჩეხოვის პიესების კრებულში, გამომცემლობა „ქართველ თეატრალურ მოღვაწეთა გაერთიანების“ ეგიდით.

2003 წელს იგივე ტექსტი შედის ა.პ. ჩეხოვის თხზულებათა კრებულში გამომცემლობა „პალიტრას“ სერიით „კიდევ 49 წიგნი, რომელიც უნდა წაიკითხო, სანამ ცოცხალი ხარ“ (წიგნი 13, 2013, გვ. 224-275).

თარგმანზე მუშაობის დასაწყისისათვის, შესაძლოა, მ. ქვლივიძეს ხელთ არ ჰქონოდა ჩეხოვის თხზულებათა სრული კრებული 30 ტომად (M., 1974-1983) ამიტომ მაინც ოცტომეული უნდა ვივარაუდოთ (1944-1951), საიდანაც, შესაძლოა ესარგებლა შალვა დადიანს (ან იქნებ ცალკე გამოცემითაც).

<sup>1</sup> „ ... „ »

მანანა ანთაძის თარგმანი სპეციალურად 2004 წელს „ალუბლის ბაღის“ დადგმისათვის შესრულდა და შემდგომ 2014 გამოიცა გამომცემლობა „კენტავრის“ მიერ პიესის მონაწილე მსახიობების დასახელებითაც.

ყველა, ოთხივე, თარგმანი მეტად სპეციფიკურია, ოთხივე სცენისთვის, დადგმისთვის განკუთვნილი, მათი ღირსება-ნაკლოვანებანი დღემდე არ გამოკვეთილა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ გ. წიბახაშვილის უარყოფით მინიშნებას შ. დადიანისეულ თარგმანზე, რომელსაც 40-იოდე წლის შემდეგ ჩაანაცვლებენ ახალი თარგმანებით, უფრო ზუსტად, მოცემული სპექტაკლისათვის საჭირო თარგმანით (კინომსახიობის თეატრის დადგმისათვის მ. ანთაძე).

1996 წელს პოლონეთში მოღვაწე ქართველ რეჟისორს ვროცლავში, გაუჩესის თეატრმა შეუკვეთა ა. ჩეხოვის „ალუბლის ბაღის“ დადგმა, რისთვისაც გამოყენებული იქნა პოლონელი რეჟისორის ერჟი იაროცკის მიერ რუსულიდან შესრულებული თავისუფალი თარგმანი.

გორის გ. ერისთავის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის სპექტაკლისათვის რეჟისორმა სოსო ნემსაძემ სპექტაკლის სცენარისათვის თავდაპირველად დადიანის თარგმანს მოჰკიდა თურმე ხელი, შემდეგ კი მიხილ ქვლივიძის თარგმანზე შეჩერდა.

მთარგმნელობითი საქმიანობის გენეზისიდან გამომდინარე, თუ გავითვალისწინებთ თარგმანმცოდნეთა ნააზრევს, 1905 წლის თარგმანი მეტ-ნაკლებად უნდა ექვემდებარებოდეს ერთ ძირითად მეთოდს: „მთარგმნელები, იმის მიუხედავად, მიმართავენ ისინი დედანსა, თუ ასრულებენ თარგმანის თარგმანს, ცდილობენ შეჰქმნან ქართველი მკითხველისათვის გასაგები ნაწარმოები, რომელსაც მკითხველი აღიქვამს, როგორც მშობლიური ლიტერატურის ნიმუშს, ფორმით და სტილით ქართულს“<sup>1</sup>. აღნიშნულ პერიოდში მთარგმნელის ძირითადი ყურადღება მიქცეულია მხატვრული ტექსტის ფორმოზომის შესატყვისობაზე, ამიტომაც თავისუფლებას ანიჭებენ ისეთ დეტალებს, როგორცაა გმირის ხასიათი, ქვეყნის თავისებურება, ფრაზეოლოგიზმები, ანთროპონიმები და სხვ. მაგ.: ს. ციციშვილის თარგმანში XIX საუკუნის მეტყველებისათვის დამახასიათებლად ჟღერს პერსონაჟთა სახელები და გვარები. ლუბა ანდრეას ასული რანვესკაია, ანნა, ვარო, მაგრამ შარლოტა ივანოვნა უცვლელადაა გადმოტანილი თარგმანში.

გამოყენებულია თეატრალური ტერმინოლოგია: მოქმედება პირველი, მეორე და ა.შ.

თუმცა, ამისდამიუხედავად, თარგმანი ლაღია, გასაგები, ალაგ-ალაგ ენობრივი საღებავებით გამუქებულ-გაღიავებული...

ჩვენთვის უცნობია, იყო თუ არა ციციშვილის თარგმანი არამარტო წასაკითხად, არამედ დადგმისათვის განკუთვნილი. მაგრამ, სავარაუდოდ, რაღაცამ შეუშალა ხელი ამ თარგმანის მეშვეობით 1908 წელს „ალუბლის ბაღის“ ქუთაისის სცენაზე წარმოდგენას. ამიტომ და იქნებ ამიტომ მიმართა ი. ბარველმა მის გადმოკეთებას „სალხინოს“ სახელწოდებით.

მთავარი მაინც ერთია: პიესა „ალუბლის ბაღი“ ქართული საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი აღმოჩნდა მისი თარგმნით დაწყებული, გადმოქართულებული სპექტაკლის სახით. მაგრამ აი გადის წლები და „ალუბლის ბაღის“ დადგმას ვერ კიდებენ ხელს ქართველი რეჟისორები.

მაინც რა პრობლემების წინაშე იდგა თავად ა.პ. ჩეხოვი, როგორც ავტორი და რეჟისორები, რომლებიც სცენაზე დგამდნენ მის პიესებს? ეს საკითხი ჯერ კიდევ ჩეხოვის სიცოცხლეშივე წარმოიშვა და, ვფიქრობთ, საუკუნის შემდეგაც მუსირებს თეატრალურ სამყაროში.

ბუნებრივია, უნდა მოიძებნოს თვით ა.პ. ჩეხოვის, დრამატურგის სპეციფიკის ნიშნები და, ავტორისეული ჩანაფიქრის თეატრალური ხორცშესხმისათვის აუცილებელი კანონზომიერებანი, რაც იდგა მაშინდელი რუსული თეატრალური საზოგადოების წინაშე.

თუ ჩეხოვამდელი რუსული დრამატურგია ემყარებოდა ძირითადად მოვლენის კომუნიკაბელობის სიგნიფიკაციას, მიზამვას კი არა, არამედ ქმედითობასა და ცხოვრებას, ბედნიერებასა თუ უბედურებას (არისტოტელესეული განსაზღვრა), ჩეხოვის შემდგომი უფრო იმ მარტივ სისტემას ემყარება, რომლის მეშვეობითაც კონსტატირდება ნიშნების ენის არაჩვეულებრივი გამოყენება, რომლის მეშვეობითაც ჩვეულებრივი ფაქტები ადრესატისათვის იძენენ ვირტუალური მოვლენის მნიშვნელობას, ანუ კომუნიკატორულ მოვლენას. „ალუბლის ბაღში“ მაგალითად, - აღნიშნავს ი.ვ. შატინი, ხდება უამრავი ცვლილება. რანვესკაია საყვარელს აპატიებს და პარიზში ბრუნდება, გაევი ბანკში შოულობს სამსახურს, ანია აპირებს გამოცდები ჩააბაროს და მერე იმუშაოს, ვარია რაგულინებთან ეკონომქალად მუშაობას აპირებს, ლოპახინი კი მამულის გადაკეთებაზე ოცნებობს. ამასთან ერთად არცერთი მოვლენის კომუნიკაცია არ ჰპოვებს შემდგომ განვითარებას და აქცენტს აკეთებს პიესის სემანტიკურ ერთეულზე.

<sup>1</sup> გაჩეილაძე გ., „მხატვრული თარგმანის თეორიის შესავალი“, „განათლება“, 1966, გვ. 103.

» ( . )  
» - აცხადებს შატინი და აქვე ასკვნის: «

«  
«  
» -  
»<sup>1</sup> - (ხაზი ჩვენია – თ.გ., ნ.მ.)

ზემოთმოყვანილი ციტატა 21-ს საუკუნის მკვლევარს ეკუთვნის, და, ბუნებრივია, ცოდნის გავრცობის საფუძველზე, ა.პ. ჩეხოვის დრამატურგიასთან ახლებური მიდგომის მცდელობაცაა, და ერთგვარ ახსნაც რატომ უჭირდათ, უჭირთ მისი პიესების დადმა და რა შესაძლებლობები შეიძლება გაიხსნას რეჟისორებისათვის სამომავლოდ.

მაგრამ ა.პ. ჩეხოვის ეპოქაში, მიუხედავად სიმბოლისტური ხელოვნების გააქტიურებისა, მაინც მოქმედებს ჯერ დაუწერელი, შემდგომ 1909 წელს რუსეთის რეჟისორთა მეორე ყრილობაზე ერთგვარად გამოკვეთილი პრობლემები თეატრში (ა) მენინგელები და დასავლეთის თეატრი ბ) მოსკოვის სამხატვრო თეატრი, ახალი ტენდენციები თეატრში – (რეალიზმი, სიმბოლიზმი, სტილიზაცია), რომელმაც ცვლილებების წინაშე დააყენა სამხატვრო თეატრი, „ალუბლის ბაღის“ დადგმისათვის იგი დღიდან თავისი დაარსებისა (1898 წ.), თუმცა ავითარებს რუსული დემოკრატიული თეატრალური კრიტიკის ტრადიციების, მასში მაინც აირეკლა ის ზოგადი პროცესებიც, რომლებსაც ადგილი ჰქონდა საუკუნის დასაწყისის რუსულ რეალიზმში. ვ.ი. ნემიროვიჩ-დანჩენკო სტალინსლავსკისთან ერთად დიდი ხანი ოცნებობდა თანამედროვე ლიტერატურისა და სცენის დაახლოებას დემოკრატიული მაცურებლის ინტერესებისათვის თეატრის დაახლოებას. 1898 წელს რეპეტიციის დაწყების წინ სტანისლავსკი აცხადებს: «

»<sup>2</sup>  
ამ პერიოდისათვის კოტე მარჯანიშვილიც სამხატვრო თეატრის რეპერტუარს (გორკისა და ჩეხოვის პიესებს) ეყრდნობა და ეპოქის მოწინავე მისწრაფებათა გამომხატველ პიესებზე მუშაობით იძენს რეჟისორულ ოსტატობას<sup>3</sup> (დ. ჯანელიძე).

კ. მარჯანიშვილი იმასაც აღნიშნავს, რომ თეატრს საყვედურობდნენ, „რატომ დღემდე არ დაიდგაო მან არამც თუ მართო გამოუქვეყნებელი პიესები, არამედ ჯერაც დაუწერელიო (სიც...) მაგალითად ჩეხოვის „ალუბლის ბაღი“. პიესა ჯერ კიდევ არ დაუსრულებია ავტორსო“<sup>4</sup> მარჯანიშვილი ესწრებოდა თურმე „ალუბლის ბაღის“ წარმოდგენებს მხატში და აღტაცებით აღნიშნავდა: „ჩეხოვის პიესები მაცურებელთა ისეთივე ინტერესს იწვევენ ახლა, როგორც ეს წინათ იყო და ძალიან კარგ შემოსავალსაც იძლევიანო“<sup>5</sup> თუმცა „ალუბლის ბაღს“ მან არ მოჰკიდა ხელი.

გადმოკეთებული პიესა „სალხინო“, სავარაუდოდ, ცნობილი უნდა ყოფილიყო შალვა დადიანისათვის, რომელიც ს. გერსამიას ცნობით („ქუთაისის თეატრი“, თბილისი, 1947) უძღვებოდა 1907/1908 და 1908/1909 სეზონებს. მისი მეთაურობით შემდგარ მსახიობთა ამხანაგობაში შედიოდნენ დესპინე ივანიძე, ლიზა გვეტაძე, პ. შოთაძე, ანდრო მურუსიძე, ვალერიან შალიკაშვილი, იუზა ზარდალიშვილი, სანდრო ბოჭორიშვილი, გრ. ჩარკვიანი, პეტრე ძელგენიძე, ნინო დავითაშვილი და ეფემია მესხი. აქედან რამდენიმე მსახიობი მონაწილეობდა „სალხინოს“ ქუთაისის თეატრის დადგმაშიც: ვალერიან შალიკაშვილი თამაშობდა ზვარეთელს (ჩეხოვის გაევს) და, როგორც გაზეთი „ამირანი“ (1908 წლის 26 სექტემბერი), იუწყება, მას ისეთი ცოცხალი და უშუალო სახე განუხორციელებია, რაც არასოდეს გვინახავსო სხვა დროს.

<sup>1</sup> . . . „  
«  
936  
<sup>2</sup> . . . « XIX – XX », „  
<sup>3</sup> „მარჯანიშვილის შემოქმედებითი მემკვიდრეობა“, ნ. „კოტე მარჯანიშვილი“, წ. I, „ხელოვნება“, თბილისი, გვ. 21  
<sup>4</sup> იქვე, გვ. 114  
<sup>5</sup> იქვე, გვ. 126



როგორც ზემოთ აღინიშნა, პიესა „სალხინომ“ თუმცა მაყურებლის მოწონება დაიმსახურა, გამოიწვია დიდი ხმაურიც, გადმოკეთების ნაცვლად ჭეშმარიტი თარგმანი დადგმულიყო ქართულ სცენაზე.

ალბათ, ამიტომაც, იყო რომ „ალუბლის ბაღის“ დადგმას დიდი სიფრთხილით ეკიდებოდნენ რეჟისორები. გურამ ბათიაშვილი ამის მიზეზს ხედავს ნაკლებ მონდომებასა და შემოქმედებით მიდგომაში. ქუთაისის თეატრში აპირებდა გიორგი ქავთარაძე თურმე „ალუბლის ბაღის“ დადგმას, მაგრამ ვერ განახორციელა...

და, აი, წლების, თითქმის ერთი საუკუნის შემდეგ, „ალუბლის ბაღის“ დადგმას ხელი მოჰკვიდა მიხეილ თუმანიშვილმა. მისთვის ეს ოცნება იყო, სულთან ახლოს მდგომი ოცნება, სიყვარული, სევდა, რასაც მიუძღვნა კიდევ თავისი „იმპროვიზაცია ჩეხოვის „ალუბლის ბაღის“ თემაზე“ (ჟურნალი „ხელოვნება“, 1995 წლის №1,2,3).

მიხეილ თუმანიშვილი თვლიდა, რომ მთავარია გაუწონასწორებლობის, კონფლიქტის მიზეზის დადგენა, ვინ უშლის ხელს, ვინ რითაა დაინტერესებული... რა ამოდრავებს კონფლიქტსა სისტემას? თუმცა კონფლიქტი სულაც არ ნიშნავს ჩხუბს, აურზაურს, ცხოვრებისეული კონფლიქტები უმეტესწილად ჩვენში ხდება, ჩვენს და ჩვენს ირგვლივ მყოფთ შორის, ჩვენსა და სხვადასხვა გარემოებას შორის. ყველა ამ კონფლიქტს ჩვენ, უბედურები, საოცარი სიმძაფრითა და განცდით აღვიქვამთ“ (გვ. 294). დიახ, ამ კონფლიქტის მოძებნას ცდილობდა გენიალური რეჟისორი, ამიტომ დამუშავდა თითოეული მოქმედება, გამოკვეთა თავისებურად პიესაში განვითარებული „ცხოვრების სამი წესი“ (სისტემა), რეჟისორი თავად მიიჩნევდა „ალუბლის ბაღს“ მუსიკად, პიესად ცხოვრებაზე, რომელიც იწყება და სრულდება: ეს პიესა სულიერების, ცხოვრების აზრის შესახებ გვესაუბრება“ (გვ. 317). მანვე მეოთხე მოქმედებას შეუსაბამა ფ. შოპენის ნოქტიურნი და მაზურკა (a-moll, op. 16, №49).

მ. თუმანიშვილისათვის ეს პიესა და, განსაკუთრებით, ბოლო მოქმედება არ იყო ჩეხოვის მიხედვით მხიარული, „მაგრამ ჩემთვის ეს ასე არ არისო.“

მ. თუმანიშვილს მიაჩნდა, რომ მისი დადგმის მიხედვით, თავად თეატრის არსიდან გამომდინარე, მაყურებელი უნდა გამხდარიყო სპექტაკლში გათამაშებული ტანჯვის თანამონაწილე, „რათა მერე თავის ტანჯვას გარედან შეხედოსო“.

მსახიობებიც შეირჩა, რეპეტიციებიც ჩატარდა, ვეღარ მოასწრო...

და აი, რეჟისორი გიორგი მარგველაშვილი ხელს ჰკიდებს „ალუბლის ბაღს“, მაგრამ არა თუმანიშვილისეული, არამედ საკუთარი გადაწყვეტით. თარგმანიც მისთვის შეირჩა, ახალი თარგმანი მანანა ანთაძისა.

„ალუბლის ბაღის“ პრემიერა შედგა 2005 წლის 22 ოქტომბერს. მას მოჰყვა გამოხმაურებები პრესაში (ლ. ოჩიაური). სპექტაკლში მონაწილეობდნენ: ნინელი ჭანკვეტაძე (რანევსკაია), პაატა ბარათაშვილი (გაევი), გიორგი როინიშვილი (ლოპახინი), მათა გელოვანი\ მარი კიტია (ანია), თინათინ კორძაძე\ ნანა ბუთხუზი (ვარია), გიორგი ნაკაშიძე (ტროფიმოვი), გია აბესალაშვილი (სიმეონოვ-პიშიკი), ეკა ჩხეიძე (შარლოტა), ზაზა მიქაშავიძე (ეპიხოლოვი), ქეთევან მიქაშავიძე (დუნიაშა), რევაზ თავართქილაძე (ფირსი), ბექა ჯუმუტია (იაშა) და სხვ. განსაკუთრებით გამოიკვეთა რანევსკაიას როლის შემსრულებლის, ნინელი ჭანკვეტაძის, ბრწყინვალე თამაში.

ამას მოჰყვა წარმატებული გასტროლები მოსკოვში, მოსსოვეტის თეატრში, 2006 წლის ივნისის დასაწყისში მონაწილეობა „Gift Festival 2006“ (თბილისში, 2006 წლის 25 ოქტომბერს).

გ. მარგველაშვილის დადგმაზე შესანიშნავად მსჯელობს ტატინა შახაზიზოვა სტატიაში „თუმანიშვილის სეზონი“, რომლის ფრაგმენტიც ცალკე დავურთეთ ნაშრომს.

ანდრო ენუქიძემ „ალუბლის ბაღის“ დადგმა 2015 წლის 29 იანვარს თბილისში ა.ს. გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო რუსულ დრამატულ თეატრში კი ა. პ. ჩეხოვის პიესის „ალუბლის ბაღის“ მოტივებზე წარმოადგინა ერთმოქმედებიანი სპექტაკლი. სპექტაკლი შეიქმნა საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „ქართუს“, საერთაშორისო კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირის „რუსული კლუბის“ მხარდაჭერით და მიემდვნა ა.პ. ჩეხოვის დაბადებიდან 155-ე წლისთავს. სცენიური ვერსიის ავტორი და დამდგმელი რეჟისორი იყო ანდრო ენუქიძე, პროდიუსერი ნიკოლაი სვეტნიცკი. როლებს განასახიერებდნენ: ლუბოვ ანდრეევნა რანევსკაიას საქართველოს სახალხო არტისტი, ვ. მარჯანიშვილისა და მ. თუმანიშვილის პრემიის ლაურეატი გურანდა გაბუნია, ქალს – ირინა მეღვინეთუხუცესი, გაევეს ოლეგ მჭედლიშვილი, ლოპახინს – არჩილ ბარათაშვილი, პეტია ტროფიმოვს – მიხეილ ამბროსოვი, სიმეონოვ-პიშიკს – მიხეილ არჯევანიძე.

„ალუბლის ბაღის“ ა. ენუქიძისეული სცენიური ვერსიით ასაკს მიღწეული ლუბოვ ანდრეევნა რანევსკაია იხსენებს პარიზში განცდილს, მტკივნეული მოგონებანი მის წინ კინოკადრით ჩავლის

და უამრავ კითხვას სტოვებს ... უყვარს კი მას სამშობლო, რატომ გაიყიდა ალუბლის ბაღი, უყვარს თუ არა თავისი ახლობლები, ან საერთოდ ვინმე კი უყვარს, რა მოუვიდა ფირსს ბოლოსდაბოლოს? რანევსკაია (გ. გაბუნია) ესაუბრება ვიღაც ქალს, ვინაა ეს ანია, ვარია თუ შარლოტა? დაუსრულებლად გრძელდება ეს დიალოგი. პიესამ წარმატებით ჩაიარა რუსული თეატრის სცენაზე და მოსკოვში გასტროლებისას.

2015 წლის 28 ნოემბერს გიორგი ერისთავის გორის დრამატული თეატრის „მესამე სივრცის“ სცენაზე და დადგა ა.პ. ჩეხოვის „ალუბლის ბაღი“ თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა სოსო ნემსაძემ. (სცენოგრაფია ს. ნემსაძისა). პიესას დიდი წარმატებები მოჰყვა და შეფასებანიც. (ნათია ხორბალაძე „მესამე სივრცე ერისთავის თეატრში“, გ. „გორის მაცნე“, №46, 30 ნოემბერი-6 დეკემბერი, 2015 წ., თეა კახიანი „ალუბლის ბაღი“ ქართულ სუფრაზე“, ჟ. „თეატრი და ცხოვრება“, 2016 წლის №1, როსტომ ჩხეიძის „ალუბლის სევდა“ და არტისტული ქალაქი“, გ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 2016 წლის 6 იანვარი ნინო გაბრავას „ალუბლის ბაღი“ და სხვა).

სპექტაკლში, რომელიც ერთ მოქმედებად წარმოადგინა სოსო ნემსაძემ, მონაწილეობდნენ: ლუბოვ რანევსკაია – გვანცა კანდელაკი, ანია – თეკლა მარჯანიშვილი, ვარია – ანა ჩოგოვაძე, გაევი – კახა ბერიძე, ერმოლაი ლოპახინი – ომარ ბექაური/შოთა ხანჯალიაშვილი, პიოტრ ტროფიმოვი – ზაზა თედელური, ფირსი – ანზორ გვამაბია, დუნიამა – მარი არღუთაშვილი, გამგლევი – კობა კოპაძე. (მოიხსნა პერსონაჟები - სიმეონოვ – პიშჩიკი, შარლოტა, ეპიხოდოვი, იაშა, სადგურის უფროსი, ფოსტი უფროსი).

რეჟისორმა 6 პერსონაჟი ამოიღო პიესიდან, მაგრამ ავტორისეული ჩანაფიქრი აღნიშნულ სპექტაკლში არ კარგავს თავის გეზს. როგორც თეა კახიანი აღნიშნავს, „ეს ჩვენი „ალუბლის ბაღი“ - რომანტიზებული, ინფანტილურობასთან ახლოს მდგომი თაობისა და შეიძლება უფრო განზოგადებულად, მთელი ერის სუმბურული სავანე, სცენაზე დაშვებული საქანელების მსგავსად, გას რომ ეკუთვნის, ვიდრე მიწას“<sup>1</sup>

თეატრმცოდნე ყურადღებას ამახვილებს სპექტაკლში მონაწილე თითოეულ პერსონაჟსა და მათ დანიშნულებაზე პიესაში და ასკვნის, რომ „ს. ნემსაძე თითქოს რამდენიმე პირობის დადგენის შემდეგ თავისუფლად სივრცეში უშვებს პერსონაჟებს, არცერთი მხარის მიმართ არ იგრძნობა დამდგმელის განსაკუთრებული სიმპათია. ის მხოლოდ წარმოადგენს მოვლენებს, ფაქტებსა და ადამიანებს ყოველგვარი განსჯის გარეშე“ „სოსო ნემსაძის რეჟისურაში სივრცის განაწილებას ყოველთვის განსაკუთრებული დატვირთვა და შინაარსი აქვს. მნიშვნელოვანია პერსონაჟის მდებარეობა ამა თუ იმ სცენის მიმდინარეობისას. ამ წარმოდგენაში ფირსის ფიგურა ცენტრალურია. ვგრძნობთ, თუ როგორ მთავრდება მის ირგვლივ მოძრავი სამყარო“, „ანზორ გვამაბია ფირსის როლში მთელი თავისი ცხოვრებისეული თუ შემოქმედებითი ბექრაუნდით“ წარსდგა. მისი ბიოგრაფიული მონაცემები შესასრულებელი როლის ბუნებას მთელი ორგანულობით დაუკავშირდა და შეიქმნა მხატვრული სახე, რომელსაც თავისი დოკუმენტალურობაც ახლავს თან. ის ის ბედნიერი შემთხვევაა, როდესაც ზუსტად იცი, ვინ არის ფირსი!“

ამასვე აღნიშნავს ნინო გაბრავაც: „ვხედავ, როგორც ზუსტად იპოვა რეჟისორმა ფირსი საკუთარ დასში და, მართლაც, როცა ბატონ ანზორს ვხედავთ სცენაზე, ვხვდებით, რომ სხვას ვის უნდა ეთამაშა, თუ არა მას“. ასევე გამორჩეულად შეფასდა მსახიობი ანზორ გვამაბია ფირსის როლში 2017 წლის თურქეთში, ადანას მე-19 საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე, რომელზედაც გორის გ. ერისთავის თეატრი წარსდგა სპექტაკლით „ალუბლის ბაღი“. სწორედ ეს სპექტაკლი შეირჩა კიდევ 4 სხვასთან ერთად სტამბოლის, საბანცის, უნივერსიტეტის თეატრში სათამაშოდ. (ჟ. „თეატრი და ცხოვრება“, 2017 წ. №3)

მანამდე კი საქართველოს თეატრალური კავშირის გრანპრის მფლობელი გახდა გორის თეატრში დადგმული ა.პ. ჩეხოვის „ალუბლის ბაღი“.

პიესას თავის დროზევე გამოეხმაურა მწერალი, მეცნიერი როსტომ ჩხეიძე თავისი უაღრესად პოეტური, საოცრად შინაგანად ამალღებული წერილით „ალუბლის სევდა და არტისტული ქალაქი“. როსტომ ჩხეიძე სწორედ ქართული სატკივრიდან დანახულ საწუხარზე ამახვილებს ყურადღებას ჩეხოვის პიესაში: „უნდა დამდგარიყო ამ პიესის გასპექტაკლების ჟამიც ისე, მიხეილ თუმანიშვილს რომ ეოცნებებოდა. და ეს უნდა მომხდარიყო სოსო ნემსაძის რეჟისორული ხელოვნების წყალობით. და ეს უნდა მომხდარიყო გორში“. როსტომ ჩხეიძის ყურადღების მიღმა არ რჩება მაყურებლის განცდა, კათარზისს რომ იწვევს და უწოდებს რა სამართლიანად „უკიდურესად დამაბულ, მღელვარების ზღვარზე გათამაშებულ დრამას, კიდევ ერთხელ რომ მოგვაბლაუჭებს ჩვენ – ჩვენ მიწას ბაღს, ალუბლებს... თორემ ალუბლის მტვერივით ჩაგველევა ხელში ის, რაც ყველაზე

<sup>1</sup> კახიანი თ., „ალუბლის ბაღი“ ქართულ „სუფრაზე“, ჟ. თეატრი და ცხოვრება“, 2016 წ. №1, გვ. 39

ძვირფასად და სანუკვარად გვეგულებოდა და სიმხნევს გვინარჩუნებდა, მახილად გარდასული ჟამისა, შორეულ მოლანდებად სამოთხისდროინდელი სინამდვილისა.“

გორის თეატრის ეს სპექტაკლი კიდევ ერთხელ აჩვენებს რეჟისორის შემოქმედებითობასა და ამავდროულად ჩეხოვის თანადროულობას. სამართლიანია, ამ კუთხით თითქოს სტერეოტიპული ფრაზა: „უკან, ჩეხოვისაკენ“, რაც დაადასტურა სწორედ „ალუბლის ბაღმა“.

#### ლიტერატურა:

1. ჭავჭავაძე ი., ქართული თეატრი, რჩ. თხზ. ხუთ ტომად, ტ. III, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1986;
2. გაჩეჩილაძე გ., „მხატვრული თარგმნის თეორიის შესავალი“, „განათლება“, თბილისი, 1966;
3. წიბახაშვილი გ., თარგმნის თეორიისა და პრაქტიკის საკითხები, თსუ, თბილისი, 2000;
4. . . . „ . . . . „
5. . . . „ . . . . „
6. . . . „ . . . . „ ( „ . . . . „ . . . . . ) „ . . . . „ . . . . „ , 2012;
7. . . . „ XIX – XX „, . . . „ „ . . . . „ , 1988;
8. „მარჯანიშვილის შემოქმედებითი მემკვიდრეობა“, კრებ. „კოტე მარჯანიშვილი“, წ. I, „ხელოვნება“, თბილისი, 1988;
9. კახიანი თ., „ალუბლის ბაღი“ ქართულ „სუფრაზე“, ჟ. „თეატრი და ცხოვრება“, 2016 წ. №1.

*Tamar Gogoladze*

*Gori State Teaching University*

*Nino Mindiashvili*

*Sokhumi State University*

### **A.P. CHEKHOV'S "CHERRY GARDENS" IN GEORGIAN CULTURAL AREA RESUME**

Chekhov was loved, read and translated in Georgia even during his life. This was promoted by two arrivals of Russian writer in Georgia (1888, 1900 years) and meeting with Georgian intelli gence. First translations of Chekhov belong to 1889 year, Grigol Volskii (Umtsiparidze) translated the play “Medvedi”. In 1890 M. Nasidze altered “Ivanov”, in 1903 “Diadia Vania” was translated. At the end of XIX century 24 works were already translated into Georgian. At the first level of development of Georgian theatre alterations predominate, but with series of translations, which already for the benning of XX century occupy only and main place for putting on the stage. Tradition continues even in XX century Abstract

In our article we dwelled on translations of last play of A.P. Chekhov “Vishnovii Sad”. Hoping to put on Georgian stage 4 translations were done: in 1905 by the translator and actress Sofio Tsitsishvili, in 1954 by the writer, actor and producer Shalva Dadiani, in 1990 by the poet Mikhail Qvlividze and in 2004 by the translator Manana Antadze.

Learning “Georgian Chekhovina” it is obligatory to consider translator’s tendency and methodology of the beginning of XX century, 1950-s and the end of century. Georgian translations of “Vishniiovii Sad” bore the hope to prepare the text for future plays on Georgian stage. But some of them (Sh. Dadiani, M. Qvlividze) with notice of original discover the most famous Russian dramatist for Georgian readers.

## ერთი გახმაურებული ლიტერატურული პოლემიკის შესახებ

მე-20 საუკუნის ათიანი წლების დასასრული მძაფრი და ხანგრძლივი ლიტერატურული პოლემიკით აღინიშნა. ეს დაპირისპირება გაგრძელდა ოციან წლებშიც. მაშინ გრიგოლ რობაქიძემ ქართულ პოეზიაში სონეტის მესამირკვლევათ ცისფერყანწელები გამოაცხადა, რასაც აგრერიგად არ დაეთანხმა იოსებ გრიშაშვილი. აქედან მოყოლებული მათ შორის დაპირისპირებამ თანდათან მძაფრი ხასიათი მიიღო. არადა, 1917 წელს, როცა ი. გრიშაშვილმა ჟურნალი „ლეილა“ გამოსცა, გ. რობაქიძე აღტაცებული მიესალმა ამ ფაქტს და ჟურნალის პირველ ნომერს თავისი მოწონების სიტყვებიც კი წაუმძღვარა: „ლეილა - აღმოსავლეთის სილამაზეა ამ სახელით მოკვეთილი. კარგი უქნია ჩვენს მოკისკასე გრიშაშვილს ეს ჟურნალი რომ ამ სახელით მოუნათლავს“ (ჟურნ. „ლეილა“, N1). მომდევნო წელს კი რობაქიძე-გრიშაშვილს შორის უკვე წარმოიშვა მძაფრი კამათი სონეტის გარშემო.

ზემონათქვამის დასაზუსტებლად აღვნიშნავთ, რომ ერთ-ერთ სადამოუხე რობაქიძეს წაუკითხავს თავისი სონეტი „სიმონს“ (იგულისხმება სიმონ ჯაფარიძე - თ. გ.), რომელსაც წაუმძღვარა ზეპირი განმარტება სონეტის შესახებ და აღნიშნა, რომ სონეტი ჩვენში ცისფერყანწელებმა შემოიტანესო. ყველაფერი ამით დაიწყო, გ. რობაქიძის ამ ნათქვამს მოჰყვა ი. გრიშაშვილის წერილი „საიათნოვა“, რომელშიც ავტორი საუბრობს სონეტის ვერსიფიკაციაზე და ქართულ პოეზიაში მისი დამკვიდრების თარიღად ათიანი წლების დასაწყისს ასახელებს, კერძოდ, „ცისფერყანწელთა“ ლიტერატურული ორდენის ჩამოყალიბებამდე პერიოდს. ი. გრიშაშვილს მხედველობაში აქვს საკუთარი სონეტები და ამდენად არ ეთანხმება გ. რობაქიძის სიტყვას. თავისთავად ასეთი მოსაზრებები მას აპირისპირებდა ცისფერყანწელებთანაც. ამ დაპირისპირების ერთ-ერთი მონაკვეთია ჟურნალ „მშვილდოსანის“ გრიშაშვილისეული კრიტიკაც. გრიშაშვილს მხარს უჭერდა სიკო ფაშალიშვილი, ვინაიდან მასაც მიაჩნდა, რომ სწორედ იოსებ გრიშაშვილის სონეტები იყო ადრეული, ვიდრე „ცისფერყანწელებისა“.

1917 წელს დაწყებული თავდაპირველი კამათი მომდევნო წელს გადაიზარდა რობაქიძის მძაფრ დაპირისპირებაში გრიშაშვილთან და ფაშალიშვილთან, რომელიც მცირე „შესვენების“ შემდეგ ახალი ძალით განახლდა 1920 წელს (ამის შესახებ იხ. ჩვენი წერილი - 1920 წლის ლიტერატურული პოლემიკა და სიკო ფაშალიშვილი - კრებული „ქართველური მემკვიდრეობა“, ტ. IX, 2005 წ.). პარალელურად მიმდინარეობდა დაპირისპირება „ცისფერყანწელებთანაც“. როგორც ცნობილია, 1920 წელს გამოვიდა „ცისფერყანწელთა“ მორიგი ჟურნალი „მშვილდოსანი“. ამ ფაქტს გამოეხმაურა ი. გრიშაშვილი და მას ერთი მცირე კრიტიკული წერილი უმღვნა გაზეთ „სახალხო საქმეში“ (1920 წ. N 756). აღნიშნულ წერილში ი. გრიშაშვილი ამბობს, რომ ამ ჟურნალის გამოცემას მისთვის თან არ ახლავს რაიმე იმედი. ჟურნალი გამოვიდა და თურმე კიდევაც ახდა მისი წინასწარი წარმოდგენა: „როცა პირველად თანამშრომელთა სია წავიკითხე... გავიფიქრეთ, რომ იგი „ნეამორების“ გაგრძელება თუ არა, დასასრული მაინც იქნებოდა. ვის იტყვით რომ შიგ არ იყვეს თანამშრომლად გამოცხადებული, რაც ნოეს კიდობანში ხალხია, თითქმის ყველა შიგ არის შეყრილი, თუ გინდა დავიწყეთ ალი არსენიშვილით და გავათავოთ ნინო მაცაშვილით...“. ი. გრიშაშვილი ცინიკურ ტონს არ იმურებს რობაქიძის მიმართაც და ამბობს: *известный поэт и философ („Бакинец“ N 33) Григол Робакидзе*, მისი წარმოდგენით, ქართული ლექსის მწამებელი. „...აქ არის აგრეთვე რუსეთის შეგირდი და გაკეთებული ნიჭის პატრონი ვალერიან გაფრინდაშვილი, რომლის თარგმანები ყოველთვის დამაკმაყოფილებლად მიმაჩნდა. აქვეა პოეზიის პარალიჩი ტიცთან ტაბიძე, რომელიც სხვისადმი უნიჭოდ გინებას თავის ბუნებრივ ხარკად სთვლის ხოლმე“ (იქვე).

იოსებ გრიშაშვილის აზრით, „მშვილდოსანი“ გამოცემულია წინასწარი განზრახვით, მას თურმე მიზანში ამოუღია ჟურნალ „ლეილას“ ავტორი და უმეტეს ყველაზე კი მისი რედაქტორი, რომელიც, ისევ გრიშაშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ჯერ კიდევ ვერ მოუწელებიათ მის მტრებს“. იოსებ გრიშაშვილი იმედოვნებს, რომ ყველა მწარე სიტყვას, რომლითაც დატვირთულია აღმანახი, თავადვე ინანებენ ისე, როგორც არაერთხელ უნანიათ. ამის მაგალითად მოჰყავს ტიცთან ტაბიძის ნათქვამი: „ჩვენს ბავშვურ შეცდომებს სიამოვნებით ვიგონებთო“. ი. გრიშაშვილი იქვე დასძენს: „რედაქტორს კი უნდა სცოდნოდა, რომ „ისარი და პირით სიტყვა რა გასტყორცნო, არ მობრუნდეს“.

კიდევ უფრო ემოციური ტონი და სულიერი მღელვარება ეტყობა ბოლო აზრებებს. ავტორი ახსენებს ადრეულ პრეტენზიებს, ადრეულ თავხედობასა და ყიზილბაშურ საქციელს, რასაც თითქოს ამ ჟურნალშიც იმეორებენ „ცისფერყანწელები“, ასეთები კი, ავტორის აზრით, თვითმკვლევლობით ამთავრებენ თავიანთ პოეტურ კარიერას.

ცნობილი ფაქტია, რომ იოსებ გრიშაშვილმა „ცისფერყანწელთა“ მიმართ თავისი უარყოფითი დამოკიდებულება იმ პერიოდის თავის ლექსებშიც აშკარად გამოხატა. იმასაც აყვედრიდათ, რომ ისინი მიდრეკილი იყვნენ რუსეთის რევოლუციისადმი. მიიჩნევდა მათ პროვინციელებად, უწოდებდათ დედაქალაქში მოკალათებულ მონებს „წითელ ფერის და თეთრი დათვის“, რომელთაც თავიანთი ლექსებისთვის ხშირად დაურქმევიათ „ტფილისი“, რაც ასე ძალიან აღიზიანებდა ხარფუხელ პოეტს. გავიხსენოთ მისი „ლექსები“: კრწანისის ალაყაფდიდან (ტფილისის ყალბ პოეტებს)“. აქ ავტორი თავის მაღალპოეტურ ბუნებას იმითაც უსვამს ხაზს, რომ არის მოუსყიდველი. ლექსის მთავარი სათქმელიც პოეტური ღირსების დაცვაა. გავიხსენოთ ამ ლექსის ზოგიერთი კუპლეტი:

„ჩემი სიტყვები ვერ გაიგეს: „ტფილისისათვის,  
ვინც ხართ თამამი, ნიჭიერი, მოუსყიდველი!“  
თქვენ კი წანწალებთ სულიერად შიშველ-ტიტველი,  
თქვენ, ო, მონებო წითელ ფერის და თეთრი დათვის.  
ძველმა ქალაქმა თქვენი სული ვერ აატოკა,  
უნიჭო ლექსში მოკუნტულხათ ვით ტყეში ზღარბი,  
მაგრამ არ ვნანობ: თვენებრ ფლიდი, წუნკალი, ხარბი,  
ჩემმა ტფილისმა ბევრი მოსპო, ბევრი გათოკა.

.....  
ჩემო ქალაქო! როს გიყურებ მცვივა ცრემლები.  
აგრე პატარას, ბნელ ქუჩიანს, ვიწრო ხევიანს:  
მწამხარ! მიყვარხარ! თუმც მუმილივით შემოგხვევია  
მოღალატენი, მსტოვარები და გამცემლები.

და სწერენ ლექსებს შენს საქებრად, ბრიყულს, რეტიანს,  
„ტფილისი“ - ამგვარ სათაურით ჰქარგავენ ქარგას,  
მათ ლექსს რომ ერქვას „ბალახვანი“ ან „სამტრედია“ –  
ო, ის ლექსები, ვფიცავ, ამით არას დაჰკარგავს.

.....  
მე უნდა მოვკვდე, მე ვერ ვუმღერ ჩაქუჩს და ლითონს.  
მე მინდა მოვკვდე, რომ არ მერგოს ჯალათის თოფი.  
ნამალადვით არას დავწერ... რადგან მე თვითონ  
მოწამლული ვარ საქართველოს ლექსების ცოფით“.

„ცისფერყანწელთა“ წინააღმდეგ პოლემიკაში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იოსებ გრიშაშვილის თანამოაზრე და თანამებრძოლი იყო სიკო ფაშალიშვილი, რომელიც „ლეილას“ ჯგუფის შემადგენლობაში იდგა და აქტიურობით გამოირჩეოდა. სიკო ფაშალიშვილიც მყარად გამოხატავდა ანტირევოლუციურ პოზიციას. დაუზუსტებელი დოკუმენტური მასალებით იგი სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის წევრიც გახლდათ და შემთხვევითი არაა, რომ მათი კრიტიკული წერილები სწორედ „სახალხო საქმეში“ იბეჭდებოდა. სწორედ ამ გაზეთის მომდევნო ნომრებში (N 757; 758), გრიშაშვილის წერილის გამოქვეყნებიდან, ზედიზედ დაიბეჭდა ფაშალიშვილის ორი წერილი (როგორც თავად უწოდებს - ფელეტონი) საერთო სათაურით „მშვილდოსნელები“, მასში ავტორი საშინლად ილაშქრებს „ცისფერყანწელთა“ ჯგუფის წინააღმდეგ, ასევე გრიგოლ რობაქიძის წინააღმდეგაც. სიკო ფაშალიშვილის თქმით, მაშინ თბილისში დიდი რიხით ჩამოუტანიათ ყანწელთა ახალი აღმანახი „მშვილდოსანი“. იგი თურმე ახალ სიტყვაზე აცხადებდა პრეტენზიას და მკითხველიც ელოდა „ყანწების“ პირველი თქმისაგან განსხვავებულ კომპრომისულ სიტყვას, მაგრამ „კოკასა შიგან, რაცა დვას...“ ამაზე ითქმის. „...და როდესაც გულწრფელად გწადიან კაცს ამ „სიახლისთვის“ ლაპარაკი, ხელის ჩაქნევითა ჰკეცავ ამ ქუთაისურ ქალაქის კონას და ხელის ჩაქნევითვე ამბობ: „ეჰ, არ ღირს!“.

სიკო ფაშალიშვილის განმარტებით, არის ერთი გარემოება, რაც მას ამ წერილის დაწერას აიძულებს, სახელდობრ, „მშვილდოსნის“ გამოცემის სპეციალური დანიშნულება, რომ ერთხელ კიდევ ჩაწიხლონ ჩვენი მწერლობის ის მიმართულება, რომელსაც ეკუთვნის „ლეილა“ და რომლის შტაბის მაღალი წარმომადგენელი გრიშაშვილია. ამ მხრივ კი „მშვილდოსნის“ ყოველგვარ ელემენტარულ საზღვრებს გადასვლა იმითაა დასაბუთებული, რომ „ყანწელთა“ გამოსვლის შემდეგ, არც გრიშაშვილს და მისი ჯგუფის არც სხვა წარმომადგენელს თითქოს ხმა არ ამოუღია იმ ლანძღვა-გინების გამო, რითაც ყანწელები ამათ „გაბახებას“ და „გაბიაბრუებას“ ცდილობდნენ. ახლა კიდევ „ზედა თაროზე“ წამოსკუპებაც მოუწადინებიათ. „ჩვენ ყოველთვის გულწრფელი ვიყავით და ბრმა უკიდურესობას ჩვენთვის ხელი არ შეუშლია, რომ მათი ღირსება ღირსეულად შეგვეფასებინა და ერთგვარი პარალელური

ურთიერთობა გვექონდა მათთან, მაგრამ გაუგებრობა თურმე იმან გამოიწვია, რომ ამის თაობაზე თავის დროზე არ განვაცხადეთ და სონეტებით ხოტბა არ ვუთხარით „ყანწელებს“ - ამბობს სიკო ფაშალიშვილი.

ამის შემდეგ წერილის ავტორი რამდენიმე წინადადებას ამბობს იმაზე, თუ როგორ უყურებს იგი და გრიშაშვილის ჯგუფი თანამედროვე ქართულ შემოქმედებას, მის მომავალს, თავიანთ პოზიციას და დაპირისპირებულ ჯგუფს. იგი აღნიშნავს, რომ შანშიაშვილისა და გრიშაშვილის ამღერებით მოკვდა აკაკისა და ილიას სკოლა (სტილის მხრივ). „ოცნების სკოლამ“ და „სევდის ბაღმა“ ქართული პოეზიის ტაძარში დაიტირა ორი მიცვალებული ქურუმი და მათ სამარეზე აკვნესდა ორი ახალი არფა შანშიაშვილისა და გრიშაშვილის. ერთმა დაიწყო ქართული ეპოსი, ხოლო მეორემ ლექსის ფორმის ახალი ეპოქა. ორთავე ჰპოვეს გამართლება და გრიშაშვილის ფორმამ სკოლის სახელიც კი მიიღო ჩვენში. ჩვენ გვიან გავჩნდით და თუმცა ბევრმა პრიმიტივით დავიწყეთ, მაგრამ ამ სფერომ მაინც შეგვიტრია და ბოლო ხანს არ დარჩენილა არც ერთი მოლექსე, რომელიც გაქცეოდეს ამ ფორმას და თუმცა იგი ბევრმა კიდევ შეავსო, მაგრამ ქართული ლექსის ახალ ნადიმზე თამადად მაინც გრიშაშვილი დარჩა. ამ შემთვევაში მე მხოლოდ ფორმას ვეხები და არ მწადია ვისმეს შემოქმედების ღირებულების შეფასება“.

„ცისფერყანწელთა“ მიერ გრიშაშვილის პოეზიისადმი დამოკიდებულებაზე მნიშვნელოვან წარმოდგენას გვიქმნის გიორგი ლეონიძის მიერ გაზეთ „საქართველოში“ დაბეჭდილი სხვადასხვა ქართული ლიტერატურული გამოცემის მიმოხილვა. სწორედ „საქართველოსა“ და „სახალხო საქმის“ ფურცლებზე მიმდინარეობდა მთელი ის გახმაურებული დაპირისპირება, რომლის მსგავსი იშვიათად თუ ყოფილა ჩვენს მწერლობაში. გიორგი ლეონიძის მიხედვით, ჩვენს ლიტერატურაში 10-წლიანი ჩამორჩენის ეპოქა გაბატონებულია. ამ ჩამორჩენის გაგრძელებად მას მიაჩნია იოსებ გრიშაშვილი, რომელიც თურმე კვლავ სხვის რითმებზე ნადირობს. იქვე, გიორგი ლეონიძე, გადაჭარბებით აქებს „ცისფერყანწელთა“ ბეჭვდით ორგანოებს და დიდ იმედს ამყარებს „ნეამორებსა“ და „მშვილდოსანზე“. „მშვილდოსანში“ დაბეჭდილი წერილებიდან კი „გ. ლეონიძე მაღალ შეფასებას აძლევდა ტ. ტაბიძის („მღვდელი და მალარია“), პ. იაშვილის („ალი არსენიშვილს“), გაფრინდაშვილის, კ. ნადირაძის, ნ. მიწიშვილის, ნ. ლორთქიფანიძის („ბებრები“), ს. ცირეკიძის და ს. კლდიაშვილის ჟურნალში დაბეჭდილ ნაწარმოებებს, ხოლო შ. კარმელის, რ. გვეტაძისა და შ. აფხაიძის შესახებ უფრო ნაკლები შეხედულება ჰქონდა“ (ა. ნიკოლეიშვილი, 162). ი. გრიშაშვილის მხრიდან გ. ლეონიძისეული ბრალდების (სხვის რითმებზე ნადირობა) უპასუხოდ დატოვება შეუძლებელი იქნებოდა. ვფიქრობ, რომ სწორედ გრიშაშვილს არასოდეს სჭირდებოდა სხვისი რითმების მითვისება. გიორგი ლეონიძის ამ სტრიქონებს ნამდვილად აზის მოშურნეობის კვალი. ჩემ მიერ მოძიებულ მასალებში უშუალოდ იოსებ გრიშაშვილის პასუხი გიორგი ლეონიძის მიმართ არსად ჩანს. სავარაუდოდ, იგი მიენდო თავისი ლექსების ლამაზი რითმებისადმი მკითხველის გემოვნებას და კეთილ დამოკიდებულებას. არც სიკო ფაშალიშვილს უთქვამს და გამოუქვეყნებია მასზე რაიმე, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მის ერთ საარქივო ჩანაწერს, რომლის სათაურიცაა „შენიშვნის მაგიერ“, აი ეს ჩანაწერიც: „თბილისში გმოდის ერთი განცხადებებისა და ქრონიკის გაზეთი ე. წ. „ბახტრონი“ ვინმე გ. ლ ე ვ ა ნ ი ძ ი ს (ხაზი ჩემია - თ. გ.) რედაქტორობით, ამ გაზეთს უდის ქონის სუნი და იგი ეპოტინება პრეტენზიებს, არის ქონდრის კაცური პათოსი: პოეზია, სტატიკა, კრიტიკა. ხელოვნების ყოველი დარგი არეულია „ტყავაკვშირებისა“ და „თამბაქოს ტრესტების“ განცხადებებში. ამ გაზეთის გარშემო თავს იყრიან ჩვენში სკანდალებით ცნობილი მწერლები, რომელთაც რამდენიმე წლის განმავლობაში ქართული პოეზიის სახელი საკუთარ საოჯახო საქმედ გადააქციეს და ხელოვნების ნიღაბით სისხლის დანაშაულიც კი ჩაიდინეს. ყანწელებზე მოგახსენებთ.

სრულიად ბუნებრივია, რომ ამ ხალხის მეთაურობა გადავიდა ამ სათაურით გაზრდილ ბურსაკის ხელში, რადგან ამჟამად მათ „ალიანსში“ (ყანწელების დუქანია, რესტორანი) გახურებული ვაჭრობა აქვთ“.

სიკო ფაშალიშვილს თავის ზემოაღნიშნულ წერილში ტიცთან ტაბიძე მიაჩნია პოეტური სულის პიროვნებად, რომელსაც აქვს ღრმა გრძნობა და ლიტერატურული ცოდნა, მაგრამ მან არ იცის ლექსის წერა და ტანჯავს მას. რობაქიძემ კი იცის ლექსის წერის კანონები, მაგრამ „ლექსი კამოდი არ არის, რომ ხელოსნობით გააკეთო“. სიკო ფაშალიშვილის აზრით, ვალერიან გაფრინდაშვილისა და პაოლო იაშვილის გარდა, სხვათათვის რაიმე ორდენის მინიჭება მხოლოდ ლიტერატურული ქველმოქმედება იქნებოდა. იგი მათ მიერ ევროპული ლექსის ყაიდაზე ქართული პოეზიის გამართვას კომერციას უწოდებს. იგი იწუნებს „ცისფერყანწელთა“ ევროპულ სტილს და ამბობს, რომ ევროპაში მხოლოდ სტილით კი არ უნდა შევიდეთ, არამედ ეროვნული „ბაგაჟიც“ უნდა შევიტანოთ თან. „ყანწელ-მშვილდოსნელთაგან“ „ლეილას“ ჯგუფის დასამარების მცდელობაზე კი ამბობს, რომ ეს მათ კი არ აშინებს, აცინებს მხოლოდ.

#### ლიტერატურა:

1. გაზეთი „სახალხო საქმე“ NN 756, 757, 758, 1920 წ.
2. თბილისის გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმის მასალები (ს. ფაშალიშვილის პირადი არქივი), საქმე 11 -167

3. ნიკოლეიშვილი ამირან, ქართველთა წარმომავლობის სათავეებთან, ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრის გამოცემა, 2016 წ.
4. ჟურნალი „ლეილა“, N1, 1917წ.

***Tengiz Gumberidze***  
*Akaki Tsereteli State University*  
**ONE OF THE HIGH-PROFILE LITERARY POLEMICS**  
**RESUME**

The original literary debate between Ioseb Grishashvili and Grigol Robakidze started in 1917, which became the mainstream of the following year. The controversy lasted long time, and after a short "break", it renewed with a new force. At the same time there was a confrontation with "Tsisferkantselebi". As it is known, in 1920 their next magazine was released as a "Mshvildosani". This fact has been answered by I. Grishashvili and one critical letter was published in the newspaper "People's Affairs". In this letter I Grishashvili says that the edition of this magazine does not have any hope for him ...

According to Ioseb Grishashvili, the "Mshvildosani" is published with a preliminary intention, It was aimed at the author of the magazine "Leila" and its editor. Ioseb Grishashvili hopes that all the bitter words in which Almanac is loaded, they will regret as they always do. Grishashvili does not shy away from the cynical tone of this magazine. As it is known in this confrontation I. Grishashvili was supported by Siko Pashalishvili, who published two letters against "Mshvildosani". It is a well-known fact that Ioseb Grishashvili expressed his negative attitude towards "Tsisferkantselebi" in his poems of the time. They regarded themselves as provincials, called the slaves of capital "red and white bears", who often called their poems "Tbilisi", which was irritated for Grishashvili.

The "Tsisferkantselebi" were not in debt. They thought Grishashvili was poor and beloved poet. They blamed him for stealing rhythms of others. They were grasping Grishashvili as an unable and backward poet.

This polemic was ruthless, but it was a very interesting event for the history of literature. It contains many interesting issues of Georgian literary life of that time.

*მაია დარასელია*  
*გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი*

**მანიპულირების ფუნქციების განსაზღვრა პრაგმალინგვისტურ კრილში**

სამეტყველო ზემოქმედების ერთ-ერთ სახეობად ითვლება დისკურსის მანიპულაციური რეგულაცია. პიროვნებით მანიპულაციის ფენომენის არსის საუბრისას, პირველ რიგში საჭიროა შესასწავლი ცნების განსაზღვრების ყველა შესაძლო ხერხის ჩამოთვლა. ე. დოცენკო განიხილავს მანიპულაციას როგორც:

- ფსიქოლოგიური ზემოქმედების სახეობას, რომლის ოსტატურ შესრულებას მიჰყავს მეორე ადამიანში ფარული ზრახვების აღძვრამდე და არ ეთანხმება მის აქტუალურად არსებულ სურვილებს;

- ფსიქოლოგიური ზემოქმედების სახეობას, როდესაც მანიპულატორის ოსტატობა გამოიყენება იმისთვის, რათა ადრესატის ფსიქიკაში ფარულად ჩანერგოს მიზნები, სურვილები, ზრახვები, ურთიერთობები ან განწყობები, რომლებიც არ შეესაბამება მის ამჟამინდელ აზრებს;

- ფსიქოლოგიური ზემოქმედების სახეობას, რომელიც მიმართულია მეორე ადამიანის აქტივობის შესაცვლელად და შესრულებულია იმდენად ოსტატურად, რომ შეუმჩნეველი რჩება ადრესატისთვის;

- ფსიქოლოგიური ზემოქმედების სახეობას, რომელიც მიმართულია არაპირდაპირ მოწოდებაზე მანიპულატორის მიერ განსაზღვრულ მოქმედების შესასრულებლად. (დოცენკო, 2004)

მანიპულაციური მიდგომა ორგანულად ჩართულია მოწინააღმდეგის საიდუმლო მართვის ხელოვნებაში. არსებობს დიპლომატიისა და პოლიტიკის ფილოსოფიური, იდეური საფუძვლები და პრაქტიკა. ასევე, ეტაპობრივი, მრავალსტადიანი ურთიერთობის გეგმის შედგენა იმ ადამიანებისთვის, რომელთა მიმართაც გააჩნიათ ფარული ზრახვები თუ მიზნები. ამისთვის იყენებენ მრავალრიცხოვან ხრიკებსა და მახეებს წარმატების მისაღწევად. უძველესი დროიდან სწორედ ეს ითვლებოდა ჩინეთის

სახელმწიფო მმართველების, დიპლომატებისა და სამხედრო პირების აზროვნებისა და ქცევის განმასხვავებელ თვისებად. ეს ხელოვნება გადაიცემოდა საუკუნეების მანძილზე. გულმოდგინედ იმალებოდა სხვა ერების წარმომადგენელებისაგან. არსებობდა თავისებური მონაცემთა ბანკი, სადაც თავმოყრილი და კლასიფიცირებული იყო მეტაფორული სქემების სახით მანიპულაციური ზემოქმედების მეთოდები, შემუშავებული ჰქონდათ გარკვეული მეთოდური მიდგომები სხვადასხვა სიტუაციებისთვის, რაც კონცენტრირებული სახით გამოვლინდა „36 სტრატაგემის ტრაქტატში“. თვით ცნება სტრატაგემა ნიშნავდა სამხედრო საქმეს ან სამხედრო ხრიკს, რაიმე სახის ეშმაკობის ან ხრიკის შემცველ სტრატეგიულ გეგმას. მოცემული ცნების სემანტიკის განხილვისას ვ. მისანიკოვი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ ჩინურ ენაში მანიპულაცია ერთდროულად ნიშნავს გონებამახვილობას, მოხერხებულობასა და სისხარტეს.

ფსიქოლოგიური მანიპულაციის დამახასიათებელი თვისებაა პარტნიორის მიმართ ურთიერთზემოქმედებისა და ურთიერთობის დამოკიდებულება არა როგორც პიროვნების მიმართ, არამედ სპეციფიკური საშუალებით, რომლის მეშვეობითაც ხდება, როგორც წესი, მანიპულატორის ფარული ზრახვების მიღწევა, ხორციელდება მისი ინტერესებისა და მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, არ არის გათვალისწინებული მეორე მხარის - ადამიანის, როგორც მანიპულირების ობიექტის, არც ინტერესები და არც ნება-სურვილები.

მანიპულირების პროცესი შეიძლება გაიწელოს დროში და წარმოადგენდეს ადამიანზე ზემოქმედების მრავალნაბიჯიან, ეტაპობრივ პროცედურას. ის შეიძლება ხდებოდეს შედარებით მარტივად და შეიცავდეს „ერთაქტიანი“ ურთიერთობის პერიოდს, ერთ ან რამდენიმე მანიპულაციურ ხერხის გამოყენებას, ან იყოს სტრუქტურულად საკმაოდ რთული და შეიცავდეს მანიპულაციური ზემოქმედების იმ ხერხების მრავალფეროვან სახეობას, კომპლექსს (სისტემას), რომელიც მიმართულია პიროვნების სხვადასხვა ფსიქოლოგიურ სტრუქტურებზე, მექანიზმების ამოქმედებაზე და უამრავი ფსიქოლოგიური მექანიზმების ეტაპობრივ რეალიზაციაზე გარკვეული დროის პერიოდში ურთიერთზემოქმედებას სხვადასხვა სიტუაციაში. ამრიგად, რთული მანიპულაცია შეიცავს დროის, სივრცისა და სოციალურ სტრუქტურებს. (გრაჩოვი, მელნიკი 2002)

მანიპულაციური ზემოქმედება წარმოადგენს რთულ სცენარს, რომელიც შედგება სხვადასხვა ტაქტიკის ერთობლიობისაგან და მიმართულია სასურველი მიზნის მისაღწევად. მანიპულაციის შემდეგი განმასხვავებელი ფაქტორი გახლავთ ის, რომ მისი ხასიათი ფარული და იდუმალია ადრესატისთვის. ამის შედეგად, გამოიყოფა ზემოქმედების ორი დონე: აშკარა და ფარული.

აშკარა დონე წარმოადგენს მანიპულაციური ზემოქმედების შენიღბვას. იგი ასრულებს „ლეგენდის“, „მითის“ ფუნქციას, როგორც აღნიშნავს ე. დოცენკო - „შენიღბულია აქტორის ნამდვილი ზრახვები“. ამასთან ერთად შეიძლება დაიფაროს როგორც თვით ფაქტი, ასევე ფარული დონის ზემოქმედების მიზნები. მაგრამ, აღსანიშნავია ის, რომ „დონე“, დაფარულია ადრესატისთვის მხოლოდ ფსიქოლოგიურად. ფენომენალურად ის ჩაშენებულია „ლეგენდის“ სიუჟეტში როგორც ელემენტების ნაკრები, რომელიც შეიძლება გამოიყურებოდეს როგორც მისი ნაწილი (თუ მანიპულაცია საკმაოდ ოსტატურია), ან როგორც შემთხვევითი ჩართვები, რომელსაც ჩვეულებისამებრ ადრესატი ყურადღებას არ აქცევს ურთიერთობის პროცესში. (დოცენკო 1993). როგორც ე. დოცენკო თვლის, საჭიროა კიდევ ერთი ცნების შემოტანა პიროვნებით ფსიქოლოგიური მანიპულირების აღწერისთვის - „ზემოქმედების სამიზნეები“. ზემოქმედების სამიზნეებში იგულისხმება ის ინტერესები, მიდრეკილებები, გატაცებები და ადამიანის ფსიქოლოგიური მახასიათებლები.

ფსიქოლოგიური სამიზნეების გამოსაყოფად მნიშვნელოვანია პიროვნული სტრუქტურები, ადამიანის გარკვეული ფსიქოლოგიური წარმონაქმნები, რომლის გათვალისწინებითაც მოქმედებს მანიპულატორი. გ. გრაჩოვი და ი. მელნიკი გამოყოფენ ადამიანის ფსიქოლოგიური წარმონაქმნების შემდეგ ხუთ ჯგუფს:

1. ადამიანის აქტივობის წამქეზებლები: მოთხოვნილებები, ინტერესები, მიდრეკილებები;
2. ადამიანის აქტიურობის რეგულატორები: ჯგუფური ნორმები, თვითშეფასება (მათ შორის საკუთარი ღირსების შეგრძნება, პატივმოყვარეობა, სიამაყე), სუბიექტური ურთიერთობა, მსოფლმხედველობა, რწმენა, დარწმუნება, აზრობრივი, მიზნობრივი, ოპერატიული მიზანდასახულობა და ა.შ.;
3. კოგნიტიური (ინფორმაციული) სტრუქტურები (მათ შორის ადამიანის ქცევის საინფორმაციო-საორიენტაციო ფუძე ზოგადად) - ფონური ცოდნა, ადამიანების შესახებ არსებული ინფორმაცია და სხვაგვარი ცნობები, რომლებიც ინფორმაციულად უზრუნველყოფს ადამიანის აქტივობას;
4. მოღვაწეობის ოპერატიული შემადგენლობა: აზროვნების ხერხები, ურთიერთობის და ქცევის სტილი, ჩვევები, უნარები და ა.შ.;



5. ფსიქოლოგიური მდგომარეობა: ფონური, ფუნქციონალური, ემოციური. (გრაჩოვი, მელნიკი, 2002).

უნდა აღინიშნოს, რომ პიროვნებათაშორის კომუნიკაციის პროცესში ყველა ზემოთ აღნიშნული ფსიქოლოგიური წარმონაქმნები მონაწილეობს სხვადასხვა პროპორციით, მაგრამ, როდესაც განვიხილავთ პირფერობას როგორც მანიპულაციური რეგულაციის დისკურსის სახით აშკარად ჩანს, რომ მანიპულატორი უფრო ამახვილებს ყურადღებას კომუნიკაციის პროცესში ჩართული პარტნიორის პიროვნების სტრუქტურის ისეთ შემადგენელ ნაწილზე, როგორც არის თვითშეფასება. ზუსტად ამ სიამაყეზე, საკუთარი ღირსების გრძნობაზე, საკუთარი მნიშვნელობის გააზრებაზე მოქმედებს მანიპულატორი გარკვეული მიზნის მისაღწევად.

ანალიზის საფუძველზე, მანიპულაციის შედეგად გამოყოფილი მახასიათებლები, რომლებსაც იყენებენ სხვადასხვა ავტორები, ერთიანდება ნიშან-თვისებებით და განზოგადდება შემდეგ ინტეგრალურ კრიტერიუმებში, რომელიც შეიძლება გამოვიყენოთ მანიპულაციის ცნების განსაზღვრისათვის:

- ფსიქოლოგიური ზემოქმედება მანიპულირების ობიექტის მიმართ, როგორც საკუთარი მიზნების მიღწევის საშუალებად, დამოკიდებულება;

- სარგებლის მიღების სწრაფვა სათავისოდ;

- ზემოქმედების ფარული ხასიათი (როგორც თვით ზემოქმედების ფაქტი, ასევე მისი მიმართულება);

- ძალის (ფსიქოლოგიური) გამოყენება, თამაში სუსტ მხარეებზე;

- წაქეზება, მოტივაციური ზემოქმედება („ხელოვნური“ მოთხოვნილებების ჩამოყალიბება მანიპულაციური ზემოქმედების ინიციატორის ინტერესებიდან გამომდინარე);

- ოსტატობა და გაწაფულობა მანიპულაციურ ქმედებებში. (დოცენკო, 2004).

როგორც აღნიშნულია, მანიპულაციის პროცესი მიმდინარეობს პიროვნებათაშორის ურთიერთობის ჩარჩოში. ე.ი., ისეთ სამეტყველო ჟანრში, როგორც დიალოგია, სადაც ხდება სხვადასხვა სამეტყველო სტრატეგიების რეალიზება, რომლებიც მიმართულია ერთ-ერთი კომუნიკანტის გარკვეული მიზნის მისაღწევად. სტრატეგიები შეიძლება იყოს მიმართული მრავალმხრივი მიზნის მისაღწევად - მანიპულანტის წაქეზებით მოქმედებისკენ, მისი მეშვეობით ინფორმაციული უკმარისობის აღმოფხვრა და ა.შ. სტრატეგიები წარმოადგენს გარკვეულ სცენარს, მსვლელობისას პროცესში ერთ-ერთი კომუნიკანტი თანმიმდევრულად უახლოვდება თავის მიზანს. ასეთი სცენარი შედგება შუალედური ამოცანებისაგან, რომლის ამოხსნაც აახლოებს მანიპულატორს მიზანთან. ამ ამოცანების ახსნა პირდაპირ კავშირშია გარკვეული სამეტყველო ტაქტიკის არჩევასთან.

რაც შეეხება პირფერობას, მისი გამოყენება მანიპულაციური საშუალების სახით მიეკუთვნება არაპირდაპირი ზემოქმედების სფეროს. ვ. დემენტიევას აზრით „არაპირდაპირი ზემოქმედების ენობრივ საშუალებას მიეკუთვნება მრავალი სინტაქსური და პრაგმატული საშუალება „წაქეზების ველიდან“, კერძოდ, მანიპულირება. განსაკუთრებით აქტუალური ხდება არაპირდაპირი ზემოქმედების პრობლემა ფუნქციური გრამატიკის განვითარებასთან დაკავშირებით, სადაც განიხილება წაქეზების მოდალობის პირდაპირი და ირიბი გამოხატვის საშუალებები, აიგება „წაქეზების“ ტიპოლოგია. (დემენტიევი 2006). არაპირდაპირი ზემოქმედება, კერძოდ განიხილება იმპლიციტურად გადმოცემული სიტყვების მნიშვნელობის საერთო პრობლემებთან დაკავშირებით.

ვ. დემენტიევი განიხილავს ერთ-ერთ ყველაზე დამუშავებული მიდგომას ირიბობის გასააზრებლად, როგორც კომპონენტურ მიდგომას, რომელიც ეყრდნობა ირიბი იმპლიკატურის ცნებას, სამეტყველო აქტს (გრაისი, 2000). იმპლიკატურები კი გამოითვლება პ. გრაისის უნივერსალური კომუნიკაციური პოსტულატების საფუძველზე. (დემენტიევი 2006). ამასთან დაკავშირებით საჭიროა ჩამოვთვალოთ პ. გრაისის მიერ გამოყოფილი ძირითადი კომუნიკაციური პოსტულატები (ურთიერთობის მაქსიმები) და აღვწეროთ, როგორ ფუნქციონირებენ ისინი პირფერობის შემცველ გამონათქვამებში.

გრაისის თანახმად, კომუნიკაციას წარმართავს რაციონალური, უნივერსალური პრინციპები და ქვეპრინციპები (ანუ ე. წ. მაქსიმები), რომლებიც ახდენენ გაგების პროცესის სისტემატიზაციას და განაპირობებენ მის წარმატებას. მთელი კომუნიკაცია უპირველესად დამყარებულია ზოგად უსიტყვო თანამშრომლობაზე (კოოპერაციაზე) (გრაისი, 2000). გრაისის თანახმად, ნებისმიერი სახის საუბრის დროს მოლაპარაკებები გულისხმობენ, რომ საუბრის ყველა მონაწილე მასში თავის წვლილს შეიტანს, უფრო მეტიც, ეფექტური კომუნიკაციისათვის აუცილებელია, რომ მოლაპარაკებები გულისხმობდნენ იმას, რომ ისინი მტკიცედ დაიცავენ შემდეგ ოთხ მაქსიმას:

- **ხარისხის მაქსიმა** (The maxim of quality), რომლის მიხედვითაც მოლაპარაკე არ ამბობს იმას, რაც მისი აზრით, სიმართლეს არ შეესაბამება, ან იმას, რისი ადეკვატური დასაბუთებაც არ არსებობს.

• **რაოდენობის მაქსიმა** (The maxim of quantity), რომლის მიხედვითაც საუბარში მონაწილეობა არ უნდა იყოს საჭიროზე მეტად ან ნაკლებად ინფორმაციული.

• **მანერის მაქსიმა** (The maxim of manner), რომლის მიხედვითაც მოლაპარაკე უნდა შეეცადოს თავიდან აიცილოს გაურკვეველობა და ორაზროვნობა, იყოს ლაკონური და აკურატული.

• **რელევანტურობის მაქსიმა** (The maxim of relevance), რომელსაც გრაისი მოკლედ განსაზღვრავს, როგორც „საუბარში შეტანილი წვლილის რელევანტურობას“.

გრაისი არ ფიქრობს, რომ ყველა ეს პრინციპი ყველა შემთხვევაში მკაცრად უნდა იყოს დაცული. მისი შეხედულებით, ეს სასაუბრო ნორმები წესების ერთგვარ ნაკრებს წარმოადგენს, რომლის მიხედვითაც მოლაპარაკეები მსჯელობენ ერთმანეთის წვლილის შესახებ მეტყველების აქტში და ნათქვამიდან აზრი გამოაქვთ. ჩამოთვლილი ურთიერთობის პოსტულატები კოპერაციის პრინციპის შემადგენელი ნაწილია, რომელსაც პ. გრაისი შემდეგნაირად განსაზღვრავს: „შენი კომუნიკაციური წვლილი დიალოგის მოცემულ ნაბიჯზე უნდა იყოს ისეთი, როგორსაც მოითხოვს ამ დიალოგის ერთობლივად მიღებული მიზანი (მიმართულება)“ (გრაისი, 2000). გამონათქვამებში, რომლის ერთ-ერთი კომპონენტია პირფერობა, განსაკუთრებულად ფუნქციონირებს ხარისხის, რელევანტურობის და მანერის პოსტულატები (მაქსიმები). მანიპულატორი, რომელიც იყენებს პირფერობას დისკურსის რეგულაციის სახით, თავის რეპლიკაში ასახავს ცრუ ინფორმაციას. როგორც აღნიშნულია, გამონათქვამი, რომელიც შეიცავს პირფერობას, არ არის გულწრფელი, მისი მიზანია ადრესატზე ზემოქმედება, მისი დარწმუნება იმაში, რომ ის ნამდვილად ფლობს იმ დადებით თვისებებს, რომელზეც საუბრობს ადრესანტი, რადგან მსგავსი გამონათქვამი შეიცავს მიზანმიმართულ ცრუ ინფორმაციას. ჭეშმარიტების პრინციპი ანუ ხარისხის მაქსიმა მსგავს სამეტყველო სიტუაციაში ირღვევა.

მანიპულატორი, რომელიც მართავს დისკურსს, აგებს დიალოგს განსაკუთრებული სქემით, მის მიერ გამოყენებული სამეტყველო სვლები ემსახურება კონკრეტული მიზნის მიღწევას. ამასობაში ირღვევა რელევანტურობის პრინციპი, რადგანაც პირფერობის შემცველი გამონათქვამი, შეიძლება იყოს მთლიანობაში არასაკმარისად რელევანტური მოცემულ სამეტყველო სიტუაციაში, მაგრამ მისი გამოყენება სრულიად გამართლებულია მანიპულატორის თვალსაზრისით.

#### **ლიტერატურა:**

1. დარასელია, მ. გრაისისეული პრაგმატიკის თეორია. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები. V ტ. ჰუმანიტარულ და სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა სერია. სსუ-ს გამომცემლობა. თბილისი, 2009.
2. დარასელია, მ. დისკურსის პრაგმატული კოჰერენტულობის ფორმირების შესახებ. ელექტრონული საერთაშორისო ჟურნალი „სპეკალი“, 2011, №3
3. გრაჩოვი გ. მელნიკი ი. მანიპულაციური ზემოქმედების ტექნიკა და ტექნოლოგიების გავლენა მასობრივი ინფორმაციის პროცესებში. საინფორმაციო-ფსიქოლოგიური უსაფრთხოების პრობლემები. მოსკოვი, 2002.
4. დემენტიევი ვ. არაპირდაპირი კომუნიკაცია. მოსკოვი, 2006.
5. დოცენკო ე. მანიპულაციის ფსიქოლოგია: ფენომენი, მექანიზმები და დაცვა. სპბ., 2004.
6. Grischechko, O. Communicative Effect Achieved Through Speech Acts of Manipulation. International Journal of Cognitive Research in Science, Engineering and Education Vol. 1, No.2, 2013.
7. Grice P. “Logic and Conversation,” Syntax and semantics 3: Speech arts (2000), Cole et al., pp. 41-58.

*Maya Daraselia*

*Gori State Teaching University*

### **DEFINITIONS OF MANIPULATIVE FUNCTIONS THROUGH PRAGMALINGUISTIC ASPECTS RESUME**

In the given article we analyze the phenomenon of verbal manipulation in the conversational discourse, its strategies and tactics, as well as lexico-semantic, structural and pragmatic peculiarities of verbal means of realization of these strategies and tactics from the pragmalinguistic aspect.

Linguistic manipulation in a broad sense is any verbal interaction viewed as oriented and a goal-preconditioned phenomenon, it is verbal communication described from the perspective of one of the speakers when he sees himself as a subject of manipulation, while his interlocutor plays the role of an object. Most of recent linguistic researches are dedicated to the analysis of communicative discourse and to the study of speech in its functional aspect which has led to the amplification of interaction of linguistics with other humanities. However, linguistic researches which concern this topic lack thorough analysis of pragmatic concept of verbal manipulation, its strategies and tactics in conversational discourse and linguistic means of manipulation which conditioned the actuality of research.

**ტრაგიზმი ორი ათასწლეულის გასაყარზე**  
**(ტრაგიზმი ოთარ ჩხეიძის რომანის „2001 წელი“ მიხედვით)**

თავის დროზე გალაკტიონისათვის უდიდესი ტრაგედია იყო „უცნაურად გაორებულ“ წუთისოფელში ყოფნა-არსებობა. შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, გაორება ადამიანის სულიერი და ფიზიკური ყოფის ყველაზე მძიმე ფორმაა, უდიდესი ტრაგედიისა და ტრაგიკომიკურის სათავეა. უამრავ სხვა ფაქტორთან ერთად, პიროვნული და შემოქმედებითი გაორება ჩვენი ქვეყნის ტრაგიკულ ისტორიაზე დაფიქრებულ ნებისმიერ ჭეშმარიტ შემოქმედს შეიძლება დაეუფლოს... და წუხდა თავის დროზე გალაკტიონი: „სხვას ვამბობდე, როს სხვაგვარად ვხედავ ცხოვრებას? ვით აიტანს დიდხანს გული ამ გაორებას“. ბოლშევიკური მარწუხების გამო ძველი გრომივით გაცვეთილი, „ქვეყანა გაცვდა ვით ძველი გრომი“, სამშობლოს ღირსეული შემოქმედი შვილი უდავოდ ვალდებულია დეპრესიაში არ ჩავარდეს, ხელი არ ჩაიქნოს, ყოველი საშუალებით ეცადოს დაუსრულებელი ტრაგედიებით გარკვეულწილად გაორჭოფებულ-დეზორიენტირებულ საზოგადოებას მომავლის იმედი გაუღვივოს, სამერმისო, საუკეთესო, საქვეყნო იდეალებისთვის ბრძოლაში სტიმული, გეზი და ორიენტაცია მისცეს. „ნუ გოცდები, რომ ასეთ დროში მცირე ბედითაც ვარ კმაყოფილი“. გოდებდა და განმარტებას აძლევდა საზოგადოებას გალაკტიონი. შემოქმედის ტრაგედია ხშირ შემთხვევაში არა ქვეყნის ცალკეული მოქალაქის კერძო, პირადი განწყობილების გამომხატველი, პირიქით, ზოგადეროვნული გლობალური ტრაგედიის მხატვრული ფიქსაციაა. ვფიქრობთ, მცირერიცხოვანი, დიდი ისტორიის მქონე ცალკეული ერების 21-ე საუკუნეშიც არსებობა განაპირობა მათში ჩაკირულმა უკეთესი მომავლის რწმენამ, რაც ხშირ შემთხვევაში, ერის კულტურულ ცხოვრებაში, დიდი ღვთისმოსაობისა და მესიანისტური იდეების მარადიული სინედლით იყო განპირობებული.

ჩვენი აზრით, ტრაგიკული ისტორიის მქონე ერების ერთი ნაწილის გაუტეხელი ნებისა და რწმენის შემკრებ-კატალიზატორი, ხშირად გახლავთ ზოგადსაკაცობრიო იდეებით ამაღლებული, თავის ორიგინალური, ინდივიდუალური ფორმით, თემებით, მიკროკლიმატითა და ეგზოტიკით დაყურსული ეროვნულ-ნაციონალური ხასიათის მწერლობა.

მსოფლიოს ისტორიის ქართველებზე ერთი თვალის გადავლევითაც დავრწმუნდებით, რომ ისტორია თავისი ჩახლართული, ლაბირინთებ-ჩაკუნაპეტებული, ვერაგ-მუხანათ-დაუნდობელ კატაკლიზმებთან ერთად, არცთუ იშვიათად აძლევს შანსს, დიდებულ შესაძლებლობას, ტრაგიკული ისტორიული ავბედობით შევიწროებული ერებსა და ხალხებს, თავი გაითავისუფლონ დამპყრობლის ძალადობისაგან, პროტექტორატისაგან, თუ თვითმარქვია მეურვეობისაგან, და დაადგნენ დამოუკიდებელი, სრულფასოვანი განვითარების გზას. ასეთი შანსი მე-20 საუკუნეში ჩვენს ქვეყანას ორჯერ მიეცა: პირველი, როცა პირველი მსოფლიო ომისა და რევოლუციის შედეგად დაიხლიჩა და დაინგრა რუსეთის იმპერიის საუკუნოვანი გოდოლი. მაშინ, ერთი ქართველი მწერალი წინასწარმეტყველურად წერდა: „დროით და შესაფერისათ მომზადებულმა ერებმა“ თავისუფლება მოიპოვეს (ფინეთი, პოლონეთი), ხოლო რუსეთის იმპერიის ნანგრევებზე წარმოქმნილი ბევრი რესპუბლიკის დამოუკიდებლობა, შინაგანი მოუმზადებლობის, პარტიკულარიზმის, კოსმოპოლიტიზმის, პარტიული კინკლაობის და პიროვნული ამბიციების გამო ისევ თავისუფლების წამლეკავმა ისტორიის ადიდებულმა მდინარემ წარიტაცა. მე-20 საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს ჩვენს ქვეყანას ჭირვეულმა ისტორიამ ისევ მისცა თავისუფლების დიდებული შანსი. გარე და შიგა პრობლემებში გახლართული რუსეთის იმპერია ისევ დაიშალა, მაგრამ თუ როგორ გამოვიყენეთ ეს შესაძლებლობა, ძალიან საინტერესოდ წარმოჩინდა ოთარ ჩხეიძის რომანში „2001 წელი.“ მწერალი ნაწარმოების დასაწყისშივე ჭეშმარიტი მამულიშვილისა და მემატანის გულისტკივილით წერს: „2001 წელი, ახალი ათასწლეული, იმედების ახალი მსხვრევა. მიახლოება აღგვავსებდა იმედებითა, მივუახლოვდით, გადავდექით და ისევ უკუნეთზე გადავდექით. მზე წყვდიადიდან მოჭიატობს, რაღაც სულელურ თუ უნიათო ყვითელ ლაქადა, მთვარეც შებღალულა. ფეხი დაადგა ადამიანმა, შესვრილა, შებილწულა ადამიანის ფეხითა. თვითონ არ მოეშვა, თვითონ შესდგა ადამიანი, შთაგონება წაართვა პოეზიისა და თვითონვე განიძარცვა ზეადმტაც წარმოსახვისაგანა. განიძარცვა და სასოწარკვეთა, დაჰკარგა გზანი სულიერებისა და ტალახის ბინადარად იგულა თავი, მიწიერი ტალახისა, სამუდამოდა. მაინც გაქცევა უნდა, მაინც იმედებს ებღაუჭება ადამიანი, საცოდავი ადამიანი.“ (ციტატები დამოწმებულია წიგნიდან, ოთარ ჩხეიძე, 2001 წელი, გამომცემლობა „ლომისი“, თბილისი, 2003 წ. ლ. დ).

მართლაც, რომანის მთავარი პერსონაჟი, უშანგი მიუხედავად უამრავი იმედგაცრუებისა, მაინც იმედიანადაა განწყობილი, მაინც დაუცხრომლად ცდილობს ავბედიტად დატრიალებული ბედისა და ისტორიის ბორბალი საწალმართო მხრით დაატრიალოს. თითქოს ბეწვის ძაფს ებღაუჭება შეჭირვებული ადამიანი. ამისთვის მხნეობას, ძალასა და ენერგიას არ იშურებს უშანგი. მუდმივ მოქმედებაში, მუდმივ მოძრაობაშია. თავიდან თითქოს მცირედი შედეგიც აქვს მის დაუცხრომელ მისწრაფებას სიკეთის კეთებისა. საქვეყნო საქმის გულმოდგინედ, ერთგულად მსახურების გზაზე თითქოს თანამოაზრეები, თანამზრახველებიც გამოუჩნდებიან, მაგრამ საბოლოოდ ყველაფერი თითქოს... მწერლის ირონია პირდაპირი და მწარეა, მაგრამ იგი სათავეს იღებს ქვეყნის ჭეშმარიტად გულშემატკივარი შემოქმედის გულიდან, რომელსაც მთელი არსებით სურს თავისი ქვეყანა და ხალხი ისეთ გზას დაადგეს, რომელიც დღეს თუ არა ხვალ მაინც თავისუფლებას ფიზიკურ და სულიერ ჰარმონიას აზიარებს. თუმცა ჯერ-ჯერობით ცრუ იმედებია. „ცა რომ გაიპო მერე აღარ ახსოვს აღარაფერი უშანგისა. ის ეს პრეზიდენტი გახლდა - რო მიფრინავდა საპრეზიდენტოდ - ბნელ გვირაბში რო მიფრინავდა. უცებ რო გამოჩნდა შუქი... და გამოჩნდა შელახული ინტელიგენცია ელოდა მოუთმენლად. აეროდრომზევე ელოდა.“

შინააშლილობა, მოძმეებს შორის დაპირისპირება, სამოქალაქო ომის რეალობა, ქვეყნის ყველაზე დიდი ტრაგედიაა რომანში. საერო და საქვეყნო ტრაგედიებს თითქოს სამანი არ აქვს. მაგრამ სამერმისო უკეთესობისა და წინსვლის საქმეში ტრაგედიათა ტრაგედიაა, როცა ერის ინტელექტუალური ნაწილი - ინტელიგენცია, ერის სულიერებაზე, განათლებაზე, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობასა და კულტურულ წინსვლაზე სათანადოდ არ ზრუნავს. პირიქით, ამ მიმართულებით ცუდი მაგალითის მიმცემია. მწერლის მსუბუქი ირონია პირდაპირი, ბასრი და შეუფარავია. „შელახულ ინტელიგენციას“ „შელახული“ სადღესო და სამერმისო მიზნები აქვს. არადა თავისი მდგომარეობით იგი უნდა იყოს საქვეყნო და საერო საქმეების წინამძღოლი და გულშემატკივარი. რომანში ყოველგვარი ქვეტექსტებისა და ლიტერატურული რეზუსების გარეშე ადვილად ამოიკითხება, ვაინტელიგენციის დეგრადირებულ ყოფა და ყოფნა. მწერლის ღია მინიშნებით ტრაგიკულია ის ერი და საზოგადოება, რომელსაც სადღესო და სამერმისო მიზნებისკენ მიმავალ გზას ასეთი „კომპასი“ - ინტელიგენცია უჩვენებს. ვითომ ქვეყნისთვის მზრუნველი ინტელექტუალები, რომლებიც ყოველგვარი პრინციპის გარეშე ყოველი სიოსა და ქარის მობერვაზე დაზიანებული ფლუგელივით უმისამართოდ ტრიალებენ. მწერალი რომანში ზომიერი სარკაზმით მოიხსენიებს ქართული კულტურის არცთუ უმნიშვნელო წარმომადგენლებს, „მეკინოე ინტელიგენციას“. შეიძლება ითქვას, ადამიანების ამ ნაწილმა განსაკუთრებით შეირცხვინა თავი ქვეყნის წინაშე, როცა სამშობლოს აგრერიგად სჭირდებოდა განათლებული, გათვითცნობიერებული ადამიანების მხარდაჭერა. სამწუხაროდ ამ ადამიანების ასეთი ქმედება, პრინციპული უპრინციპობა, ლოგიკური და ბუნებრივია. ბევრი მათგანი ბავშვობიდანვე მიაჩვიეს, რომ საკუთარი ოჯახური და პირადი კეთილდღეობისთვის ყველაფერი შეიძლება გაყიდო. არ იფიქრო დღევანდელ და ხვალინდელ სახელზე, ღირსებაზე, მამულიშვილობაზე. მთავარია შენ და შენი ოჯახი თანამდებობრივად და მატერიალურად იყოს წახალისებული. ეს ის ხალხია, რომლებმაც როგორც მწერალი გულისტკივილით, მაგრამ მიგნებულად შენიშნავს, „დაჰკარგა გზანი სულიერებისა და ტალახის ბინადრად იგულა თავი.“ ოთარ ჩხეიძე საქართველოსთვის მრისხანე მეოცე და ოცდამეერთე საუკუნეთა მიჯნის ტრაგიკულ-აპოკალიფსური ამბების პირუთვნელი ჟამთააღმწერელია. ამ პერიოდის საქართველოში მართლაც რომ დაუსრულებელ ჟამსა და მწუხრს დაუსადგურებია. „ისევ უკუნეთს გადავედით“ წუხს მწერალი და ეს, ჭეშმარიტი მამულიშვილის, მრავალჭირნახული მაგრამ გაუტეხელი ადამიანის გაფრთხილებაა. შემოქმედის ფიქრით, შეიძლება უახლოეს ხანში ქვეყნისათვის რაღაც უკეთესობისკენ შეიცვალოს, მაგრამ ეს იქნება ფასად-კოსმეტიკური ცვლილება, რამეთუ უკუნეთიდან დღის ნათელზე ერთი დაკვრით გასვლა შეუძლებელია. მართლაც, თუ მწერლის ამ მწარე გაფრთხილებას გავითვალისწინებთ, ფაქტია, რომ ძველი ასე იოლად პოზიციას არ თმობს. მაშინდელი „მეკინოე“ ინტელიგენციის ერთი ნაწილი დღეს უკვე ვარსკვლავების გახსნით ცდილობს ეროვნული ისტორიის მეხსიერებაში მამულისათვის ვალმოხდილი მოღვაწის სახელით დამკვიდრებას. „აყვავებულიყო დემოკრატიზმი. გაფურჩქნულიყო, გალაღებულიყო. იუბილეების დამშლელი აღარსად იყო. მიესალმებოდა კიდევაცა იუბილეებსა. ეს ახალი შევარდნაძეი, გადაგებადა რა ხნისაც გენება. გეზეიმა როგორც გენება. მოსწონდა კიდევაცა.“ პრეზიდენტი კმაყოფილებით ხვდებოდა ყოველ იუბილეს, თან თავისთვის გულში იცინოდა, „მე ვერ გამიერთიანებია პოზიცია და ოპოზიცია. იუბილეზე ერთიანდებიან.“

შეიძლება ითქვას, „2001 წელი“ კლასიკური ტიპის რომანია. ამ პერიოდის ქართული საზოგადოების უკიდურესად დიფერენცირებული სოციალური ფენების (გარდა გლეხობისა ლ. დ.) მოზაიკური სიჭრელე დამორგუნველად შთამბეჭდავია და კიდევ უფრო აძლიერებს რომანის შესავალში მწერლის მიერ დაფიქსირებულ ქვეყნის უიმედო მომავლის განწყობას. ორი ათასწლეულის გასაყარზე საქართველოს უსასოო ყოფასა და ტრაგედიას უზუსტესად წარმოაჩენს ქელეხის სუფრაზე შეკრებილი ქართული პოლიტიკა და ქართული საზოგადოების, ქვეყნის დასაქცევად შემართული ადამიანების, უსახო

ნაზავი. მგლური ურთიერთობაა დამკვიდრებული არა მარტო ქვეყნის შიგნით არსებულ სხვადასხვა სოციალურ ფენათა წარმომადგენლებს შორის, არამედ თვით ერთი სოციალური კიბის საფეხურზე მდგომი ადამიანები ერთმანეთის მიმართ უკიდურესი სიძულვილითა და ანტიპათიით არიან განწყობილნი. აქედან გამომდინარე რა გასაჭირსა და დაუსრულებელ ტრაგედიაში იქნება ქვეყანა, ადვილი გასაგებია. „...და ჩაიარეს იმის თვალწინა. უშანგისა. დაფხავებულმა პანტელემონიჩებმა და მოკვიჟინებულმა ასლანიჩებმა, ჭაჭია-პატიაშვილიჩებმა. ნათელაშვილიჩებმა, რჩულიშვილიჩებმა. ჟვანია-სააკაშვილიჩებმა, ნაშალ-ნუშალმა მოქკავშირელებმა. იტყვი ბევრია იჩი ამგენშიცაო. რაღა თქმა უნდა. მაგენი არ იყვნენ რუსთაველი რო მოზღვანეს, მთაწმინდა რო დაფშვნეს და ახლა რო ებრძვიან ამშენებელსა.“ საქართველოს დამაქცევართა ჭრელი კოლონების აღწერისას მწერალი აშკარად თავს ვერ იკავებს. ხსენებული ეპიზოდის შუა ნაწილში იხდის მხატვარ-მემატანის ტოგას და უმძიმეს დანაშაულში მხილებულ ამ ადამიანებს სკუპიებს, ხტუნებს, ლაჯუნებს და მცურავებს უწოდებს. სავსებით ბუნებრივია მწერლისეული აღშფოთება და გაწიწმატება. მსოფლიო ლიტერატურაში ბევრი მაგალითი მოიძებნება, როცა ლიტერატურის კლასიკოსი უარყოფით პერსონაჟთა აღწერისას პუბლიცისტურ მეთოდებს მოიშველიებს და ხშირად მოქმედ პერსონაჟად შედის ტექსტში.

მწერლის ეს უკიდურესი აღშფოთება ლოგიკურია, რამეთუ არ მთავრდება ჭირისუფალთან ვითომ საგულშემმატკივროდ მოსულ, გულგრილ, პირმოთნე, ყოველნაირად გადაგვარებულ ადამიანთა ლეგიონები. „ჩაიარეს და ჩაიარეს. ერთისიტყვითა მემარჯვენეებმა, მრეწველებმა, მსახიობებმა. - აი იჩები! აი ოვნები!... ამათთან ყველა დაგავიწყდება. ჩაიარეს! და ჩაიარეს მუსიკოსებმა, მხატვრებმა. პედაგოგებმა. ექიმებმა. ისტორიკოსებმა. ნაიჩრებმა. ფილოლოგებმა. ნაიჩრებმა“. მწერლის გულისტკივილი და გულისწყვეტა გასაგებია. რომანის ფერადოვან მწარე სიტყვათგამაშში - იჩები, ოვნები და განსაკუთრებით ხშირად გამოყენებული ნაიჩრები, ჩვენი ფიქრით აღნიშნავს იანიჩარს. ესაა ეროვნულ ნიშანწყალწამილი ადამიანი, რომელიც თავის ფიზიკურ ძალასა და გონებრივ პოტენციალს მშობელი ქვეყნისა და თანამომძების მიმართ საუკუღმართოდ იყენებს. მაგრამ თუ ძველ იანიჩართა ერთ ნაწილს ეპატიებოდა თავისი ქმედება, რამეთუ ბევრმა მათგანმა დაბეჯითებით არ იცოდა თავისი წარმომავლობა, ორი ათასწლეულის გზაგასაყარზე მდგარი ბედკრული ქვეყნის ახალმა იანიჩრებმა კარგად უწყოდნენ რასაც ჩადიოდნენ - „რუსთაველი რო მოზღვანეს, მთაწმინდა რო დაფშვნეს...“ ჩვენი ფიქრით, მწერალს განსაკუთრებით გული სტკივა ქართველ ისტორიკოსთა, ფილოლოგთა და ფილოსოფოსთა ერთი ნაწილის მიმართ, რაც მხატვრულ ტექსტში იმით გამოიხატა, რომ თითოეული ამ პროფესიის დასახელებასთან ერთად, იქვე საგანგებოდ, ვფიქრობ ხაზგასმითაა მიწერილი „ნაიჩარი“, მაშინ როცა ტექსტის წინა ნაწილში „ნაიჩრები“ რამდენიმე პროფესიის ჩამოთვლის შემდეგ ფიგურირებს.

მწერალს არ ეიმედება საქართველოში დამკვიდრებულ ქართველი თუ უცხოური არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ინსტიტუტების საქმიანობა: „კიდევ და კიდევ: არასამთავრობო ორგანიზაციები რაღა არა და ესენიცა: ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ინსტიტუტით. თავისუფლების ინსტიტუტით. დოლარებს რო ხვეტავენ. გრანტებს რო ხვეტავენ დასავლეთიდანა და რუსის წისქვილზე რო ასხამენ წყალსა... ან სოროსს ვითომ რა დამართვინა, ეშმაკიც რო მოჯამაგირედ დაუჭერია და თავისი ემისრები რო ჰგონია, ჟვანიები, სააკაშვილები. ჰგონია და სჯერა, ხოლო იმათაც იმავე წისქვილზე - რუსის წისქვილზე - მიუშვიათ ყველა ქართული მდინარე.“

ყოველივე ზემოწარმოჩენილი ადამიანების ლუსტრაცია-დახასიათების შემდეგ მწერალი აკეთებს კიდევ უფრო მძიმე, მაგრამ ლოგიკურ დასკვნას: „ჩაიარეს ტრაგიკული ნიღბებითა. ანთუ უფრო: კომიკურ სახეზე გადაკრული ტრაგიკული ნიღბებითა“. მე-20 და 21-ე საუკუნეთა მიჯნის საქართველოს ტრაგედია სწორედ იმაშია, რომ ადამიანთა დიდი ნაწილი, რომელთა კეთილ ნებას უნდა დაეყრდნოს ქვეყნის მომავალი საკუთარ მამულში დადიან კომიკურ სახეზე გადაკრული ტრაგიკული ნიღბებით. ამაზე მეტი ნიჰილიზმი და ირონია ყოველივე ქართულის მიმართ მრავლის მომსწრე და მცნობი ქართული მწერლებისთვისაც იშვიათია.

რომანის ცალკეული ეპიზოდის კითხვისას უპირობოდ შეიძლება იმის ვარაუდი, რომ ამ დიდებულ თხზულებაში დაფიქსირებული ზოგიერთი პრობლემა ქვეყნებისა და საზოგადოების უყურადღებობის გამო შეიძლება იქცეს მასშტაბურ რეგიონალურ ან უფრო უარესი, მსოფლიო მნიშვნელობის პრობლემად. მაგალითად პანკისის ხეობის პრობლემები, რომელიც დღევანდელი მსოფლიო დილემის ერთ-ერთი მზარდი საფრთხეა, მწერლური ინტუიციით უშეცდომოდ იქნა ნაწინასწარმეტყველები. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ოთარ ჩხეიძის რომანები: „თეთრი დათვი“, „არტისტული გადატრიალება“, „ბერმუდის სამკუთხედი“, „2001 წელი“ შექმნილია საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ. შესაბამისად ვფიქრობ, მწერალმა მიზანმიმართულად, ქვეყნისა და საზოგადოების გასაფრთხილებლად, საგანგებო ხაზგასმით გამოჰყო უმთავრესი დილემური პრობლემები, რომელთა მიმართ ქართული სახელმწიფო განსაკუთრებული სიფრთხილითა და ყურადღებით უნდა ყოფილიყო. „თეთრი დათვი“ რუსული აგრესიის მუდმივი საფრთხის გაფრთხილებაა. „არტისტული გადატრიალება“

- ყველაზე დიდი ეროვნული უბედურების, სამოქალაქო ომისთვის ყველა საშუალებით თავის არიდების მოწოდებაა. „ბერმუდის სამკუთხედი“ - უკუღმართად აღზრდილი ქართული ინტელიგენციის, ფსევდოშთამომავალთა ეროვნული საქმის არ და ვერ გაკეთების გაფრთხილება; ასევე ქვეყნის დემოგრაფიული კრიზისის საშიშროებაზე მინიშნება. „2001 წელი“ გახლავთ რომანი, რომლისთვისაც ჩვენი აზრით, შეიძლება დაგვერქვია პუბლიცისტური სათაური - „პანკისის ხეობის საფრთხე წარსულ, დღევანდელ და სამერმისო საქართველოში.“

„თვალი წასულა და ჯაჭვი ჩარღვეულაო,“ თავის დროზე მახვილგონივრულად ბრძანა პოეტმა და ვფიქრობთ, ოთარ ჩხეიძის მახვილ მხერას და წინასწარმეტყველურ ალღოს არ გამოეპარა, რომ ყოფნა-არყოფნის უმძიმესი კირთების ქვეშ მგმინავი საქართველოსთვის შეიძლება პანკისი გამხდარიყო ქართული ჯაჭვის პერანგის ყველაზე სუსტი თვალი. მწერლის ეს დიდებული რომანი ეროვნული დედო ზარის საგანგაშო ხმების მაუწყებელი იყო ერთმანეთის შუღლსა და მტრობაში დაბეჩავებულ, არაქათგამოცლილ ქართული სახელმწიფოსათვის. მაშინ ალბათ ბევრი ალღოიანი და ნიჭიერი პოლიტოლოგიც ვერ წარმოიდგენდა, რომ სულ ცოტა ხნის შემდეგ მსოფლიოსთვის უდიდეს დილემად ქცეულ სირიაში, თვითგამოცხადებულ ისლამური სახელმწიფოს ჯარისკაცებში და მეთაურთა ელიტაში პანკისელთა სახელი ასე გაიჟღერებდა.

რომანში „2001 წელი“ მთავარი პერსონაჟი არის უშანგი, ზნეობრივად, ფიზიკურად და სულიერად წარმოსადეგი ქართველი კაცი. მართლაც გამორჩეული პიროვნება ოთარ ჩხეიძის პერსონაჟთა პანთეონიდან. იგი განსაკუთრებული სიფრთხილით, მონდომებით, დაუცხრომელ-დაუღალავი რუდუნებით, მუყაითობითა და თავგამოდებით ცდილობს პანკისის ხეობაში შემავალი და გამავალი ნარკოტიკების გზების განეიტრალება-გაკონტროლება. თავისი მიზანი რომ შენიღბოს, უშანგი სტრატეგიული გზა-ბილიკებ-გადასასვლელების მახლობლად ვითომდა ტურისტებისთვის ამენებს ე. წ. ფუნდუკს - საქეფო, მოსასვენებელ დაწესებულებას. უშანგი იცის საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე შავზნელი პერიოდის - ლეკიანობის შესახებ. მან საკუთარ თავზეც გამოსცადა, რომ მტერთაგან მოუძღვრებულ საქართველოში, მე-20 საუკუნის მიწურულს ლეკიანობა აღორძინებას იწყებს. ამას ემატება არანაკლები ჭირი და ლამის ეროვნული ტრაგედია - ქვეყნის გადაქცევა ნარკოტიკების სატრანზიტო დერეფნად. ვფიქრობთ, უშანგი მწერლის ფავორიტი პერსონაჟია. ალბათ რომანისტი თვითონაც ფიქრობდა, რომ აღმოსავლეთ საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კარიბჭის გამაგრებისათვის ფრთხილი და წინდახედული მოქმედება იყო საჭირო. ერთ მოუზომელ სიტყვას, გაუთვალისწინებელ უნებლიე მოქმედებას შეიძლება უმძიმესი შედეგი გამოეღო და საქართველოს ამბოხებულ რეგიონებს კიდევ ერთი მიმატებოდა. ამიტომაც აქაურებთან ურთიერთობის დროს უდიდეს სიფრთხილეს იჩენს უშანგი. ჯერ ხეობის უზუცესებს დაუკავშირდა. უფროს-უმცროსობის ტრადიციული წესი არ დაარღვია. ამავდროულად იგი ცდილობს ამ კუთხის რეალურ ბატონ-პატრონებთან, ახლად გამოჩვეულ ნარკოდილერებთანაც იქონიოს „კეთილმეგობრული“ ურთიერთობა. ადამიანების გამტაცებელი „ყოჩების“ უკუღმართ საქმიანობას ვითომ ვერ ხვდება და მათთანაც დაბალანსებული ურთიერთობის დამყარებას ცდილობს. ფაქტია რომ ზოგჯერ, თუ ქვეყნისათვის რაიმე კარგის გაკეთება გინდა, მაშინ ამისთვის ისეთივე ეკლექტიკური გზითაა სიარული საჭირო, როგორც ამას ბოროტ საქმეში დახელოვნებული შავი სამყარო ჩადის. „თავდაჭერა მართებდა. უშანგისა. განსაკუთრებითა. გარემოცულიყო გაბედულად რო ვერ იტყოდა - მეგობრებითაო, ამასაც რომ ვერ იტყოდა. არადა კმაროდა ერთი სიტყვაი. ერთი, ერთადერთი. წინდაუხედავი თუ წამოსწრებული, ყველა მტრად რომ გამოაცხადებდა, ხელი აღემართა შურისძიებადა“.

რომანში უცხოელი ბიზნესმენი, კარგად დამნახავი გარეშე თვალის გადმოსახედიდან, ასე აფიქსირებს მაშინდელ უცნაურ ქართულ სინამდვილეს: „მხოლოდ აქ არისო, ამ თქვენს კურთხეულ საქართველოშიო ერთი რო არის: პოლისმენიცა, ბიზნესმენიცა და ტურისტიცაო.“ უცხოელის თქმით, ყველა ქვეყანაში ქურდი, პოლიციელი, ტერორისტი თუ რაც არის - ერთი ადამიანი ერთი საქმის მკეთებელია. საქართველოში კი ერთი ადამიანი ერთდროულად არის „ყველაფერჩიკი“. რომანის ერთ-ერთი პერსონაჟი, ბიზნესმენი ქალბატონი ზეინაბი, სვამს კითხვას? „ჩვენ რამ გაგვამკაცრა ასე?! „ორასწლოვანმა რუსობამა“ - უშანგიმა.“ მისი თქმით იყო დრო, როცა ჩვენც „ვიყავით ჩვენდა თავადა, დავით აღმაშენებლიდან ლაშა გიორგიმდის.“

პანკისელებთან ნადიმზე ფიცვერცხლნაჭამი, შეღვინიანებული უშანგი წარმოთქვამს სიტყვას, რომლითაც საცნაური ხდება სრული ჭეშმარიტება, თუ რატომ? რა მიზეზით და ვინ ცდილობს ეს ორი, დიდი ხნის მოყვარე ხალხი - ქართველები და ქისტები გადაამტეროს ერთმანეთს. „ადგა უშანგიცა. და არც აცივა და არც აცხელა: ჩვენაო ორივენი ვტყუივართო. მაგრამო ბრალი არ მიგვიძღვის არც ერთსაო. ყველა რუსის ბრალია და არც ჩამოვარდება სიმშვიდეი ჩვენს შორისა, ვიდრე არ მოგვწყდება რუსი თავიდანა. რასაც ჩვენ ჩავდივართ. რუსი ხარობს. რუსი გვისისიანებს. ან ეს ტყეობა რა არის, ან ეს ნარკოტიკები. ან ეს იარაღით ვაჭრობა?! ან რა უნდა მოვიგოთ. ან რა უნდა შეგვრჩეს?!“

უშანგის სიტყვებში ბევრი რამ საგულისხმო და უპირობოდ გასაზიარებელია. მწერალი რომანში რუსის გარდა სხვა ახალ საერთოებსაც ხედავს.

პანკისის ხეობაში გამართულ ლხინის მაგიდასთან სხვებთან ერთად სტუდენტებიც იმყოფებიან. „ახალგაზრდები. სტუდენტები ისინი. მოსკოვისა არა. ერთი დამასკოსი, მეორე ქაბულისა.“ სწორედ ეს ახალგაზრდები აცხადებენ, რომ ევროპა დაბერდაო,“ ამერიკამ თავი შეირცხვინაო. „მხოლოდ ისლამია დიდი ქვეყანა. დიდი. უბერებელი. მარადიული.“

ოთარ ჩხეიძის ეს წინასწარმეტყველება 15 წლის შემდეგ მართლაც ახდა. ისლამური სახელმწიფოს ფანატების უმრავლესობას დღესაც დაბეჯითებით მიაჩნია, რომ „ისლამი დიდი ქვეყანაა“. და თუ არ არის, უახლოეს ხანებში მაინც გახდება. ვფიქრობთ, მწერალმა დროულად გააფრთხილა ქართული და მსოფლიო საზოგადოება.

მწერლურ წინასწარმეტყველებაზე როცა ვსაუბრობთ, შეიძლება საზოგადოების ერთმა ნაწილმა ჩათვალოს, რომ ჩვენ ამ მხრივ რაიმეს ვაჭარბებთ! მაგრამ თუ რომანში აღწერილ 15-20 წლის წინანდელ რეალობას შევადარებთ დღევანდელს, ფაქტია, რომ ქვეყნის მთლიანობის განმტკიცების თვალსაზრისით უკეთესობისკენ დიდად არაფერი შეცვლილა. ქართულ მიწაზე შემოკედლებულ უცხო ტომელთა დიდი ნაწილი არ არის მადლიერი არც ქართული ქვეყნისა და არც ქართველი ხალხისა. პირიქით, საქართველოში მიღებულ, გაჭირვებული ქვეყნისაგან ნაწილადევ ლუკმას აქეთ აყვდრიან სარჩოს გამზიარებელს. რომანის ერთ ეპიზოდში მწერალი ყოველგვარი შეფარვისა და ქვეტექსტების გარეშე ღიად ათვალსაჩინოებს ამ ფაქტს. პანკისის ხეობაში შეკრებილებს ნადიმად დაწყებული სუფრა ღრეობად გადაექვევათ და რომ იტყვიან „ზოგი ჭირი მარგებელია“, ამ ეპიზოდში ახდა. ზედმეტმა ბახუსმა თანამეინახეების ჭემმარტი სახე და გულელები გამოაჩინა: „იყო ერთი. ახალგაზრდათაგანი. სტუდენტი თბილისის უნივერსიტეტისა. ცხვირს უზუბებდა დანარჩენები. აქეზებდნენ კიდევაცა. მოსკოვს ეწოდნენ მოსკოველები. დამასკოს დამასკოელი. ქაბულს ქაბულელი. საით წასულიყო? თუ იქვე დარჩენილიყო?... ვერ გადაწყვიტა. ვერც ვერას ამბობდა. ან თუ ამბობდა, - რას ამბობდა ვერ გამოცნოთ.“ წარმოდგენილ ეპიზოდში ნათლად ჩანს, თუ რა დამოკიდებულება გააჩნიათ საქართველოს ამ ძირძველ კუთხეში შემოხიზნულთა თუ შემოჭრილთა შთამომავლობას. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რომანი „2001 წელი“ საქართველოს ტრაგედიის ამსახველი მხატვრულ-დოკუმენტური ტილოა. მასში ყოველგვარი გადამეტების გარეშე, პირუთვნელი მწერლურ-მოქალაქური გულისტკივილითაა წარმოჩენილი მე-20 და 21-ე საუკუნეთა მიჯნაზე საქართველოს უმძიმესი ტრაგედია. უფრო სწორედ კი პანკისის ხეობაში არსებული საფრთხე, რომლის მიმართ ქვეყნის მესვეურები მუდამ განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა იყვნენ მითვალყურებული. რომანში ჩანს, რომ იმ დროის საქართველოს მმართველი ზედა ფენა კასტებადაა დაყოფილი. გაუთავებელი შულღი, ინტრიგა, მისაღებ-მიუღებელი პოლიტიკური ჭიდილის ილეთები, დაუნდობელი ურთიერთდაპირისპირება ქვეყნის ინტერესების საზიანოდ. მწერლის პირდაპირი მინიშნებით ქვეყნის ამ ვაიმესვეურთა გამოისობით, ყველა დაინტერესებული მტრული გარეშე ძალის ინტერესებია დაცული ჩვენს ქვეყანაში, გარდა საკუთრივ საქართველოსი. მწერალი მწარე ირონიით აფიქსირებს, რომ ქვეყნის მარადდაუსრულებელი ტრაგედია იმაშიცაა, რომ მუდმივად ირღვევა და კოწიწდება მმართველი ზედა ფენის კლანურ-კასტური ჯგუფები. ჩნდებიან ახალი პოლიტიკური და საზოგადოებრივი გაერთიანებები, მაგრამ არა სამშობლო ქვეყნის ინტერესების დასაცავად, ქართველთა საკეთილდღეოდ, პირიქით. „დაიწყო რღვევა კლანებისაო. აქედან დაიწყო: თარგამამის კლანიდანა. მიჰყვება კლანი აბაშიძე-გოგიტიძისა. შევარდნამე-ჯოხთაბერიძის კლანიც თან მიჰყვება. მუცელს გადაჰყვება სხვა კლანებიცა.“ საქართველოს ტრაგედია იმაშია, რომ ქვეყანაში ანტიეროვნული პოლიტიკური დუდილის ტემპერატურა არ იკლებს, მუდმივად მაღალია და აქედან გამომდინარე, პოლიტიკურად მუდამ „მაღალსიცხიან ქვეყანას“ უამრავი თვითმარქვია მიძა-გადია დატრიალებს თავს. არასამთავრობო ორგანიზაციებიო, რუსეთი, ამერიკა, ევროპა თუ აზია. მწერლის მწარე ირონიით, ქვეყანაში თვითგამოჩეკვით ჩნდება „რეფორმატორ-თვითწოდებულნი.“ „შედრკა პრეზიდენტი. მხრები გაშალეს რეფორმატორთვითწოდებულებმა... და ეს რეფორმატორთვითწოდებულნიც რო დაგრძელდნენ აღმასრულებელ ხელისუფლებაში?... არსენიშვილიო, ნოღაიდელიო, მაჭავარიანიო, მიემატა რო სააკაშვილიცა? რაღა აკლდათ, ზურაბ ჟვანია პრემიერ მინისტრადა. სხვა დანარჩენსაც, მინისტრებსა ის მოუთავებდა და დამთავრდებოდა რეფორმებიცა.“ მწერლის რიტორიკული შემახილი ფრაზის ბოლოს, რა თქმა უნდა პირობითია და პირდაპირი მნიშვნელობით არ უნდა გაიგოს მკითხველმა. „დამთავრდებოდა რეფორმებიცა“ ნიშნავს დაუსრულებელი ქაოსური რეფორმების ახალ დასაწყისს, ანუ ქვეყნის მუდმივ დაუსრულებელ ტრაგიკომედიას, რაც მერე ისტორიის მსვლელობამაც დაამტკიცა.

რომანის მთავარი პერსონაჟი, უშანგი რეალურად ერთადერთი ნათელი ადამიანია, რომელიც ყოველგვარი ანგარების გარეშე ცდილობს რაღაცით მაინც უშველოს თავის შეჭირვებულ ქვეყანასა და ხალხს. მაგრამ მწერლის ფიქრით, იმ პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ და მენტალურ სიტუაციაში, როგორშიც საქართველო იმ დროს იმყოფებოდა, ყოვლად შეუძლებელი იყო უშანგისნაირმა

თავდადებულმა კაცებმაც კი რაიმე შედეგს მიაღწიოს. დროებითი წარმატებების მიუხედავად, მათი თავდადება უდაბნოში ოაზისის შექმნის მცდელობასავით მარცხისთვისაა განწირული. მაგრამ ქვეყანაში ასეთი ცალკეული გაუტეხელი პიროვნების არსებობა, ილიას ლელთ ღუნისავით, სამომავლო უკეთესობის იმედს აჩენს. უშანგისნაირი კაცის პროტოტიპის მოძებნა იმ პერიოდის საქართველოში შეუძლებელი თუ არ იყო გაჭირდებოდა მაინც. იგი ან მწერლის სურვილ-ფანტაზიის პირშემა, ანდა იმ დროის ცალკეულ რჩეულ ადამიანთა ინტერმოდელირებული სახე-ტიპი. ჩვენი ფიქრით, უშანგი მწერლის ერთ-ერთი უაღრესად საინტერესო რომანის „ბერმუდის სამკუთხედის“ დეგრადირებული მთავარი პერსონაჟის - გიზო კორძეის მოდერნიზებული ვარიანტია. გიზო კორძელი საკუთარ სამშობლოში არაქართულად აღზრდილი ადამიანის, უსამშობლო კონდოტიერის, უახლოეს მომავალში თვითონაც ტრაგედიისათვის განწირული ტიპია. გიზოსნაირი უსამშობლო ადამიანები თავის ცხოვრებას ისე ტრაგიკულად ამთავრებენ, როგორც ამერიკელი მწერლის, ედუარდ ჰეილის, დიდებული მოთხრობის „უსამშობლო კაცის“ მთავარი პერსონაჟი.

უშანგი გიზო კორძელის ანტიპოდაა. თუმცა ზოგიერთი სახასიათო შტრიხით თითქოს მისი მსგავსი, მაგრამ ამავდროულად სულიერ-მენტალური განვითარების პროგრესირებად გზაზე შემდგარი. უშანგის გზის გამგრძელებელი მომდევნო თაობები უდავოდ სასურველ მიზანთან მიიყვანენ თავიანთ თავსაც და ისტორიის მუდმივი ტრაგიკომედიებით მოუძღვრებულ სამშობლოსაც. ალბათ ამიტომაც მე-20 და 21-ე საუკუნეთა მიჯნის საქართველოს ტრაგედიის ამსახველი ეს რომანი იმედიანი განწყობით, უკეთესი ხვალის რწმენით მთავრდება. „...და ამოსულიყო ცისკარი. ღრუბლების ფთილებშიც შეეყო თავი. ხან შავში. კუნაპეტში. ხან ქულა ღრუბლებში იჭყიტებოდა ემმაკურადა.“

*Luka Dvalishvili*  
*Akaki Tsereteli State University*  
**THE TRAGICISM BETWEEN TWO MILLENNIUM**  
**(TRAGICISM BY OTAR CHKHEIDZE, NOVEL “2001 YEAR”)**  
**RESUME**

From our point of view, the collective-catalyst of faith and the firm will of one part of the nations with tragic history, is the national writing characterized by the universal ideas, original, individual forms, themes, microclimate and exotic.

At the end of the 80s of the 20th century, our country had a great chance of freedom again. The Russian Empire, which was split between external and internal problems, fell apart again, but how we used this opportunity was shown in a very interesting way in Otar Chkheidze's novel "2001 year."

According to the writer: controversy, confrontation between the fraternity and the reality of the civil war, are the country's greatest tragedies. In the work, secular and well-known tragedies do not seem to be fixed. But the greatest tragedy is that the intellectual part of the nation – intellectuals, do not take care of the nation's territorial integrity and cultural advancement.

It can be said, that "2001 year" is a classic type of romance. According to the writer, the tragedy of the centuries is that a large part of the people whose good will should be the basement of the country's future, walk in their homeland, with the tragic masks on the comic faces.

While reading the separate episodes of the novel, it can be assumed that due to the neglect of the countries and the public, some of the problems which are given in this great work, can become a large regional or worse, world wide problem.

*ნინო ვახანია*  
*სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

**რუსთაველი და მისი პოემა XIX საუკუნის ქართულ მწერლობაში**  
**(რომანტიკოსები და აკაკი წერეთელი)**

ქართველი ერის ერთ-ერთი განმთავანნი, პოემა „ვეფხისტყაოსანი“ არასწორად წაკითხვისა და გაგების გამო ერთ დროს ბოროტებისა და უზნეობის მქადაგებლად მიუჩნევიან და ამის გამო დაუწვავთ კიდევ. ეს საქმე, გადმოცემით, ანტონ კათალიკოსს მიეწერება, თუმცა მკვლევარ ნანა ფრუიძის სავსებით



მისაღები აზრით, პოემის დევნა დაუჯერებელია უგანათლებულესი კათალიკოსისგან, რომელიც, სხვათა შორის, ბრძენ პიტიკოსად მოიხსენიებს შოთა რუსთაველს.

პოემისა და მისი ავტორის, თუ შეიძლება ასე ითქვას, რეაბილიტაცია ვახტანგ VI-ს მიეწერება. აკადემიურად შესწავლილი და გამოცემული ტექსტი ერთგვარ სანიშნედ იქცა პოემის შემდგომი გამოცემებისთვისაც.

XIX საუკუნის ქართულ მწერლობაში კი „ვეფხისტყაოსანი“ უკვე გასიმბოლოვდა არა მარტო პოეზიის მწვერვალად, არამედ სწორედაც თავისუფალი და ძლიერი საქართველოს სახედ. მისი ავტორიც ლეგენდის ელფერით შეიმოსა და რომანტიკოსებმა როგორც თამარ მეფე, ისიც ისე გააიდევალეს.

ქართული მწერლობის პირველი მიმოხილვის, „მოკლე განხილვის“ ავტორი, სოლომონ დოდაშვილი „ვეფხისტყაოსანს“ მიიჩნევს დიდებულ ქმნილებად, ქართული ლიტერატურის სრულყოფილ ნიმუშად. „ს. დოდაშვილმა არსებითად „ვეფხისტყაოსნის“ დამოწმებით წარმოაჩინა ქართული ლიტერატურის სიდიადე“ (მენაბდე 1984:133).

რუსთაველის რომანტიკული გაიდევალების საილუსტრაციოდ უპირველესად ალექსანდრე ორბელიანის ლექსი „რუსთაველი“ უნდა მოვიხმოთ. „ის, რაც შეიძლება მაცხოვარზე ან ანგელოსურ სამყაროზე თქმულიყო, ლექსში რუსთაველზე ნათქვამი და ამ გზით წარმოჩენილია ღვთაებრივი ხატი რუსთაველში“, - წერს რევაზ სირამე (სირამე 1997:48) მკვლევარს საღვთო სიყვარულის მატარებლად ესახება „სული, დავნებული სურვილითა“, საერთოდ კი, ლექსში აშკარაა რუსთაველის უსაზღვრო განდიდება.

რუსთაველი და მისი პოემა მიაჩნია ქართველისა და ქართველობის სიმბოლოდ ვახტანგ ორბელიანსაც. გრიგოლ ორბელიანის „მუხამბაზების“ კილოთი შეწუხებული და გაღიზიანებული ვახტანგ ორბელიანი წერდა:

„მე არ მიყვერს კილო მუხამბაზისა,  
კინტოთ კილო, კილო შუა ბაზრისა“  
და შემდეგ: „მე მომეცით კილო რუსთაველისა,  
გაფურჩნილი, ვით ყვაილი ველისა“.

ავტორის აზრით, მხოლოდ რუსთაველის კილოთი შეიძლება ქართული სათქმელის ამოთქმა (სხვა საქმეა, რომ ამ აზრს უნებლიეთ თვითონაც მუხამბაზის კილოთი გამოთქვამს).

პოემაში „იმედი“ ძველი ივერიის მშვენების აღწერისას აუცილებლად მიაჩნია, აღნიშნოს:

„აქ დავითი და თამარი სულსა კიდევ სწამს,  
აქ რუსთაველის ლექნი კვლავად ატკობენ ყურსა“ (ორბელიანი 1992:478)

არ არის საკმარისი: ზღვა, ბარი, მთა, ცა, წალკოტნი, ვარდნი, წყალნი მცინარნი და ბუნების სხვა შესანიშნაობანი, რომლებიც სამოთხეს გვაგონებს ერთგვარად. სწორედ ამ შთაბეჭდილების გასამლიერებლად (თუ დასადასტურებლად) აუცილებელია შესაფერისი სულიერების გამოხატვა. ამას კი არაფერი ისე არ მოუხდებოდა, როგორც რუსთაველის ხსენება.

რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ არის, რომ რამდენიმე ლექსს ეპიგრაფად რუსთაველური აფორიზმი წაუმიძვარა (მაგალითად, „გალიას“ უძღვის: „სადაც გინდ ვიყო, რა მგამა, ყოფაცა მქონდეს ნებისა“, „დედოფალს“ – „მიჯნურობა სხვა რამეა, არ სიძვისა დასადარი, იგი სხვაა, სიძვა სხვაა, შუა უზის დიდი მზღვარი!“). განათლებული მშობლების შვილმა, წიგნის მოყვარულ, მცოდნე და პატივისმცემელ ოჯახში დაბადებულ-გაზრდილმა ვახტანგ ორბელიანმა „ვეფხისტყაოსნის“ იდეები ბავშვობიდანვე შეითავსა, ეს პოემა კვებავდა მის მსოფლმხედველობას ახალგაზრდობაშიც და არც ხანდაზმულობისას დაუკარგავს მის თვალში განსაკუთრებულობა. კარგად უწყოდა ვახტანგ ორბელიანმა, რომ რუსთაველი მსოფლიო მნიშვნელობის შემოქმედი იყო და იხსენებდა კიდეც „მსოფლიო გენიოსებთან“ ერთად. ლექსში „ძველს მეგობარს“, რომელიც დიმიტრი ყიფიანს მიუძღვნა, ვკითხულობთ:

„მოდი, აქ მიდევს თვალთ წინა რუსთაველის დიდი ქმნილება  
იმის ფურჩვნილის ლექსებით სული და გული დავიტკობთ,  
გეტე, შექსპირი, შილერი კვლავ ერთად გადავიკითხოთ“.

ხოლო პოემა „ობოლი“ მთლიანად შოთა რუსთაველს უძღვნა. პოეტი წარმოსახვით სამყაროში გადადის და რომანტიკულად წარმოგვიდგენს დიდი მგოსნის ცხოვრებისეულ თავგადასავალს. 1881 წელს დაწერილი ამ პოემის მიხედვით, რუსთაველი ობლად გაზრდილი ყმაწვილია, რომელმაც განათლება საბერძნეთში მიიღო. მასზე არავინ ზრუნავდა მაღალი ღვთის მეტი. ასე, ღვთის შვილად, თვითონაც ღვთაებრივი მაღლითა და „საღმრთო ალით“ აგზნებულ, წმინდა სულის მქონე პიროვნებად არის იგი დახატული პოემაში.

აქაც ერთმანეთისაგან განუყოფელია თამარი და შოთა. თამარის სიტურფემ, რაც ქვეყნის ძღვევამოსილების სიმბოლოა, შთააგონა მგოსანს პოემა, ხოლო პოემის დამფასებელი და გამგები, უპირველესად, თამარია, საკუთარი სამეფოს გვირგვინად რომ სახავს რუსთაველს.

რომანტიკოსებმა თამარი და მისი დროის საქართველო სიმბოლოდ აქციეს და ლეგენდის შარავანდში გახვიეს. ასეთივე განცდა აქვს ამ ეპოქის მიმართ გრიგოლ ორბელიანსაც. მის „სადღეგრძელოში“ თამარის ქება სრულიად გამორჩეულია. ცალკე პოემაც ჰქონია დაწერილი თამარზე. ლირიკულ შედეგში „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“ ავტორი მომავალი, დამოუკიდებელი საქართველოს საფუძვლებს ჩამოთვლის, კონსტიტუციასავით ჩამოწერს. ხოლო საბოლოო მიზნად სახავს რა იმას, რომ ჩვენი სამშობლოც „დადგეს ერთად სხვა ერთა შორის“, და „გაგვიცოცხლდეს, რომ კვლავც მოგვესმეს სიტყვა ქართული რუსთაველისა“.

ისიც ვახსენოთ, რომ 1832 წლის შეთქმულების მონაწილეებს (ოთხივე ზემოხსენებული რომანტიკოსი მონაწილეობდა მასში) განზრახული ჰქონდათ საქართველოს სამეფო ტახტზე თამარ ბატონიშვილის აყვანა. ეს იქნებოდა სიმბოლური აქტი, გაცხადება იმისა, რომ ესწრაფვიან და მიელტვიან თამარის დროს, ქვეყანას კიდევ ერთხელ ეყოლებოდა თამარ მეფე.

ქართული რომანტიზმის მწვერვალად აღიარებული ნიკოლოზ ბარათაშვილი კი ყველაზე ახლოს დგას რუსთაველთან იდეურად. ამ გარემოებას პირველად ყურადღება პავლე ინგოროყვამ მიაქცია და კიდევ ფუნდამენტურად გამოიკვლია საკითხი. პოეტური სახე - მერანი - მკვლევარმა რუსთაველის პოემიდან მომდინარე რემინესცენციად გაიაზრა და ბარათაშვილის ლექსის ლირიკულ გმირსა და „ვეფხისტყაოსნის“ ავთანდილს შორის გაავლო საგულისხმო პარალელი. შენიშნა რა ფრაზეოლოგიური სიახლოვეც, დაასკვნა, რომ საერთოა ამ გმირების სულიერი განწყობაც. „ბარათაშვილის „მერანში“ იგრძნობა რუსთაველის პოეზიის სტიქია“ (ინგოროყვა 1963: 338). საერთო შეინიშნება აგრეთვე ბარათაშვილის ჩინარსა და „ვეფხისტყაოსნის“ შორის.

რომანტიკოსთა მიერ რუსთაველის გაიდეალების, მისგან მითის შექმნის, თამართან ერთად, დამოუკიდებელი და ძლიერი საქართველოს სიმბოლოდ დასახვის ტენდენცია გადაჰყვა შემდგომი ხანის მწერლობასაც. ეს მემკვიდრეობა მიიღეს სამოციანელებმა, რომლებიც იდეურად მეტად ახლოს იდგნენ რომანტიკოსებთან. ერთი გამორჩეული მათ შორის, ვისაც ბავშვობიდანვე შესისხლხორცებული ჰქონდა „ვეფხისტყაოსნის“ სიყვარული, აკაკი წერეთელი გახლდათ.

1882 წელსაა დაწერილი აკაკის ლექსი „რუსთაველის სურათზე“. რუსთაველი აქ არა მარტო მგოსნის მეტრი და საზომია, არამედ სიმბოლოა თამარისდროინდელი საქართველოსიც. ერის უკვდავების ნიშნად განგებამ უკვდავი პოეტი მოგვივლინა. „ჟღერის საიდუმლოს“ გაგებას მისგან ითხოვს „საქართველოს ბულბული“, თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, არა მარტო იმისთვის, რათა „მგოსანი იქმნეს ერისა“. ეს მგოსნობა სჭირდება იმისთვის:

„რომ ჩემის მღერით აგზნილი  
რაციფი ტარიელობდეს,  
ქაჯთა ებრძოდეს ლომკაცი,  
ნესტანისათვის ხელობდეს.“

ვიციტ რა აკაკი წერეთლის სტილისტიკა, სრულიად გასაგებია, რომ ქაჯებში საქართველოს მტრებს გულისხმობს, ნესტანი სამშობლოა, ხოლო ტარიელი - ქვეყნის ტრფიალით გულანთებული, თავისუფლებისთვის მებრძოლი ქართველი.

მოთხრობაში „როგორ გადაყვა თავ. გოჯასპირ თავისს უღვაშებს“ იუმორისტული, სახალისო მზავი აქვს მოთხრობილი მწერალს. ჩვენთვის საყურადღებო ისაა, რომ „მოუსვენარი მოტრფიალე ქალებისა“, თავადი გოჯასპირი „ვეფხისტყაოსნის“ გმირებს, კერძოდ, ტარიელს, ბაძავს. საინტერესოა, რომ ეს მიბაძვა ოდენ კერძო პირის ახირება კი არ გახლავთ, არამედ საერთო, საყოველთაო ხასიათისაა. „ვეფხისტყაოსნის“ ამა თუ იმ ეპიზოდის მიხედვით გავრცელებულა და დამკვიდრებულა ხალხში ესა თუ ის ჩვეულება. მაგალითად, „ძველად ტრფობის ნიშანი ხელის ჩამოკიდება იყო“ (წერეთელი 2015:127), - წერს აკაკი და იქვე განმარტავს, რომ ამ ჩვეულების სათავე რუსთაველის პოემაა. როცა ხატაეთიდან დაბრუნებული ტარიელი პირველად ეჩვენა ნესტან-დარეჯანს, ვაჟი ხელში დაჭრილი იყო და ის ხელი ჩამოკიდებული ჰქონდა. „აი, სად არის სათავე ხელჩამოკიდებით აშოყობის და ამას ბაძავდენ ძველი ახალგაზრდებიც“ (იქვე: 128). მიმზიდველი ყოფილა ძველი ქართველი ქალის ჩაცმულობა. აკაკის თქმით, ქალის მორთვა-მოკაზმვას ყველგან სატრფიალო სარჩული უდევს. ხოლო ძველ საქართველოში ახალგაზრდა ქალები თინათინისა და ნესტანის ჩაცმულობას ბაძავდნენ. რა გულიანად, მთელი არსებით იხსენებს XIX საუკუნის მწერალი იმ იპიზოდს „ვეფხისტყაოსნიდან“, თინათინმა ავთანდილი რომ დაიბარა და თვითონ სამეფო ტანსაცმლით არ დახვდა. მთელი გრძნობას, სულსა და გულს აქსოვს შიგ. „იმ მოურთველ-მოუკაზმველობაში უმაღლესი კვლევობა იხატებოდა“, - წერს ის და განაგრძნობს: „ქალის ამგვარი მორთულობა, ვითომ ჩაუცმელობა, არათუ შეყვარებულს, გულქვასაც კი ააჟრჟოლებს...“ (იქვე: 129). საერთოდ, ყველანაირად სრულყოფილ პოემად მიაჩნია „ვეფხისტყაოსნი“ და მისი გმირები - იდეალურებად არა მარტო მე-12 საუკუნისთვის ან თუნდაც რომელიმე სხვა კონკრეტული ეპოქისთვის,

არამედ ყველა დროისა და ჟამისთვის. XIX საუკუნეს ხომ აღწევს და კვებავს რუსთაველის იდეები და იგულისხმება, რომ არასოდეს მოძველდება, არასოდეს გაცვდება.

ახალგაზრდებზე ხომ ითქვა და თურმე ხანშიშესული ქალებიც ბაძავდნენ პოემის ერთ პერსონაჟს. რა თქმა უნდა, ფატმანს. ჩაცმა-დახურვას, ტრფიალებას, ვერუშარის წასმასა და მსმელობასაც მისგან სწავლობდნენ. ამიტომ გაუგია ანტონ კათალიკოსს „ვეფხისტყაოსანი“ უკუღმართად და დაუწვავს. თუმცა ნანა ფრუიძე ფიქრობს, რომ განათლებული და მწერლობის მცოდნე და დამფასებელი კათალიკოსი ამას არ იზამდა, რაც გასაზიარებელი და სარწმუნო დასკვნა მგონია. ამ მოთხრობისთვის ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა არა აქვს. ამკარაა, რომ აკაკისთვის „ვეფხისტყაოსანი“ სრულიად გამორჩეული, ყველაზე აღმატებული, გენიალური ქმნილებაა. პერსონაჟების სახეს კი ხშირად (უმრავლესად) სიმბოლოურად გაიაზრებს. ნესტან-დარეჯანი მისთვის დაპყრობილი საქართველოა. ზემოთქმულს ადასტურებს საყმაწვილო მოთხრობაც „პატარა ტარიელი“, რომელშიც დიტო ცალქალამანიძის ბავშვური გატაცებაა გადმოცემული. „ვეფხისტყაოსნით“ შთაგონებულ გიმნაზიელს არასწორად, უკუღმა გაუგია პოემის შინაარსი - ჰგონია, რომ ტარიელს ღონით უნდა მიემსგავსოს და ახლომახლო კატას არ აჭაჭანებს ცოცხალს და სხვა. ეს იმიტომ, რომ მეოთხეკლასელი ყმაწვილი პოემის მომხიბვლელმა შინაარსმა, უფრო მისმა ზღაპრულმა მხარემ გაიტაცა და ნამდვილი შინაარსი განზე დარჩა. დიდ გაუგებრობაში ჩააგდო თავის ტარიელად წარმოდგენამ, ყველამ სასაცილოდ აიგდო, მხოლოდ ერთი მასწავლებელი მოეკიდა მის გასაჭირს გულმტკივნეულად და კიდევ აუხსნა და გაუმჟღავნა რუსთველური იდეები, პოემის ნამდვილი არსი, გასაღები. მასწავლებლის პირით გადმოგვცემს აკაკი საკუთარ შეხედულებას: „ქვეყნის ბედნიერება, თავისუფლება, ეს ყოველი ერის „წმიდათაწმიდა“ უგუნურებასა და უმეცრებას რომ ჩაუგდია ხელში, იგივე ნესტან-დარეჯანი არ არის, ქაჯეთის ციხეში ჩამწყვდეული? გამოხსნა უნდა და, თუ ტარიელ-ავთანდილ-ფრიდონები არ გვეყოლებიან, ვინ უნდა გამოიხსნას?“ (იქვე: 303). „ნესტან-დარეჯან ქაჯებს ჰყავს, მოელის ტურფა გამომხსნელსო“, - თქვა ლექსში „ჭადრა“. ეს სახე-სიმბოლო - ნესტან-დარეჯანი, როგორც დატყვევებული საქართველო - სისტემურ ხასიათს ატარებს აკაკის შემოქმედებაში. 1892 წელს დაწერილ ლექსში „სატრფოს“ მამულს მიმართავს, სთხოვს, აიტანოს ტყვეობა და ამშვიდებს:

„ტარიელი დაგემებს,  
გავარდნილი დღეს ველად,  
ავთანდილი ფრიდონით  
მოდის გამოსახსნელად!..“ (წერეთელი 2011: 217).

ხშირად მოიხმობს ხოლმე თავის პროზაულ ნაწერებში აკაკი წერეთელი აფორიზმებს „ვეფხისტყაოსნიდან“. აღსანიშნავია, რომ არსად, არცერთ შემთხვევაში ეს არ ხდება ნამალადევად, ყველგან, ყოველთვის, ბუნებრივია და ლოგიკური (სხვათა შორის, ასევე საყურადღებოა მწერლის მიერ ანდაზების ხშირი და შესაფერის ადგილას გამოყენებაც. ასევე მოჩქეფს რუსთაველის აფორიზმებიც, რაც კიდევ ეთხელ ამტკიცებს და ხაზს უსვამს აკაკის განსაკუთრებულ დამოკიდებულებას „ვეფხისტყაოსანთან“).

რუსთაველის აფორიზმების ხშირი გამოყენებით მაინც გამოირჩევა „ბაში-აჩუკი“.

„უგანგებოთ ვერას მიზმენ, გინდ შემებან ხმელთა სპანიო!“- ასე იმართლებს ზაალთან საუბარში თავს მოხუცი ელიზბარი.

„სჯობს სიცოცხლესა ნამრახსა სიკვდილი სახელოვანიო!“- ცხარედ წამოიძახებს ახალგაზრდა შალვა ქსნის ერისთავი.

„შორით ბნედა, შორით კვნესაო“, - გულში ამბობს გამიჯნერებული გლახუკი ბაქრაძე.

„გვიჩვენეთ საქმენი საგმირონი“, - ასეთ პირობას უდებენ ქალები მათზე გამიჯნურებულ ვაჟებს.

ახალ ავთანდილად სახელდებული გლახუკი ბაქრაძე ბიძინა ჩულოყაშვილთან მიდის და თან ღიღინებს: „ეჰ, სოფელო, რაშიგან ხარო.. და ის აიმედებს, რომ „ღმერთი არ გასწირავს კაცსა, შენგან განაწირსაო“ (სხვათა შორის, თუ გლახა ბაქრაძე ავთანდილია, მაშინ სამშობლოს გამოსახსნელად თავდადებული ბიძინა ჩოლოყაშვილი ტარიელი ყოფილა). რუსთაველს უკვდავების ჭას შემთხვევით არ ეძახის. გარდა ამისა, აქვე გვეუბნება ავტორი: „ტყუილად არ სჩიოდა ძველად სამღვდელოება, რომ „ვეფხისტყაოსანი“ სახარებაზე უფრო გაუტკბა ქვეყანასო; საუკუნოების განმავლობაში, დიდი და პატარა, ყველა იმას ეწაფებოდა; კაცები ტარიელ-ავთანდილსა ჰბაძავდნენ, ქალები ნესტან-თინათინობას სცდილობდნენ, მეფე და კარისკაცები - როსტევან - სოგრატობაზედ სდებდნენ თავს, მსახურნი შერმადინობდნენ და მოახლე - გამდელები კი ასმათობას სჩემობდნენ“ (წერეთელი 2015:199).

ცნობილია, რომ აკაკი წერეთელმა უნივერსიტეტის დასამთავრებლად სადიპლომო ნაშრომად წარადგინა კვლევა „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალურობის (ქართულობის) შესახებ, უფრო გვიან კი თბილისსა და ქუთაისში წაიკითხა ლექციები რუსთაველის შესახებ. ეს ის ლექციებია, რომლებმაც ილია ჭავჭავაძის მწვავე გამოხმაურება გამოიწვია, თუმცა აკაკის აზრი არ შეუცვლია და საპასუხო წერილშიც

საკუთარ აზრს იცავს. კერძოდ, ამბობს, რომ XII საუკუნის პოეტს თავის უკვდავ ქმნილებაში ის გამოუხატავს, რაც უნახავსო. საქართველოს სხვადასხვა კუთხის შვილები გამოუყვანია პოემაში, რითაც ის გვითხრა, რომ საერთო-საქვეყნო საქმის კეთება კუთხეების გაერთიანების, შეთანხმებული მოქმედების გარეშე შეუძლებელიაო (აკაკის შემოქმედებაში ხომ სისტემურია საქართველოს ჩონგურთან, კუთხეების კი სიმბოლოა შედარება. ამით პოეტი საქართველოს ერთიანობას ქადაგებდა, ეს კი მეტად მნიშვნელოვანი და აქტუალური საითხი გახლდათ XIX საუკუნეში). „ნესტან-დარეჯანი არის ჩვენი ქვეყნის მდგომარეობა“ (წერეთელი 1990: 300). აი, აკაკი წერეთლის მიერ წაკითხული და დანახული „ვეფხისტყაოსნის“ მთავარი დასკვნა.

წერილში „რამდენიმე სატყვა ბატონ ილია ჭავჭავაძის საპასუხოდ „ვეფხისტყაოსნის“ გამო“ აკაკი სინანულით აღნიშნავს, პოემის მხატვრულ-გამომსახველობით მხარეზე, ლექსწყობაზე საუბრის დრო ლექციაზე არა მქონდაო. მართლაც, საგანგებოდ ამ თემაზე არ მსჯელობს ლექტორი, თუმცა ზოგ შემთხვევაში საკუთარ აღტაცებას, აღფრთოვანებას მაინც გამოხატავს. როცა ნიმუშად მოჰყავს ეს სტროფი: „ვერ დაიჭირავს სიკვდილსა...“, მას ასეთ კომენტარს მოადევნებს:

„ნეტა თუ იყოს იმისთანა ქართველი, რომ ეს წაიკითხოს და რაღაც უცნაური გრძნობა არ გაემსჭვალოს გულში და სასიამოვნო ჟრუნტელმა არ დაურიოს ტანში?“ (იქვე: 280). უფრო ადრე კი: „მრავალ საუკუნეების განმავლობაში ქართველი პოეტები ისე ბრმათ გატაცებული იყვენ რუსთაველისგან, ისე ძლიერათ დამონებული, რომ ვეღარც კი წარმოედგინათ, თუ კიდე შეიძლებოდა სხვაგვარი ლექსის წერა, თუ არ თექვსმეტ მარცვლოვან და ოთხ ტაეპიან შაირისა“ (იქვე: 278). ესეც რუსთაველის პოეტური ძალის გავლენა მომდევნო ხანის პოეტებზე.

ზემოდამოწმებული სტროფი კი („ვერ დაიჭირავს სიკვდილსა...“) და სტროფის დამამთავრებელი აფორიზმი („სჯობს სიცოცხლესა ნამრახსა სიკვდილი სახელოვანი“) კიდეც არაერთხელ აქვს გამოყენებული „ბაში-აჩუკის“ ავტორს თავის მხატვრულ თუ პუბლიცისტურ წერილებში. მოთხრობაში „სოლომონ პირველი დიდი იმერეთის მეფე“ სასტიკად დასჯილი როსტომ ერისთავი თავსაც იმშვიდებს და სხვებსაც აიძულებს: „დიდებულო რუსთაველო, ლხინში ძლიერი ჭირშიაც მანუგემბელი ხარ!.. ტყუილად არ გითქვამს: ვერ დაიჭირავს სიკვდილსა... [მოყვანილია სტროფი ბოლომდე]“ (წერეთელი 2015: 297).

აკაკის ღრმა რწმენით, „ვეფხისტყაოსანში“ მარტო მე-12 საუკუნის საქართველოს ისტორიული ვითარება კი არაა ასახული, არამედ, საერთოდ, შეფარულად სამშობლოს სიყვარულია ნაქადაგები და ნაწინასწარმეტყველებია ჩვენი ქვეყნის მომავალი, პოეტის დაკვირვებით, თითქოს საგანგებოდ - XIX საუკუნის სოციალ-პოლიტიკური ვითარება.

წერილში „თანამედროვე ჰაზრები რუსთაველისაგან მე-12-ე საუკუნეში ნაწინასწარი“ აკაკი საგანგებოდ ეხება საკითხს - რა არის „ვეფხისტყაოსანში“ ისეთი, რომელია ისეთია იდეა (ან იდეები), რომელსაც XIX საუკუნეში, მხოლოდ XIX-ში მოითხოვს კაცობრიობა. სწორედ კაცობრიობა, რადგან აკაკის ღრმა რწმენით, რუსთაველი საკაცობრიო მწერალია. „უპირველესი არა მარტო ქართველებში, თამამად ვიტყვი უპირველესთაგანი მსოფლიო მწერლობაშიაც“ (წერეთელი 1990: 444). რაც ახლა ადვილად ითქმის, საყოველთაოდ მიღებულია, ყველასგან აღიარებული, უეჭველი და უკამათო, ყოველთვის ასე როდი იყო. XIX საუკუნეში რუსთაველის მსოფლიო მნიშვნელობის მწერლად მოხსენიება ჯერ კიდევ დასასაბუთებელი, დასამტკიცებელი გახლდათ. და აი, აკაკი წერეთელი ნათქვამის დასადასტურებლად ჩამოთვლის „ვეფხისტყაოსნის“ იმ იდეებს, რომლებიც XIX საუკუნეში აღელვებდა მსოფლიოს: სქესთა, ესე იგი დედაკაცის მამაკაცთან თანასწორობა, გვარიშვილობის და ჩამომავლობის არარაობა,.. მეგობრის არდავიწყება, თანხმობით მოქმედების აუცილებლობა და სხვანი.

აკაკი წერეთელს არაერთხელ გამოუთქვამს თავისი აზრი ქართველი ქალის შესახებ. იგი, საზოგადოდ, მაღალი აზრისა გახლდათ მანდილოსანზე, აღმერთებდა, აიდეალებდა მას. ქალის ამადლებასა და მისი დამოუკიდებლობის აღიარებას ხედავს იგი პოემაში და საგანგებოდ მსჯელობს ამ საკითხზე. ყურადღებას მიაქცევს, რომ ძველ საქართველოში ქალს, სოციალური წარმოშობის მიუხედავად, ჰქონდა საკუთარი შეხედულებების კვალობაზე თავისუფლად მოქმედების საშუალება და უფლება (იქნებოდა ეს მეფე, ვაჭრის ცოლი თუ მოახლე). საიდან უნდა მოეტანა ეს აზრი პოეტს XII საუკუნეში? სტატიის ავტორისთვის ცხადია, რომ რუსთაველმა თავისი გრძნობა-გონების მასალა იპოვა ქართველებშივე, მამასადამე, ასეთი თავისუფალი ცხოვრება გვქონია მაშინ. მაჰმადიანი ქალებისგან განსხვავებით, ქართველები სწავლა-მეცადინეობასაც ეწაფებოდნენ. აი, რატომ მიაჩნია აკაკის „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია“ თავის თანამედროვე, ცინცხალ აზრად.

ჩამომავლობა-გვარიშვილობაზე საუბრის დროს შემთხვევას არ უშვებს ხელიდან, რომ ჩვენი დიდი და ძველი ისტორია შეახსენოს მსმენელსა თუ მკითხველს: „რამდენიმე ათასი წელი გვიცხოვრია საკუთარს ეროვნული ელფერით, ყოველთვის გვქონია საკუთარი სამეფო და ვხსენებულვართ მსოფლიო ქართველ-ერად“ (წერეთელი 2014: 447). „ვეფხისტყაოსანი“ კვებავს XIX საუკუნის პოეტის ეროვნულ

სიამაყეს, ის აძლევს აწმყოს გაძლებების ღონესაც და აიძულებს სამომავლოდაც. „ამ უნუგემობაშიაც კიდევ ნუგემს გვცემს და გვამხნევენს რუსთაველი“.

აქ, ამ წერილში ავითარებს აკაკი წერეთელი იმ აზრს, რომელიც არასოდეს შეუცვლია, რომ ჩვენში წინათ ბატონყმობა კი არა, პატრონყმობა იყო და არ ყოფილა ძალადობა, უფალ-მონობა. იყო ურთიერთგაგება, პატივისცემა და საერთო ინტერესებით განმტკიცებული კავშირი.

აქვე დაჟინებით, კვლავ იმეორებს საკუთარ თვალთახედვას იმის შესახებ, რომ ნესტან-დარეჯანი საქართველოა, ხოლო სამშობლოს გასათავისუფლებლად აუცილებელია სხვადასხვა კუთხეების ერთიანობა. „მისი „ვეფხისტყაოსანი“ სხვათა შორის პოეტური წინასწარმეტყველებაა! - წერს აკაკი, - ჩვენ შეგვიძლია ვიგულისხმოთ, რომ ქაჯებისაგან დამონებული და წაყვანილი ნესტან-დარეჯანი საქართველოა და იმისი მამებარი მისივე შვილები... ის სამი გმირი ტარიელი, ავთანდილი და ფრიდონ წარმომადგენელი არიან მთლიან საქართველოსი - იმათ თუ ძალა ერთმანეთს არ შეუერთეს, ისე ვერას გახდებიან ცალ-ცალკე და ვერ გამოიხსნიან ნესტან-დარეჯანს. სწორედ ასე ამერ-იმერმა და შავი ზღვის პირმა უნდა შეაერთოს ძალა და ძმურის თანხმობით მიადგენ ქაჯეთს“ (იქვე: 460).

რუსთაველის აფორიზმების ხშირად გამოყენება იმდენად დამახასიათებელია აკაკისთვის, რომ მის სტილურ ნიშნადაც შეიძლება ჩაითვალოს. ამ მხრივ გამონაკლისი, ცხადია, არც დრამატურული ნაწარმოებები გახლავთ.. პოეტი ხანდახან თავისუფლად იქცევა, თავის ნებაზე, სიტუაციის შესაფერისად გადაასხვავებებს რომელიმე გამონათქვამს, რუსთაველურ ფრაზას. იმდენადა აქვს გათავისებული XII საუკუნეში შექმნილი პოემა, რომ როგორც რამ შინაურს, ისე ეპყრობა. მაგალითად, „კუდურ-ხანუმის“ ერთ-ერთი პერსონაჟი (ელენე) ამბობს: „სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა: შუა უზის დიდი ზღვარიო“ (წერეთელი 2015:213). გადაკეთებულია რუსთაველის მიერ სიყვარულზე ნათქვამი: „იგი სხვაა, სიძვა სხვაა, შუა უზის დიდი ზღვარი“.

„ენების გასამართლებაში“ ის სიტყვები (დღეს დიალექტური ფორმები) მიაჩნია ნამდვილ-ქართულად, რომლებიც რუსთაველს გამოუყენებია თავის პოემაში. ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ რუსთაველი წერდა კუთხური გამოთქმებით, არამედ იმას, რომ მაშინ ეს სიტყვებიც საერთო ქართულის ნაწილები იყო და მერე იქცა დიალექტად, - განმარტავს ავტორი. აქაც, ბუნებრივია, რუსთაველი და თავისუფალი, ერთიანი საქართველო გაიგივებულია ერთმანეთთან. „როდესც რუსთაველი არსებობდა, საქართველო შეადგენდა ერთს სამეფოს და არ იყო განაწილებული სხვადასხვა სამთავროებათ; ენაც ერთი ჰქონდათ, ე.ი. ის ენა, რომელიც რუსთაველს უხმარია (იქვე: 112). ასე რომ, როცა ერთი პერსონაჟი სამშობლოს თავისუფლებაზე ოცნებობს და მღერის:

„მინდა, რომ მისსა დიდებას  
დამღერდეს რუსთაველის ქნარი“ (იქვე: 212).

ცხადია, ამ კონტექსტში რუსთაველის ხსენება შემთხვევითი სულაც არ გახლავთ. სხვანაირად, ურუსთაველოდ წარმოუდგენელიც კია თავისუფალი, ერთიანი და ძლიერი საქართველო. რუსთაველია, თამართან ერთად, საოცნებო საქართველოს სიმბოლო. ამიტომაც მოექცა იგი ლეგენდის შარავანდედში, გასცდა ერთი კაცის, ერთი პოეტის სახელს და იქცა თავისუფლების მეტაფორად.

1907-08 წლებში დაუწერია აკაკის ლექსი „რამ გამოიწვია „ვეფხისტყაოსანი“, რომელსაც სათაურის ქვეშ ფრჩხილებში მინაწერი აქვს - ლეგენდა. ამ მინაწერით თავიდანვე მიგვანიშნებს ავტორი, რომ ამბავი გამოგონილია, წარმოსახვით შეთხზული და არ არის დაყრდნობილი ისტორიულ წყაროებზე. ამ ლეგენდის მიხედვით თამარი უმჯღავნებს რუსთაველს სიყვარულს (როგორც პოემაში მეფე-ქალები უტყდებიან პირველად გრძნობებში ვაჟებს). თამარმა იცის, რომ მის ლექსებში სამშობლოს სიყვარულია გადმოცემული და სთავაზობს ქვეყნის საკეთილდღეოდ ერთად საქმიანობას. ამ წინადადებას დიდი მადლიერებითა და გულისძგერით იღებს თვითონაც თამარზე შეყვარებული მგოსანი და ჰპირდება, რომ დაწერს პოემა „ვეფხისტყაოსანს“.

„სთქვა და დასწერა კიდევაც  
თამარ შეამკო ხელადა.  
თავი უმიროსს ამსგავსა  
და საქართველოს - ელლადა“ (წერეთელი 2012:209).

ასე მთავრდება ლექსი, რომელშიც რუსთაველი ჰომეროსთანაა გათანაბრებული. ქართველთა სიამაყეს, ღირსებას, სამომავლო იდეალებსა და ამ იდეალების დასამკვიდრებლად ბრძოლისა და თავგანწირვის სურვილს ასე ზრდის და წვრთნის აკაკი წერეთელი.

#### ლიტერატურა:

- ინგოროყვა 1963: 338 - ინგოროყვა პ., ნიკოლოზ ბარათაშვილი, თხზულებათა კრებული, ტ. I, თბ.  
მენაბდე 1984: 133 - მენაბდე ლ., რუსთაველი რუსულ ლიტერატურაში, მწიგნობარი 83, თბ.  
ორბელიანი 1992: 478 - ორბელიანი ვ., იმედი, ქართული მწერლობა, ტ. 9, თბ.

სირამე 1997: 48 - სირამე რ., სული, დავნებული სურვილითა, აღ. ორბ-ის ხსოვნისადმი მიძღვნილი პირველი სამეცნ. კონფ., თბ.

წერეთელი 2011: 217 - წერეთელი ა., თხზ. სრ. კრებ. ოც ტომად, ტ. II, თბ.

წერეთელი 2012:209 - წერეთელი ა., თხზ. სრ. კრებ. ოც ტომად, ტ. III, თბ.

წერეთელი 2014:447 - წერეთელი ა., თხზ. სრ. კრებ. ოც ტომად, ტ.V, თბ.

წერეთელი 2015: 127 - წერეთელი ა., თხზ. სრ. კრებ. ოც ტომად, ტ.VI, თბ.

წერეთელი 2015: 297 - წერეთელი ა., თხზ. სრ. კრებ. ოც ტომად, ტ.VII, თბ.

წერეთელი 2015:213 - წერეთელი ა., თხზ. სრ. კრებ. ოც ტომად, ტ. VIII, თბ.

წერეთელი 1990: 300 - წერეთელი ა., რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად, ტ. IV, თბ.

წერეთელი 1990: 444 - წერეთელი ა., რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად, ტ. V, თბ.

*Nino Vakhania*

*Sokhumi State University*

**“THE KNIGHT IN THE PANTHER’S SKIN” AND XIX CENTURY’S LITERATURE  
(ROMANTICISTS AND AKAKI TSERETELI)  
RESUME**

Shota Rustaveli for Georgian romanticists is criterion, meter of poetry. To this end they rely and continue on literary tradition. They equated with each other “The Knight in the Panther's Skin” and free, powerful and united Georgia coming from Tamar’s times. When Grigol Orbeliani dreams on revival of rich language and again hear Rustaveli’s voice, he meant independence of Georgia and rejoices King Tamar’s epoch in his thoughts.

Aleksandre Orbeliani notes about Rustaveli’s divine origin, it is not casual that Vakhtang Orbeliani fancied childhood and years of Rustaveli’s education and narrated in the poem. To his mind Shota Rustaveli was a poet of real Georgian dialect, role model even in the 19<sup>th</sup> century.

Georgian sixtiers wrapped up author of “The Knight in the Panther's Skin” I and his biography in the involucrum of legend. Begun from romanticists the case was also continued by Akaki Tsereteli, who himself dedicated some verses to Rustaveli. In one of his verses he provided us his original version on writing poem.

Akaki Tsereteli equated Nestan-Darejani to Georgia and heroes rescuing her to Georgian patriots. This metaphor – captured Nestan – conquered Georgia took systematic image in Akaki Tsereteli’s works.

His “Three lectures” that caused controversy with Ilia Chavchavadze is noteworthy paper in many respects. Frequent use of aphorisms of “The Knight in the Panther's Skin” both in fiction and journalistic works and association of various situations to the plot of poem clearly shows that Akaki’s mentality is provided in under this poem.

*თამილა ზვიადაძე*

*სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

**ენობრივი რესურსის სტილისტიკური ფუნქცია დოკუმენტურ პროზაში  
(ელგუჯა თავბერიძის ბიოგრაფიული რომანის - „მარშალი და მარშლის შვილის“ მიხედვით)**

ნებისმიერი დოკუმენტური პროზის ერთ-ერთი მთავარი ღირსება ისაა, რომ იგი ნამდვილ ამბებს ეფუძნება, მონოგრაფიულ-საარქივო და რეალურ ცნობებს ემყარება. დოკუმენტურ პროზაში ჩანს ავტორის ინდივიდუალობა, იდენტობა - ის იმას ჰყვება, რაც სწორედ მისთვისაა უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი.

ელგუჯა თავბერიძე ზედმიწევნით კარგად იცნობს იმ ეპოქას, რომელსაც აღწერს, სრულყოფილად წარმოაჩენს ფონს, ამ ფონზე კი ხელშესახებად იკვეთება ქართველი თავადაზნაურობის თავისებურებანიც და ღირსებანიც. როგორც თავად ამბობს: „სვიმონ წერეთლის თავგადასავლის მოთხრობით თავადაზნაურობის საკმაო ნაწილის ცხოვრებაც დაიხატება და ფიქრიც გამხილდება“ (ელ. თავბერიძე, 2016, 4). ასეცაა: წიგნში წარმოდგენილია სახეების მთელი გალერეა. ცნობილი თუ აქამდე უცნობი ადამიანების ხასიათები, თვისებები გახსნილია მათი ქმედების, საქმესთან დამოკიდებულების მიხედვით.

წიგნი საკმაოდ ინფორმატიულია, აქამდე უცნობი მასალითა და საინტერესო მოულოდნელობებითაც სავსე.

სტრუქტურას რაც შეეხება, წიგნში თავდაზნაურთა ჩვეულებრივი თუ უჩვეულო კრებების განხილვას ეთმობა არაერთი გვერდი. ავტორი შენიშნავს: „ნებისმიერი კრება კანცელარიულ, საოქმო წესწყობასაა მისადაგებული და სქემატურია. თავდაზნაურთა კრებები, ბუნებრივია, გამონაკლისი ვერ იქმნებოდა, მაგრამ ქვეყნის უპირველესი წოდების სულისკვეთების და ნაფიქრ-განაზრახის გასაგებად უკეთეს საშუალებას მწელიად იპოვის კაციო“ (ელ. თავბერიძე, 2016, 134).

საინტერესოა, რა ენობრივი რესურსით ახერხებს ავტორი საკმაოდ რთული ეპოქის დახატვას, რა სტილური ფუნქცია აკისრია გამოსახვის ხერხებს, ავტორისა თუ პერსონაჟის სიტყვას, გამოთქმას, თხრობის მანერას.

ერთი თავიდანვე უნდა აღვნიშნოთ: ელგუჯა თავბერიძის წიგნი ისეთი სტილური ექსპრესიითაა შესრულებული, რომ ერთი შეხედვით მოსაწყენი ამბებიც საინტერესოდ იკითხება, რადგან ავტორს არასოდეს ღალატობს იუმორის გრძნობა. მისი ენა ლაღი, ბუნებრივი, სალაპარაკო ენასთან მაქსიმალურად მიახლოებული, მაგრამ აზრობრივი აქცენტების გადანაწილებით გამდიდრებული ენაა. ენობრივი და სტილური თავისებურებები იმაშიც მქადავდება, როგორ შეუძლია ავტორს ამბავი ხან აღმატებულად, ხანაც ირონიით შეაფასოს და ცოცხალი, შეიძლება ითქვას, **ცინცხალი** სასაუბრო ენის მასალა გამოიყენოს ამისათვის.

გრამატიკულ ფორმათაგან ყურადღებას იქცევს წარსულ დროთა მონაცვლეობა. ქართულში ორგვარი ნამყო - ძირითადი და თურმეობითი. მეორე სპეციფიკურია და მხატვრულ ტექსტში აშკარად სტილიზებული. თხრობა ჯერ ნამყო ძირითადის გამოყენებით მიმდინარეობს და მერე გადადის თურმეობითში, რომელიც მოქმედების შესაძლებლობაა წარსულში და ახლავს მცირე ალბათობა თუ დაურწმუნებლობა. შესაბამის კონტექსტში გამოყენებული მწკრივთა ფორმები განსხვავებული სემანტიკური ნიუანსების გადმოცემის საშუალებას იძლევა. წარსული დროების მონაცვლეობა აიხსნება სიუჟეტური დროის აბსოლუტიზაციით, დროის ფორმა უკავშირდება აღწერის ტიპს.

თუმცა წიგნის ენობრივი ხიბლი ძირითადად ლექსიკა-ფრაზეოლოგიაზე მოდის და ჩვენც მასზე შევაჩერებთ ყურადღებას.

თხრობა იწყება ქუთაისიდან პეტერბურგში კონსტანტინე ოლდენბურგის გაცილებით. ავტორი თავიდანვე ირჩევს ხუმრობანარევ კილოს. თავდაზნაურთა დამოკიდებულება ექსპრესიულად გამოიხატება სტილისტიკურად მარკირებული სიტყვებითა თუ გამოთქმებით, მაგალითად, ასეთებით: „ქალაქის მცხოვრებლები **წააუნადიმებდნენ** მათ პატივსაცემადო“, აუტანლად ცხელოდა, ამიტომ ოხუნჯობდნენ: „ჯობდა ჯერ სიცხეს გამოვთხოვებოდით, მერე - პრინცსო“, „**აჭაბაჭია** აზნაურები ლაილაობდნენ“, კეთილშობილები ხოტბას ერთმანეთს არ აცლიდნენ, ზოგი სიმართლესაც გაურევდა და აქამდე ნაუბნს **ცივ წყალს გადაასხამდა, გაანიაგაანორწყლებდა**“.

განწყობა აშკარად იქმნება და სვიმონ წერეთლის ხასიათიც ამ ეპიზოდიდანვე იკვეთება: „იჯდა და ისმენდა სვიმონი **პანეგირიკებსო** - გვეუბნება ავტორი, ვიღაცის ნათქვამზე გაღიმებია, ვიღაცისათვის სიტყვის დასრულება უთხოვია. მლიქვნელობის, არაგულწრფელობის ზეიმი გულზე არ ეხატებოდა, მაგრამ მეხოტბეებს რა დალევს ამ ქვეყანაში?!

და აქ ხშირად სტილისტიკურად მარკირებული ერთი საინტერესო ლექსიკური ერთეული: „**გოთურმანი**“ (თამაშის სახეობას აღნიშნავს). სტუმრად მოსულ და მასპინძლადქცეულთა თავიდან მოსაცილებლად რომ ეოცნებება **კოწია დადიანს**: „თათრებთან მათამაშა და იმ მინუტში გამცხებია სულიო“ (თათრებს ამბობს და რუსებს გულისხმობს). ამ სიტყვის სიმბოლური კოდი, ცხადია, თავისუფლებასთან ასოცირდება და ჟღერს, როგორ ლაიტმოტივი, რომელმაც უნდა გადაანაწილოს სიმბოლური ინფორმაცია. სვიმონის პორტრეტის შექმნასაც სწორედ ამ გაშლილი მეტაფორით იწყებს ავტორი: „**სვიმონი ხშირად მოაყოლებდა ხოლმე კოწიას ამ ამბავს - თავიდან იცინოდა, მერე სახე მოედრუბლებოდა, თვალეში ნისლი ჩაუსახლდებოდა, ხედავდა, ვერც ხედავდა, უნდოდა ეტირა, ეყვირა, ევიშვიშა, მაგრამ წინამძღოლობას უფრთხოდა**“ (ელ. თავბერიძე, 2016, 10);

და უკვე გასაგებია, რატომ არაა თავდაზნაურთა წინამძღოლთაგან ყველა **ერთი ჯოხით გასადენი!** თვითონაც მოსწონს **კოწია დადიანის გოთურმანი** ბატონ ელგუჯას! „რუსებთან - ჩვენ პირდაპირ ვთქვით, რას ვეკრძალებით - მათამაშა გოთურმანი და მომკლა მერეო!“ - ამბობს.

ცოცხალი ენობრივი წიაღიდან მწერალი საოცრად ლაკონურ, ემოციური შეფერილობითა თუ აზრობრივი დატვირთვით გამორჩეულ ნიმუშებს ირჩევს. იგი ქმნის ეთნოკოლორიტს. ამ შემთხვევაში იმერული დიალექტისათვის დამახასიათებელ სიტყვა-გამოთქმათა თანწყობაში ჩნდება გასაოცარი სტილური მომხიბვლელობა.

თავდაზნაურთა ცხოვრების ამსახველი არაერთი მეტყველი ფრაზა გახმიანდა წიგნში. ავტორს ზოგი მოსწონს, ზოგი - არა. მაგალითად, „როცა ყალბისმქნელებზე საუბრობს, აკაკის გამონათქვამს

იმოწმებს: „საციმბირო საქონლის“ მონდომებული მუშტარი შეიქნა ყველაო და შეფასებასაც არ აყოვნებს: „კაია, კაი **საციმბირო საქონელი** - ჭემმარიტი გამომხატველია იმისა, რაც და როგორც ხდებოდა“. ასევე მოსწონს გამოთქმა **დავრდომილი ყოფა, რომელიც** მართალია, „**ნამეტანობის**“ სულისკვეთებით იყო წამოსროლილი, მაგრამ, ვაი, რომ ზუსტი.

ასევე : „**დედაბრული ნეიტრალიტეტი**“, ან თუნდაც „**დროების ალიაბალიაობა**“.

დავით კლდიაშვილისეულ „შემოდგომის აზნაურს“ ეხმიანება „**ჩისარსალა აზნაური**“-ღარიბი, ლატაკი, არაფრის მქონე.

ნებისმიერ განცდას აუცილებლად უნდა დაეძებნოს შესაფერისი სიტყვა. ზოგჯერ ერთ ფრაზაში, ქცევის თუ საუბრის მანერაში იხატება პიროვნება. ერთ-ერთი კრების შემდეგ მოლალატე თავადაზნაურზე წერს მწერალი: „კიბზე ჩამოსვლისას იუდასა და მოლალატეს ეძახდნენ. რას მერჩით, ბატონებო, **წამოიყორყლა** თურმე. ამ სიტყვით გამხილდა მთელი ამბის დედააზრი, სიტუაცია დაიხატა და პიროვნება **გაკაშკაშდაო**“ (ელ. თავბერიძე, 2016, 51).

ცხადია, რომ ირონია აღწერილი სიტუაციებიდან შეიძლება ამოიზარდოს, მაგრამ მას აუცილებლად სჭირდება სწორად შერჩეული ენობრივი რესურსი. ეს სიტუაციები განსაკუთრებით მრავლადაა წიგნის იმ ნაწილში, სადაც ავტორი მიწების გამოჯენისა და წოდების მაძიებელთა ამბებს აღწერს. „**მკადს დანატრებულესაც** აზნაურობა უნდოდაო“ - ამბობს და ამ ერთი ფრაზით ზუსტად გამოხატავს სათქმელს. ამასთან ისეთ ეპიზოდებს ურთავს, რომლითაც ხაზი ესმება სახასიათო შტრიხებს ისე, რომ შეუძლებელია, ცხადად არ წარმოიდგინო და დაინახო. რომელი ერთი გავისხენოთ: დიდკაცობის სურვილაკვიატებული **ძიკი ცქირია**, გაჩალიჩებული საბუთებითა და ქისაში მოქუჩებული ფულით ჯორზე ამხედრებული რომ დაადგება ქუთაისისკენ მიმავალ გზას და თუ აზნაურობის მაძიებელი **წითლიძის** მთავარსარდლის ხმით ნაბრძანები: „მამლები დაკალით, ყველას თავი დააყრევინეთ, აზნაურ კაცს არ შემშვენის სახლის გვერდით საქათმე და მამლის ყივილიო...“ თუნდაც **ესტატე ნოდარეიშვილის ფხოკიალი** და **გაიმასქნება** - მამაპაპური ბუხარი რომ დაშალა, აქაოდა, დიდკაცობის დამამტკიცებელი საბუთები აგერ ყოფილაო... ჯავრ-წუხილისათვის მალამოს კაიხანს რომ ეძებდა და როგორც იქნა, მოძებნა... თუმცა ამაოდ გაისარჯა, „რა მეაზნაურებოდა, რომელი დადიანის ლაშქრის წევრები ჩემები იყვნენო - ფიქრობდა შემდეგ იმედგაცრუებული.

ირონით მოიხსენიებს მწერალი იმათაც, ვისი „სიგელ-გუჯრებიც თავგს ზუსტად იმ ალაგას გამოეხრა, სადაც მათი წინაპრების გვარ-სახელები ეწერა“...

თხრობას ბუნებრიობას მატებს და ერთგვარად სახალისოს ხდის ასევე მწერლის შეფასებები, ჩანართები:

„ამ ამბებამდე ბევრმა წყალმა ჩაიარა, მამალმაც ბევრი იყივლა. მოდით, წყალთა დენას თვალი მივადევნოთ და მამლის ყივილს ყური მივუგდოთ.“

ან: „ეს ნათქვამი ზღვაში წვეთი, მაგრამ ნუ დავკარგვთ ამ წვეთსაც“...

„კაიზე კაი გავაგრძელოთ“... კიდევ ერთი რგოლი შევმატოთ, **ამასიმასობის ჯაჭვს**“. ხან კიდევ გვითანხმებს: „კორონაციაზე წასულებს ნუ ჩამოვთვლით, გვარსახელების ჩამოწიკვიკება თხრობას შეანელებსო...“

და როცა თხრობა მსგავსი სიტყვებითა თუ ფრაზებით ივსება, ვთქვათ ასეთით: „...**გაცუცურაკდება**“, „არ ცეკვავდა ნესტორის **დიპლიპიტოზე**“, „კაიხანს **ახეხინა ციხის კედლები**, „კალისტრატეს **ალჩუს დასასრული არ უჩანს**“, „**ქრისტეს ტირილი** და ცოდვის დღე დატრიალდა“, „მის სახელსა და მოდემას **სანავარდოდ** გაიხდიან“. „ნუსხაში **კაკაკ-კაკალაა ჩამოწიკვიკებული ყველაფერი**“, „ასათიანმა **დეგვირლომტარიელობა** ვერ მოიშალა.“ „**სალომეველო რუსული**“, ბანკის მუშაკების **მიჩოთქილ - მოჩოთქილი** წლიური შემოსავალი“, „**ლეკებივით წალალავდნენ** მათ მიწაზე შერევილ საქონელს“, „**ასკი-კუკუსავით** იჩინეს თავი“, „სიმონ წერეთელი **დროის არტახებიდან ვერ ამოხტებოდა**, „**ჰოსა და არას შუა გაუვლია მოპასუხეს**“ და სხვ. ხვდები, რა ოსტატურად იყენებს მწერალი მსგავს გამოთქმათა მხატვრულ პოტენციალს. ეს სამეტყველო სტრატეგიები და ემოციური რეაგირების მზა ფორმულები ბუნებრიობას მატებს ტექსტს და თხრობის დინამიკას აძლიერებს. სიტყვათა მყარი შეხამებანი თავადაც მოსწონს ბატონ ელგუჯას, ერთგან, როცა აკაკის აზრს გვიზიარებს, აზუსტებს კიდევ ნათქვამს: „აზნაურობის მოტრფიალე გლეხობა და უსაბუთო აზნაურები ერთ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ - აკაკი უკეთესად ამბობდა: **ერთ ტაფაში იწვოდნენო**.“

მსგავსი ფუძეების გამეორებით მწერალი საოცარ სტილურ ეფექტს ქმნის: „**მთასავით** კაცს ხმაც **მთისხელა** ჰქონდა, ისე ბუბუნებდა, გეგონებოდა, **მთები** მოძახილს ამბობენო. „**თავსატები** მოემატა **თავსატებიან** დროებას“. „**თვალხუჭია** ცილიარიცვი **თვალხუჭიებსა** და თვალგახელილებსაც გამორჩათ“, „**აღარც წინამდლოლი** უნდოდათ, **აღარც წინამდლომელი**“.

ცოცხალი სასაუბრო მეტყველებიდან აღებული ფორმები თითქმის ყოველთვის ზუსტადაა შერჩეული და თავშესაქცევად ირონიული. ამის დამადასტურებლად თუნდაც ის ეპოზოდი შეიძლება



გავიხსენოთ, რომელიც წიგნის გარეკანზეა გამოტანილი, შეზავებული საოცარი ლექსიკური ერთეულებით, სწორედ ისეთებით, ცინცხალ სასაუბრო ენას, დიალექტს რომ შემოუნახავს საგანძურით და რომლითაც ასე ექსპრესიულად გადმოიცემა მთავარი სათქმელი:

„მკვდრის გაცოცხლებას ჰგავდა სამაისოდ ქუთაისის გაცოცხლება, დასავლეთ საქართველოს კეთილშობილები მოაწყდებოდნენ, იფიქრებთ საქვეყნო საწუხარზე სამუსაიფოდ უკეთეს დროსა და ადგილს სად ნახავდნენო. არ გეტკინოთ არაფერი - ბევრზე ბევრი რაც ებადათ, იმის გასაყიდად ჩამოდიოდა. იკითხავთ რა ებადათ **ჯიბეგამოფხეკილებსო**, ხმა, ბატონებო, ხმა! ხმის სარფიანად გაყიდვისთვის **დაწოწიალობდნენ!**... ყიდვა-გაყიდვა ზოგჯერ იმით ბოლოვდებოდა, ამომრჩევს ხმა ეკარგებოდა, ღვინოში დამბალი თავით ველარ იხსენებდა, ვის მიჰყიდა... **რავარია უხმო ამომრჩევი!**“

მკითხველს სიცილი ეძალემა, ავტორი კი განაგრძობს: „ბევრი მხიარულ ხასიათზე ბრუნდებოდა შინ, რომ არ ველოდი, ხმა იმ ფასად გავყიდეო, ცოტანი მოწყენილები: ხმის ბაზარი გაფუჭდა, კაპიციც არ შემომამლიესო...“

ანდა: „სამეგრელოს დეპუტაცია მიუგზავნიათ ბახვა ფაღვას თავკაცობით, რომელსაც ყველა მოწიწებით შესცქეროდა, დარბაზის შუაში იჯდა, აქეთ-იქით მეგრელები უსხდნენ და ხელის მოძრაობით ხვდებოდნენ, ვინ გათეთრებინათ, ვინ გაეშავებინათ“.

როგორც ელგუჯა თავბერიძე აღნიშნავს: „**ბევრ დროს მოერგება დადამზღავებული, თარგზე მოჭრილი მათი სააზროვნო განწყობილებანიო**“.

არ შეიძლება, არ დაეთანხმო!

წიგნში ყურადღებას იქცევს ონომასტიკური მასალაც, რომელსაც ორიენტაციის საშუალების გარდა, მხატვრულ-ესთეტიკურ ფუნქციაც ენიჭება. მხატვრულ-ლიტერატურულ კონტექსტში მოხვედრისას საკუთარი სახელი დამატებით ინფორმაციას იძენს, რის შედეგადაც შიდა ფორმის ხელახალი რეალიზება ხდება. ძლიერდება ონიმაში ერთი ელემენტი, რაც საკუთარი სახელის, როგორც მაღალეფექტურ სტილისტურ ხერხად გამოყენების საშუალებას იძლევა. მაგალითად შეიძლება დავასახელოთ აკაკისეული „**საყივარის ბრევი**“, რომელიც, როგორც ავტორი ამბობს, ნამდვილიც შეიძლება იყოს და გამოგონილიც. ადგილის სახელწოდება ფრაზეოლოგიზმადაა ქცეული და მეტაფორული მნიშვნელობისაა. **საყივარის ბრეკზე შედგომა** - სიხარულის გამოხატვა: „შედექი საყივარის ბრეკზე და აფრიალე დროშა“.

ტოპონიმები, მიკროტოპონიმები, იოკონიმები... საკმაოადა ამ წიგნში. ისინი, შეიძლება არც იყოს დაფიქსირებული გეოგრაფიულ ცნობარებში და გვხვდებოდეს წერილობით დოკუმენტებში, საიდანაც მწერალმა წიგნში შემოიტანა.

წიგნი სოციოლინგვისტიკებისათვის იქნება საინტერესო. აქ წარმოდგენილია, როგორი იყო ენობრივი სიტუაცია იმდროინდელ საქართველოში. ამ მხრივ მნიშვნელოვანია რამდენიმე ეპიზოდი: დაწყებით კლასებში ქართული ენაზე და არა რუსულად სწავლება, ზუგდიდისა და სენაკის მაზრების სკოლებში ქართულად და არა მეგრულად სწავლების მოთხოვნა. ქართული ენის ფუნქციონირების საკითხი სამეგრელო-სვანეთში ყოველთვის იყო საყურადღებო. ელგუჯა თავბერიძე სრულად გვაწვდის ზუგდიდისა და სენაკის მაზრის თავადაზნაურთა შუამდგომლობის ტექსტს, სადაც ვკითხულობთ: „ქართული იყო და არის ჩვენი დედაენა, ამ ენაზე გავიგეთ პირველად სიტყვა ღვთისა, ამ ენაზე გვაქვს ლიტერატურა. ...ქართული ენის შეუსწავლელად შვილები განუვითარებელი დაგვრჩებიანო...“

წიგნი საინტერესოა როგორც თემატიკის, ისე საკუთარი ცოცხალი ენის წყალობით. აქ ნებისმიერი სიტყვათმეთანხმება თუ დიალოგი ბუნებრივი, სასაუბრო ენითაა გადმოცემული და თავისი გულახდილობით შთამბეჭდავი. ავტორს საკუთარი ენობრივი სპეციფიკა გააჩნია და გამომდინარე მოსაუბრისაგან, განსხვავებულ ენობრივ რესურსს ეყრდნობა. მწერლის ხერხია, პირველ რიგში შეუქმნას მკითხველს ხალისიანი განწყობა და ამ ფონზე მოგვაწოდოს რეალობა, საზოგადოების ძირითად ფენებში გაბატონებული მენტალიტეტი დაგვანახოს, კარგიც აჩვენოს და ავიც, თავისეული გამოსავალიც შემოგვთავაზოს, მიგვანიშნოს სტრატეგიაზე, რომელიც უკეთესი იქნებოდა მოცემულ სიტუაციაში.

### ლიტერატურა:

ელგუჯა თავბერიძე, „მარშალი და მარშლის შვილი“, ქუთაისი, 2016.

*Tamila Zviadadze*

*Sokhumi State University*

**STYLISTIC FUNCTION OF LINGUAL RESOURCE IN DOCUMENTARY PROSE  
(IN ACCORDANCE WITH ELGUJA TAVBERIDZE'S BIOGRAPHICAL NOVEL – "MARSHAL  
AND MARSHAL'S CHILD")**

**RESUME**

One of the main dignity of any documentary proses is that they are based on real cases, monographic-archival and real notices.

Individuality and identity is found in documentary prose – narrating exactly what is principal and important for individual. Elguja Tavberidze thoroughly is aware about the epoch described by him, completely reflecting the background and on this background are obviously shown peculiarities and dignities of Georgian nobility. In the book is provided entire gallery of some characters. Dispositions, features of to present unknown persons are open in accordance with their actions and relation with the task. The book is quite informative, full of material and interesting unexpectedness unknown to present.

Alternation of times draws attention out of grammatical forms that is described with the absolutization of the time of plot, the form of time is related to the type of description.

Lingual beauty of book, mainly vocabulary – relates to the phraseology and in the article attention is paid to aforesaid.

Writer selects distinguished samples full of emotion or semantic from vivid lingual bosom. It creates ethnocolouring. In this case in the coordination of words and expressions typical to Imeretian dialect is arisen amazing stylistic charm.

*ელენე ზურაბაშვილი*

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

**ივანე მაჩაბლის თარგმანი და ქართული თეატრის აღორძინება**

მხატვრულ-შემოქმედებითი აზროვნების განვითარების მრავალსაუკუნოვან ისტორიაში პოეზია გაიაზრებოდა ადამიანის გაკეთილშობილების, მისი კათარზისისა და სულიერ ფასეულობასთან ზიარების საუკეთესო საშუალებად. პოეზიის გვირგვინი კი დრამა და დრამატული მწერლობაა. დრამის სამსახური საყურადღებოა კულტურის განვითარებისათვის. დრამატული მწერლობის თვალსაჩინო ნიმუშების შექმნა დიდი ლიტერატურული ტრადიციების ერების ისტორიაში არაიშვიათად აღინიშნებოდა ეროვნული თეატრის დაარსებითა და აყვავებით. ამას თან სდევდა საზოგადოების კულტურული ცხოვრების გამოცოცხლება და განვითარება. მეორე მხრივ, ეროვნული თეატრის ჩამოყალიბებისა და აქტიური მოღვაწეობის პროცესი ორგანულად ბადებდა დრამატული ჟანრის ახალ-ახალი ნიმუშების შექმნის საჭიროებას. ე.წ. საზოგადოებრივი შეკვეთა მხატვრული შემოქმედების ამ სფეროს ყველაზე ნიჭიერ წარმომადგენლებს გაზრდილ მოთხოვნებს უყენებდა. ამგვარი პროცესი ფართოდ გაიშალა ქართული თეატრის განახლების დროიდან, XIX საუკუნის 50-იან წლებში. როგორც ცნობილია, ამ მოვლენის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი გიორგი ერისთავი იყო. მისი ორიგინალური პიესები საფუძვლად დაედო პირველ წარმოდგენებს („გაყრა“, „დავითი“, „ძუნწი“ და სხვ.). ბუნებრივია, ეს არ იქნებოდა საკმარისი. გიორგი ერისთავის დახმარებით და გავლენით ბევრმა მისმა თანამედროვემ დაიწყო პიესების წერა. გაჩაღდა აქტიური მთარგმნელობითი საქმიანობა, დრამატული ნიმუშების გადმოღება რუსული, ფრანგული და სხვა ევროპული ენებიდან. მაგალითად, დავით ყიფიანის თარგმნილი ალფრედ მიუსეს პიესა „ზაზალებს თითისტარი“ (როგორც ცნობილია, აქამდე მას ჰქონდა ფრანგულიდან თარგმნილი შექსპირის „რომეო და ჯულიეტა“). ამავე ხანებში გასცენიურდა მოლიერის „უნებური ექიმი“ („ძალად ექიმი“) სამწუხაროდ, სხვადასხვა მიზეზის გამო ქართული თეატრის აქტიური შემოქმედებითი ცხოვრება თანდათანობით შესუსტდა და ჩაქრა.

აღორძინების პერიოდი იწყება XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან, როდესაც თბილისში ჩამოყალიბდა სცენისმოყვარულთა წრე, ხოლო 1878 წელს დრამატული კომიტეტი დ. ყიფიანის, გ. თუმანიშვილის, ნ. ავალიშვილის, ა. სარაჯიშვილისა და ი. ბაქრაძის შემადგენლობით.

ივანე მაჩაბლის მიერ შექსპირის თარგმანებმა დიდი როლი შეასრულა თეატრალური ხელოვნების, სალიტერატურო ენის ჩამოყალიბება-განვითარებაში.

ლიტერატურული კლასიკის ისეთი ბუმბერაზის თარგმნა, როგორც შექსპირია, ივანე მაჩაბლამდე ბევრმა სცადა. ამ ნიმუშებს თანამედროვენი განსხვავებულ შეფასებებს აძლევდნენ. ჯერ კიდევ 1841 წელს 28 მაისს (9 ივნისს) ნიკოლოზ ბარათაშვილი თავისი ბიძის გრიგოლ ორბელიანისადმი მიწერილ წერილში მიუთითებდა დავით ყიფიანის მიერ „რომეო და ჯულიეტას“ თარგმნის მნიშვნელობას: „ჩვენმა ლიტერატურამ ორი კარგი თარგმანი იშოვა; დავით ყიფიანმა გადმოთარგმნა „რომეო და ჯულიეტა“, შექსპირის ტრაგედია და მე ვთარგმნე „იულიუს ტარენტელი“, ტრაგედია ლუიზევიცისა“... [1, 389].

საყურადღებოა ილია ჭავჭავაძის შეხედულება თავმნის ზოგიერთ თეორიულ-პრაქტიკულ პრობლემაზე, შეფასების კრიტერიუმზე [2, 8-9]. იგი ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში გასცნობია ევროპულ ლიტერატურას, კერძოდ, ინგლისური მწერლობის კლასიკოსებს და მათ თარგმანებზე გარკვეული აზრი ჰქონდა შემუშავებული.

საგულისხმოა, რომ ილია ჭავჭავაძისა და ივანე მაჩაბლის ერთობლივი შემოქმედებით საქმიანობით ქართულმა მწერლობამ შეიძინა შექსპირის „მეფე ლირის“ უბადლო პოეტური თარგმანი. განცვიფრებას იწვევს ის ლინგვისტური ნიჭი, შინაგანი გაბედულება, რომელიც ორ ახალგაზრდა შემოქმედს აღმოაჩნდა.

ამ დროისათვის უკვე იყო თარგმნილი შექსპირის რამდენიმე ტრაგედია, მაგრამ მათი უმრავლესობა თარგმანის თარგმანს წარმოადგენდა. ილია ჭავჭავაძისა და ივანე მაჩაბლის შექსპირისადმი ინტერესის გაღვივებას ხელი შეუწყო მუდმივი ქართული თეატრის შექმნის სურვილმაც. ეს დიდი საქმე ასტიმულირებდა მათ შემოქმედებით შრომას.

მხედველობაშია მისაღები, რომ ივანე მაჩაბელმა შექსპირის ტრაგედიების თარგმნა კარგა ხნის შემდეგ, 80-იან წლებში განახორციელა დამოუკიდებლად. იგი რამდენიმე წლით გაემგზავრა გერმანიასა და საფრანგეთში. დაიწყო გოლდონისა და მოლიერის პიესების გადმოქართულება. ფრანგული კლასიციტური დრამის უმნიშვნელოვანესი წარმომადგენლების ნაწარმოების ამეტყველება ახალ ქართულ სალიტერატურო ენაზე დიდად წაადგა ეროვნული თეატრი დაფუძნებასა და აყვავებას.

დიდი პოეტური ძალა და ოსტატობაა საჭირო, რომ გადატანილიყო შექსპირის პოეტური ჩანაფიქრი თავისი ფორმითურთ. მისი დიდი პოეტური ხედვა, რომ ყოფილიყო დაცული, უნდა შენარჩუნებულიყო თარგმანში აზრთან ერთად განუმეორებლად ძლიერი მხატვრული სურათოვნება.

მაჩაბლისათვის შექსპირის მხატვრული ენის თავისებურება არ წარმოადგენს დაუძლეველ დეტალს. იგი მოხერხებულად უძებნის გასაღებს ტროპულ ელემენტებს და გაპიროვნებას თავის განუმეორებელ ხიბლს უნარჩუნებს.

ივანე მაჩაბელმა დასძლია ის მანძილი, რომლით დაშორებულია ქართული და ინგლისური ენები, ის დაბრკოლებები, რომელსაც ქმნის შექსპირის ტრაგედიების ლექსი ქართული თარგმანისთვის.

ყველაზე მძიმე დაბრკოლებაა ის, რომ შექსპირის ათმარცვლიანი სტრიქონი მეტ ცნებებს იტევს, ვიდრე მის შესატყვისად არჩეული თორმეტმარცვლიანი ქართული სტრიქონი. ეს დაბრკოლება მაჩაბელმა მაინც გადალახა: ინგლისურ სიტყვათა სიმრავლეს სტრიქონში ქართულ გამოთქმათა ლაკონიზმი შეუფარდა.

ივანე მაჩაბელი დედნის შესაბამისად დაეყრდნო სალიტერატურო ენისა და ხალხური მეტყველების ტრადიციას. ხალხურია მაჩაბლის ლექსიკა, ანდაზები, კალამბურები. ბუნებრივია და ხასიათით ქართული მისი სინტაქსი. რამდენადაც ახალი ქართული სალიტერატურო ენა იმ დროს ჩამოყალიბების პროცესში იმყოფებოდა, ივანე მაჩაბელმა თავისი განსაკუთრებული წვლილი შეიტანა. ახალი სალიტერატურო ენის ფორმები გამოსცა ისე, რომ არ მოქცეულა უცხო ენის ფორმათა გავლენის ქვეშ, კერძოდ, წინადადების წყობაში.

იცოდა რა ქართული ენის ნიუანსები, ივ. მაჩაბელი პოულობს ინგლისური სიტყვებისა და გამოთქმების, შექსპირის მოქნილი წინადადებების შესატყვისებს. აზრის სიღრმის მიუხედავად, რომ თითქმის არ საჭიროებს კომენტარებს. შექსპირის მდიდარი დიალოგი თარგმანში დედნის დინამიურობით არის განმეორებული, ნაპოვნია შესატყვისები დამახასიათებელი სიტყვების თამაშისა და ორაზროვანი სიტყვების, გამოთქმების გადმოსაცემად.

შექსპირის ტრაგედიათა ძირითად ენობრივ და ლიტერატურულ-ესთეტიკურ მახასიათებლად შეიძლება მივიჩნიოთ იდიომატურ გამოთქმათა, აფორიზმთა მრავალფეროვანი ნიმუშები, რომლებიც ქმნიან სხარტი აზრობრივი კალამბურების შთამბეჭდავ მხატვრულ მოდელს. სალიტერატურო

ინგლისური ენის მრავალსაუკუნეობრივ ტრადიციაში ფრაზეოლოგიზმებსა და აფორიზმულ გამოთქმებს განსაკუთრებული ადგილი ეჭირა ენის გამომსახველობით საშუალებათა შორის.

ფრაზეოლოგიზმები, მიუხედავად ერთი შეხედვით „მყარი, დაუნაწევრებელი მხატვრული ერთობლიობისა, სხვა ენაზე გადმოცემისას მრავალვარიანტულ ცვლილებას განიცდის. მთარგმნელზე მშობლიური ენის ამოუწურავად სიმდიდრის გაცნობიერებისას და შემოქმედებით ალღოზე დამოკიდებული, როგორ მიუსადაგებს მშობლიური ენის შესაძლებლობებს, მსოფლიო ლიტერატურულ კლასიკოსს ისეთ ბუმბერაზ ფიგურას, როგორც შექსპირია“ [3, 38].

მხატვრული თარგმანის პროცესში მხატვრულ და ენობრივ შესატყვისობათა შორის საზღვარი სტილისტიკას არ სცილდება. მთარგმნელისათვის ენობრივ შესატყვისობათა ცოდნა-გამოყენება აუცილებელია. თარგმანში შენარჩუნებულია შექსპირისეული სახეების თავისთავადობა. თუმცა, ამავე დროს ზოგიერთ მათგანს დაძვინილი აქვს არასტანდარტული ანალოგიები. მთარგმნელს, ბევრ შემთხვევაში, გადააქვს შექსპირის რითმის სტრუქტურა, მათი განლაგება, ეფონიური მხარე და ამიტომ თარგმანშიც აკუსტიკაც დედნისეულია.

შექსპირის რთული პოეტური სამყაროს შეცნობა, მისი პოეტური თვისებების აღქმა მოითხოვს პიესებში გამოყენებული ტროპების გათვალისწინებას. ამავე დროს შექსპირისთვის დამახასიათებელია უბრალოება, სისადავე, ძალდაუტანებლობა, რომელიც ხელს უწყობს პოეტური ჩანაფიქრის, იდეისა და სახის გახსნას. მასთან ყოველი შედარება სიცხადის მატარებელია. ეს გამოწვეულია იმით, რომ ისინი გამომდინარეობენ ძირითადი საგნებიდან და ნაწარმოების ძირითადი თემაიდან.

ივანე მაჩაბლის წინაშე იდგა რთული ამოცანა. უპირველეს ყოვლისა, მას უნდა გარდაესახა მონუმენტური სახეები, გრანდიოზული ბუნების სურათები და სხვ., რაც დამახასიათებელია შექსპირის შემოქმედებისთვის. საჭირო იყო იმ პოეტური ფიგურალური საშუალებების, მდიდარი პოეტური აქსესუარების პოეტურად გადადნობა, რომლითაც მდიდარია შექსპირის შემოქმედება. ივანე მაჩაბელს ყოველმხრივად უნდა დაეცვა შექსპირის პიესების რაციონალური თავისებურებანი, კოლორიტი, უნდა გაეთვალისწინებინა ინტონაციურ-მელოდიური თავისებურებები.

მხატვრული თარგმანი აუცილებლად გაგებული უნდა იქნეს, როგორც კულტურათა დიალოგი, რომელიც არა მარტო კულტურათა ურთიერთობასა და გაცვლას გულისხმობს, არამედ, როგორც გოეთე ბრძანებდა, ენებს შორის შემოქმედებით პაექრობას და ამ დროს „მთარგმნელი ემსახურება არა მხოლოდ თავის ერს, არამედ იმ ერსაც, რომლის ენიდანაც თარგმნა წარმოებს. [4, 24].

#### ლიტერატურა:

1. ი. მეუნარგიას ჩანაწერები, ლიტერატურული მატრიანე, 1-2, თბ., 1940.
2. ი.ჭავჭავაძე, თხზ., სრულ კრებული 10 ტომად, ტ. 3, თბ., 1953.
3. ვ. ჭელიძე, ივანე მაჩაბელი, გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრება, თბ., 1968.
4. გოეთეს წერილი ტომას კარლაილისადმი (1828 წ. 15 ივნისი) Goethe, Werke, Weimar ed, vol, 41. 1940.

*Elene Zurabashvili*

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

## **TRANSLATIONS BY IVANE MACHABELI AND THE RESTORATION OF GEORGIAN THEATRE RESUME**

It is well known that a vocabulary of any language is enriched not only by dialects and derivations but also by artistic translations.

From ancient times, a great attention has been paid to the act of translating.

Georgian people very well knew Byzantine, Syrian, Persian and Arabian culture, literature, history, philosophy, etc. The great epochal monuments were translated into Georgian language. A lot of schools, styles, trends, important centers of learning and science have been established in Georgia.

The development of culture needed not only to create their own literature, translation activities but also to establish and flourish the National Theater.

### **ზმნათა პოლისემიისათვის ქართველურ ენებში**

სიტყვათა მრავალმნიშვნელობიანობა (ომონიმია/პოლისემია) ერთნაირადაა დამახასიათებელი ყველა ქართველური ენისათვის და ფუნქციონირების თვალსაზრისით ზოგად ლინგვისტურ კანონზომიერებებს მისდევს. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მსგავსი ფუძეების მქონე ომონიმები ამ ენებში ნაკლებადაა წარმოდგენილი, რაც გამოწვეულია იმით, რომ ფონეტიკური ვარიაციები, ლექსემათა სესხების სხვადასხვა გზები და საშუალებანი ქართულს, სვანურსა და მეგრულ-ლაზურს მაინც განსხვავებული აქვს. პოლისემია შედეგია საერთო ენაში იმ მნიშვნელობათა თავმოყრის, რომელიც გააჩნია თავდაპირველი მნიშვნელობის განშტოებას კილოებსა და სპეციალურ ენებში. განშტოებულ მნიშვნელობათა თავმოყრა შეპირობებულია გარეენობრივი მოვლენებით, იმ როლით, რომელსაც ენობრივი კოლექტივის ცხოვრებაში ასრულებენ მასში შემავალი ჯგუფები. პოლისემიის კვლევისას ენათმეცნიერების წინაშე დგება წმინდა ისტორიულ-ენათმეცნიერული საკითხი – როგორ და რა კონკრეტულ პირობებში დაემატა სიტყვას ახალი მნიშვნელობა, ან როგორ შემორჩა ძველი მნიშვნელობა ახალთან ერთად.

ენის ლექსიკური მარაგი მრავალფეროვანი და ნაირსახოვანია. ერთ-ერთი მხატვრული შედარების თანახმად, ენის ლექსიკური საგანძური მიაგავს წყალუხვ მდინარეს, რომელსაც ათეულობით შენაკადი აქვს და იქიდან ივსებს თავის მარაგს. სამყაროში არსებულ რთულ და მრავალფეროვან მიმართებებს აზროვნებაში ცნებებს შორის ასოციაციური სახე აქვს. მსგავს მიმართებებს ამყარებენ ერთმანეთთან ენობრივ ერთეულთა ლექსიკური მნიშვნელობებიც. ენასა და მეტყველებაში ლექსემათა მუდმივი ურთიერთქმედების შედეგად ხდება ლექსიკური მნიშვნელობების სახეცვლა, რასაც განაპირობებს ამ უკანასკნელთა არამკაფიო საზღვრები და აღსანიშნა და აღმნიშვნელს შორის მოძრავი კავშირი... პოლისემიურია (ბერძ.*პოლისემოს* “მრავალმნიშვნელობიანი”) ნებისმიერი ენობრივი ერთეული, რომელსაც ერთზე მეტი ენობრივი დენოტატი შეესაბამება. მრავალმნიშვნელობიანობას განაპირობებს ენის შინაარსისა და გამოხატულების პლანს შორის არაცალსახა დამოკიდებულება. ვოკაბულათა უდიდესი ნაწილი ერთზე მეტი ლექსემით არის წარმოდგენილი (გამყრელიძე... 2003: 356). ენობრივი კოლექტივისა და მისი ქვეჯგუფების ურთიერთობა აისახება ცალკე სიტყვის სემანტიკურ სტრუქტურაშიც: სიტყვას სხვადასხვა პროფესიულ ჯგუფში შეიძლება განსხვავებული მნიშვნელობები ჰქონდეს; მათი შეხვედრა საერთო ენაში იძლევა პოლისემიას, ხოლო ტერიტორიულ ჯგუფებში არსებულ ერთგვარმნიშვნელობიან სიტყვათა თავმოყრის შედეგად ვიღებთ სონონიმებს. თეორიულ ენათმეცნიერებაში არსებულ განმარტებათა თანახმად, ლექსიკური პოლისემია გულისხმობს ერთი ვოკაბულის ფარგლებში სხვადასხვა ლექსემის არსებობას. შეიძლება ითქვას, რომ პოლისემიურ ლექსიკურ ერთეულს უნარი აქვს აღნიშნოს მონათესავე ცნებები. პოლისემიური ვოკაბულა სემანტიკურად მონათესავე ლექსემების მიკროსისტემაა. ამ ლექსემებს აქვთ საერთო სემანტიკური კომპონენტი, რომელიც მათ საგრძნობ სემანტიკურ ნათესაობას აფიქსირებს – მას არატრივიალური საერთო სემა ეწოდება. ეს კომპონენტი მონათესავე ლექსემებს შეიძლება ჰქონდეთ აღსანიშნა ან კონოტაციაში (გამყრელიძე, კიკნაძე, შადური... 2003: 356). მონოსემიური, ერთმნიშვნელობიანი ვოკაბულისაგან განსხვავებით პოლისემიურ ლექსიკურ ერთეულს აქვს პირდაპირი (მთავარი, ძირითადი, პირველადი) და გადატანითი (წარმოქმნილი, მეორეული, მოტივირებული, ფიგურალური) მნიშვნელობები. პირდაპირი მნიშვნელობა პარადიგმატული თვალსაზრისით უფრო მყარია და სინტაგმატურად ნაკლებმუზღუდული. ზოგადად პოლისემიური ლექსიკის გაჩენას განაპირობებდა ენის განვითარების შინაგანი ბუნება, დიალექტური განშტოებანი, სიტყვათა სესხება და ფონეტიკური მოდიფიკაცია. საენათმეცნიერო ლიტერატურაში ასევე შენიშნულია, რომ „**ენა ვერ იტანს ომონიმას (და პოლისემანტიზმს) ვერც ლექსიკურ და, მით უფრო, გრამატიკულ დონეზე.** მეტყველების დონეზე ენა მუდამ ეძებს და პოულობს კიდევაც ომონიმია-პოლისემიის დამლევს გზას, პოტენციას თავისსავე წიაღში, რაშიც არაერთხელ დავრწმუნებულვართ ქართული სახელისა თუ ზმნის სისტემის დიაქრონიული ანალიზისას (მელიქიშვილი, 2014: 54).

ზმნათა მრავალმნიშვნელიანობის თვალსაზრისით საინტერესო აღმოჩნდა დაკვირვება ქართველურ ენებზე; საანალიზო მასალა ამოვკრიბეთ მეგრულის, ლაზურის სვანურის ლექსიკონებიდან, ტექსტური გამოცემებიდან, ცოცხალი მეტყველებიდან, ზეპირსიტყვიერების ნიმუშებიდან; პოლისემიურია ლაზურში შემდეგი ზმნები:

**ნობუნ** - 1. კიდა; მიკიდებული, მიბმულია; 2. ეკიდება, ეტორღილება (დასდევს); 3) ასხია, აკიდა; 4) გაწამაწამია;

ოწედუ-სი, ჯუკალი ქონობუნ (ჩიქობავა II, 119) – „შეხედა, რომ ქვაბი კიდა“. მოთ ნობურმა ბოზოფეს (მარ., 1)-„რატომ ეტორღილებიო გოგოებს“. გობუნ ჯას მცხული(სარგ. მასალ.) „ასხია ხეს მსხალი“. გოწოვობუ, დიდო დულა-ნა მილუნ, გოწაკიდეი ვორე (ასათ. სარგ. 101);

**დომბარენ** (>დვამბარამს) - 1. დაებერება, 2. გაუსივდება; **მბარამს** - 1. ბერავს, 2. ასივებს

ჰალიმ დამარეფ დაბარუდორტუნ (დიუმეზ. 87) „ჰალის მარღვები დაბერვოდა“. ბეეს კუჩხე გვამალეეტუ (ჩიქობ. I. 112) „ბიჰს ფეხი გაუსივდა“. კეტი მეტახუ... ჰიმ კეტითე ჯომბარამს ((ჩიქობ. II. 27) „ჯოხი მოტეხა... იმ ჯოხით ცემით ასივებს“.

**დიბირუ** - 1. იმღერა, 2. ითამაშა, 3. იარშიყა

ბერეჲ მუზუკას ელოყონუ დო იბირუ (ა.თ. 235) „ბავშვი მუსიკას აჰყვა და იმღერა“. კუმარი იბის (იბირს)“ (ყოფშიძე, ჭანური ტექსტები, 74). – კარტს თამაშობს. ჰიმსერი ბოზუმოთამჰალა დიბირეს (ჩიქობ. II. 137. 13) „იმ ღამეს შვილიშვილთან იარშიყეს (ითამაშეს)“.

**ნაგნუ** - 1. გაიგო, მიხვდა; 2. გაიგონა; 3. მოიგონა, გაიხსენა;

მუ რტუ, დაჰა ვარ ნაგნერეტუ! (ჩიქობავა – ჭანური ტექსტები, 32) „რა იყო, ჯერ კიდევ ვერ მიმხვდარიყო“. ამუში მარიჭეთეფე მითიქ ვარ ნაგნეფს (ა. თ. 17) „ამის მარიფათებს ვინმე ვერ გაიგებს“. მან, ჯოდორიქ-ნა ლალუფს მუ ზოპონს მევაგნეფ-მა (სარგ. მასალ.) „მე, ძალი რასაც ამბობს, გავიგებო (მესმისო)“. მუთხანი გვამინასინტუ, ნენას გეუმიტუ, ამმა მუ რტუ, დაჰა ვარ ნაგნერეტუ (ჩიქობ. I.) „რაც ახსენდებოდა, ენაზე ედო (ამბობდა), მაგრამ რა იყო, მანინც არ ახსენდებოდა“.

**გამალუ** - 1. გამოვარდა, 2. გაიღვიძა, (უცებ გამოღვიძება), 3. ჩაიარა, 4. გამოხტა, 5. გასვლა-გამოსვლა;

ქომოლიქ იდუ დო ნთხორუმტუ-ში, სუმ ჩხომი გამალუდორენ (ჩიქობავა, ჭანურის გრამატ. ანალიზი, გვ. 41) „ქმარი წავიდა და რომ თხრიდა, სამი თევზი გამოვარდნილა“. ბოზო გამალუში, დოთანუ-დორტუნ (დიუმეზილი IV.57) „გოგომ რომ გაიღვიძა, გათენებულიყო. თამო იპარამითით, ბერე მოთ გამალამტას (ჩიქობავა, ჭანურის გრამატ. ანალიზი, 58) „ნელა ილაპარაკეთ, ბავშვმა უცბად არ გაიღვიძოს“. ცხენონი კოჩი-ნა გამალუსთეი, თემბელი კოჩიქ ოხაჩქუს ქოგოჰკუ (ჩიქობავა, ჭანური ტექსტები, 38) „ცხენიანმა კაცმა რომ ჩაიარა, ზარმაცმა კაცმა მაშინვე დაიწყო თესვა“. მა ამუს ვუწუმერ დო სი მოთ გამალა (ა. თ. 67) „მე ამას ვუზუნები და შენ რად გამოხტები (შენ რას უხტები)“. დიკამ ბერე მუთუთენ ვარ გამალუ (დიუმეზილი IV.48) „დიკას შვილი, ბავშვი ვერაფრით ვერ გამოვიდა“. გალე ვარ გამამალუ (ა. თ. 67). „გარეთ ვერ გავედი“.

**გოლაფუ** - 1. შემოვლა; 2. შემოხვევა, შემოვლება; 3. გადავლება;

ფათიშაიშ ოხოიში ეტრაჰის გოილია (კარტოზია, ლაზური ტექსტები, 156) – „ხელმწიფის სახლის ირგვლივ შემოვიარეო“; კინონი ხეფე არ ალის გომილაფ (ყოფშიძე, ჭანური ტექსტები, 39) – ინიანი ხელები ერთი ყელზე შემომავლე (მომხვიე). ა ნდლას ნანა მუშიქ უწუ-ქი: „არ დუნდა ქოგული-ა“ (ჟღენტ, ჭანური ტექსტები, 131) – „ერთ დღეს დედამისმა უთხრა, რომ ერთი ქვეყანა შემოიარეო“. „ანთეფეს არ ტუცა წკარი გოლაფი“ (ა.თ. 67) – ამათ ერთი ცხელი წყალი მოავლე (გადაავლე?)

**გექოსუ/ჯექოსუ** - 1. გახვეტა ; 2. წაშალა; 3. გაწმინდა;

ნისაქ ოხორი ქოსუ დო ნოშე დაჩხირიკელე ქამუქოსუ(ა. თ. 11) „რძალმა სახლი ხვეტა და ნაგავი ცეცხლისკენ შეუხვეტა“. მა-ნა ბჰარი ჯებჯირი! ჯებჯირითი ითქვენ, ჯეფქოსი-თი (ჩიქობავა, ჭანურის გრამატ. ანალიზი, 109) „მე რომ დავწერე, წაშალე, წაშლაც ითქმის და გადაშლაც“.

მარტინა მოხთას, ოხოიშ ჭერი გექოსუფან დო კიდაფეთი დოჩხიფან (ა. თ.101)- „მარტინა რომ მოვა, სახლის ჭერს გადახვეტავენ (გაწმენდენ, გაასუფთავებენ) და კედლებსაც გარეცხავენ“.

**გოლუ** - 1. სიარული; 2. შემოსევა, ალყის შემორტყმა; 3. შემოვლა;

ფირალეფე გულუნან (ჟღენტი,167)- „ფირალეები (ყაჩაღები) დადიან “; ჯუმალეფე გულეს ბიჭის (კარტოზია, 172) – „ძმები შემოესივნენ ბიჭს“; „გუიქეთეს დო ხოლო კალეს გულეს“ (ყოფშიძე, 3)– „დაბრუნდნენ და ისევ ალყა შემოარტყეს ციხეს“. იდეს, გოხთეს, დუნდა გუ/ოილეს (კარტოზია, 66) – „წავიდნენ, იარეს, ქვეყანა მოიარეს“. ქოძლულის მჟუა გულიუ“ (ჩიქობავა, ჭანური ტექსტები, 47)– „სოფელში მზემ მოიარა“.

**ჯანს** - 1. წევს, 2. ძინავს

ჯოლი კრევეტის გოუჯანს (კარტოზია, 185) – „მალი საწოლზე უწევს“. ბოზო ლამბას მედვინერი ჯანს (ჟღენტი, ჭანური ტექსტები, 137) – „გოგო ლამბა დანთებული წევს“. ბერე ვარ ჯანს, თოლი ფაყუფს (თანდილავა, 728) – „ბავშვს არ ძინავს, თვალს ახამხამებს“.

**ოწკენ** – 1. ხედავს, უყურებს, 2. უვლის, უყურებს, მწყემსავს;

ტუჭელი ქოდიქაჩუ-დორენ დო ზუღას მჭიფაშა ოწკენ (დიუმეზილი IV, გვ. 120) – „თოფი დაუკავებია და ზღვას დაწვრილებით უყურებს“. ნოპეტითე ნთხალეფეს ოწკეტეს (ჟღენტი, ჭანური ტექსტები, 115) – „რიგ-რიგობით თხებს უყურებდნენ (მწყემსავდნენ)“.

საინტერესოა, რომ მეგრულსა და ლაზურში პოლისემიურობას იჩენს ზოგიერთი საერთო ძირის ზმნა, მაგ., **ხორცქუ/ხროცქუ** (= წყდება, კვდება, სკდება), **ქოსუნს/ქოსუმს** (=ხვეტავს, შლის, წმენდს), **ჭვარუნს/ნჭვარუნს** (=კაფავს, წმენდს, ჭრის)...

პოლისემიური ზმნები მეგრულში:

**ოგურუნს, გურაფულენს**- 1.ასწავლის, სწავლობს; 2. დამსგავსება, დამგვანება.

ხანგას ოგურუნდესია დო ჭკვერქქე დიგურუა „სულელს ასწავლიდნენ და ჭკვიანმა ისწავლაო“. მით ჯგერო იგურუნს, ინა უჯორს მაგურაფალს (ი. ყიფშ., 116) „ვინც კარგად ისწავლის, ის უყვარს მასწავლებელს“. ბჟა დო თუთას ქოგურაფუ იში ჭირიმა! (მასალ., 17) „მზეს და მთვარეს დამსგავსებია, მისი ჭირიმი!“ ხენწგემ სქუას ქოგურაფუქ (ი. ყიფშ., 136) „ხელმწიფის შვილს დამსგავსებია“.

**დირგუნს** - ენერგიული, ძლიერი ქმედება: 1. ჩარტყმა, ჩარჭობა, მაგ., დანის, ხანჯლის; 2. ჩაყოფა ხელისა; 3. შეჯახება, დატაკება; 4. ძლიერი, ღონიერი სიარული; ამოსვლა (კვამლისა).

დირგუ ხამუ კიდირს დო მაჟირა განიშე გაკლაჭიბაფუ - „ჩარტყა დანა მკერდში და მეორე მხარეს გამოვიდა“. ზღვას ქოდირგუ დუდი - „ზღვას ჰკრა თავი (=ზღვაში ჩაყვინთა)“. თიქ ხე ვადირგასინი, ვეშეულეზუ - „იმან ხელი რომ არ ჩაყოს (ჰკრას), არ შეუძლია“. კილე დო კილეშა ქადირგეს ართიანს - „მკლავდამკლავ შეეჯახნენ ერთმანეთს“. მიიშუ შარას, მიიდირგულუ - „მიდიოდა გზაზე, ენერგიულად მიდიოდა“. კუმა მედირგუნდუ უბედურო ბუხარიშე - „კვამლი ამოდიოდა უბედურად ბუხრიდან“.

**დაარშუნს** - 1. დაქსელვა; აბრეშუმის ძაფით ქსოვის დაფუძნება; 2. მოღება, ძალიან გავრცელება (ავადმყოფობის...).

მუს დაარშუნქენი, თის მეირშუნა (ხალხ. სიბრ., I, 100) – „რის დათესვასაც დაიწყებ (მოქსოვ), იმასვე გაგიგრძელებენ (მიგიქსოვენ)“. ძაფიქი დაარშულუ, მალას პარკუას ქიდიიჭყანს - „ძაფი დააფუძნა (დაქსელა), მალე პარკვას (პარკის გაკეთებას) დაიწყებს“.

**ოზიზინუნს, ზიზინდუნ** - 1. ზიზინება; გავსება მეტისმეტად; გადატ. გასივება

(ავადმყოფობით). 2. გადამწიფება (ხილისა); 3. ძალზე გაძლომა.

კუჩხიქ დოზიზინდუ - „ფეხი გასივდა“. სოიშა ვაგოზიზინდუნი, ვედუ - „სანამარგა მოძლა მაგრად, არწავიდა“.

**ნწალუნს** - 1. მოწამვლა; ცუდი, მომწამვლელი სუნის გადმოფრქვევა; გამოშვება; გამოცემა, დაყენება (სუნისა); სულის დაღევა (ი. ყიფშ.). 2. რწევა, ნძრევა (მიწისა); მიწისძვრა. // გადატ. დაქცევა. 3. დამაშხვის წინ ხორცის ცხელ წყალში ამოვლება (შემდეგ ამარილებენ).

მარას არ ხოსვემენჭაფუ, კუჩხიგურჭიპუ, შურიგუნწალუ (ი.ყიფშ., 172) – „მაგრამ ახლოს ვერ მისწვდომია, ფეხი გაუჭიძავს, სული დაუღევია“. ბრელი იჩიის, რაგადეს დო დიხაქ დინწალუ (მ. ხუბ., 4) – „ბევრი ისაუბრეს, ილაპარაკეს და მიწა იძრა“.

**ტიღუნს** - 1. ჩაკვრა, ჩარტყმა (ხელის, ფეხის) რასიმე. 2. მაგრად ცემა. // გადატ. ხარბად ჭამა დიდი ლუკმებით.

ფაფირს ხე ქოტილუ- „ფაფაში ხელი ჩაჰკრა“. ღუმუ დო ხარჩო დოპტიღვი - „ღომი და ხარჩო შევჭამე“. შქირენული ხალხი რგილი ჰკის დო ლეზიას მიკიტილუაფუდეს - „მშიერი ხალხი ცივ მჭადსა და ლობიოს ხარბად ჭამდნენ“.

**ტუცუნს** - 1. ტრუსვა, ტუსვა; ფუფქვა; ტუცვა. 2. ბევრის დაღევა (მაგ., ღვინისა). 3. მაგრად დარტყმა.

თულეფი აღდაჩხირს გოტუცეს - „გოჭები ცეცხლის აღზე გატრუსეს“. ხე დულა წყარს ქოტუცუა- „ხელი მდულარეში სტუცაო“. უტუცუნს შაქარამ ღვინს- „სვამს (ბევრს) შაქრიან ღვინოს“.

**ქოტუცუ** - „მაგრად დაარტყა“.

**ქოსუნს** - 1. გვის, წმენდს, ხვეტს. 2. დამხოზა, გაქრობა.

ხვალე ქოსუნა-წიმინდუა ვაბალუ (ყაზაყ., 26.03.1930, 2)- „მარტო ხვეტა-წმენდა არ კმარა“.

ჩქიმი ჩილამური ვაქოსე სწორეთ დიდი სალფეთქისე (ი. ყიფშ., 120) – „ჩემს ცრემლს ვერ გაწმენდს სწორედ დიდი სალფეთქი (ხელსაწმენდი)“. ამარ-ემერ იქოსულუ კოჩი იში აკნანჭალა (მასალ., 68) – „აგერ-ეგერ ემხოზა (ინთქმება) კაცი მისგან დაფლეთილი“.

**ჭვარუნს** - 1. კაფავს; გაწმენდა და ადგილის საყანედ გამზადება; მოახოება; ტყე-ჯაგის განგაკაფვა ცეცხლის წაკიდებით. 2. გადატ. რაიმეს თავის სასარგებლოდ კეთება; მცდელობა.

ბურჭულ გეჭოფი, ტყაშამეუ, ტყასი ოჭვარალიჭვარი (შეროზია-მემიშიში, 201) – „წალდი აიღე, ტყეში წადი, ტყეში საკაფი კაფე“. დუდიშე მივანწყუათ ხონუა დო ბარუას, მუნაზიმა დიხეფიში წიმინდუა-ჭვარუას (შეროზია-მემიშიში, 330) - თავიდან შევედგეთ (შევეწყეთ) ხუნასა და ბარვას, მოზომილი მიწების წმენდა-მოახობას. კოჩი მალურუ რდუა დო იშენ მუშოთ ჭვარუნდუა--„კაცი მომაკვდავი იყო და მაინც თავისთვის ცდილობდაო“. ჩქიმოთ პჭვარუნდი (//ბჭვარუნდი) - ჩემთვის ვცდილობდი (ვკაფავდი).

ქართველური პოლიპერსონალური ზმნა, როგორც ცნობილია, ლექსიკურ-სემანტიკურთან ერთად შეიცავს აზრის გამოხატვის ისეთ მორფოლოგიურ საშუალებებს, რომლებიც უცხოა ევროპული ენებისათვის.. მე-19 საუკუნის ბოლოდან მოყოლებული დღემდე მკვლევართა მიერ შეკრებილი და გამოცემული ზეპირსიტყვიერების ნიმუშები, ტექსტური გამოცემები და სალექსიკონო მასალები საშუალებას გვაძლევს დავაკვირდეთ ქართველურ ენათა ლექსიკის სიმდიდრესა და სემანტიკურ-ეტიმოლოგიურ ასპექტებს. საენათმეცნიერო ლიტერატურაში ხაზგასმით არის მითითებული სვანური ენის ლექსიკის სიმდიდრისა და არქაულობის შესახებ; განსაკუთრებით მრავალფეროვანია ლექსიკური მარაგი საყოფაცხოვრებო სიტყვებითა და ტერმინებით (სოფლის მეურნეობის მოქმედებისა და იარაღების სახელწოდებებით, სარწმუნოებრივი ტერმინოლოგიით და სხვა). სიმდიდრეს ქმნის ერთი, ერთსა და იმავე საგნის თუ მოქმედების ორი და მეტი სახელი ყველა დიალექტში, ლექსიკის სიმდიდრეს ასევე განაპირობებს დიალექტებში სხვადასხვა სახელწოდებით ან ერთი სიტყვის სხვადასხვა მნიშვნელობით ხმარება, ერთი და იმავე ფუნქციის სხვადასხვა აფიქსით წარმოება... ასევე, სიტყვათწარმოება აფიქსაციისა და კომპოზიციის მეშვეობით (თოფურია, 2002: 214). საინტერესო აღმოჩნდა სვანურ ზმნებზე დაკვირვება პოლისემიურობის ასპექტით, გამოიკვეთა შემდეგი ჯგუფი:

**ხ-აყა** – 1. ჰყავს; 2. აქვს, აზია; 3. ვარგა.

**ხ-აშდბა** – 1. საქმეს აკეთებს; 2. ეპყრობა, ექცევა.

**ხ-აშიდ** – 1. შველის; 2. ყრია //ყრია.

**ხ-აცხნე** – 1. ეჩვევა; 2. იჩემებს, აზვიადებს, აჭარბებს.

**აჭშე** – 1. ასწორებს, ყალიბში ათავსებს; 2. მკვდრის გაპატიოსნება.

**ახანახა** – 1. თიბვის დაწყების დღე; 2. ახალმოწყული ჭირნახულის გემოს გასინჯვა.

**აჯგრი** – 1. აკურთხებს; 2. არიგებს (ჭკუას), რჩევა-დარიგებას აძლევს. ხ-აჯემ – 1. ჰგავს; 2. ღირს.

**ბაცხზეცხ** – 1. დიდი ლხინი, რომელსაც იხდიდნენ მტერზე მნიშვნელოვანი გამარჯვების შემთხვევაში ან ვაჟიშვილის (გადაშენების საშიშროების წინაშე მდგარი გვარის გამგრძელების) დაბადებისას; 2. ქელეხი, რიგი. **საყან** – 1. დღეობაზე შესრულებული სიმღერა; 2. (ლშხ.) ქელეხის დროს დიდი რაოდენობით სასმელ-საჭმელის ეზოში დადგმა და არყის სმის წესი მიცვალებულის სახელზე (სიტყვასიტყვით “გასატანებელი”). **საჯყყ** – 1. უცნაური, საოცარი, საკვირველი; 2. ცუდი, უშნო, უხეირო.

**ტყარაბურა // ტყარაბულა** – 1. წვრილმანი, ფუჭი, თავის გასართობი საქმე; 2. ყბედობა.

**ყერ** – 1. მადლი, ძალა; 2. ნეზვი; 3. ეშურება, გასწევს, მიემართება.

ცნობილია, რომ ლექსიკა-სემანტიკის აღწერისთვის საკმარისი არ არის მხოლოდ სიტყვათა მნიშვნელობების მთლიანი კომპლექსის აღწერა. ერთი ენის შიგნით არ ჩანს ენათა სემანტიკური დანაწევრება. ყოველი ენა თავისი სემანტიკური სტრუქტურით გამოირჩევა. „რამდენადაც ენა გვეძლევა არა ზოგადი ფორმით, არამედ როგორც მხოლოდ დედაენა, ე.ი. გარკვეული ენის ქართულის, ფრანგულის, ჩინურის ... სახით, „მსოფლხედვა“ დედაენისეულია და ყოველ ენას (დედაენას) სამყაროს ენობრივი მოდელირების საკუთარი წესი, სამყაროს ენობრივი გადამუშავების საკუთარი „მსოფლხედვა“ აქვს (რამიშვილი, 23).

ქართველური ენები პოლისემიური ლექსიკის, ამ კონკრეტულ შემთხვევაში ზმნათა მრავალმნიშვნელობიანობის თვალსაზრისით საკმაოდ მდიდარი და მრავალფეროვანი მასალის შემცველია. როგორც აღვნიშნეთ, პოლისემიის კვლევისას ენათმეცნიერების წინაშე დგება წმინდა ისტორიულ-ენათმეცნიერული საკითხი – როგორ და რა კონკრეტულ პირობებში დაემატა სიტყვას ახალი მნიშვნელობა, ან როგორ შემორჩა ძველი მნიშვნელობა ახალთან ერთად. ქართველურ ენებში ყველა ამ კითხვაზე პასუხის გაცემა სამომავლო კვლევის საქმეა. ამ ეტაპზე მხოლოდ აღწერით შემოვიფარგლეთ. თუმცა უნდა ითქვას, რომ სვანურის, მეგრულისა და ლაზურის ლექსიკური მონაცემები საინტერესოა როგორც სტრუქტურა-აღნაგობის, ასევე სიტყვათწარმოებითი მოდელებისა და სემანტიკური ნიუანსების თვალსაზრისით. ქართველურში პოლისემიური ლექსიკის სიუხვე და მრავალფეროვნება, შესაძლოა, ამ ენათა დიალექტური ვარიანტების სიმრავლითაც იყოს განპირობებული. როგორც საუკუნის წინ გამოცემული სვანური, მეგრული, ლაზური ტექსტების შესწავლისა და თანამედროვე ცოცხალი მეტყველების მონაცემების შედარების საფუძველზე გამოიკვეთა ქართველური ენები, ზოგადად, პოლისემიური ლექსიკის თვალსაზრისით საკმაოდ მდიდარი და საინტერესო მასალის შემცველია.



წინასწარი კვლევის საფუძველზე, სალიტერატურო ქართულთან მიმართებით საერთო ტიპოლოგიასთან ერთად აშკარად იკვეთება საყურადღებო სემანტიკური ნიუანსები.

#### ლიტერატურა:

- ასათიანი 2012, ი. ასათიანი, „ლაზური ლექსიკონი“, ბილისი, 2012.
- ბარდაველიძე 1939 – ვ. ბარდაველიძე, სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი, თბ. 1939.
- გამყრელიძე 2003 – თ. გამყრელიძე, ზ. კიკნაძე, ი. შადური, ნ. შენგელაია, თეორიული ენათმეცნიერების კურსი, თბ. 2003.
- დიუმეზილი, ჟ. დიუმეზილი, „ლაზური ზღაპრები და გადმოცემები“ (მ. ბუკია, ლექსიკონი), თბილისი, 2009).
- ვეფხიბაძე 1997, . . . . ., 1997.
- თანდილავა, ა. თანდილავა, ლაზური ლექსიკონი, თბ. 2013.
- თელია 1996: . . . . ., 1996;
- თოფურია, ქალდანი 2000, ვ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანური ლექსიკონი, თბ. 2000
- კარტოზია, გ. კარტოზია, ლაზური ტექსტები, თბ. 1972.
- კოდორული ქრონიკები 2007-2010 – კოდორული ქრონიკები, თბილისი, 2007-2010.
- მარი, . . . . . ( . . . . . ) . . . . ., 1910;
- მასლოვა 2001: . . . . ., 2001;
- მელიქიშვილი, დ. მელიქიშვილი, ქართული ზმნის სისტემური მორფო-სინტაქსური ანალიზი, თბ. 2014.
- ონიანი 1998, ა. ონიანი, სვანური ენა, თბ. 1998.
- ჟღენტი, ს. ჟღენტი, ჭანური ტექსტები, ტფ. 1938.
- რამიშვილი, გ. რამიშვილი, ენათა შინაარსობრივი სხვაობა ენათმეცნიერებისა და კულტურის თეორიის თვალსაზრისით, თბ. 1995.
- სვანური ენის ქრესტომათია 1978, ა. შანიძისა და მ. ქალდანის რედაქციით. თბ. 1978
- სვანური პროზაული ტექსტები 1937 – I. ბალსზემოური კილო.
- ქაჯაია ო. ქაჯაია, „მეგრულ-ქართული ლექსიკონი“, I-IV ტომები, თბილისი, 2001-2006
- დლონტი 1971, ალ. დლონტი, ქართული ლექსიკოლოგიის საფუძვლები, თბ., 1971.
- ყიფშიძე, ი. ყიფშიძე, ჭანური ტექსტები, ტფ. 1939.
- ყიფშიძე 1994, ი. ყიფშიძე, რჩეული თხზულებანი, თბ. 1994.
- ჩართოლანი 2003, ნ. ჩართოლანი, სვანური ტექსტები და ლექსიკა; ბალსზემოური კილო.
- ჩიქობავა, არნ. ჩიქობავა, „ჭანური ტექსტები“, ტფილისი, 1929;
- ჩიქობავა, არნ. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, ტფ., 1936.
- შეროზია-მემიშიში, რ. შეროზია, ო. მემიშიში, ხალხური სიბრძნე- მეგრული და ლაზური ანდაზები, ტ. 1, თბილისი, 1994.
- ჭუმბურიძე, 2007, ზ. ჭუმბურიძე, სვანური ენა, თბილისი.

*Marine Kakachia, Ketevan Margiani*

*Sokhumi State University*

*Marina Jgharkava*

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Arnold Chikobava Institute of Linguistics*

### ABOUT THE POLYSEMY IN THE KARTVELIAN LANGUAGES

#### RESUME

Multi-meaning words (Polysemy // homonymy) are equally *typical for all Kartvelian languages and in views of functioning* they conform to the general linguistic regularities. It should be noted that the homonyms with the similar roots are not frequently presented in these languages due to the phonetic variations, ways and means of borrowing lexemes which are different in the Georgian, the Svan, the Magrelian and the Laz languages. The *abundance* and variety of the polysemantic vocabulary must be caused by the dialectic variants of these languages existing in plentiful numbers.

Studying of samples of polysemy in Kartvelian languages show their equal typology, semantic in view of etymology.

### **ზმნის უღლების პარადიგმები იოანე ქართველიშვილის „ქართულ დრამატიკაში“**

იოანე ქართველიშვილის „ქართულ დრამატიკაში“ მეტყველების ნაწილებიდან ყველაზე მეტი ადგილი ზმნას ეთმობა (36- 62 გვ. ხელნაწერი სულ შეიცავს 65 გვერდს) „ზმნა არის ნაწილი სიტყვსა, რლიცა აღნიშნავს ანუ ყოფასა, ანუ მოქმედებასა, და ანუ ვნებასა პირისა ანუ ნივთისა, მაგალითებრ: ვარ, ხარ, არს; ვჰსწერ, ჰსწერ, ჰსწერა; ვიწერები, იწერები, იწერების და სხუანი“ (ი. ქართველიშვილი, 1809: 36).

როგორც ცნობილია, ზმნის განსაზღვრისას ანტონთან დროის ფაქტორი იყო გათვალისწინებული, რომელიც გაიოზმაც გამოტოვა და ქართველიშვილმაც, სამაგიეროდ აქ დამატებულია იმის აღნიშვნა, რომ ზმნა გადმოგვცემს „პირისა და ნივთის მოქმედებას, ყოფას, თუ ვნებას“ (ა. ფოცხიშვილი, 1979: 287). შდრ. ზმნა არის „ნაწილი სიტყვსა ცხადმყოფი არსების ყოფისა, ქმნათა და ვნებათა მისთა დროებითად“ (ანტონ I, 1885: 155); „არს ნაწილი სიტყვსა, რომელიცა ჰნიშნავს ანუ ყოფასა, ანუ მოქმედებასა არსისასა“ (გ. რექტორი, 1970 : 66).

გაიოზის მიდგომით „ყოველი ზმნა ანუ კანონიერი არს, ანუ უკანონო. კანონიერნი ზმნანი არიან იგინი, რომელნიცა განვლიან ყოველთა შინა დროთა და ჰსქესთა უცჳალებლად, ხოლო უკანონონი იგი, - რომელთაცა აკლნ ანუ დრონი და ანუ ჰსქესნი რომელნიმე“ (გ. რექტორი, 1970: 67). იოანე ქართველიშვილი იზიარებს გაიოზის მოსაზრებას ზმნათა დაყოფის შესახებ. „ზმნა განიყოფების ორად: კანონიერად და უკანონოდ. კანონიერი ზმნა არს იგი, რლიცა არა ვითართამე დროთა და სქესთა თანა არა შეჰსცვლის თვისებათა თვსთა. უკანონო ზმნა არს იგი, რლიცა ვითართამე სქესთა და დროთა შა შეჰსცვლის თვისებათა თვსთა“ (ი. ქართველიშვილი, 1809: 36).

ანტონის მოსაზრებით, პირიანი ზმნა იყოფა: 1. არსებითად („ვარ“, „ხარ“...); 2. შემოქმედებითად („შევიყვარებ“); 3. ვნებითად („შევიყვარები“); 4. უმეშვეობითად (საშუალოდ-„ვჰგალობ“). უმეშვეობითი თავის მხრივ იყოფა ხატ-შემოქმედებითად და ხატ-ვნებითად (ანტონ I, 1885: 159). იოანე ქართველიშვილიც თითქმის იმავეს იმეორებს: „ზმნანი მნიშვნელობისა მებრ თვისისა ვა კანონიერნი, ეგრეთვე უკანონონიცა იქმნებიან: 1) არსებითნი, 2) შემოქმედებითნი, 3) უნებითნი, 4) საშუალონი ანუ უმეშვეობითნი“ (ი. ქართველიშვილი, 1809: 37) ზმნის ასეთი დაყოფა ემთხვევა დღევანდელ ნათესავის ანუ გვარის კატეგორიას: შემოქმედებითი (მოქმედებითი), ვნებითი, და უმეშვეობითი (საშუალო): ხატ-შემოქმედებითი (მედიაოპტივი) და ხატ-ვნებითი (მედიაოპასივი). ცალკეა გამოყოფილი არსებითი (მეშველი ზმნა).

იოანე ქართველიშვილის დაკვირვებით, არსებითი ზმნა აჩვენებს „ნივთის ან პირის მყოფობას“: „სოფელი ესე მყოფს ანუ ჰგის“. „შემოქმედებითი ზმნა არს იგი, რომელიც აღჰნიშნავს მოქმედებასა პირისა ანუ ნივთისა სხვასა მეორესა ზედა პირსა ანუ ნივთსა და რომლისა მიერცა ცხად იქნების მოქმედება ბრუნვათა შინა ანუ წრფელობითსა ანუ მიცემითსა ანუ მოთხრობითსა, ხოლო ვნება ბრუნვათა შინა ანუ მიცემითსა და ანუ შემასმენლობითსა. მაგ.: მზე განატვობს პირსა ქვეყნისასა; ცოდვამან დაჰსაჯა პირველი კაცი; მადლსა ღმერთისასა უხნიეს იგი სასჯელისაგან“ (ი. ქართველიშვილი, 1809: 37). ეს განსაზღვრა თითქმის განსხვავებულია ანტონისა და გაიოზის მოსაზრებებისაგან. აქ ცხადად არის ნათქვამი, რომ შემოქმედებითი ზმნა გადმოგვცემს ისეთ მოქმედებას, რომელიც გადადის სხვა პირზე ან ნივთზე, ამის გამოა, რომ განსაზღვრაში შემოდის როგორც მოქმედის, ისე სამოქმედოს ბრუნვები. თუმცა ავტორი მთლად გასაგებად და ცხადად ამის თქმას ვერ ახერხებს, მასთან საქმე ისეა წარმოდგენილი, თითქოს „მოქმედება“ იქნება წარმოდგენილი დასახელებულ ბრუნვებში და არა „მოქმედი“ და „ვნებული“ (ა. ფოცხიშვილი, 1979: 287).

ძველი გრამატიკოსების შეხედულება ვნებით გვარზე კარგად ჩანს იოანე ქართველიშვილის მოსაზრებაში „ვნებითი ზმნა არს იგი, რომელიც აჰლნიშნავს ვნებასა, წარმოებულსა სხვისგან მეორისა პირისა ანუ ნივთისა და რომელიცა ცხადჰყოფს ვნებასა წრფელობითსა შინა ბრუნვასა, ხოლო მოქმედებასა დაწყებითსა შინა ანუ მოქმედებითსა - „ცოდვილი დაისჯების ღმერთისაგან“ (ი. ქართველიშვილი, 1809: 37). აღნიშნული შეხედულებით ვნებითი გვარის ზმნის მიერ გადმოცემული მოქმედებაც უნდა გულისხმობდეს მოქმედ პირს. თუ თანამედროვე გრამატიკებში ზმნა „ვისჯები“ ვნებითია და მასთან მხოლოდ „მე“ - სუბიექტური პირი იგულისხმება, ძველ გრამატიკებში საქმე ისეა წარმოდგენილი, რომ „მე“ ამ შემთხვევაში განვიცდი ვნებას და ეს ვნება მომდინარეა მოქმედი პირისაგან ვთქვით „ღმერთისაგან“ - რომელიც, ჩვეულებრივ დაწყებით ან მოქმედებით ბრუნვაში დგას (ა. ფოცხიშვილი, 1979: 288).

იოანე ქართველიშვილი, ანტონისა და გაიოზის მსგავსად, ზმნას საშუალოდ ანუ უმემშეობითად მიიჩნევს ორი მიზეზის გამო: 1. მისთვის რომელ ანუ ცხადჰყოფენ მხოლოდ მოქმედებასა და არ აღჰნიშნავენ ვნებასა სხვისა მეორისა პირისა ანუ ნივთისასა, მაგ.: ვალ, ვიხარებ, ვჰსწუხ ანუ ცხადჰყოფენ ვნებასა პირისა ანუ ნივთისასა, რომელიც იწარმოების სხვისგან მეორისა პირისა ანუ ნივთისასა. მაგ.: განვჰსცხრები, ვჰსთვრები, ვჰშთები; 2. მისთვის რომელ ზმნათაგან შემოქმედებითა არა შესაძლო იქნების წარმოებად პირველსა სახესა შინა ვნებითი. მაგ.: „მიყვარს“, „მრწამს“, „მაქვს“ და სხვანი (ი. ქართველიშვილი, 1809: 38-39).

იოანე ქართველიშვილთან დროთა რაოდენობა და სახელწოდებები სავსებით ემთხვევა ანტონისა და გაიოზის გრამატიკას: აწმყო, ნამყო, მყოზადი. ნამყო იყოფა ოთხად: უსრულად, სრულად, უსრულესად და უუსრულესად. სამივე გრამატიკოსის მიხედვით ზმნას სულ ექვსი დრო აქვს (ანტონი, 1885: 165; გ. რექტორი, 1970: 69; ი. ქართველიშვილი, 1809: 40-41). დღევანდელი ტერმინებით ესენია: აწმყო, ნამყო უსრული ანუ წყვეტილი, ნამყო სრული ანუ წყვეტილი, თურმეობით I, თურმეობით II, კავშირებით II (ე. ნიკოლაიშვილი, 1970: 23).

ანტონისა და გაიოზის მიხედვით, დრო მოიცავს ძირითადად თხრობით კილოს ფორმებს, კავშირებითის ფორმებიდან შემოდის მხოლოდ კავშირებით მეორე, ისიც იმიტომ, რომ იგი ძველ ქართულში თხრობითი კილოს (ყოფადის) გადმოსაცემად იხმარებოდა. დროებში შეტანილი არაა ყოფადის მეორეგვარი წარმოება (ზმნისწინის მეშვეობით, - დღევანდელი ყოფადის მწკრივი), თუმცა, როგორც ვნახეთ, მას გაიოზი იცნობს, ცალკე გამოყოფილი არაა აგრეთვე ხოლმეობითი. რაც შეეხება კავშირებითი კილოს ფორმებს, ისინი განხილულია კილოს კატეგორიაში, რომელსაც გაიოზი სქესს უწოდებს (ე. ნიკოლაიშვილი, 1970: 23). იოანე ქართველიშვილი სავსებით იზიარებს გაიოზის ამ მოსაზრებებს.

ანტონს გამოყოფილი აქვს ხუთი სქესი (კილო): საზღურებითი, ბრძანებითი, საწადი, ვიპოტეტიკა და უჩინო (ანტონი, 1885: 165); გაიოზს - ოთხი: საზღურებითი, ბრძანებითი, აპოტეტიკა ანუ ქჷწყობილებით და განუსაზღურებელი (გ. რექტორი, 1970: 69). „ამათგან საზღურებითი უდრის თხრობით კილოს, ბრძანებითი დღესაც ამ სახელით იხმარება; ნატვრითი (საწადი, საწადისი, აპოტეტიკა) და პირობითი (ვიპოტეტიკა ანუ თუობითი), რომლებიც ანტონს ცალ-ცალკე „ჰსქესებად“ აქვს გამოყოფილი, გაიოზს გაერთიანებული აქვს ქვეწყობილებითის ანუ საწადის სახელწოდებით. განუსაზღურებელი სქესი, როგორც გაიოზი განმარტავს, ჰნიშნავს მოქმედებასა უპირობ და ურიცხოდ... ამისდამი აღირიცხეს სახელზმნაცა, ვინადგან იგიცა უდროოდ და უპირობოდ ჰნიშნავს მოქმედებასა“. გაიოზთან არ გვხვდება ანტონის საწადი (ე. ი. ნატვრითი), რომელიც გაერთიანებულია აპოტეტიკაში (გ. რექტორი, 1970: 70-71; ე. ნიკოლაიშვილი, 1970: 23; ა. ფოცხიშვილი, 1979: 69). იოანე ქართველიშვილის აზრით, სქესი არის ოთხი: საზღურებითი, ბრძანებითი, ვიპოტეტიკა ანუ უკეთუობითი, ანუ საწადი და განუსაზღურებელი (ი. ქართველიშვილი, 1809: 41). ვიპოტეტიკა ანუ უკეთობითი, ანუ საწადი ანტონისა და გაიოზის ტერმინების გაერთიანებას წარმოადგენს.

ანტონთან მოქმედებითი გვარის ზმნებს აქვთ უღლების რვა სახე მაულლებელი ბგერებით: ა, ე, ზ, ი, უ, ო, ჯ, გ. ამავე ხმოვნებს მიიღებენ უმემშეობითნი (საშუალი გვარი) ზმნებიცა და ვნებითებიც. მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ უკანასკნელნი დაირთავენ მავნებითებელ ი-ს („ვ-ყ-ვარ-ობ“, „ვ-ი-ყვარ-ები“). პირველ უღლებას აქვს 7 ხატი, მეორეს -15, მესამეს -7, მეოთხეს -10, მეხუთეს -8, მეექვსეს -4, მეშვიდეს -1, მერვეს -7 (ანტონი, 1885: 24, 25). ძნელია იმის დადგენა, თუ რა პრინციპს ემყარება უღლებაში ხატების გამოყოფა. მაულლებელი ნიშნებიც არაა ყოველთვის ერთი ღირებულების: იგი ხან თემისნიშნისეული ხმოვანია („ვეს-ავ“, „ვირწმუნებ“), ხან -ფუძისა „ვჰრეკ“, „ვჰზეხ“), ხან პირის ნიშანი („მინდა“) (ა. ფოცხიშვილი, 1979: 112). „უღლების სახეთა გამოყოფის საფუძვლად თხრობითი კილოს აწმყოს დაბოლოება მიჩნეული: უფრო სწორად, ბოლო მარცვლის ხმოვანი (ა, ე, ზ, ი, უ, ო, ჯ, გ) (გ. გოგოლაშვილი, 2010: 63). ელენე ბაბუნაშვილი შენიშნავს, ანტონმა ზმნების უღლებად დაყოფა ვერ შეძლო, რადგან საკლასიფიკაციო ნიშნად ზმნის უკანასკნელი მარცვალი აიღო. შეცდომის წყარო სომხურია, სადაც იმდენი უღვლილება გვაქვს, რამდენი ხმოვანიც არის აწმყოს პირველი პირის ბოლო მარცვალში“ (ე. ბაბუნაშვილი, 1970: 150).

გაიოზმა პირველმა შემოიღო ზმნის დაყოფა უღვლილების ტიპებად პირის ნიშანთა მიხედვით და ცალკე ჯგუფად გამოყო ზმნები, რომლებიც მოქმედებითი გვარის აწმყოს I პირში (მხ. რ.) მანით იწყება (არნ. ჩიქობავა, 1929: 57). გაიოზის აზრით, „კანონიერნი უკჷჷ უღლკლებანი ზმნათანი არიან ექჷს, რომელნიცა პირველთა, მეორეთა და მესამეთა პირთა შინა საზღურებითისა სქესისა აწმყოსა დროსათა კანონიერად მიმოჭრილნი განირჩევიან; მაგალ.

1. ვაქებ, აქებ, აქებს; ვაქებთ, აქებთ, აქებენ.
2. მჰლკდავს, გჰლკდავს; გჷლკდავს, გჰლკდავსთ, ჰლკდავსთ.

3. ვესჭრი, ესჭრი, ესჭრის; ვესჭრით, ესჭრით, ესჭრიან.
4. ვიქმ, იქმ, იქმს; ვიქმთ, იქმთ, იქმან.
5. ვუზნობ, უზნობ, უზნობს; ვუზნობთ, უზნობთ, უზნობენ.
6. ვჰსწერ, ჰსწერ, ჰსწერს; ვჰსწერთ, ჰსწერთ, ჰსწერენ (გ. რექტორი, 1970: 71).

გაიოზი აწმყოზე დაყრდნობით გამოყოფს ექვს „უღვლას“, მაგრამ მათ გასარჩევად იღებს არა აწმყოს დაბოლოებებს, არამედ პირის ნიშნებს. ავტორი საკმაოდ განიხილავს უღვლილების თითოეულ ტიპს და იძლევა მათ პარადიგმებს ..... როგორც ჩანს, გაიოზი გრძნობს ქართული ზმნის განსაკუთრებულ ბუნებას, მაგრამ ვერ ახერხებს ახსნას იგი, რადგან ვერ ითვალსწინებს ზმნაში ერთდროულად რამდენიმე პირის აღნიშვნის შესაძლებლობას (ე. ნიკოლაიშვილი, 1970: 24).

გასათვალისწინებელია გიორგი გოგოლაშვილის მოსაზრება გაიოზისა და იოანე ქართველიშვილის უღლებად დაყოფის პრინციპის შესახებ: „უღლების ტიპებად დაყოფის დღევანდელი პოზიციებიდან გაუმართლებელი ჩანს (ქცევის ფორმათა სხვაობა არ ქმნის სხვაობას უღლებაში), მაგრამ ჩვენ გაიოზის უდავო დამსახურებად მიგვაჩნია ქართული ზმნის ბუნებიდან ამოსვლით უღლების ტიპებად დაყოფის გზების ძიება ვინისა და მანის რიგების გათვალისწინება და ხმოვანპრეფიქსთა მოშველიება ჩვენ ამ გზების ძიებად გვესახება. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გაიოზი ვერ ახერხებს თავისი პრინციპების ბოლომდე გატარებას: ობიექტური უღლების ზმნებში ხმოვანპრეფიქსებს აღარ ითვალისწინებს. ამ ხარვეზს გაიოზის შემდეგდროინდელი გრამატიკოსები ასწორებენ. კერძოდ, იოანე ქართველიშვილი უკვე ორი სახის უღლებას გამოყოფს; ძირითადი პრინციპი გაიოზისა რჩება-ვინისა და მანის რიგის გათვალისწინება, ოღონდ ვინის რიგის შემთხვევაში ყურადღებას აღარ აქცევს ხმოვანპრეფიქსებს; უფრო სწორად აერთიანებს გაიოზის 1,3-6 უღლებას; მსჯელობა ავტორისა გაიოზის მსჯელობას ემყარება (გ. გოგოლაშვილი, 2010: 76).

ზმნის დროისა და სქესის (კილოს) მიმოხილვის შემდეგ იოანე ქართველიშვილი მსჯელობს ზმნის უღვლების სისტემაზე, გამოყოფს მ-ანიან და ვ-ინიან უღლებებს. „უღვლებანი ზმნისანი არიან ორნი. ზმნანი პ-ლისა უღლ-კლებისანი აწმყოსა შ-ა დროსა პირჭლსა შ-ა პირსა გაპიროვნდებინ ასოდთა ამით უ (ვ); ხ- მეორესა შ-ა პირსა შემდგომითა მისითა ასოდთა, ესე იგი, ანუ ა(ა), ანუ ე (ე), ანუ ი(ი), ანუ ი (უ), ანუ უ (ჰ); და მესამესა შ-ა პირსა ასოდთა ამით ს, მაგალ-ებრ: უაქებ, აქებ, აქებს; ვესვრი, ესვრის; უიქმ, იქმ, იქმს; უუზნობ, უზნობ, უზნობს; უჰსწერ, ჰსწერ, ჰსწერს, და სხუანი“... „ზმნანი მეორისა უღვლებისანი არიან იგინი, რ-ლნიცა აწმყოსა შ-ა დროსა, მხოლობითა შ-ა რიცხუსა პ-ლსა შ-ა პირსა გაპიროვნდებინ ასოდთა ამით შ; მეორესა შ-ა პირსა ასოდთა ამით ე; ხ- მესამესა შ-ა პირსა ასოდთა ამით უ (ჰ), ანუ ე(უ) და ანუ მეორისა პირისა მაპიროვნებულისა ე (გ)- შემდგომთა ასოდთა, მაგალ-ებრ: შრწამს, რწამს, სრწამს, შიყტარს, იყუარს, ეყუარს, შაქტს, აქტს, ტქუს და სხვანი“ (ი. ქართველიშვილი, 1809: 43-44). იოანე ქართველიშვილი ცდილობს მეორე უღლების მაგალითები შეცვალოს.

იოანე ქართველიშვილი ვ-ინიანი უღლებად მიიჩნევს ზმნების ისეთ ფორმებს, რომლებსაც აწმყოში იწყებინ: პირველ პირში -ვ, მეორე პირში- ა, ე, ი, უ, ჰ. გვთავაზობს საილუსტრაციო მაგალითებსაც.

იოანე ქართველიშვილი უღლებას გაიოზის მსგავსად შემოქმედებითი ზმნით იწყებს.

**უღ ისა უღვლებისა მიმოხრათანი ჰემოქმედებისათჳს ზმნისა (მოქმედებითი ზმნისა):**

**საზღტრებითისა სქესისა (თხრობითი კილო)**

**სწყმოა**

<u>მხ.</u>		<u>მრ.</u>
უადიდებ		უადიდებთ
სდიდებ		სდიდებთ
სდიდებს		სდიდებენ
<b>ჩამყო უსრული</b>		
უადიდებდი		უადიდებდით
სდიდებდი		სდიდებდეთ
სდიდებდა		სდიდებდენ-დიან
<b>ნამყო სრული</b>		
უადიდე		უადიდეთ
სდიდე		სდიდეთ
სდიდა		სდიდეს

**ნამყოფი უსრულესი**

შიდიდების--ია  
ღიდიდების -- ია  
ღდიდების -ია

ღვიდიდების-ია  
ღიდიდებისთ-იათ  
ღდიდებისთ-იათ

**ნამყოფი უუსრულესი**

შიედიდა  
ღედიდა  
ღიდიდა

ღჷედიდა  
ღედიდათ  
ღიდიდათ

**მყოფი**

შიადილო  
შიდილო  
შიდილოს

შიადილოთ  
შიდილოთ  
შიდილონ

**ბრძანებითი სქესისა (ბრძანებითი კილო)**

**აწყოფი**

ადიდე! ნუ' ადიდებ!  
ადილო'ს, ნუ' ადიდებს

ადიდ'ეთ, ნუ' ადიდებთ  
ადილო'ნ, ნუ' ა'ადიდებენ

**მყოფი**

შიადიდებდე', ნუ' ადიდებდე  
შიადიდებდე'ს, ნუ' ადიდებდე'ს

შიადიდებდე'თ, ნუ' ვადიდებდეთ  
შიადიდებდე'თ, ნუ' ადიდებდეთ  
ადიდებდე'ნ, ნუ' ადიდებდე'ნ

**ვიპოტეტიკა ანუ უკეთულობითი, ანუ საწადი (კავშირებითი კილო)**

**აწყოფი და მყოფი**

შიაშთუ ვადიდებდე  
შინუ ადიდებდე  
შიკეთუ ადიდებდე'ს

შიადიდებდეთ  
შიდიდებდეთ  
შიდიდებდე'ნ

**ნამყოფი უსრული**

შიაშთუ შიადიდებდი  
შინუ შიდიდებდი  
შიკეთუ შიდიდებდა

შიადიდებდით  
შიდიდებდით  
შიდიდებდიან-ენ

**ნამყოფი სრული და უსრულესი**

შიაშთუ შიდიდების-ია  
შინუ ღიდიდების-ია  
შიკეთუ ღდიდების -ია

ღვიდიდების-ია  
ღიდიდებისთ-იათ  
ღდიდებისთ -იათ

**ნამყოფი უუსრულესი**

შიაშთუ შიედიდა  
შინუ ჸედიდა  
შიკეთუ ჸიდიდა

ღჷედიდა  
ღედიდათ  
ღიდიდათ

**განუსაზღვრებელი სქესისა**

**აწყოფი**

შიადიდებული

**ნამყოფი**

შიადიდებული

**მყოფი**

შიადიდებელი ანუ დიდებადი

შიადიდება. სხოლიო. მასვე მაგალითსა შეუდგებიან უნი ზმნანი შემოქმედებითნი და უმუშეობითნი ხატშემოქმედებითნი კლისა უღღვლებისანი კლ სახენი, მაგალ, ებრ: ვესური, ვიქმ, ვუზნობ, ვჰსპარცჷ და სხუანი (ი. ქართველიშვილი, 1809:45-47).

**ინებითნი**

**აწყოფი**

შიიდიდები  
შიდიდები  
შიდიდების

შიიდიდებით  
შიდიდებით  
შიდიდებიან

**ნამყოფი უსრული**

შიიდიდებოდი  
შიდიდებოდი

შიიდიდებოდით  
შიდიდებოდით

იდიდებოდა		იდიდებოდიან-ოდენ
	<b>ნამყო სრული</b>	
იიდიდე		იიდიდეთ-ენით,
იდიდე		იდიდეთ-ენით,
იდიდა		იდიდენ
	<b>ნამყო უსრულესი</b>	
სიდებულ-ვარ		სიდებულ-ვართ
სიდებულ-ხარ		სიდებულ -ხართ
სიდებულ-არს		სიდებულ არიან
	<b>ნამყო უუსრულესი</b>	
სიდებულ-ვიყავ		სიდებულ-ვიყავთ
სიდებ-იყავ		სიდებულ-იყავთ
სიდებულ-იყო		სიდებულ -იყუნენ
	<b>მყოზადი</b>	
იიდიდო		იიდიდოთ
იდიდო		იდიდოთ
იდიდოს		იდიდენ-იან
	<b>ბრძანებითის სქესისა (ბრძანებითი კილო)</b>	
	<b>აწმყო</b>	
იდიდე', ნუ' იდიდები		იდიდე'თ, ნუ' იდიდებით
იდიდოს, ნუ' იდიდების		იდიდონ -ნენ, ნუ იდიდებიან
	<b>მყოზადი</b>	
იდიდებოდე, ნუ იდიდებოდე		იიდიდებოდეთ', ნუ იიდიდებოდეთ
იდიდებოდეს, ნუ იდიდებოდეს		იიდიდებოდეთ, ნუ' იდიდებოდეთ
	<b>ვიპოტეტიკა ანუ უკეთუობითი, ანუ საწადი (კავშირებითი კილო)</b>	
	<b>აწმყო და მყოზადი</b>	
იაშთუ ვიდიდებოდე		იიდიდებოდეთ
ინუ იდიდებოდე		იდიდებოდეთ
იკეთუ იდიდებოდეს		იდიდებოდენ
	<b>ნამყო უსრული</b>	
იაშთუ ვიდიდებოდი		იიდიდებოდით
ინუ უდიდებოდი,		იდიდებოდით
იკეთუ იდიდებოდა		იდიდებოდიან-დენ
	<b>ნამყო სრული და უსრულესი</b>	
იაშთუ დიდებულ ვარ		სიდებულ ვართ
ინუ დიდებულ ხარ		სიდებულ ხართ
იკეთუ დიდებულ არს		იდიდებულ არიან
	<b>ნამყო უუსრულესი</b>	
იაშთუ დიდებულ ვიყავ		სიდებულ ვიყავით
ინუ დიდებულ იყავ		სიდებულ იყავით
იკეთუ დიდებულ იყო		სიდებულ იყუნენ

სხოლიო. 1) განუსაზღვრებელი სქესი მიმდებარეობს და სახელზმნა ვნებითა ზმნათა იქნების მსგავსად შემოქმედებითა. სხოლიო, 2) მაგალითსა ამას შეუდგებიან უნი ვნებითნი და ხატვებითნი ზმნანი ბლისა უღლვლებისანი ჰლ სახენი, მაგალითებრ: იოქმნები, იოუბნები, იომრცტები, იოზრდები, იჰთები, და სხუანი (ი. ქართველიშვილი, 1809: 48-51).

**სხმითგარდასლვთისათვს შემოქმედებითსა ზმნისა**

**საზღრტებითი სქესისა (თხრობითი კილო)**

**აწმყო**

იაწერინებ	იაწერინებთ
იწერინებ	იწერინებთ
იწერინებს	იწერინებენ.

**ნამყო უსრული**

იაწერინებდი	იაწერინებდით
იწერინებდი	იწერინებდით

სწერინება

სწერინებდენ-დიან

**ნამყო სრული**

იაწერინე  
სწერინე  
სწერინა

იაწერინეთ  
სწერინეთ  
საწერინეს

**შდრ.**

დავაწერინე  
დააწერინე  
დააწერინა

დავაწერინეთ  
დავაწერინეთ  
დააწერინეს

(გ.რექტორი, 1970: 97).

**ნამყო უსრულესი**

ძიწერინებიეს-ია  
ღიწერინებიეს-ია  
ღწერინებიეს-ია

ღკწერინებიეს-ია  
ღიწერინებიესთ-იათ  
ღწერინებიესთ-იათ

**შდრ.**

დამიწერინებიეს  
დაგიწერინებიეს  
დაუწერინებიეს

დაგკწერინებიეს  
დაგიწერინებიესთ  
დაუწერინებიესთ

(გ.რექტორი, 1970: 97).

**ნამყო უუსრულესი**

ძეწერინა  
ღეწერინა  
იწერინა.

ღჟეწერინა  
ღეწერინათ  
იწერენათ

**შდრ.**

დამიწერინები  
დაგიწერინები  
დაუწერინები

დაგკწერინები  
დაგიწერინები  
დაუწერინები

(გ.რექტორი, 1970: 97).

**მყოზადი**

იაწერინო  
სწერინო  
სწერინოს

იაწერინოთ  
სწერინოთ  
სწერინონ

**შდრ.**

დავაწერინო  
დააწერინო  
დააწერინოს

დავაწერინოთ  
დააწერინოთ  
დააწერინონ

(გ.რექტორი, 1970: 97).

**ბრძანებითი სქესისა (ბრძანებითი კილო)**

**აწყო**

სწერინე, ნუ აწერინებ  
სწერინოს, ნუ აწერინებ

სწერინეთ, ნუ აწერინებთ  
სწერინონ, ნუ აწერინებენ

**მყოზადი**

-----  
სწერინებდე, ნუ აწერინებდე  
სწერინებდეს, ნუ აწერინებდეს,

სწერინებდეთ, ნუ აწერინებდეთ  
სწერინებდენ, ნუ აწერინებდენ

**ვიპოტეტიკა ანუ უკეთუობითი, ანუ საწადი (კავშირებითი კილო)**

**აწყო და მყოზადი**

იაშთუ\_იაწერინებდე  
სნუ\_სწერინებდე  
ღკვეთუ\_სწერინებდეს

იაწერინებდეთ  
სწერინებდეთ  
სწერინებდენ

**ნამყო უსრული**

უამათუ	ოაწერინებდი	ოაწერინებდით
ძნუ	ოწერინებდი	ოწერინებდით
ოკვეთუ	ოწერინებდა	ოწერინებდიან-დენ

**ნამყო სრული და უსრულებსი**

უამათუ	ძიწერინებდეს-ია	ოკწერინებდეს-ია
ძნუ	ოიწერინებდეს-ია	ოიწერინებდესთ-იათ
ოკვეთუ	ოწერინებდეს -ია	ოწერინებდესთ-იათ

**ნამყო უუსრულებსი**

უამათუ	ძეწერინა	ოტეწერინა,
ძნუ	ოეწერინა	ოეწერინათ
ოკვეთუ	ოწერინა	ოწერინათ

**განუსაზღრტელობითი სქესია ოაწერინებად აწმყო**

ოამაწერინებელი

**ნამყო**

ოაწერინებული

**მყოობადი**

ოასაწერინებელი, ანუ დაწერინებად

ოაწერინება. სხოლოო მაგალითისა ამისებრ მიმოიხრებიან უნი სხმით გარდასლვთანო შემოქმედებითნი ზმნანი პირველისა უღლვლებანი (ი. ქართველიშვილი, 1809: 52-53).

**მიმოჯრანი სხმით-გარდასლვთა ვნებითთა ზმნათანი ( შუალობით კონტაქტიანი)**

**საზღრტეობითის სქესანი**

**აწმყო**

ოიწერინები	ოიწერინებით
ოწერინები	ოწერინებით
ოწერინების	ოწერინებიან

**ნამყო უსრული**

ოიწერინებოდი	ოიწერინებოდით
ოწერინებოდი	ოწერინებოდით
ოწერინებოდა	ოწერინებოდიან-დენ

**ნამყო სრული**

ოიწერინე	ოიწერინეთ
ოწერინე	ოწერინეთ
ოწერინა	ოწერინენ

**ნამყო უსრულებსი**

ოაწერინებულ ვარ	ოაწერინებულ ვართ
ოაწერინებულ ხარ	ოაწერინებულ ხართ
ოაწერინებულ არს	ოაწერინებულ არიან

**ნამყო უუსრულებსი**

ოაწერინებულ ვიყავ	ოაწერინებულ ვიყტენით
ოაწერინებულ იყავ	ოაწერინებულ იყტენით
ოაწერინებულ იყო	ოაწერინებულ იყტენენ

**მყოობადი**

ოიწერინო	ოიწერინოთ
ოწერინო	ოწერინოთ
ოწერინოს	ოწერინენ

გაიოზს მყოობადი არ აქვს გამოყოფილი (შდრ. გ. რექტორი, 1970: 102).

**ბრძანებითი სქესისა (ბრძანებითი კილო)**

**აწმყო**

ოწერინე'	ნუ' იწერინები	ოწერინე'თ,	ნუ' იწერინებით
ოწერინოს,	ნუ' იწერინება	ოწერინენ,	ნუ' იწერინებიან

**მყოობადი**

-----  
ოიწერინებოდე'თ, ნუ ვიწერინებოდეთ



წერინებოდე' ნუ' იწერინებოდე წერინებოდე'თ, ნუ' იწერინებოდეთ  
 წერინებოდეს, ნუ' იწერინებოდეს წერინებოდენ , ნუ' იწერინებოდენ  
**ვიპოტეტიკა ანუ უკეთუობითი, ანუ საწადი (კავშირებითი კილო)**  
**აწყო და მყოფადი**

წათუწერინებოდე	წერინებოდეთ
წუწერინებოდე	წერინებოდეთ
წვეთუწერინებოდეს	წერინებოდენ

**ნამყო უსრული**

წათუ წერინებოდ	წერინებოდით
წწუ წერინებოდ	წერინებოდით
წვეთუ წერინებოდა	წერინებოდენ-იან

**ნამყო სრული და უსრულესი**

წათუ წერინებულ ვარ	წერინებულ ვართ
წწუ წერინებულ ხარ	წერინებულ ხართ
წვეთუ წერინებულ არს	წერინებულ არიან

**ნამყო უუსრულესი**

წათუ წერინებულ ვიყავ	წერინებულ ვიყენით
წწუ წერინებულ იყავ	წერინებულ იყენით
წვეთუ წერინებულ იყო	წერინებულ იყენენ

წანუსაზღვრებელი სქესი და მიმდებარე სხმით გარდასლვითა ვნებითა ზმნათანი იქმნებიან მსგავსად შემოქმედებითა ზმნათა სხმით გარდასლვითა.

სხოლიო. მრჩობ სხმით გარდასლვითი შემოქმედებითი ვნებითი ზმნანი მიმოიხრებიან, ვ-ა ზმნანი სხმით გარდასლვითი სხმით გარდასლვითა ზმნათა ყ-თა მ-ა დროთა ნიშანი მრჩობლ სხმით გარდასლვითისინებ. მაგალითებ: წწერინებ, წწერინები, წაჭრევიებ, წაჭრევიები და სხუანი (ი. ქართველიშვილი, 1809: 53-58).

**ზმნანი მეორის უღვლებისანი**

„ზმნანი მეორისა უღვლებისანი არიან იგინი, რ-ლნიცა აწყოსა შ-ა დროსა, მხოლობითსა შ-ა რიცხუსა კ-ლსა შ-ა პირსა გაპიროვნებებიან ასოთა ამით შ; მეორესა შ-ა პირსა ასოთა ამით წ; ხ- მესამესა შ-ა პირსა ასოთა ამით (ჰ), ანუ უ და ანუ მეორისა პირისა მაპიროვნებულისაგ (წ)- შემდგომთა ასოთა, მაგალიტებ: მწწამს, გ-რწამს, ჰ-რწამს, მ-იყუარს, გ-იყუარს, მ-თქუს, მაქუს, აქუს, და სხვანი“ (ი. ქართველიშვილი, 1809: 44).

**საზღვრებითი სქესი (თხრობითი კილო)**

**აწყო**

მთყუარს	წყუარს
წოყუარს	წყუარსთ
წყუარს	წყუარსთ

**ნამყო უსრული**

მთყუარდა	წყუარდა
წოყუარდა	წყუარდათ
წყუარდა	წყუარდათ

სხოლიო: დრონი ნამყო სრული, უსრულესი, უუსრულესი და მყოფადი არ აქუს ზმნათა მეორისა უღვლებისათა (ი. ქართველიშვილი, 1809: 58-59). შდრ. **ნამყო სრული**: შეიყუარა-შეიყუარეს; **ნამყო უსრულესი**: შეიყუარებიეს-შეიყუარებიესთ; **ნამყო უუსრულესი**: შეიყუარებია-შეიყუარებიათ; **მყოფადი**: შეიყუაროს-შეიყუარონ (გ. რექტორი, 1970: 77).

**ბრძანებითი სქესი ( ბრძანებითი კილო)**

აწყო უკტე დრო არა აქუსთ სქესსა ამას შ-ა ზმნათა ამის უღვლებისათა.

**მყოფადი**

წოყუარდეს, ნუ წოყუარდეს	გწყუარდეს, ნუ გწყუარდეს
წყუარდეს, ნუ წყუარდეს	წყუარდესთ, ნუ წყუარდესთ
	წყუარდესთ, ნუ წყუარდესთ

**ვიპოტეტიკა ანუ უკეთუობითი, ანუ საწადი (კავშირებითი კილო)**

**აწყო და მყოფადი**

წათუ მთყუარდეს	მთყუარდეს
წწუ წოყუარდეს	წოყუარდეს

Qვეთუ Qყტარდეს

Qყტრდესთ

**ნამყო უსრული**

ვაშათუ შიყტარდა  
ᄀნუ ღიყტარდა  
Qვეთუ Qყტარდა

ღიყტარდა  
ღიყტარდათ  
Qყტარდათ

ნამყო სრული და უსრულის აკლია (ი. ქართველიშვილი, 1809: 77). შდრ. ნამყო სრული და უსრულის : „ვაშათუ შემიყტარებეს- შეგყტარებესთ ....“ (გ. რექტორი, 1970: 78).

**აწყო**

ყყტარებული

**ნამყო**

ყტარული

**მყოზადი**

საყსარელი, ანუ ყტარტადი

**სახელზმნა**

ყტარება

სხოლიო: მაგალითსა ამას შეუდგებიან უცუალებლად უ-ნი ზმნანი მეორისა უღლკლებისანი (ი. ქართველიშვილი, 1809: 60).

**მიმოხრა უკანონოსა არსებითის ზმნის**

**საზღრტებითნი სქესისა**

**აწყო**

-----

შდრ. აწყო : ვარ-ვართ, ხარ-ხართ, არს -არიან (გ. რექტორი, 1970: 105).

**ნამყო უსრული**

ღიყოფოდი  
სყოფოდი  
სყოფოდა

ღიყოფოდით  
სყოფოდით  
სყოფოდიან

**ნამყო სრული**

ღიყავ  
სყავ  
სყო

ღიყავით  
სყავით  
სყტნენ

**ნამყო უსრულისი**

ყოფილ-ვარ  
ყოფილ-ხარ  
ყოფილ-არს

ყოფილ-ვართ  
ყოფილ-ხართ  
ყოფილ-არიან

**ნამყო უუსრულისი**

ყოფილ- ვიყავ  
ყოფილ-იყავ  
ყოფილ-იყო

ყოფილ-ვიყავი -ვიყტენით  
ყოფილ-იყავით-იყუენით  
ყოფილ-იყტნენ

**მყოფადი**

ღიყო  
სყო  
სყოს

ღიყოთ  
ღიყოთ  
სყტნენ (ი. ქართველიშვილი, 1809: 62).

იოანე ქართველიშვილს მითითებულ დროთა საილუსტრაციოდ ჩამოთვლილი აქვს შემდეგი ზმნები:

<b>აწყო</b>	<b>ნამყო</b>	<b>მყოზადი</b>
1. შევჰკრავ	შევჰკარ	შევჰკრა
2. აღვიხვამ	აღვიხტ	აღვიხტა
3. ვჰკაფ	ვჰკაფე	ვჰკაფო
4. დავსდგამ	დავსდგი	დავსდგა
5. შევსწირავ	შევსწირე	შევსწირო
6. დავიცავ	დავიციე	დავიციუა

7. აღვჭვრინავ	აღვჭვრინდი	აღვჭვრინდე
8. შევიყვარებ	შევიყვარე	შევიყვარო
9. ვპკვეთ	ვპკვეთე	ვპკვეთო
10. განვქსწმინდ	განვქსწმინდე	განვქსწმინდო
11. აღვპლევი	აღვპლევი	აღვპლევი

იოანე ქართველიშვილის გრამატიკაში გაიოზისაგან განსხვავებით პარალელური ფორმები გვხვდება: 1. შემოქმედებითი (მოქმედებითი) ზმნების უღლებისას ნამყო უსრულში (III პ. მრ. რ.) - **ღადიდებდენ-დიან**. შდრ. აქებდენ (გ. რექტორი, 1970):73). 2. ნამყო უსრულესში (სამივე პირსა და ორივე რიცხვში)- **ღადიდებდეს-ია-ღადიდებდესთ-იათ**. „აქ იგი ანტონს გაჰყვება და ჭემმარიტებასაც აღადგენს“ (ა. ფოცხიშვილი, 1979: 290). 3. ვნებითი გვარის ზმნებთან ნამყო უსრულში (III პ. მრ. რ. **ღადიდებოდიან-ოდენ**) და მყოობადში (III პ. მრ. რ. **ღადიდენ-იან**) ...

ზმნისწინს იყენებს მხოლოდ სხმით-გარდასვლკლითი ვნებითი გვარის ზმნასთან „(წერინების) ნამყო უსრულესში (**წაწერინებულ არს**), ნამყო უსრულესში (**წაწერინებულ იყო**) . იოანე ქართველიშვილი უპირატესობას ანიჭებს უზმნისწინო ფორმებს. მაგ.: ნამყო სრული -**წერინა**. შდრ. **დააწერინა**; ნამყო უსრულესი-**ღწერინებდეს-ა** შდრ. **დაუწერინებია**; მყოობადი -**წერინოს**. შდრ. **დააწერინოს** (გ. რექტორი, 1970: 97).

ამრიგად, იოანე ქართველიშვილის „ქართულ ღრამმატიკაში“ პირის ნიშნებზე დაყრდნობით გამოყოფილია ვინიანი და მანიანი უღლებები. განსხვავებაა ანტონ პირველის მოსაზრებებისაგან. ანტონი უღლების სახეებს გამოყოფს აწმყოს ფუძის სტრუქტურის მიხედვით, სადაც ანგარიში ეწევა მარცვლის ხმოვანს, სიტყვაწარმოების მიხედვით გამოყოფილი აქვს ხატები (ქვესახეობები). იოანე ქართველიშვილმა გააგრძელა და გაამარტივა გაიოზის დებულებები ზმნის უღლების საკითხთან დაკავშირებით. გაიოზისაგან განსხვავებით გამოყენებულია უზმნისწინო და პარალელური ფორმები; განსხვავებულია „მიყვარს ტიპის“ ზმნების უღლებაც. იოანე ქართველიშვილის გრამატიკაში წარმოდგენილია არაერთი საინტერესო დაკვირვება, რომლის მნიშვნელობა დღესაც დიდია ქართული ზმნის ანალიზის ისტორიისათვის.

**ლიტერატურა:**

1. ანტონი I, ქართული ღრამმატიკა, თბ., 1885.
2. ე. ბაბუნაშვილი, ანტონ პირველი და ქართული გრამატიკის საკითხები, თბ., 1970.
3. გ. გოგოლაშვილი, ქართული ზმნა, თბ., 2010.
4. ე. ნიკოლაიშვილი, გაიოზ რექტორი და მისი ქართული გრამატიკა: გაიოზ რექტორი, ქართული ღრამმატიკა, თბ., 1970.
5. გ. რექტორი, ქართული ღრამმატიკა, თბ., 1970.
6. ა. ფოცხიშვილი, ქართული გრამატიკული აზრის ისტორიიდან, თბ., 1979.
7. ი. ქართველიშვილი, ქართული ღრამმატიკა, ტფ., 1809: კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ. 4432.
8. არნ. ჩიქობავა, რა თავისებურება ახასიათებს ქართული ენის აგებულებას, II, „ახალი სკოლისაკენ“, თბ., 1929.

**Mariam Koberidze**  
*Gori State Teaching University*  
**PARADIGMS OF VERB CONJUGATION**  
**IN IOANE KARTVELISHVILI'S „GEORGIAN GRAMMAR”**  
**RESUME**

Among other parts of speech, the verb occupies greater place in Ioane Kartvelishvili’s Grammar. According to his observations, the verb expresses life or an activity of a person or a thing. Unlike the grammar of Anton I and Gaiosz the Rector, he presented the verb conjugation paradigms in a new way; he based them on person markers, singled out v-conjugation and m-conjugation. The author thoroughly discusses each type of conjugation and gives their paradigms. V-conjugation forms are the forms of the verb, which in the present tense have: v – in the first person, a, e, i, u, h – in the second person, and s – in the third person. He gives the following examples: ვაქებ, აქებ, აქებს (I praise, you praise, he praises), ვქსწერ, ჰქსწერ, ჰქსწერს (I write, you write, he writes)...

Ioane Kartvelishvili considers M –conjugation forms to be the forms of the verb, which have in the present tense: m – in the first person, g – in the second person, h, u, g – in the third person. For example: მ-რწამს, გ-რწამს, ჰ-

რწამს... (I believe, you believe, he believes). There is another opinion in Ioane Kartvelishvili's Grammar different from Anton I. Anton singles out the types of conjugation according to the stem structure of the present tense, where the syllable's vowel is taken into consideration, and according to the word formation, he singles out the subtypes. Anton I singles out five types of conjugation in the first edition of his Grammar, while in the second edition there are eight types. The classification of Gaioz the Rector touches upon the verbs of Instrumental Case, where it is noted, that the Passive Voice is conjugated likewise the verbs of Instrumental Case. Gaioz the Rector singles out six types of conjugation. Ioane Kartvelishvili's ideas about the quantity of types of conjugation are rather different. His table of conjugation is simplified. We come across many observations in Ioane Kartvelishvili's Grammar, which are extremely important nowadays, for the history of analysis of Georgian Language.

*ქეთევან მარგიანი*  
*სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

### სვანური დარგობრივი ლექსიკა

საენათმეცნიერო ლიტერატურაში ხაზგასმით არის მითითებული სვანური ლექსიკის სიმდიდრისა და არქაულობის შესახებ; ეს ლექსემათისისტემები განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მეურნეობის ისეთი დარგების აღწერით, როგორებიცაა: მიწათმოქმედება, მემინდვრობა, თიბვა, მესაქონლეობა-მეცხოველეობა, მებოსტნეობა, მეხილეობა... აგრეთვე სამეურნეო და საოჯახო საქმიანობასთან დაკავშირებული ტერმინები და სხვა, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ ქართული ენის ლექსიკის გამდიდრებისა და მისი ისტორიის სრულფასოვანი შესწავლის თვალსაზრისით. ქართველური ლექსიკა ხომ საერთო სალიტერატურო ენის ლექსიკური ფონდის ძალზე მნიშვნელოვანი კომპონენტია. ცნობილი ფაქტია, რომ საქართველოსა და კავკასიის მთიანეთში თიბვის სეზონი იყო ყველაზე დაძაბული სამუშაო პერიოდი. ოჯახს უნდა მოესწრო რაც შეიძლება მეტი საკვების მომარაგება პირუტყვისათვის და მეორეც, თივის დროულად აღება დიდად მოქმედებდა მის ხარისხზე. სპეციალურ ლიტერატურაში მითითებულია, რომ თივის დროულად გათიბვა და გადაზიდვა 25-40 პროცენტით ზრდის ცილების რაოდენობას, რაც მისთვის ყველაზე ძვირფასია. მთაში თივის დამზადება ძალზე რთული პროცესია: სათიბების სიშორე, ბალახის სიმცირე, ცელით თიბვა, თივის ტრანსპორტირება მარხილით, მთიდან ზვინების ჩამოცურება საკმაო სიმძნელებთან არის დაკავშირებული. თიბვა ივლისში იწყება და გვიან შემოდგომამდე გრძელდება. თივის შემოზიდვას კი ზოგჯერ ზამთარიც უწევს ხოლმე. საინტერესოა, რომ სვანეთში თიბვის სეზონის დაწყებას დღესასწაულით აღნიშნავენ: „ლიუსხვარი“ (ვერძობა, 3 ივლისი); ამ დღეს დათქვამდნენ თიბვის დაწყების დღეს – „ახანახა ლადელს“. „ლიუსხვარ“-ისთვის ყოველი ოჯახი სპეციალურად ზრდის თითო ვერძს. დილით ადრე ცხვრები მიყავთ ეკლესიაში და იწყება ლოცვა: „დიდაბუ აჯკედა ფუსდს, ხომა ღერბეთ! მარე მაგ, ხოჩა ლიჰმწლიელს ლანგენ, ხოჩამთე ლახსიპინ ნიშგვეი ქორ, ნიშგვეი მარე მაგ“. წირვა-ლოცვის დამთავრების შემდეგ იწყება ვერძების ჭიდაობა. გამოვლინდება გამარჯვებული, რომლის პატრონიც გახარებულია, რადგან მან საუკეთესო შესაწირი უმღვნა ღმერთს დილის ლოცვის შემდეგ ოჯახში მიბრუნებულები ამბობენ: „ღერთა ჟერ უვ მიჯიდა ი მაშედუ გვარ ჩის ლადი ნამზირ,“ (ღმერთის წყალობამც შემომეტანოს და შეგვეწიოს ყველას დღევანდელი ლოცვა). ოჯახებში კლავენ ცხვრებს, გულ-ღვიძლს და მარჯვენა ბეჭს მოხარშავენ, სალოცავ კვერებს ლემზირებს, სანთლებს, ცხვრის მოხარშულ ნაწილებს გოდორში (ლაშიცში) ჩააწყობენ, ზურგზე მოიკიდებენ და კვლავ მიბრუნდებიან ეკლესიაში, სადაც დიდი ლოცვა იმართება, 2-3 მლოცველი, „ღერთა მარალ“ – (ღმერთის კაცები), თითოეული ოჯახის შესაწირს თითო-თითოზე ალოცებენ და ამინ-ს ეუბნებიან. ლოცვის პროცესი სამი-ოთხი საათი გრძელდება, რის შემდეგაც იმართება პურობა, ცეკვა-თამაში, ოხუნჯობა, შეჯიბრება ქვის აწევაში... თიბვის სეზონს ივლისში იწყებენ და ოქტომბრამდე გასტანს. სვანეთის ალპური საძოვრები გამოირჩევა ყუათიანობითა და მაღალი პროდუქტულობით, ბარის მშრალი, გამხმარი ბალახი კი ნაკლებად შეიცავს მონელებად ცილებსა და პირუტყვის ორგანიზმისათვის საჭირო ვიტამინებს, შეთვისებად ცილებსა და მინერალურ ნივთიერებებს. თიბვასთან დაკავშირებული სვანური სამუშაო იარაღებიდან

ბარში დასტურდება ფიწალი და ცელი, ხმარებიდან ამოვარდა უღელი, ხის ფიწალი, ფოცხი, ფარცხი, კვერი, მარხილი. თივის ზიდვისათვის აუცილებელი საშუალებები – ხარი და მარხილი სატვირთო მანქანამ შეცვალა. მარხილის დამზადების ხელოვნება მხოლოდ უხუცესებშია შემორჩენილი.

თიბვასთან დაკავშირებული სვანური ლექსიკის კომპლექსური შესწავლა იძლევა საინტერესო დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას (ვგულისხმობთ ეთნოლოგიურ, სტრუქტურულ–სემანტიკურ–ლინგვოკულტუროლოგიურ ასპექტებს, ეტიმოლოგიებს, პარალელებს სხვა ქართველურ ენებთან). ეს ლექსემებია: ახანახა, აჯ, მერჩილ, ლაფცხირ, ბიწალ, ლაშერ, ლარე, ლეჰმე, ლიჰმე, კირაჟ, დარბაზ, ჰემ, მეჰტ, მერი, ჰყიჰარ, ნენი, ბალაზ, ლამალ, ლალდიარ, ლანწუნალ, ლაჰმა, საჟ, საჟ თხტიმ, საჟ მარჯლარ, ლეზი, კიცორა, საჟ ჟღა, საჟ ჰიშ, საჟ ნაწურხუნ, ლანწუთხა, ფარცხ, ჟღა, ფარფ, ლასტმან, თხუპ, წემაშ, ლეთხტმარ, ლეშდიქ, ლეშდიქ ჰტემ, ლეშდიქ შდგუარ, საჟ ოსპერ, საჟ ფაჰტნა, ლეშდიქ ქიპ|| ლანგჰარ, მერჩილი ლაჯ, გინდრუჟა, მერჩილი ყტირუჟ || თოლა, მერჩილი თალ, მერჩილი სხაპ, ბათან, ლიბთან, ლაკტხარ, ქაფ, ლიფრე, ლიშრე, ლიჰალი, ლიჰმე ლიჰლტინე, ხეგი, ცხაპ...

**ახანახა** – (თიბვის დრო): მიწის ნაყოფიერებისათვის, თიბვისთვის განკუთვნილი დღეობა, ივლისი, თიბათვე. (ჩართოლ. სვან. ტექსტ. 2003: 180) 1. თიბვის დაწყების დღე; 2. ახალმოწყული ჰირნახულის გემოს გასინჯვა.

**აჯ** – (–აშ; –არ – ბზ; –ომ; –ორ; –ლშ; –არ ლნტ.) – სარზე დადგმული ზვინი. მაგ: ბაპ სგაჩად აჯთესგა (ბზ. 432) – მღვდელი შევიდა ზვინში. დაბარისა ლეჰნტი ლიხ აჯარ (ლშხ. 54) – ყანებში მიმოხეულია ზვინები. აჯს ჟიჟ ქა ხაკრსანენა (ინტ. 266) – ზვინს გველი შემოხვეოდა.

**მერჩილ** – ცელი. მაგ: [ჰყინტად] მერჩილ ჩტადჰარ (ბზ. 431) – (–ჩლიმ, –ჩლარ) – ვაჟმა ცელი დააგდო. ლაფცხირ ესერ ზურალს ი მერჩელ – ღაჟმარა (ანდ.) – ფოცხი – დედაკაცს და ცელი – მამაკაცსო.

**ლაფცხირ** – (ბზ.); (ალ.); ლაფცხირ (არ) ბე; ლაფცხირ (ალ) ლშ; ლაფცხირ (–ალ) ლნტ – ფორცხი.

**ბიწალ** – (უმგ.); ბიწალ; ფიწალ (ბქ.); ბიწარ (ბქ.); ფირწალ (ლშხ.); იწალ (ლნტ.) – ფიწალი.

**ლაშერ** – (ალ) ბზ; (რელ) ლშ; ლაშერა (როლ) ბქ; ლაშერ (ალ) ლნტ. – გასალესი; სალესი. მაგ: ლაშერ ესერ ათსედა ქორს (ბზ. 430) – სალესი დამრჩა სახლშიო.

**ლარე** – (–არალ) ბზ; (–რელ) ლშ; ლარე (–როლ) ბქ; (–ალ) ლნტ. – სათიბი; მინდორი. მაგ: დიაჰტენ მინე ჩუჰტან მიჩა ლარას აჰმა (ბზ. 431) – დიაკვანი მათ ქვემოთ თავის სათიბს თიბავდა.

**ლეჰმე** – (–მალ) ბზ; (–მოლ) ბქ; (–მელ) ლშ; ლეჰმე (მალი) ლნტ. – გასათიბი, გასათიბავი. მაგ: კუმში მგლ–დელს ლეჰმისგ ხეჟა... (ბზ. 340) – საქონლის მწყემს სათიბში უთხარი [შტანს] ჩუ მასარდ ითხი ლეჰმე (ლშხ. 5) – სვანეთში სათიბები ბლომად არის.

**ლიჰმე** – ზს, ლშ. ლიჰმე – ლნტ. – თიბვა. მაგ: (ამხაჟ დოსკ ანბინან ლიჰმე (ინტ.)) – წელს თიბვა ადრე დაიწყო.

**ლიჰმე–ლითიალ** – ბზ. ლიჰმელ – ლითელ – ბქ. ლიჰმე – ლით. ლშხ, ლიჰმე–ლითი – ლნტ. – „თიბვა–მკის პერიოდი“. მაგ: ლიჰმე – ლითელ უშტარ ესერ ხაჰიმხ (ანდ.) – თიბვა (და) მკა ერთმანეთს მოსდევსო.

**ჰემ** – (–არ) ზს. ლნტ. (–არ) ლშხ. – თივა. მაგ: ამხაჟ ადგილს [ეჯარდ] ადჰარეხ ჰემ (ბზ. 413) – იმათ ერთ ადგილას თივა დაახვავეს. კინ – ჰემილდ ბს. ლნტ; ჰემილ – ლშხ.

**კირაჟ** – (–ალ) ლშ; (–ალ) ლნტ; – საბძელი. მაგ: სგა ანტხენი კირაჟხენ (ლშხ. 16) – მობრუნდებიან საბძლიდან.

**დარბაზ** – (ბზალ) ბზ. (ბზარ) ბქ – სვანური სახლის ან ბოსლის ზედასართული, სადაც ინახავენ პირუტყვის საკვებს – თივას, ჩალას, ბზეს. მაგ: ნაკლაჟს ღაჟარ იმაჯეხ გოდრარჟ დარბაზთე (ბქ. 230) – ბზეს მამაკაცები გოდრებით ეზიდებიან დარბაზში.

**მეჰტ** – (არ||მოჰტარ) ბზ. (–არ) ლშხ. (–არ) ლნტ. – ზვინი. მაგ: ბიჰტს მოჰტარ მანგ ჩოთრღა (ბზ.) – ქარს ზვინები სულ დაუშლია.

**მერი** – (–ალ) ბზ. (–ალ) ლშხ. მერი (არ) ბქ. – მეორედ მოთიბული თივა.

**ჰყიჰარ** – (–ჰარალ) ბზ. (–ჰარალ) ბქ. (–ალ) ლნტ. ჰყიჰარ (ალ) ლშხ. – ლორთქო ბალახი. მაგ: კუმამ ჰყიჰარ ბალახს იზობდა (ლნტ.) – საქონელი ლორთქო ბალახს ჰამდა.

**ნენი** – ბზ. ლშხ. ნენი (–აშ) ბქ; (ლშ) ლნტ – თივა. მაგ: ნენი თამფიარ ქამდა (ბზ) – თივა აღდგომამდე მექო. ჟობაშ ნენი ხეჰმი ჩტიბეჟტიმ ლარას (ბქ. 231) – ბევრი თივა ითიბება ჩუბეხევის მინდორში. გუშჰტე ღაჟარდ ხტაი ნენი ანმაჯეხ (ინტ) – ჩვენმა კაცებმა ბევრი თივა მოზიდეს.

**ლამალ** – კვალი (თივის) (ნამხრევი – სალიტ. ქ) – (ნამხარი).

**ლალდიარ** – (იშ, –ვლ) ბზ. ლალდიარ (–არარ) ბქ. – ბაგა. მაგ: ნენი სგა ოთჰარ ლალდიართესგა (ბქ.) „თივა ჩავეყარე ბაგაში“.

**ლანუნალ** – (ემ, –ვრ) ბზ. ლანუნალ ლშხ. – თივის დასაყრელი ადგილი მაჩუბში. მაგ: ლანუნალტი ნაჭყულ ჩუქტან ოთნახ (ბზ. 27) „თივის დასაყრელ ადგილას კანაფის ბურდი დაუტანეს“.

**ლაჭმა** – (მშმ, –შალ) ბზ. (მაშ, მოლ) ბქ. ლაჭმა (–მშმ, –მელ) ლშხ. ლაჭმა (–მაშმ, მალ) ლნტ – სათიბი. მაგ: ბაპ... დაჭმათე აჩად (ბზ. 430) „მღვდელი სათიბი წავიდა“.

**საჭ** – (–ტაშ/–ტიშ, სატარ) – მარხილი.

**საჭე თხტიმ** – (იშ; თხუმარ) – მარხილის თავი (წინა ნაწილი).

**საჭე თხტიმ ლეზ** – (იშ, ლოზარ) – საბელი, მარხილის თავის შესაკრავი.

**საჭე მარჯლარ** (იშ) – მარხილის ტოტები, დამაგრებული მარხილის უღელზე.

**ლეზი** – საბძლიდან თივის ჩამოსაყრელი.

**კიცორა** – თივის საზიდი დაწული გოდორი.

**საჭე ჟღტა** – (–შმ, –ვრ.) – მარხილის უღელი.

**საჭე ჭიშხ** – (იშ, ჭეშხარ) – მარხილის ფეხი.

**საჭე ოსპერ** – (–იშ, –ვლ) – მარხილის ხიდი (დანდალი): მარხილის ფეხების (ძირის) შესაკრავი ოთხკუთხა ლარტყი.

**საჭე ფეკუნა** – (–შმ, –ვრ) – მარხილის ლეკვი: ხის სოლები, რომლებიც ჩარჭობილია მარხილის ფეხებში, ზემოდან გადებულია ხიდები (ლარტყები).

**საჭე ნაწურხუნ** – (–იშ, –ვლ) – ხის ღვლერჭი, ნაგრები: დამაგრებულია მარხილის კიდეებზე.

**ლანწუთხა** – (–შმ, –ვრ) – სამაგრი: ამაგრებს ნაგრებს მარხილის ფეხზე, წნელისაა.

**ფარცხ** – (–იშ/–შმ, ვლ) – ლასტი: ხის წვრილი ტოტებია და სამგან დაგრებილი წნელებით გამაგრებული, დაფენილია მარხილზე ზემოდან.

**ჟღტა, უღტა** – (–ტაშ, ტარ) – უღელი.

**ფარფ** – (–იშ, ფარფალ) – ფარფლი: უღელის ხის აწეული ნაწილი, კიდე.

**ლასტმან** – (იშ, ვრ) – ჩასარჭობი, ტაბიკი; უღელში წყვილ–წყვილად არის ჩაყრილი შესაბმელად.

**ლიშერე** – (ოხტშერ; ანშერე; ანშერნე – ბზ; ოხშერ – ლშხ.), აშერე (ოხტშერ; ანშერე; ანშერისგ – ბქ; ახტაშერ; ანაშერე; ანაშერნე – ლნტ.). *ლესავს*. გიერგ მერჩილს აშერე. (ბზ. 25)

**ლიჭადი** – (ოხჭად; ანჭადე; ანჭადნე – ბზ.), აჭადი (ოჭად; აჭადნე – ბქ; ახტაჭად; ანაჭადე; ანაჭადი – ლნტ.), აჭადი (ოხჭად; ანჭადე; ანჭადნე – ლშტ.). *ფარცხავს*. მაგ: ამ ზაჟ დაბარ დესა ხოჭადახ (ლშხ.) – წელს ყანები არ დაუფარცხავთ. სემი დაბ ეშხუ ლანდეღ ანაჭადეხ (ლნდ.) – სამი ყანა ერთ დღეს დაფარცხეს.

**თხუბ** – (–იშ, –ვრ) – აპეური, კანაფის თოკია ტაბიკების გადასაბმელად.

**წემშ** – (მშიშ, –მშარ) – ჭაპანი (ტყავისაა).

**ლეთხტიმარ** – (იშ, –ვლ) – კანაფის თოკი ხარების რქებზე ჩამოსაცმელად, საბელი.

**ლეშდიქ** – (–დექიშ, –დექარ) – ფოცხი, ხმარობენ თივის შესაგროვებლად (ლაფცხდ).

**ლეშდექ ჭტემ** – (იშ, ჭომარ) – ფოცხის ტარი.

**ლეშდექ შდეჯარ** – (ურიშ) – ფოცხის კბილები.

**ლეშდექ ქიშ|| ლანგჭარ** – (–იშ, –ჭარე) ფოცხის ძაფი.

**მერჩლი ლაჯ** – (–იშ, –ვრ) – ცელის ტარი.

**გინდრუტა** – (ტაშ, –ტაშალ) – ცელის ხელის მოსაკიდებელი.

**მერჩლი ყტირუტ || თოღა** – (–ვიშ, –ვაშარ) – ცელის სალტე, პირის დასამაგრებელი.

**მერჩლი თალ** – (–იშ, –ვრ) – ხის პატარა სოლი რკინის სალტეში ჩარჭობილი.

**მერჩლი სხაპ** – (–შმ/–იშ, –ვრ) – ცელის სალტის დასამაგრებელი.

**ბათან** – ბულულა; პატარა ზვინი.

**ლიბთანი** – დაბულულეზა: პატარა ბულულების კეთება, რითაც შემდეგ ზვინს დგამენ.

**ლაკუთხარ** – ცელის გამოსაკვერის ქვედა ნაწილი.

**ლიტღტინე** – ხარების შებმა ლელში.

**ხეგი** – სამუხრუქე მასალა, დადმართზე მარხილს უკეთდება ფეხებზე.

**ცხაპ** – უკეთდება ცელს ყუაზე, იცავს მას გატეხვისგან. კეთდება რკინით.

**ქაფ** – ტვირთი: მხრებზე მოკიდებული თივა.

**ლიფრე** – (ადფირნე – ბზ; ადფერისგ – ბ.ქ; ადფერნე – ლშხ; ადაფერი – ლნტ.), გარდ. – ახმობს. მაგ: ამის აჭმეხ ი აფრეხ ლეზობდ (ბქ. შხ) – ამას თიბავენ და ახმობენ საკვებად.

**ლიჭმე** – (ოთჭმე; ადჭმე; ადჭმენე – ბზ; ადჭმისგა – ბქ.), აჭმე (ოთჭმე; ადჭმე; ადჭმენე.) – ლშხ, აჭმე (ათუაჭმე; ადაჭმე; ადაჭმე.) – ლნტ. *თიბავს*. მაგ: დიაკუტენ მიჩა ლარას აჭმა (ბზ.43) – დიაკვანი თავის სათიბს თიბავდა. ნოდარ ბესილაძემ ლაროს აჭმე (ბქ. 201) – ნოდარი ბესილაძის სათიბს თიბავს. აჭმეხ დახუს (ლშხ. 5) – მთაში თიბავენ. მთელ ლადელ ხუაჭმად (ლნტ.) – მთელი დღე ვთიბავდით.

საინტერესოა, რომ დარგობრივი და ყოფითი, მათ შორის თიბვასთან დაკავშირებული ლექსიკის განსაკუთრებულ სიმდიდრესა და მრავალფეროვნებას სვანური ენისა მკაფიოდ უჩენია თავი მიკროტოპონიმიაშიც. გეოგრაფიულ სახელთა წარმოებისას ხშირად გვხვდება ლექსემები – ლექმე „სათიბი“, ლაარა „მდელო“, გინდრუტჷმ, ლანწუთხა, ლარე, ლექმე, კირაჷ, მერი, ჭყიჷრ, ლემწლ, ლლდიარ, ლჭმა, მარჯლარ, ლეზი, კიცორა, ოსპერ, სწჷ ფჷკუნა, სწჷ ნწურხუნ, ფარცხ, ჸლჷა, ფარფ, ლასტმან, თხუჷ, წემწმ, ლეთხტმარ, თოდჷ, მერჩლი თალ, ბათან, ლაკუთხ, ხეგი, ცხაპ... მიკროტოპონიმიაში ხშირია ასევე ქრისტიანულ დღესასწაულებთან დაკავშირებული ლექსიკა, მითონიმები, ლეგენდებთან და მითიურ პერსონაჷებთან დაკავშირებული ლექსემები, ეთნო და რელიგიური ხასიათის ტერმინები, შტოგვარები, დანიშნულების სახელები, ბოტანიკური, სამეურნეო საქმიანობისა და ხელობის აღმნიშვნელი სახელები, როგორცაა ნადირობა და ნადირობასთან დაკავშირებული ხშირ შემთხვევაში ტაბუირებული ლექსიკა, ტყიდან მორების გამოზიდვა, ცხენების მომწყვდევა და დაჭერა, თევზაობა, შენებასთან დაკავშირებული დარგობრივი ლექსიკა და ტერმინოლოგია, საყურადღებოა ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემოს მახასიათებელი ტერმინების უაღრესად ხშირი გამოყენება.

ამრიგად, პუბლიკაციაში სტრუქტურულ-სემანტიკური ასპექტით არის გაანალიზებული თიბვასთან დაკავშირებული სვანური დარგობრივი ლექსიკა. უნდა აღინიშნოს, რომ კომპლექსური შესწავლა სვანური ლექსიკისა იძლევა საინტერესო დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას, იქნება ეს ეთნოლოგიური, სტრუქტურულ-სემანტიკურ-ლინგვოკულტუროლოგიური ასპექტები, ეტიმოლოგიები თუ პარალელები სხვა ქართველურ ენებთან.

#### ლიტერატურა:

- ბარდაველიძე 1939** – ვ. ბარდაველიძე, სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი, თბ. 1939.  
**გამყრელიძე 2003** – თ. გამყრელიძე, ზ. კიკნაძე, ი. შადური, ნ. შენგელაია, თეორიული ენათმეცნიერების კურსი, თბ. 2003.  
**ონიანი 1998** – ა. ონიანი, სვანური ენა თბ. 1998.  
**თოფურია, ქალდანი 2000** – ვ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანური ლექსიკონი, თბ. 2000.  
**თოფურია 2002** – ვ. თოფურია, შრომები, ტ. II, თბ. 2002.  
**მიბჩუანი, 1989** – თ. მიბჩუანი, დასავლეთ საქართველოს ქართველ მთიელთა ეთნოგენეზის, განსახლებისა და კულტურის ისტორიიდან, თბ. 1989.  
**ჩართოლანი 2003** – ნ. ჩართოლანი, სვანური ტექსტები და ლექსიკა; ბალსზემოური კილო, 2003.  
**ჭუმბურიძე, ნიჟარაძე, ქურდაძე, 2007** – ზ. ჭუმბურიძე, ლ. ნიჟარაძე, რ. ქურდაძე – სვანური ენა, თბ. 2007.  
**შამილაძე 1969** – ვ. შამილაძე - „ალბური მესაქონლეობა საქართველოში“, თბ., 1969.  
**ღლონტი 1971** – ალ. ღლონტი, ქართული ლექსიკოლოგიის საფუძვლები თბ., 1971.

#### ტექსტები:

- სვანური ენის ქრესტომათია 1978** – ა. შანიძისა და მ. ქალდანის რედაქციით. თბ. 1978  
**სვანური პროზაული ტექსტები 1937** – I. ბალსზემოური კილო.  
**კოდორული ქრონიკები – 2007-2010** – კოდორული ქრონიკები, თბილისი.

**Ketevan Margiani**  
*Sokhumi State University*  
**VOCABULARY RELATED TO MOWING IN SVAN**  
**RESUME**

In the publication Svan vocabulary related to the harvest is analyzed by the structural-semantic aspect (*mercil, lafckhir, lasher, lare, kiraw, darbaz, meqw, meri, neni, lemal, laldiar, saw, sawa tkhwm, markhlar, lebi, kocora, ujhwa, farf, lasuman, Txup, cemash, letkhumar, osper, mercli laj, gindruai, mercli tal, mercli skhap, batan,*

libtani, lakutkhar, khegi, lifre, kaf...) complex studying of vocabulary connected/related to mowing in Svan gives us a very interesting results in ethnologic, structural-semantic-linguocultural aspect, etymology, parallels with other Kartvelian languages.

*მარიამ მარჯანიშვილი*  
*ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი*

### **ემიგრანტთა შემოქმედებაში გაცოცხლებული პოეტი**

XX საუკუნის ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ნაფიქრ-ნააზრებში ფართო სპექტრი მოიცავს აკაკი წერეთლის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი მასალების გაშუქებამ.

ამ მხრივ აღსანიშნავია ცნობილი პოლიტიკური მოღვაწის, ექიმ ვახტანგ ღამბაშიძის მოგონებანი პოეტზე: „ჩვენი დიდებული მგოსანი აკაკი ძალიან დაახლოებული იყო მამაჩემის ოჯახთან. ერთ დროს დაბადებულნი, ერთ მარაში მცხოვრებნი, თანამედროვენი იყვნენ საზოგადო მოღვაწეობის ასპარეზზე და ეკუთვნოდნენ იმ მცირე ჯგუფს, ეროვნულად განწყობილ მოწინავე ქართველობისა, რომელთა რიცხვი იმ დროს თითებით ჩამოსათვლელი იყო. ეს მეგობრობა აკაკისა და მამას შორის უფრო განმტკიცდა, როდესაც მამაჩემი შეუდგა ერთადერთ სასულიერო-საერო ჟურნალის „მწყემსი“-ს გამოცემას, რომელიც მან განაგრძო მრავალი დაბრკოლებისა და სიძნელის მიუხედავად, 27-წლის განმავლობაში“ (**მარაძე 1993:82**).

ცნობილია, რომ ჟურნალი „მწყემსი“ გამოდიოდა 1883-1910 წლებში ყვირილაში (ახლანდ. ზესტაფონი), თვეში ორჯერ, 1885-87 წლებში - თვეში ხუთჯერ. ჟურნალი სასულიერო თემატიკის გარდა დიდ ადგილს უთმობდა ქართული სკოლის, საქართველოს ისტორიისა და ლიტერატურის საკითხებს. რედაქტორ-გამომცემელი გახლდათ დეკანოზი დავით ღამბაშიძე.

სწორედ, თბილისში თუ ქუთაისში წასასვლელი მგოსანი ჯერ ზესტაფონში უნდა ჩასულიყო, რის გამოც იგი ხშირად რჩებოდა დავით ღამბაშიძის ოჯახში.

„ბავშვობიდან აკაკის მშვენიერი სახე და სასიამოვნო ლაპარაკი მომხიბლავ მოგონებათ მაქვს დარჩენილი. მისი ხანგრძლივი საუბარი ჩემ დედ-მამასთან ტკბილი ნანასავით ყურს მიაძებდა და რაღაც სათაყვანებელ ბუმბერაზად მესახებოდა...“

ყოველთვის წაიკითხავდა ხოლმე ახლად დაწერილს თავის ლექსს, რომელთაგან ბევრს ვიზეპირებდით წარმოუდგენელის სიადვილით მეც და ჩემი ძმაც“...

1946 წლის 16 იანვარს ემიგრაციაში ვახტანგ ღამბაშიძემ ხელნაწერის სახით დაამთავრა მოგონებათა ვრცელი წიგნი, რომლის წინასიტყვაობა პარიზში გამოცემულ ჟურნალ „ერის დიდების“ 1958 წლის მე-5-ე ნომერში დაიბეჭდა. სწორედ ამ მოგონებაში ვრცელი თავი აქვს დათმობილი აკაკი წერეთელთან ურთიერთობას: „აკაკი წერეთელი მაშინაც ხშირი სტუმარი იყო ჩვენი ოჯახისა თვისი კრებულის გამოცემაც თბილისიდან ზესტაფონში გადმოიტანა“ (**„ერის დიდების“ 1958:5**).

იგულისხმება ყოველთვიური ჟურნალი „აკაკის თვითური კრებული“, რომელიც 1897-1900 წლებში გამოდიოდა. პოეტს დიდი წვლილი მიუძღვის ქართული ჟურნალისტიკის განვითარებაში თავისი ნაყოფიერი და მნიშვნელოვანი პუბლიცისტური მოღვაწეობით.

მოგონებაში ავტორი მოგვითხრობს: „იქვე გამოვეცით აკაკის სრული ნაწერების პირველი ტომი და აგრეთვე „ბაში-აჩუკისა“ და „კიკოლას ნაამბობის“ პატარა ჯიბით სატარებელი წიგნაკები...“

ამავე დროს დაიწერა და დაიბეჭდა აკაკის ცნობილი პოემა „მედეა“, რის სახსოვრადაც და მოსაგონებლად დაერქვა ჩემს პირველ ქალიშვილს „მედეა“, რომლის ნათლიად გახდა თვითონ აკაკი და მომნათვლელად - კი მამაჩემი“ (**„ერის დიდების“ 1958:6**).

1904 წელს ექიმმა ვახტანგ ღამბაშიძემ პატარა ცემში გახსნა სანატორიუმი. როგორც ოჯახის ახლობელი, მათ მგოსანი მარიამობის თვეში ეწვია ცემში. ამასთან დაკავშირებით თავის მოგონებაში ვ. ღამბაშიძე მოგვითხრობდა: „აბა, ჩემო ვახტანგ, რომ მთხოვდი და დაგპირდი, დაგიწერე ლექსი“-ო. სიამოვნებით მივაჩერდი და ველოდი, როდის მომცემდა დაპირებულს. „ხვალ დილით ჩემთან რომ შემოხვალ, გიკარნახებ, ლექსი აქ მაქვს დაწერილი“-ო და თავის განიერ შუბლზე თითის მიდებთ დამიდასტურა ნათქვამი...“



მე ვიცოდი მისი ჩვეულება: ხან და ხან უცებ გაირინდებოდა და ჩაჩუმდებოდა ხოლმე; ამ დროს ის ქმნიდა ლექსს, რომელსაც იმახსოვრებდა ზეპირად... დილით მისალმებისას გამიღიმა, მკითხა: „მოიტანე რამე დასაწერათო“, დაინახა ყველაფერი მზათ მქონდა, დაიწყო და მთლიანად მიკარნახა შემდეგი ლექსი „პატარა ცემი“ ლოგინში მწოლარემ:

„თუ სენი ვისმე შემოჰპარვია  
და გულს ისარი ნაღვლად სცემია,  
მისთვის სამოთხე - სააგარაკოდ  
და სამკურნალოდ მხოლოდ ცემია“.

ეს ცხრა კუპლეტიანი ლექსი ასე მთავრდებოდა:

„და ვსთქვი: ბუნებავ ძლევა მოსილო,  
თვით ჯანაოზი შენ ხარ მკურნალი  
და ხელის შემწყობ მხოლოდ მასალად  
ექიმები და მათი წამალი!“

აღსანიშნავია ისიც, რომ ამავე სანატორიუმში ყოფნისას დაუწერია აკაკის ერისთავის ასულის საპასუხოდ შემდეგი ფელეტონი:

„მეც მახსოვს ცემი!... არ მავიწყდება  
სადამო მე იქ გატარებული!...  
რომ მაგონდება, ახლაც სიამით  
და სიტკბოებით მიღელავს გული...  
... ვფიქრობდი გულში: ნეტავ ეს ქალი  
რაზედა ჰფიქრობს და რა აღონებს?  
ნუ თუ ჩვენს წარსულს, აქ დავიწყებულს,  
გულ-დაწყვეტილი ოხვრით იგონებს?  
... მაგრამ ვაი თუ სხვა რამ აღელვებს?  
და სხვაზედ იყოს დაღონებული?  
და დღეს, როგორც სხვებს, ისე ამასაც  
მხოლოდ სასკვითოდ უცემდეს გული?!“

ხსენებული ლექსები ვახტანგ ღამბაშიძეს 1904 წელს „ივერიის“ ფურცლებზე გამოუქვეყნებია. („ივერია“ 1904:2).

ემიგრანტ ვახტანგ ღამბაშიძის მოგონებიდან ისიც ირკვევა, რომ პოეტი 1910 წლის ზაფხულის მიწურულში მეუღლითა და შვილით კვლავ წვევია პატარა ცემს. აკაკი მოაგარაკებთან ერთად საუბრებითა და ოხუნჯობით ძალიან ერთობოდა, ხოლო მის მეუღლეს და შვილს წასვლა ეჩქარებოდათ: „მიუტანე დღიური და ვთხოვე რამე დაეწერა, კარგ გუნებაზე არ იყო და ლექსის მაგივრად ეს ჩამიწერა:

**„15 ჩამომათრიეს და 23-ს წამათრიეს.  
ჯერ მოსვლა არ მინდოდა, და მერე წასვლა.“**

**1910 წ. მარიაშობის თვე**

**აკაკი.“**

ეს იყო უკანასკნელი მოსვლა ჩვენი ძვირფასი მგოსნისა ჩემს სანატორიუმში... მუდამ თვალყურს ადევნებდა მის განვითარებას. მოსწონდა ეს ახალი საშუალება ჯანმრთელობის აღსადგენად დასახული და დაუმატებდა ხოლმე: „დარწმუნებული ვარ ეგ საქმე კარგ ნაყოფს გამოიღებს: მამაც და მეც ერთად და მარჯვედ მუშაობთ საკეთილო საქმეზე და სული წმინდაც ზევიდან დაგტრიალებთ, მეტი რაღაა საჭირო“ („ერის დიდების“ 1958:5).

ემიგრანტი ვახტანგ ღამბაშიძე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მოგონებათა წიგნის დაბეჭვდას, რადგან მას მიაჩნდა, რომ „სამშობლოში „ნასმენ-ნახული“ და ცოტა რამ გაკეთებულიც - ყველაფერი ეს არ უნდა დაიკარგოს უკვალოდ. კაცობრიობა წარსულის მოგონებითაც ცხოვრობს!“... („ერის დიდების“ 1958:5).

აკაკი წერეთელს, როგორც დიდ 60-იანელს, ფასდაუდებელი ღვაწლი მიუძღვის ქართველი ხალხის სულიერი აღორძინების, მისი ეროვნული და სოციალური თვითშეგნების ამაღლებისათვის. მისმა შემოქმედებამ ქართული მხატვრული აზროვნების განვითარებაში ახალი აღმავალი ეტაპი შექმნა, როგორც იდეურ-მინაარსობრივი თვალსაზრისით, ასევე მკვეთრი მამულიშვილური და მოქალაქეობრივი პოზიციითაც.

სამშობლოდან შორს მყოფი ქართველი პოლიტიკური ემიგრანტები მუდმივ სულიერ კავშირში იყვნენ საქართველოსთან. მათ მეხსიერებასა და ფიქრებს არ შორდებოდათ დიდი მგოსნის ხატება და აკაკის ცხოვრება-მოღვაწის ეპიზოდები.

ამასთან დაკავშირებით ყურადსაღებია თამარ პაპავას მემუარებიდან „ჩემი კრიალოსანი“ - ერთი ამონარიდი: „ამ მწარე დღეებში მინდა მოვიგონო ჩვენი მუდამ აღფრთოვანებული საზოგადო მოღვაწე გრიგოლ დიასამიძე. როგორც გავიგე, ბატონი გრიგოლ დიასამიძე თავისი ქალით ლოლათი და შვილის-შვილით ნინოთი ჯერჯერობით ბერლინში ჩარჩა და იქ დაუღალავად განაგრძობს წერილების წერას აკაკი წერეთელზე სამხედრო გაზეთში და „შტაბის“ გამოცემაში - „ქართველი ერი“ (**„ქართული ემიგრაცია“ 2013:213**)

მნიშვნელოვანია, ცნობილი ქართველი ემიგრანტის გრიგოლ დიასამიძის 1951 წლის 3 ნოემბრით დათარიღებული წერილიც, რომელშიც მოცემულია ბერლინში 1945 წლის იანვარში მისი არქივის დაწვის ტრაგიკული ამბავი. ამ დროს სხვა საინტერესო მასალებთან ერთად განადგურებულა აკაკი წერეთლის წერილები გრიგოლ დიასამიძისადმი: „როცა ამაზე დავიწყებ ფიქრს, ლამის გავვიჟღედე, - ისეთ გუნებაზე ვხდები. ასე, რომ არავითარი მასალა არ მომეპოება, მაგრამ მე მაინც მოვიფიქრებ“ (**შარაძე 1993:219**).

გრიგოლ დიასამიძის გამოუქვეყნებელი მოგონებებიდან არქივში შეგვხვდა ფრაგმენტული ჩანაწერები ჟურნალი „კვალის“ დაარსების შესახებ: „მოგვივიდა ამბავი, რომ მთავრობამ ნება დართო ჟურნალ „კვალის“ გამოცემისა... ვანო მაჩაბელმა, გიორგი და აკაკი წერეთლებმა, ნიკოლოზ დიასამიძემ, ანასტასია თუმანიშვილისა შეადგინეს პირობა... რედაქცია შესდგება: აკაკისაგან, გიორგი წერეთლისა და ვანო მაჩაბლისაგან...

ჩამოვარდა ლაპარაკი ნიკოლაძის მიღწევებზე... ნიკოლაძე მოვიპატიჟეთ სადილად... როცა ჰკითხეს, სურს თუ არა თანამშრომლობა და საზოგადოდ რა ჰაზრისაა ახალ ჟურნალზე, ნიკოლაძემ სთქვა, რომ თუ გაზეთი პარტიისა იქნება, ასტეხავს ბრძოლას. ნიკოლაძე არ დაყაბულდა რედაქციის წევრად გახდომას და უთხრა აკაკის, - ხვალ 13 დეკემბერს დილით, შენთან მოვალო სალაპარაკოდ ამ საგანზეო. ლაპარაკის დროს ნიკოლაძემ სთქვა: მე დიდი ხანია ჩემს მოღვაწეობაზე იმ აზრისა ვარო, რომ უნდა ვიყვე პოსრედნიკი რუსულსა და ქართველ საზოგადოების შუა. ამაზე აკაკიმ უპასუხა: არა, ჩემო ნიკოო, ისევე პოსრედნიკობას შენი შინაური მამასახლისობა აჯობებდაო, როგორც შენ ადრე იყავიო“ (**შარაძე 1993:222**).

ჟურნალ „კვალის“ დაარსებაზე საყურადღებო მასალა აღმოჩნდა ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმშიც: „მაინც საშინელი ბედი დაჰყვა იმ თავიდანვე ამ „კვალსა“. ჯერ ჩავვაბეს მაჩაბლებმა და კინაღამ პარტიის იარაღად გადაგვაქციეს; მერე მისგან რომ ვიხსენით თავი, მოგვადგნენ ჩვენივე მეგობრები: ნ. ნიკოლაძე, აკაკი წერეთელი და იუდა ისკარიოტელად გამოგვიყვანეს, ქვეყნის გამცემლად. ახლა არის და კალისტრატეს მომხრეობა დაგვწამეს და უნდათ ხელის მოუწერლობით ჩაფუშონ ეს საქმე“, - წერდა გიორგი წერეთელი 1893 წლის 23 დეკემბერს კირილე ლორთქიფანიძეს ქუთაისში (**ქიმ. 2175/885**).

დიდი საზოგადოებრივი დატვირთვის მქონეა ზემოთ აღნიშნული ემიგრანტი ექიმის ვახტანგ ღამბაშიძის შოტლანდიიდან 1947 წლის 24 ივლისით დათარიღებული წერილი გრიგოლ დიასამიძისადმი, რომელშიც ავტორი აღნიშნავდა: „...აკაკის შესახებ, რომ მანსვეტაშვილის მოგონების საპასუხო განგიზრახავს, ძალიან კარგი და საჭიროა. თუ გინდა, მე მაქვს ამოწერილი იმის წიგნიდან ყველაფერი, რაც აკაკის შეეხება... მეც ვაპირებ ჩემს მოგონებაში აკაკის შესახებ ბევრი ისეთი თვისების აღნიშვნას, რაც სხვებს არ შეუნიშნავთ, რადგან არ იცნობდნენ აკაკის ისე კარგად, როგორც მაგალითად ჩვენ.

რადგან რომ ამბობდნენ აკაკის მიერ დატოვებულ ანდერძის შესახებ, ვითომ რამოდენიმე წლის შემდეგ უნდა გაეხსნათ და ელოდნენ ზოგიერთ საიდუმლოების გამომჟღავნებას - ასეთი ხმები იყო გავრცელებული ერთ დროს - ამის შესახებ ხომ არაფერი გავიგია, ჩემო გიგო. როგორც მაგონდება ეხლა, შემდეგ საქართველოდან ჩამოსულ პირთაგან გადმოცემით, არაფერი განსაკუთრებით საყურადღებო ამ ანდერძში არ აღმოჩენილა. ყველანი უფრო ვანო მაჩაბლის შესახებ ელოდნენ რისამე გამომჟღავნებას. სხვათა შორის, მანსვეტაშვილს ვანო მაჩაბლის გარდაცვალება 1898 წელს აქვს აღნიშნული. სწორედ ამ წელს დავბრუნდით ვანდა და მე საქართველოში და თბილისში ჩასვლისთანავე ტასომ მკითხა: „ყველაფერს გაფიცებ, რაც თქვენთვის ძვირფასი არის ქვეყანაზედ, ჩემს ვანოს არ შეხვედრილხართ უცხოეთში?“... (**შარაძე 1992:108**).

ასევე თავბოლო ნაკლულია გრ. დიასამიძის ძლიერ საინტერესო მოგონება აკაკისა და ბარბარე წერეთლისაზე: „აკაკის ახალ ლექსებს ბარბარე წერეთელისა (ვარინკა), როგორც კი მოისმენდა, მაშინვე შეუთხზავდა თანაბარ მელოდიას. ამნაირად, გაჩნდა „სულიკო“. მშვენიერ პანთეისტურ შინაარსს ბარბარემ შეურჩია საამური მელოდია“... (**შარაძე 1992:107**).

გრიგოლ დიასამიძე მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გერმანიიდან ამერიკაში გადასახლდა. მის არქივში აღმოჩნდა ასევე აკაკის იუმორესკები, მასთან ერთად გადაღებული აკაკის უცნობი ფოტოსურათი. ამ სურათზე ასახულია აკაკის 1912 წლის განთქმული მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში, რომელიც ქუთაისიდან დაიწყო.

პირველი კადრები, რომელსაც ვასილ ამაშუკელი იღებდა, ეტყობა დაუწუნია და აღარ შეუტანია დღეს უკვე საყოველთაოდ ცნობილ თავის კინოფილმში. „აი, სწორედ ამ პირველი კადრებიდან არის შემორჩენილი ქუთაისის ბაღში გადაღებული აკაკისა და გრიგოლ დიასამიძის უცნობი სურათი, რომელიც გრიგოლ დიასამიძის არქივში ჩარჩენილა, ემიგრაციის გრძელ გზაზე უვლია და დღეს ნიუ-იორკშია დაცული“ (შარაძე 1992:65 თბილისი).

ზემოთქმულიდან გამომდინარე აკაკი წერეთელს ქართული ჟურნალისტიკის განვითარებასთან ერთად დიდი დამსახურება მიუძღვის ქართული მუდმივი თეატრალური დასისა და დრამატული საზოგადოების შექმნა-განვითარებაში.

„1867-68 წლებში აკაკი წერეთლისა და რაფიელ ერისთავის მეთაურობით ქუთაისში დაარსდა სცენისმოყვარეთა წრე, რომელშიც შედიოდნენ ეფრო კლდიაშვილი, ნინო აბაშიძე, კეკელ აგიაშვილი, ზაქარია ჭიჭიანი და სხვანი. ამ წრის რეჟისორი აკაკი წერეთელი იყო. ამ პერიოდში ქუთაისის სცენაზე იდგმებოდა: „გაყრა“, „დავა“, „მუნწი“, „უჩინმაჩინის ქული“, „ყვარყვარე ათაბაგი“, ზ. ანტონოვის „მზის დაბნელება საქართველოში“, რ. ერისთავის „ჯერ დაიხოცნენ - მერე იქორწინეს“, „ბრუნავი სტოლები“, აკაკის „ძველსა და ახალს შუა“ და სხვ“ (ჭიჭიანი 2007:601).

ქართული თეატრის ქურუმებზე ცნობილი ემიგრანტი ესეისტი თამარ პაპავა ბუენოს-აირესში გამომავალ ჟურნალ „მამულის“ ფურცლებზე გამოქვეყნებულ წერილში „მადლიანი შრომა“ აღნიშნავდა: „გადაიკითხეთ ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელოები და თქვენ ნახავთ, რომ ეს გამოჩენილი მსახიობნი იყვნენ, ამავე დროს ცნობილი მწერლები და დრამატურგები; ხელმძღვანელები თეატრალურ გამომცემლობათა; აი, ამათ გაამდიდრეს ქართული რეპერტუარი; ამათ აღზარდეს მთელი ახალი თაობა“ („მამული“ 1951:85).

წერილის ავტორი აქვე აღნიშნავს, რომ მამამისმა სვიმონ გოგოლაშვილმა (სვიმონ სვიმონიძე) სამშობლოში დაბრუნებისთანავე მუშაობა ქუთაისის საოლქო სასამართლოს მდივნად დაიწყო. „მოხდენილი ვაჟკაცი აქ გაიცნო აკაკი წერეთელმა, რომლის თხოვნითა და რჩევით იგი ქუთაისის სცენისმოყვარეთა წრეში ჩაეწერა.“

თამარ პაპავა თავის ესეების კრებულში „დიდი სახეები პატარა ჩარჩოებში“ - რამდენჯერმე ასახელებს აკაკი წერეთლის ბაბუას (დედის მხრიდან) ივანე აბაშიძეს, რომელიც გახლდათ იმერეთის აჯანყების ერთ-ერთი მთავარი მონაწილე.

ესეში „იმერეთის უკანასკნელი ამბები“ და „დედოფალი მარიამ“ - ლენერალი ერმალოვი გურიის მთავარს მამიას სწერდა: „რაც შეეხება თქვენს დას, ივანე აბაშიძის ცოლს თუმცა მჯერა, რომ მისი ქმრის ავანზაობის საქმეში, ის არაფერ შუაშია, მაინც უნდა განვაშორო ის თქვენს ოჯახს და საერთოდ იმერეთს და შვილებითურთ, ჩემთან ახლოს დავამკვიდრო-ო“. (იხილეთ, მგოსან აკაკი წერეთლის მოგონებანი ივანე აბაშიძის ოჯახის გადასახლებაზე.) (პაპავა 1990:336).

დიდი მგოსნის აკაკი წერეთლის ხატება და მისი შემოქმედება როგორც ყველა ემიგრანტისათვის, ასევე თამარისათვის ძალზე ახლოებული იყო. ერთ-ერთ ეპისტოლეში, რომელიც გ. ლეონიძის ლიტერატურულ მუზეუმშია დაცული, სარა მერაბიშვილისათვის გაგზავნილ წერილში თამარ პაპავა აღნიშნავდა: „ურუგვაი ყოველის მხრივ შემკული, კულტურული პატარა სახელმწიფოა; მას ებახიან „სამხრეთ ამერიკის შვეიცარიას“... მიყვარს აქ ყოფნა. აქ ვატარებ მუდამ ჩვენს ვაკონსებს... და მერე, ახალის ძალით ჩამოვდივარ სახლში... სახლისაკენ მიმავალი კი გზა და გზა პატარა კახიდან ვიმეორებ: „ოჰ, რა კარგია სამოთხის ნიჭი თავისუფლება“... (ლიტერატურის მუზეუმი 28103/19).

მრავალ მნიშვნელოვან დეტალს იხსენებდა თავის მოგონებათა წიგნში ემიგრანტი და დამოუკიდებელი საქართველოს ინგლისის ყოფილი ელჩი გიორგი ჟურული თავის მოგონებათა წიგნში. იგი აკაკისთან თავის ყმაწვილკაცობის დროინდელ პირველ შეხვედრაზე წერდა: „ილია მეორე წყების სავარძელში იჯდა და მანამ წარმოდგენა არ გათავდა, სკამიდან არ დამრულა. ამ შემთხვევაში ჩვენი მეორე დიდი მგოსანი აკაკი სულ სხვანაირად იქცეოდა. როდესაც კი იგი ტფილისში იყო, ყველა ქართულ წარმოდგენას ესწრებოდა და იქ მეტ წილად ერთ ალაგას არა მჯდარა. ხან წინა რიგებში ვხედავდით, ხან უკანა წყებაში, ხან კიდევ კულისებში. ყოველ ანტრაქტის დროს ფოიეში უყვარდა ბოლთის ცემა, მეგობარ-პატივისცემელთა მიერ გარშემოხვეული. წარმოდგენაზე დამსწრე „გიმნაზიელებიც“ ხელი-ხელ ჩაკიდებული, ერთი ფრონტით, ავედევენბოდით უკან აკაკის ალერსით და ჩუმი ხმით ვჭურჭულობდით: - ჩვენი პოეტი, ჩვენი დიდი მგოსანი, ჩვენი ლერმონტოვ-პუშკინი, ჩვენი აკაკი... - მოხდებოდა, რომ ეს სიტყვები აკაკის ყურამდეც მიდიოდა, ღიმილით გადმოგვხედავდა და ჩვენ კი, შემკრთალნი, დავიფანტებოდით ფოიეში და ხალხში ავერეოდით ხოლმე“ (შარაძე 1986:161-162).

ამავე მოგონებაში გიორგი ჟურული ერთ მნიშვნელოვან დეტალზეც ამახვილებდა ყურადღებას: „მოსკოვში კურსის გათავების შემდეგ ტფილისში რომ ჩამოვედი მაშინვე ამირჩიეს სამს ქართულ საზოგადო დაწესებულებაში...“

მახსოვს, მაშინ აკაკიმ საოხუნჯო მილოცვები დაგვიწერა ყველა ახლად არჩეულს და თავისებურად გაგვამართახა. რაკი მე სამ დაწესებულებაში ვიყავი ერთბაშად არჩეული, მხცოვან აკაკის მიერ ასეთი შოლტი მომხვდა: „ჭურჭლი, აუცილებელი წვერი ქართული დაწესებულებების ყველა კომიტეტისო“ (შარაძე 1986:164).

ქართული ლიტერატურის ისტორიისათვის ასევე ბევრ საინტერესო ცნობას და ახალ დეტალებს იპოვის დაინტერესებული მკითხველი გიორგი ჟურულის „მოგონებებში“: „ოლივერ უორდროპი 1913 წლის 25 მარტს აკაკი წერეთელს წერდა: „მარჯორი მუდამ აღმერთებდა თქვენს გენიას“...

მართლაც მარჯორი უორდროპს ინგლისურად უთარგმნია აკაკის პოეზიის ნიმუშები, კერძოდ, „სულიკო“ (1897 წლის 26 ივლისი), „სალამური“ (1909 წელი 14 იანვარი), „იმერული ნანინა“. დღეს ეს თარგმანები ოქსფორდში, ბოდლის ბიბლიოთეკის უორდროპთა ფონდშია დაცული. ხოლო მარჯორისეული ერთი თარგმანი, რომელიც ცალკე ინახება, ასეა დასათაურებული: „აკაკი, „მჩაგვრელებს“ - „თაიგულის“ ბოლო გვერდი“...

მარჯორი უორდროპი საკუთარი თავისადმი მეტისმეტი მოთხოვნების გამო ზემოთ ხსენებულ თარგმანებს არ თვლიდა გამოქვეყნების ღირსად, ამიტომ წერდა მისი ძმა აკაკის: „თქვენი ლექსები მას აღაფრთოვანებდა და ამავე დროს საგონებელში აგდებდა ფორმისა და ენის მშვენიერებით, რომლის უცხო ენაზე გადმოცემა შეუძლებელია“ (შარაძე 1986:220).

მარჯორისეულ არქივს ოქსფორდში შემოუნახავს აკაკის ორი ლექსის - „ხანჯალს“ და „ჯვართ, ცულით და მათრახით“ ქართული ნუსხებიც;

აქვეა ქუთაისელი პედაგოგის ვენერა ბერიძე-წერეთლისას წერილები, რომელშიც დამატებით ცნობას ვიგებთ აკაკი წერეთელზე: „...7 დეკემბერს (1908 წ.) იქნება აკაკი წერეთლის იუბილის დღესასწაული თბილისში, აქ (ქუთაისში) კი 14 ვიხდით, ყოველ ქალაქებში გადიხდით შემდეგ, ჯერ კი ყველა ქალაქები მონაწილეობას იღებენ თბილისის დღესასწაულში. აკაკი ჯერ აქ არის“ (შარაძე 1986:221).

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ უორდროპთა ოქსფორდში დაცულ ფოტოკოლექციაში ვხვდებით თარგმანებთან და წერილებთან ერთად აკაკის ორ პორტრეტს.

შორეული უცხოეთიდან ინგლისელი ქალი მუდამ განსაკუთრებული ყურადღებით ადევნებდა თვალს დიდი პოეტის ჯანმრთელობას.

ცნობილია, რომ აკაკი პარიზში ყოფნის დროს ინგლისში უორდროპებთან აპირებდა ჩასვლას, მაგრამ ეს მოგზაურობა არ შედგა.

გიორგი ჟურულის მოგონებებში ბევრი ცნობილი ფაქტია აღნიშნული, როგორცაა ერთი ასეთი დეტალი: „ქართული სიტყვის ოსტატები „ივერიის“ სახალწლო ნომრის გამოშვებას აღნიშნავდნენ: „სუფრას ლამაზ სიტყვებთან და მრავალჭამიერთან ერთად აღაზათებდა კოლა ერისთავის არტისტული დეკლამაცია ჩვენი პოეტების ნაწარმოებიდან. როდესაც მან „თორნიკე ერისთავი“-დან გადმოგვცა ერთი საუკეთესო ალაგი, წამოდგა მაშინ ჩვენი მასპინძელი, ილია და აღტაცებით სთქვა: - „ბატონებო, ვადღეგრძელოთ სავსე ჭიქით, ის ადამიანი, რომლის კურთხეულმა მარჯვენამ დაგვიწერა ეგ მშვენიერი ნაწარმოები, - ჩვენი ძვირფასი მგოსანი აკაკი!“ ... (შარაძე 1986:180).

ქართული ლიტერატურის ისტორიისათვის ასევე საინტერესოა ემიგრანტი ვლასა მგელაძის „აკაკი წერეთლის იუბილე“ და სხვა მრავალთა მოგონებები.

ამბობენ „ისტორია ერის უწმინდესი წიგნია...“ აკაკის სიცოცხლეშივე უწოდა ერმა „საქართველოს „უგვირგვინო მეფე“, მაგრამ ჭეშმარიტი თავყანისცემა ხალხმა სიკვდილის შემდეგაც დაუმტკიცა.

### ლიტერატურა:

1. გ. ლეონიძის სახელობის სახელმწიფო ლიტერატურის მუზეუმი. ფ. პაპავა თ. - 28103/19.
2. პაპავა თ. (1951). „მადლიანი შრომა“. ჟურნალი „მამული“, №3. ბუენოს-აირესი.
3. პაპავა თ. (1990). „დიდი სახეები პატარა ჩარჩოებში“. თბილისი.
4. პაპავა თ. (2013). „ჩემი კრიალოსანი“. ჟურნალი „ქართული ემიგრაცია“. №1. თბილისი.
5. ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი - 2175/885.
6. დამბაშიძე ვ. (1958). „მოგონება“. ჟურნალი „ერის დიდების“, №5. პარიზი.
7. შარაძე გ. (1993). „უცხოეთის ცის ქვეშ“. ტომი III. თბილისი.
8. შარაძე გ. (1992). „ამერიკელი ქართველები თვალის ერთი გადავლებით“. თბილისი.
9. შარაძე გ. (1986). „საქართველოს მზე და სიყვარული ალბიონის კუნძულზე“. თბილისი.
10. წერეთელი ა. (1904). „ფელეტონი - პატარა ცემი“. გაზეთი „ივერია“. 10 დეკემბერი, №209. თბილისი.
11. წერეთელი ა. (1904). „ფელეტონი - ერისთავის ასულის საპასუხოდ“. გაზეთი „ივერია“ 31 დეკემბერი, №249. თბილისი.
12. ჭიჭიშვილი ს. (2007). „თეატრალური შტუდიები“. ქუთაისი.

*Mariam Marjanishvili*  
*Kutaisi State Historical Museum*  
**EMIGRANTS CREATIONS OF THE POET REVIVES**  
**RESUME**

The thoughts of Georgian political emigrants of the previous century were largely directed to the discussion of the materials reflecting Akaki Tsereteli's life and creative work.

In this respect we have to mention a famous political figure, a doctor Vakhtang Ghambashidze and his memories about the poet: "The great poet Akaki was very close to my father's family. Born at the same time and living in the same place, they both belonged to the small group of progressively thinking Georgians whose number was so scarce at that time".

On 16 Januari, 1946, in emigration, Vakhtang Ghambashidze completed the manuscript of his book of memoirs. Its prologue was published in the 5<sup>th</sup> issue of the magazine "The Glory of the Nation", which came out in Paris. In this work, he writes about his relationship with Akaki Tsereteli.

The emigrant Vakhtang Ghambashidze gave great importance to the publication of this book. He believed that "the things heard and seen and, to some extent, done in the home-country must not be lost for ever. Humankind can also live with memores about the past!..."

Another great emigrant whose memoirs also contain episodes of Akaki Tsereteli's life is Grigol Diasamidze. As the essayist Tamar Papava remarked, during World War II, "he stayed in Berlin and continued writing letters about Akaki Tsereteli in a military newspaper and in 'headquarters' publication – Georgian Nation".

In January, 1945, Grigol Diasamidze's archives burned in Berlin: "When I start thinking about it, I am going crazy. So I have no materials, but I will do something about it". He managed to restore a part of it while in America.

A lot of details were mentioned in the book of memoirs of Giorgi Zhuruli, an emigrant and the former ambassador of Independent Georgia in England.

More interesting memories are found in Tamar Papava's essays and Vlasa Mgeladze's memoirs. All this proves that national sense, respect of ancestors and traditions will never be weakened and lost in the Georgians' mind.

*ნინო მაშია*

*სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

**მარცვლოვანი კულტურების ლექსიკა მეგრულ-ლაზურში**

სამეგრელოს ნიადაგის საფარი მრავალფეროვანია. ისტორიულ წყაროებში თუ სხვადასხვა მოგზაურთა ჩანაწერებში საგანგებოდაა მითითებული აქაური მიწა-წყლის სიუხვეზე, სიმდიდრეზე და სიკეთეზე. სათესი კულტურებიდან სამეგრელოში, ძირითადად, მოჰყავდათ: **ფეტვი, ჭვავი, ღომი, სიმინდი, ხორბალი, ქერი, ბრინჯი**. ფეტვი და ჭვავი არქეოლოგიური მონაცემებითაა დამოწმებული, ხოლო ღომის ნაშთი აღმოჩენილია ცენტრალურ ამიერკავკასიაში (ძიძიგური, 2000; 120). კოლხეთის უძველესი მოსახლეობის საცხოვრებელ ადგილებში ენდემური ჯიშების არსებობის დადასტურება, ნეოლითურ სადგომებში აღმოჩენილი ხელსაფქვავის ქვები, ქვის თოხები და სხვა, მკვლევართ საკმაოდ მყარ საფუძველს აძლევთ იმისათვის, რომ კოლხეთის ბარსა და მთისწინა ზოლში ინტენსიური მიწათმოქმედების მიმდევარი მოსახლეობის არსებობა ივარაუდონ. როგორც ჩანს ღომი, ფეტვი და ჭვავი მწარმოებლური მეურნეობით იქნებოდა გაკულტურებული და ამდენად დასავლეთ ამიერკავკასია - მათი კულტივირების ერთ-ერთ უძველეს ცენტრად უნდა იყოს წარმოჩენილი. **ხორბალი** რომ კოლხეთში უძველესი დროიდანაა მნიშვნელოვანი მარცვლეული, ამაზე მიუთითებს სხვა მონაცემებთან ერთად არქეოლოგიური მასალა (Хоштария, 1941; 280). „მეგრელები სთესენ - პური, დიკა, ქერი, ფეტვი, უფრო ბევრი ითესება სიმინდი და ღომი... მეტი სინესტისა და სიცხისაგან პური ჩახურდება აოდავს ხოლმე... ხორბლის შენახვა ძნელია და ფქვილად ინახვენ...“ (გოგებაშვილი; 1982; 266). კ. ბოროზდინის აღწერით „...მდიდარი ტყეა რიონიდან სამურზაყანომდე, ზოგან შიგ ცულიც კი არ შეუტანია ადამიანს... ვაკე ადგილებში ხორბალს ვერ შეინახავენ: ნესტისა და სიცვისაგან მარცვლებს ერთნაირი, თვალისათვის უჩინარი ჭია უჩნდებათ ( ბოროზდინი, 1927; 24).

დასავლეთ საქართველოში გავრცელებული სამეურნეო კულტურის სახეობა **ღომი** სიმინდის შემოსვლამდე და შემდეგაც, მოსახლეობის ერთ-ერთი მთავარი საკვები მარცვლეული იყო. უხუცესთა

გადმოცემით, სამეგრელოსა და მის მოსაზღვრე მხარეებში ძირითადად ღომის ღომის ორი ჯიში ითესებოდა: ერთი- „ჩქინებურა“, რომელსაც გვერდით თავთავები- **ჯუბურები** (ნაკვეთები)- ჰქონდა მწყობრად ასხმული, იგი საკმაო მოცულობისა იყო, მარცვალზე მსხვილი ჰქონდა, ფეროვანი, ოქროსფერი; მეორე - „მოცოროზი“ (გოჭო) მთისა; „დუდელი“ (თაველი) წვრილი იყო, იცეხებოდა ჩვეულებრივად და კარგად ემორჩილებოდა გაცეხვას ( მასისაია, შანშიაშვილი, რუსიშვილი 2005; 24.)

ღომს მეგრულად **ღუმუ** ჰქვია. **ღუმუ (ქართ. ღომი)** (ელიავა, 1997, 328.) ღომს განასხვავებდნენ ფერების მიხედვით: იყო ჭითა (წითელი), ჩე (თეთრი), **კოხურე, ქოჩოხე.** ( ჯავახიშვილი; 1992; 236)

**ღომი** მარცვლოვანთა ოჯახს მიეკუთვნება. საქართველოში ამჟამად მისი 23 სახეობაა დაცული. საქართველოში, განსაკუთრებით მის დასავლეთ ნაწილში უხსოვარი დროიდან მე-17 საუკუნემდე, ძირითადი სასურსათო კულტურა **ღომი** იყო. კოხები და მათი მონათესავე ტომები ღომის კილგაცილილი მარცვლისგან სქელ ფაფას ამზადებდნენ, რასაც ადგილობრივი მოსახლეობა ღომისღომის//**ღუმუშღუმუ**-ს ტერმინით მოიხსენიებდნენ. **ღომისღომს** მეგრულად „**ჩხვერს**“-აც ეძახდნენ. **ჩხვერი**-ღომისღომი ( ელიავა; 1997; 351). სამეგრელოში მცხოვრები უხუცესების გადმოცემით „ჩხვერის“ ღომის მარცვლისგან ფაფასაც ამზადებდნენ — „**ჩხუკას**“ სახელწოდებით, რომელიც ნიგვზითა და თაფლით იყო შეზავებული და ეს საუცხოო კონცენტრირებულ საკვებად ითვლებოდა. გარდა ამისა, ღომს სამკურნალო დანიშნულებითაც იყენებდნენ, მისგან მზადდებოდა გაციების საწინააღმდეგო წამალი, რომელიც სამეგრელოს მოსახლეობაში „**ტიბუს**“ სახელით იყო ცნობილი. დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა **ღომის ღომს**, როგორც ადვილად მოსანელებელ დიეტურ საკვებს, კუჭ-ნაწლავის დაავადებათა სამკურნალოდაც იყენებდა.

ქართ. ღომ-ი, მეგრ. ღუმ-უ, ლაზ. ღომ-უ ლექსებში ღომ//ღუმ ძირეული სიტყვაა და საერთოქართველურ ფუძეს წარმოადგენს.

**ღომი//ღომუ,** ( თანდილავა; 2013; 812) .

ღომის თესლს, ღომის კაკალს ლაზურში ნჩხვარ-ი ეწოდება: „უნჩხვარუ ქურუმი იენ, დონჩხვარამი ნჩხვარი“ - უცეხველი ღომია, რომ დაფშვნი. ( თანდილავა; 2013; 586).

ღომის ყანას **ოღუმალე** - ს უწოდებენ (თანდილავა; 2013;672)

**ღუმუ** 1. ბოტანიკ. იგივეა, რაც ღომისღომი - ღომი. **ჩხვერი** ღომის მარცვლის სახელწოდებაა...**ღუმუს გილანჩხვარუნქია:** (ქაჯაია; 2002; 197)

სამეგრელოში **ღომ**-ის, როგორც საკვები მცენარის, სამი სახეობა იყო ცნობილი: **ჩქინებურა** (ჩვენებური), **ციცუა** და **კიტაია**.

**ციცუა** - წვრილთავიანი და წვრილმარცვლიანი, შემოდოდა შედარებით ადრე. **კიტაია** - მარცვლები დიდი ჰქონდა და საფარველი თითქმის ნახევარზე იხსნებოდა (ელიავა; 1989; 18-19).

ლაზურში ფეტვის, ღომისა და საზოგადოდ პურეულის მარცვალს „**ჩხვარი**“ (ათინ., ხოფ.), ან „**მჩხვერი**“ ეწოდებოდა. მეგრულად ამავე ცნების აღსანიშნავად „**ჩხვერი**“ გამოიყენება. ივ. ჯავახიშვილის აზრით, წინათ მეგრულსაც ლაზურის მსგავსი ფორმა უნდა ჰქონოდა, ამას ღომის აბეგვის სახელწმინა „**ჩხარუაც**“ ამჟღავნებს. არსებითად ეს მეგრული ზმნა დამარცვლის აღმნიშვნელი ყოფილა (ჯავახიშვილი; 1986; 98).

მე-16 საუკუნიდან დას. საქართველოში ფართო გავრცელება ჰპოვა **სიმინდმა**. იგი გლეხისათვის ერთ-ერთი ძირითადი საკვები მცენარე იყო და დარის.

სამეგრელოში ითესებოდა სიმინდის სხვადასხვა სახეობა: **რუხულა** „წვრილი სიმინდი“ და **ციცუა** მოჰყავდათ მთიან სამეგრელოში (მაკალათია; 1941; 185).

ლაზურში სიმინდის მნიშვნელობით იხმარება ლაზიტი **ლაზიტი//ლაზუტი// ლაზუტი** (თანდილავა, 2013; 392): „ლაზუტი დობადინუ ვარ ავეტეს - სამყოფი სიმინდი არ ექნებოდათ (ჟღენტი, ჭანური ტექსტები, გვ. 3) (თანდილავა; 2013; 391).

ს. ბრონევესკის, ა. პოხომოვის და სხვა ავტორების აზრით, აფხაზებს ცოტაოდენი ხორბალი, ქერი „თურქული ხორბალი“ მოჰყავდათ. თურქები სიმინდს „ლაზუტ“-ს ე.ი. ლაზების მცენარეს ეძახდნენ, ხოლო ზოგი რუსი ავტორი მას „თურქულ ხორბალს“ უწოდებდა. (ბახია-ოქრუაშვილი, 2011; 72).

ამდენად, ლაზურში **ლაზუტ-ი // ლაზუტი** სახელწოდება გამოიყენება „ სიმინდის“ მნიშვნელობით. მეგრულში გვაქვს ლაზუტის ვარიანტები: **ლაიტი// ლატი//ლასტი** (ზუგდიდურ- სამურზაყანულში); სენაკურში მხოლოდ **სიმინდია** ცნობილი. ქართულში **ლაზუტ** - ფორმა არა გვაქვს (ჩიქობავა, 2008; 151). სიმინდის (მეგრ. **ლაიტი// ლატი//ლასტი** და ლაზ. **ლაზუტის**) ყვავილს **როკა** „სიმინდის ტარო“ ლაზ. **როკა** ~ მეგრ. **როკა** → **რაკა** „სიმინდის ტარო“ ეწოდება. ხოლო მარცვლის გაცლის შედეგად დარჩენილ ნაწილს მეგრულში „**გუნგა**“, ლაზურში **კუკუტი** ჰქვია (თანდილავა, 2013, 386). სიმინდს ხელით ფშვნიდნენ, მაგრამ იყო სპეციალური მოწყობილობაც, რომელსაც **ოჩეჩე, ოჩეჩემ-ი (ოჩეჩემის)** იგივეა, რაც **ოჩაჩუე**, - საჩეჩელი ერქვა (ქაჯაია, II 2002, 462).

სამეგრელოში მოჰყავდათ ხორბალიც, პატარა მცენარე, რომელიც გვამღვეს უგემრიელეს პურს. ივ.

ჯავახიშვილის ცნობით, ძველად საქართველოში ხორბალს **ხვარბალად** მოიხსენიებდნენ — ეს იყო ზოგადად, მარცვლეულის აღმნიშვნელი სიტყვა. მეგრულად მას **ქობალს**, ხოლო ლაზურად კი **ქოვალს** ეძახდნენ. ტოპონიმიკურ მონაცემებზე დაყრდნობით, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ტერმინი **ქობალი** ძველად აღმ. საქართველოშიც იყო ცნობილი. სიტყვის - ქობალი//ქოვალი მნიშვნელობა თანდათან გაფართოვდა და იგი სადღეისოდ ნიშნავს როგორც ხორბალს, ისე ხორბლის ფქვილისგან გამომცხვარ პროდუქტს, ანუ შეესატყვისება ქართულ სიტყვას - პური და სვანურ - **დიარ**-ს ( ჯავახიშვილი: 1930; 320, 321).

ივ. ჯავახიშვილმა ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ მეგრულში გვაქვს გამოკვებასთან დაკავშირებული ისეთი სიტყვები, როგორცაა: 1. **ოდირე/ონდირე** ანუ საკვები და ბალახი; 2. **დიარაფა**, რაც ნიშნავს კვებას, ჭმევას და ძოვებას; 3. **ოდირაფალი** ანუ სამწყსო; 4. **სადიარო** ანუ საქორწილო; 5. **დიარა**, რაც შეესატყვისება საქორწილო პურის ჭამასა და მასპინძლობას. (ჯავახიშვილი, 1930; 320, 321, 417).

საინტერესოა სიტყვა **იფქლის** წარმოშობა — იგი გვხვდება ჯერ კიდევ V-XII საუკუნის ლიტერატურულ ძეგლებსა და საბუთებში. დიალექტებში **იფქლი** ცოცხალი სიტყვაა და სხვადასხვა სახით: **იფქლი**, **იფხლი**, **იფქილი**, **იმქლი** ისმის: ძველ ქართულში იგი „შემოდგომის ხორბლეულს“ აღნიშნავდა.

„**იფქლის**“ მაგიერ მეგრულში „**ირქი**“ გვხვდება, რომელიც მიღებულია **ფ**-ს დაკარგვისა და **ლ**-ს შესატყვისი **რ**-ს მეტათეზის შედეგად. ქართული და მეგრული ენების მასალა შეაპირისპირა ი. ყიფშიძემ (ფენრიხი; სარჯველაძე; 1990; 165).

**ირქი-ი (ირქის)** იფქლი. **ირქიმ ქობალი** -- იფქლის პური (პ. ჭარაია); (ქაჯაია; 2002; 92)

**ირქლ-ი (ირქლის)** იგივეა, რაც **ირქი**, -- იფქლი ( ქაჯაია; 2002; 92)

უმველესი სამიწათმოქმედო კულტურაა **ფეტვი**. ამას ადასტურებს არქეოლოგიურ ძეგლებზე აღმოჩენილი ფეტვის კულტურის ნაშთები. ცნობილია, რომ XVII-XVIII სს. ამერიკიდან ჩვენში შემოსულმა კულტურებმა აბორიგენული კულტურები გააძევეს. ამ პროცესმა ინტენსიური ხასიათი მიიღო განსაკუთრებით XIX ს. მეორე ნახევრიდან, რასაც ხელი შეუწყო ფეტვის აგროტექნიკის შრომატევადობამ, მისი მარცვლად გამოყენების სიმწიფემ, რამდენადაც ცეხვა ხდებოდა მეტად პრიმიტიული „**საცეხველით**“.

მ. ჩუხუას ლაზურისა და მეგრულის საერთო ძირ-ფუძეთა ლექსიკონში შედარებული აქვს ხორბლის ჯიშის - **მოხას** ძირ-ფუძე: ლაზ. მოხა ~ მეგრ. მოხა, ტოპ.- მოხა-ში-ი (სენაკი); შდრ. ქართ. მახა (ჩუხუა; 2015; 16).

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში „ფეტვის“ სახელწოდებანი განსხვავებულია: კახეთში მას ფაჩხა - ფეტვი ეწოდება, მთიულურში - ფოჩიანი ფეტვი, გურულში ჭადი, ჭადის-ჭადი; ლეჩხუმურში - შავჭადა, შავი ჭადი, ურუში; ზემოიმერულში - წვრილი ჭადი; ლაზურ- მეგრულში - ფატი, ჭკიდი, ჭკიდიმ ჭკიდი; სვანურში - ფეტვ; ფეტვი (მაყაშვილი; 1961; 167).

სამეგრელოში ფეტვის (**ფატის**) თავთავებს ცეხავდნენ **ჩამურით**, შემდეგ წისქვილში ფქვავდნენ. მისგან გაკეთებული მჭადი სურნელოვანი და გემრიელი იყო. (მთხრ. არტურ ანდლულაძე 82 წ. ხობის-რ-ნი, ქვემო ქვალონი). ამავე რაიონში ადასტურებენ, რომ ფეტვის მოხალული ფქვილისგან ამზადებდნენ „**ქუმუს**“, რომელსაც ტკბილი ნამცხვრის მაგივრად მიირთმევდნენ.

ფეტვის კულტურასთან დაკავშირებული მრავალი რიტუალი, მითი და ღვთაებრივი ფორმა არსებობდა სამეგრელოს ეთნოგრაფიულ ყოფაში. ამგვარ რიტუალთა კატეგორიას მიეკუთვნება „**მიქამგარიას**“ კულტი, რომელიც ითვლებოდა ამინდის გამგებლად, აგრეთვე საქონლისა და მოსავლის მფარველად. მეურნეები ფიქრობდნენ, რომ მასზე იყო დამოკიდებული ფეტვის მოსავალი, რაც კარგად ჩანს საქართველოში გავრცელებულ „ხელხვავის“ სიმღერებში „მიქელამ და გაბრიელამ ყანა გაგვიხვავრიელა“ (მაისაია, შანშიაშვილი, რუსიშვილი 2005; 47).

ჩრდილო-დასავლეთ კავკასიელებში, და მათ შორის აფხაზებშიც, დასაწყისისათვის მთავარ და ძირითად მარცვლეულ კულტურას რომ **ფეტვი** წარმოადგენდა, ამას აფხაზებში შემორჩენილი ყოფითი წეს-ჩვეულებებიც მოწმობს: „რელიგიური დღეობა-დღესასწაულების დროს, რიტუალური კვერებისათვის მოხელილ ცომში, ოჯახის უხუცესი ქალი, სიმბოლურად მაინც ფეტვის ფქვილს აუცილებლად შეურევდა. ქორწილის დღეს კი პატარძლის ქმრის დიდი სახლის კერასთან ზიარების დროს, ოჯახის უხუცესი ქალი მექორწილეებს თავზე ფეტვის ბურღულს აყრიდა“ ( ბახია-ოქრუაშვილი; 2011; 73)

ფეტვისათვის ნიადაგის მომზადება აღმოსავლეთ საქართველოში ხდებოდა შემოდგომაზე, დასავლეთ საქართველოში კი - ადრე გაზაფხულზე მიწა იხვნებოდა 20-30-სმ-ის სიღრმეზე.

**ჭკიდი** – ფეტვი. **ჭკიდიში(ი) ჭკიდი** – ფეტვი. (მაყაშვილი; 1961; 162).

**ჭკიდი** მჭადი. **ჭკიდი** დოჭვი აკა „მჭადი გამოაცხვე ერთი“. ( ელიავა 1997;378)

**ქვრიმა-ფეტვი** - ქვრიმა (მაყაშვილი; 1961;132).

საქართველოში გავრცელებული მარცვლეული კულტურებიდან აღსანიშნავია **ქერი**. მეგრულში, ლაზურსა და ქართულში მას საერთო ძირი აქვს. ვფიქრობთ, იგი ქართულიდანაა შესული მეგრულ-ლაზურში. ლაზ. **ქერ-ი**, მეგრ. **ქერ-ი**, ქარ-თ. **ქერ-ი**. ნ. მარს ეს სიტყვა ხოფურსა და არქაბულზე მითითებით მოჰყავს; ვიწეში სიტყვა უცნობიაო, ათინურშიც მთქმელი მას **კერი-ს** სახით იცნობს, თუმცა თვით ამ მთქმელს ეს ეეჭვებაო. ი. ყიფშიძეს ჩხალურში დადასტურებული აქვს **ქერი**: ჰამ ოფუტეს იჩანენ ლაზუტი, დიკა, ქერი... ( ა. ჩიქობავა, 2008; 158).

ო. ქაჯაიას, გ. ელიავას მეგრულში ქერის პურის აღმნიშვნელ ტერმინად გამოყენებული აქვს **ჯინჯილა** ტერმინი (ქაჯაია; 2002; 616; ელიავა; 1997, 396).

**ბრინჯი** საქართველოში ერთ-ერთი ძველი მარცვლეული კულტურაა. ჩვენამდე მოღწეული ისტორიული ცნობები და ეთნოგრაფიული მასალები მიუთითებენ საქართველოში ბრინჯის კულტურის არსებობაზე ადრეულ საუკუნეებში.

ბრინჯს სამეგრელოში იყენებდნენ ფაფის დასამზადებლად. რესპოდენტი თ. შედანია (ზუგდიდის რ-ნი სოფ. დარჩელი, ასაკი 70 წ) მოგვითხრობს, რომ მას ბრინჯის მოყვანა არ ახსოვს. თუმცა მის ოჯახში ბრინჯის ფაფას ამზადებდნენ და ძირითადად მაღალი ტემპერატურისა და გაციების დროს იყენებდნენ.

ივ. ჯავახიშვილი თვლიდა, რომ ბრინჯის კულტურა დასავლეთ საქართველოში საბერძნეთის გზით უნდა შემოსულიყო. ამას ხელს უწყობდა დასავლეთ საქართველოს ზღვის სანაპირო ზოლში ბრინჯის მოსაყვანად მეტად ხელსაყრელი პირობები, ნიადაგისა და ჰავის უხვი სინოტივე.

დასავლეთ საქართველოში ბრინჯის მოსაყვანად სათანადო აგროპირობებია სამტრედიის, ხონის, აბაშის, სენაკისა და ხობის რაიონებში. ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში კი - გარდაბნის და მდ. ალაზნის ქვემო ვაკის სარწყავ მიწებზე (ი. მაისაია, თ. შანშიაშვილი. ნ. რუსიშვილი; 2005; 59).

ბრინჯი მეგრულში ბრინჯის სახელწოდებითაა შემოსული, ხოლო ლაზურში მას **პირინჯი** ეწოდება (თანდილავა; 2013; 713). აქვე მითითებულია ტერმინი **ჩელთიდი**, რაც თურქულია და დაუცხვებელ ბრინჯს ნიშნავს (თანდილავა; 2013, 831).

ამდენად, წინამდებარე სტატიაში მოკლედაა გაანალიზებული მარცვლეული კულტურის რამდენიმე ლექსემა და მათი შეპირისპირებითი ანალიზი მეგრულ-ლაზურსა და ქართულში.

#### **ლიტერატურა:**

1. ბოროზდინი, 1927 - კ. ბოროზდინი „ბატონყმობა სამეგრელოში“ (თ. სახოკიას რედაქციით) თბილისი; 1927.
2. ბახია- ოქრუაშვილი - 2011, ს. ბახია- ოქრუაშვილი „აფხაზთა ეთნოლოგია,“ თბილისი, 2011.
3. გოგებაშვილი, 1982 - ი. გოგებაშვილი „საგანძური,“ თბილისი, 1982.
4. ელიავა, 1997 - გ. ელიავა „მეგრული ლექსიკონი,“ მარტვილი, 1997.
5. ელიავა, 1989 - გ. ელიავა „ეთნოგრაფიული სამეგრელო“ მარტვილი, 1989.
6. თანდილავა, 2013 - ა. თანდილავა, „ლაზური ლექსიკონი“, თბილისი, 2013.
7. მაკალათია, 1941 - ს. მაკალათია „სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია“ თბილისი, 1941.
8. მაყაშვილი, 1961 - ა. მაყაშვილი „ბოტანიკური ლექსიკონი, მცენარეთა სახელწოდებანი". თბილისი, 1961.
9. მაისაია, შანშიაშვილი, რუსიშვილი 2005 - ი. მაისაია, თ. შანშიაშვილი, ნ. რუსიშვილი „კოლხეთის აგრარული კულტურა“, თბილისი, 2005.
10. ფენრიხი, სარჯველაძე, 1990 - ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი, 1990.
11. ქაჯაია, 2002 - ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, III, თბილისი 2002.
12. ქაჯაია, 2002 - ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, II, თბილისი 2002.
13. ჩიქობავა, 2008 - არნ. ჩიქობავა, შრომები IV, თბილისი, 2008.
14. ჩუხუა, მემიშიძე, ეზუგბაია, ქირია, 2015 - ლაზურ-მეგრული გრამატიკა, ძირ-ფუძეთა ლექსიკონი. თბილისი, 2015.
15. ძიძიგური, 2000 - ლ. ძიძიგური, „ამიერკავკასიის უძველესი სამიწათმოქმედო კულტურა,“ თბილისი; 2000.
16. Хоштария, 1941- Н. Хоштария, Диха-Гудзуба, Вестник АН СССР, т, V, N2). 1941.
17. ჯავახიშვილი, 1930 - ივ. ჯავახიშვილი, საქ. ეკონომიური ისტორია, I, თბილისი, 1930.
18. ჯავახიშვილი, 1956 - ივ. ჯავახიშვილი „ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები,“ ჩვენი ამოცანები ენათმეცნიერებისა და კულტურის ისტორიის სფეროში, თბილისი 1956.
19. ჯავახიშვილი, 1986 - ივ. ჯავახიშვილი „თხზულებანი თორმეტ ტომად“ V; თბილისი, 1986.
20. ჯავახიშვილი, 1992 - ივ. ჯავახიშვილი „მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ისტორიისათვის,“ V, თბილისი 1992.



*Nino Mashia*  
*Sokhumi State University*  
**VOCABULARY OF GRANULAR CROPS IN MINGRELIAN-LAZ LANGUAGES**  
**RESUME**

The given article deals with the analysis of the vocabulary of grain crops and their names in Mingrelian/Laz languages. It corresponds with the Georgian language and dialects which are given as far as possible in the attempt of etymological research of these names. The examples of archeological and etymological materials are investigated in the present paper.

The analysis proves that the Georgian/Mingrelian and Laz materials are based on Kartvelian languages. According to some objective reasons the Laz language is more developed than the other ones.

*ლელა მახვილაძე*  
*გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი*

### **დიმინუტიური წარმონაქმნები გერმანულ ენაში**

თანამედროვე გერმანულ ენაში დიმინუტივის მოვლენა ფართოდ არის გავრცელებული.<sup>1</sup> თითქმის ყველა არსებითი სახელიდან შესაძლებელია დიმინუტივის წარმოება<sup>2</sup>, როგორც, მაგალითად, Häuschen, Hündchen, Vöglein სიტყვებიდან: Haus, Hund, Vogel. წინამდებარე ნაშრომში ჩვენ შემოვიფაგლებით სუბსტანტიური სუფიქსური დერივაციის მოდელით, კერძოდ, დიმინუტიური სუფიქსებით წარმოქმნილი ფორმებით. აღნიშნული სიტყვაწარმოებითი პროდუქტების სუბკლასი (მოდელი) განიხილება მოდიფიკაციის კლასის ფარგლებში (შდრ. Fleischer/Barz 2012: 97, 119-120, 231-235; ასევე: Fleischer 1976: 178-180; Wellmann 1998: 504-505; Barz/Schröder 2001: 205; Seebold წიგნში: Kluge 2002 (3.10); Karbelaschwili 1998/2001; Donalies 2006; და სხვ.).

მოდიფიკაცია (Modifikation oder semantische Abwandlung), როგორც ცნობილია, გულისხმობს სიტყვაწარმოებითი პროცესის საშუალებით სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობის ცვლილებას ერთსა და იმავე მეტყველების ნაწილის (სიტყვათა კლასის) ფარგლებში.<sup>3</sup> ამ სიტყვაწარმოებითი პროცესით ლექსემა იღებს დამატებით სემანტიკურ ნიუანსს. შესაბამისად, ნაწარმოებ სიტყვებს ამოსავალ ერთეულებთან შედარებით გააჩნიათ სპეციალური მნიშვნელობა, შდრ. მაგ., Wetter > Wetterchen 'განსაკუთრებულად კარგი ამინდი' (შდრ. Barz 2009: 674). ე.ი. მოდიფიკაციის პროდუქტი - ნაწარმოები სიტყვა - არ იცვლის მეტყველების ნაწილს. მოყვანილ მაგალითში ამოსავალი ბაზისიც და დერივატივ არსებითი სახელებია. თუმცა იშვიათად, მაგრამ დიმინუტივებთან გვხვდება ტრანსპოზიციაც, რომლის დროსაც ახალი სიტყვის წარმოებისას იცვლება მეტყველების ნაწილი (შდრ.: ზედსართავი სახელი > არსებითი სახელი: dumm > Dummchen, früh > Frühchen, შდრ. ასევე: Schneeweißchen).

#### **1. დიმინუტივების სიტყვაწარმოებითი მნიშვნელობა**

დიმინუტიური წარმონაქმნები / ფორმები (Diminutivbildungen / Verkleinerungsbildungen, lat. d min tum 'verkleinert' auch: Diminutivum, zu lat. deminuere 'verkleinert') წარმოადგენს „სუბსტანტიური ნაწარმოები სიტყვების სემანტიკურად განსაზღვრულ სუბკლასს, რომლის დამატებითი ნიშან-თვისება - იმავე სუბსტანტიურ ბაზისთან შედარებით - არის შემცირება / დაპატარავება / დაკნინება (Verkleinerung). ზოგიერთ პრეპოზიტიურ კონსტიტუენტთან ერთად, რომელთა მორფემულკატეგორიული საკითხი სადაოა (mini- (ავიქსი თუ კონფიქსი)), დიმინუტივები იწარმოება მოდიფიკაციური სუფიქსების

<sup>1</sup> გერმანულ ენაში დიმინუტივის კატეგორია გამოიხატება ლექსიკური, სიტყვაწარმოებითი, სტილისტური, ასევე ფრაზეოლოგიური საშუალებებით.

<sup>2</sup> ე. ზეებოლდი აღნიშნავს, რომ ზოგჯერ სიტყვაწარმოებითი ტიპები, თავისი ტიპური ფუნქციების შესაბამისად, ენის თეორიაში განსაზღვრული ტრადიციული სახელით არის ცნობილი: Diminutiv/ Deminutiv 'Verkleinerungsform' ('კნინობითი ფორმა') (E. Seebold, წიგნში: Kluge 2002 (3.10)).

<sup>3</sup> მოდიფიცირებული სიტყვები იწარმოება კომპოზიციის ან დერივაციის საშუალებით.

საშუალებით (Stiefel-ette).<sup>1</sup> - ვკითხულობთ წიგნში Metzler Lexikon Sprache (იხ. Eins: „Diminutivbildung“, წიგნში: Glück 2010: 152). სტატიის ავტორი ეფუძნება სიტყვაწარმოებითი თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვან სალექსიკონო მონაცემებს: Karbelaschwili, S. (2001): Lexikon zur Wortbildung der deutschen Sprache (Augmentation und Diminution), სადაც ენათმეცნიერი ჩატარებული კვლევის შედეგებზე დაყრდნობით წარმოადგენს სიტყვაწარმოებითი საშუალებების ყველა სახეობას, რომელსაც გერმანული ენა გამოიყენებს აუგმენტაციისა და დიმინუციის მოვლენების გამოხატვის მიზნით.

დიმინუტიური ფორმების სიტყვაწარმოებითი მნიშვნელობა გულისხმობს არა მხოლოდ კნინობითობას (diminutiv) მნიშვნელობის ნიუანსებით „პატარა“, არამედ გამოიყენება იმ თვალსაზრისითაც, როგორცაა პიროვნული / სუბიექტური დამოკიდებულება ან შეფასება, როგორც „ნაცნობი“, „ინტიმური, ახლობელი“ და მისთ., რითაც გამოიხატება სიტყვაში კოდირებული გარკვეული (პოზიტიური ან ნეგატიური) ემოციური შეფასება / ემოციური კონოტაცია (შდრ. Wellmann 1998: 504; ასევე: Fleischer/Barz 2012: 235; Lohde 2006: 122; Donalies 2005: 101), მაგალითად: Engelchen 'პატარა ანგელოზი', Schneeweißchen 'ფიფქია', Kälbchen 'პატარა ხბო', Dumm(er)chen. ფორმები უმეტესად ემოციურ განწყობას გამოხატავს: Das ist ein Wetterchen! 'შვენიერი ამინდია!'; Das ist ein Bierchen! 'მაგარი ლუდია!' ემოციურ-ექსპრესიული კონოტაცია შეიძლება იყოს, ერთი მხრივ, ემოციურ-პოზიტიური (emotional-positiv, meliorativ), რაც მოფერებით ფუნქციასაც (kosende Funktion) გულისხმობს (შდრ. Rotkäppchen, Küsschen, Kindlein, Mütterchen, Kätzchen), მეორე მხრივ კი, ემოციურ-ნეგატიური (emotional-negativ, pejorativ); იგი ირონიას, ანტიპათიას, არაკეთილგანწყობას შეიცავს (მაგ., Witzchen, Freundchen - შდრ. Fleischer 1976: 181-182). ხშირად ემოციური შეფასების მიმართულება დგინდება კონტექსტის საშუალებით, შდრ.: Freundchen 'მეგობარი' (მიმართვა): ემოციურ-პოზიტიური კონოტაცია „ახლო, ინტიმური“ (Wie geht es, alter Freundchen?) vs. Freundchen 'მეგობარი' (მიმართვა): ემოციურ-ნეგატიური კონოტაცია „მუქარა“ (Freundchen, dir werden wir's mal zeigen!) (DUW: 576).

კარბელაშვილი თავის წიგნში ”

”(1987) დეტალურად იკვლევს ურთიერთსაწინააღმდეგო სემანტიკურ-სიტყვაწარმოებით კატეგორიებს, რომლებიც აერთიანებს, ერთი მხრივ, გაძლიერების / გადიდების (ხარისხობრივი და რაოდენობრივი), ინტენსივობის (პროცესი), მაღალი რანგის, ექსპრესიულ-სტილისტური გაძლიერების და სხვ., და მეორე მხრივ, შესუსტების / შემცირების (ხარისხობრივი და რაოდენობრივი), დაბალი რანგის, შესუსტების (პროცესი და მოქმედება), თვისების ნაკლებობის, უკმარისობის, ჰიპოკორისტულ და სხვა სემანტიკის მქონე ლექსიკურ ერთეულებს ( 1987: 4, 9-10). ენათმეცნიერი თავის დეფინიციასში აკონკრეტებს, რომ

ტერმინი ”დიმინუცია”, ისევე როგორც „აუგმენტაცია“, არ იძლევა აღნიშნული მოვლენის სრულ დახასიათებას (თავდაპირველად: Diminution – Verkleinerung – Verminderung), რადგან ის თავის თავში აერთიანებს ისეთ ცნებებს, როგორცაა ”სიპატარავე/სიმცირე”, ”შემცირება/დაპატარაება, დაკნინება”, ”მნიშვნელობის შესუსტება” და მისთ., თუმცა ძალიან ხშირად მათთან კონკურენციაშია სუბიექტური შეფასების სტილისტური კომპონენტი (”მოფერება”, ”სინაზე”, ”ფამილარობა”, ”ირონია”, ”მუქარა” და მისთ.), გადასწევს რა ზოგ შემთხვევაში ზემომითითებულ ლექსიკურ სემებს მეორე პლანში, ზოგ შემთხვევაში კი მათ საერთოდ დაასუსტებს. (შდრ. 1987: 229)

## 2. დიმინუტიური ფორმები: სუბსტანტიური სუფიქსური დერივაციის მოდელი

დიმინუტივები ძირითადად არსებითი სახელებია. ენობრივი მოვლენა გვხვდება გარკვეული სემანტიკური ნიუანსებით ზედსართავ სახელებთანაც, თუმცა არსებით სახელებთან შედარებით ასეთი ფორმები ნაკლებად მნიშვნელოვანია (შდრ., სუფიქსი -lich, სიტყვაწარმოებითი მნიშვნელობა: 'graduierend' [სემა: Abschwächung 'შესუსტება']: ältlich, ärmlich, kränklich; ფერების აღმნიშვნელ სიტყვებთან [სემა: unvollständig, nicht ganz 'არასრული, ნაკლები']: bläulich, grünlich, weißlich - Karbelaschwili 1998: 127), ზმნებთან (hüsteln, lächeln, tänzeln), მისალმების გამომხატველ ნაწილაკებთან, უმეტესად ზეპირ ენაში (საუბრ. hallöchen, tschüsschen, tschüssi - Wiese 2006), შდრ. bisschen; ასევე მხოლოდ სასაუბრო ენაში არსებითი სახელის სუფიქსით ნაწარმოები სიტყვები: schön - schönchen, klar - klärchen ( 1987: 263).

გერმანულ ენაში (არა მარტო დიალექტებში, არამედ სალიტერატურო ენაშიც) დიმინუტიური ფორმების წარმოება ხორციელდება სუფიქსების საშუალებით. ყველაზე მნიშვნელოვანია -chen და -lein სუფიქსები. გვხვდება სხვა სუფიქსებიც: -el, -le, -ke, -i, ასევე უცხო ენებიდან შემოსული სუფიქსები დიმინუციის ფუნქციით (-ine, -ette, -it, -elle). ზოგჯერ დიმინუტიურ სუფიქსებს განიხილავენ დერივაციულ და ფლექსიურ აფიქსებს შორის, რადგან ისინი სიტყვაწარმოებით მნიშვნელობასთან

<sup>1</sup> აქ და შემდგომში თარგმანი ჩვენია - ლ. მ.

ერთად სიტყვის სქესსაც განსაზღვრავენ (რაც მათ ერთ-ერთ თავისებურებად მიაჩნიათ), მაგალითად, ორივე სიტყვა: Jungchen და Mädchen საშუალო სქესის არსებითი სახელია (შდრ. Eisenberg 2000: 262-263).

## 2.1 დიმინუტივები -chen და -lein სუფიქსებით

როგორც ითქვა, გერმანულ ენაში ყველაზე მაღალი სიხშირით გვხვდება -chen და -lein სუბსტანტიური დიმინუტიური სუფიქსები. ენის მკვლევრები მიუთითებენ, რომ სუფიქსი -chen (საშ. ზგ. -ch n, ქვ.გერმ., ასევე ნიდერლ. -ken) განვითარდა n სუფიქსიდან -ch- და გადაუწეველი ქვემოგერმანული -k- ელემენტებით გავრცობის შედეგად. სუფიქსმა არ განიცადა დიფთონგიზაცია, რადგან გრძელი ჯერ შემოკლდა და ბოლოს დასუსტდა თანამედროვე -e- ფონემად (შდრ. Fleischer/Barz 1995: 179 /2012: 232). სუფიქსი -lein (საშ.ზგ. -l n) წარმოიშვა -n სუფიქსის -l- ფონემით გავრცობით, რასაც მოჰყვა ხმოვნის დიფთონგიზაცია (იქვე). სუფიქსი -lein საკუთრივ ზემოგერმანული (oberdeutsch) წარმოშობისაა და უმეტესად დიალექტებში ვხვდებით მის სხვადასხვა ვარიანტს, შდრ., ავსტრ.-ბავარ. -el, -erl (Raderl), შვაბ. -le (Vögele), შვეიცარ. -li (Blättli) (შდრ. Lohde 2006: 120); ასევე ბავარ. -erl, ალემან. -(l)i, შვაბ. -le, მაგ., Maderl, Meitschi, Mädle „Mädchen“ ‘გოგონა’ (Glück „Hypokoristisch“, წიგნში: Glück 2010: 275).

-chen და -lein სუფიქსების ხმარება უკავშირდება რიგ მიზეზებს. ლინგვისტები გამოყოფენ განსაზღვრულ ფონოლოგიურ კანონზომიერებებს (შდრ., მათ შორის: Erben 1958: 71; Lohde 2006: 121; Fleischer/Barz 2012: 232). სუფიქსი -chen არ დაერთვის იმ სუბსტანტიურ ფუძეებს, რომლებიც ბოლოვდება -ch, -g ან -ng ფონემებზე. ასეთ შემთხვევებში გამოიყენება სუფიქსი -lein, შდრ.: Bächlein, Tüchlein, Äuglein, Spieglein, Ringlein. თუ ფუძე მთავრდება -(e) -ზე, ან თუ სუფიქსის წინ გაჩნდება -e ელემენტი, გამოიყენება სუფიქსი -chen, როგორც, მაგ.: Spielchen, Röllchen, Spiegelchen, Beutelchen, Ringelchen, Knöchelchen (Süskind), Schimmelchen. ფუძეები, რომლებიც მთავრდება -el -ზე, დაირთავენ ორივე სუფიქსს. (ამასთან -lein სუფიქსის ხმარებისას ბაზისიდან იკარგება უმახვილო -e-) ამიტომ გვხვდება პარალელური ფორმები, შდრ.: Engelchen - Englein, Spiegelchen - Spieglein, Vögelchen - Vöglein. ასევე -e ან -en -ზე დასრულებულ ფუძეებთან -chen და -lein სუფიქსის დართვისას იკარგება ეს ხმოვანი, შდრ., Auge - Äuglein, Kiste - Kistchen, Katze - Kätzchen, Rose - Röslein.

გარკვეულ თავისებურებას ვნახულობთ ასევე ფუძისეული ხმოვნის უმლაუტთან დაკავშირებით: -lein სუფიქსიან დიმინუტიურ წარმონაქმნებთან ფუძისეული ხმოვნის უმლაუტი სავალდებულოა, ხოლო -chen სუფიქსით ნაწარმოებ ნათესაობის აღმნიშვნელ, ასევე საკუთარი სახელების დიდ ნაწილთან გაუმლაუტება ძირითადად არ გვაქვს, შდრ.: Kurt > Kurtchen, Karl > Karlchen, Marie > Mariechen, Grete > Gretchen, Paul > Paulchen, Mama > Mamachen, Onkel > Onkelchen, Tante > Tantchen; თუმცა გვხვდება უმლაუტიანი ფორმებიც, მაგ.: Hans > Hänschen, Mann > Männchen, Frau > Fräulein, Mutter > Mütterchen, Tochter > Töchterchen, Bruder > Brüderchen, შდრ. ასევე სხვა ფორმები: Hut > Hütchen, Hand > Händchen, Kasten > Kästchen, Haus > Häuschen, Ball > Bällchen.

-chen და -lein სუფიქსების ხმარებასთან დაკავშირებით ენათმეცნიერები ლაპარაკობენ სხვადასხვა სახის დიფერენციაციაზე, ესენია: ტერიტორიული-გეოგრაფიული დიფერენციაცია, ტექსტის ტიპის განმსაზღვრელი (ტექსტის ტიპებთან დაკავშირებული) დიფერენციაცია და სემანტიკური დიფერენციაცია.

სუფიქსი -lein განსაკუთრებით ხშირად გვხვდება საკუთრივ ზემოგერმანულ დიალექტებში, ხოლო ქვემო- და შუაგერმანულ ენობრივ სივრცეში გავრცელებულია -chen -სუფიქსიანი დიმინუტიური ფორმები (შდრ. Kluge 1925: 28-29; ასევე: Schmidt 2008: 114). კლუგე თანამედროვე დიალექტებში წარმოადგენს შემდეგი სახის მონაცვლეობას:

ა) საკუთრივ ზემოგერმანულში გვაქვს ძველი ფორმა -lîn, სუფიქსი გვხვდება ვარიანტების სახით: ალემანურში -li (meitli, äugli, büebli. müetterli), შვაბურში -le (kindle, büble, schätzle, häusle), ბავარიულ-ავსტრიულში -el ან -l ფორმები (männel, weibell, brüederl, bissl), აღმოსავლეთ ფრანკულში კი გვაქვს სუფიქსი -el (mädel, kleidel, hundel, glasel, katzel);

ბ) დასავლეთ და ცენტრალურ გერმანიაში იხმარება სუფიქსი -chen თავის პარალელურ ფორმასთან -che ერთად. ამასთან, აღნიშნული სუფიქსი ფრანკფურტულ დიალექტში (Frankfurter Mundart) s, sch, ss, tz ფონემების შემდეგ გვხვდება (-je) -i ვარიანტით, შდრ., gläsi, dischi, häusi, scherzi, herzi, Liesi (საკუთარი სახელი) (Kluge 1925: იქვე).

ძველი ქვემოგერმანული სუფიქსი -kin დღეს ქვემო- და დასავლეთშუაგერმანულ დიალექტებში გვხვდება უმეტესად -ke ვარიანტით. შმიდტი (Schmidt 2008: 114) შენიშნავს, რომ ფორმა უმეტესად საკუთარ სახელებში ფიქსირდება, როგორც, მაგალითად, Reinike, Lüdeke (Ludwig), Nöldeke (Arnold), Engelke.

დღეს თანამედროვე სალიტერატურო ენაში სუფიქსი -chen მაღალპროდუქტიულია. როგორც ლინგვისტები თვლიან, სხვადასხვა ტიპის ტექსტებში -chen და -lein სუფიქსების ხმარების სიხშირის

თანაფარდობა შეესაბამება 4 : 1 (შდრ. Fleischer/Barz 2012: 233). სუფიქსი -lein თანამედროვე გერმანულ ენაში იხმარება ცალკეული ტექსტის სახეობებში, უმეტესად კი ზღაპრებში, ლირიკასა და საეკლესიო ტექსტებში (Lämmlein 'ბატკანი') (შდრ. Wellmann 1995: 490). მისი ხმარების სიხშირე დაბლა იწევს მოთხრობასა და რომანში, შემდეგ კი დრამაში. თვალსაჩინოებისთვის მაგალითად მოვიყვანთ ამონარიდს ძმები გრიმების ზღაპრიდან „Der Froschkönig oder der eiserne Heinrich“.

„Deine Kleider, deine Perlen und Edelsteine, und deine goldene Krone, die mag ich nicht; aber wenn du mich liebhaben willst, und ich soll dein Geselle und Spielkamerad sein, an deinem *Tischlein* neben dir sitzen, von deinem goldenen *Tellerlein* essen, aus deinem *Becherlein* trinken, in deinem *Bettlein* schlafen - wenn du mir das versprichst, so will ich hinuntersteigen und dir die goldene Kugel wieder heraufholen.“ („Der Froschkönig oder der eiserne Heinrich“, in: Brüder Grimm 1987: 22)

წარმოდგენილ ტექსტში ოთხივე დიმიანუტიური წარმონაქმნი: Tischlein, Tellerlein, Becherlein, Bettlein ნაწარმოებია -lein სუფიქსით. მოვიყვანთ სხვა მაგალითს:

„Ihr zahmen *Täubchen*, ihr *Turteltäubchen*, all ihr *Vöglein* unter dem Himmel, kommt und helft mir lesen, die guten ins *Töpfchen*, die schlechten ins *Kröpfchen*.“ („Aschenputtel“, in: Brüder Grimm 1987: 79)

მოცემულ წინადადებაში -chen და -lein დიმიანუტიური სუფიქსების ხმარების სიხშირის თანაფარდობა შეესაბამება 4 : 1 (შდრ. Täubchen, Turteltäubchen, Töpfchen, Kröpfchen, Vöglein). წარმოდგენილი დიმიანუტივები, შესაბამის სიტყვაწარმოებით მნიშვნელობასთან ერთად „დაპატარავება“, გამოხატავენ მოსაუბრის ემოციურ შეფასებას/დამოკიდებულებას ობიექტის მიმართ (ემოციურ-პოზიტიური კონოტაცია „ახლობელი“), ასევე შეიცავენ ჰიპოკორისტულ სტილისტურ კომპონენტს („მოფერება“, „სინაზე“).

მოვიყვანთ ნაწყვეტს ი. ვ. გოეთეს ბალადიდან „Das Veilchen“:

„Ach! denkt das *Veilchen*, wär ich nur / Die schönste Blume der Natur, / Ach, nur ein kleines *Weilchen*, / Bis mich das *Liebchen* abgepfückt / Und an dem Busen matt gedrückt! / Ach nur, ach nur / Ein *Viertelstündchen* lang!“ („Das Veilchen“, in: J. W. Goethe 1980: 50-51)

წარმოდგენილ ნაწყვეტში გვაქვს -chen სუფიქსიანი ოთხი დიმიანუტიური წარმონაქმნი: Veilchen, Liebchen, Weilchen (< Weile), Viertelstündchen. დიმიანუტიური ფორმები სიტყვაწარმოებითი მნიშვნელობით „პატარა“ (Veilchen, Liebchen), „მცირე“ (დროის ძალიან მოკლე მონაკვეთი: Weilchen, Viertelstündchen) გამოხატავენ ასევე ემოციურ-პოზიტიურ კონოტაციას და შეიცავენ ჰიპოკორისტულ (მოფერებით) კომპონენტს (Veilchen, Liebchen).

სუფიქსი -chen შეიძლება გაივრცოს -el და -er ელემენტებით. -el + -chen ფორმები გვხვდება უმეტესად ჩრდილო- და შუაგერმანულ სასაუბრო ენაში (Tuch > Tüchelchen). ეს ფორმები ფიქსირდება მე-14/15 საუკუნიდან, ისინი წარმოიქმნა I-ზე დასრულებული სიტყვების ანალოგიით, როგორცაა ფორმები: beutelchen, engelchen, kügelchen, mäntelchen, vögelchen, zettelchen (შდრ. Kluge 1925: 30).

-chen და -lein სუფიქსებს შორის სემანტიკური დიფერენციაცაა უკავშირდება დემოტივაციის მოვლენას, მაგალითად, Männlein და Weiblein გამოიყენება მხოლოდ ადამიანებთან მიმართებაში, ხოლო Männchen და Weibchen - ცხოველებთანაც, შდრ.:

(1) Männchen: 1. kleiner [bedauernder] Mann; 2. männliches Tier; Männlein: kleiner Mann (DUW: 1048);

(2) Weibchen: 1. weibliches Tier; 2. (oft abwertend) eine Frau im Hinblick auf ihre typisch weiblichen bzw. sexuellen Eigenschaften; Weiblein: kleine alte Frau (DUW: 1790). შდრ. ასევე: Frauchen და Fräulein.

## 2.2 -i სუფიქსიანი დიმიანუტივები

დიმიანუტივის სისტემაში ცალკე უნდა გამოიყოს -i სუფიქსით წარმოება. გერმანულ არსებით სახელებში -i სუფიქსით წარმოების მოდელი პროდუქტიულია და დამახასიათებელია როგორც ზეპირი, ისე ყოველდღიური ენისათვის (Glück/Sauer 1990: 82). სუფიქსი, რომელიც ძველი ზემოგერმანული პერიოდიდან ფიქსირდება, იხმარება უპირველესად ადამიანების საკუთარი სახელებისა და ნათესაობის აღმნიშვნელი ჰიპოკორისტული (ექსპრესიულ-მოფერებითი) ფორმების (hypokoristische Formen) საწარმოებლად (შდრ. Fleischer 1976: 201; Glück/Sauer 1990: 76; Fleischer/Barz 2012: 214-15), მაგალითად: Rudi < Rudolf, Fritzi < Fritz, Heini < Heinrich, Gitti < Brigitte, Wolfi < Wolfgang, Gerdi < Gerda, Anni < Anna, Sigg, Adi, შდრ., ასევე მოფერებითი / საალერსო ფორმები: Mutti < Mutter, Vati < Vater, Omi < Oma (ფორმები გამოიყენება განსაკუთრებით ბავშვებთან ურთიერთობის დროს). სუფიქსი -i იხმარება ასევე შემოკლებული სიტყვების წარმოებისას (Ami < Amerikaner, Assi < Assistent, Uni < Universität, ასევე: Studi < Student(in), Grüni < grün და სხვ.), რაც უმეტესად ახალგაზრდული ენისათვის არის დამახასიათებელი.

## 2.3 სხვა დიმიანუტიური სუფიქსები

სალიტერტურო ენაში სხვა დიმიანუტიური სუფიქსები შედარებით ნაკლებად მნიშვნელოვანია:

სუფიქსი -el გვხვდება შემდეგ დიმიანუტიურ ფორმებში: Knochen > Knöchel ('სახსრის პატარა ძვალი'), Krume > Krümel (1. 'პურის ნამცეც'; 2. 'ნამცეცა' მიმართვა ბავშვის მოსაფერებლად), Busch > Büschel, Magd

> Mädél, ასევე: Mädchen (DUW: 1040), ადამიანის საკუთარი სახელების მოფერებით ფორმებში: Hänsel < Hans, Gretel < Grete (შდრ. Gretchen), Heinzél < Heinz, შდრ. ასევე Heinzelmännlein / Heinzelmännchen.

გერმანულ ენაში დიმინუციის ფუნქციით გვხვდება უცხო სუფიქსებიც (მხოლოდ უცხო სიტყვებთან კავშირში, ფორმები უმეტესად მდედრობითი სქესის სახელებია): -ette (Stiefel > Stiefelette, Zigarre > Zigarette, Statue > Statuette, Oper > Operette, Sandale > Sandalette), -ine (Viola > Violine, Sonate > Sonatine), -it (Meteor > Meteorit).

#### 2.4 დიმინუტიური სუფიქსებით ნაწარმოები დემოტივირებული სიტყვები

-el და -chen სუფიქსებით ნაწარმოები არაერთი დიმინუტიური ფორმა დღეს თანამედროვე გერმანულ ენაში დემოტივირებული სიტყვაა (უფრო ვრცლად: მახვილაძე 2001: 84-86, 89). დემოტივირებული სიტყვები სემანტიკურად გაუმჭვირვალე ფსევდომორფემებით შედგენილი წარმონაქმნებია (მაგ., Ferkel, Kringel, Krüppel, Veilchen), ან ისეთი მორფემული კონსტრუქციებია, რომელთა კონსტიტუენტები (უშუალო შემადგენლები) მარტივ სიტყვებს მხოლოდ ფორმოზრივად შეესატყვისება, მაგრამ არა სემანტიკურად. ისინი იდიომატიზებული ფორმებია (მაგ.: Stiefmütterchen ბოტ. 'იასამფერა', Eichhörnchen ზოოლ. 'ციყვი', Ohrläppchen 'ყურის ბიბილო', Kaffeekränzchen 'ქალების ჯგუფის [სისტემატიური] შეხვედრა სასაუბროდ ფინჯან ყავასა და ნამცხვარზე').

დიმინუტიური ფორმა Veilchen 'ია' (დამოწმებულია მე-16 საუკუნიდან) ნაწარმოებია იმავე მნიშვნელობის უფრო ძველი ახ.ზგ. Vei[e]l -დან (შდრ. ფორმები: საშ.ზგ. v el, ადრ.საშ.ზგ. v ol[e], ძვ.ზგ. viola). ყვავილის სახელწოდება ნასესხებია ლათ. viola -დან 'ია' (Duden 2007: 887). არსებითი სახელი თანამედროვე გერმანულ ენაში დემოტივირებული სიტყვაა, რადგან ელემენტი veil- სემანტიკურად გაუმჭვირვალე უნიკალური ფსევდომორფემაა.

არსებითი სახელი Ferkel (საშ.ზგ. verkel[ n], verhel[ n], ძვ.ზგ. farhil [n]) დიმინუტიური წარმონაქმნია ფორმებიდან: ძვ.ზგ. far[a]h -დან 'გოჭი, ღორი' (Duden 2007: 212), შდრ. საშ.ზგ. varch (Lexer 1992: 271). ელემენტი ferk- თანამედროვე გერმანულში აღარ გვხვდება დამოუკიდებლად და არც სხვა რომელიმე შეკავშირებაში. ამიტომ ის სემანტიკურად გაუმჭვირვალე უნიკალური ფსევდომორფემაა.

არსებითი სახელი Kringel (საშ.ზგ. kringel, krängel) 'ბლითი, კრენდელი, ბუბლიკი' ასევე დიმინუტიური წარმონაქმნია ფორმიდან საშ.ზგ. krinc, kringe 'წრე, რგოლი' ('Kreis, Ring' – Lexer 1992: 116). სიტყვის პირველი კონსტიტუენტი (უშუალო შემადგენელი) kring- თანამედროვე გერმანულ ენაში თავისუფალი ხმარებიდან დაკარგული ელემენტია. მას განვიხილავთ როგორც უნიკალურ ფსევდომორფემას.

### 3. დასკვნა

ამდენად, ნაშრომში ჩვენ წარმოვადგინეთ სუბსტანტიური ნაწარმოები სიტყვების ერთი ფუნქციურ-სემანტიკური სუბკლასი, კერძოდ, მოდიფიკაციური სუფიქსებით დიმინუტიური ფორმების წარმოება გერმანულ ენაში. აღნიშნული სიტყვაწარმოებითი პროცესით ნაწარმოები სიტყვა იღებს დამატებით სემანტიკურ ნიუანსს ამოსავალ ერთეულთან შედარებით, ამასთან მოდიფიკაციის პროდუქტი არ იცვლის მეტყველების ნაწილს. დღეს გერმანულ ენაში ყველაზე პროდუქტიულია -chen და -lein დიმინუტიური სუფიქსები. შესწავლილია მათი ისტორიული განვითარების, მათ ხმარებასთან დაკავშირებული ფონოლოგიური კანონზომიერებების, ტერიტორიული და ტექსტის ტიპებთან დაკავშირებული დიფერენციაციის, ასევე სემანტიკური თავისებურებების ზოგიერთი საკითხი. განხილულ საანალიზო ფაქტორებზე მასალაზე დაყრდნობით კიდევ ერთხელ გამოიკვეთა, რომ დიმინუტივები გამოხატავენ არა მხოლოდ კნინობითობას თავისი მნიშვნელობის ნიუანსებით „დაპატარავება“, არამედ გამოიყენება პიროვნული დამოკიდებულების ან შეფასების თვალსაზრისითაც („ნაცნობი“, „ინტიმური“, „ახლობელი“, „ირონია“ და მისთ.), რითაც გამოიხატება სიტყვაში კოდირებული გარკვეული ემოციურ-ექსპრესიული (პოზიტიური ან ნეგატიური) კონოტაცია. ენობრივი მოვლენა განხილულია ისეთი დიმინუტიური ფორმების მაგალითზეც, რომლებმაც ენის განვითარების პროცესში განიცადეს დემოტივაცია.

#### 4. შემოკლებათა განმარტებანი:

ადრ.ახ.ზგ. - ადრეული ახალი ზემოგერმანული

ადრ.საშ.ზგ. - ადრეული საშუალო ზემოგერმანული

ავსტრ.-ბავარ. - ავსტრიულ-ბავარიული

ალემან. - ალემანური

ლათ. - ლათინური

ნიდერლ. - ნიდერლანდური

საშ.ზგ. - საშუალო ზემოგერმანული

შვაბ. - შვაბური

შვეიცარ. - შვეიცარიული  
ბვ.ზგ. - ბველი ზემოგერმანული  
ქვ.გერმ. - ქვემოგერმანული

#### ლიტერატურა:

1. Barz, I. (2009): Die Wortbildung. In: Duden (Hrsg.), *Duden. Die Grammatik. Unentbehrlich für richtiges Deutsch*. 8., überarb. Aufl., Bd. 4. Dudenverlag: Mannheim et al. S. 634-762.
2. Barz, I./Schröder, M. (2001): Grundzüge der Wortbildung. In: Fleischer, W./Helbig, G./Lerchner (Hrsg.), *Kleine Enzyklopädie Deutsche Sprache*. Peter Lang: Frankfurt a.M. S. 178-217.
3. Donalies, E. (2005): *Die Wortbildung des Deutschen. Ein Überblick*. Zweite, überarb. Aufl., Gunter Narr: Tübingen.
4. Donalies, E. (2006): Dem Väterchen sein Megahut. Der Charme der deutschen Diminution und Augmentation und wie wir ihm gerecht werden. In: Breindl, E./Gunkel, L./Strecker, B. (Hrsg.): *Grammatische Untersuchungen, Analysen und Reflexionen*. Festschrift für Gisela Zifonun. Gunter Narr: Tübingen. S. 33-51.
5. DUW (2001) = *Duden. Deutsches Universalwörterbuch*, 4. neu bearb. u. erw. Aufl., Mannheim, et al.
6. Eisenberg, P. (2000): *Grundriß der deutschen Grammatik*. Bd. 1.: Das Wort. Metzler: Stuttgart/Weimar.
7. Erben, J. (1958): *Abriss der deutschen Grammatik*. Akademie: Berlin.
8. Fleischer W. (1976): *Wortbildung der deutschen Gegenwartssprache*. 4., durchges. Aufl. Leipzig.
9. Fleischer, W. / Barz, I. (1995): *Wortbildung der deutschen Gegenwartssprache*. Unter Mitarbeit von M. Schröder. 2., Aufl. Max Niemeyer: Tübingen.
10. Fleischer, W. / Barz, I. (2012): *Wortbildung der deutschen Gegenwartssprache*. 4. Aufl.; völlig neu bearb. von Irmhild Barz unter Mitarbeit von M. Schröder. De Gruyter: Berlin.
11. Glück, H. (Hrsg.) (2010): *Metzler Lexikon Sprache*. (4., akt. und überarb. Aufl.). J.B. Metzler: Stuttgart et al.
12. Glück H./Sauer W.W. (1990): *Gegenwartsdeutsch*. Bd. 252. J.B. Metzler: Stuttgart.
13. Goethe, J. W. (1980): *Gedichte*. Progreß: Moskau.
14. Grimm, Brüder (1987): *Kinder und Hausmärchen*. (Auswahl) Philipp Reclam: Leipzig.
15. . . . (1987):
16. Karbelaschwili, S. (1998/2001): *Lexikon zur Wortbildung der deutschen Sprache (Augmentation und Diminution)*. Heft 51. Hrsg. vom Fachverband Deutsch als Fremdsprache: Regensburg.
17. Kluge, Fr. (1925): *Abriss der deutschen Wortbildungslehre*. Zweite Aufl., Max Niemeyer: Halle (Saale).
18. Kluge, Fr. (2002): *Etymologisches Wörterbuch der deutschen Sprache*. 24., durchges. u. erweiterte Auflage, bearb. von E. Seebold. De Gruyter: Berlin et al.
19. Lexer, M. (1992): *Mittelhochdeutsches Taschenwörterbuch*. Mit den Nachträgen von Ulrich Pretzel. 38., unveränd. Aufl. Hirzel: Stuttgart.
20. Lohde, M. (2006): *Wortbildung des modernen Deutschen. Ein Lehr- und Übungsbuch*. Gunter Narr: Tübingen.
21. მახვილძე, ლ. (2001): *სემანტიკურად გაზუნდოვნებული ელემენტები გერმანული ენის სიტყვაწარმოებით სისტემაში*. დისერტაცია ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი.
22. Paul, H. (1957): *Deutsche Grammatik*. Bd.5 (Wortbildungslehre). 3. Aufl. Max Niemeyer: Halle (Saale).
23. Schmidt, W. (2008): *Deutsche Sprachkunde. Ein Handbuch für Lehrer und Studierende mit einer Einführung in die Probleme des Sprachkundlichen Unterrichts*. 8., bearb. Aufl. IFB: Paderborn.
24. Wellmann, H. (1998): Die Wortbildung. In: Duden (Hrsg.), *Duden. Grammatik. der deutschen Gegenwartssprache*. 6., neu bearb. Aufl., Bd. 4. Dudenverlag: Mannheim et al. S. 408-557.
25. Wiese, H. (2006): Partikeldiminuierung im Deutschen. *Sprachwissenschaft* 31; 4: 457-489.  
[https://www.researchgate.net/publication/261402106\\_Partikeldiminuierung\\_im\\_Deutschen](https://www.researchgate.net/publication/261402106_Partikeldiminuierung_im_Deutschen)

**Lela Makhviladze**

Gori State Teaching University

### **DIMINUTIVE FORMS IN THE GERMAN LANGUAGE RESUME**

In the presented work the so called “diminutive forms” (‘Diminutivbildungen’/ ‘Verkleinerungsbildungen’, lat. diminutum ‘verkleinert’ also: Diminutivum) in the German language are discussed. The Model of substantive suffix derivation, namely, derivation of diminutive forms with modification suffixes in German is shown. In this word formation process the derived word gets an additional semantic meaning (unlike the basic word it has a special meaning) and a part of speech is not changed. Today the most frequently used diminutive suffixes in modern German are *-chen* and *-lein*, with their dialectal variants (*Hündchen, Äuglein; Maderl, Mädle* ‘Mädchen’). There are discussed hypocoristical forms with *-i* suffix (*Heini* < Heinrich) in the work. The problems about their historical development,

phonological regularities of their usage, geographical (dialect-related) and text sorting differentiations, also semantical particularities are discussed. Based on the analyzed material it is proved, that diminutive forms do not only express diminution (“Verkleinerung”), they can be used to express a personal relationship or assessment (as “known, familiar” etc.), which is the reason for coded emotional connotation in the word, on the one hand its emotional positive, meliorative connotation (*Das ist ein Wetterchen!* ‘What a wonderful weather!’; *Das ist ein Bierchen!* ‘What a good beer!’), that has a caring function (kosende Funktion) (e.g. *Rotkäppchen, Küsschen, Kindlein, Kätzchen*), and on the other hand emotional negative, pejorative connotation. It contains partly irony, dislike (e.g. *Freundchen* [negative connotation ‘threat’]: *Freundchen, dir werden wir’s mal zeigen!*). We also discuss such diminutive forms, which were demotivated in the process of the language development. The etymological analyze of the diminutive forms (*Veilchen, Ferkel, Kringel, Krüppel*) derived from the unique morphemes is presented.

**მაია მელანაშვილი**  
**გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი**

### **ქართული პიკარესკა - ეპოქის პრობლემების წარმოჩენის გზა**

პირველ ქართულ პიკარესკულ რომანს მიხეილ ჯავახიშვილის „კვაჭი კვაჭანტირაძე“ წარმოადგენს. „ავტობიოგრაფიაში“ მწერალი აღნიშნულ რომანს იმ ნაწარმოებებს შორის იხსენიებს, რომლებიც მან თავისი შემოქმედებითი ცხოვრების მეორე პერიოდში დაწერა. როგორც ცნობილია, რომანის ცალკეული ნაწილები პირველად 1923 წელს დაიბეჭდა ჟურნალში „დროშა“ (№1, №2, №3, №4). მოგვიანებით მწერალმა ცალკეული სათავგადასავლო-ავანტიურისტული ეპიზოდები ერთ სიუჟეტურ ღერძზე აკინძა და მოთხრობების ციკლს რომანის სახე მისცა. ნაწარმოების თემისა და პრობლემემატიკის აქტუალობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ რომანის – „კვაჭი კვაჭანტირაძე და მისი თავგადასავალი“ – გამოსვლის შემდეგ არაერთი მცდელობა განხორციელდა მისი პიესად გადაკეთებისა.

რომანის მიხედვით ნიკო შიუკაშვილმა დაწერა ორი პიესა: „ძიას გასაბჭოება“ და „ამერიკელი ძია“, რომელთა ადრეულ ვარიანტებში მთავარი მოქმედი პირი კვაჭის სახელით არის წარმოდგენილი. მიხეილ ჯავახიშვილის არქივიდან ასევე ჩანს, რომ კვაჭიზე პიესა დაუწერია შალვა დადიანსაც და ბოლოს, 1927 წლის შემოდგომაზე, მიხეილ ჯავახიშვილს სანდრო ახმეტელისთვის – რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელისთვის – წაუკითხავს სარეპერტუარო კომიტეტში წარდგენილი პიესა „ივერიუმი“, რომელიც მისივე რომანის მასალებზე იყო აგებული.

საინტერესოა, რომ მწერლის პირად არქივში ასევე დაცულია რუსულ ენაზე დაწერილი კინოსცენარი „Жизнь и похождения Квачи Квачантирадзе“ (მანქანაზე გადაბეჭდილი 126 გვერდი), რომელსაც გადაღება არ დასცალდა.

ქართულ სამეცნიერო სივრცეში დამკვიდრებული თვალსაზრისით, მწერალმა კვაჭი კვაჭანტირაძის მეშვეობით შექმნა განზოგადებული სახე თაღლითისა, რომელიც დასახული მიზნის მისაღწევად, კარიერული წინსვლისა და საზოგადოებაში მაღალი მდგომარეობის დასამკვიდრებლად არავის და არაფერს ერიდება. საგულისხმოა სიტყვები, რომლებიც მწერალმა რომანის პირველ, 1925 წლის წინასიტყვაობას წაუძღვარა: „ვბედავ და ამ წიგნს წრფელი გულით მივუძღვნი ყველა მსხვილფეხა და წვრილფეხა კვაჭსა და კვაჭიკოებს, რომელნიც ჩემს კურთხეულ სამშობლოში ყოველთვის უხვად მოიპოვებოდნენ“ (შავგულიძე, 1988:22). მწერლის შენიშვნის კვალდაკვალ, რომ „კვაჭი ნარევი ტიპია“, ჯავახიშვილის შემოქმედების არაერთი მკვლევარიც შენიშნავს, რომ კვაჭი კვაჭანტირაძე უთუოდ გროტესკული, მხატვრულად გაზვიადებული სახეა, თუმცა ამით მისი რეალისტური ბუნება ოდნავადაც არ კნინდება; ავტორი ხომ თავისი გმირებისათვის ყოველთვის ირჩევდა რეალურ პროტოტიპებს, რომლებიც ეხმარებოდნენ მას ცოცხალი მხატვრული სახის შექმნაში.

პროტოტიპებთან დაკავშირებით, უპირველეს ყოვლისა, საყურადღებოა მწერლის ქალიშვილის, ქეთევან ჯავახიშვილის, ერთი მოგონება: „1922 წელს მამამ ვინმე მეგრელიშვილი გაიცნო, რომელიც ვაჭრობის დარგში მუშაობდა. ლენინის მოედანზე, სამხედრო შტაბის გვერდით, მას ერთი პატარა ოთახი ჰქონდა, კანტორად წოდებული, სადაც თავის კომერციულ საქმეებს მართავდა. მეგრელიშვილი დაუმეგობრდა მამას და მისი ნდობა მოიპოვა. ერთ დღეს მან უთხრა მამას, რომ ისეთ საქმეს მოჰკიდა

ხელი, რომელიც დიდ მოგებას ჰპირდებოდა და ამისთვის ფული სჭირდებოდა. მამა მას ენდო და მისცა, რაც გააჩნდა. მას შემდეგ დიდმა დრომ გაიარა. მამა მოთმინებით ელოდა, როდის დაუბრუნებდნენ მას ვალს. დრო კი გადიოდა და არაფერი საიმედო არა ჩანდა. მან სხვა მხრივაც მოუჭრა გზა. მეგრელიშვილს ლამაზი ცოლი ჰყავდა. ებრაელი იყო, კეკლუცი და მიმზიდველი. ისინი ხშირად პატიყცბდნენ დედას და მამას თავისთან ოჯახში და ამით მეგობრობას ამტკიცებდნენ. მეგრელიშვილი ამ დროს თავის საქმეებს აწესრიგებდა, მამას კი ტკბილი სიტყვებით ისტუმრებდა. მამა მინდობილი ადამიანი იყო და პირველ ხანებში სჯეროდა, რომ ის პატიოსანი კაცი იყო. ბოლოს, მის თაღლითობაში რომ დარწმუნდა, გული გაუტყდა და თავი მიაწება. დრო რომ გავიდა, გაიგო, რომ მეგრელიშვილი დიდი მასშტაბის კომერსანტი და კომბინატორი ყოფილა და დიდ საქმეებსაც ატრიალებდა თურმე. ვალი რომ არ გადაეხადათ, ცოლ-ქმარი ამაზეც კი წავიდა, რომ მეგობრული დამოკიდებულებით მამა უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენეს და მან ვალის დაბრუნებაზე ვეღარა უთხრა რა. დრომ რომ გაიარა, მის გონებაში მომწიფდა თაღლითი ადამიანის პიროვნება და კვაჭის ტიპად თვალწინ დაუდგა. მწერალმა თვითონვე აღნიშნა, რომ ის ნარევი ტიპი იყო“ (ჯავახიშვილი, 1989:206). როგორც ვხედავთ, მწერლის ქალიშვილის თანახმად, კვაჭის სინთეზური სახის ერთ-ერთ კომპონენტად ვინმე კომერსანტი მეგრელიშვილი მოიაზრება.

განსხვავებული მოსაზრება ჰქონდა გერონტი ქიქოძეს, რომლის მოგონებათა თანახმად, კვაჭი კვაჭანტირაძის პროტოტიპი ვასილ დუმბაძე იყო. გერონტი ქიქოძე სამ ეპიზოდს იხსენებს ვასილ დუმბაძის „ხრიკებთან“ დაკავშირებით: პირველში აღწერილია, ლაიფციგის უნივერსიტეტში სწავლისას როგორ შეკრიბა დუმბაძემ ახალგაზრდები სადილად და როგორ გაითამაშა სცენა, თითქოს ზუგდიდიდან მიღებული დეპეშით (რომელიც სადილის დროს შემოუტანეს) ატყობინებდნენ მუშების გაფიცვის შესახებ და მას კი, საქმეების მოსაგვარებლად, სამშობლოში დასაბრუნებელი თანხა არ ჰქონდა. ერთ-ერთ გერმანელ სტუდენტს, კურტს, რომელიც მსხვილი მეწარმის სიძე იყო, შეეცოდა დუმბაძე და მეორე დღესვე „დიდმალი თანხის საბანკო ჩეკი მოუტანა“. გერონტი ქიქოძე აღნიშნავს, რომ სინამდვილეში დუმბაძეს არანაირი ქარხნები არ ჰქონდა და დეპეშაც ლაიფციგიდან იყო გამოგზავნილი ვასილის მეგობრის, იასონ მენაბდის მიერ. შევნიშნავთ, რომ გერონტი ქიქოძის მოსაზრებებს კატეგორიულად არ იზიარებენ ისტორიკოსები – ქველი ჩხატარაიშვილი და რუსუდან დაუშვილი, რომლებმაც საფუძვლიანად გამოიკვლიეს ვასილ დუმბაძის ცხოვრების გზა.

მკვლევართა ერთი ნაწილი, მაგალითად, პროფესორი, გერმანისტი ლეილა თეთრუაშვილი კვაჭის პროტოტიპად ცნობილ ქართველ ავანტიურისტს, სოლომონ აშორდიას მოიაზრებს. ცხადია, მისი სახელი და მოღვაწეობა ცნობილი იყო მიხეილ ჯავახიშვილისთვის, რადგან იგი პერსონაჟადაც შემოიყვანა რომანში სათანადო შენიშვნით: „აშორდია თავისი დროის განთქმული ავანტიურისტი იყო და ყალბი სიგელ-გუჯრების საშუალებით უხვად არიგებდა აზნაურობის საბუთებს“. ნიშანდობლივია, რომ რომანში სილიბისტრო კვაჭანტირაძემ და კვაჭიკომ აზნაურობა სწორედ მისი მეშვეობით მოიპოვეს. საზეიმო ვახშამზე აშორდიამ შემდეგი სიტყვებით მიმართა „ახლადგამოჩეკილ“ აზნაურს: „ჩემო პატარავ! მე გზა გაგიკაფე, ყველა კარი გაგიღე და დანარჩენი შენ იცი“. მწერალი იქვე ირონიულად დასძენს: „რა იცოდნენ მაშინ ნოტიომ ან პუპიმ, თუნდაც აშორდიამ, ან გაბლენძილმა სილიბისტრომ, რომ მომავალში პაწაწინა კვაჭიკო აშორდიას სახელს სრულიად დაჩრდილავდა, ქვეყანას მართლა ააფორიაქებდა და თავის გვარს ბრწყინვალე შარავანდედით შეამკობდა“. ამგვარად, მწერალი თავის პერსონაჟს აშორდიას „დიად“ საქმეთა გამგრძელებლად მოიაზრებს.

კომერსანტი მეგრელიშვილის, ვასილ დუმბაძისა და სოლომონ აშორდიას გარდა კვაჭის პროტოტიპად ზოგიერთი კრიტიკოსი მიხეილ ანდრონიკოვს (იგივე მიხეილ ანდრონიკაშვილი) მოიაზრებს. 2008 წელს გამოცემულ ვ. ბ. ლოპუხინის წიგნში – „საგარეო საქმეთა სამინისტროს დეპარტამენტის ყოფილი დირექტორის ჩანაწერები“ („Записки бывшего директора департамента министерства иностранных дел“) – აღნიშნულ პირზე მოტანილია შემდეგი ცნობები: მიხეილ მიხეილის ძე ანდრონიკოვი (1975-1919) – თავადი, ტიტულარული მრჩეველი, პუბლიცისტი და გამომცემელი – სწავლობდა პაჟთა კორპუსში, მსახურობდა სასულიერო საქმეთა დეპარტამენტში, კანცელარისტად. 1914-1917 წლებში იყო საგანგებო დავალებათა მოხელე წმიდა სინოდის ობერ-პროკურორთან.

მიხეილ ანდრონიკოვი გერმანოფილობის ბრალდებით, სამხედრო უწყების ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებოდა. ცნობილია, ანდრონიკოვის სიტყვა, რომელიც მან კაიზერთან დაზავებასთან დაკავშირებით წარმოთქვა: „ნუ დაივიწყებთ, ბატონებო, 1905 წელს. ჩემი აზრით, უმჯობესია, გერმანელებმა მოგვაჭრან კუდი, ვიდრე ჩვენმა გლეხებმა — თავი“. აქვე შევნიშნავთ, რომ მსგავსი ფრაზებით იგი ძალიან წააგავს კვაჭის და მის იდეოლოგიას უახლოვდება. მოგვიანებით ანდრონიკაშვილი გრიგორი რასპუტინს დაუახლოვდა და მისი უშუალო კონსულტანტი გახდა საკადრო დანიშვნებისა და სახელისუფლებო სტრუქტურებთან ურთიერთობის სფეროში. ანდრონიკოვი თავის ოთახს საგანგებოდ უთმობდა რასპუტინს ეპისკოპოს ვარნავასთან, შინაგან საქმეთა მინისტრ ხვოსტოვსა და საიდუმლო



მრჩეველ ბელეცკისთან შესახვედრად. ანდრონიკოვი ყოველთვის ხაზს უსვამდა თავის ღვთისმოსავლობას, რაც კარგ ტონად ითვლებოდა მეფის სასახლეში. საკუთარი რელიგიურობის ხაზგასასმელად ანდრონიკოვს საძინებელში სამლოცველო ჰქონდა მოწყობილი დიდი ჯვარცმითა და ნაკურთხი წყლით. იმავე საძინებელში კი, შირმის მეორე მხარეს, ორადგილიან საწოლზე საპროტექციოდ მოსულ მთხოვნელებს იღებდა. ამ ფაქტს თავის მოხსენებაში აღწერს ეკატერინოსლავსკის რაიონული სასამართლოს პროკურორი ვლადიმერ რუდნევი: „შირმის მეორე მხარეს, თავის ორადგილიან საწოლზე, ყველაზე გათახსირებულ, საძაგელ საქმიანობას ეწეოდა... ახალგაზრდა ადამიანებთან, რომლებიც მას ეალერსებოდნენ პროტექციის გაწევის სანაცვლოდ“ ( , 2008:109).

XX საუკუნის 20-30-იან წლებში გასაბჭოებული რუსეთის პოსტიმპერიული სივრცის, მათ შორის საქართველოს, სამწერლობო წრეებში შეიქმნა ახალი, პოსტრევოლუციური რეალობის გააზრების მწვავე აუცილებლობა. საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში „ყოფიერების მოდელის“ ასახვის ერთ-ერთ ადეკვატურ ფორმად მწერლებმა როგორც რუსეთში (ილია ილფი და ევგენი პეტროვი), ასევე საქართველოში (მიხეილ ჯავახიშვილი, პოლიკარპე კაკაბაძე) სწორედ პიკარესკა მიიჩნიეს, რომლის წინაპირობად, სხვა ფაქტორებთან ერთად, გარდამავალი პერიოდის სოციალური ფონი და კატაკლიზმები მოიაზრება.

1917 წლის რევოლუციამ ერთნაირად მოსპო ცხოვრების ყველა საფუძველი თუ სოციალური იერარქია. სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის ადამიანები სულიერი და ფიზიკური გადარჩენის პრობლემის წინაშე დადგნენ. რევოლუციამ საცხოვრებელი ადგილებიდან „დამრა“ უზარმაზარი ქვეყნის მოსახლეობა. გაჩნდა დეკლასირებული ელემენტების მასა, „ყოფილი“ ადამიანები (მიხეილ ჯავახიშვილის ტერმინით, „ნაკაცარი“), რომლებიც გამოეყვნენ თავიანთ სოციალურ ჯგუფებს. ქვეყანა მაწანწალებითა და უსახლკაროებით, თაღლითებითა და კრიმინალებით აივსო (ეს უკანასკნელნი, როგორც ცნობილია, თებერვლის რევოლუციის შემდეგ გაათავისუფლეს ციხეებიდან).

თაღლითური (პიკარესკული) თხზულებების მეშვეობით საზოგადოების დაცემისა და გახრწნის ასახვა ხდება. როგორც ამირან გომართელი აღნიშნავს, „კვაჭი კვაჭანტირაძე“ რუსეთის იმპერიის ზნეობრივ გახრწნილობასა და სოციალურ დაცემას ასახავს, მაგრამ მსგავსად ესპანური პიკარესკული პროზისა, ქართველი ავანტიურისტის, კვაჭი კვაჭანტირაძის, თავგადასავალიც ქართველი მწერლისათვის მძაფრი პროტესტის გამოხატვის საშუალებად იქცა. მიხეილ ჯავახიშვილმა ჩვენი საუკუნის პირველი ოცწლეულის რუსეთის იმპერიის უმძიმესი სოციალური და მორალური კრიზისი დახატა, ცხოვრების შინაგანი მხარე გვიჩვენა, „გადმობრუნებული“ სურათი მოგვცა. სწორედ ამ ნიშნით იძენს „კვაჭი კვაჭანტირაძე“ ღრმა რეალისტურობას, მაგრამ აუცილებლად უნდა დავძინოთ, რომ ამგვარი რეალიზმი მხოლოდ და მხოლოდ თაღლითური რომანის ჟანრული კანონების მაქსიმალური დაცვით მიიღწევა“.

პიკარესკული რომანისთვის უპირველესად მთავარია ხაზგასმა პერსონაჟის სოციალურ წარმოშობაზე. ამ ჟანრის ნაწარმოების პროტაგონისტი, უმეტესწილად, დაბალი სოციალური წრიდან არის, რომელიც თაღლითობითა და ავანტიურისტობით იკაფავს გზას მაღალი საზოგადოებისაკენ. სამტრედია-ხონის გზაზე დაბადებული კვაჭი კვაჭანტირაძეც არისტოკრატობას იჩემებს.

გარდა სოციალური წარმოშობისა, თაღლითურ თხზულებებში ხშირად საგანგებო ყურადღება ეთმობა პერსონაჟის დაბადებასაც. როცა კვაჭი კვაჭანტირაძე დაიბადა, იმ წელს, პირველ აპრილს, სამტრედიაში უცნაური ტაროსი იყო – დედამიწას კუპრივით შავი ღრუბელი დააწვა; ხან თოვლი მოდიოდა, ხან ხოშკაკალა, ხან წვიმა, ხან მზე გამოანათებდა, ხან გრიგალი ამოვარდებოდა და ხანაც ისეთი მყუდროება ჩამოვარდებოდა, რომ ცაში ღრუბელიც კი არ მოძრაობდა. კვაჭის ამგვარ უცნაურ ამინდში დაბადებასაც ფუნქციური დანიშნულება აქვს: იგი არაორდინალური პიროვნების, მომავალი ავანტიურისტის ქვეყნად მოვლინებას გვამცნობს.

პიკაროს განსხვავებულ ტიპოლოგიურ სახეს მიმართა პოლიკარპე კაკაბაძემ, რომლის საეტაპო პიესა – „ყვარყვარე თუთაბერი“ – „კვაჭი კვაჭანტირაძის“ პუბლიკაციიდან ხუთი წლის შემდეგ კოტე მარჯანიშვილმა დადგა ქართულ სცენაზე. ცხადია, გარდამავალი პერიოდის სოციალური კატაკლიზმებისთვის დამახასიათებელი ყველა ის ნიშან-თვისება და პრობლემა, რომელზეც ზემოთ ვიმსჯელებთ, აღნიშნულ პერიოდსაც მიემართება; ამდენად, პოლიკარპე კაკაბაძისთვის, როგორც მწერლისათვის, დრამატურგისათვის, უმთავრესი მის თანადროულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში შექმნილი სიტუაცია, კერძოდ კი, „ყვარყვარე თუთაბერის“ პრობლემა იყო. პიესის მოქმედება 1917-1921 წლებში იშლება, თუმცა ზუსტი ქრონოტოპი სულაც არ არის იმის მიმანიშნებელი, რომ 1920-იანი წლების დასასრულს (ან თუნდაც, დღესაც!) პიესაში წამოჭრილი პრობლემა გადაჭრილია და ახალ ინტერპრეტირებას არ ექვემდებარება. ცნობილია, რომ საზოგადოებას პერიოდულად ქვეყნის ხელისუფლებად ერის მხსნელისა და ხალხის გადამრჩენის მანტიამორგებელი ანტიგმირები ევლინებიან, რომლებიც საუცხოოდ გრძნობენ დროის პულსს; ისინი სარგებლობენ პოლიტიკური კატაკლიზმების ფონზე შექმნილი მასობრივი

ისტორიითა და ქაოსით, ზნეობრივი კრიტერიუმების ჩამოშლით და ამ სიტუაციაში დაბნეულ, უმწეო, დამფრთხალ ადამიანებს საკუთარ „კანონებსა“ და „ახალ წესრიგს“ ახვევენ თავს. ასეთ დროს ერთეულები უძლებენ ცდუნებას, რომ საზოგადო ინტერესები პირადულით არ ჩაანაცვლონ, ქვეყნის სამსახურზე მაღლა პირადი კეთილდღეობა არ დააყენონ. პოლიკარპე კაკაბაძის პიესის აქტუალობას სწორედ ის განაპირობებს, რომ ავტორმა ნაბიჯ-ნაბიჯ გვიჩვენა ერთი რიგითი ავანტიურისტის აღზევების ისტორია, რომელიც კაცობრიობის მაღალ იდეალებს ამოფარებული ნიღბით ქადაგებს უზნეობასა და ფარისევლობას.

პოლიკარპე კაკაბაძემ განსხვავებულ გზას მიმართა თანადროული ეპოქის პრობლემის წარმოსაჩენად; პიესის პუბლიკაციის შემდეგ არავის დაუწყია ყვარყვარეს ავთენტური პროტოტიპების ძიება (როგორც ამას ადგილი ჰქონდა მიხეილ ჯავახიშვილის რომანის პუბლიკაციის შემდგომ), არც რეალური ისტორიები გახსენებია ვინმეს, რადგან ავტორმა პიესის პირველსავე წინადადებაში მიუთითა თავისი გმირის წარმომავლობაზე, მის ფოლკლორულ ძირებზე: „რუსეთ-ოსმალეთის ფრონტის ხაზთან სოფლის წისქვილი. შუა ცეცხლთან ზის ყვარყვარე თუთაბერი, მეტსახელად ნაცარქექია, და ქექავს ნაცარს. მეწისქვილე ფქვილს მინდავს და ჩუმად ღიღინებს“.

ფოლკლორული თაღლითის ტიპაჟს განასახიერებს პოლიკარპე კაკაბაძის პიესის, „ყვარყვარე თუთაბერის“ მთავარი გმირი. ყვარყვარე თუთაბერი – ნაცარქექია, გაუნათლებელი, უტიფარი, ტლუ მედროვეა, რომელსაც ყოველთვის შეუძლია მღვრიე წყალში თევზის დაჭერა, რომელსაც სოციალურ-პოლიტიკური ვითარების ცვლილებათა ჟამს ყველგან, ყველა ეპოქაში შეუძლია აღზევება და მმართველობის სადავეების ხელში ჩაგდება. პოლიკარპე კაკაბაძემ „ყვარყვარე თუთაბერი“ 1928 წელს შექმნა, ხოლო ერთი წლის შემდეგ, 1929 წლის 30 იანვარს, პიესა კოტე მარჯანიშვილმა დადგა. მწერლის ქალიშვილის, მანანა კაკაბაძის, მოგონებათა თანახმად, პრემიერას საქართველოს კომპარტიის ცეკა სრული შემადგენლობით დაესწრო (მათ შორის, ლავრენტი ბერიაც): „მთელი დარბაზი ხარხარებდა, ერთმანეთს დასცინოდნენ და ეუბნებოდნენ: პოლიკარპე კაკაბაძემ ნიღაბი როგორ ჩამოგხადა, ყვარყვარე შენა ხარო“. აღსანიშნავია, რომ კოტე მარჯანიშვილმა იმთავითვე გაითვალისწინა, პიესის მამხილებლური პათოსი თანამედროვეთა გარკვეული ნაწილისთვის მიუღებელი აღმოჩნდებოდა, ამიტომ წინასწარ იზრუნა და სპექტაკლის დადგმაზე ცეკადან აიღო ნებართვა. „ამით ყველაფერი დადგინდა. ცეკას თანამშრომლებმა კარგად იცოდნენ, რომ მათი სახეები იყო აღწერილი პიესაში, მაგრამ ხმას ვერ იღებდნენ“.

კვაჭიზმი და ყვარყვარიზმი ცარიელ ნიადაგზე არ წარმოიშობა, მათი წარმომშობი მიზეზი სულიერებისგან დაცლილი საზოგადოებაა, რომელიც მზად არის სიყალბეს, უპრინციპობასა და უზნეობას უკმისო გუნდრუკი, შიშისა თუ ანგარების გამო გმირად/წინამძღოლად/ბელადად შერაცხოს სხვადასხვა ავანტიურისტული ხრიკით ცხოვრების ზედაპირზე ამოტივტივებული თაღლითი. ჩვენ ზემოთ მოკლედ შევეხეთ გარდამავალი პერიოდის, „ნგრევის ხანის“, სოციალურ-პოლიტიკური კატაკლიზმებისთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებებს, როგორც პიკაროების წარმოშობის ხელშემწყობ მიზეზებს. ასევე მოკლედ გავანალიზებთ ქართველი პიკაროების – კვაჭისა და ყვარყვარეს – ტიპურ ქარაქტეროლოგიურ თვისებებს.

მნიშვნელოვანია მიხეილ ჯავახიშვილის მიერ პიკაროს ბავშვობის წლების წარმოჩენა, იმ სიტუაციისა, თუ ვინ ითამაშა მნიშვნელოვანი როლი მისი ხასიათის, ქარაქტეროლოგიური თვისებების ჩამოყალიბებაზე. ჯავახიშვილის რომანში პიკაროს აღმზრდელის, დამრიგებლის როლში ცალსახად კვაჭის მამა, სილიბისტრო გვევლინება. სწორედ სილიბისტრო იყო ინიციატორი აზნაურის წოდების მიღებასთან დაკავშირებული ავანტიურისა, რასაც „აუარებელი დრო და ფული“ დაახარჯა, რადგან გული ეთანადრებოდა იმის გამო, რომ პასპორტში სამარცხვინო და სათაკილო სიტყვა „გლეხი“ ეწერა, თუმცა სილიბისტრო, თავის ოცნებებშიც კი, „მთელი სამტრედიის, ხონისა და ქუთაისის“ მასშტაბებს ვერ სცილდებოდა და სწორედ ამ ლოკალურ სივრცეში წარმოედგინა, რომ მისი კვაჭიკო „ნათესავს გაახარებდა... და მტერს თვალს დოუყენებდა“.

ქართველ პიკაროებს გამორჩეულად იტაცებთ თავგადასავლები და ავანტიურა, მაგალითად: კვაჭის ბავშვობიდან იზიდავდა ზემოაღნიშნული, იმის მიუხედავად, რომ, ზოგადად, სწავლას დიდად არ სწყალობდა, „გატაცებით ჰკითხულობდა მოგზაურობას, ყოველგვარ თავგადასავალს, მსხვილფეხა და წვრილფეხა ავანტიურის აღწერას. ორჯერ-სამჯერ გადაიკითხა ჯერ მაინ-რიდი, კუპერი, გუსტავ ემარი, გორდონის მოგონებანი, ნატ პირკენტონი, შერლოკ ჰოლმსი და ათასგვარი დომხალი“. ზემოთ დასახელებული ავტორების მადლიერ მკითხველს, შესაძლოა, წიგნში აღწერილი მოვლენებიდან ზნეობრივი, კეთილშობილური გაკვეთილები აეთვისებინათ, მაგრამ კვაჭიმ მალევე გააცნობიერა, „რომ ამ ქვეყნის ღერძი და დედაბოძი მხოლოდ და მხოლოდ ფულია, ხოლო დანარჩენი, რაც კი არსებობს... უკლებლივ ყველაფერი მხოლოდ ფულის მტვერია, მისი ყურმოჭრილი მონამორჩილია“. სიუჟეტის განვითარების კვალდაკვალ მწერალი გვიჩვენებს, რომ კვაჭის ბუნება, მისი ფულისადმი სიყვარული არ იცვლება; კორექტირებას განიცდის მხოლოდ მისი „საქმის გაიმასქნების“ მასშტაბები: იგი იწყებს ქუთაისში ნაშოვნ

ვერცხლის მანეთიანით და შემდგომში მისი აფიორებიდან შემოსული თანხა რამდენიმე მილიონამდე აღწევს, ხოლო მასშტაბურობით – პეტერბურგის, პარიზისა და ლონდონის მდიდრულ კვარტლებს სწვდება.

კვაჭის მსგავსად, ყვარყვარეც აცნობიერებს ფულის ძალას – კარგად იცის, თუ რა ენაზე ესაუბროს მის გარემომცველ საზოგადოებას – ეს არის ფულის, ქრთამის ენა. მეწისქვილესთან საუბარში იგი ღიად აცხადებს: „დიდი მოიჯარადრე ვიქნები, დიდისგან დიდი. აი, ნახავ, ქრთამს სულ ქერივით დავაბნევ დიდკაცობაში. თვალი დაგიბრმავდება, რომ გაგივლი და არ შეგხედავ“. კვაჭის მსგავსად, ყვარყვარემაც იცის, ვისთან როგორ მოიქცეს: სუსტთან და უპოვართან – დიდგულობს, ძლიერთან – თავს ისაწყლებს, ენაჭრელობა და ტყუილის თქმა ამოურჩევია. ცრუპენტელობა ის ნიჭია, რომლითაც იგი სხვებს აღმატება და რომელსაც საგანძურით უყურებს: „მე, ყვარყვარე თუთაბერს, ენით შენ შემომიარა?“. მისთვის ენა საკმარისი დასაყრდენია, რომ ყოველი საქმე ემშაკურად მოაგვაროს, ბრიყვს თვალეზი აუხვიოს, სუსტი დააშინოს, ძლიერთან კი თავი მოისაწყლოს.

ზოგადად, პიკარესკული გმირის მორალურ-ფსიქოლოგიურ ქარაქტეროლოგიასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია პიკაროს დამოკიდებულება ქალების მიმართ. პიკარესკული პროზისთვის ნიშანდობლივი დიასახლისის არქეტიპი მიხეილ ჯავახიშვილთანაც იჩენს თავს; ვგულისხმობთ კვაჭიკოს პირველ ქუთაისელ დიასახლისს – ცვირის, რომლისგანაც პირველი ვერცხლის მანეთიანი იშოვა; ვოლკოვის ქვრივს, რომლის გულუბრყვილობით ისარგებლა, დაეპატრონა მის ქონებას და ხანდაზმული ქალი მისსავე სახლში მდგმურად აქცია. ზოგადად, კვაჭის ქალების სია შთამბეჭდავად გამოიყურება (კაპიტან სიდოროვის ქალიშვილი ვერაჩკა, რებეკა იდელოსონი, სოფიო შავიძე და სხვ.). მათ შორის გამოირჩევა ქართველი ქვრივი, ულამაზესი ელენე, რომელსაც კვაჭი პეტერბურგის საზოგადოებაში დეიდაშვილად წარადგენს. ელენე ქალი-პიკაროს სახედაც შეგვიძლია მოვიაზროთ; მაგალითად, ეპიზოდში, როდესაც კვაჭი მას სთავაზობს გრიგორი რასპუტინის მოხიბვლასა და საყვარლობას, ელენე შემდეგნაირად მსჯელობს: „რა თქმა უნდა, ფული კარგია, საჩუქარიც... ზემო სართულში გარევაც... თუ საქმე გაიჩარხა, ბარემ ის პატარა სახლიც მიყიდე, მე რომ მომწონს“. სხვათა შორის, ელენემ კარგად იცის კვაჭის ბუნება და როცა გრიშკა რასპუტინის წყალობით, სასახლის კარზე ფრეილინა ხდება, ყოფილ საყვარელზე გაბრაზებული, მას აშორდას აზნაურობას წამოაძახებს, რაზეც განწყენებული კვაჭი პასუხობს: „შენ თვითონ ხარ აშორდას აზნაური, თვარა კვაჭანტირამე ბაგრატ მეფის სარდალი იყო“. ასევე, განკერძოებით დგას რომანის პერსონაჟთა გალერეაში პარიზელი პრიმადონას, მადამ ლაპოშის ფიგურა; მან თავად გააცურა კვაჭი: სამი ათასი მანეთი დაახარჯინა და მასთან გატარებული ერთი ღამის საფასურად ჯიბიდან 400 მანეთი ისე ამოულა, რომ შაურიც აღარ დაუტოვა. მადამ ლაპოშიც ქალი-პიკაროს სახედ შეგვიძლია მოვიაზროთ, თუმცა, ელენეს მსგავსად, ისიც ეპიზოდური პერსონაჟია და რომანის სიუჟეტიდან და ავტორისეული კონცეფციიდან გამომდინარე, მათი სახეები სრულყოფილად არ არის გახსნილი.

საინტერესოა კვაჭისა და პოლიტიკის ურთიერთმიმართების საკითხი. იგი არასოდეს ივიწყებს ხარისხზე მჯდომი ბებერი თუთიყუშის „თილისმურ ფორმულას“: „არც მარჯვნივ, არც მარცხნივ... არც აქეთ, არც იქით... შენც მინდიხარ, ისიც მიყვარს“. სწორედ ამ პრინციპით მოქმედებდა ქუთაისის საიდუმლო კრებებზე, სადაც პირველად გამოავლინა თავისი ორატორული ნიჭი. აღსანიშნავია, რომ კვაჭის პირველი ავანტიურა და მსხვილი თანხის შოვნა პოლიტიკას უკავშირდება; კერძოდ, არეულობის ჟამს ქუთაისში „ცნობილი და პატივცემული“ კოლია არევადის დავალებით კვაჭი დაუახლოვდა შავი ქვის მრეწველის, ბერძენი კაროპულოს ვაჟს – კიპრიანეს, ხელი შეუწყო მის გატაცებას, რასაც ოჯახის მხრიდან მემკვიდრის გამოსყიდვა მოჰყვა. ამგვარი „საქვეყნო“ საქმის „გაიმასქნებით“ იშოვა კვაჭიმ პირველად დიდი თანხა. მართალია, კვაჭი არც სრულიად „არასაქვეყნო“ საქმეების „გაიმასქნებას“ თაკილობდა (მაიზელსონის როიალის ავანტიურა, ვოლკოვის ქვრივის სახლის ხელში ჩაგდება, სედრაქას ყალბი ფულით თამაში, ვერცხლის კოვზების მოპარვა სასტუმრო „ევროპის“ რესტორნიდან და სხვ.), თუმცა კვაჭის ყველაზე დიდი მაქინაციები და მსხვილი აფიორები, რა თქმა უნდა, პოლიტიკური სიტუაციებისა და საჭირო ადამიანების სათავისოდ გამოყენებას უკავშირდება.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ანგარებიანი ქორწინება ავანტიურისტული პროზის ერთ-ერთ ტრადიციულ მოტივს წარმოადგენს; პიკაროსთვის ეს უმარტივესი გზაა „ბუდის მოწყობისა“ და უშფოთველად ცხოვრებისა. აღნიშნულ სიტუაციაში პიკაროს ცინიზმი სრულად იჩენს თავს, რადგან მისთვის აბსოლუტურად არანაირი მნიშვნელობა არა აქვს „გულის რჩეულის“ გარეგნობას, ასაკსა და ხასიათს. „ლიზა-ხანუმი მეტად სქელი და ჩატკნული ორმოცდაათი წლის დედაკაცია. შავად შეღებილ ბულულა თმაში ბრილიანტების მძივი აქვს გახლართული. ფაფუკ ყელზე მოთვალული მანიაკი აქვს შემოხვეული. იმ მანიაკს ორსართულიანი ღაბაბი დასწოლია. გოლიათურ შიშველ მკერდსაც, განიერ მაჯებსაც და შუშკიტრისოდენა თითებსაც უხვად აყრია ლალი, ფირუზი, ზურმუხტი და ამეთვისტო“. ასე გამოიყურება კვაჭის უკანასკნელი „სატროფი“ – სტამბულის ერთ-ერთი საროსკიპოს მფლობელი ბერძენი

ნი დედაკაცი, რომელთანაც კვაჭი საბოლოო ნავთსაყუდელს პოვებს. ამგვარად, მიხეილ ჯავახიშვილის რომანი სწორედ ანგარებიანი ქორწინების მოტივით იკვრება.

ფინალში ავტორი ირონიულად მიმართავს თავის გმირს: „ვიცი, რომ ბოლოს და ბოლოს შენს ღირსეულს და ნამდვილ საქმეს მიაგენი. მაშ, არხეინად დაღპი მაგ ორმოში და მშვიდობით იყავი“.

პიესის ფინალში ყვარყვარეც თითქოს მარცხდება და ამბობს: „ეჰ, გათავდა შენი ჩალიჩი თუთა-ბერო. ამათ ხელში ჩემი ამინდი არ დადგება“-ო, მაგრამ ეს ის ძვალი იყო, რომელიც დრამატურგმა საბჭოურ ცენზურას გადაუგდო და რომლის წყალობითაც პიესა არასოდეს აუკრძალავთ. ჩვენ ხომ ვიცით, რომ ყვარყვარეს ტიპი მარადიულია, მისი თავგადასავალი კვლავაც გრძელდება. ნიშანდობლივი ისაა, რომ პიესაში ბოროტება არ ისჯება, სხვაგვარად მისი ფინალი გულუბრყვილო და არაბუნებრივი იქნებოდა. ყვარყვარე ამ ბოროტების „აისბერგის“ მწვერვალია, მისი ნამდვილი საძირკველი კი – საზოგადოებრივი აზროვნება – ხელუხლებელი რჩება. შესაძლებელია ქვეყანაში მრავალი მთავრობა და ეკონომიკური ფორმაცია შეიცვალოს, მაგრამ, თუკი თავად ადამიანი და საზოგადოება არ შეიცვალა, ბოროტების ფუძე ყოველთვის შეურყეველი დარჩება.

ამგვარად, მიხეილ ჯავახიშვილისა და პოლიკარპე კაკაბაძის პიკარესკულ პროზაში ეპოქის პრობლემატიკაა წარმოჩენილი, კვაჭი კვაჭანტირაძისა და ყვარყვარე თუთაბერის ავანტიურისტული თავგადასავლების მეშვეობით მიხეილ ჯავახიშვილმა და პოლიკარპე კაკაბაძემ მეოცე საუკუნის პირველი ოცწლეულის სინამდვილის ამსახველი მხატვრული ტილოები შექმნეს.

#### ლიტერატურა:

1. თეთრუაშვილი ლ., ღირებულებათა გადაფასება მიხეილ ჯავახიშვილთან, თბილისი-თელ-ავივი, 2013;
2. ასათიანი გ. სათავეებთან, „ნეოსტუდია“, თბ., 2002;
3. გომართელი ა. ლიტერატურული წერილები და ესეები, „უნივერსალი“, თბ., 2005;
4. შავგულიძე ნ. ჩანჩურადან არსენამდე, „მეცნიერება“, თბ., 1988;
5. ჯავახიშვილი მ. თხზულებანი, ტ. VI, 1964;
6. ჯავახიშვილი ქ. მიხეილ ჯავახიშვილი. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1989;
7. Коцювинский Д. А. Лукоянов И В, Дневник Расрутина. М. ЗАО “Олма Медиа Групп”, 2008.

*Maia Melanashvili*

*Gori State Teaching University*

### **GEORGIAN PICAESQUE – AN ALTERNATIVE TO EXPLORING THE PROBLEMS OF THE EPOCH RESUME**

As it is mentioned in the scientific literature, “The Life of Lazarillo de Tormes” is considered to be the first picaresque novel, written by the anonymous Spanish writer. The first Georgian picaresque novel is considered to be “Kvachi Kvachantiradze” by Mikheil Javakhishvili.

By means of picaresque works, it is possible to describe the society`s fall and debauchery. Mikheil Javakhishvili depicted the first two decades of the Russian Empire, the hardships of its social and moral crisis, showed us its inner side. It is of primary importance to emphasize the character`s social origin. The protagonist of this genre is mostly from the low social class, who paves the way to the high society by means of fraud and adventures.

ახალი სიტყვათქმნადობა ქართულ პოეზიაში  
(თემურ შავლაძე)

თემურ შავლაძის განუმეორებელი და ორიგინალური პოეტური სამყარო უჩვეულო ენიგმებითა და მისტიკური წიაღსვლებით სრულიად ახალი ხმაა თანამედროვე ქართულ პოეზიაში... მისი პოეზიის უმთავრესი ღირსება კი, რასაც თვით ავტორი შეიგრძნობს, „მხატვრულ-სახისმეტყველებითი სიმბოლიკა - ბიბლიური (მველი თუ ახალი აღთქმისეული!), აგრეთვე ქართული ჩვეულებრივი სიტყვამეტყველების მაღალ ნიშნულზე აღყვანა და წარმოსახვა-წარმოჩენა: ფაქტიურად, სრულიად ახალი პოეტური სიტყვის ქმნადობა და ზოგადად, ასევე სრულიად ახალი პოეტური მეტყველების შემოთავაზება - დამკვიდრება“ (1.7)

თემურ შავლაძის პოეტური სახისმეტყველება, ვფიქრობ, უძველეს ჰიმნოგრაფთა ტრადიციის ჭეშმარიტი გაგრძელებაა, და როცა „თეთრი მტრედი ისევ სტუმრობს გეთსიმანას!...“-ო, მაშინ საგალობლად განემზადება და შეუდგება ღვთის დიდებას... „შავრადოვანში“ შესული ლექსები ჯვარცმის მისტიკრიის იდუმალებითაა გამსჭვალული. განა უფლისადმი მოწიწების, კრძალულობის და მისდამი მაღალი რწმენის მიმანიშნებელი არაა ეს სტრიქონები: „**რა ლამაზი არის მაინც - ღმერთო, შენი სანთლის კარი, რვა არმაზის ზარვით მზვრალი, მეფრთოს მშვენი მართლის ფარი... მართლის ფარი მეფრთოს ზენის - სხვას არც ვითხოვ, არც რას ვჩივი, მთვარით მფრთალი მენტოს დღენი - საავდრისოდ ანამზივი**“ („სანთლის ფარი“). თემურ შავლაძის თითქმის ყველა ლექსში შთამბეჭდავად წარმოჩენილი ქრისტესთან სულიერი ნათესაობა. პოეტი სასოებითა და მოკრძალებით საუბრობს მასზე და მისთვის უზენაესი სიხარულია შორეულის, დიადის, საოცრად უჩვეულოს, სასწაულის - უფლის გამოცხადება და მისი ხილვით მონიჭებული ბედნიერება. და იცის შემოქმედმა, რომ პოეტი გულია, რომ გულის სისხლით და ცრემლებით იქმნება დიდი პოეზია და მართალს უზნობს: „შენ კი პოეტო, დაე დაგწყედეს გული პოეტის, რადგან პოეტი ჭეშმარიტი მხოლოდ გულია. / ძეგლის მსწორბედო, კაენს წამს-მრწყემდს უვლი ოთხ(თ)ქედით, მაგრამ მცხოვნთ-მტრედი - ეშმას მშვილდით ობოლ - კრულია... ბედი გვცდის ყველას, ვიდრე შუბით ფარზედ აგვზიდავს, ვის რა გვერგება იცის მხოლოდ მამა უფალმა“...

მთელი პოეტური კრებული მხატვრული სახისმეტყველებრივი და ვერსიფიკაციული სიახლებითაა გამორჩეული. უფრო მეტიც, აქაა მხატვრული გამომსახველობითი ოსტატობის ვირტუოზობა. „სრულად ახალი პოეტური განზომილება, და თუ გნებავთ სრულიად ახალი განზომილებითი აზროვნება“ (3.6)

თემურ შავლაძის ლირიკულ გმირს იზიდავს გზა ზეცისკენ. არა მიწა, არამედ ზეცა, ზეცას დანთებული ცეცხლია მისი იდეალი... ამაღლებულისაკენ სწრაფვა და ნათელში დამკვიდრება მხოლოდ ღვთის რჩეულთა ხვედრია. პოეტის ყოველი სიტყვა, ყოველი ფრაზა, ზეციური ნიშნითაა აღბეჭდილი. ის მუდმივად ცისკენ ილტვის და უოლტ უიტმენივით ცას და დედამიწას უზნობს („სიმღერა ჩემს შესახებ“, 4.71).

„მიწას მიწურად და ცას ციურად მივეთავაზები“ (ეს ვაჟაა).

თემურ შავლაძის პოეზიას, როგორც თავად ბრძანებს, ასაზრდოებს ბიბლია (მველი და ახალი აღთქმა) და ქართული პოეზია. და მართლაც, მისი ლექსების კითხვისას მუდმივად გვახსენდება სახარებისეული პასაჟები... და მაინც საგულისხმოა აღინიშნოს, რომ თავად ქრისტე მხატვრული სიტყვის ძალით მსჭვალავდა ადამიანთა გულებს, მაღლითა და სინათლით ავსებდა: „თქუნ ხართ ნათელი სოფლისანი. ვერ ხელ-ეწიფების, ქალაქსა დაფარვად, მთასა ზედა დაშენებულსა“ (მათე, 5,15)... პოეტი ზეცაში ამაღლებასა და უფლის სამეუფო სახლისაკენ სწრაფვას თავისი ულამაზესი პოეტური სახე-სამყაროთი აღბეჭდავს... მისი უიდუმალესი ოცნებაა ზეცა, ვარსკვლავებით მოჭედილი ცა, უმაღლესი მშვენიერება - მზე. პოეტი გამუდმებით მზადაა ჭეშმარიტების ძიებისათვის ბრძოლაში მტევანივით დაიწუროს, ოღონდ ციური მაღლი, უზენაესის სიახლოვე და საღვთო საუნჯეები მოიხილოს: „ცისკრად თავზედ მემცვრეოდეს წმინდა მარიამის ნამი... ოღონდ თვალწინ მედგას მუდამ სახე წმინდა მარიამის“... („რაც რამ კარგი და ნათელი“).

თემურ შავლაძე მთელის ძალით ახმოვანებს სულიერების უნატიფეს ჰარმონიებს, ადამიანური განცდების უიდუმალეს ნიუანსებს. ფერადოვანი და ეგზოტიკურია მისი სახეობრივი სამყარო და მაინც ქრისტიანული რწმენითა და ერთგულებითაა გაჯერებული მისი ლირიკა. ღრმა და წყაროსავით კრიალაა მისი მიმართება წმინდანთა მიმართ, თანალმობა, სიყვარული და სათნოება რომ გამოსჭვივის თითოეულ

ფრაზასა თუ სიტყვაში: „ცას ებარება ხე მხარებად ლექსის ბჭარები - იად ნათრთველნი სულით მწუხრთა ეკლით მწარები... მაინც იღება ეკლესიის წმინდა კარები. აისს მო(3)რინდნენ - რკლად მორკინდნენ - ცრემლის კვირტები, მაისს იღებავს ცეცხლით იის წმინდანთ ზარები, მაინც მოფრინდნენ, კვლავ მოფრინდნენ ეკლის ჩიტები. ეკლესიები - ეკლესიები - ეკლის ჩიტები“ („ეკლის ჩიტები“). კითხულობ ამ სტრიქონებს და უნებურად გახსენდება: „ახლა ჩვენ გვაქვს უმტკიცესი წინასწარმეტყველება, სიტყვა და კარგად იქცევით, რომ მიმართავთ მას, როგორც ლამპარს, რომელიც ბნელში ანათებს, ვიდრე დღე გათენდებოდეს და ცისკრის ვარსკვლავი ამოვიდოდეს თქვენს გულში... „ვინაიდან წინასწარმეტყველება არასოდეს არ წარმოთქმულა ადამიანის ნებით, არამედ ადამიანები, სულიწმინდის მიერ აღძრულნი ღვთისაგან წარმოთქვამდნენ მას“. (პეტრე მოციქულის მეორე წერილი 5,18,19. 311)

თემურ შავლაძე ცდილობს მიაყურადოს ზეციურ ხმებს, რამეთუ ღრმად სწამს, რომ უფლის ხმის გაგების და შემეცნების უნარი განსაკუთრებული, რჩეულთ მიემადლება და პოეტის წარმოსახვა არღვევს დროის სამანებს, მთელი არსებით ინთქმება კოსმიურ ორომტრიალში, რომ შეიმეცნოს ცხოვრების ავ-კარგი. შფოთავს და დრტვინავს და არ ასვენებს ფიქრი ქაოსით მოცულ ყოფიერებაზე: „ამ ლამაზ(თ) ყვავილებს კვლავ გადათელავენ, კვლავ ატირდებიან ვარდებით მზიერნი! ცად- მალხაზ - ყმაწვილებს კვლავ გადაჰგელავენ, გზათ ავყვივყვდებიან (ყვავები) ხნიერნი... გვილოცე, დედაო, ჟამკარ-არეულებს, შენს ნამით შემნანებთ მზერით რომ გვარწევდი. ვთ(ვ)ლით ლოდებს მცრემლ-მალალებთ ქარდაქარ მსხვრეულებს(თ), (ვენეტავთ იმ ნეტარებს მცქერთ იორდანეთით“... („ცით მკრუალები“). ამბობს პოეტი და მთელი არსებით ვრწმუნდებით მისი პოეზიის ინტონაციურ თავისებურებასა და უჩვეულო სიტყვათქმნადობაში: ენძელის წინწკლებ(ვ)ად, მზეთ-მრთავს, ზნეთ-მთავს, წმინდა მარიამის ნამი, ცით წამნ-მნამნი, ელვის სირმები, „სიზმრები-ალით ხმელთა მცეცხლები“ „მძვირის მანანით - ველთა მქრქალი სიტყვად მსამანით“ „ეკლის ჩიტები.. ეკლესიები-ეკლესიები-ეკლის ჩიტები“. „აისს მო(3)რინდნენ რკლად მორკინდნენ-ცრემლის კვირტები“. იის წმინდა ზარები, ცით მკრუალები, მცრემლ-მალალებთ, „ჩვილ მზით ზემნარნით“; „ლექსით მზარბაცნით“, „ლურჯი მარჯანი“, მტაძრობთ(მ)მგლოვებთ მცრემლად(თ) ტბაში“. „ღიად მლიმობთ ნაფიქრალი... იად მლიობთ ნაისრალი“. „მზეს მიაქვს წლები წეროდ წყობილი“ მთვარედ-მსრულები... „მშვენობს მშვენთა ზენებრ მერცხლად“ „მვის ყანას ცხოვრების-მთავთავნი“, ხარი მხარხარი „თუმცა ცით მნარნარებს(თ) ღმერთიც შეიმტკნარებს და ა.შ. - ასეთი ლექსიკური ერთეულებითა და ფრაზოლოგიზმებით ამრავალფეროვნებს პოეტი ენას, ქმნის ახალ-სიტყვა ფორმებს და იდუმალებით მოცულ უჩვეულო პოეტურ სამყაროს... ასევე საყურადღებოა ბიბლიური გეტსიმანის ბაღის, იუდას ხის, შორეული ცის, მზის, იის, ცრემლიანი შრომანის, ცის დასის, იისფერი ბროლის, მთვარის - შრომანის, მტირალი შაშვის, ღვთისმშობლის ქანობის, გრაალის მწყემსების, ჯვარი - ლაზარეს, უფლის ვერხვების, ცის ურმის იავნანის, ჯვარცმულის მთის, უფლის კარავის, სიზმრის მზის სიმბოლიკა... პოეტის ლექსებში ფიგურირებენ იუდა, კაენი, აბელი, ნოე, იაკობი, იობი, ეზრა, ელისა, და სხვა ბიბლიური სახეები და ეპიზოდები... თემურ შავლაძის სახისმეტყველება ქრისტიანულია და საზრდოობს ძველი და ახალი აღთქმის წერილებითა და წიგნებით... მან ახალ-ახალი ფერები მოზიდა და შორეული სივრცეებისაკენ სწრაფვის დაუოკებელი ჟინით განმსჭვალა თავისი პოეტური სამყარო... მის პოეზიაში მარადიული განახლების ქარი ქრის. გაზაფხულის დადგომას სინანულის ცრემლები მოაქვს, თანაც სიხარულიც... პოეტის რწმენით სინანული არა მხოლოდ საკუთარ ცოდვათა ჭვრეტაა, წუხილი, არა მხოლოდ საკუთარი თავის უღირსად აღიარებაა, არამედ ეს არის სურვილი და მტკიცე გადაწყვეტილება ღვთის გზით სიარულისა, შინაგანი ბრძოლისა, სიყვარულითა და ერთგულებით დათოვლილი ბილიკია ზეცისაკენ, მარადიული განახლებით მოგვრილი სიხარულია, რაც ავტორის გულში და პოეტურ სიტყვაშია, ქრისტეს ჯვარცმასა და აღდგომას გულისხმობს, იმედითა და რწმენით ავსებს და აძლევს ძალას არსებობისათვის... პოეტს მორჩილად უპყრია ჯვარი და უფალს ევედრება: „...უფლის წყალობით ვსვამთ წყაროს, ვუგალობთ: გვფარე უფალო! ვუგალობთ - გვფარე უფალო! - უმადლოთ, უგბილთ, უბრალო(ბ)თ. ნურც-ვინ სახლს ობლის დაამცრობს, უკვალო ბრძამდეს უკვა(მ)ლოდ(!), სულ-მწყალობთ გვფარე, უფალო! უმადურთ, უ(გ)ბირთ, უკვალო(ბ)თ“... („სამის სამართლით“)

პოეტი ჭეშმარიტი მორწმუნეა, მუდამ ფხიზელი. საუფლო სახლი მისთვის სილამაზისა და მშვენიერების, ჭეშმარიტების სავანეა, მხოლოდ იქ შეიძლება უზენაესთან შეყრა, რადგან ღრმად სწამს, რომ არსებობისათვის უმთავრესია ქრისტიანული რწმენის გზაზე დადგომა, „აღდგენა და განახლება მივიწყებულის“ და: „...დაჰკანკალებს შინდი მორცხვი ნისლში ნაცახცახებ რცხილებს...“ „და ქათქათებს სიანკარე, ღმერთო, ყველა შენ-ერთს შეგჰხარს, დარდს დარაბებს მინარცხებს მშვენობთ მშვენთა ზენებრ მერცხლად... და გაღმიდან მონაბერი - სიო მწყემსებს უთვლის კრავებს. მალლა(დ)მთიდან მონასტერი იოლთ ლექსებს უნანავებს... და ძღვნად შემოგვაფრქვევს ყველას - ვის(თ), სად(თ), რატომ(თ), როგორ(თ), რისთვის(თ), და ქარს შემონაბერს ეკლად მიაქვს ვარდ(თ)-ობოლთ რტო ღვთისთვის“... („ზენით მრაცრაცნი“).

პოეტი რეალურისა და წარმოსახულის სინთეზით ქმნის ორიგინალურ პოეტურ სამყაროს, გვიხილავს ახალი პოეტური განზომილებით, უჩვეულო აზროვნებითა და პოეტური ხატებით, იდუმალებისაკენ სწრაფვის დაუოკებელი ჟინით და მაინც „ტადარი, როგორც დრო-სივრცის საზრისი და მაცხოვრის სიმბოლო, როგორც ქრისტიანული სახისმეტყველების მაღალმხატვრული ხატი, მწერლის სულიერ წარმოსახვებთანაა წილნაყარი“ (6,36)

პოეტის ლირიკულ გმირს აშფოთებს დროის წარმავლობა, ამაოებრიობის ქაოსი, მთელი პოეზია მოთქმავა, გოდებაა დაკარგული მამულისა, უჩვეულო პოეტური სახეებითაა გადმოცემული სულის ტკივილი, პოეტის ვნებები და „ოცნებები“. აქ ყოფიერებაცაა და მიღმური სამყაროც. პოეტის უკიდველანო ფანტაზიით იქსოვება რელიგიური სახე-სიმბოლოები და შთამბეჭდავად ირეკლება ქვეყნის ისტორია, მისი წარსული და მომავალი. და ჩნდება ხატი: ნათელი მომავალი - ლურჯად აფეთქებული „იანი ცისა“, როგორც უფლის წყალობა და საჩუქარი, მთელ კოსმიურ სამყაროს სურნელებით რომ ავსებს და თითოეულ ადამიანში იმედის ნაპერწკალს რომ აღვივებს. ცის და მიწის მშვენიერებით აღფრთოვანებული პოეტისათვის „ყველა ფერი საამოა ფითრით განსაწმენდლის“... „რა ფერები, რა ბგერები, რა განცდები, ღელვა: ნაფერები, ნაჟღერები, გარდამცრემლი ელვა... და გოლგოთის მზის აღსავალ კიბეს ცერად ახრილს ჩამოთოვს ის, ვინც ფრთას მრავალს - იბრკმევს ბგერად ამბრილს! - „ჰოი, მამაო, რად მომწვალვლე, ამათ შორის გზა(დ) მე“... მომნანავო, ბრმათ-მოწყალევე ამამორე ღამე“... („ეკალის სპეკალი“) - ამ სტრიქონებში სიხარულითა და აღფრთოვანებითაა გამოხატული პოეტის გულისთქმა. იცის პოეტმა, რომ სიკვდილი და სიცოცხლე კაცობრიობის „დიდი ილუზიაა“. სანამ ვცოცხლობთ, ჯერ არ არის და როცა ვკვდებით, ის უკვე აღარ არის: მთავარია არა ის, რომ ცხოვრება ზოგადად წყდება, არამედ ის, ვისი სიცოცხლე სრულდება... პოეტი მაღლა დგას ყველაზე და ყველაფერზე და თავისი პოეზიით გვარწმუნებს, რომ მარადიულია არა სიცოცხლე, არა სიკვდილი, არამედ რაღაც სხვა... მარადი ცისკენ მზირალ პოეტს სჯერა უფლის, ცის სიწმინდე აქარწყლებს ყოველივე უკეთურს და დედამიწაზე - სილამაზე და მშვენიერება ისადგურებს, აქ არ შეიძლება არ გაგახსენდეს: „დიდო დედაო, ცაო მშვენიერო, მომლოცველო ყოველივესი, შემქმნელო და დამბადებელო, სასრულო, სამყაროში ჩაუტეველო, უმცირესში ჩატეულო, უბიწო, უმანძილო, ცარიელავ და სავსევე, უჟამო, უძრავო წყვდიადო ცაო, სივრცეში, დროში ნათელგამოვლენილო... ერთო და ერთთა ერთობაო... მომეც უფლება უფლებით, დავრჩე მართალი ჩემსავ უფალთან და სამართლიანი სხვათა მიმართ. რათა დავიცვა ცის სიწმინდე“. (მთაში გავრცელებული (ქართველთა) უძველესი ლოცვა).

დაიხ, პოეტის რწმენით ცის სიწმინდე, სინათლე, ცის იმედი იწვევს ფერიცვალებას და: „უცხო ტაბლა, აჰა პურნი შესაწირავნი და, აჰა ზეთი დგანან ირგვლივ ჩემი ლანდები, და უცებ ვარდის კრეტსაბმელის ჩუმი შრიალი და ჩემს წინაშე სიხარული გამოცხადდება“ (ეს ანა კალანდაძე). „ვიცანი, ღმერთო სამყარო“ - სიხარულით გზნებდა დიდი ვაჟა“.

„ზეცაზე სწერია ჩემი გზა“ - აცხადებდა გალაკტიონი.

თემურ შავლაძის, როგორც ჭეშმარიტი პოეტის მისია ზეცისგან წამოსული ხმების, ზეციური სილამაზისა და მშვენიერების, ზეციური სიწმინდის აქდერებაა მხატვრული სიტყვით (იმ შემთხვევაშიც კი) „თუ ყველა ჯალათი სჯის პოეზიას, თუ „აჰნაცრეს არა-ერთი ტიცანი, წარსულთ მძევლად ახალი გზით მოელიან, სულთ ანათებს ანათებრი ცით-იანი, სულ ანათებს ანათებრი ცით-იანი“ („აჰნისი“). პოეტს უყვარს მზე, „მე მიყვარს მზე და მზის მე შვილი ვარ“ („მკათათვე“). ესმის ქარიშხლის, უყვარს სიმაღლე და როცა სადამოს ჟამი დადგება და ჩამავალი მზის სხივები ტაძრის გუმბათზე დაცურდება, აი მაშინ პოეტის ლირიკული გმირი უფალთან საგალობლად განეწყობა და შეუდგება ლოცვისდარი ლექსების წერას და წარმოჩინდება პორტრეტი კაცისა, მისივე ლექსებით დახატული. გეთსიმანის ბაღის ფონზე, მეწამული მზით აბრდღვიალებულ გარემოში, და ბედნიერია, რადგან „...„გათენებისას ისევ სამჯერ ყივის მამალი და თეთრი მტრედი ისევ სტუმრობს გეთსიმანიას“... და კიდევ: „და თუ ათენებს ღამეს პოეტი ანდა აღამებს დღეს დაქანცული, გვართ-რთულს ამწვენებს ცაზე მორბედი დარდთა აღმართზე მზედ აღმართული - ენით მარხული მზერა ქართული... ენად მარხული რწმენა ქართული“ („ისევ და ისევ სინდისის ქვასთან“).

თემურ შავლაძე თავისი პოეზიით ეხმიანება წმინდა მამებს, იესო ქრისტეს - „შრომანებზე მოსაუბრე ღმერთს“, რომელიც მზით და სინათლით ავსებდა მთელ სამყაროს... „დაიცავით თქვენი თავი ღვთის სიყვარულში და დაელოდეთ ჩვენი უფლისგან, იესო ქრისტეს წყალობას საუკუნო სიცოცხლისათვის“...(იუდა 1,20). „ნეტარ არიან, გულით სუფთანნი, ვინაიდან ისინი ღმერთს იხილავენ“ (მათე 8,5,7).

ვკითხულობთ ლექსს „ვედრება“ და საოცარი სიმშვიდე მირონივით გვეღვრება. მთელი ლექსი ზეციური სამყაროს ანარეკლია. პოეტი მთელი არსებით გრძნობს ღვთის მაღლს. ეთაყვანება უფალს, სასოებით ლოცულობს და უფლისკენ მზერამიპყრობილი იტყვის: „დარდად ვბრიალებთ, ვწრიალებთ, ვებრწვნით წრის ალებს მრწმენთას. რაც გვაქვს ცის ვალებს ვი(ლ)ალებთ, ნებით მის კრავებს ვწყემსავთ... შენ დაიფარე ქართველი, შენ დაიფარე მცხეთა, დიდება შენდა, უფალო! -ზეცად მაღალთა ზედა“...

თითოეულ ლექსს (ამგვარი) ლოცვის ექსტაზი ახლავს და ესმის პოეტს ანგელოზთა ფრთების შრიალი, ცის და მიწის უჩვეულო, ღვთაებრივი ჰანგები...

პოეტის გულწრფელი და ლამაზი სიტყვა მთელ კოსმიურ სამყაროში განეფინება, როგორც საგალობელი კაცობისა და სინდის-ნამუსისა... და უფრო მეტიც, აქა რაღაც ახლის, დიადის მოლოდინით გათანგული სულის გალობა... მარადისობასთან შეხმიანებული მისი პოეზია ჭეშმარიტების ძიებისაკენ დაუოკებელი სწრაფვა და სულის ზეიმია, უფლის სახლთან მიახლოებისას აღმრული კრძალული განცდა. რწმენა ნათელი მომავლისა: „ბედნიერია სიცოცხლე რწმენით, შენც იგალობე ნებით მაღალის! მკვდარი ბევრია, იბორგე ბგერით - შეიმწყალობნე მტრებ(ნი) სამ-რკალით... შენც იწყალობე რწმენის სამკალი... რწმენის სამკალი - რწმენით სამკალი... („რწმენის სამკალი“). ჰოდა: „სიცოცხლე მაინც ცაში გრძელდება, მიწაზე რჩება მხოლოდ ცხოვრება“.

უზენაესთან შეხვედრა პოეტის მძაფრი სურვილია. უფლის გამოცხადებით ნათდება პოეტის სული. უზენაესის სასწაულმოქმედი ძალისაგან შთაგონებულმა გენო კალანდიამ შექმნა ლექსების ციკლი „საგალობლები უფლისთვის“, რომელიც „უფლის მუდმივი ხსოვნის მიმანიშნებელია და სულს მუდმივად ახსოვს სამშობლო-ადგილის დედა სამოთხე, რომელსაც „გრიგალდაკრული ბებერი გული ანდამატივით უბეში უდევს... რაც უნდა ტანჯონ, რაც უნდა გვემონ, სულ ქართულია იმისი ფუძე“... (14, 454).

ამ წიგნის წინასიტყვაობა თემურ შავლაძეს ეკუთვნის. ასე რომ, ამ შემთხვევაშიც, რელიგიური ცნობიერება სულისმიერი შინა-არსია და არა-ოდენ გარეგნული გამოხატულება (რიტუალი!).

თემურ შავლაძე თავისი ლირიკით ემსახურება ადამიანის სულიერ-ზნეობრივ სრულყოფას. მას დავით აღმაშენებლივით შეუძლია განაცხადოს: „მე ვნებათა ბილწთა მონად მივჰყიდე თავი“ („გალობანი სინანულისანი“): პოეტის ტკივილია ეპოქალური კატაკლიზმები, დანგრეული ტაძრებისა და რწმენადაკარგული ადამიანების სევდა...

„ჩვენ გვმართებს იმის დაცვა-გადარჩენა, რაც იმ ათასწლეულებში ჩვენს წინაპრებს შეუქმნიათ. ესაა ჩვენი ვალი, ჩვენი ცა და ვარსკვლავები. ვინც არ დაიცავს არაა ამ განძის ღირსი“ (15.55).

თემურ შავლაძის პოეტური ხმა, აზროვნება, ენა, ესთეტიკა, სახოვნება ის ურთიერთმიმართებაა, რომელიც ეძებს ადგილს სამყაროს შემოქმედსა და „მე“-ს შორის, მისი მისტიკური ხილვები უჩვეულო სიტყვითქმნადობითაა გამოხატული, რაც კიდევ ერთხელ გვარწმუნებს მისი პოეტური ოსტატობის უჩვეულობაში.

ლექსში „ჯვარი ლაზარე“ პოეტი წერს: „მგზავრობენ ავნი უაფროდ მნავნი, არც (მ)ლალი ქალის, არც ზარზმა მამრის, მზვობენ მზარნი უარსოდ მსარნი, მვალაღნი (რ)ვალით ქარაგმად ქარვის... ესენი მალე მოს(ლ)პობენ მამულს (განჰკლავენ, რაც მტრებს გადარჩენიათ!) მწყემსების თვალებს მოლპობენ ნამულს, განძს ჰსრავენ! - მ(მ)წარებთ განაჩენია!...“ ...და თან - ბაღში ვარდნარად იწვის ლაზარე - „მკვდარი - რომელიც ისევ აღდგება“...

ჯვარი - რომელიც ისევ აღდგება... მსჯავრი - რომელიც ისევ დადგება“.

პოეტის რწმენით ჯვარით დაიძლევა უკეთურობა, ბოროტება. მთელი ლექსი უჩვეულობითაა და მაღალი ესთეტიზმითაა გამორჩეული. პოეტი ლაზარეს ემსგავსება, გარე სამზერიდან ჰკრეტს უფლის ტაძარს და სასწაულებრივი განცდებით იმსჯვალება. ხედავს ლაზარე „ვარდნარად იწვის“, მაგრამ „მკვდარი“ მალე აღდგება. ესაა გამოუთქმელი ნეტარება, უზენაესი ძალის მიერ განწმენდილი სულის დაღადისი. პოეტი რწმენით, ქრისტესადმი ერთგულებით თავს აღწევს ყოფიერებას, ჩვენს მწარე სინამდვილეს და ზესთასოფლისკენ ისწრაფვის, იისფერ ცას ემიჯნურება. ვინ იცის, ეგებ, „ცისა ფერს, ლურჯსა ფერს, პირველად ქმნილსა ფერს“, ნიკოლოზ ბარათაშვილივით „სიყრმიტგან ეტრფოდა“. და: „იის წმინდანთ ზარების“ რეკვა ჩაესმის და იტყვის: „მოწყენილია სამთ მზედ მსართ(ვ)ოდ მზრახველთ - მზრუნველი, ველზედ მოღელვილ სამ(თ) უკვდავთან იწვის თავანი - და ღვთით ნავანი - ცით ნამნ - მნამნი, ზე-(ზ)ნით მკამკამნი, იადონებით მზემნარობენ წმინდა სულელები“... („ეკლის ჩიტები“) - იადონებით შუქმფინარი წმინდა სულელები აიძულებს პოეტს კვლავაც ზეცას მიაპყროს მზერა და მორჩილად დაადგეს უფლის გზას.

თემურ შავლაძე თავისი პოეზიით გამოხატავს სწრაფვას ზესთასოფლისაკენ და ცდილობს ნიუანსობრივად წარმოაჩინოს ცისა და მიწის ურთიერთკავშირი, და ისიც თუ როგორ ილტვის მთელი არსებით ზეცისკენ, როგორ არღვევს საზღვარს მისი ლირიკული გმირი, რათა შეიგრძნოს წარუვალის სიდიადე: „და მხარზე მაფრინდება სიო დარდით მდნარი, ცხრა ცით ძეს მოწყენილს ყოველ-გზით მოელიან. და თავზედ მაღინდება იორდანის ცვარი. კვამლს ვიკმევ მთნობელის - რომელიც, რომელია“... („აი ისტორია“). პოეტის ლექსებში ერთგვარი ფერისცვალებაა, მის გულში დღენიადაგ ხდება განახლება. „წუთისოფლის სისასტიკით „დაგლეჯილი ღმერთი“ (გრ. რობაქიძე) და წმინდანთა ხატებანი მის პოეტურ სამყაროს თავისებურ სილამაზეს სძენს. პოეტის ლირიკული გმირი წმინდანებს ევედრება სრულიად საქართველოს გადარჩენას. თითოეული ფრაზა ნაგვემი გულის ტკივილების გადმოშლას და აღსარებასავით ჟღერს პოეტის ფიქრები: „და უკვე ვერცხლად არის ნათელი, შთამომავლობა თუ რას



იამ(ბ)ებს. და უკვეთს ცეცხლს ალს კალმის კანკელი - მწყალობლად მგოსანთურთა წიაღებს“... („მკათათვე“)

დაუვიწყარია და გამორჩეული ასეთი სტილი და უნებურად ესმა ონიანი გახსენდება: „ნაწარმოების ნამდვილობა სტილურ განუმეორებლობასაც გულისხმობს, საქმეში ხელგასული მხატვრისათვის ერთ წამში შეიძლება ისეთი სიღრმე გადაიშალოს, რომელსაც მრავალტომეულების შესწავლითაც ვერ იგემებს მცოდნე ნამდვილზე“ („ისევ ნამდვილზე“, 9, 68).

და მართლაც: „გამოუთქმელს მხერას, ვინ გაუსწორებს? საიდუმლოთა ჭვრეტა მიუწვდომელია, გონების მიერ დანახულის განმარტება - ყოვლად შეუძლებელი“ 1 (10, 133).

პოეტს უშურველად ნაბოძები უთვალავი ფერით შემკული სამყარო ეძვირფასება, რამეთუ ყველაფერი რაც ლამაზია და მშვენიერი უფლისგანაა ნაწყალობევი... და თუ ჭეშმარიტი მშვენიერება „ჰაეროვანი, ღვთაებრივი, ბიწიერებისაგან განწმენდილი და ნათელით მოსილია“, (11. 133) თემურ შავლაძე ყველგან და ყველაფერში ეძებს მშვენიერებას და ამალღებულს, მან კარგად უწყის, რომ მშვენიერება დღეს აქ, ამქვეყნად გაუფასურებულია, რომ მხოლოდ ზეცამია სიწმინდე და სილამაზე, რადგან უფალია სილამაზის, სიკეთისა და მშვენიერების მომნიჭებელი... პოეტი დარდით უმზერს წარსულს, როგორც სარკის ნამსხვრევებს მზის გულზე, და: „და მისამდება რწმენით მთმენი ცის წილის მძღვენი-მზეში მძინარი სახელების ვარდის სურვილი... და მიმზერს ქარი - არასოდეს აღარსად მჩქარი მიაჩქმევს ნიავს რაღაც სახელს სახის მრჩეველი... გზად ცის სერს მდგარი გარდამსახი ნაზარეველი“... („ფერისცვალება“).

**P.S.** თემურ შავლაძის პოეტიკას გამოარჩევს უმაღლესი ესთეტიზი და სახე-ხატთა მრავალფეროვნება. სიტყვათქმნადობის განსაკუთრებული ჯადო-ძალით ცოცხლდება დიდ წინაპართა სახეები და წმინდანები. პოეტი გვხიბლავს ალეგორიული, ეკლესიური თუ საერო, ისტორიული და ყოფითი სურათებით, ცის და მიწის ჰარმონიითა და სიცოცხლის, სილამაზის, მშვენიერების დღესასწაულებით... თანაც, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, გარე სამხერიდან აღქმული პოეტური სინამდვილე თვით ავტორის პოეტური სახეა... „შავრამოვანი მისი გვარიცაა და პოეზიაც - არსის არსებობა და არსებობის გამართლება“ (16.8).

#### ლიტერატურა:

1. თემურ შავლაძე, შავრამოვანი - 2, გამომცემლობა „ბაკმი“, თბ., 2013.
2. თემურ შავლაძე, შავრამოვანი - 2, გამომცემლობა „ბაკმი“, თბ., 2013.
3. თემურ შავლაძე, შავრამოვანი - 2, გამომცემლობა „ბაკმი“, თბ., 2013.
4. უოლტ უიტიმენი, ბალახის ფოთლები, თბ., 1966.
5. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, ბიბლიის თარგმანის ინსტიტუტი, თბ., 1998.
6. დ. ბენაშვილი, არაბესკები, ჩვენი მწერლობა, 4 ოქტომბერი, 2013.
7. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, ბიბლიის თარგმანის ინსტიტუტი, თბ., 1998.
8. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, ბიბლიის თარგმანის ინსტიტუტი, თბ., 1998.
9. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, ბიბლიის თარგმანის ინსტიტუტი, თბ., 1998.
10. ესმა ონიანი, ფერწერა, პოეზია, ესეები, თბ., 2003.
11. ბასილ დიდი, ჰომილიები, ექუსთა დღეთათვის, თბ., 2002.
12. ფსევდო ლონგინე, ამალღებულისათვის, თბ., 1975.
13. თემურ შავლაძე, შავრამოვანი, გამომცემლობა „მწერალი“, თბ., 2004.
14. ციალა მესხია, გენო კალანდიას პარადიგმების სამყარო, გამომცემლობა „სვეტი“, თბ., 2014.
15. აკაკი გელოვანი, მარად ცოცხალი ხელოვნება, თბ., 1980.
16. თ. შავლაძე, შავრამოვანი, გამომცემლობა „ბაკმი“, თბ., 2014.

*Tsiola Meskhia*

*Sokhumi State University*

### **NEW WORD FORMATION IN GEORGIAN POETRY (TEMUR SHAVLADZE)**

#### **RESUME**

Temur Shavladze is a new voice to come out of the epoch, new in technique and new in his attitudes – romantic heroic approach and feelings of humiliation is quite different from the poetry of other Georgian authors. He thinks it his duty to tell the plain unvarnished truth about the country and history.

Shavladze's technical experiments are revealing and of great importance. His brilliant use of assonance and his discovery of rhyming characterized by perfect coincidence of consonant and incomplete coincidence of vowel sounds gas a great effect contemporary poetry.

( . criminal) – ( – ).  
 ( ) – « :  
 ?» [1].  
 « » [2];  
 « » [3]; John Scaggs. «Grime Fiction. The New Critical Idiom» [4]; Martin Priestman.  
 Crime Fiction: from Poe to the Present [5].  
 ?  
 ( )  
 :  
 , online-  
 ( [4] [5] : Abstract – , Orientation –  
 , Evaluation – , Resolution – , Coda –  
**Abstract** –  
 « » –  
 « » –  
 : – , –  
 [6]. : « –  
 » [7: 171].  
 ?  
 : « » , « » (

« ... », « ... », « ... », « ... ». : « ... », « ... ».

« ... », « ... ». : « ... », « ... ».

— : « ... », « ... ».

», « ... ». : « ... », « ... ».

» [8: 133],

**Orientation –**

«— ... , ? ! ? » [9: 133],.

» « ... ».

« ... », « ... ».

?

**Complication –**

« ... - » ( 19 )

« ... » [9: 339].

**Evaluation –**

« ... », « ... ».

» [9: 339].

**Resolution –**

», «— ... ? ! » [9: 345].

**Coda –**

(« ... »).

**Coda,** ( « ... »)

« ... ?

: , ?» [9: 353]. : ?

«- , ? ?

- , !» [9: 354] - ,

« » « ».

» [9: 376].

» [9: 377].

( )

« »

(« »).

« »

«- ? !» [9: 443].

( « » )

[10].

1. . . . « » . . . . , 2001. <https://www.booksite.ru/localtxt/slo/var/phi/los/ophy/index.htm>
2. . . . , 1975. – 73 .
3. . . . , 1989. – 261 .
4. Scaggs J. Grime Fiction The New Critical Idiom. Routledge. London and New York, 2005. 170 p.
5. Priestman M. Crime Fiction: from Poe to the Present. Plymouth. Northcote House, 1998. 252 p.
6. // . . . . – . . . . , 1998, . 14 – 285.
7. // . . . . : . . . . , . . . . / . . . . – 1987. – 6, – . 167-183.
8. . . . . – . . . . , 1981. – 138 .
9. . . . . – . . . . : . . . . , 1984. – 450 .
10. . . . . // . . . . : . . . . XXXIII . . . . , 5(30). – . . . . , 2014. <https://sibac.info/conf/innovation/xxxiii/38402>

***Mariam Miresashvili, Olga Petriashvili***

*Sokhumi State University*

**DETECTIVE NARRATIVE WITHIN THE SCOPE OF STRUCTURAL ORGANIZATION  
(ON EXAMPLE OF ANALYSIS OF ARTHUR CONAN DOYLE'S DETECTIVE STORIES)**

**RESUME**

A detective (Eng. Criminal) – Literary genre in which an intrigue is organized as a logical reconstruction of events that have not been empirically observed (namely, crimes). The external plot of a detective story addresses a story of solving the crime, while the internal part refers to the cognitive story of solving the logical task. Traditionally, detective stories as literary genre are considered to belong to the category of mass culture and are insufficiently studied. As a narrative text, they remain underdeveloped within research literature. Narratology as a theory of narration, science where all humanitarian disciplines are intercrossed, allows to investigate detective stories in a multidimensional way.

Structure of a detective story is accurately organized and has special formal signs. Texts of A. Conan Doyle have certain composition. The lines of both the crime and investigation stand out in the plot. Initially, they develop independently of each other, but during the course-of-action development, they start to intersect. Temporal structure of two-line plots is worth taking into account. The plot of investigation develops in a chronological sequence, while the plot of crime is presented in a fragmentary and retrospective manner. American scholars, Labov and Waletzky, offered a scheme for creating a detective story. It consists of the following 6 components: Abstract, Orientation, Complication, Evaluation, Resolution, Coda.

Detective works of A. Conan Doyle represent a special type of a narrative - considerably different from traditional types of narration. Texts of this kind are characterized by special narrative structure, which has specific organization of a text. Also, its narrative structure differs from the inconsistent course of narrative functions, temporary shifts, reduced narrative scheme. Subject and structural variety of a detective story is also noteworthy as the latter does not have a rigid structure essential for the standards of short stories.

### **„ვეფხისტყაოსნის“ ფერთამეტყველების ერთი ასპექტისათვის**

„ვეფხისტყაოსანში“ ცხოველები ფართოდაა წარმოდგენილი. მათ სიმბოლურ-ალეგორიული დატვირთვა აქვთ, გამოყენებულია პოეტური შედარებისათვის, ასევე ჩვეულებრივი სამეურნეო საჭიროებისათვის. გავეცნოთ ამ ცხოველთა სიას: ავაზა (სანადიროდ გაწვრთნილი ვეფხა-ძაღლი), აზავარი (გახედნილი მოზვერი, უღლის ხარი), ასპიტი (შხამიანი, გესლიანი გველი), აქლემი, ვეშაპი, ვეფხვი, ვირი, ზროხა (ძროხა), თხა, ირემი, კანჯარი (გარეული ვირი), კატა, ლეკვი ლომისა, ლომი, მელა, მგელი, ნიანგი, რემა (გაუწვრთნელი ცხენი, ჯოგსაც ჰქვია), ქურციკი, ყარყუმი (ვ. ნოზაძით – გორნოსტაი), შველი, ცხენი, ცხვარი, ძაღლი, ხრდალი (დედალი ცხენი), ჯიქი (ვ. ნოზაძით – ლეოპარდი), ჯორი.<sup>1</sup>

დასახელებული ცხოველებიდან გვიანტერესებს ცხენი, კერძოდ, ცხენის ფერის მხატვრული ფუნქციის გარკვევა. ამას პირველად ყურადღება მიაქცია დიდმა რუსთველოლოგმა ვიკტორ ნოზაძემ. მან აქცენტი გააკეთა იმაზე, რომ ტარიელის ცხენი მხოლოდ შავია, ავთანდილისა კი – თეთრი. მიიჩნია, რომ ცხენთა საპირისპირო ფერები ამ იდეალური პერსონაჟების სულიერი განწყობილების გამომხატველია.

ვ. ნოზაძის დაკვირვებიდან კიდევ ერთმა დეტალმა მიიქცია ყურადღება: ტარიელის შავი ცხენი მოხსენიებულია ცხრაჯერ და იმდენად დამახასიათებელია, რომ თვით ცხენის ნაცვლად მისი ფერის აღნიშვნა იხმარება:

„შავსა აუღვა ლაგამი, წმენდა რიდისა წვერითა“;

„ნახა შავი შამბთა პირსა დგა სადავე უკუყრილი“;

„ტარიელ შავსა ზედა ზის“ და ა. შ.

ვ. ნოზაძის დასკვნით: „ცხენთა ამ ორი ფერის (თეთრი და შავი – ტ. მ.) დაპირისპირება არის ტარიელისა და ავთანდილის სხვადასხვა სულიერი განწყობილების გამომსახველი: თეთრი – სიმშვიდე, ლხინი, შავი – ვაება, მწუხარება“.<sup>2</sup>

ვიდრე საკითხზე საუბარს გავაგრძელებდეთ, გვინდა იმ წყაროებზე გავამახვილოთ ყურადღება, რომელიც შესაძლოა ასაზრდოებდა რუსთაველს. ვ. ნოზაძე წერს: „პირველი ისტორიული საბუთი ცხენისა და მისი მოვლის შესახებ ეკუთვნის ხეთებს. 4500 წლის წინათ ხეთებს ჰქონდათ ცხენგაბმული საბრძოლო ეტლები“. ცხენი ოდითგანვე ადამიანის მარჩენალი, მტერზე გამარჯვების, სხვა ქვეყნების დაპყრობის, სხვათა მიწების მიტაცების, საკუთარი მამულის დაცვის შეუცვლელი და იღბლიანი საშუალება იყო. შემთხვევით არაა დაბადებული ძველი ჩინური ანდაზა: „ცხენის ზურგი ქმნის სახელმწიფოს“. საუკუნეების მანძილზე მწელბედობის ჟამს საქართველოს ხსნის და გადარჩენის საქმეში ცხენმა დიდი როლი ითამაშა. როგორც ცნობილია, განსაკუთრებით მეათე საუკუნიდან ქართველ მხედრებს სახელი ჰქონდათ მოხვეჭილი არა მარტო თავიანთ ქვეყანაში, არამედ მთელ აზიაში.

ბიბლიის ავტორები თავიანთ ნაწერებში ცხენს სათანადო ადგილს მიუჩენენ. ჩვენთვის ამჯერად საგულისხმოა ცხენის, უფრო სწორად, სხვადასხვა ფერის ცხენის, მხატვრული ფუნქციის ჩვენება, მისი სიმბოლურ-მეტაფორული შინაარსით დატვირთვა. ცხენის მასშტაბურ დახასიათებას ვხვდებით იობის წიგნში: ზარდამცემია ცხენის ჭიხვინი, ძლიერ ჭენებით ეკვეთება მახვილს, მისთვის უცხოა შიში, მის თავზე ჟღრიალებს კაპარჭი. ელავს შუბის წვერი და ჰოროლი ბუკის ხმაზე წინასწარ ყნოსავს ბრძოლას, სარდლის შემახილებს და ყიჟინას: „ჟამად-ჟამად სიმაღლისა აღიმაღლის, ეკიცხვენ ცხენზედა და ზედა მჯდომელსა, ანუ შენ შეჰმოსეა ძალი ცხენსა და შეირტყ ქედსა მისსა შიში? და შეჰმოსე საჭურველი და დიდებად მკერდსა მისსა და კადნიერებად? აღმოითხრინ ფერხითა და იბეკნ ველსა ზედა, იზახებნ და განვალნ ველად შემთხუვესა ისრისასა ეკიცხვენ და არაგარემოიქცის მახვილისაგან მის ზედა ოხრინ რად მშვილდი და მახვილი, ლახურისა და ჰოროლისა ძრვად, და რისხვითა განჰრყუნინ ქუეყანასა და არა ჰრწამნ, ვიდრემდე დაჰბერონ ნესტუმალა ხმა-ჰყვის. მან თქვის: ვაშა, ვაშა! შორითვე ეცის სული ბრძოლისა და ზედა მოსლვად და ღაღადებად (იობი, 39, 18-25).

ცხენოსანთა ძლიერი მხედრობის, ცხენოსანთა სწორუპოვარი ლაშქრის დამარცხება შეუძლებელია, მხოლოდ უფლის ნებას ვერ გაუმკლავდება იგი, ღმერთის ნებას ისინი ვერ გადაურჩებიან, რადგან ცხენზე ამხედრებული ეგვიპტელები კაცნი არიან და არა ღმერთი, მათი ცხენები ხორცია და არა სული: „ვად, შთამომავალთა ეგვიპტედ შეწევნისათვის, რომელნი მოსავენ არიან ცხენთა მიმართ და ეტლთა მიმართ,

<sup>1</sup> ვ. ნოზაძე, თხზულებანი II (ვეფხისტყაოსნის ბუნებისმეტყველება), გურამ შარაძის საერთო რედაქციით, თბ., 2005, გვ. 407-408.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 448.

რამე თუ არიან მრავალ და ცხენებსა ზედა სიმრავლე ფრიად, და არა იყვნეს მოსავნ წმიდისა მიმართ ისრაელისას, და უფალი არა გამოიძიეს... მეგვიპტელისა და კაცისა და არა ღმრთისა მიმართთასა, ხორცებსა ცხენთასა და არა არს შეწევნა, ხოლო უფალმან მოიწიოს ხელი მისი მათ ზედა და არა დაშურებთან შემწენი და ერთბაშად ყოველნი წარწყმდენ“ (ეს. 31, 1-3).

ზაქარია წინასწარმეტყველის წიგნში, იოანე ღვთისმეტყველის გამოცხადებაში ცხენის ფერს განსაკუთრებული ფუნქცია აკისრია. ზაქარია წინასწარმეტყველი სპილენძის ორ მთას შორის გამავალ ოთხ ეტლს იხილავს. პირველ ეტლში შეზღუდული იყო **წითელი ცხენი**, მეორეში – **შავი**, მესამეში – **თეთრი**, მეოთხეში კი – **ჭრელი**. ამ სურათის მხილველს საქმის არსში გაარკვევს ანგელოზი. ესენი არიან ცის ოთხი სული, იმ ადგილიდან დაძრულნი, სადაც მთელი ქვეყნის უფლის წინაშე დგანან: „და მოვაქციე თუალნი ჩემნი და ვიხილე და აჰა, ოთხნი ეტლნი გამომავალნი, საშუალ ორთა მთათასა და მთანი იყვნენ მთანი რვალისანი და ეტლსა შორის პირველსა ცხენნი ხსენი (ე. ი. წითელი – ტ. მ.) და ეტლსა შორის მეორესა ცხენნი შავნი და ეტლსა შორის მესამესა ცხენნი თეთრნი, ეტლსა შორის მეოთხესა ცხენნი ჭრელნი და სინიბნი (ე. ი. გამძლე – ტ. მ.). და მიუგე და ვთქუ ანგელოზისა მიმართ მზრახვალისა ჩემ შორის: რად არიან ესენი, უფალო? და მომიგო ანგელოზმან მზრახველმან ჩემ შორის და თქუა: ესე არიან ოთხნი ქარნი ცისანი, გამოვლენ წარდგომად უფლისა ქუეყანისადა“ (ზაქ. 6, 1-5). თანამედროვე ქართულ ენაზე თარგმნილ ბიბლიაში „ჭრელი ცხენის“ ნაცვლად მოიხსენიება „ნისლისფერი ცხენი“, ხოლო ქარის ნაცვლად „სული“. გაუგებრობას თავიდან აგვაცილებს იმის შეგნება, რომ „ქარი“ და „სული“ სინონიმური სიტყვებია. საგულისხმოა იმის აღნიშვნა, რომ ჰიპოკრატე ქარს ეძახდა სხეულში დამკვიდრებულ სულს, ხოლო სულს სხეულის გარეთ ჰაერად მიიჩნევდა.<sup>1</sup> საინტერესოა, რომ ქართულ წყაროებში არცთუ იშვიათად ფიგურირებს სული – ჰაერის ნაცვლად „ქარი“. საუბარია ოთხ ელემენტთაგან (მიწა, წყალი, ცეცხლი, ჰაერი) ერთ-ერთის „ჰაერის“ „ქარად“ მოხსენიებაზე.<sup>2</sup>

ზაქარია წინასწარმეტყველის წიგნიდან დამოწმებული ციტატის მიხედვით, ჩვენთვის მნიშვნელოვანია ის, რომ აღნიშნული ნაირი ფერების მქონე ცხენები ცის სულის სახე-გამოხატულებაა, მისი სიმბოლო თუ მეტაფორაა. წითელი, თეთრი, მოყვითალო ფერის ცხენები ამავე ბიბლიური ტექსტის პირველივე თავშიც მოგვეპოვება (ზაქ. 1,8).

საკითხთან დაკავშირებით ამჯერად ჩვენთვის საინტერესოა იოანე ღვთისმეტყველის გამოცხადების მეექვსე თავი, კრავი ახსნის რა შვიდ ბეჭედთაგან ერთ-ერთს, ოთხ ცხოველთაგან ერთ-ერთის მგრგვინავი ხმა გაისმის, რომელიც იტყვის: მოდი და იხილე. გამოჩნდება თეთრი ცხენი ზედ მჯდომი მშვილდოსანი მხედრითურთ. მიეცემა მას გვირგვინი და გამოვა მძლეველი, რათა სძლიოს: „და ვიხილე, აჰა, **ცხენი სპეტაკი**, და მჯდომარესა მას ზედა აქუნდა მას მშვილდი და მიეცა მას გვირგვინი და განვიდა ძლევისა და რათა სძლიოს“ (გამოცხ. 6, 2). მეორე ბეჭდის ახსნისას გამოვიდა **წითელი ცხენი**, რომლის მხედარს მიენიჭა დედამიწიდან მშვიდობის აღგვის ძალა, რათა მოსპონ ადამიანებმა ერთმანეთი. მას ამისათვის გადაეცა დიდი მახვილი: „და გამოვიდა სხუა ცხენი წითელი და მჯდომარესა მასზე ზედა აღებად მშვიდობა ქუეყანით, რათა ერთმან ერთი მოჰსწყვიდონ და მიეცა მას მახვილი დიდი“ (გამოცხ. 6,4). მესამე ბეჭდის ახსნისას გამოჩნდება **შავი ცხენი**, რომელზეც მჯდომს ხელთ უპყრია სასწორი: „და, აჰა, ცხენი შავი და მჯდომარესა მას ზედა, აქუნდა ხელთა მისთა უღელი“ (გამოცხ. 6,5). სულხან-საბას მიერ „უღელი“ განმარტებულია, როგორც „სასწორის საკიდარი“. დიდი ლექსიკოგრაფი აქვე იმოწმებს ზემოთ ციტირებულ წყაროს „გამოცხადებიდან“.

მეოთხე ბეჭდის ახსნისას გამოვა **მწვანე ცხენი**, რომლის მხედრის სახელია სიკვდილი. ჯოჯოხეთი მოსდევდა მას, რომელსაც მიეცა უფლება დედამიწის მეოთხედი ნაწილის მახვილითა და შიმშილით დახოცვისა სიკვდილისა და მიწიერი მხეცების საშუალებით: „და ვიხილე, და, აჰა, ცხენი მწვანე და ზედა მჯდომარესა მას ზედა სახელი მისი სიკვდილი და ჯოჯოხეთი შეუდგა მას და მიეცა ხელმწიფება მეოთხედისა ქუეყანისასა, მოკლუად მათ და მახვილითა და სიყმილითა, და სიკუდილითა, და მხეცთა მიერ ქუეყანისათა“ (გამოცხ. 6,8).

როგორც დავინახეთ, კრავის მიერ ბეჭედების ახსნისას გამოჩნდებიან თეთრი (სპეტაკი), წითელი, შავი და მწვანე ცხენები. ცხენთა ფერის ჩვენებას სიმბოლურ-მეტაფორული დატვირთვა აქვს, თეთრ ცხენზე ჯდომა ძლევის სიმბოლოა, გვირგვინოსნობისა; წითელ ცხენზე ამხედრება განასახიერებს მშვიდობის დამხობას დედამიწაზე ადამიანთა მიერ ერთმანეთისთვის მუსრის გავლების ხარჯზე; შავ ცხენზე ყოფნა ხელში სასწორის პყრობის გამომხატველია; მწვანე ცხენის მხედრის მეტაფორული სახელია

<sup>1</sup> ჰიპოკრატე, რჩეული ნაწერები, რუსულ ენაზე, მოსკოვი, 1936, გვ. 264.

<sup>2</sup> ი. ბერიტაშვილი, მოძღვრება ადამიანის ბუნების შესახებ საქართველოში, თბ., 1957, გვ. 176-180; ლ. კოტეტიშვილი, მედიცინა ძველ საქართველოში, წიგნში: იადიგარ დაუდი, თბ., 1938, გვ. 9-10; ქანანელი, უსწორო კარაბადინი, თბ., 1943, გვ. 46; ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილი, სამკურნალო წიგნი, თბ., 1978, გვ. 70; ქართული პოეზია, III, გვ. 122; დ. გურამიშვილი, დავითიანი, თბ., 1955, გვ. 126, 171, 175, 242, 264.

სიკვდილი, უკან თანამდევნი ჯოჯოხეთითურთ. რათა დედამიწის მეოთხედი შემუსროს, მახვილითა და შიმშილით ამოწყვიტოს ქვეყნიერების მკვიდრნი. ორიოდ სიტყვა „შავი ცხენის“ სასწორზე.

სასწორი ქალდეური წარმომავლობისაა, როგორც სამართლიანობის სიმბოლო-ინსტრუმენტი. უძველესი წარმოდგენით სააქოსა და საიქიოს გასაყარზე, განკითხვის დღეს, ზეგარდმო მსაჯულს – მიუკერძოებელს და მოუსყიდველს უნდა განეკითხა ამქვეყნიური ცოდვა-მადლი. ქრისტიანობაში სასწორი გულისხმობს შესატყვისობას დანაშაულსა და სასჯელს შორის.<sup>1</sup> როგორც ვნახეთ, „გამოცხადების“ მიხედვით, სწორედ შავი ცხენის მხედარს ერგო სასწორი ხელში, როგორც ცოდვა-მადლის, ავ-კარგის განმსჯელის განმასახიერებელს. რატომ მაინცდამაინც შავი და არა სხვა ფერი. იმიტომ, რომ ამ მხედარს რთული ანუ შავი მოვალეობის შესრულება ეკისრებოდა, ავ-კარგის განმასახიერებელი იყო.

აღსანიშნავია, რომ აპოკალიფსის სხვადასხვა ფერის ცხენზე მჯდომი მხედრის თემამ არა მხოლოდ სასულიერო, არამედ საერო ლიტერატურაშიც გაიკაფა გზა. მხედველობაში გვაქვს შუა საუკუნეებთან ერთად მერმინდელი ქართული მწერლობა. სანიმუშოდ კმარა გალაკტიონ ტაბიძის და კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედება. გალაკტიონმა თავისი ლექსებით: „გუბე“, „გემები ყველგან“, „ძველი ხელები წვდება კალიფსოს“ აპოკალიფსური ცხენისა და მხედრის ხილვების ასოციაციას გვაზიარა და მის აღქმაში თავისებურად დაგვაკვალიანა. გალაკტიონის შემოქმედების ერთ-ერთი გამორჩეული მკვლევარი ლუარა სორდია მიუთითებს, რომ გალაკტიონის აპოკალიფსური მერანი არაა სიკვდილის „მწვანე ცხენი“, არამედ უფრო „სპეტაკი“, მახვილით, გვირგვინით მძლევარი. იგი წინასწარმეტყველიცაა, თავისუფალიც, სხვა განკითხვის უფლების მქონეც და მარადიულიც.<sup>2</sup> არ ვაპირებთ ამ მოსაზრებასთან პოლემიკაში შესვლას, ამიტომაც მისი მხოლოდ ციტირებით შემოვიფარგლეთ.

როგორც მართებულად შენიშნავს სოსო სიგუა, კონსტანტინე გამსახურდია ბიბლიური მითებიდან ყველაზე ხშირად აპოკალიფსს („იოანეს გამოცხადება“) ესესხება. ამ მხრივ აღსანიშნავია „დიონისეს ღიმილი“, „მთვარის მოტაცება“, „დავით აღმაშენებელი“. „აპოკალიფსის მძაფრი მხედარი“ (გ. ტაბიძე) მითოლოგიზებული პერსონაჟია. თანამედროვე ყოფიერების მითოსური მოდელი „იოანეს გამოცხადებაში“ მიიკვლევა. კიდევ ერთხელ აშკარავდება იმ ადამიანთა მსოფლმხედველობა, რომელთაც სისხლიანი ეპოქის კომმარო აპოკალიფსურ წარღვნად წარმოუსახავთ.<sup>3</sup> კ. გამსახურდიას ზემოთ დასახელებულ რომანებში მკითხველს შეხვედრა უწევს სპეტაკ, წითელ, შავ, მწვანე ცხენებთან, რომელთაც სიმბოლურ-ალეგორიული გაგება გააჩნიათ.

ცხენი პირველად „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგში გამოჩნდა:

„ვითა ცხენს შარა გრძელი და გამოსცდის დიდი რბევა,  
მობურთაღსა – მოედანი, მართლად ცემა, მარჯვედ ქნევა,  
მართ აგრევე მელექსესა – ლექსთა გრძელთა თქმა და ხევა“... (13)

როგორც ხედავთ, რუსთაველმა პოემაში პირველი შემოყვანისთანავე ცხენს მხატვრული ფუნქცია დააკისრა, გამოიყენა იგი როგორც შესადარებელი საგანი. ნაწარმოებში ცხენის სინონიმური სიტყვებიც მოგვეპოვება მერანი, ტაიჭი, ჭარმაგი (თეთრი ცხენი). აღსანიშნავია, რომ ცნება „ცხენი“ „ვეფხისტყაოსანში“ 75-ჯერ გვხვდება, „ტაიჭი“ – 14-ჯერ, „მერანი“ – ორჯერ, „ჭარმაგი“ – ერთხელ, „ცხენოსანი“ – 6-ჯერ.

თუ პოემის პროლოგში ცხენი პირველად დაფიქსირდა შესადარებელ საგნად, რუსთაველს თავში – „ნახვა არაბთა მეფისგან მის ყმისა ვეფხისტყაოსნისა“ – იგი უშუალოდ ფიზიკურად შემოჰყავს, რომლის ფერიც შავია, ეს თავი ასე იწყება:

„ნახეს უცხო მოყმე ვინმე ჯდა, მტირალი წყლისა პირსა,  
შავი ცხენი სადავითა ჰყვა ლომსა და ვითა გმირსა.  
ხშირად ესხა მარგალიტი ლაგამ-აბჯარ-უნაგირსა,  
ცრემლსა ვარდი დაეთრთვილა, გულსა მდულრად ანატირსა“.

ამ სტროფში უცხო მოყმის სულიერი განწყობილების გამომხატველია გულმდულარედ ტირილი, პირისახის ცრემლებით „დათრთვილვა“. რაც შეეხება ცხენის სიშავეს, იგი არ არის სულიერ განწყობილებაზე მიმანიშნებელი, როგორც ამას ფიქრობდა ვიკტორ ნოზაძე. „ლომის“ თანმხლები შავი ცხენი ქმნის მნახველთა წინაშე ფონს იმის მისახვედრად, რომ რაღაც უბედურება ტრიალებს მის თავზე, რაღაც შავი ბედის, შავი ხვედრის მსხვერპლია იგი. ეს სიშავე მთელი პოემის მანძილზე არ შორდება ტარიელის ცხენს ქაჯეთის ციხის აღებამდე. არ შორდება ეს სიშავე, როგორც განმსაზღვრელი ველად გაჭრილის ცხოვრების დღეებისა, უბედო ბედისა, შავად წასული მისი საქმისა მიჯნურის უგზო-უკვლოდ

<sup>1</sup> ზ. აბზიანიძე, ქ. ელაშვილი, სიმბოლოთა ილუსტრირებული ენციკლოპედია, II, თბ., 2012, გვ. 46.

<sup>2</sup> ლ. სორდია, გალაკტიონ ტაბიძის სიმბოლიკა, თბ., 1996, გვ. 19-20.

<sup>3</sup> ს. სიგუა, მარტვილი და აღმადარი, თბ., 1991, გვ. 259.



დაკარგვის გამო. ეს სიშავე ნთქავს ცხენს იმდენად, რომ თვით ეპითეტი ქცეულა ცხენად, ეპითეტი ჩანაცვლებია ცხენს („შავსა აუდვა ლაგამი“... „ნახა შავი შამბთა პირსა“... ტარიელ შავსა ზედა ზის!..). ვიმეორებთ: ცხენის სიშავე ტარიელის შავი ბედის განმსაზღვრელია (შავმან ბედმან ვით მიმუხთლა“; „მივა ბედითა შავითა“). ეს გმირისთვის ტანჯვაა, როგორც ვეფხისტყაოსნობა. ბედნიერება მაშინ ეწვევა მას, როცა არ იქნება ვეფხისტყაოსანი, როცა გადაჯდება თეთრ ცხენზე, ანუ იპოვის დაკარგულ სატრფოს და დაიხსნის მას.

ველად გაჭრილი ტარიელის ერთგული მეგობარი, მისი ჭირის გამზიარებელი, მხსნელი, ფიზიკურად გადამრჩენელი არის ცხენი, ოღონდ შავი და არა სხვა ფერისა. განსაცდელში ჩავარდნილი უცხო მოყმის სულიერი ტანჯვა გამოჟონილია მის სახეზე. გარეგნულად გამოიყურება, როგორც კუმტი, პირქუში, გულჩათხრობილი, სახემკაცრი. რაინდის პირქუშობა და ცხენის სიშავე ავსებს და კრავს ერთმანეთს.

უცხო მოყმის სამებნელად მიმავალი ავთანდილი გზაზე გადაეყრება ექვს ცხენოსანს, მათგან შეიტყობს:

„ანაზდად მოყმე გამოჩნდა კუმტი, პირ-გამქუშავია,  
ზედა ჯდა შავსა ტაიჭსა, – მერანი რამე შავია, –  
თავსა და ტანსა ემოსა გარე-თმა ვეფხის ტყავია,  
ჯერთ მისი მსგავსი შვენება კაცთაგან უნახავია“ (209).

სწორედ ამ „მოყმეს“ ეძებს ავთანდილი. როგორც ვხედავთ, რუსთაველი ხაზს უსვამს ტარიელის ცხენის სიშავეს („ზედა ჯდა შავსა ტაიჭსა, – მერანი, – რამე შავია“). ტაიჭის, მერანის ეს სიშავე ასოცირდება სწორედ ვეფხისტყაოსანი ჭაბუკის შავ ბედთან. ამ სიშავეში ჩაკარგულია გმირი.

ექვსივე ცხენოსანმა ავთანდილს მოახსენა, თუ როგორ სცადეს „პირგამქუშავი“ უცნობის შეპყრობა, რომელმაც „მკვახედ მოუბარნი მათრახითა შეგვამწიფნა“ (მათრახით დაგვბეჭა). ისე გაგვეცალა თვალდახელშუა, რომ მისი შავი ტაიჭი ჩანდა მხოლოდ: „ოდენ ჩნდა შავი ტაიჭი მისი მის გზისა მარებლად“. ე. ი. შავი მერანი, მასზე მჯდომი კუმტი, პირგამქუშავი რაინდი შავი ბედის წყალობით თითქოს შეერწყნენ ერთმანეთს, გაერთხელებულან. შავი ცხენი თანამონაწილეა ტარიელის სულიერი ტანჯვისა, მისი ბედის გამზიარებელია. მის გლოვას თვითონაც ინაწილებს და თანაუგრძნობს მას თავისივე სიშავით. ერთი სიტყვით, ცხენი თავისი სიშავით ველად გაჭრილი ტარიელის შავი ბედის ეტლშია შებმული.

საგულისხმოა, რომ ტრადიციულად მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც, სამგლოვიარო პროცესიის დროს გარდაცვლილ მამაკაცს სასაფლაოზე შავად დათალხული შავი ცხენიც მიაცილებდა.<sup>1</sup> ცხადია, თალხგადაფარებული შავი ცხენი განასახიერებს შავ სამარეში მიმავლის შავ ბედს.

ნესტანი მუდამ თან ატარებდა ტარიელის მიერ ნაჩუქარ შავ რიდეს (მოსასხამი). ქაჯეთის ციხიდან ფატმანისადმი გაგზავნილ წერილში ნესტანი ტარიელს მიმართავს: გიგზავნი რიდეთა ნაკვეთს. რიდენი ჩემთვის ტურფად სანახავია იმიტომ, რომ მისი ფერი ჩემს შავ ბედს ემსგავსება:

„გეთქვა ნიშნისა გაგზავნა, აწ ესე განამქლავნია,  
მისეულითა რიდითა ნაკვეთი გამიგზავნია.  
ესენი ჩემთვის მის გამო ტურფანი სანახავნია,  
თუცა თუ ფერად ბედისა ჩემისა მსგავსად შავნია“.

ნესტანი გარკვევით გვეუბნება: მისთვის შავი ფერი ასოცირდება შავ ბედთან. იგივე ითქმის ტარიელის ცხენის სიშავეზე. გმირი ვეღარ იშორებს შავ ცხენს, რადგან იგი მისივე შავი ბედის წარმომსახველია, მისი სიმბოლოა.

ვიკტორ ნოზაძემ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ ნესტანის დაკარგვის შემდეგ ასმათი შავად ჩაცმული დადის („ქვაბისა კარსა გადმოდგა ქალი ჯუბითა შავითა“) და ასე გლოვობს მას. ე. ი. შავი სამოსელი აქ გლოვის ნიშანია. საგულისხმოა, რომ შავითაა მოსილი ინდოეთიდან მომავალი ქარავანიც, რომელსაც პოემის გმირები გადაეყარნენ („კაცები და სახედრები ერთობ იყო შაოსანი“). გაირკვა, რომ მექარავნენი ინდოეთის მეფის (ფარსადანის) სიკვდილს გლოვობდნენ.<sup>2</sup>

„ვეფხისტყაოსანში“ ტარიელის შავ ცხენს დაპირისპირებულია ავთანდილის თეთრი ცხენი (საუბარია ცხენის ფერების დაპირისპირებაზე). ცხადია, თინათინის მიჯნურის ტაიჭის სითეთრეს თან ახლავს სიმბოლური დატვირთვა.

სიმბოლოთა ენციკლოპედიაში ვკითხულობთ: „თეთრი ცხენი სინათლის, სიცოცხლისა და სულიერი განწმენდის სიმბოლოა: თეთრ ცხენზეა ამხედრებული ინდუისტების ღვთაება კალკა (ვიშნუს უკანასკნელი განსხეულება); და ბოლოს – სწორედ თეთრ ცხენზეა ამხედრებული წმინდა გიორგი

<sup>1</sup> ზ. აბზიანიძე, ქ. ელაშვილი, სიმბოლოთა ილუსტრირებული ენციკლოპედია, გვ. 123.

<sup>2</sup> ვ. ნოზაძე, თხზულებანი, I, თბ., 2005, გვ. 121-122.

(აქედანაა „თეთრი გიორგის“ სახელდება). პლატონის „დიალოგების“ ერთ პასაჟში, სადაც ადამიანის მისწრაფებანი – ზეაწეული, იდეალური და მიწიერი – ორი ცხენით არის სიმბოლიზირებული: ეს ორი ცხენი, თეთრი და შავი, ადამიანის ბედის ეტლშია შებმული. თეთრი ცხენი ცისკენ სწრაფვას განასახიერებს, ხოლო შავი – მიწისაკენ მიილტვის“.<sup>1</sup>

როდესაც ქრისტიანობის ფერთა სიმბოლიზმზე საუბრობს, ვიკტორ ნოზაძე აქცენტს აკეთებს თეთრ ფერზე: „თეთრი – სინათლის, სიწმინდის, უმანკოების, წმიდანობის, სიხარულის, ბედნიერების, ფერისცვალებისა, ნათლისღების ფერი“;<sup>2</sup> „ქრისტიანულ მხატვრობაშიც, უეჭველია, ფერებს სიმბოლიური დანიშნულება აქვს, არამც თუ სამოსელთა ფერებს, არამედ ცხენთა ფერებსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა მიეწერება“.<sup>3</sup> აქვე ვიკტორ ნოზაძე იმოწმებს ფსევდო-დიონისე არეოპაგელს, იგივე პეტრე იბერიელს და მის არეოპაგეტიკას: „ცხენი არის, მორჩილებისა და გამგონობის სიმბოლიო; თეთრი ცხენი ანგელოსთა ბრწყინვალეობას გამოხატავს.“

ვიკტორ ნოზაძე მოკლედ, მაგრამ შთამბეჭდავად მსჯელობს „ვეფხისტყაოსნის“ თეთრ ცხენზე, კონკრეტულად, ავთანდილის ცხენზე: „ავთანდილი მხიარულია, ბედნიერი, ჯერ კიდევ ტარიელის მეგობრობისთვის არ-დამწვარი და არ-ატირებული. ამიტომ ცხენი თეთრია. ტარიელის და მისი თავგადასავლის გაცნობის შემდეგ ავთანდილის ცხენი კვლავ თეთრია, მაგრამ შავად დაწინწკლული. ვინაიდან ისიც დამწუხრებულია ნესტანის დაკარგვით.“<sup>4</sup>

ავთანდილი თავისი თეთრი ცხენით პირველად გამოჩნდა „ვეფხისტყაოსნის“ მეორე თავის – „როსტევან მეფისაგან და ავთანდილისაგან ნადირობა“ – დასაწყისში:

„დილასა ადრე მოვიდა იგი ნაზარდი სოსანი,  
ძოწეულითა მოსილი, პირად ბროლ-ბაღახშოსანი,  
პირ-ოქრო რიდე ეხვია, შვენოდა ქარქაშოსანი,  
მეფესა გასვლად აწვევდა, მოდგა თეთრ-ტაიჭოსანი“.

ამ სტროფს წინ უძღვის როსტევან მეფის დადარდიანება: სიბერემ მიწია, სამეფოში არ მრჩება ვინმე ისეთი, „ჩემგან ესწავლნეს „სამამაცონი ზნენია“; „დმერთმა არ მომცა ყმა-შვილი... ანუ მცა მგვანდა მშვილდოსნად, ანუ კვლა ბურთაობითა“. ავთანდილი იმთავითვე მორიდებით გაეპასუხა: „ნუ მოჰკვებ მშვილდოსნობასა... მიწაცა თქვენი ავთანდილ თქვენს წინა მშვილდოსანია“. დავნაძლევედით, გავეჯიბროთ ერთმანეთს, „გარდამწყვეტელი მისიცა ბურთი და მოედანია“. შეთანხმდნენ, მეორე დღეს შვილდოსნობაში გაჯიბრებოდნენ ერთმანეთს. და აი, დილაადრიან ავთანდილი ეწვია მეფე-პატრონს, იგი სრულ მზადყოფნაშია. როსტევანს იწვევს სანადიროდ გასასვლელად. ამიტომაც „მოდგა თეთრ-ტაიჭოსანი“. რუსთაველი აქ ცხენის სითეთრეს უბრალოდ კი არ აფიქსირებს, არამედ სიმბოლიურ გააზრებას აძლევს მას. განგებ არის აქცენტირებული ტაიჭის თეთრი ფერი.

რუსთაველი ამ სტროფში თეთრ ტაიჭზე ამხედრებული ავთანდილის დანახვამდე მკითხველს ზედმიწევნით უხასიათებს მას: „ნაზარდი სოსანი“, „ძოწეულით მოსილი“, „პირად ბროლ-ბაღახშოსანი“, „პირ-ოქრო რიდიანი“, „ქარქაშოსანი“. ამ თვისებებით შემკული „მოდგა თეთრ-ტაიჭოსანი“. „თეთრი ტაიჭი“ ქმნის იმის ფონს, რომ ნადირობა მშვიდობიანად ჩაივლის და გამარჯვებას ავთანდილი იხეიმებს. პოეტს „თეთრ-ტაიჭოსანის“ ნაცვლად ეთქვა „შავ-ტაიჭოსანი“, ან „წითელ-ტაიჭოსანი“, ცხადია, ეს ამ საზეიმო განწყობილებაში დისონანსს შეიტანდა, პროპორციულობას და ჰარმონიულობას დაარღვევდა.

„თეთრ ტაიჭზე“ ამხედრებული ავთანდილის ჩვენება მკითხველს წინათგრძნობას განუმტკიცებს, ავთანდილის საგულშემატკივროდ განაწყობს, დაარწმუნებს მის ძლევათმოსილ გამარჯვებაში. ასე რომ, ავთანდილის ცხენის სითეთრე გმირის სულიერი ვითარების გამომსახველი კი არ არის, როგორც ამას ვიკტორ ნოზაძე ფიქრობდა, არამედ, ნადირობის მშვიდობიანად დასრულების, არაბეთის სპასპეტის ძლევათმოსილი მომავალი გამარჯვების მაცნე და სიმბოლიოა.

საინტერესოდ მსჯელობს ვიკტორ ნოზაძე „ყმა ჭარმაგოსანზე“. ეს სიტყვა მხოლოდ ერთხელ არის გამოყენებული ავტორის მიერ:

„ქვაბისა კარსა ასმათი მარტო ზის, არ-ბარგოსანი,  
შეჰხედნა, იცნა ტარიელ, თანა ყმა ჭარმაგოსანი, –  
ორნივე ტურფად იმღერდეს, ვით იადონი მგოსანი  
მაშინვე იცნა, ავარდა მოშლილი, პერანგოსანი“.

„მაშინვე იცნა“ უნდა გავიგოთ, როგორც მაშინვე მიხვდა ასმათი, რომ კარგად იყო საქმე, რადგან ორივე რაინდი „ტურფად იმღერდნენ“, მანამდე ხომ ტარიელი ქვაბში მუდამ მოტირალი ბრუნდებოდა.

<sup>1</sup> ზ. აბზიანიძე, ქ. ელაშვილი, სიმბოლიოთა ილუსტრირებული ენციკლოპედია, გვ. 123.

<sup>2</sup> ვ. ნოზაძე, თხზულებანი, I, გვ. 92.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 94.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 134-135.

როგორ გავიგოთ „ყმა ჭარმაგოსანი“. ამას ვიკტორ ნოზაძე ასე გვიხსნის: „ჭარმაგ ანუ ჩარმაგ სპარსული სიტყვაა და ნიშნავს თეთრ ცხენს, ანუ უფრო ზუსტად, ჩარმაგი არის ოთხფეხი თეთრი ფერისა, შავად დაწინწკლული... ტარიელის გაცნობის შემდეგ ავთანდილი მისი ჭირის მოზიარება, ამავე დროს იმედიანი თინათინის სიყვარულით. იგი მაინც დამწუხრებულია ნესტანის დაკარგვით. ამიტომ მისი ცხენი არის თეთრი, ოღონდ შავწინწკლებიანი“.<sup>1</sup>

შავტაიჭოსანი გმირის გვერდით თეთრტაიჭოსანის ყოფნა იმის მაუწყებელია, რომ შავად წასული ტარიელის საქმეს „ათეთრებს“ ავთანდილი. მის ჭირში ლხინი შეაქვს, მის მწუხარებასა და სასოწარკვეთილებაში სიხარული და იმედი შეაქვს. მისი „თეთრტაიჭოსნობა“ ასმათისთვისაც იმედის მომცემი და სიხარულის მომნიჭებელია; ასევე „მოწყალებაა ღმრთისა ჩუენით“. ასმათის სიხარული განუზომელია, რადგან მან რაინდებისგან შეიტყო ნესტანის პოვნის ამბავი. როდესაც ნესტანის წერილი (უსტარი) გადასცეს: „გაუკვირდა, ზარმან აიღო, ათროლოებს, ვითა ხელობა“.

ამრიგად, „ვეფხისტყაოსნის“ შავი და თეთრი ფერები ტარიელისა და ავთანდილის ცხენების ეპითეტები როდია მხოლოდ, არამედ სიმბოლურ-მეტაფორული შინაარსის მტვირთველნი არიან. ცხენების ფერების სიმბოლურ-ალეგორიულ გამოხატულებას პირველად ბიბლიაში ვეცნობით (ზაქარია წინასწარმეტყველი, იოანეს გამოცხადება): თეთრი, შავი, წითელი, ჭრელი, მწვანე ცხენი.

„ვეფხისტყაოსანში“ ფიგურირებს ტარიელის შავი ცხენი და ავთანდილის თეთრი ცხენი. ცხენთა ფერები მათივე პატრონების სულიერი განწყობილების გამომსახველი არ არის, როგორც ამას ფიქრობდა ვიკტორ ნოზაძე. ტარიელის შავი ცხენი ფონის შემქმნელია იმის მისახვედრად, თუ რა უბედურება ტრიალებს მის თავზე. შავი ცხენი ტარიელის შავი ბედის განმასახიერებელია. რაინდის პირქუშობა და მისი ცხენის სიშავე ავსებს და კრავს ერთმანეთს. ცხენი თავისი სიშავით ველად გაჭრილი გმირის შავი ბედის ეტლშია შებმული.

„ნადირობის ამბავში“ ავთანდილის თეთრ ცხენზე ამხედრება ფონს ქმნის მკითხველის წინაშე მხედრის საგულშემატკივროდ განსაწყობად, წინათგრძნობის განსამტკიცებლად, რომ შეჯიბრება მშვილდოსნობაში მშვიდობიანად დასრულდება, თანაც ავთანდილის ძლევა მოსილი გამარჯვება თეთრად რჩება, მაგრამ ეს სითეთრე შავწინწკლებიანია, რაც იმის განმასახიერებელია, რომ თინათინის მიჯნური ტარიელის ჭირის მოზიარება, ისიც დამწუხრებულია ნესტანის დაკარგვით. ავთანდილის თეთრი ცხენი (თუნდაც შავწინწკლებიანი), აპოკალიფსური სპეტაკი ცხენისა არ იყოს, ძლევის სიმბოლოა. თინათინის მიჯნურმა ცხენის საშუალებით სძლია ყოველგვარ განსაცდელს და ნესტანის სამეზნელად დაწყებული საქმე გამარჯვებით დაავიჯინა.

### *Tite Mosia*

*Sokhumi State University*

## **ONE ASPECT OF COLOR TOPIC IN *THE KNIGHT IN THE TIGER'S SKIN* RESUME**

The work analyzes in the new way the creative function of the colors of horses in Rustaveli's epic poem. Black and white colors are not solely the epithets of Tariel's and Avtandil's horses; but they also carry symbolic-metaphoric meaning. Colors of the horses do not express the spiritual moods of their owners, as it is claimed by certain researchers. Tariel's black horse creates the background for indicating towards the tragedy happening to him. The black horse is the expression of Tariel's black fate. The gloominess of the knight and blackness of his horse fulfill and complement each other.

Avtandil mouting the white horse in the *Hunting Tale* in the poem creates the background to affirm that the archery competition will finish peacefully and with Avtandil's victory. Avtandil's horse color changes slightly after he meets Tariel. It remains white, but with black spots. This indicates that Tinatin's beloved shares Tariel's hardship; he is also saddened by Nestan-Darejan's missing.

Avtandil's white horse (even with black spots), like the Apocalyptic White Horse, is the symbol of victory. It was by help from the horse that Avtandil overcame all the challenges and the mission for saving Nestan was completed by the great victory.

<sup>1</sup> ვ. ნოზაძე, თხზულებანი, I, გვ. 135.

## რელიგიური ცხოვრება ცხინვალში და ქართულ-ოსური ურთიერთობები

ისტორიულად ქ. ცხინვალი ნიქოზელი მღვდელმთავრის იურისდიქციას განეკუთვნებოდა. რუსეთის მიერ საქართველოს პირველი ოკუპაციისა და საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ, ეგზარქოსობის პერიოდში, ადმინისტრაციული დაყოფა შეიცვალა.

რაც შეეხებათ აქ მოღვაწე სასულიერო პირებს, ზოგიერთი მათგანის შესახებ ინფორმაციის მოძიება შესაძლებელია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულ და XVIII საუკუნის ბოლო მეოთხედით დათარიღებულ, ქალაქ ცხინვალისა და მისი მიმდებარე სოფლების აღწერის დავთრებში. ამ დოკუმენტების მიხედვით ცხინვალში სხვადასხვა დროს მოღვაწეობდნენ: მღვდელი ქრისტესია (შედანაშვილი)<sup>1</sup>, მღვდელი იოანე (ცერაძე)<sup>2</sup>, მღვდელი იოსებ (კასრაძე)<sup>3</sup>, ხიზნად მოსული არბოელი მღვდელი გაბრიელ<sup>4</sup> და ა.შ.

სადღეისოდ ჩვენს მიზანს წარმოადგენს მკითხველის ყურადღება მივმართოთ XX საუკუნის ცხინვალის სასულიერო ცხოვრებისკენ. აღებული პერიოდის პირველი წლები ჯერ კიდევ ეგზარქოსობის<sup>5</sup> პერიოდი გახლავთ. პერიოდი, როდესაც მეფის რუსეთის წარმომადგენელი მღვდელმთავარი სრულებით არ არის დაინტერესებული ქართველთა შორის ქრისტიანობის განმტკიცებით, ყოველდღიურ საქმიანობად არის ქცეული მცდელობა წირვა-ლოცვის რუსულ ენაზე დაკანონების, ეპარქიების შემცირების და მრევლში ქრისტიანული ცნობიერების დაკნინების მიზნით.

ამ პერიოდის ცხინვალის სასულიერო ცხოვრებაზე საუბრისას გვერდს ვერ ავუვლით მღვდელ იროდიონ ოქროპირიძის პიროვნებას.

იროდიონ ოქროპირიძე 1859 წელს დაიბადა სოფელ დისევში. აქაური ოქროპირიძეების საგვარეულო სახლმა არაერთი ცნობილი მისიონერი, მღვდელმთავარი და სასულიერო პირი მისცა საქართველოს. მათ ჩამონათვალში ალბათ შემდეგი გვარ-სახელების მოხმობაც იკმარებდა: მღვდელი დავით ოქროპირიძე<sup>6</sup>, წმინდა მღვდელმთავარი ალექსანდრე<sup>7</sup>, ეპისკოპოსი ლეონიდე<sup>8</sup>, ეპისკოპოსი პიროსი<sup>9</sup>, დეკანოზი გაბრიელი<sup>10</sup>, მღვდელი ალექსანდრე<sup>11</sup> და სხვ.

ი. ოქროპირიძე დაიბადა მამა ბესარიონ ოქროპირიძისა და მაკრინე ნათაძის ოჯახში. გორის სასულიერო სემინარიის დასრულების შემდეგ, 1878 წელს, სწავლა განაგრძო თბილისის სასულიერო სემინარიაში და ხუთიოდე წლის შემდეგ (1884) დაასრულა კიდევ პირველი ხარისხის დიპლომით.

მისი დიაკვნად კურთხევა და მღვდლის ხარისხში აყვანა, თითქმის ერთდროულად, სულ რამდენიმე დღის სხვაობით მოხდა. მღვდლად კურთხევისთანავე მამა იროდიონი ერევნის გუბერნიის დაბა იგდირის წმინდა იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ეკლესიის წინამძღვრად იქნა გამწესებული. რამდენიმე

<sup>1</sup> ა. თაბუაშვილი, ქალაქ ცხინვალისა და მისი მიმდებარე სოფლების აღწერის დავთრები (XVIII საუკუნის მეორე ნახევარი), თბილისი 2013, გვ. 54;

<sup>2</sup> იქვე, გვ. 55;

<sup>3</sup> იქვე, გვ. 57;

<sup>4</sup> იქვე, გვ. 64;

<sup>5</sup> ეგზარქოსების საქართველოში მოღვაწეობის ავ-კარგიანობის შესახებ დეტალური ინფორმაციისთვის იხ. ცნობილი რუსი ფილოლოგისა და ისტორიკოსის, არაერთი სახელმძღვანელოს და სამეცნიერო ნაშრომის ავტორის, მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ნ. დურნოვოს საყურადღებო ნაშრომი „ბედი ქართული ეკლესიისა“ (ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხზე), მთარგმნ. გ. ტოტოჩავა, თბილისი 1997; ავტორი იშვიათი გულწრფელობით გადმოსცემს ქართული ეკლესიის იმჟამინდელ ვითარებას, იმ საქმიანობის შუქ-ჩრდილებს, რომელსაც საეგზარქოსო ინსტიტუტი ეწეოდა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. მოცემულ თხზულებაში ავტორი ამჟღავნებს ქართული საეკლესიო ისტორიის ღრმა და საფუძვლიან ცოდნას. სამწუხაროდ ნ. დურნოვო შეიწირა საბჭოთა რუსეთში განვითარებულმა მოვლენებმა 1937 წელს.

<sup>6</sup> მღვდ. დ. ოქროპირიძე მოღვაწეობდა XIX საუკუნის პირველ ნახევარში, ეწეოდა მისიონერულ საქმიანობას.

<sup>7</sup> წმ. მღვდელმთავარი ალექსანდრე ოქროპირიძე სხვადასხვა დროს გახლდათ აფხაზეთის, ქართლ-კახეთის, გურიის და გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი, დავით გარეჯის და შიო მღვიმის მონასტრების წინამძღვარი. ეწეოდა უაღრესად აქტიურ და ნაყოფიერ საზოგადოებრივ და საგანმანათლებლო მოღვაწეობას. გარდაიცვალა 1907 წლის 9 ნოემბერს. 1995 წელს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის წმინდა სინოდმა ეპისკოპოსი ალექსანდრე წმინდანად შერაცხა. მისი ხსენების დღედ დაწესებულია 8 ნოემბერი.

<sup>8</sup> ეპისკოპოსი ლეონიდე - საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი (1861-1921);

<sup>9</sup> ეპისკოპოსი პიროსი (ერში - მათე ოქროპირიძე) ოქროპირიძე (1874-1922);

<sup>10</sup> დეკანოზი გაბრიელ ოქროპირიძე (1824-1904);

<sup>11</sup> მღვდელი ალექსანდრე ოქროპირიძე (1879-1959);

წლის თავდაუზოგავი და წარმატებული<sup>1</sup> შრომის შემდეგ, მღვდელ-მონაზონ ლეონიდეს თხოვნით, მამა იროდიონი საინგილოში, კახის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი ხდება.

1904 წლის მარტის დამდეგს<sup>2</sup> მამა იროდიონი ცხინვალის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ეკლესიის წინამძღვრად იქნა გამწესებული. ამ პერიოდში ცხინვალის წმინდა ქართულ დასახლებას წარმოადგენს გარკვეული რაოდენობის სომეხი, ებრაელი და ორიოდე ოსი ეროვნების ოჯახის ჩათვლით. იქვე, ტაძრის გვერდით დაბინავებული მოძღვრის სახლი იმ პერიოდის ცხინვალის რეგიონის ინტელიგენციის საუკეთესო თავშეყრის ადგილად იქცა. ი. ოქროპირიძის ქალიშვილის, ქეთევან ოქროპირიძე-მეგრელიძის სიტყვით: „მამინ ცხინვალის აყვავებულ ბაღს ჰგავდა და გამორჩეული ინტელიგენცია ჰყავდა. ჩვენს სტუმართმოყვარე ოჯახში ხშირად იკრიბებოდნენ სოფრომ მგალობლიშვილი, ანტონ ფურცელაძე, დავით კასრაძე, ნიკო ლომოური. ცხინვალშივე იზრდებოდა, ისიც მღვდლის, ვასილ ხიდაშელის ოჯახში მომავალი აკადემიკოსი შალვა ხიდაშელი<sup>3</sup>. ცხინვალში მამინ სასტუმრო არ იყო და აქ ჩამოსული ყველა გამორჩეული პიროვნება, კათალიკოსი (იგულისხმება ეგზარქოსი - ა.მ.) იქნებოდა იგი, გუბერნატორი თუ სკოლების ინსპექტორი, ყოველთვის ჩვენთან ჩერდებოდნენ და იყო გაუთავებელი სტუმრიანობა ჩვენს სახლში“.<sup>4</sup>

ზემოთ ჩამოთვლილ პირთაგან მამა იროდიონს განსაკუთრებით თბილი ურთიერთობა აკავშირებდა ანტონ ფურცელაძესთან. ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესო დეტალია დაცული სოფრომ მგალობლიშვილის მოგონებებში: „მახსოვს, - ამბობს იროდიონ ოქროპირიძე სიტყვაში ანტონის დასაფლავების დროს, - რანაირ გატაცებულნი ვიყავით „თამარ ღაზნელით“, როგორ მოუთმენლად ველოდით „იმედის“<sup>5</sup> გამოსვლას, რა გატაცებით ვკითხულობდით, ცრემლმორეულნი სმენად ვიყავით გადაქცეულნი...“

მახსოვს, განსვენებულს სემინარიელებმა ვერცხლის კალამი მივართვით გრომობით მოგროვილი ფულით შემენილი...<sup>6</sup>

ი. ოქროპირიძის ანტ. ფურცელაძესთან ურთიერთობის თემა სხვა მკვლევარებსაც წამოუწვიათ წინა პლანზე.

საკუთარი დაკრძალვის ცერემონია ანტ. ფურცელაძეს ძალზე სადად წარმოედგინა გვირგვინების და წარმოსათქმელი სიტყვების გარეშე, თუმცა დაკრძალვის დღეს ვერ მოუთმენია მამა იროდიონს და ვრცელი სიტყვა წარმოუთქვამს<sup>7</sup>. სოფელ მერეთში, დაკრძალვის დღეს, წარმოთქმული სიტყვა მოიძია და მომდევნო წელს წიგნად გამოსცა ცნობილმა მოღვაწემ და გამომცემელმა ზაქარია ჭიჭინაძემ.<sup>8</sup>

1904 წელს ცხინვალის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ეკლესიის წინამძღვრად გამწესებასთან ერთად იროდიონ ოქროპირიძე გორის მაზრის III ოლქის მთავარხუცესად იქნა არჩეული. იმავე წელს<sup>9</sup> ებოძა კამილაკა<sup>10</sup> და დაინიშნა გორის მაზრის სამრევლო-საეკლესიო სკოლების ზედამხედველად.

მამა იროდიონის ბიოგრაფიაში საგულისხმო დეტალს წარმოადგენს მრავლობითი მცდელობები ქართულ-ოსური, პერმანენტულად დაძაბული, ურთიერთობის დასარეგულირებლად. პირდაპირი დიალოგის, ქადაგებების თუ სხვადასხვა შეხვედრების ორგანიზებით იგი ცდილობს წინ აღუდგეს და შეძლებისდაგვარად გაანეიტრალოს ორ ხალხს შორის არსებული დაძაბულობის მუხტი.

<sup>1</sup> მღვდელი ი. ოქროპირიძე 1889 წელს დაჯილდოვდა საგვერდულით, ხოლო 1897 წლის აღდგომა დღეს დაჯილდოვდა სკუფით.

<sup>2</sup> ეს გახლავთ ეგზარქოს ალექსი I (ოპოცკის) პერიოდი (1901-1905). ეგზარქოს ვლადიმერის შემდეგ საქართველოს ეგზარქოსად გამწესებული ალექსი I თანამედროვეთა მიერ ხასიათდება, როგორც კეთილი, გულისხმიერი, უბრალო, ყაირათიანი, მკვირცხლი და ენერგიული ადამიანი. მის სახელს უკავშირდება დეკანოზ ივანე ვოსტორგოვის სახელის ამოტივტივება, რომელიც მალე ეგზარქოსის მარჯვენა ხელად იქცა.

<sup>3</sup> აკადემიკოს შალვა ხიდაშელის შესახებ იხ. ალ. მღებრიშვილი, ცხინვალის ლიტერატურული და კულტურული ცხოვრების ისტორია, თბილისი 2011;

<sup>4</sup> ჟურნ. „საპატრიარქოს უწყებანი“, 2010, №16, გვ. 19;

<sup>5</sup> ჟურნ. „იმედი“ - ხალხსწერი მიმართულების ქართული ყოველკვირეული ლიტერატურული და პოლიტიკური პერიოდული გამოცემა. გამოდიოდა თბილისში 1881-1883 წლებში (რედაქტორი და გამომცემელი მიხეილ გურგენიძე), გამოიცა 29 ნომერი (22 წიგნად).

<sup>6</sup> ს. მგალობლიშვილი, მოგონებანი (ლ. ასათიანის წინასიტყვაობით, რედაქციითა და შენიშვნებით), ტფილისი, 1938, გვ. 210;

<sup>7</sup> მ. ჩხიკვაძე, ანტონ ფურცელაძე რელიგიის შესახებ, ჟურნ. „ჟურნალისტური მიეზანი“, თბილისი, 2008, ტ. XI, გვ. 138;

<sup>8</sup> ანტონ ნიკოლოზის ძე ფურცელაძე (1837-1913), შერევილი და გამოცემული ზ. ჭიჭინაძისაგან, ტფილისი, 1914, გვ. 47;

<sup>9</sup> 1904 წლის 6 მაისს.

<sup>10</sup> მეწამული ფერის სამღვდლო კუნკული.

როგორც ზ. ოქროპირიძე მიუთითებს, ერთ-ერთი უკიდურესად დამაბული სიტუაციის დროს დეკანოზმა იროდიონმა სიფრთხილით მოუწოდა ოსებს: „ჩვენ ქართველებს და ოსებს თითქმის ათასი წელიწადი ტკბილი მეზობლობა გვქონდა... ბევრს ქართველსა და ოსს ერთი ძუძუ უწოვია... თუ აქამდე საქართველოს მიწა-წყალზე ხიზნებად ითვლებოდით, ახლა მიწა-წყალი საკუთრებად გეძღვევით... არც სალდათად გაჰყავხართ და ბევრით თავისუფლები ხართ ქართველებზე. ახლა სიკეთისა და მადლობის მაგივრად თქვენ მოღალატეობას აპირებთ... იმახით, რომ მცხეთამდე უნდა დავიჭიროთ... ქართველობაც თუ გაცხარდა ცუდ საქმეს გიზავთ ამ მოღალატეობისთვის...“<sup>1</sup>

ირ. ოქროპირიძე საკუთარ ჩანაწერებში დეტალურად აღწერს საუკუნის დასაწყისის ცხინვალს. ობიექტური მემატიაანის თვალთვალთ ჰვრეტს იქ არსებული ვითარების დეტალებს. იგი არა მხოლოდ აღმწერი და მემატიაანეა, არამედ უშუალოდ დგას განვითარებული მოვლენების ფერხულში და ადგილზე არსებული რთული ვითარების თანამონაწილეა. ამ სიტყვების თქმისას ძირითადად ვგულისხმობთ 1920 წელს სეპარატისტულად განწყობილ ოსთა დაჯგუფებების მიერ „როკის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის“ გამოცხადების მცდელობის ფაქტს. საქართველოს პირველი დემოკრატიული ხელისუფლების არაერთჯერადი გაფრთხილების მიუხედავად, ამზობებულ ოსთა რაზმები არბევდნენ და მარცვავდნენ ცხინვალის მოსახლეობას, პირადი შეხედულებებით ატყვევებდნენ ადამიანებს. დატყვევებულთა ერთ ჯგუფში აღმოჩნდა იროდიონ ოქროპირიძეც, რომელიც სხვათა გვერდით გაუყენეს გზას ფეხით ვლადიკავკაზისკენ.

საკუთარ ჩანაწერებში მამა იროდიონი იუველირის სიზუსტით მოგვითხრობს ამ ფაქტის შესახებ. აქ ნაჩვენებია სეპარატისტთა სახეებიც და დახმარების სურვილით სავსე მადლიერ ნაცნობ ოსთა პორტრეტებიც. ავტორი გვიჩვენებს მკაცრ რეალობასაც და იმ ადამიანებსაც, რომლებიც ყოველმხრივ ცდილობდნენ დახმარებოდნენ და შეწოდნენ ტყვეებს.<sup>2</sup>

საგულისხმოა, რომ საქართველოს იმჟამინდელი ხელისუფლების ძალისხმევით მოხერხდა უდანაშაულოდ დატყვევებული მოქალაქეების გათავისუფლება და საქართველოში დაბრუნება. იმავე დღეებში გაზ. „ერთობაში“ მოთავსებული საგაზეთო სტრიქონებით მამა იროდიონი ცდილობს მადლიერება გამოხატოს არსებული ხელისუფლების, ნაცნობ-მეგობრების და ყველა გულისხმიერი ადამიანის მისამართით, ვინც გარკვეული წვლილი შეიტანა ტყვეთა გათავისუფლების საქმეში. იგი წერდა: „ჩვენ ოსების ტყვეობიდან დაბრუნებულნი: აფიცრები, გვარდიელები, დეკ. ირ. ოქროპირიძე, მილიციელები და კერძო პირნი, სულ 354 კაცი, გულითადად მადლობას ვუძღვნით კავკავში მცხოვრებ ქართველობას, მათ სახელოვან ეროვნულ საბჭოს იმ განუსაზღვრელ შრომისა და გულშემატკივრობისათვის, რომელიც მათ გაწიეს ჩვენი ტყვეობიდან დახსნა-პატრონობაში. ჩვენი ხსოვნიდან ამოუშლელად დარჩება ხსოვნა და პატივისცემა მღვდ. გიორგი ნათაძისა<sup>3</sup> (საბჭოს თავმჯდომარეა), მარიამ ოქროპირიძე - ცაბოლოვისა და სხვების, რომელნიც დახმარებას გვიწვევდნენ ერთი კვირის განმავლობაში. ნამეტნავად დიდი ღვაწლი დაგვდო საბჭოს თავმჯდომარემ და კონსულის მოადგილემ მღ. გიორგი ნათაძემ, რომელიც კონსულის მაგივრობის გარდა მდივნობასაც ასრულებდა, რადგან ორივე ქ. თბილისში წასულიყვნენ და მთელი მძიმე ტვირთი მიწერ-მოწერისა,- ჩრეზვიჩაიკა რეკომებში მთელი კვირის განმავლობაში მისვლა-მოსვლისა და მოლაპარაკებისა დააწვა მღ. გიორგი ნათაძეს. გულითად მადლობას ვუძღვნით აგრეთვე არდონის მღვდელს ნიკოლოზ იტონიევს ოჯახობით, რომელიც დიდი გულშემატკივრობითა და დიდი მასპინძლობით გვინახავდა ხუთ კაცს ტყვეებს მთელი ერთი კვირის განმავლობაში და ალაგირში მცხოვრებ გაბო კოჩიევს ოჯახობით, რომელმაც თბილი გრძობითა და პურმარლით გაგვამხნევა ტანჯული ტყვეების ერთი ჯგუფი. უადრეს მადლობას ვუძღვნით ჩვენი რესპუბლიკის მთავრობას და მის გამომგზავნილ პოლკოვნიკ ავქსენტი აბესაძეს<sup>4</sup> იმ მოშლიურ გრძობა-მზრუნველობისთვის, რომელიც გაგვიწიეს ტყვეობიდან დახსნა-მგზავრობაში“.<sup>1</sup>

<sup>1</sup> ზ. ოქროპირიძე, ქართველი მისიონერები (ოქროპირიძეები) და ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური ურთიერთობები, ჟურნ. „ლიახვის ხეობა“, 2012, №3, გვ. 24;

<sup>2</sup> ი. ოქროპირიძე, უღელტეხილზე, ჟურნ. „ლიახვი“, თბილისი, 1968, გვ. 131;

<sup>3</sup> გიორგი ნათაძე (1870-1946) დაიბადა სოფელ მერეთში. სწავლობდა თბილისის სასულიერო სემინარიაში, რომლის წარმატებით დასრულების შემდეგ მასწავლებლად მუშაობს გორის მაზრის სოფ. ალში, სოფ. სტეფანწმინდაში, თბილისის მაზრის სოფ. პანკისში, ხოლო 1898 წლიდან კავკავის ქართული სკოლის მასწავლებლად. პარალელურად იგი იწყებს მოღვაწეობას ამავე სკოლასთან არსებული ქართული ეკლესიის მოძღვრად. აქტიურად თანამშრომლობდა ილია ჭავჭავაძის „ივერიაში“, ჟურნ. „მოამბეში“ და ა.შ. აქტიურ მონაწილეობას იღებდა საგანმანათლებლო საქმიანობაში, სცენისმოყვარეთა წრის შექმნაში, წარმოდგენების მოწყობაში. იგი გახლდათ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ კავკავის განყოფილების მდივანი. 1933 წელს დაბრუნდა თბილისში, მუშაობდა სახელმწიფო მუზეუმის მეცნიერ-მუშაკად, ლიტერატურის მუზეუმში - მთავარ შემნახველად. გარდაიცვალა 1946 წელს.

<sup>4</sup> ავქსენტი აბესაძე დაიბადა 1875 წელს გორის მაზრაში. მონაწილეობდა ბრძოლაში საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღსადგენად, მათ შორის ყველაზე მასშტაბურ საყოველთაო-სახალხო შეიარაღ-

1905 წლის 3 თებერვალს მღვდელი იროდიონ ოქროპირიძე დაჯილდოვდა წმინდა ანას III ხარისხის ორდენით, 1908 წლის 15 მაისს სამკერდე ოქროს ჯვრით, ხოლო 1915 წლის 24 ივნისს სიონის საკათედრო ტაძარში გაიმართა მისთვის დეკანოზის წოდების მინიჭების ცერემონიალი. ეკლესიისადმი ერთგული სამსახურის ნიშნად მამა იროდიონის დეკანოზად ხელდასხმის ცერემონიალს უძღვებოდა საქართველოს ეგზარქოსი პიტირიძე.<sup>2</sup>

დეკანოზ იროდიონ ოქროპირიძის პორტრეტს საგულისხმო შტრიხს სძენს მისი აქტიური ჩართულობა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისთვის ბრძოლაში. პროგრესული საზოგადოება, მათ შორის ქართველი სასულიერო ფენის უდიდესი ნაწილი ავტოკეფალიის მოპოვებაში ხედავდა სამშობლოს თავისუფლებისათვის გადადგმულ ნაბიჯს და ყოველგვარ ღონეს ხმარობდა ხელისუფლებისთვის წინააღმდეგობის გასაწევად.

ამას განაპირობებდა ეგზარქოსობის პერიოდის ქართული ეკლესიის სახელმწიფო ჩინოვნიკად ქცევის მცდელობა. რუსული ბიუროკრატიული სასულიერო მანქანის ყოველდღიურობა და სასულიერო ისტორიული წარსულის უგულვებლყოფა, მაშინ, როდესაც ქართველი სამღვდელოება ეკლესიის იდეალს მის ისტორიულ წიაღში ეძიებდა, ხელს უწყობდა სამღვდელოების საზოგადოებრივი ავტორიტეტის შელახვას.

ქართველ სასულიერო პირთა მოთხოვნებს ხელისუფლება სასტიკ რეპრესიებს უპირისპირებდა. ამ მიმართულებით გატარებულ სადამსჯელო ღონისძიებებთან საგულისხმოა 1905 წლის 31 მაისის მოვლენები, როდესაც სამართალდამცავების მიერ, მათრახების გამოყენებით, სასტიკად იქნა დარბეული ქართული სამღვდელოების ყრილობა.

მომხდარი ფაქტი გააპროტესტა არა მარტო ქართველმა, არამედ რუსეთის, აზერბაიჯანის, და სხვა ქვეყნების საზოგადოებრიობის პროგრესულმა ნაწილმა. განვითარებულმა მოვლენებმა შეიწირა ეგზარქოს ალექსის სავარძელი. ეგზარქოსი და სემინარიის რექტორი ნიკანდრი გაწვეულ იქნენ საქართველოდან.

საუკუნის დასაწყისში ჩვენში მიმდინარე პროცესებმა წმინდა სინოდი აიძულა ემსჯელა ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხებზე და გარკვეულწილად კომპრომისული გადაწყვეტილება მიეღო.

„1905 წლის ზაფხულში შეიქმნა „საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის აღმდგენელი ძმობა“, რომელიც იმავე წლის 10 აგვისტოთი დათარიღებული მიმართვით სამღვდელოებას მოუწოდებდა, ღვთისმსახურების დროს არ მოეხსენიებინათ ეგზარქოსი, შეეწყვიტათ ყოველგვარი ურთიერთობა ეგზარქოსის კანცელარიასთან და სინოდალურ კანტორასთან... იმავე წელს 16 ნოემბერს ქართველმა მღვდელმთავრებმა - იმერეთის ეპისკოპოსმა ლეონიდე, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა გიორგიმ, გორის ეპისკოპოსმა ექვთიმემ და ალავერდის ეპისკოპოსმა პეტრემ საქართველოს ეგზარქოსს განცხადება წარუდგინეს, სადაც ითხოვდნენ, სინოდს დაუყოვნებლივ დაეკმაყოფილებინა ქართველი სამღვდელოების სამართლიანი მოთხოვნა, წინააღმდეგ შემთხვევაში კათალიკოსის მთავრობის დაუკითხავად ამორჩევით იმუქრებოდნენ“.<sup>3</sup>

ეგზარქოს ნიკოლოზის<sup>4</sup> წასვლის შემდეგ ქართველი სამღვდელოების ბრძოლა ავტოკეფალიისთვის ბრძოლაში განსაკუთრებულ ფაზაში გადავიდა. ქართველი სასულიერო და საერო მოღვაწეების მცდელობები უშედეგო აღმოჩნდა. წმინდა სინოდისთვის ქართველთა მიერ პროტესტის და წინააღმდეგობების მიუხედავად რუსმა მღვდელმთავრებმა მიიღეს ახალი ეგზარქოსის დანიშვნის გადაწყვეტილება. საქართველოს ახალი ეგზარქოსის მანტიით და გაძლიერებულნი დაცვის თანხლებით ეწვია ნიკონი.<sup>5</sup>

---

ბულ გამოსვლებში, რომელიც ცნობილია 1924 წლის აგვისტოს აჯანყების სახელით. 1924 წლის აჯანყებაში მონაწილეობისთვის დახვრეტილ იქნა საბჭოთა ხელისუფლების მიერ (01. 09. 1924).

<sup>1</sup> გაზ. „ერთობა“, 1920, №157 (ოსების ტყვეობიდან), გვ. 3;

<sup>2</sup> არქივეპისკოპოსი პიტირიძე ოკნოვი (1914-1915) - თანამედროვეთა გადმოცემით პირმოთნე და ორპირი ადამიანი, რომელიც ცდილობდა ქართულ ენაზე საუბარს და წირვის აღვლენას ქართველი ინტელიგენციის გულის მოსაგებად. აცხადებდა, რომ მხარს უჭერდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის დაბრუნებას თუ მეუფე ლეონიდე არ იქნებოდა წინააღმდეგი. იგი 1915 წლის 23 ნოემბერს ინიშნება პეტროგრადისა და ლადოგის მიტროპოლიტად. დაახლოებული იყო იმპერატორის ოჯახთან, წარჩინებულ მოხელეებთან და ცნობილ გრიგორი რასპუტინთან.

<sup>3</sup> გაზ. „საპატრიარქოს უწყებანი“, 2005, №27, 28, 29 (შ. ჯაფარიძე, ქართველი სამღვდელოება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის ბრძოლაში (1905-1907 წ.წ.);

<sup>4</sup> ნიკოლოზ ნალიმოვი (1905-1906) თითქმის ხუთი წლის მანძილზე პეტერბურგის ქორეპისკოპოსიდან გახდა სარატოვის ეპისკოპოსი, ფინეთის მთავარეპისკოპოსი, ტვერის მთავარეპისკოპოსი და ბოლოს საქართველოს ეგზარქოსი. 53 წლის ეგზარქოსმა შთაბეჭდილება ვერ მოახდინა. 1906 წლის 9 ივნისს იმპერატორის ბრძანებით მთავარეპისკოპოსი ნიკოლოზი გამწესებულ იქნა რუსეთში.

<sup>5</sup> ნიკონი სოფისკი (1906-1908) - ქართველმა სამღვდელოებამ მას ბოიკოტი გამოუცხადა და არ დახვდა დადგენილ წესის მიხედვით. ახალ ეგზარქოსთან შეხვედრას ესწრებოდა მხოლოდ რუსი სამღვდელოება და სამოხელეო აპარატი.

ჩამოსვლისთანავე, 2 აგვისტოს სიონის საკათედრო ტაძარში ახალი ეგზარქოსის მიერ წარმოთქმულ სიტყვას ქართველი სასულიერო დასი არ დასწრებია. ქართველმა სამღვდლოებამ ბოიკოტი გამოაცხადა.

ნიკონის მკვლევლობის შემდეგ ხელისუფლება უმკაცრეს ზომებს მიმართავდა. სადამსჯელო ღონისძიებები შეეხო ეპისკოპოსებს: კირიონს, ლეონიდეს, ამბროსი ხელაიას, დეკანოზ კორნელი კეკელიძეს და სხვებს.

ზემოხსენებული მოვლენების ეპიცენტრში ტრიალებდა დეკანოზი იროდიონ ოქროპირიძე. იგი ნიჭიერი მემუარისტის თვალთ აკვირდება ქართულ ეკლესიაში 1905 წლიდან მიმდინარე მოვლენებს და საინტერესოდ ინიშნავს განსაკუთრებული მნიშვნელობის დეტალებს.<sup>1</sup>

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღსადგენად ბრძოლა არც მომდევნო წლებში განელეზულა.

აქვე დავძენთ, რომ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში 1921 წლის 25 თებერვალს შემოჭრილ წითელ ქარბორბალას ფეხდაფეხ მოჰყვა ვითარების რადიკალური შეცვლა და საბჭოური რეპრესიული პოლიტიკა. ახალი იდეოლოგიის ძალადობრივი მანქანა საგულდაგულოდ შეუდგა სასულიერო ცხოვრების ძირფესვიანად ამოძირკვას. ახალი წესრიგის განუკითხაობასა და ტერორში ფიზიკურად განადგურდა უამრავი სასულიერო პირი. ფიზიკური გადარჩენის მცირეოდენი შანსი ეძლეოდათ სულიერად და მორალურად გატეხილთ, მათ, ვინც უარს იტყოდა ღვთისმსახურებაზე და პროლეტარიატის დიდ ოჯახში დაიდებდა ბინას.

ასეთ გაუსადმის პირობებში განაგრძობდა მამა იროდიონი საეკლესიო მსახურებას. მას არ მიუტოვებია ცხინვალის ტაძარი, ვიდრე იძულებით არ დაატოვებინეს მშობლიური ქალაქი და სახლ-კარი. ამ ვანდალური აქტის შემდეგ დეკანოზი იროდიონი უბრუნდება საკუთარ სახლს სოფელ დისევში და ახლა იქ განაგრძობს მრევლზე მზრუნველობას. ახალი დროების ჯალათებმა ვერც რამდენჯერმე დაპატიმრებით და მრავლობითი შეურაცხყოფებით მოახერხეს მცოვანი მოღვაწის გატეხვა.

1928 წლის თითქმის ერთწლიანმა პატიმრობამ საფუძვლიანად შეარყია მამა იროდიონის ჯანმრთელობა. სიცოცხლის ბოლო წლები კიდევ უფრო ტრაგიკული აღმოჩნდა მისთვის, ზამთარში აივანზე გამოსახლებულ მძიმედ დაავადებულ მოძღვარს ჯერ სახლი დაუღუქეს, ხოლო შემდეგ თვალწინ დაუწვეს მის მფლობელობაში არსებული და ცხინვალის ტაძრიდან გადარჩენილი ყველა საეკლესიო საბუთი, სურათი, ფოტო და ხატი, ხოლო დარჩენილი ქონება მეზობლებს გადასცეს.

ამ დღეების შემდეგ მამა იროდიონ ოქროპირიძეს დიდხანს აღარ უცოცხლია. მძიმე ავადმყოფობის შემდეგ იგი 1933 წელს გარდაიცვალა. დაკრძალულია მშობლიური სოფლის (დისევის) საგვარეულო სასაფლაოზე.

\*\*\*

საგულისხმოა, რომ მამა იროდიონის გარდაცვალების შემდეგ ცხინვალში სასულიერო ცხოვრება ფაქტობრივად შეწყდა.

XX საუკუნის 80-იანი წლებიდან ცხინვალის წილკნის ეპარქიაში შედიოდა. სწორედ ამ დროს გადაწყდა ცხინვალის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძრის ამოქმედება (30-იან წლებში გაუქმების შემდეგ იგი სამხრეთ ოსეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის საწყობად იყო ქცეული). საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II ლოცვა-კურთხევით დაიწყო სარესტავრაციო სამუშაოები. 1990 წელს ტაძარი აკურთხა წილკნელმა ეპისკოპოსმა ზოსიმემ. იმავე წლის 28 აგვისტოს ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაულზე საზეიმო ლიტურდია აღევლინა. ქართულ ღვთისმსახურებას დეკანოზი რომანოზ კასრაძე აღასრულებდა. სამწუხაროდ, ამ მსახურებამ მხოლოდ რამდენიმე თვეს გასტანა, ვინაიდან 1991 წლის 6 იანვრიდან ცხინვალის საომარი მოქმედებების ზონად გადაიქცა.

---

დადიოდა ბადრაგის თანხლებით. ხშირ შემთხვევაში ღვთისმსახურებას ასრულებდა სახლის სამლოცველოში. ისევე, როგორც წინა პერიოდებში ნიკონის მმართველობის წლებშიც იკრძალებოდა ქართულ ენაზე წირვა-ლოცვის აღსრულება. მან ჩამოაქვეითა ეპისკოპოსი კირიონი, დევნიდა პროგრესულად მოაზროვნე სასულიერო პირებს. 1908 წლის 28 მაისს სინოდის კანტორის შესასვლელთან, კიბეზე ნიკონი მოკლულ იქნა რამდენიმე გასროლით. მიუხედავად იმისა, რომ დამნაშავეს პოვნა ვერ მოხერხდა, ხელისუფლების მიერ გატარდა რეპრესიული ღონისძიებები. რუსეთში გადაასახლეს არქიმანდრიტი ამბროსი ხელაია, ეჭვი მიიტანეს ეპისკოპოს კირიონზეც, თუმცა დანაშაული გაუხსნელი დარჩა. (ეგზარქოს ნიკონის მკვლევლობის შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის იხ.

( ) (1908-1913), - 2016/შემდგ. ჯ. გამახარია, ტ. ეროხინა);

<sup>1</sup> აღნიშნული ტექსტის ორი განსხვავებული ვარიანტი დაბეჭდილია: ა) ჟურნ. „ლიახვი“ (ბ. ლომინაძის რედაქციით), თბილისი, 1966, გვ. 109; ბ) ჟურნ. „მნათობი“ (გ. გოჩიტაშვილის რედაქციით), თბილისი, 1990, №9, გვ. 140;



### ლიტერატურა:

1. ანტონ ნიკოლოზის ძე ფურცელაძე (1837-1913), შვირთხილი და გამოცემული ზ. ჭიჭინაძისაგან, ტფილისი, 1914;
2. გაზ. „ერთობა“, 1920, №157 (ოსების ტყვეობიდან), გვ. 3;
3. გაზ. „საპატრიარქოს უწყებანი“, 2005, №27, 28, 29 (შ. ჯაფარიძე, ქართველი სამღვდლოება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის ბრძოლაში (1905-1907 წ.წ.);
4. ნ. დურნოვო, ბედი ქართული ეკლესიისა (ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხზე), მთარგმნ. გ. ტოტოჩავა, თბილისი, 1997;
5. ა. თაბუაშვილი, ქალაქ ცხინვალისა და მისი მიმდებარე სოფლების აღწერის დავთრები (XVIII საუკუნის მეორე ნახევარი), თბილისი, 2013;
6. ს. მგალობლიშვილი, მოგონებანი (ლ. ასათიანის წინასიტყვაობით, რედაქციითა და შენიშვნებით), ტფილისი, 1938;
7. ალ. მღებრიშვილი, ცხინვალის ლიტერატურული და კულტურული ცხოვრების ისტორია, თბილისი, 2011;
8. ზ. ოქროპირიძე, ქართველი მისიოერები (ოქროპირიძეები) და ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური ურთიერთობები, ჟურნ. „ლიახვის ხეობა“, 2012, №3, გვ. 24;
9. ი. ოქროპირიძე, უღელტეხილზე, ჟურნ. „ლიახვი“, თბილისი, 1968, გვ. 131;
10. ჟურნ. „საპატრიარქოს უწყებანი“, 2010, №16, გვ. 19;
11. ჟურნ. „ლიახვი“ (ბ. ლომინაძის რედაქციით), თბილისი, 1966, გვ. 109;
12. ჟურნ. „მნათობი“ (გ. გოჩიტაშვილის რედაქციით), თბილისი, 1990, №9, გვ. 140;
13. მ. ჩხიკვაძე, ანტონ ფურცელაძე რელიგიის შესახებ, ჟურნ. „ჟურნალისტური ძიებანი“, თბილისი, 2008, ტ. XI, გვ. 138;
14. ( )  
(1908-1913), - 2016/შემდგ. ჯ. გამახარია, ტ. ეროხინა.

*Aleksandre Mghebrishvili*

*Gori State Teaching University*

### **RELIGIOUS LIFE IN TSKHINVALI AND GEORGIAN – OSSETIAN RELATIONS RESUME**

Historically, the town of Tskhinvali was under the Nikozi High Priest jurisdiction. After the first occupation of Georgia by Russia and the abolishing of autocephaly of Georgian Orthodox Church, in the period of Exarchy, the administrative division changed.

Presently, our aim is to draw the reader`s attention to the ecclesiastical life of Tskhinvali of the XX century. The first years of the mentioned period are still the years of the Exarchy period. It is the period when the representative of the Czarist Russia, the High Priest, was not interested at all in strengthening the Christianity among the Georgians; their everyday business was the attempt to legalize the service in Russian, to reduce the number of Eparchies and to abase the Christian awareness among the parish.

While speaking about the ecclesiastical life of Tskhinvali of that period, we cannot but mention the personality of the priest Irodion Okropiridze.

At the beginning of March, 1904, Father Irodion was appointed to serve as a Pastor at the Church of the Assumption of the Blessed Virgin Mary. Tskhinvali of the mentioned period represented a purely Georgian settlement, with certain number of Armenians, Jews and a few Ossetian families.

The noteworthy detail in the biography of Father Irodion is the fact that he had multiple attempts to settle Georgian – Ossetian relations, that were of permanently tense character. By means of the direct dialogue, preaching and by the organization of different meetings, he tried to confront and, as far as it was possible, to neutralize the existing tense situation between the two nations.

In his notes, Irodion Okropiridze thoroughly describes Tskhinvali in the beginning of the century. He notices the details of the existing situation with the view of the objective historian. He is not only the descriptor and the historian, but he is directly at the center of events and is the participant of the difficult situation.

Another important touch to the portrait of the Archpriest Irodion Okropiridze is put by the active involvement in the struggle to restore the autocephaly of the Georgian Church. The progressive society, the better part of the Georgian ecclesiastical layer as well, considered the fact of regaining autocephaly to be a step forward for the freedom of the motherland and made every effort to confront the government.

## THE ORIGIN OF PHRASEOLOGICAL UNITS - NEOLOGISMS IN MODERN ENGLISH

### ABSTRACT

Phraseological units are widely used in many languages. In English, phraseological units are used both in oral speech (colloquial style) and in writing. In written speech, they are used in works of art and journalism. Categorically forbidden phraseological units in scientific articles, technical texts and official documents. But when writing essays, biographical or informative articles, phraseological units are welcomed, because they give the text an emotional color, the identity of the language, and also simply embellish and refresh the text.

As for the emergence of phraseological units, this is happening to this day. They come from various spheres of human life, giving descriptions to new and new phenomena. Given the speed with which humanity develops, the formation of phraseological units also does not make itself wait. Sources of phraseology in modern English can be considered a lot of spheres, but, perhaps, only a few of them can be put on the top positions: politics, military conflicts, sports, technology and science, health and medicine. The phraseological wealth of the English language, which became a reflection of the life of modern man, attracted the attention of domestic linguists. The formation of new phraseological units that come out of the above-mentioned spheres, and their widespread use, served as the basis for determining the relevance of the study.

In the article the reasons of shifting of phraseological units from exactly one area or another, as well as the functional features of modern phraseological units were investigated.

*Key words: phraseological unit, neologism, structure, native PUs, borrowings, lexicology*

The term "phraseology" is derived from the Greek words *phrasis* (speech) and *logos* (doctrine). This term denotes a section of linguistics, which is devoted to the study of phraseological composition of language. The subject of this science are the semantic, morphological and stylistic properties of phraseological units. Phraseology is also called the aggregate of phraseological units (PUs) inherent to an individual language, to any writer or literary work.

Being an independent linguistic discipline, phraseology has not very ancient history. A comprehensive study of the phraseological foundation of various languages is one of the tasks of phraseology as a linguistic science. Such aspects as: the stability of phraseological units, the systematic nature of phraseology and the semantic structure of phraseological units, their origin and basic functions are investigated by this science.

Besides, this science is engaged with the study of primary, original forms and meanings of phraseological units, defining their sources investigating all accessible monuments, identifies the spheres of their use in different epochs of the existence of language. Phraseological units express not only the history of the language, but also mentality of the people, its national character, culture and mode of life. That's way phraseologisms could be called the language universality as they exist in every language. Phraseology is a complex science that requires its own research method and use of data from such sciences as grammar, stylistics, phonetics, language history, regional studies and lexicology [2, p.5]

Most of the phraseological units in English are native English PUs. They are associated with the traditions, customs and beliefs of the English people, as well as historical events and legends played an important role in their formation. Let's have a look up some samples:

1.PUs, which are connected with the English realities. E.g.: *Be born within the sound of Bow bells*. This PU means to be born in London (in the center of London there is the famous church bell Mary-le-Bow) [3, p.213].

2.PUs reflecting the traditions and customs of the English people. E.g.: *Cut somebody off with a shilling* — to deprive smb. of inheritance (the testators often left to disinherited person one shilling as proof that the foreclosure was deliberate). Let's analyze another sample : *Dance attendance on somebody* — "to run after someone", "to be always ready to serve someone", "to walk on hind legs in front of someone" (according to the old English custom at the wedding evening, she should dance with any guest who invited her to the dance). [1, p.36].

3. PUs associated with the names of English writers, scholars, kings, etc. E.g: *Hobson's choice* - forced choice, choice in captivity (named Robson, the owner of a paid stables in Cambridge in the 16th century, which obliged his customers to take only the horse closest to the exit) [3, p.214]. *Queen Anne is dead!* – this phraseological unit is used whenever smb. reports about old news.

4.PUs associated with beliefs. E.g.: *Have kissed the Blarney stone* - to be a flatterer (according to the legend, everyone who kissed a stone in the castle of Blarney in Ireland received the ability of flattering speech) [4,p.183].

5.PUs associated with astrology. E.g.: *Be born under a lucky star*- to be very lucky; *The stars were against it* - the fate itself is against of.

6.According to the number of phraseological units enriching the English language, Shakespeare's works occupy a huge place. Their number is counted over 100 samples. E.g.: *A fool's paradise* ("*Romeo and Juliet*") - a ghostly happiness, a world of fantasy.

7. Phraseologisms of biblical origin often differ in many ways from their biblical prototypes. E.g.: To kill the fatted calf - (to treat the prodigal son), ie, greet the best, and to feed with the best that is in the house. To apple of Sodom - beautiful, but rotten fruit; a deceptive success. The source of several phraseological units is the prayer book ("The Book of Common Prayer"): *for better or for worse*- for joy and sorrow, in happiness and misfortune [5, p.111].

8. Examples of such widely circulated revolutions created by the people are: *In for a penny, in for a pound* – means if you risked a penny, risk a pound, don't be afraid and dare. Or another sample: *Bite off more than one can chew* – put into the mouth more than you can swallow, i.e. to take up an unbearable business, the nut is too tough [3, p.213].

But a large number of English phraseological units were borrowed from the different languages. This connotation may be proved by the following examples:

1. Some Phraseological borrowings were taken from the French language: Castles in Spain - "air locks". This expression is associated with the medieval heroic epic of the Chansons de Geste, where heroes - the knights, received in their possession the castle which had not yet been conquered in Spain [5, p. 167].

2. Phraseological borrowings from the German language are few: blood and iron - merciless use of force - the principle of Bismarck's policy, who sought to unite Germany with the power of Prussian weapons; speech is silver, silence is golden- the proverb first occurs in the works of Thomas Carlyle [4, p.59].

3. In English there are only a few phraseologisms borrowed from the Spanish language: blue blood- denotes aristocratic origin; tilt at windmills – to fight with nonsense as Don-ki Khot [3, p.9-10].

4. From the Dutch language: forlorn hope- 1) a detachment carrying out a dangerous task or doomed to certain death; 2) a hopeless, dirty business.

5. From the Chinese language: lose face - to lose prestige - to be humiliated, dishonored.

6. From the Danish language: an ugly duckling - a man unfairly valued below his merits, manifested unexpectedly for others; Expression was taken from the tale of G. Kh. Andersen about the ugly duckling who grew up and became an excellent swan.

7. From the Russian language: the Sick Man of Europe - "sick man of Europe", so the Tsar Nicholas the I called Turkey in 1853; at present it is concerned to any European country in a difficult economic situation.

8. Phraseologisms, ascending to Arabic literature. From the tales of "Thousand and One Nights" in English came a few expressions: Aladdin's lamp - the magic lamp of Aladdin-talisman, fulfilling all the desires of its owner. With the same fairy tale is connected PU rub the lamp- it is easy to realize one's desire; Alnaschar's dream - empty dreams, fantasies; the old man of the sea - a man who is difficult to get rid of, an obsessive person - a hint of an episode in one of the fairy tales, which tells how Sinbad the seaman could not get rid of the old man sitting on his shoulders [3, p.235].

Sources of borrowing of any phraseologism can not always be determined with sufficient accuracy, since many phraseological units coincide in different languages without any borrowing. The parallel existence of the expressions of the same meaning in different languages can be explained by the generality of the socio-political conditions of life of the peoples speaking these languages, the commonality of customs, traditions and elements of popular wisdom.

PU's must necessarily pass the stage of potential phraseology and it does not depend on the way in which PU arise. Potential phraseological units acquire missing elements of phraseological stability, gradually expanding the scope of their use.

It is not possible to determine exactly when it is not the potential phraseology that turns into the PU. A.V. Kunin distinguishes seven main types of phraseology, depending on the language material that formed the basis of the future PU, preceding the stage of potential phraseology, and the way it is phraseologized, taking into account both linguistic and extralinguistic factors.

But as everything in modern period, English language is also imposed by modern factors. And phraseological units couldn't stay beyond of this. Today phraseological units of the modern world are related not with myths and bible but come from completely different spheres, such as politics, sports, science, technology, military, etc. Sources of modern phraseology are huge. This is due to the rapid growth of the country's potential in various areas.

Phraseological units related to science and innovative technologies take one of the leading places in the UK and in the world. Most of the scientific discoveries and inventions belong to this country. The number of scientific organizations and institutions in here reaches two hundred. Their research and development are recognized all over the world. Many of them publish their periodical scientific publications. There are more than four hundred such publications. The main scientific journals of Britain are the widely known "The Nature", "The British Medical Journal" and "The Lancet." Therefore, it is not surprising that a very large part of neologisms phraseological units are due to a rethinking of any phenomena connected with this sphere. Let's give example of some of the frazeologisms concerned to modern technologies:

1. Hold the wire means "Stay on the wire". The English word "Wire" is taken from the sphere of telephone communications and means "telegraph wire". Using this idiom, a person asks the interlocutor with whom he talks on the phone, wait a bit [7].

2. Silver surfer - an elderly man, keen on the Internet. The literal translation of the expression ("silver surfer") gives us to understand that we are talking about an older man whose whiskey silvered gray. And people at this age who are surfing, just look as unusual as those who in the same years are addicted to the Internet [7].

3. Well-oiled machine - a mechanism that works perfectly (literally "Well-oiled machine"). This work is compared with the work of the device, abundantly lubricated with machine oil [8, Macmillan].

4. Garbage in, garbage out is used in computer jargon with respect to the computer system: if it is delivered poorly, the result will be the same [6, p.112].
  5. Rocket science. The idiom is most often used in the expression "It's not a rocket science". Something simple, elementary is characterized by it. Typically, an idiom is most often used in a negative context.
  6. Hit the airwaves (literally "reach the air"). The expression is applied when someone has got on the radio or television to tell something or share information.  
Note that idioms that are related to technology or science do not directly have the meaning that the constituent words carry. Each of them was formed at a certain moment spontaneously, as a result of analogy and correspondence.
  7. Not rocket science. The expression is applied when something is expressed, for which special knowledge and skill is not required. Translation of "nothing complicated" [6, p.209].
  8. Wikiality (taken from Wikipedia and "reality"). The expression is used to describe a phenomenon whose existence is confirmed by a large number of references to it on the Internet [8, Macmillan]
  9. Password fatigue is used to refer to mental fatigue caused by the need to remember too many passwords.
  10. Girlfriend button (Maiden button). The expression refers to the "pause" button on the game consoles that young people press when their girlfriend wants to talk [7, Oxford].
  11. Technosexual . The expression applies to a person who talks about technical innovations with enthusiasm, which is usually talked about sex [6, p. 367].
  12. . Plane name (Aeromine). The expression denotes a fictitious name, which is called during the air flight (in a situation where familiarity is undesirable) [8, Macmillan].
  13. Text massage (game of the words "massage" and "message"). The expression is used to designate a phone that notifies you of receiving sms in vibrating mode.
  14. Comfort TV (Comfort TV). The expression describes telecasts deprived of intellectual content, the main function of which is to calm [7, Oxford].
  15. Reset generation. The expression is used to describe young people who, in a difficult situation, prefer not to look for solutions, but like in a computer game, press the Reset button and start all over again [8, Macmillan].
  16. Mac nazi (MacNatsi). The expression is used to refer to a person who is obsessed with Apple products.
  17. Playlistism. An expression describing the phenomenon of discrimination based on musical preferences in iTunes and other audio file players [7, Oxford].
  18. CNN effect. The economic recession during the extraordinary events in the world, which leads to mass sitting in front of TVs and viewing news related to this event.
  19. Ctrl-Alt-Delete-expression is used in the meaning of "rethink something, start something again". Used as a noun with the verbs "to hit" and "to press" [8, Macmillan].
- The next no less important sphere of life in Britain is politics. There are PUs in which this integral part of human life is fixed. It is in them that the attitude of the people to those in power is displayed, as well as the general human spirit in political terms, so examples of such expressions are of interest.
1. A political football - Political games. The literal translation of the expression sounds like "Political Football". It is interesting that football is used to describe relations between politicians (not always legitimate). Because in such a game, various behavioral reactions to the field are possible, conducted according to the rules and bypassing them. The so-called parallel between sport and politics was held.
  2. Carrot and stick. If to analyze the initial meaning of idioms, it becomes obvious that the expression is used to refer to political relations, where positive moments alternate with rigid and negative feelings towards the people. As we see, the words used in the idiom are taken from the vocabulary, which was originally related to the animal world.
  3. A dark horse. The expression is used to describe a politician whose views and intentions are not fully understood and transparent. This phraseology has expanded its range, and it is used not only in politics, but also in everyday life.
  4. Snow under - Amer. Fall in the election. Initially, the expression was used in colloquial speech and denoted "to fill up with work". Later in the American English idiom received a different meaning and now characterizes the political forces that failed miserably in the elections by a huge majority [3, Oxford].
  5. Vote of confidence. A purely political idiom, which is used to characterize the electoral system. There is an opposite in meaning of the idiom - A vote of unconfidence (no-confidence vote). Its use is also limited by the political sphere of communication [8, Macmillan].
  6. Proletarian drift . An expression is used to describe the process of mastering by the working class brands that were once associated exclusively with the higher strata of society.
  7. Maverick - expression refers to a politician that does not recognize political control. Samuel A. Maverick (1803-70) is a Texan cattleman who did not stigmatize his cattle, hence the non-stigma calf was called a maverick. With time, the meaning of this word expanded, it was applied to any animal. It has acquired political significance. Now the word maverick means a dissident person [7, Oxford].
  8. Means test-expression means testing the degree of need, a number of criteria for assessing-the right of a person to receive additional government benefits. The first means test was introduced by the British government in 1931 in order to help those who had a term for unemployment benefits expired. Subsequent interviews with the applicants, as well as the strict application of the rules, aroused strong public outrage. The mention of this "test" still has a negative connotation, and these two words are often used by all parties in order to discredit opponents [8, Macmillan].
  9. Play politics-expression applies when it comes to a dishonest political game.

10. Vote with one's feet - leave, thus show your antipathy; "Vote with your feet"

11. Other place, another place- "Another place". In the UK, members of the House of Commons and members of the House of Lords traditionally never call their opponents' chamber in the parliamentary debate the true name. They use the expression the other place or another place. E.g.:I can safely say, Mr Speaker, that there will be considerable opposition to the government's proposals in other place [7, Oxford].

The next layer is military conflicts, weapons and war. The military theme is very tightly integrated into the life of society and is very relevant to this day. In the last century such a tragedy affected every inhabitant of the planet. Later, there were military skirmishes in individual states, so this topic could not ignore the speech of the people. In addition, the British Armed Forces are active and permanent participants in NATO operations and coalition forces in Iraq and Afghanistan. Since the end of the 1990s, the UK has been involved in the regulation of the European Union's foreign and security policy, which means the supply with troops of quite large quantity. This topic is very important for today, therefore its consideration is simply necessary.

1. Cold war –Idiom came into use after the alienation between the US and the USSR, which lasted from 1946 to 1991.

2. Great guns –Quickly, strongly. Used to characterize fast or swift actions.

3. Stick to one's guns - do not give up positions, keep steadfast, do not give up. The meaning of the literal translation does not at all coincide with the meaning of the idiom. Expression is used when it is necessary to say about a person who does not under any circumstances give up positions and stands on his own [6, p. 390].

4. Tug of war - tug of the rope. In English competitions are equated to war: victory is important, not participation.

5. War baby – . War baby is the person who was born during the war.

6. Bite a bullet - to clench your teeth, get together with the spirit, have the courage. In English, the origin of idioms is related to the times of medieval wars, when a patient was given a bullet instead of anesthesia to clench it. Today, an idiom is used when it comes to a complex and unpleasant task that will have to be performed [7, Oxford].

7. Bomber crew. This idiom is used as a cinematic cliché, which is used in films by the crews of World War II planes, which consisted of different people (in appearance, nationality and character). Typically, the genre of the film was comedic [8, Macmillan].

8. Close ranks. The expression was originally used in military terminology. This command meant that you should join each other tightly, so that the attack or defense was more serious and intimidating. In colloquial speech, the idiom is used when the action is made of solidarity.

9. Hatred (originated from combination of the words "hatred" and "patriotism"). The feeling of hatred towards people or phenomena, to which the authorities indicate.

10. Helicopter parents Parents who overprotect their children and seem to be constantly circling over them [8, Macmillan].

11. Dragon's teeth - an expression denoting anti-tank defense, hostile mood.

12. Stellar brothers-expression means "star brothers", cosmonauts.

13. To give a bloody nose-to defeat.

14. Double zero-complete destruction of weapons [7, Oxford].

As a rule, all people, soon or later come into contact with the topic of health and medicine. British medicine has a long history and glorious traditions. The world-famous names of John Parkinson, T. Addison, J. Down, S. Wilson and many others unite around the British crown. According to the World Health Organization, in 2000, according to the level of development of medicine, Great Britain ranked 15th place in Europe and 18th in the world. On the pace of innovation and the level of development of scientific research in the field of medicine, the United Kingdom is consistently among the world's top ten leaders. A huge number of breakthroughs and discoveries in this area belong to Great Britain. That is why it could not be reflected in phraseological expressions.

1. Catch a cold. It becomes clear that item is related to the nature of colds, which often rage in the cold season[7, Oxford]. .

2. Just what the doctor ordered. Such a phrase is used when talking about something suitable at the moment, the most optimal option. After all, the doctor prescribes exactly the drugs that are needed at the moment [8, Macmillan].

3. Fit as a fiddle. It means that smb. is as healthy as an ox. In England the fiddle is considered the most gentle and elegant instrument, therefore, at the slightest of its malfunction, it is impossible to play on it [8, Macmillan].

4. Go down with the disease. Expression is used when describing a poor physical condition caused by an illness. Naturally, if the disease is serious, a person lays more than walks. Just these features are highlighted in this expression [6, p. 178].

5. Be on mend. The person who recovers is "on repair", produced with the help of medicinal procedures [7, Oxford].

6. Have a physical. To pass a physical examination.

7. At death's door- Between life and death. So they say about that person who is very sick and is almost at death.

8. Breathe one's last. – Means to emancipate the spirit. So they say about the man who just passed away[7, Oxford].

9. Persons practicing high risk behavior. The expression characterizes people of antisocial behavior.

10. Cut to the heart- hurt the sick feelings.

Each of us regardless of place of residence, age and sex has a direct or indirect relationship to the sport. Even if we do not deal with it directly, we can just root for some athlete or team, get involved in some sports from a theoretical point of view. Therefore, in each language there are certain stable expressions that cover this topic.

As for the UK, it has spawned a number of major international sports including football, rugby, cricket, golf, tennis, badminton, squash, hockey, boxing, snooker, billiards and curling. It also played a key role in the development of sports such as sailing and Formula 1. In most competitions, individual teams compete for England, Scotland, Wales and Northern Ireland, including at the Commonwealth Games. However, there are cases when a single team stands for the UK, including the Olympic Games, where it is represented by a single team. London was hosted the Olympic Games in 1908 and 1948, and in 2012 it became the first city to host the Olympic Games three times. Let's look at examples of phraseological units that are directly related to sport:

1. Foul play - literally "dirty (unclean) game." Of course, we thus characterize the game where the teams played unfairly, perhaps there was an arrangement. Very often such an expression can be found in football or volleyball [7, Oxford].

2. No sweat. As you know, any physical activity as a result of muscle work causes active sweating. If this did not happen, then it was too easy victory. Of course, we do not use such a statement in the framework of sports subjects, but while comparing phraseological units, we note the similarity of thinking at the level of physiological features of the structure of the body [7, Oxford].

3. Get your skates on. Expression is used when someone wants to hasten a person. Note that in English the word "skates" (skates) is originally used and its value is played out. The people chose it to indicate the need for quick action, because on skates people move much faster than walking.

4. To jump the gun. In England, competitions in jumping and running started after a shot from the signal pistol, and therefore the expression appeared [6, p.376].

5. Also ran - an unsuccessful participant in the competition; a loser who could not stand comparison. In reports on races or races, the names of horses that do not take the prize are listed after the winners. This enumeration begins with the words "also ran" (also participated)

6. Saved by the bell - saved at the last minute due to outside interference. Boxer avoided knockout thanks to the sounded gong [8, Macmillan].

7. Football widow is a woman who during football matches considers her man temporarily dead.

8. Double cross-deception, cheating (etymologically -competition, in which both participants use prohibited methods).

9. Make a come back - expression means to recover after failure, take revenge, gain former popularity.

10. Catch smb. on the rebound Expression means to get married or get married with grief, from unhappy love

11. Get the deadwood on smb. - Shoot down the pin so that it falls down before the rest and the blow to it allows them to be knocked down immediately. Expression means having an indisputable advantage, putting someone in an awkward position [6].

12. Shoot the ball into one's own goal - to harm yourself (to score the ball into your own goal).

13. Get to first base - to achieve the first success, to make the first step to anything.

14. Hit below the belt - inflict treacherous blow, note the forbidden reception (boxing).

15. Be out for the count - be defeated, killed (knocked out and not up after 10 seconds).

English idioms that want to point out speedy travel and extreme attention tend to always relate to sporting achievements.

Thus, it is not a secret for anyone that the lexical composition of any language directly reflects everything that happens in the life of a speaker in a given language. The study of this aspect of linguistics as a phraseology is very important, since the general trend of modern English is the transition to a wider use of idioms. Phraseological units can not be considered only as a separate part of a language that can be used, or not used, because they form an essential part of the general English vocabulary.

At present it is very important to monitor the replenishment of the English phraseological fund, because phraseological units appear with great speed, which is due to the development of science, the introduction of new technologies, political games and military conflicts, whose influence is equally important for the English speakers. The formation of phraseological units by rethinking stable non-phraseological phrases is of great importance, i.e. terminological combinations of science, technology, sports. Such combinations are easily amenable to metaphorization and, as a result of figurative metaphorical usage, they receive stable portable values, gradually acquiring all the signs of phraseological units, replenishing their composition.

As a result of social and scientific and technological progress, the English language was enriched with new words, new terms. A large number of new lexical units appeared in connection with the development of computer technology. In the field of science there is a rapid process of experimentation, new technologies are being created, and, accordingly, new terms. As a result of the rapid development of politics, in which the people take a direct part, ordinary terms contain terms that reflect this area. Especially many phraseological units - neologisms appear from military terminology. If to show the phraseological units - neologism in the percentage the numbers will represent the reality as following: military conflicts and guns - 16% , policy - 18% , technology and science - 29% , medicine and health care - 13% , sport - 15% , others - 9%.

It is important to note that in modern English, the phraseology-neologisms do not originate from those sources from which they emerged earlier. For example, the formation of phraseological units has nothing to do with beliefs,

myths and biblical prototypes. This is due to the fact that in ancient times, these sources of origin of phraseological units played a key role in understanding the surrounding world. But in connection with the rapid development of mankind, the consciousness, values and priorities of people change, and the language structure of the language changes accordingly.

The English phraseological foundation is a complex conglomerate of phraseological units, which are both original and borrowed, and the former are much larger. Archaic elements that represent the preceding epochs persist in some phraseological units.

Summarizing and taking into account the tasks set, it can be said that English phraseology in modern English is very rich in form and semantics and is rapidly developing. Phraseologisms saturate speech, making it more vivid and lively. The Phraseological Foundation provides enrichment of the literary language with new expressive possibilities and means.

Comprehensive study of the phraseological system of modern English allows you to penetrate more deeply into the complex and diverse life of phraseological units, get an idea of their basic structural and semantic types, learn the sources of their origin and the significance of any phenomena in the modern world.

**List of the used literature:**

1. ... / ...
2. ... , 1982. – 110 .
3. ... , 1989.- 320 .
3. ... , A.B. / ... , 1996. - 331 .
4. ... , 1967. - 1245 .
5. ... , 1956. - 198. – 225 .
6. ... , 2003. - 558 .
7. Oxford Dictionaries [ ... ]. URL: <http://oxforddictionaries.com>
8. Macmillan Dictionary [ ... ]. URL: <http://www.macmillandictionary.com>

*ნიკოლოზ ოთინაშვილი  
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი*

**სამილახვროს მოლაშქრეთა დავთრის (1656-1696 წ.წ.) ენობრივი მახასიათებლები**

აღნიშნული დავთარი არის უნიკალური ძეგლი, რომელიც დაცულია საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო არქივში. პირველად იგი ბეჭდურად გამოაქვეყნა ისიდორე დოლიძემ ჟურნალ „მაცნეში“ №3, 1976 წელს. საბუთი დაწერილია მხედრული გრაფიკით, ყოველი გვერდის ბოლოს უზის ოთხკუთხა ბეჭედი წარწერით „ამილახორი გივი“, ეს კი იმის დასტურია, რომ საბუთი შედგენილია ამ ფეოდალის ცხოვრების დროს - 1656-1696 წლებში.

სამილახვროს სადროშოს სარდლობა როსტომ მეფემ გივი ამილახვარს უბოძა 1656 წელს.

დავთარი პირველად ცალკე ამონაბეჭდის სახით 1926 წელს გამოსცა სარგის კაკაბაძემ, მაგრამ ეს გამოცემა სრულყოფილი არ იყო, რადგან თავი დაკარგული ყოფილა, რომელიც შემდგომ ნაპოვნი იქნა და დღეს დაცულია დავთართან ერთად.

დავთარში მოცემულია შიდა ქართლის სოფლების, ძირითადად კი ლეხურის ხეობის, ქსნის მარცხენა ნაპირის ზოგიერთი ამილახვრის კუთვნილი სოფლების, ტირიფონის ველის დასახლებების, ასევე დღევანდელი გორის რაიონის ზოგიერთი სოფლის სახელწოდებები და მცხოვრებთა გვარები, ის პირები, რომლებსაც ლაშქრობაში მონაწილეობა ევალებოდათ.

სოფლების რაოდენობა ოცდაათზე მეტია, დღეისათვის კი ნასოფლარებიც გამრავლებულია მთელი რიგი პოლიტიკური მოვლენების გამო. როგორც დავთრის ტექსტშია აღნიშნული, მხარის სოფლების, თემების ძირითადი მფლობელებია თავადი ამილახვრები, სახელდობრ იმდროინდელი სარდალი გივი

ამილახვარი, ასევე მთელი რიგი სოფლები ეკუთვნით ბიძინა და ხახუტა ყანჩაელებს, დათუნა და პაატა დათუნაშვილებს, შედარებით ნაკლები მურაჩაშვილს, ტარსვიჭაშვილს, ქარუმძიძესა და სხვებს.

როგორც დავთრის ტექსტზე დაკვირვებამ გვიჩვენა, ამ დროისათვის, აღორძინების ხანაში გზას იკაფავს საერთო ეროვნული ენის ელემენტები, რაც დემოკრატიზაციის გზას უნდა მივაწეროთ. ტექსტში ჩანს მთელი რიგი ფორმები, მათ შორის დიალექტური, ახალი ენობრივი ფაქტები, სახელების ახალი სტრუქტურა, მაგრამ ჯერ კიდევ მყარად დგას არქაული ენის ელემენტები ფონეტიკაში, მორფოლოგიაში, ლექსიკაში.

ძველი გრაფემებიდან დავთარში წარმოდგენილია ჯ-ხარი ბგერა, რომელიც შედიოდა სიტყვის ძირში და გადაჰყვებოდა მისგან ნაწარმოებ სიტყვებს. ჯ-ხარი გვხვდება როგორც გეოგრაფიულ სახელებში, ისე ანთროპონიმებში, მაგალითად: ჯურვალეთს გოჩიაშვილი, რეკს შათირიშვილი დემეტრა, ბასილიშვილი პაატა, ზაჯორს მჭედლიშვილი, ტინისვიდს ბახჩაშვილი ბახჩუა, გარეჯვარს ჯმელაშვილი, სამთავისს მოკვეიშვილი, ნაწრეტს მეწრიშვილი და სხვა.

ჯ და ხ ბგერები დავთრის ტექსტში პარალელურად იხმარება და ხშირია შემთხვევები, რომ რომელიმე ელემენტი ხან ერთი, ხან კი მეორე ბგერით არის დაწერილი, ისინი სემანტიკურ სხვაობასაც ქმნიდნენ, შემდგომ კი მოიშალა ჯ-ხ ოპოზიცია და ამან განაპირობა მისი ბგერათა სისტემიდან გამოსვლა.

ჟ (უბრჯგუ) ხან უ-დ ხან კი ვ-ს ენაცვლება. ზემოხსენებულ ტექსტში გვხვდება რამდენიმე შემთხვევაში ძირითადად ანთროპონიმებში: კუიწინაძე გიორგი, თამაზა, სუხიტა, კუეზერელი კუამლი ა, კუამლი ბ, გ, მეზურე (მეზურე), გობა, მეზურეს (მეზურეს) ბოგანო და სხვა...

ჭ-ეი-ს უწოდებენ ე მერვეს რადგან რიგის მიხედვით ანბანში მერვე ადგილზე დგას და ტექსტში გვხვდება რამდენიმე შემთხვევაში. ჯუშმალ (ჯამი)ჭ-რვა, ჯუშალი ბერშოეთს ჭ, ჯუშალი, ცხინურსს, ჯუშალი სამთავისს კაჭ და სხვა.

სოფლების სახელები დავთარში მოცემულია მიცემით ბრუნვაში გაუვრცობელი ფორმით. ასეთ დროს გეოგრაფიული სახელი ადგილის გარემოებაა და გამოხატავს მიმართულებას: ძვევრას რიზმანიშვილი, ბიბიაშვილი, ტყიურეთს მეგლაშვილი, წირს იოსებიძე, ჯურვალეთს ჯანდალაშვილს, გარეჯვარს ამზიაშვილი, თორტიზას ბერიკა, თორტიზას ნონიაშვილი, ზემო ყურს მათიაშვილი...

დავთარში ზოგი გეოგრაფიული სახელი გვხვდება ნათესაობით ბრუნვაში და გამოიყენება მსაზღვრელად: ცხინურის დათუნის ბასილიშვილისა, ჯეჯიკურს ბასილიშვილის ბიძინასი, პარკადის იესესი საშვებს, ახალდაბის ამილახორისა, ჯოხის ბატონის ამილახორის, სობის ბატონის ამილახორის და სხვა.

დავთარში პირის სახელებში ჯერ გვარია დაწერილი, შემდეგ კი სახელი და ვალდებულება თუ ამა თუ იმ პირს რომელი იარაღი უნდა ჰქონოდა ლაშქრობაში:

ჯოხიდან ბეჟანაშვილი ბეჟიტა შუბით, ჩალაბაშვილი მშვილდით, სობისიდან მამასახლისი ამირა მშვილდით, ყაზარაშვილი მშვილდით, ნაწრეტიდან ფირიაშვილი პაპუნა მშვილდით, მჭედლიშვილი რევაზა შუბით, თაყასშვილი სესიკა შუბით, მთიულიშვილი რამაზა თოფით, ჯილინაშვილი ბახუტა მშვილდით და სხვა.

შვილზე დაბოლოებულ გვარებს ზოგჯერ შენარჩუნებული აქვს ს ელემენტი მიცემითსა და ნათესაობით ბრუნვებში და აღნიშნავს თუ ვისი ჩამომავლობისაა ესა თუ ის პირი:

თაყასშვილი სესიკა  
ნურალასშვილი გივიტა  
მღებრისშვილი ნონია  
მენაბდისშვილი ნადირა  
ათანასეს შვილი...  
ბალთარისშვილი გოგია...

სიტყვათწარმოება ენის ლექსიკური შემადგენლობის გამდიდრების ერთ-ერთი ძირითადი საშუალებაა. ახალი ლექსიკური ერთეულები წარმოიქმნება სხვადასხვა საშუალებებით, რაც დაკავშირებულია ენის განვითარების შინაგან კანონებთან. დავთარში კომპოზიტების ორივე წევრი სახელით არის გამოხატული. კომპოზიტის წარმოებაში მონაწილეობენ როგორც არსებითი, ისე ზედსართავი სახელები.

ნავსაზარაშვილი შიუკა  
გულისაბედაშვილი ხოსრო  
ბობოცქიტაშვილი დათუნა  
შავბალახაშვილი პაატა  
ახალკაციშვილი მამუკა  
ბაჩუყაშვილი ბერუა და სხვა.



დავთარში სამ ათეულზე მეტი გვარი ნაწარმოებია გეოგრაფიული სახელებიდან, ამისი მიზეზი კი შეიძლება იყოს მასობრივი იმიგრაცია და მიგრაცია, რასაც ადგილი ჰქონდა ხსენებულ ეპოქაში. ასეთი გვარები ნაწარმოებებია გეოგრაფიულ სახელებზე -ელ სუფიქსის დართვით, რაც წარმომავლობის აღმნიშვნელი სუფიქსია, მაგალითად:

გარეჯვარს ბოგანო მრაჭველი, აქ ჩანს, რომ ბოგანო (უმამულო გლეხი) რაჭიდან ჩამოსულა.

წინიუბანს იმერელი პაპუნა, იმერელი გიორგი ქართლის სოფელში იმერეთიდან არიან ჩამოსულები.

ცხინურისს ჟინვანელი გამიხარდი, აღნიშნული პირი ლეხურის სოფელში ჩამოსულია არაგვის ხეობის სოფელ ჟინვანიდან, დღევანდელი ჟინვალი.

ცხვილისში მუხურელი პაპუნა არის ჩამოსული.

რეხში (ეს სოფელი მდებარეობს ლეჩხურის ხეობაში და დღეს იწოდება როგორც საკორინთლო) იმერელი პაპუნა არის ჩამოსული.

ცხოტელი იკანა ლეხურის ხეობაში ჩამოსულია ქსნის ხეობის სოფელ ცხავატიდან.

მევერას ჯავახი გოგია გადმოსულია ჯავახეთიდან, ასევე ახალმოსულებს მიწერილი აქვთ გვარის აღმნიშვნელი „ახალკაცი და ბოგანო“, რაც იმისი დასტურია, რომ მათ გვარი არ ჰქონდათ მიკუთვნებული და მოსულობისა და სოციალური მდგომარეობის მიხედვით იყვნენ აღრიცხულნი და დავთარში შეტანილი.

დავთარში წარმომავლობის სუფიქსი -ურ (ულ) სადაურობას აღნიშნავს, ამასთან ჩანს კუთვნილებითობის ფუნქცია, როგორც ანთროპონიმებში, ისე ტოპონიმებში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ტოპონიმებსა და გვარებში გამოყენებული -ურ სუფიქსი ერთია წარმოშობით.

როგორც სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, -ურ სუფიქსი სხვა სახელთაგან აღნიშნავს თვისებას სათანადო საგანთან მიმართებით.

სხვა გამოკვლევაში აღნიშნულია, რომ -ურ სუფიქსის მეორეულება ნათლად ჩანს ძველი ქართულის მონაცემების მიხედვით, იგი რა ჯგუფის სახელთა გვერდით და ზოგჯერ შეიძლება ვინ ჯგუფის სახელთა საწარმოებლადაც მოგვევლინოს.

ზემოხსენებულ დავთარში გვხვდება -ურ სუფიქსიანი ანთროპონიმები და ტოპონიმები: ტყიურეთში: კორწყილ-ურ-ი მამუკა, კორწყილ-ურ-ი მგელიკა, ყ-ურ-ში: ფიდი-ურ-ი ბერი, წუბენში: ფიდი-ურ-ი შიუკა, ახრისში: ღომელა-ურ-ი მახნია, ანდორეთის: პატამ-ურ-ი პაატა, ჯეჯიკ-ურ-ში: მელიწკა-ურ-ი პაატა, ასად-ურ-ში: ასად-ურ-ი ზაქუტა, ნაწრეტში: სისა-ურ-ი ბერა, ზახორში: ზებეყ-ურ-ი ბასილა, ანდრეთში: ხუნდა-ურ-ი პაატა, ღრომში: ბერი-ულ-ი ნადირა, წინუბანს ბერი-ულ-ი მამისიმედი, კვეზერ-ულ-ი მამუკა და სხვა.

ენობრივი მნიშვნელობა და შინაარსი ყოველი სიტყვის ფორმაში შეიძლება იყოს მოტივირებული. საამილახვროს დავთარში საკუთარი სახელების ცვლილებები შეპირობებულია ფონეტიკურად, რაც იმდროინდელი ენობრივი სიტუაციის ნორმად უნდა მივიჩნიოთ. მაგალითად: გოგა, გოგია, გოგინა, გიგუა; ბერიკა, ბერუკა, ბერი, ბერუა; ამირა, ამირანა, პაპია, პაპუნა, ზუბიტა, ზუბატა, მგელა, მგელიტა, პატა, პაატა, მაზიტა, ბაზიტა, ბეჟუა, ბეჟა, ბეჟიტა...

ცვლილებები გვხვდება გვარებშიც: მინდიაშვილი - მინდუაშვილი. საჩალელი - საჩარელი, მჭედლიძე - მჭედლაძე, მჭედლისშვილი - მჭედლიშვილი, კასრაძე - კუსრაძე, ნიქოზელი - ნიქოზელაძე, სარყაული - სარაული და სხვა.

დავთარში ასობით არის წარმოდგენილი საკუთარი სახელები და დიდი რაოდენობა შეიძლება ითქვას, რომ ენობრივია.

აკაკი შანიძე სახელების შესახებ აღნიშნავს: „აკ დაბოლოებიან სახელებს ადრევე დასწყებათ კ-ს მოკვეცა, რის შედეგად მაწარმოებლად დარჩა ა და ასეთი სახელები გადავიდა ხმოვანზე ფუძეგათავებულთა რიგებში“ (აკ. შანიძე, 1976, გვ. 51).

ალ. ლოლოტი კი ასეთ სახელებს ასე განმარტავს: „მოფერებით-კნინობითი სახელები ძირეული ფორმით გადმოცემულ საგანს დამცირებით ან მოფერებით აღნიშნავენ. მათ საწარმოებლად იხმარება: ილ, იკ, იკო, უნა, უკა, ა სუფიქსები (ალ. ლოლოტი, 1971, გვ. 115).

კნინობითი სახელების საწარმოებლად ბ. ფოჩხუა დიდ ჯგუფს გამოყოფს: ა, აკ, იკ, უნ, ან, ინ, უნ, ატ, იტ, უტ, ოტ, ალ, ილ, ელ, უჭ, უც, უჩ და სხვებს (ბ. ფოჩხუა, 1974, გვ. 135-137).

საამილახვროს დავთარში თითქმის ყველა სოფელში არის წარმოდგენილი კნინობითი სახელები:

ბერშოეთში: ციცინაშვილი ბერიკა, აბრამა, მარეხაშვილი ბეჟიტა, მიქუტა.

რენეში: ფოცხვერაშვილი შიუკა, დავითაშვილი ბერიკა, ბოგანო ბერიკა.

ბოლში: ცხოტელი ივანა, მორბედაძე მაზიტა, ბოგანო ბასილა.

ახალდაბას: კოკილაშვილი ბესიკა, ბასილიძე ბერიკა.

კნინობითი სახელები ასევე გვხვდება გვარის გარეშე:

რეზაში: გასიტა, ზაქუტა, ბეჭიტა, პაპია, ცვილისი.  
წინუბანში: ჟამიტა, ტატუა, მელქუა.  
ცხვილოსში: კაკობა, ნაობა, გაბიტა, ძამინა, გუდა.  
ორჭოსანს: ბაჭუნა, ხიზანა, ქიტა, ბეჭა, ვარძელა, მახარა.  
საშვებას: ეკანოზა, ნიხსესა, ბერიკა.  
მეჯვრისხევის: იკანა, პაპუნა, ნადურა, მამუდნა...

ძველ, ისტორიულ დოკუმენტებში გვხვდება ზმნის ფორმები, რომლებიც მოქმედების დიდ პოტენციალზე მიუთითებს. მაგალითად, ზემოხსენებულ დოკუმენტში ანთროპონიმებში უფრო არის გამოვლენილი. იმ დროისათვის ხურვალეთში უცხოვრია გოგინა მინდოდამვილს, გერთაში ირემა გიშელაშვილს, ოკამში გოგია და ხაერა მემველაშვილებს, ქინძარაში დემეტრა მოყუროდამვილს, ცხინურისში გამიხარდის, წარმოდგენილია გვარის გარეშე, ასევე გვარის გარეშე არის აღრიცხული თორტიზაში არდადეგა და სხვები.

#### ლიტერატურა:

მაცნე, ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, ეკონომიკისა და სამართლის სერია, 1976, №3.  
ორბელიანი ს.ს., ლექსიკონი ქართული, I, თბ., 1991.  
ორბელიანი ს.ს., ლექსიკონი ქართული, II, თბ., 1993.  
შანიძე აკ., თხზულებანი, III, თბ., 1990.  
მანგვალაძე თ., -ურ სუფიქსისათვის ძველ ქართულში: იკე, V, თბ., 1953.  
შანიძე აკ., ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1976.  
ლლონტი ა., ქართული ლექსიკოლოგიის საფუძვლები, თბ., 1971.  
ფოჩხუა ბ., ქართული ლექსიკოლოგია, თბ., 1974.

*Nikoloz Otinashvili*

*Gori State teaching University*

### **LANGUAGE PACULIARITY OF AMILAKHVARI FIGHTERS RECORDS (1656-1696) RESUME**

The mentioned record is a unci material existed in Georgian Central State Archive, first printed out by Isidore Lagidze in the matsne magazine, number 3, 1976.

The material gives the names of Shida Kartli, villages and surnames and names of the inhabitants who would have to take part in the battle. These villages are situated in Lekhura Gorge in the territory of Gori Region, on the left side of the River Ksani.

The main owners of those villages and peasants were the Amilakhvaris as we saw according to the text and mainly to Givi Amilakhvari, commander – in – Chief. Number of villages were owned by Bidzina and Khutshia Kanchaveli, Datuna and Paata Basilashvili, etc.

In the text of the material we can clearly see how the elements of the common – national language is developing. Here dialectic elements, new language facts are shown as well But in spite of this we can see the elements of Archaic language as in phonetics as in Morphology and lexicology.

The names of the villages are given in the dative case: Nubens, Bershuets, Tskhinuris, Jijikurs. In the names of people there is a surnames first, and then comes the name and obligation what arms he would have to wear in the battle. e.g. Sargulashvili Gogia with a rifle. Mtiulishvili Ramazi with a sword and so on. We can see composite antroponyms aw welt Shavdalakashvili Paata, Bibotskvitashvili Datuna, Akhalkatsishvili Paata, Navsarashvili Shiuka.

The surnames ending by shvili, can be seen in davite or possessive cases Takashvili Sesika, Nuralashvili Givita, Mgebrishvili Nonia, Baltarishvili Gogia.

## REFLECTION OF GLOBALIZATION PROBLEMS IN LITERATURE

**Key words:** globalization, literature, life, death, universalism, literature, problems.

**Abstract:** Globalization also affects the national economy, along with economic, social and political issues in all countries. In our world of zamondosh, we are making changes in the inner and outer nature of each nation. Under the influence of globalization, time is changing, and humanity is changing.

The problems that arise in the lives of every nation in the face of changing times, human beings, and its influence; what's happening one of the urgent tasks of contemporary literary criticism in contemporary international literary works: to reflect, analyze, and research human imagery in the literature.

Globalization problems are not solved by literary literature, but they are interpreted and interpreted literally. Under his influence, the complexities associated with the processes, changes and innovations in society and in human life, worldview and mentality are exposed on the basis of the nature of the art.

One of the common problems of this article is the issue of the literary criticism of various folk writers.

In the history of the literature it is scientific-theoretically significant to research comparatively a certain writer or poet's work according to national and international traditions, it helps to be indicated writer's individualism, his place in the development of the national and world literature.

To study world's great writers' works, translate their books into our mother tongue, support not only consolidating relations among literatures, but also attracting our attentions to the similar and different sides of the human emotions. It enables to analyze the human problems, conditions in the works of the writers who are creating in the various continents, periods and occasions. "... widely international affairs made a convenient base for knowing the world's culture deeply, taking pleasure from the human traditions which belong to all nations."<sup>1</sup>

Though the peoples who have different religious, languages and nations in the world live in the various continents, and conditions, they have their own lives, family relations, traditions and a lot of ceremonies.

However, they have the same emotions such as: hopes, homesickness, love, freedom, justice, inner feelings, soul distress, sincerity, good and evil deed, the attitude to life and death. Those human senses unite all peoples together. Colored mood symbolizing emotions, soul distress, human and inhuman relations, the similarities of the research and interpretation in the artistic literature confirm that humanity has the same root (history). Studying these similarities and likeness comparatively is one of the artistic-aesthetic methods of the literature.

In this article we tried to analyze the world's great writers' stories according to the artistic-aesthetic tendencies of the comparative literature which is one of the branch of the literature.

In the stories of Dino Buzzati, Robindranath Thakur and an Uzbek writer Said Akhmad which have the similar contents, called as: "Why do not the dead come to life again", "Dead or alive", "Mausoleum", the attitude between life and death which is one of the human feelings, mentioned above, is described by the specific way. "Reality is expressed by the characters in all types of the art, but these characters are not the same as the reality or appearance of reality. Every character in the artistic work is a part of the reality which a writer himself perceived mentally and emotionally."<sup>2</sup> Though the fates of these three stories' heroes are like one another, every character has their own artistic interpretation based on emotions. For instance: In Thakur's work the attitude between life and death it is given dramatically, in Dino Buzzati's work it is given philosophically and in S. Ahmad's work that attitude is given humorously.

In the story of "Dead or alive" by R. Thakur the tragic fate of the story's hero Kadomini who revived after death, everyone was frightened of her terrible experiences is depicted.

In the beginning of the story Thakur emphasized that Kadomini was alone (she had no one to live with her). She was bringing up her brother's-in-law son lovingly after the death of his mother. The author said: "If a woman brings up a child who is not her own, she has no right to that child but love". He wanted to prove that Kadomini had nobody to take care of her in this case. A poor, ill-fated woman died suddenly. The process of the events in the story is progressed with the pages which are full of dramatization. It is known that the Indians are burned after their death according to

---

<sup>1</sup> I.Karimov. Uzbekistan is at the approach of the 21th century: A threat to safety, the terms of stability, the guarantees of the development. -T.: Uzbekistan, 1997. -P.149.

<sup>2</sup> B.Sarimsokov. The foundations and measures of artistry. Tashkent. 2004, page 4

their national traditions. When people thought the woman was dead and went to gather wood to set fire her body, she was fully conscious and realized that she had suffered from a lot of difficulties in the path of the life. Although Kadomini found out that she was alive, she did not return home. Because everybody was sure she had been dead. If we say with the author's phrase "they are separated from each other by a dead river".

In the story of "Why do not the dead revive" by D. Buzzati the hero had such unpleasant situation. The violinist Toni Appasher died. But he returned to the alive world like Kadomini. Both writers described "the dead's" friends, their emotional feelings efficiently. For example in the story by Thakur: "Jagoyama was gloomy but she herself did not know the reason... When she saw Kadomini's sad appearance and did not know its reason she was angry"<sup>1</sup>. In the story by D. Buzzati "...I have been depressed all day...I think Appasher will visit us in the evening"<sup>2</sup>. The relatives of the heroes felt they were alive. However they did not have a wish to think over and imagine about their lives. The authors drew attention to that there were no wish in the hearts of the people which can help others. That is the main point of the story. "While a woman servant was fetching some meal, she saw Kadomini, at that time the plate dropped from her hand, the maid herself also fell down and cried"<sup>3</sup>. In Thakur's work the condition of the hero who returned to the alive world is given tragically. While travelling to alive world, the woman was eager to come back home. The thing which summons her to home is her mother's love to the child whom she adopted. She forgot everything about herself, she thought only her sick child. But nobody imagined the woman's death was a mistake, her existence was chance.

Kadomini who was between the dead and alive world preferred to go to the friend who did not her tragedy than go to her relatives. Her old friend Jagoyama greeted her warmly, in this case the author described the feeling of loyalty to the friend. Jagoyama's husband was impressed by the story of his wife's friend. In that case the author drew the love between wife and husband. But this love turned into detestation and the wife said to her husband: "What kind of person you are... You, men are all like that."

This case is expressed in the story by Buzzati such as: "What are you doing at this time- Jane said and opened the door, wanted to return to her bed soon but she was surprised by Appasher's strange appearance.

An unhappy hero who was between the dead and alive world said himself: "You are people, what is the thing which binds me with you?" The aim of the story is to find an answer to this question. Even their relatives did not accept the revived people to their group. Instead of being happy, they were afraid, scared.

It is known that legends, folktales about revived person are traditional plots in Uzbek oral epic poem "Gurugli", in written literature. But this event is unusual in both artistic literature and in real life. In two stories, mentioned above the people who wanted to see their dead friends again were not able to receive them when they came to the life again because of inner horror, foreigner's feeling. The writer emphasized that love, warmth among people was so fragile that carelessness to people made a lot of tragic situations by characterizing Kadomini's sorrowful condition, that is to say, she had to suicide to prove people that she had been alive. This case is interpreted in the work by Buzzati philosophically. In the story the character of Tamburlani is illustrated masterly by describing that funeral ceremonies, tears, unfulfilled wishes are all masks for humans, trickery, selfishness are characters of the human beings. The author expressed the hero's appearance following: "Tamburlani is a diplomat, famous for his profession, careful, accurate; because of these goodies (or bad sides) he took a higher position than he was deserved in the society"<sup>4</sup>. These cases belong to the characters of Jane, Saint Raymond in the story.

While in the two stories mentioned above the distinction among existence and the attitude of humans to it are given, in the story "Mausoleum" by Said Akhmad the attitude of humans to death is described humorously. The main hero, Master Boki thought of the ceremonies which would be taken place after his death. The first reason of this case is uncertainty towards relatives and people around him, the second one is that he wanted to know what relations would be done with him after his death. Everybody laughed at Master Boki because of these interests. The ceremony which Master Boki himself organized means uncertainty among people, the bureaucracy which happened when the hero gave his passport and was crossed out from the register of the tenants is depicted greatly.

In three works human feelings, values are respected. By the character of Kadomini the author emphasized that a mother's love to her child is endless in any period, condition and society, by the characters of Jagoyama and Tamburlani the authors pictured trickery, uncertainty among people.

The conclusion of three stories which mentioned above is that although there is no long period between existence and death, the person who faced the death was not able to find his way among alive people again. We tried to research and analyze the reactions of the great world's writers to life and death, their similar and different thoughts, ideas by comparing their works socially, religiously, spiritually and nationally. Our research shows that the heroes whom we compared in three stories proved that they had been alive not dead by killing themselves. These descriptions are the means to express the main aim. For instance in the story by Thakur he emphasized the ignorance of the peoples, Dino Buzzati pointed human love to live by being far away from death mythically, S. Akhmad managed to draw the hero who is afraid of dying, this reason made him organize the special funeral ceremony for himself ridiculously. The artistic value of three stories, their aspects which make readers think thoroughly are significant. As if in all three works A.

---

<sup>1</sup> R.Thakur. Dead or alive. T.: "Manaviyat", 1997, page 12

<sup>2</sup> D. Buzzati. Why do not the dead revive. T.: "Manaviyat", 1997, page 22

<sup>3</sup> D. Buzzati. Why do not the dead revive. T.: "Manaviyat", 1997, page 23

<sup>4</sup> D. Buzzati. Why do not the dead revive. T.: "Manaviyat", 1997, page 22

Shopenhauer's opinions are reflected: "Nobody has any information about his death, otherwise there is almost any difference between him and the mood of the person who sentenced to death".

**Bibliography:**

1. Karimov. Uzbekistan is at the approach of the 21th century: A threat to safety, the terms of stability, the guarantees of the development.-T.: Uzbekistan,1997.-P.149.
- 2.B.Sarimsokov. The foundations and measures of artistry. Tashkent. 2004, page 4
- 3.R. Thakur. Dead or alive. T.: "Manaviyat",1997,page 12.
- 4.D.Buzzati.Why do not the dead revive.T.: "Manaviyat",1997, page 22.

*თამარ სიღამონიძე  
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი*

**ქართული ეპისტოლარული მემკვიდრეობის ერთი ფურცელი**

ილია ჭავჭავაძის ეპისტოლარული მემკვიდრეობის შესწავლის გარეშე, შეუძლებელია სრულყოფილი წარმოდგენის შექმნა არა მარტო ილიას ლიტერატურულ-კრიტიკულ და ესთეტიკურ ნააზრევზე, არამედ, საერთოდ, მთელ იმ ეპოქაზე, იმ მოღვაწეებზე, რომლებიც მასთან ერთად ეწეოდნენ მამულიშვილურ ჭაპანს.

ილიაზე და აკაკიზე საუბარი მრავალი კუთხით შეიძლება. მათში ქართული გენია თავის გამოხატულებას პოვებდა და თანაზიარი სულები თითქოს ავსებდნენ ერთმანეთის შემოქმედებას უნებლიეთ, ძალდაუტანებლად. შემოქმედთა დაწყვილებული სახელები არაერთი ქვეყნის ლიტერატურამ იცის, მაგრამ ქართველებისთვის ეს განუყრელი ტანდემია და სამეცნიერო ინტერესის საგანი. როდესაც ილია ჭავჭავაძემ გადაწყვიტა აკაკისთვის გაზეთ „ივერიაში“ თანამშრომლობა შეეთავაზებინა (რაზეც აკაკი დათანხმდა), ასეთი წერილით მიმართა:

„ძმაო აკაკი, მე შენ ვერ გაგიკადნიერდი და ვერ მოგართვი დაბეჭდილი წერილი, რომელიც სხვებს გავუგზავნე. სხვები სხვანი არიან და შენ ერთადერთი აკაკი ხარ. ამიტომაც, გარდა ჩემი საკუთარი წადილისა, მოვალეობამ მამულიშვილობისამ მაიძულა, ჩვენი ქვეყნის რჩეულისათვის რჩეული, განსაკუთრებული წერილი მიმერთმია და მეთხოვნა, გაგემშვენიერებინა ჩვენი გაზეთი შენის ნიჭის შუქითა“ (1888 წლის 5 იანვარი).

როგორც ვრწმუნდებით, უდიდესი სიყვარული და პატივისცემა იღვრება ამ სტრიქონებიდან. თითოეული სიტყვა მოზომილია და გულისგულიდან ამოსული ქვეყნისთვის სასიკეთოდ. აკი წერს დიდი ილია – მოვალეობამ მამულიშვილობისამ მაიძულაო ასეთი ქმედება.

საქართველოს ისტორიამ პოლემიკის არაერთი მაგალითი შემოგვინახა. განსაკუთრებით მდიდარი ამ მხრივ იყო XIX საუკუნე: იმართებოდა დისკუსიები, პაექრობები (ილია და აკაკი, აკაკი და იაკობი...). სამწუხაროდ, ჩვენ ვიზიარებთ გიორგი გოგოლაშვილის მოსაზრებას: „დღევანდელი დისკუსიები უმეტესად არ შეიძლება ჩაითვალოს არსებული ღირსეული ტრადიციის გაგრძელებად, რადგან პოლემიკამ დაკარგა მიზანი – ჭეშმარიტების ძიება. საჭიროა შესწავლა ქართული პოლემიკური კულტურისა და აღდგენა ჯანსაღი ტრადიციისა“ [1; www. Sinergia.ge].

ამ საკითხთან მიმართებით ჩვენი ყურადღება მიიპყრო ილია ჭავჭავაძის წერილმა „აკაკი და „ვეფხვის-ტყაოსანი“, რომელიც დაიბეჭდა „ივერიის“ მეთაურ წერილებად უსათაუროდ და ხელმოუწერლად. აღნიშნული წერილის ილიასეულობა ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში იყო ცნობილი, რასაც ცხადყოფს აკაკის წერილი – „რამდენიმე სიტყვა ბ-ნ ილია ჭავჭავაძის საპასუხოდ „ვეფხვის-ტყაოსნის“ გამო, რომელიც 1887 წელს ცალკე ბროშურად გამოიყო (იგივე წერილი 1898 წელს დაიბეჭდა „აკაკის თვიურ კრებულში“, #5).

აკაკი წერეთლის „საჯარო ლექცია რუსულად „ვეფხვის-ტყაოსნის“ თაობაზე“, რომელსაც ილიას წერილი ეხება, წაკითხულ იქნა 1887 წლის 26 და 29 მარტს. 31 მარტის „ივერიაში“ (#67), რუბრიკაში „ახალი ამბავი“ ნათქვამია: „აკაკი დაგვირდა, რომ მესამე (უკანასკნელ) ლექციაში დაწვრილებით გაარჩევს პოემის გმირთა ხასიათებსო“. მაგრამ ეს დაპირება დაპირებად დარჩენილა.

ილიას ხსენებული წერილი თხზულებათა კრებულში პირველად დაიბეჭდა 1909 წელს, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ შემომთითებული სათაურით. წერილი თარიღდება დაახლოებით 1887 წლის 17-18 აპრილით.

ქრონოლოგიურად, უნდა აღინიშნოს, რომ ყველაზე ადრინდელად ითვლება აკაკის ლექციები „ვეფხისტყაოსანზე“ წაკითხული 1881 წელს ჯერ თბილისში, შემდეგ ქუთაისში, ხოლო 1882 წელს – გორში.

ამ საკითხით კი, როგორც ცნობილია, აკაკი დაინტერესებულა ჯერ კიდევ სტუდენტობისას. 1862 წელს მას დაუწერია ნაშრომი „Несколько слов в пользу оригинальности „Барсовой кожи“, რომელიც დავით ჩუბინაშვილის რეკომენდაციით 1863 წელს წარუდგენია პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოსათვის კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად. აკაკიზე, ჩანს, გარკვეული გავლენა მოუხდენია ხელმძღვანელის თვალსაზრისს იმასთან დაკავშირებით, რომ პოემა ვითომდა ისტორიულ-ალეგორიული ხასიათის ეროვნული ნაწარმოებია, მაგრამ ახალგაზრდა სტუდენტი აქ არ შეჩერებულა და მოგვცა პერსონაჟთა ეროვნული ხასიათის გახსნა, მათი ნაციონალური თავისებურებანი.

როგორც ჯუმბერ ჭუმბურიძე აღნიშნავს, „აკაკი უფრო თეიმურაზ ბატონიშვილის თვალსაზრისს ავითარებს, რომელმაც პირველად წამოაყენა მნიშვნელოვანი დებულება, რომ „მოლექსეობასა შინა რუსთველი არცა ბამავს ბერძენთა, არცა სპარსთა, არამედ აქვს მას მხოლოდ აღრჩეულ ლექსთა თვისთა შეთხზვისათვის საკუთარი ქართული ხარაკტერი და ჩვეულება, გინა ზნეობა“ [2; 258].

კრიტიკოსის მოსაზრებით, აკაკიმ სწორედ ეს თვალსაზრისი განავითარა. რა თქმა უნდა, აკაკის ადრინდელი ნაშრომი არ არის ღრმა და აკლია დამაჯერებლობა, ბევრი რამ სქემატურადაა წარმოდგენილიც, მაგრამ ის იყო პირველი სამოციანელი, რომელიც შეეხო „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალურობის პრობლემას. საერთოდ, იყო პირველი ქართველი მკვლევარი, რომელმაც დაასაბუთა, რომ შოთას პოემა „ქართულ ხარაკტერსა და ზნეობაში“ ზის. ამ ნაშრომში უკვე მოხაზული იყო მომავალი დიდი შრომის კონტურები.

აქვე აღვნიშნავთ, რომ აკაკის ამ პირველ გამოკვლევაში არ იყო ჯერ კიდევ წარმოდგენილი „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟების დახასიათება საქართველოს სხვადასხვა კუთხის ეთნოგრაფიულ თავისებურებათა მიხედვით. ეს დედააზრი მან გაშალა ცნობილ გამოკვლევაში „სამი ლექცია „ვეფხისტყაოსანზე“, რომლის დიდი ღირსებაც, ცალკეული მცდარი მსჯელობების მიუხედავად, პოემის ეროვნული ხასიათის ჩვენება იყო.

ილია ჭავჭავაძის წერილი არის გამოხმაურება აკაკის მიერ რუსულად წაკითხული საჯარო ლექციისა, რასაც მიესალმება კიდევ კრიტიკოსი და ამ ფაქტს მიიჩნევს „წელს ერთ იშვიათ ამბავად ჩვენში“. თანაც ფრთხილობს, რადგან ხელთ არ ჰქონია ლექციის ტექსტი: „მის მიერ თქმული ისე მოვიყვანოთ, რომ არც მეტი გამოვიდეს, არც ნაკლები. იმის შიშით, რომ შეცდომა რაიმე არ მოგვივიდეს... მარტო დედააზრს აკაკის ლექციისას დაუფკვირდებით“ [3; 262].

სწორედ ამ „დედააზრის აკიდოს მარგალიტებზე“ წერს კრიტიკოსი, რომლებიც აკაკის გონებამახვილურად აუსხამს, მაგრამ იქვე დასძენს: „ჩვენის ფიქრით, თვითონ აკიდოს ღერო კი მეტისმეტად სუსტი რამ არის და, თუმცა ზედ ასხმულს მარგალიტებს ჰზიდავს, მაგრამ კრიტიკის ხელშეხებას კი ვერ გაუძლებს“.

რეალისტი კრიტიკოსი აღუშფოთებია იმას, რომ რუსთაველი „უბრალო ეთნოგრაფის საჩხირკედლო საქმედ“ ჩამოუქვეითებია აკაკის და ვერ მიმხვდარა, რატომ არის ტარიელი ვითომდა ზარმაცი ქართლელი, ავთანდილი წინდახედული და ცბიერი იმერელი, ხოლო ფრიდონი – ზღვისპირელი. „მსოფლიო გენიოსები – მწერალნი იმიტომ არიან მსოფლიონი, რომ მათ ნახატში, რომელის ერისაც გინდათ, იმ ერის კაცს იცნობთ, იმიტომ რომ იგინი ადამიანის საზოგადო ტიპსა ჰქმნიან. ადამიანი ყველგან ყოვლთ უწინარეს ადამიანია და ადამიანს ხომ არაფერი ადამიანური არ ეუცხოება“ [3; 363].

წერილის მეორე ნაწილი უფრო მტკიცე კრიტიკული ტონით არის დაწერილი. ილია თავისებურად ცდილობს რუსთაველისეული კოდის გახსნას, რამაც გაგვახსენა მათი ჯალიაშვილის მეტად საინტერესო ინტერტექსტუალური პარალელები:

„ვეფხისტყაოსნის“ ინტერტექსტუალურ ჭრილში განხილვა ადასტურებს იმას, თუ როგორ შეიძლება მხატვრულმა ტექსტმა კაცობრიობის ინტერტექსტუალური გამოცდილება დაიტოს, აღმოსავლურ-დასავლური სააზროვნო სივრცეები თანაბრად მოიცვას და არ გაუცხოვდეს მკითხველისგან“ [4; [www. Mastsavlebeli.ge](http://www.Mastsavlebeli.ge)].

რუსთაველის პოემაში შესანიშნავად არიან წარმოდგენილნი „ზოგად ადამიანის ბუნების მიხედვით შექმნილნი და აგებულნი“. თუ აკაკისთვის ნესტანის დანახვაზე გულს შემოყრილი ტარიელი სასაცილოა, ილია ამას სისუსტედ არ უთვლის, პირიქით, ეს მიაჩნია ტარიელის რთული ხასიათის

გამოხსნის ნასკვად: „ტარიელი დიდის გულისთქმის კაცია, იმისთანა გულისთქმისა, რომელსაც ვედარც ხორცი უძლებს და ვედარც სული. რაკი კაცს ჭკუა და გონება გამოეცლება, ის მკვდარია საქმისთვისათვის, მოქმედებისათვის...“ ეს რუსთველმაც კარგად იცისო და ამიტომ აქებს იმ კაცს, ვინც გულისთქმას იმორჩილებსო. ავთანდილი უებარ წამალს ურჩევს ტარიელს: „რაც არა გწადდეს, იგი ჰქმენ, - ნუ სდევ წადილთა ნებასა“.

სნეულ, ცნობადაკარგულ ტარიელზე ილია წერს:

„გულისთქმამ ცნობა წაართვა, ცნობის წართმევამ ღონე, და უღონობამ მჩვრად აქცია ეს ახოვანი კაცი. აქ რა შუაშია ან ქართლელი, ან კახელი, ან იმერელი! აქ კაცად-კაცია გულისთქმის ქარ-ცეცხლში გატარებული თავიდან ბოლომდე“ [3; 367].

ასეთივე დიდი გულისთქმის დედაკაცია ნესტან-დარეჯანი. გენიოსური კალმის მოსმა: „აწ წადიო, ვერას გითხრობს“. ოთხი სიტყვით გამოხატული სიდიადე გრძნობისა, რასაც სხვა მწერალი მთელ რომანს მოანდომებდა.

წერილის მესამე ნაწილში ილია აღნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსანი“ ფართო მოედანია ჭეშმარიტი კრიტიკის ფრთის გასაშლელად. მიაჩნია, რომ აკაკი აქვეითებს რუსთაველის გენიას:

„რუსთაველის ტიპებს იმ პაწია ჯუჯრუტანიდამ სინჯვა კი არ უნდა, საიდამაც მარტო ქართლელი, კახელი, იმერელი და სხვა ცალკე სახელწოდებული კაცი დაინახება, არამედ იმ უშველებელ სარკმლიდამ, რომ მთელს კაცადკაცობას თვალი გადევლებოდეს“ [3; 371].

მიუხედავად ილიას ამ წერილისა, რომელიც შეიძლება მივიჩნიოთ ერთ-ერთ შესანიშნავ პოლემიკურ წერილად, რომელშიც ყოველგვარი შელამაზების გარეშე გამოთქმულია მეტად მწვავე აზრები კრიტიკოსისა, ილიასა და წერილის ადრესატს შორის არავითარი სიძულვილი არ ყოფილა. ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე მათ ერთნაირად სტკიოდათ და ერთნაირად უხაროდათ ის, რაც ქართველი ერისთვის სასიკეთო იყო. რაც შეეხება ჯანსაღ კრიტიკას, საზოგადოება ზოგჯერ მტკივნეულად აღიქვამდა შექმნილ ვითარებას, რაზედაც აკაკის 1894 წელს აღუნიშნავს კიდევ წერილში „რა უთქვამს? რა მოუჩმახავს? რა წიგნი დაუწერია?“:

„რა გვექონდა გასაყოფი, რომ ერთმანეთში უთანხმოება მოგვევლოდა? რა მაქვს მისთანა, რომ იმას შეეხარბოს?... ერთი მიზნის მიმდევარი, ორი სხვა და სხვა გზით მივდივართ ცალ-ცალკე. ეს არ ნიშნავს უთანხმოებას და მტრობას. და ან კი რა საჭიროა, რომ როცა ილია თავისი საკუთარი გზით მიისწრაფის, მეც მაშინ თან ვახლდე, მისი საგზალი მიმქონდეს და ახჟანდს დავუწევდე ხოლმე? ან როცა მე ჩემის გზით მივდივარ, რათ უნდა უეჭველათ ჩემ გვერდში იდგეს ილია?“

მაგრამ გავიდა დრო და 1958 წელს რუსთაველზე ქაშუეთის მოპირდაპირედ, კლასიკური გიმნაზიის წინ, დაიდგა სკულპტურა (ილია გამოაქანდაკა შოთა მიქატაძემ, აკაკი - ვალენტინ თოფურიძემ), რომელიც გამოხატავს ამ ორი ბუმბერაზი ადამიანის თანამოაზრობასა და ერთმანეთის სიყვარულს.

#### ლიტერატურა:

1. [www.Sinergia.ge](http://www.Sinergia.ge) - გოგოლაშვილი გიორგი, ფიქრები ქართული პოლემიკური კულტურის შესახებ, სამეცნიერო-საზოგადოებრივი ჟურნალი „სამი საუნჯე“, 2012, N1(3).
2. ჭუმბურიძე ჯუმბერ - ქართული კრიტიკის ისტორია, ტომი პირველი, თბ., 2003, გვ. 258.
3. ილია ჭავჭავაძე - თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, ტ. V, კრიტიკა, თბ., 1991 წ., გვ. 262, 367, 371.
4. [www.Mastsavlebeli.ge](http://www.Mastsavlebeli.ge) - ჯალიაშვილი მაია, ინტერტექსტუალური პარალელები (ინტერნეტგაზეთი).

*Tamar Sidamonidze*

*Gori State Teaching University*

#### **A PAGE IN GEORGIAN EPISTOLARY INHERITANCE RESUME**

The article deals with one very interesting episode of Akaki Tsereteli epistolary inheritance – particularly, the correspondence between Ilia Chavchavadze and Akaki Tsereteli. A specific letter (its title is “Akaki and the Knight in the Panther’s Skin”) is analyzed in the scientific paper, where the sincerity is shown on the one hand, which was a usual position of the Father of Nation, and, on the other hand the impartiality, that presents Ilia Chavchavadze as an outstanding critic of his epoch.

### **ვარიანტული წაკითხვები, როგორც პოეტური ტექსტის დათარიღების საშუალება**

მხატვრული ნაწარმოების ვარიანტებისა და რედაქციების შესწავლა მკვლევართათვის მრავალმხრივ საყურადღებოა. ამჯერად ვნახოთ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ვარიანტული წაკითხვების გათვალისწინება პოეტური ტექსტის დათარიღებისათვის.

\*\*\*

გალაკტიონ ტაბიძის ლექსი „ხვალემ იზრუნოს ხვალისა“, დამკვიდრებული თვალსაზრისით, ალექსანდრე ჭავჭავაძის უსათაურო ნაწარმოებიდან – „ღიმილმან კარი ლალისა“ მიღებული შთაბეჭდილების შედეგად არის შექმნილი. სხვა შეხედულების მიხედვით, პოეტის შთაგონების წყარო მათეს სახარების შემდეგი სტრიქონები უნდა ყოფილიყო: „ნუ ჰზრუნავთ ხვალისათვის, რამეთუ ხვალემან იზრუნოს თავისა თვისისა“ (6,34). (ტაბიძე 2002: 6).<sup>1</sup>

„ღიმილმან კარი ლალისა“, თავის მხრივ, სახარებისეულ სენტენციაზე დაყრდნობითაა დაწერილი და ეს არაერთგზის არის აღნიშნული ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში.

გასარკვევია, რამ შეასრულა გალაკტიონისათვის შემოქმედებითი იმპულსის ფუნქცია: რომანტიკოსი ავტორის ფრაზამ თუ მათეს სახარების სიტყვებმა.

ნაწარმოებების სალექსო საზომისა და რეფრენის იგივეობა ნამდვილად ქმნის საფუძველს, რომ „ღიმილმან კარი ლალისა“ გალაკტიონის ლექსის ძირითად ინტერტექსტად ჩაითვალოს.<sup>2</sup> თუმცა, ფორმისეულ ელემენტთა იდენტურობის ფონზე ამკარად შეინიშნება ნაწარმოებებს შორის არსებული მნიშვნელოვანი შინაარსობრივი განსხვავებაც: გალაკტიონის ლექსში, უზრუნველობა, ზოგადად, წუთისოფელზე ზრუნვის ამაობის შეგნებით არის მოტივირებული. ალექსანდრე ჭავჭავაძის ნაწარმოები კი სატრფიალო ლირიკის ნიმუშია. სატრფოს შეუდარებელი სილამაზის ხილვა უსაზღვრო ბედნიერებას ანიჭებს ლირიკულ გმირს და მას აღარ სურს ხვალინდელ დღეზე ფიქრი.

გალაკტიონს ნაცნობ ფორმაში თავისი ლირიკისათვის ნიშანდობლივი შინაარსი შეაქვს და ამით ეხმიანება წმინდა წერილს. სწორედ ამის გამო, მის ლექსზე მსჯელობისას უნდა გვახსოვდეს არა მხოლოდ „ღიმილმან კარი ლალისა“, არამედ - სახარებისეული შეგონებაც. ორივე მათგანის გათვალისწინების გარეშე ამ ნაწარმოების გაანალიზება, ვფიქრობთ, შეუძლებელია.

\* \* \*

„ხვალემ იზრუნოს ხვალისას“ ინტერტექსტუალური რელაციებისაგან განსხვავებით, ლექსის დათარიღების პრობლემა არასოდეს გამხდარა მკვლევართა მსჯელობის საგანი. ნაწარმოები პირველად 1927 წლის კრებულში – „ზარნიშიან წიგნში“ დაიბეჭდა. მისი თარიღიანი ავტოგრაფი არ მოიპოვება. მიუხედავად ამისა, იგი 1916 წელს შექმნილად ითვლება. ამგვარადაა დათარიღებული „ხვალემ იზრუნოს ხვალისა“ გალაკტიონის თხზულებათა აკადემიური გამოცემის პირველ ტომსა და საარქივო გამოცემის მეორე წიგნშიც.

ლექსის დაწერისა და პუბლიკაციის თარიღებს შორის არსებული ხანგრძლივი ინტერვალი ეჭვს აჩენს – გაურკვეველია, რატომ უნდა გამოექვეყნებინა პოეტს 1916 წელს შექმნილი ნაწარმოები მხოლოდ თერთმეტი წლის შემდეგ.<sup>3</sup>

ბუნებრივია, ჩნდება კითხვა: როდის დაიწერა „ხვალემ იზრუნოს ხვალისა“?

გალაკტიონის ჩანაწერებსა და ლექსების ვარიანტებზე დაკვირვება გვამღევეს გარკვეული ვარაუდის გამოთქმის შესაძლებლობას.

„ხვალემ იზრუნოს ხვალისას“ რამდენიმე, მკითხველისათვის ნაცნობი ტექსტისაგან მეტ-ნაკლებად განსხვავებული რედაქცია არსებობს. გალაკტიონის ნაწარმოებების ვარიანტების გაცნობა გვარწმუნებს, რომ მან სხვა ლექსშიც სცადა ამ რეფრენის გამოყენება. „თეთრი პელიკანის“ ორ ავტოგრაფში (გალაკტიონის ფონდი #967; #3408) იკითხება:

...ისევ დარჩეს ჩვეულ ვალად  
მოხდა სოფლის ვალისა,  
დღემ იზრუნოს დღევანდელი  
ხვალემ იგრძნოს<sup>4</sup> ხვალისა.  
გვექონდეს სული და ხალისი



მტევნების და ლალისა,  
დღეს გვხიბლავდეს უმთავრესი,  
ხვალემ პოვოს ხვალისა.  
ნთება ლალით - ვნება ალის,  
ბაგე ნაზი ქალისა,  
დღეს გვფარავდეს სიმხურვალე  
ხვალემ იგრძნოს ხვალისა.

(გალაკტიონის ფონდი #3408)

დამოწმებული ტექსტი უფრო ახლოს არის ალ. ჭავჭავაძის ნაწარმოებთან, ვიდრე „ხვალემ იზრუნოს ხვალისა“. აქ შენარჩუნებულია სატრფიალო მოტივი: რომანტიკოსი პოეტის სტრიქონზე „ღიმილმან კარი ლალისა განაღო გამჭვირვალისა“ პირდაპირ მიგვანიშნებს გალაკტიონის სიტყვები: „ნთება ლალით – ვნება ალის, / ბაგე ნაზი ქალისა“. ლექსიკური დაპირისპირება დღეს/ხვალ, რაც ალ. ჭავჭავაძის ლექსის თითოეული სტროფის მეორე სტრიქონშია წარმოდგენილი, დამახასიათებელია ამ ფრაგმენტისთვისაც. ერთნაირია რეფრენის გამოყენების პრინციპიც: იგი ორივე შემთხვევაში სტროფის დამასრულებელია.

ჩვენი აზრით, ეს ყოველივე მეტყველებს, რომ „თეთრი პელიკანის“ ვარიანტებში შემორჩენილი სტრიქონები უფრო ადრე დაიწერა, ვიდრე „ხვალემ იზრუნოს ხვალისა“.

„თეთრი პელიკანი“ პირველად 1920 წელს გამოქვეყნდა,<sup>5</sup> ზემოთ დასახელებული ავტოგრაფები კი ნაწარმოების პუბლიკაციის შემდგომ უნდა იყოს შექმნილი: ლექსის ამავე ვარიანტებში არის კონკრეტულ ფაქტზე მიმანიშნებელი ფრაგმენტი:

სადღეგრძელო იყოს ხმების,  
ვინც დანდობა არ იცის,  
სადღეგრძელო იყოს მეფის  
გალაკტიონ ტაბიძის.  
აირჩიეს იგი მხოლოდ  
რომ ზარები დარეკოს,  
რომ სიმღერა მთად და ველად  
გრგვინვით გადაარეკოს...

(გალაკტიონის ფონდი #3408)

ამკარაა, რომ ეს სტრიქონები გალაკტიონის „პოეტების მეფედ“ არჩევის - 1921 წლის 27 იანვრის - ახლო პერიოდს მიეკუთვნება.

შედარებით მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის „ხვალემ იზრუნოს ხვალისას“ პირველნაბეჭდი ტექსტი (1927). აქ იკითხება სტროფი,<sup>6</sup> რომელიც გალაკტიონს ნაწარმოების საბოლოო რედაქციაში აღარ შეუტანია:

შეხედე, როგორ ჩქარია  
ამქვეყნიური დიდება,  
შეხედე, რა სიზმარავით  
წუთი წუთს მიეზიდება.

(ტაბიძე 1927: 35)

ეს სტრიქონები მცირე ცვლილებით მეორდება ლექსში „წამი წამს ეზიდება“:

ყველაფერი გათავდა, წამი წამს ეზიდება,  
რა ამო ყოფილა წუთისოფლის დიდება.

(ტაბიძე 1966ა: 95)

მსგავსია რითმა (დიდება-მიეზიდება/ეზიდება-დიდება), შესიტყვებები (ამქვეყნიური დიდება/წუთისოფლის დიდება) და კონკრეტული ფრაზაც კი (წუთი წუთს მიეზიდება/წამი წამს ეზიდება).

„წამი წამს ეზიდება“ პირველად 1925 წელს, „მნათობის“ ოქტომბრის თვის ნომერში (#10) დაიბეჭდა. სავარაუდოდ, დაახლოებით ამავე პერიოდში, ან ცოტა უფრო ადრე უნდა დაეწერა პოეტს „ხვალემ იზრუნოს ხვალისა“.

გალაკტიონის ჩვენთვის საინტერესო ლექსს კიდევ ერთი, შედარებით ნაკლებად ცნობილი ვარიანტი აქვს. მისი არსებობის შესახებ არაფერია ნათქვამი არც აკადემიური და არც საარქივო გამოცემისათვის დართულ კომენტარებში.

საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის მუზეუმში (ფონდი I, საქმე 585, ხელნაწერი #14273) ინახება ალბომი, რომელიც ნოე ჩხიკვაძეს უჩუქებია პოლიო ირეთელის

ქალიშვილისათვის. ამ ალბომის მეათე გვერდზე პატარა გოგონასადმი მიძღვნილ გალაკტიონის სტრიქონებს ვკითხულობთ:

გულში დიდი მაქვს იმედი  
ერთი პატარა ქალისა.  
თუ ეს იმედი გამართლდა,  
ხვალემ იზრუნოს ხვალისა.

მოვიდა უცებ ცეცილი  
და გული გაგვიხალისა...  
თუ ეს იმედი გამართლდა  
ხვალემ იზრუნოს ხვალისა.

სწავლა ცეცილი, ყოველთვის!  
შენ იცი, გზაა რვალისა.  
თუ ეს იმედი გამართლდა  
ხვალემ იზრუნოს ხვალისა.

ეს სამსტროფიანი ლექსი 2009 წელს გუბაზ მეგრელიძემ გამოაქვეყნა ჟურნალ „ჩვენს მწერლობაში“, მიმოხილვითი ხასიათის სტატიაში „გალაკტიონის ორი უცნობი ექსპრომტი“ (მეგრელიძე 2009: 50-51).

გუბაზ მეგრელიძის წერილი ვახტანგ ჯავახიძის კომენტარით მთავრდება, სადაც გალაკტიონის შემოქმედების მკვლევარი ექსპრომტების ლიტერატურულ ღირებულებასა და მათი პუბლიკაციის აუცილებლობაზე საუბრობს (მეგრელიძე 2009: 50-51).

ალბათ, სტატიის ავტორსაც და ვახტანგ ჯავახიძესაც მხედველობიდან გამორჩათ ის ფაქტი, რომ ამ ნაწარმოებთაგან ერთ-ერთი – ცეცილია კალანდაძისადმი მიძღვნილი ტექსტი - ჯერ კიდევ 1967 წელს დაიბეჭდა გაზეთ „თბილისში“, გ. ხაშურელის წერილში „ლექსები ალბომში“ (ხაშურელი 1967: 3).<sup>7</sup>

გალაკტიონის ეს ექსპრომტი ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა, რადგან პოეტს მისთვის კონკრეტული თარიღი - 1925 წლის 28 იანვარი მიუწერია. სავარაუდოა, რომ როდესაც პოეტი პოლიო რეთელის გოგონასადმი მიძღვნილ სტრიქონებს წერდა, იმ დროისათვის „ხვალემ იზრუნოს ხვალისა“ ახალი შექმნილი ჰქონდა.

ალ. ჭავჭავაძის „ღიმილმან კარი ლალისა“ ერთ-ერთია იმ მცირერიცხოვან ნაწარმოებთაგან, რომლებმაც მნიშვნელოვანი შთაბეჭდილება მოახდინეს გალაკტიონზე. იგი, როგორც ჩანს, რომანტიკოსი პოეტის ლექსის რეფრენს ხშირად იხსენებდა. ფრაზა „ხვალემ იზრუნოს ხვალისა“ არაერთხელ გვხვდება გალაკტიონის დღიურებში. ამ ჩანაწერების ერთი ნაწილი უთარიღოა, ხოლო დანარჩენი 30-40-იანი წლებით თარიღდება. ეს მიგვანიშნებს, რომ ალ. ჭავჭავაძის ლექსის სტრიქონით გალაკტიონი ინტერესდება არა 10-იან წლებში, არამედ ბევრად უფრო გვიან. ამას ადასტურებს ნაწარმოების ორი სხვა ვარიანტიც. ერთი მათგანი, ორსტროფიანი ფრაგმენტი, 1934 წლით დათარიღებულ დღიურში ჩაუნიშნავს პოეტს:

ხვალემ იზრუნოს ხვალისა:  
წყალმა წაიღოს წყალისა  
ნუ გაგიტაცებს დიდება  
ხვალემ იზრუნოს ხვალისა.  
იქნება შენა გგონია  
ეს ჩემი მონაგონია...  
შესვი! ნუ მოგერიდება  
მიმავალ-მომავალისა.

(გალაკტიონის ფონდი #24549 დ. 514)

20-იანი წლების შემდეგ უნდა იყოს შექმნილი მეორე ვარიანტიც. იგი წითელი მეღნითაა ხელმოწერილი, ამგვარი ფერის მელანს კი გალაკტიონი, როგორც ცნობილია, სწორედ ამ დროიდან იყენებდა:

თუ კაცი ქვეყნად კაცია  
მებრძოლი მომავალისა \_  
მტერსაც არ უნდა აცალოს  
დახამხამება თვალისა.  
დღეს ბრძოლა არის საჭირო:  
ხვალემ იზრუნოს ხვალისა.

ვაჟკაცი როგორ შეიქნას  
მსგავსი დიაცი ქალისა.  
დაჰკვივლოს უნდა გარემოს,  
გამრღვევი მტერთა რკალისა.  
დღეს ბრძოლა არის საჭირო:  
ხვალემ იზრუნოს ხვალისა.

ჩვენ მომღერლები ვიქნებით  
ქარის და ქარიშხალისა  
თუ სადღეგრძელო იქნება  
იყოს ევგენი დვალისა.<sup>8</sup>  
დღეს ბრძოლა არის საჭირო:  
ხვალემ იზრუნოს ხვალისა.

(გალაკტიონის ფონდი #3434)

როგორც ვნახეთ, გალაკტიონის ნაწარმოების ყველა ვარიანტი 20-იან წლებს ან მის შემდგომ ხანას მიეკუთვნება; ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსიდან მომდინარე ფრაზაც სწორედ ამ პერიოდიდან იპყრობს პოეტის განსაკუთრებულ ყურადღებას. გალაკტიონის ჩანაწერებისა და ლექსის რედაქციების თავისებურებების გათვალისწინებით, ვფიქრობთ, შეიძლება ითქვას, რომ „ხვალემ იზრუნოს ხვალისა“ დაიწერა არა 1916 წელს, არამედ 20-იან წლებში, თუ უფრო დავაზუსტებთ - 1924 წლის ბოლოს ან 1925 წლის დასაწყისში.

### შენიშვნები:

<sup>1</sup> ამ საკითხზე სრულიად განსხვავებულ ვარაუდს გამოთქვამს ვახტანგ ჯავახიძე. იგი თვლის, რომ გალაკტიონი თავის ნაწარმოებში იმეორებს ხალხური ლექსის სტრიქონს: „ხვალემ იზრუნოს ხვალისა“ (მეგრელიძე 2009: 51). მკვლევარი შესაბამის ფოლკლორულ ტექსტს არ იმოწმებს, რის გამოც მისი თვალსაზრისის განხილვა შეუძლებელია.

<sup>2</sup> ვფიქრობთ, ამ კონტექსტში საყურადღებოა ერთი დეტალი: ვანის რაიონის სოფელ ჭყვიშში დაცულ გალაკტიონ ტაბიძის ბიბლიოთეკაში ინახება ალექსანდრე ჭავჭავაძის 1949 წელს გამოცემული ლექსების კრებული. გალაკტიონს რომანტიკოსი პოეტის ნაწარმოების - „ლიმილმან კარი ლალისა“ - პირველი სტროფის ბოლო სტრიქონი – რეფრენი „ხვალემ იზრუნოს ხვალისა“ გაუხაზავს და გვერდით მიუწერია – გ. ტაბიძე. ეს ფაქტი მიგვანიშნებს, რომ გალაკტიონი თავისი ლექსის შთაგონების წყაროდ ალექსანდრე ჭავჭავაძის ნაწარმოებს თვლიდა.

<sup>3</sup> გალაკტიონის თხზულებათა აკადემიური გამოცემის პირველსა და მეორე ტომში 1916, 1917, 1918 და 1919 წლებით თარიღდება შვიდ ათეულზე მეტი ნაწარმოები, თუმცა, მათი უმრავლესობა პირველად 1927 წლის კრებულში დაიბეჭდა, დანარჩენი კი - კიდევ უფრო გვიან – 30-40-იან წლებში. ვფიქრობთ თითოეული ამ ნაწარმოების შექმნის თარიღი გასარკვევია, რაც საფუძვლიან ტექსტოლოგიურ კვლევას საჭიროებს. ძნელი წარმოსადგენია, პოეტს 1916-1917 წლებში დაეწერა ისეთი ლექსები, როგორცაა „შენ ზღვის პირად“ („ზღვას სადამო ედებოდა მუქი“), „ატმის რტოო, დაღალულო რტოო“, „მერის თვალებით“, „...ო, დღეს შემოდგომაა“, „...იმ ვარდისფერ ატმებს“, „იმ ატმებს გაუმარჯოს“ და ცხრა-ათი წლის განმავლობაში არ გამოექვეყნებინა ეს ნაწარმოებები, არ შეეტანა ისინი, თუნდაც 1919 წელს გამოცემულ „არტისტულ ყვავილებში“.

<sup>4</sup> ჩვენ მიერ დამოწმებული ფრაგმენტი „თეთრი პელიკანის“ ორ ავტოგრაფში ხუთჯერ მეორდება. ერთ-ერთ ვარიანტში სიტყვაზე „იგრძნოს“ გალაკტიონს ფანქრით მიუწერია „იზრუნოს“ (გალაკტიონის ფონდი №967). ამგვარი ჩარევით, ლექსის მეტრი, რომელიც შვიდ და რვა მარცვლიან სტრიქონთა მონაცვლეობას ეყრდნობა, ირღვევა. როდესაც პოეტმა, „ხვალემ იზრუნოს ხვალისა“ დამოუკიდებელ ნაწარმოებად აქცია, ჰეტერომეტრულ საზომზე უარი თქვა, ამის ერთ-ერთი მიზეზი, როგორც ჩანს, ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსიდან მომდინარე რვამარცვლიანი რეფრენიც იყო.

<sup>5</sup> „თეთრი პელიკანი“ გალაკტიონ ტაბიძის აკადემიური თორმეტტომეულის მიხედვით პირველად 1927 წლის რჩეულში დაიბეჭდა. ეს ინფორმაცია სინამდვილეს არ შეესაბამება: ლექსი პირველად 1920 წელს გამოქვეყნდა, ჟურნალში „ასის“, სახელწოდებით – „შავი პელიკანი“.

<sup>6</sup> გარდა პირველნაბეჭდი ტექსტისა, ეს სტროფი გვხვდება გალაკტიონის ორ ავტოგრაფში (გალაკტიონის ფონდი №2454876/2; №245483), ხოლო მესამეგან (გალაკტიონის ფონდი №2454843), აღნიშნული სტროფის მხოლოდ პირველი ორი სტრიქონია წარმოდგენილი.

<sup>7</sup> გალაკტიონ ტაბიძის ეს ექსპრომტი გუბაზ მეგრელიძის სტატიის პუბლიკაციამდე კიდევ ერთხელ იყო გამოქვეყნებული. გურამ ჭოხონელიძე წერილში „უცნობი გალაკტიონი“ იხსენებს, თუ როგორ

წაკითხა გალაკტიონის ლექსი ცეცილია კალანდამემ. მკვლევარი იქვე იმოწმებს ნაწარმოების ტექსტსაც (ჭოხონელიძე 2005: 80-81).

<sup>8</sup> ევგენი დვალი – მწერალი, რედაქტორი, რაჭა-ლეჩხუმ-სვანეთის სწავლა-განათლების საზოგადოების თავმჯდომარე. ავტორია არაერთი პოეტური კრებულისა, მათ შორის: „რიჟრაჟი“ (1907 წ.), „მწარე სიმღერები“ (1917 წ.), „სიგიჟეში დაწერილი სიმღერები“ (1917 წ.), „აღმაფრენა – თავისუფალი ლექსები დიდი ევგენი დვალისა“ (1918 წ.), „ჩაქუჩ-ნამგალი“ (1930 წ.). ევგენი დვალი რამდენჯერმე არის ნახსენები გალაკტიონის ჩანაწერებში. „ხვალემ იზრუნოს ხვალისას“ ეს რედაქცია, მისი შინაარსიდან გამომდინარე, შესაძლებელია წარმოადგენდეს ევგენი დვალის 1934 წელს გამოქვეყნებული ნაწარმოების „ჩემი მწარე თავგადასავალი რევოლუციონურ ბრძოლებში: ტრადედიული პოემა“ შესახებ გამოთქმულ შთაბეჭდილებას.

#### ლიტერატურა:

1. **მეგრელიძე 2009:** მეგრელიძე გუბაზ. გალაკტიონის ორი უცნობი ექსპრომტი. ჟ. ჩვენი მწერლობა. №22, 2009
2. **ტაბიძე 1966:** ტაბიძე გალაკტიონ. თხზულებანი თორმეტ ტომად. ლექსები. ტ. I. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1966.
3. **ტაბიძე 1966ა:** ტაბიძე გალაკტიონ. თხზულებანი თორმეტ ტომად. ლექსები. ტ. II. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1966.
4. **ტაბიძე 1927:** ტაბიძე გალაკტიონ. ლექსები. თბილისი: „სახელმწიფო გამომცემლობა“, 1927.
5. **ტაბიძე 2005:** ტაბიძე გალაკტიონ. საარქივო გამოცემა ოცდახუთ წიგნად. წიგნი II. თბილისი: გამომცემლობა „ლიტერატურის მატთანე“, 2005.
6. **ტაბიძე 2002:** ტაბიძე ნოდარ. გალაკტიონოლოგია (ძიებანი, არაბესკები). თბილისი, 2002.
7. **ჭავჭავაძე 1986:** ჭავჭავაძე ალექსანდრე. თხზულებანი. თბილისი: გამომცემლობა „მერანი“, 1986.
8. **ჭოხონელიძე 2005:** ჭოხონელიძე გურამ. უცნობი გალაკტიონი. ჟ. კრიტიკიუმი. შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ჟურნალი, 13, 2005.
9. **ხაშურელი 1967:** ხაშურელი გ. ლექსები ალბომში. გაზ. თბილისი. №49, 1967.

#### ხელნაწერები:

გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი, გალაკტიონის ფონდი #967; #3408; #3434; #2454843; #2454876/2; #2454876/2; #245483; #2454დ.514.

საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის მუზეუმი, ფონდი I, საქმე 585, ხელნაწერი #14273.

*Natia Sikharulidze*

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

### VARIORUM AND THE PROBLEM OF DATING OF POETICAL TEXTS

#### RESUME

This paper presents analysis of Galaktion Tabidze's known verse - „Tomorrow will look after itself“. In our work is shown that the formal elements of Galaktion's poem is taken from Aleksandre Chavchavadze's untitled verse („...ghimilman kari lalisa“). But from the viewpoint of the plot Galaktion's verse obviously resonates with the the lines from the Gospel of Matthew.

The work was first published in 1927. Despite this, it is considered to be written in 1916. With account of the peculiarities of Galaktion's records and verse editions we may suppose that „Tomorrow will look after itself“ was written not in 1916 but in the twenties, more precisely at the end of 1924 or beginning of 1925. Variorum And the Problem.

## მიწის კონცეფცია გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებაში

გრიგოლ რობაქიძის თვალსაწიერში მოქცეული იყო ხილული და უხილავი, მიწა და ზეცა, ლოკალური და გლობალური, მთელი სამყარო, უკიდვანო კოსმოსი.

მწერლის თხზულებებში ერთ–ერთი უპირველესი ადგილი ეჭირა მიწას, როგორც ერის საცხოვრის – მამულს. მიწა მისთვის იყო არა უსულო მატერია, არამედ ლოგოსის წიაღი, ცოცხალი ხსოვნა, ანამნეზისი, რწმენის სათავე, სიბრძნის დედა, შემოქმედების იმპულსი. მზეოსანი გონის პატრონმა მიწა განიცადა, როგორც სისხლი და ხორცი, როგორც სული, ირაციონალურთან თანხმიერი, გრაალის სავანე.

„გველის პერანგის“ ავტორი შეიგრძნობდა „მიწის პლაზმას“, „მიწის აურას“, მიწის მკურნავ ძალას, საუბრობდა სხეულის მიწასთან ქორწინებაზე, მიწის მზესთან ქორწინებაზე, ჭვრეტდა „ახალ მიწას და ახალ ზეცას“.

შემოქმედებაც მიწასთან კავშირში გაიაზრა სიტყვის დიდოსტატმა: „სული შემოქმედად მას შემდეგ იქცევა, რაც მიწით განიშლჭვალება, ამას გვასწავლის ვაზის ჯვარი“ (1, 64-65).

„ხელოვანი სამყაროს ხელდასხმულია, მიწით და ზეცით ხელდასხმული“ (1,80).

საქართველოს მიწის მადლს, მის ცოცხალ ხსოვნას და არსის წვდომას სახავდა მწერალი თავისი წარმატების საწინდარად: „თუ რამ კარგი გამოდის ჩემგან, ეს მადლი არის მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს მიწისა, სადაც მიწა დედაა, რომელიც თავის ათასწლეულების სიგრძეზე აგროვებს ქმედით, ცოცხალ ხსოვნას (ანამნეზიას). აქა საქართველოს არსი და აი ამ „დედის“, ამ „მიწის“ ტრაგიკული ხილვა მნელია“. (ბარათი აკაკი პაპავას) (2,415).

გრიგოლ რობაქიძის აზრით, „ლოგოსი–ცოცხალი თაური ციურისა და მიწიერისა, არც ერთ ენაში ისე ღრმად არ ვლინდება, როგორც ქართულ ენაში“ (2,130).

„მიწა აქ სულია სამყაროსი, ინსტინქტი, განუკვეთელობა, რასიული ხსოვნა, ცოცხალი ანამნეზის: „ფატუმი“ აქ არ არის უბრალო „წერა“, იგი შინაგანი აუცილებლობაა ყოფის“ (2,269).

მიწა განიცადა, როგორც სული, როგორც მასაზრობელი წყარო, ბედი: „მიწა სული. მიწა ინსტინქტი. მიწა მკერდები... მიწა ძირი. მიწა წყარო. მიწა სიპი. მიწა ხავსი. აქ არის სუნთქვა. აქ არის საიდუმლო. აქ არის მადლი. აქ არის ნაყოფი. აქ არის ბედი. აქ არის წერა“ (3,85).

მიწა და ზეკაცური ერთდროულად ესახებოდა რენესანსის ხერხემლად.

„მალშტრემისათვის“ გაკეთებულ განცხადებაში წერდა: „ქალში ვიხილე ნამდვილი მიწა ატეხილი მკერდებით და თავისგამეტების ნებით. კაცში ვიხილე ნამდვილი ზეკაცური არსი, რომელიც ცოცხლობს ბედის სიყვარულით. აქ არის რენესანსის ხერხემალი და ნიცმეს სხეული ფატუმისა“ (4,137).

მაგრამ ქართველი მწერლისთვის მიუღებელი იყო „ღმერთის განდევნა სამყაროდან, რაც რენესანსში იღებს სათავეს. გრიგოლ რობაქიძე ვერ ურიგდებოდა უღმერთობას, ღმერთის ამოძირკვას ყოფიერებიდან“ (4,214).

„გრიგოლს თანაბრად ხიბლავდა წარმართობის ხორციელება და ქრისტიანობის სულიერება, ქართული კულტურის აღორძინება ამ ერთიანობას უნდა დაყრდნობოდა“ (4,138).

მწერალი ძალზე ხშირად აკეთებდა აქცენტს საქართველოს ჰავის, მიწის, არომატის მაგიურ ზემოქმედებაზე“ (ვ. ჯაფარიძე) (2,428).

მწერლის შემოქმედების ყოველი პერიოდი ნასაზრობეები იყო საქართველოს ისტორიით, პრეისტორიით, მისი წარსულით, აწმყოთი და უკეთესი მომავლის იმედით, რითაც მისი დასავლურ–აღმოსავლური შემეცნება ცნობილ ევროპელ მოაზროვნეთა განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდა: „თავისი დასავლურ–აღმოსავლური შემეცნება მას (გრიგოლ რობაქიძეს – ლ.ს) მოაქვს დასავლურ ევროპაში საკუთარი სამშობლოდან, კავკასიის მიუვალი ბუნებიდან და ძველი კოლხეთიდან, სადაც ჰაერსა და ადამიანში, თვით მიწაშიც კვლავ ცოცხლობს სული შუმერებისა, პრომეთესი და მედეასი... მსოფლიოს გულისცემა, სხეულისა და სულის ერთობა, რაც დასავლეთში არ არის... საგანთა დაფარული არსის ძიება, წინათგრძნობა, ნათელხილვა“, (რუდოლფ კარმანი, რობაქიძე და მითის აღორძინება“ (5,388).

გოეთე „ფაუსტში“ მიწის სულზე“ საუბრობდა, მიწასთან ყოველთვის სულს მოიაზრებდა გალაკტიონი და ირონიულად მოიხსენებდა იმ პოეტებს, რომელთაც ეს არ სჯეროდათ: „მათთვის მიწას ჯერ სული არ ჰქონია“ (საიდუმლო მყვირალა ფრაზებისა“).

სული ღმერთის სახელია: „ხოლო უფალი სულია და სადაც უფლის სულია, აქ თავისუფლება“ (პავლე მოციქული, II კორინთელთა, 4,17) (6,388).

გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებაში მიწა ირაციონალურს, ინტუიციურს ითავსებდა: „ჩემი ლონდა“ თავიდან ბოლომდე ერთგულებაა მიწის, რომლის წიაღში მზის გახელებით ირაციონალია გავარდნილი“ (მიწასთან დაბრუნება) (7,530).

საგულისხმოა მწერლის აზრი, რომ „ადამიანი ნახევრად ნივთიერ სამყაროს ეკუთვნის, ნახევრად შემოქმედის თანაზიარია“ (2,84).

„მის ბუნებაში არის მზიურიც, მუხურიც, ქვაურიც. და აი რომელსამე სახსარში თავის ყოფისა იგი ედრება მზეს, მუხას, ქვას“ (2,89).

გრიგოლ რობაქიძის დაკვირვებით, დედამიწა განიხილება, როგორც „გეოლოგიური სინამდვილე“ და როგორც კოსმიური არსი... პირველი მიმართულების მიხედვით, დედამიწა წმინდა „მატერიაა“, ჩამოცილებული ჯადოსნურს, ღვთაებრივს, რაც დედამიწაზე ხდება, ფაქტია საგნობრივი სამყაროსი. მეორე მხრივ, დედამიწა არის მაგნა მატერ, დიდი დედა, რაციის სამაგიეროდ, აქ მანიფესტაციაა ინტუიციურის. ყოველი მოვლენა განიხილება კოსმიური კავშირის სამყაროდან და ამასთანავე მიწიურად. ეს ორი მიმართულება არის მაგისტრალი აწმყოსი“ (5,48).

მწერლის „მეტაფიზიკა მეტაფიზიკაში კი არ არსებობს, მიწის სიღრმეებშია ფესვგამდგარი“ (გიორგი ჯიბლაძე, „მოგონება–მემორიალი“) (5,394).

გრიგოლ რობაქიძე ასახელებდა იმ შემოქმედთ, რომელთაც მიწის დედობა გაითავისეს: პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, გიორგი ლეონიძე, შალვა აფხაიძე, ვაჟა-ფშაველა, ფიროსმანი. გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაზე“ წერდა: „აქ პიროვნულ იფინება ზემიწიერი ქართულ მიწაზე“ (5,279).

„ჩაკლული სულის“ ავტორი მიწის აურას ხედავდა: „...მიწა ღრმა ძილში გამოასხივებს გამოუცნობ აურას“ (1,70).

ხოლო „მიწის პლაზმა“ სულს „სიმწიფესა და სიმყარეს ანიჭებს“ (1,147).

„სხეულის მიწასთან წმინდა ქორწინების არსი“ გულისხმობს მიწის გულში არსებული ლოგოსური ძალების განსხეულებას, რადგან „ხორცადქცეული სიტყვა“ მიგვითითებს მიწაზე, როგორც „ლოგოსის დამბადებელ, საშოზე“. მიწა მკვდარი მატერია როდია, ის სავსეა ლოგოსური ძალებით, ვისაც ეს არ სწამს, მისი სული მყიფე რაციოდ იქცევა, რაციო კი უძღურია რწმენის შემოქმედებითი აქტი განახორციელოს“ (1,117).

მწერალი ხაზგასმით განასხვავებს მიწას, როგორც მატერიას და მიწას, როგორც სულის სავანეს: „საუკუნეების მანძილზე მიწას ან პატივს არ ვცემდით, ან ვებრძოდით... ნიშნავს კი მიწა აქ ლოგოსის დედის წრიალის? მიწის წიაღზე ისე ვმსჯელობთ, როგორც მატერიაზე“ (5,115) მაშინ, როცა „მიწა სულია“ (5,58).

„მიწა სისხლი და ხორცია, ქართული მიწა, ქართული სამყარო სიცოცხლის წვენით სავსე სამსხვერპლო თასია. ...მიწაზე შექმნილი საგალობელი მზისაკენ მალდდება.

„მიწა მარადიული დედაა და რწმენას მაშინ ვკარგავთ, როცა მის წაბილწვას ვიწყებთ“ (1,116).

„მიწა სისხლი და ხორცია“, ლოგოსური ძალების საშო, მისი ზესიერცული მეტაფიზიკური სფერო სულიერი სინამდვილის იდენტურია, ამიტომ განსაკუთრებულია ქართველების დამოკიდებულება მიწისადმი: „მიწა სისხლი და ხორცია... მისი ყოველი ნაწილი იმ ზესიერცული არსით იმოსება, რაც მეტაფიზიკურ სფეროში გარკვეულ სულიერ სინამდვილეს შეესაბამება. ფშავ–ხევსურეთში „Magna Mater–ს „ადგილის დედის“ სახით განადიდებენ“ (1,117).

მწერალს საგულისხმოდ მიაჩნდა ხევსურის დამოკიდებულება მიწასთან, მის მიერ მიწის მადლის მიღება, მიწის ცოცხალ არსებად შეგრძნება, წყაროს წყლით განზანა და განკურნება, მიწის კულტი (8,22).

ქართულ მიწაზე შეიგრძნობდა „ჩაკლული სულის“ ავტორი დიონისეს დამატრობელ სურნელს.

უცხოობაში დავაჟკაცებული და სამშობლოში დაბრუნებული არჩიბალდი კოცნის მიწას, ნიგვზის ფესვში თავს გაჰყოფს და გამძრება. წარმოდგება ხერხემალგამაგრებული. არასოდეს ასეთი ძალა არ უგრძვნია. უცხო რიტმი, არავითარი ჯგბირი, არავითარი დაბრკოლება. თუ იქნა ასეთი – გაარღვევს და გადალაზავს“ (9,58).

არჩიბალდი მერეც იმეორებს იგივეს, ნიგვზის ძირში გამძრება, მიწას აიღებს, გაახვევს და უბეში იღებს. დამშრალი წყარო ივსება: მოგონებით, მიწის სუნთქვით, მამით, წინაპრებით... მამულით“. (9,294).

ერთ–ერთი მოსაზრებით, „გრიგოლ რობაქიძისთვის ქრისტეს ხორცი დედამიწაა და არა პური.

მწერლის შემოქმედებაში გვხვდება „მიწის ზედაშის“ ცნება – „მიწამ ნახა თავისი შვილი. ნიშნად მისი ზედაში. ამრიგად, ზედაში გვევლინება არა როგორც წარმართული კულტის გადმონაშთი, არამედ როგორც ქრისტეს სისხლი (მანანა ხომერიკი, ჰიერატიული „გველის პერანგსა“ და „ფალესტრამი“) (10,152).

გრიგოლ რობაქიძემ საკრალური გრაალიც ქართულ მიწას დაუკავშირა: „ქართული გრაალი... მასში ზიარების წმინდა წესი ამქვეყნიური მიწიერი სურათითაა გაცოცხლებული. მტევანთა წვენი საკრალურ სისხლთან იგივედება“ (1,114).

„სხეულის მიწასთან ქორწინება“ მიწის ლოგოსერი ძალების წვდომას გულისხმობს.

მხოლოდ მიწასთან დაკავშირებულ ერში ხედავდა მწერალი ხალას ბუნებას.

იმთავითვე განცდილი ჰქონდა მიწის მკურნავი ძალა.

ფრიდრიხ ნიცშე მიწას კურნების ადგილად მიაჩნევდა: „ჭეშმარიტად, მიწა კვლავ განკურნების ადგილად იქმნება და უკვე ჰმოსიეს მას ახალი სურნელება, განკურნების მცემელი და ახალი იმედი!“ (11,69).

ბავშვობაში ტიფის გამო საავადმყოფოში მოხვედრილი და მერე იქიდან მამის მიერ გამოპარებული გრიგოლ რობაქიძე მშობელი მიწის სუნთქვამ გამოაცოცხლა და მიწა სიჯანსაღის მომნიჭებლად დასახა: „მას შემდეგ მიწის გორახი ჩემთვის სიჯანსაღის ნიშანია“ (ჩემი ცხოვრება) (12,226).

ევროპის სარბიელზე გასული, ისევ მშობელი მიწიდან მოელოდა თავისი შემოქმედების მასაზრდოებელ წყაროს: „ნურავინ იფიქრებს, რომ ევროპის სარბიელზე გასვლა (ამჟამად) მწერლისთვის მაინც და მაინც სახარბიელო იყოს. მშობელი მიწა და მისი თბილი წიაღი ყველაფერია. ჩვენში მიწას ჯერ კიდევ აქვს ჯიქანი, ჩვენში წიაღი უშრეტია“ (5,98).

ქართულ ჯვარს, რომელიც წმინდა ნინომ ვაზის ნახლევისგან გამოჰრა, მწერალი მიწას უკავშირებდა, რადგან ვაზი... „სახეა მიწის წიაღის სიცოცხლის. სხვაგან ჯვარი წამების და დასჯის ნიშანია. ჩვენში ჯვარი ლხინია თვითონ“ (გველის პერანგი) (9,79).

ლამარას ეიმედებოდა არა სხვა, არამედ საკუთარი ადგილის დედა, საკუთარი მიწა, (3,188-189).

ჰიტლერმა რასას ანუ ჯიშის იდეას ახალი ძალა მიანიჭა, რაც ხალხადხდომას, ხალხად ჩამოყალიბებას უწყობდა ხელს. ამით გახდა ჰიტლერი მიწის ძალთა გამომღვიძებელი“ (13,200).

ტოლსტოი იყო რუსული მიწის ძალის განსახიერება, რომელმაც შეიცნო რუსული სული (ლევ ტოლსტოი). (14,71).

ცნობილია, რომ ძველ დროს ქართველი თავყანს სცემდა დედამიწას, ვითარცა ღვთაებას და შეჰლადადებდა“ (15,92).

პროფესორი მიხეილ წერეთელი „გველის პერანგ“, „ჩაკლულ სულს“, „ქალღმერთის მახილს“, „მცველნი გრაალისას“ აღიქვამდა, როგორც „სიტყვათა მუსიკას, სიმფონიას, რომელიც ქართულ მიწაზე აღესრულება“ (16,184).

ესად ბეი (ლევ ნუსიმიზაუმი, იგივე ყურბან საიდი), ადარებდა რა ერთმანეთს რაბინდრანატ თაგორს და გრიგოლ რობაქიძეს, ასკვნიდა: „...რობაქიძე უფრო პირველადია და მიწასთან დაკავშირებული, ვიდრე ინდოელი ნობელის არემის ლაურეატი“ (4,88).

გერმანელი კრიტიკოსი რუდოლფ კარმანი წერდა: „ჩვენ, დასავლეთ ევროპელებს, გრიგოლ რობაქიძემ გადაგვიშალა ქართული მიწა, მისი მადლი, მისი სისხლი, სუნთქვა ქართული მიწისა, მისი შორეთიდან მომდინარე ზღაპრული ფერები“ (გერმანული ჟურნალი „ეხო დერ ცაიტ“, 1933, თებერვალი, გვ. 18) (5,184). ქართული მიწის პრობლემას ხედავდა კრიტიკოსი გრიგოლ რობაქიძის პოეზიაში: „მისი ლექსების ლირიკული გმირი ტრაგიკულად განიცდის მიწის წიაღის მასაზრდოებელი ფესვებიდან მოწყვეტას. ამ სისხლხორცეული კავშირის გაწყვეტას პოეტი მიიჩნევს სულიერი ჰარმონიის დარღვევის მიუტევებელ ფაქტად, რის შედეგადაც იკარგება პირველქმნილი სიწრფელე და უშუალობა...“

„... ჩვენს მწერლობაში მან ერთერთმა პირველთაგანმა შეიგრძნო და მძაფრად გამოხატა „მიწის საშოდან“ მოწყვეტის შედეგად გაჩენილი ტკივილი. მწერლის აზრით ევროპაში თითქო გაქრა მიწის საშო. შვილი მოწყვეტილია მშობელს და თვითონ უშვილოა. მიწის სიკვდილს თან სდევს მარტოობა უკანასკნელი და ევროპის ბუნება უმთავრესად მელანქოლია არის“ (გაზ. „ზახტრიონი“, 1927, 23 აგვისტო).

„მიწის სიკვდილი და ბუნების მასაზრდოებელი ფესვებისგან მოწყვეტა – ეს ფილოსოფიური საფიქრალი, რომელიც ჩვენი საუკუნის ევროპული ლიტერატურის ერთ-ერთი უმთავრეს პრობლემათაგანია, ასევე დიდ ადგილს იჭერს გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებაშიც... ნიკო ფიროსმანის ფერწერული ტილოების რობაქიძისეული შეფასებით, აქ მთავარი მოტივი არის ქართული „მიწა“. მე არ შემიძლია მეორე სახელი დავსახელო, გარდა ვაჟა-ფშაველასი, რომელსაც ასე ეგრძნოს მიწის „დედობა“...“ (გაზ. „ზახტრიონი“, 1927, 28 აგვისტო).

რომანი „გველის პერანგი“ ქართულმა კრიტიკამ აღიქვა, როგორც „ადამიანის ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური კავშირი თავის „მიწასთან“ და ამ „ძირებისაკენ“ სწრაფვა. გერმანულ ექსპრესიონიზმთან დაახლოებით, გრიგოლ რობაქიძემ შეიმუშავა თვალსაზრისი, რომ თანამედროვე ცივილიზაცია ადამიანს აშორებს მიწას, სწყვეტს მას ამ „ძირებისგან“, გადაჰყავს იგი ავტომატიზაციის და მექანიზაციის სამყაროში. აქ იკარგება სული, იკარგება ადამიანი. ამიტომ „დაბრუნება მიწასთან, დაბრუნება „ძირებთან“,“

პრიმიტივთან, ბუნებასთან, – აი, მოკლედ ის ფილოსოფიური კონცეფცია, რაზედაც აგებულია „გველის პერანგი“ (ბ. ჟღენტი) (16,187)..

რომანში „მცველნი გრაალისა“ საუბარია „მზის გათავისებაზე“, მზესთან პირადი ურთიერთობის დამყარებაზე“ (1,152), „მზის ძალით ცხოვრებაზე“, რადგან „მზეს სულიერ ძალთა დამბადებელი და მასაზრდოებელია“ (1,141).

მიწასთან ერთად, მზეც შემოქმედების დედაა: „ლევანის საგალობლის ძარღვებში მზის სისხლი სდიოდა“ (1,109).

ავალას (მისი ადრესატია ტიციან ტაბიძე) „ხელისგულზე მზის ნიშანი ჰქონდა“ (1,140), ნორინას სახეზე „მზის კურთხევა, მზის ამბორია“ (1,56), ოდილიანი (პაოლო იაშვილი) „ღმერთების საყვარელი“, „მზის შვილია“ (1,123), „თამაზი ნაწილი იყო მზისა“ (ჩაკლული სული) (8,40).

მრავალჯამიერის ...საგალობლის ჰანგები. მზის სხივებად იწვევებოდნენ“ (1,55).

„ქართლოსი ჩვენი წინაპარია და მზის ნიშნითაა აღბეჭდილი“ (1,66).

„მზის ნიშნულია საქართველო. ეს ჩვენს ენაში ძევს, რომლის სიტყვებიც ქმედითი სტიქიებია, რომლებშიც შესაქმისეული სიბრძნე ხშიანებს“ (1,60).

საუბარში ღვთის მაგიერ ქართველები მზეს ახსენებენ: „ჩემმა მზემ“, ანდა შენს მზეს ვვიცავ“ (1,61).

„ცეცხლი და მზე ქართველისათვის ყოფიერების არსი და სიმბოლოა. როგორ ანთია ჩვენს სულებში ეს ცეცხლი?“ (1,62).

მზე და ცეცხლი საღვთო სახელებია.

„მზე და ფარია უფალი ღმერთი“ (ფს. 84,12) (6,614).

გრიგოლ რობაქიძის თქმით, „ქრისტე მითოსურად არის მზე“ (5,302).

განმანათლებელი ცეცხლი ღმერთს გულისხმობს, ქრისტე არის „ვითარცა ცეცხლი უვნებლად განმანათლებელი“ (17,104).

„ქრისტეს სჯულს ჩვენში არ შეუმუსრავს უძველესი სიბრძნე, პირიქით, სწორედ მზეში გამობრწყინდა ქრისტიანობის უძველესი არსი“ (1,15).

ლევან ორბელის აზრით, „ადამიანი მზის ძალით უნდა ცხოვრობდეს, მაგრამ „ჯერ მზე უნდა გავითავისოთ“, რადგან „მზე სულიერ ძალთა დამბადებელი და მასაზრდოებელია“ (1,83).

გრიგოლ რობაქიძის მიხედვით, „ყოველი ადამიანი სამყაროსთან კოსმიურ კავშირშია ჩაბმული. ადამიანს თუ კოსმოსად დავინახავთ, მაშინ მზეს საოცრებათა საოცრება – გული შეესაბამება და ქართველთა მთელი არსებობაც მზითაა გაცისკროვნებული“ (1,64).

გიორგი გურჯიევი წერდა: „ჩვენშიც არსებობს მთვარე, მზე და ა.შ. ჩვენ მთელ სისტემას წარმოვადგენთ. თუ იცით, რა არის თქვენი მთვარე და როგორ ზემოქმედებას ახდენს იგი, მაშინ შეგიძლიათ ჩაწვდეთ კოსმოსს.

„დედამიწა, პლანეტათა სამყარო და მზე, მსგავსად ყოველი ცოცხალი არსებისა, ავრცელებს ემანაციებს.

„ემანაცია არის, ერთი მხრივ, პლანეტურ ემანაციებსა და დედამიწის ატმოსფეროს შორის და, მეორე მხრივ, დედამიწის ნივთიერებებს შორის ურთიერთდამოკიდებულების შედეგი (18, 177).

„ყოველივეს ემანაცია აქვს, რადგან ყოველი არსებული რაღაცით საზრდოობს და, თავის მხრივ, თვითონაც რაღაცის საზრდოა. დედამიწას აქვს ემანაციები, ასევე მზესაც და ეს ემანაციები ნივთიერნი არიან“ (18,149).

მზეს საკუთარ არსებაში შეიგრძნობენ მზესთან წილნაყარნი: „...მეგონა, თითქოს ჩემში მზის ნამსხვრევი იძროდა და შემზარავი სიტკბოება ვიგრძენი. ჩემი არსება ღვთაებრივი რიტმით ატაცებულ ტალღასავით როკავდა ... ასე მგონია, საგანთა და ელემენტთა სატრფო ვარ და ისინი, უძრავნი, მქალერსებია“, ამბობდა ნორინა (1,156).

ცეცხლს, მზეს, ღრუბელს რელიგიური შინაარსიც აქვს.

სიმბოლური აზროვნების დიდოსტატი გრიგოლ რობაქიძე ასეთ მრავლისმეტყველ სურათს ქმნის: „შარავანდედის დარად ეკიდა ღრუბელი... ღრუბელი დიდრონ თვალივით ასხივებდა ნათელს: თითქოს მზე მიექცია საკუთარ თავში“ (1,69)

შარავანდედიანი ღრუბელი ღვთისმშობლის სიმბოლოა, რადგან სასულიერო პოეზიაში მარიამს ეწოდება „სულ მცირე ღრუბელი“ (19,227).

ნათელი საღვთო სახელია. სახარებაში ქრისტე არის „ნათელი დიდი“ (მათე, 4,16), „ნათელი სოფლისაი“ (იოანე, 576, 12).

ამასთან, ღმერთის სახელი არის თვალი: „ყველგან უფლის თვალებია, ხედავენ უკეთურებს და კეთილებს“ (იგავნი სოლომონისა, 15,3).



„დიდგანმზრახველ და მარადმოქმედო, რომელსაც ღია გაქვს თვალები ადამიანის ძეთა საქციელის მიმართ, რათა მიაგო თითოეულს თავისი საქციელისა და თავისი ნამოქმედარის მიხედვით“ (იერემია წინასწარმეტყველი, 32,19) (20,156).

გრიგოლ რობაქიძის აზრით, „ყოველი ჩვენგანი სამყაროსთან კოსმიურ კავშირშია ჩაბმული“ (1,49).

ღვთისმეტყველთა აზრით, „ადამიანი არის მცირე ქვეყნიერება (21, 365).

კოსმიურთან დაკავშირებული ადამიანისთვის ცხოვრება მხოლოდ საჩუქარი როდია, ის დავალებაც არის და მრავალი ხიფათის შემცველი: „რაც უფრო დიდია პიროვნება, მით უფრო ღრმაა ამ საფრთხის უფსკრული... მზიური ადამიანი შეიძლება უნაშთოდ ჩაიფერფლოს, თუკი თავისი მზიური სუბსტანციის მართვა-მოწესრიგებას ვერ გაუმკლავდა. საბოლოოდ, ყოველივეს ბედისწორის სასწორზე დადებული ჩვენი პიროვნული თვითარსი გადასწყვეტს, ის კი ღვთაებრივი წარმოშობისა... ვინც მძაფრად განიცდის სამყაროს ელემენტებთან კავშირს. ის უსათუოდ იპოვის წონასწორობის შესანარჩუნებლად საჭირო ძალას... შეხედეთ თქვენს არსს, როგორც შემოქმედებით ამოცანას, განგებამ რამ დაგაკრისათ“ (1,149).

მიწის სუნთქვას, მიწის ხმას მიყურადებული გრიგოლ რობაქიძე ირანის ზეგანზე ეძებდა ჩვენს ისტორიულ ფესვებს: „1916 წელს, როგორც სამხედრო მოხელე, სპარსეთში მოვხვდი... მესოპოტამიის ზღურბლამდე მივადწიე და მქონდა შეგრძნება, რომ საუკუნეთა სვლაში დაკარგული სამშობლო ვიპოვე. ისტორიკოსები ვარაუდობენ – ქართველთა უძველესი, პირველსამშობლო ქალდეა იყო. მიწის შეგრძნება ჩემში ყოველთვის განსაკუთრებით იყო გამოხატული – ის ირანის ზეგანზე რაღაც კოსმიურად იქცა... ირან-მესოპოტამიის მიწაზე წამოიშრებინე პირველსამყაროს გოლიათური ფიგურები და სურათები. მთელი არსებით ვიგრძენი, რომ ჩემი პოეტური ფესვები აქ იყო“ (ჩემი ცხოვრება) (12, 227-288).

აქვე ეზიარა მწერალი მარადიული დაბრუნების იდეას: „...არა ერთეულის მარადიული დაბრუნება თავის თავისაკენ, არამედ ერთეულში მარადიულის დაბრუნება თავის თავისკენ“ (12,228).

რჩეულის ამოცნობა მზით გასხივოსნებული ცხოვრებით ხდება (1,115).

„მზის ნიშნით აღბეჭდილი სიცოცხლე ისეთ არსებობას ნიშნავს, როცა ყოველთვის მზად ხარ, საკუთარი თავი გასწირო და გააჩუქო მზესავით. ვისაც ეს გამბედაობა აქვს, ბედისწერასაც დაიმორჩილებს“ (1,61).

ქართულ მიწას კარდიეს მიწას უწოდებს მწერალი და მასაც „მზის ნიშნით“ წარმოიდგენს, ხოლო საქართველო „დაჭრილ მზედ“ ესახება.

გრიგოლ რობაქიძის სიბრძნესთან, სიწმინდესთან, უზენაესთან წილნაყარ პერსონაჟებს „ღვთიური სიბრძნის შუქი“ (1,152), „ღვთიური სხივი“ (1,48), „ზევის სხივი“ (1,83), „უზენაესი ნათელი“ გამოარჩევთ. მაღალი იდეალების მსახურთა სული „მზად სხივად“ აღიქმება (1,83).

მიწასთან ყოველთვის მზე მოიაზრება, „მიწა ქალური საწყისი, მზე – ვაჟური. ისინი ანაყოფიერებენ ერთმანეთს. ნაყოფში მზის თვალი ტრიალებს“ (რთველი) (22,142-143).

ქართული მიწა და მზე საქართველოში „შეწყვილებულ-შეუღლებულნი“ არიან. ეს განსაკუთრებით იგრძნობა, საქართველოს სამხედრო გზაზე.

„ჩვენ ვართ მზეთა შვილები და გვიყვარს მეტად მზეოსანი ლალებით მოთენთილობა“, წერდა მწერალი (გაზ. „საქართველო“, 1916 წ. №6, გვ. 5).

ნიკოლაუს ზომბარტი ხაზს უსვამდა გრიგოლ რობაქიძის „კოსმიურ მსოფლხედვას“ (4,256).

მშობლიურ მიწაზე უცვლელი გრძნობით შეყვარებულ მწერალს, მის ჯვარზე მლოცველს, არ სურდა სხვა მიწა და არც სხვა ჯვარი, სხვა ნასახლევი: „არ გვინდა, დედაო, სხვა ჯვარი ბერწერის, არ გვინდა სხვა მიწა და სხვა ნასახლევი“ (წმინდა ნინოს) (2,614).

ამ მამულის მიწის, ამ დედად აღქმული მიწის გონს რომ შეიგრძნობდა, მისი მომავალი ტრაგედიის ნიშნებსაც ხედავდა და იტანჯებოდა: „აღმოსავლური საშო, სადაც მიწა „დედაა“ წმინდა. ისტორია უძველესი... აქაა საქართველოს არსი ეს ცხადდება: ქართულ ხასიათში, ქართულ სიტყვაში, ქართულ სულში, ქართულ ერქვანში, ქართულ ხმალში, ქართულ სიმღერაში (რომელიც ღმერთკაცობაა) და აი, ამ დედის“, ამ მიწის ტრაგიკული ხილვა ძნელია“ (ბარათი აკაკი პაპავას) (4,88).

ლევან ორბელი სასიკვდილო საფრთხესაც არ შეუშინდა და საკუთარ მიწაზე ქართველთა საკრალური სიწმინდე – გრაალი გადაარჩინა.

აკაკი ბაქრაძე წერდა: „გრიგოლ რობაქიძე ეკუთვნოდა სიტყვაკაზმული მწერლობის იმ სახეობას, რომელსაც გერმანელები უწოდებდნენ მიწისა და სისხლის ლიტერატურას. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ამ სახეობის ლიტერატურა საერთოდ მიეცა დავიწყებას. მიწა, სისხლი, რასა, ჯიში მკითხველს ნაციზმს და ფაშიზმს ახსენებდნენ. შეხედულებები ნელ-ნელა იცვლებოდნენ და კოსმოპოლიტურ ხასიათს იღებდნენ. გრიგოლს ეს პროცესი გამოეპარა“ (4,227).

გრიგოლ რობაქიძეს სწამდა მარადიული დაბრუნების იდეა და ასევე ეიმედებოდა სამყაროს განახლება, რომ ადამიანი ისევ დაუბრუნდებოდა მიწას, ბუნებრიობას, როგორც დაუბრუნდა დაკარგულ ღმერთს.

გრიგოლ რობაქიძისთვის მხატვრული სიტყვის ამოცნობის საიდუმლოთა გასაღები იყო მიწისადმი დამოკიდებულება: „ჩაწვდე პოეტის საიდუმლოს – ნიშნავს: იპოვო მისი შემოქმედებითი სულის ინდივიდუალური რიტმი. სულის რიტმი პოეტის მიწისადმი დამოკიდებულებით შეიძლება გამოვლინდეს: როგორცაა პოეტის მიერ მიწის შეგრძნება, ისეთივეა მისი პოეტური პიროვნების ცხოვრებისეული რიტმი“.

მწერალი სვამდა კითხვას: „რა იგულისხმება მიწის ხატის ქვეშ?“ და პუსუხობდა: „საგნები, დრო, ქაოსი“ (ანდრეი ბელი) (23,51).

„საგნები დროში და მათ ქვემოთ ქაოსი, – აი, რა იკვეთება მიწის ხატის მონახაზებში“ (23,52)

ჰომეროსი დედოფალს უწოდებდა გეას – მიწას.

დემეტრეს კულტი – მიწის კულტია: დემეტრე დამწიფებელი ყანის სულია.

გრიგოლ რობაქიძის დაკვირვებით, მიწაზე შეყვარებული პოეტები არიან ჰომეროსი, ტიციანი, გოეთე, პუშკინი, ტოლსტოი. „პუშკინი ... ქაოსის ბნელ ენას სწავლობს“.

არიან შემოქმედნი, რომელთაც სრულიად არ უყვართ მიწა... მათთვის ყველგან ხრწნა, ლპობა, სიკვდილი, წყლულებიანი გვამია... მიწის სახის შერყვნა. მათ ქაოსი ბნელ უფსკრულში იზიდავს მათი შემოქმედებითი გამომსახველობის მეთოდიც გასაგებია: ხორცმესხმის მაგიერ–განსაგნობრიობა, ფორმირებული სხეულის ნაცვლად – გეომეტრიული ჩონჩხი, მწიფე ნაყოფის მაგიერ – სამაგელი ურჩხულები. ასეთ შემოქმედთ მიეკუთვნებიან: გოგოლი, გოია, პიკასო, ნაწილობრივ ბოდლერი“ (23,55-56).

მიწის სხეულში შეყვარებული პოეტების ორი ჯგუფიდან, აპოკალიფსული მომენტის გათვალისწინებით, გრიგოლ რობაქიძე გამოყოფს მეორე ჯგუფს, რომლებიც საგნებს ხედავენ, მაგრამ საგნებს იქით სხვა საგნებს ჰვრეტენ: „ახალ ცას და ახალ მიწას“: მათ უყვართ სახემეცვლილი მიწის“ სხეული.

„მათთვის მიწა“ – სამყაროს სულია, სოფია, მარადიული ქალურობა: და ის ელის განაყოფიერებას მზისგან და დაბადებას მარადისობისაგან“ (ენგადი) (13,56).

„აპოკალიფსური რიტმის სულის პოეტები განსაკუთრებით მრავლადაა რუსეთში, არსებითად, კატასტროფულ ქვეყანაში. ამ რიგის პოეტებია: ვლადიმერ სოლოვიოვი, დოსტოევსკი, მერეჟკოვსკი, ბლოკი. ეგვიპტის გადამწვარ უდაბნოებში ხედავდა სოლოვიოვი „მას“, უსახელოს (სამყაროს სულს: დედამიწას)... დოსტოევსკი – აპოკალიფსის მძლავრი სტიქიაა..., მერეჟკოვსკი აპოკალიფსური კონველსიების მისტიკური არქიტექტორია. ბლოკმა ის (დედამიწა) მშვენიერ ქალში გადაწყვიტა: იგი – მისი რაინდია,... მას ... ნატიფი სიყვარულით აღიქვამს, გრძნობიერ–კონკრეტულ შეხებამდეც კი...“

ბრიუსოვის „ფერმკრთალი ცხენი“ მხოლოდ „თემა“ (და არა რიტმი) მისი სულისა, თუმცა ოსტატურად გადაწყვეტილი“ (23,57-58).

აპოკალიფსური რიტმის სხვა პოეტებს, რომელთა სულის რიტმი გადის არა სამყაროს სხეულისადმი სიყვარულზე, არამედ მიწის სხეულისადმი სიძულვილზე, განეკუთვნება ანდრეი ბელი. თუ სხვები „ახალ ცას და ახალ მიწას“ ნატრობენ სამყაროს სხეულის სახეცვლილების გზით, ანდრეი ბელის სურს „ახალი ცა და ახალი მიწა“ გაჩნდეს იმავე სამყაროს სხეულის მვინვარე დაფერფლვის მეშვეობით“. (23,58).

გრიგოლ რობაქიძის აზრით; „ბელი“ აპოკალიფსური ხატია, ახალი სახელი... იგი სულის თეთრ ქვაზე“ ამოტვიფრული. „ანდრეი“ უნებლიედ ჩნდება აზრი „პირველწოდებულზე (ანდრია „პირველწოდებული)...“

„ბელის მიწისადმი გოგოლისებური სიძულვილი აქვს. მას დედამიწის აპოკალიფსური მშობიარობა სწადა... მისი ბოლომდე დაფერფლვის საშინელი წყურვილით“.

ბელის აქვს „აპოკალიფსის ცეცხლოვანი მზერა“, „აპოკალიფსური ტემპერამენტი“ (23,60).

„წერს ბელი, თუ საუბრობს ბელი, – ყოველთვის გრძნობ „წმინდა სიგიჟის“ იმ მადლს (სულიწმინდის გარდამოსვლის მადლს), ხან „უსამართლო სიგიჟის“ წყევლას (ბაბილონის გოდლის მშენებლობის საშინელება). ანდრეი ბელი – აპოკალიფსის ნამდვილი ეპილეპტიკია. ტყუილად კი არ გადმოსცა დოსტოევსკიმ ასე გენიალურად ეპილეფსია, ვითარცა წმინდა ავადმყოფობა, რომელიც „სხვა სამყაროთა შეხების“ საშუალებას იძლევა.

... ის, აპოკალიფსური ეპილეპტიკი, გატაცებით ეძლევა ბნელსახიანი ქაოსის შეშლილ სიტყვებს“... (23,61).

„...ანდრეი ბელიმ ვერ დასძლია მიწის ბნელი სტიქია. ის მისგან წავიდა,... როგორც გოგოლი.

„...ბელი მიწას მოსწყდა და რუსეთი აჩრდილად გადააქცია. გოგოლი მიწისადმი ზიზღს განიცდიდა და უსახურ ურჩხულებს ბადებდა: ყველგან – „ღორის დინგი“, ხან – „თალგამი“, ხან უბრალოდ „სამხეცეთი“ (23,67).

„მიწის სხეულისადმი სიძულვილით ანდრეი ბელი მშობლიურის, არსის ზიზღამდე მიდის“. სხეულისადმი სიძულვილში ანდრეი ბელიმ... თვით გოგოლს გადააჭარბა. მას ფეხქვეშ მიწა კიდევ უფრო პირქუშად გამოეცალა“ (23,70).

„...გოგოლი აწმყოში ხედავდა კაციობრიობის შორეულ წარსულს (მხეცობას) და კაციობრიობის შორეულ მომავალს (ანგელოზობას). მაგრამ თუ გოგოლმა ადამიანები დაშალა „მხეცებად“ და „თალგამებად“ (ბელის სიტყვებია), ბელიმ სხეულისადმი სიძულვილით ყოფიერების ფიზიკური პლანი მთლად დაანგრია და ყოფიერება ასტრალურ სფეროებში გადაიყვანა“ (23,70-71).

„...მიწის შეგრძნებას უკავშირდება ბელისთან დროის შეგრძნება: მასთან დროის ერთეულში მოვლენათა უსასრულო და უზარმაზარი რიგი მიედინება... თუ დავუშვებთ, რომ ერთიან წამში მარადისობა მიჰქრის, მაშინ გამოდის, რომ დრო უკვე მეტად აღარაა: – კიდევ ერთი შტრიხი აპოკალიფსური მსოფლშეგრძნებისა“ (23, 73).

ანდრეი ბელიმ პეტერბურგის ხატში (რომანი „პეტერბურგი“) მიწის აპოკალიფსური (და, ამასთან, დაფერფვლის გზით) უარყოფა მოგვცა“ (23,77).

ფრანგ პოეტს ჟიულ ლაფორგს აძრწუნებდა გაყინული მიწა, ბნელი ტაძრები, საპყრობილენი, ჯალათები, კოცონი, საროსკიპონი, საგიჟეთი, ომი, კეთროვანება, ჭირი, მშვიერთა ურდო, ქაოსი, დიდი გონების დადუმება. მიწის ბრწყინვალეობა სიკვდილმა, კუბომ შეცვალა, დადგა აღსასრულის მოლოდინი (ჟიულ ლაფორგი, სამგლოვიარო მარში დედამიწის გარდაცვალებაზე, თარგმანი ვ. გაფრინდაშვილის (24,417-419).

„მიწის წყლულით“ იტანჯებოდა შარლ ბოდლერი (გრ. რობაქიძე, ფრანგ პოეტს) (22,19).

„ვეფხისტყაოსანში“ ერთდროულად არის ცა და მიწა, რითაც მიღწეულია სამყაროს ჰარმონიასთან ზიარება.

„მიწიერ–ზეციერი“ იყო ილია ჭავჭავაძე (პოეტი). (25,200).

აკაკი წერეთელი ცის მახლობლად შეიგრძნობდა მიწას (აღმართ–აღმართ) (25,224).

„მიწას მიწურად და ცას ციურად მივეთავაზი“, ამბობდა ვაჟა–ფშაველა (ნუგეში მგოსნისა) (26,4).

გალაკტიონ ტაბიძე წუხდა „მსოფლიოს გამოუცნობ წყლულებზე (ეფემერა) (27,771), აღაშფოთებდა „ზეცის ნგრევა, მიწის გადაფერდება“ (მეოცნებე აფრებით) (27,151), მაგრამ მისთვის მაინც ორგანული იყო „ცის და მიწის შეზავება“ (შეხვედრა) (27,46)

ტერენტი გრანელი გმობდა ცოდვილ მიწას, სამარეს, გალიას, ყუთს უწოდებდა მას, მაგრამ, საბოლოოდ, ორივე საწყისს მიელტვოდა: „ზეცა მწყურია და მიწა მშია“ (28,200).

ანა კალანდაძე სავსე იყო „მიწის, ზეცის სიყვარულით“ (ცათა მაღალთა მადლი) (29,236).

გალაკტიონი ხედავდა მიწის გულს, მიწის ცეცხლს, ესმოდა „მიწის ხმა საჯადოქრო“ (სტრიქონები) (30,132), „დედამიწის ოხვრა (ორად გაიპო წითელი კლდე) (30,253) მსოფლიო–ბაგეთ გოდება“ (სატანა, დირიჟორი მსოფლიო ორკესტრის) (30,780). მის ლექსებში „მიწა ამჩნევს“, მიწა „უცხოობს ცრემლს“ (სამარესთან) (30,407).

პოეტების მეფესთან უარიყოფოდა არა საერთოდ მიწა, არამედ მიწაში ჩაფლული სული, მიწის წარმავალი მტვერი, ცის უარყოფელი მიწა (ჰამლეტის ქნარით) (30,24).

შემზარავია „მიწაში ... ჩათხრილი ადამიანი“, „ზემიწიერი ძალებისგან მოწყვეტა“.

„ადამიანი არ უნდა შეეზარდოს მიწას, არ უნდა დაიძიროს მიწაში“ (31,269).

მიწას მიჩერებული, განუვითარებელი ბნელი სულები ყრუ არიან ციური ხმების მიმართ და ამიტომაც ისჯებიან: „ცა გიხმობთ ისევ და ტრიალებს იგი თქვენს თავზე, გიჩვენებთ თანაც მარადყამულ მშვენებას თვისსა, მაგრამ თქვენ მაინც ისევ მიწას მისჩერებიხართ და სასჯელს გიწვდით ამიტომაც ყოვლისმხილველი“, მიმართავს დანტე მიწას, მხოლოდ მატერიალურს მიჯაჭვულ ადამიანებს, რომელთაც, სიმაღლის უგულუბელყოფის გამო, საიქიოში მიესჯებათ მიწისთვის ცქერა: „რადგანაც თვალნი არასოდეს მიგვიქცევია სიმაღლეთადმი, რადგან ვჭკვრეტდით მხოლოდ მიწიერს, მართლმსაჯულებამ მოგვისაჯა მიწისთვის მზერა“ (32,213).

ანა კალანდაძე წუხდა ცა და ციურის დამვიწყებელ ადამიანებზე: „დავიწყებოდათ მიუწვდომელი, კანდელი ხატთან ობლად კრთებოდა, ო, მიწისაკენ მიქცეულ სულებს ცა და ციური დავიწყებოდათ“ (შემოიკრიბნენ ტაძრად გლეხკაცანი) (29,322).

პავლე მოციქული საუბრობდა „ღვთისგან კურთხეულ, სასარგებლო, მოსავლის, მწვანის მომყვან მიწაზე“, ამასთანავე, ეკლისა და კუროსთავის აღმომცენებ, უვარგის, დაწყველილ მიწაზე, რომლის ბოლოა დაწვა“ (პავლე მოციქული, ებრაელთა, 6,7,8)(6,474).

„ეკლები ცდომილების შემდეგ აღმოცენდა მიწიდან, თანახმად უფლის განჩინებისა. ამის შემდეგ ვარდის საამურობას ეკალიც თანაშეეწყვილა, რომ შეგვახსენოს ის ცდომილება, რის გამოც ეკლებისა და კუროსთავის აღმოცენება მიესაჯა ჩვენთვის მიწას“ (33,350).

წმინდა მამები განარჩევენ „ცვალებად, დასალუპავად განწირულ მიწას“ და „მშვიდთა მიწას“, „უკვდავთა მიწას“, რომელშიც წმინდანები დამკვიდრდებიან: „მიწაც განქარდება და შეიცვლება“ ხოლო ნეტარია ის, ვინც მშვიდთა მიწას დაიმკვიდრებს, რადგან ის მიწა, რომელმაც წმინდანები უნდა შეიწყნაროს, უკვდავია“ (33,357).

გრიგოლ რობაქიძისთვის „ქართული მიწა მართლაც დედა მიწაა, თბილსაგონი და ნაყოფმადლიანი, სადაც წინაქვეყნიური დაგქოლავს“ (ენგადი) (13,3).

მიწა მამულის სიმბოლოდ მოიაზრებოდა ქართულ მწერლობაში (გალაკტიონის „მახაჯირი“, შიო არაგვისპირელის მიწაა“, მიხეილ ჯავახიშვილის „მიწის ყვილი“, ნიკო ლორთქიფანიძის „შელოცვა რადიოთი“).

გრიგოლ რობაქიძის სონეტები, მოთხრობები, რომანები, პუბლიცისტიკა გაჯერებულია ქართული მიწის მადლით, ის ქართული სულიერი კულტურის ორიგინალური, განუმეორებელი ნაწილია.

### ლიტერატურა:

1. გრიგოლ რობაქიძე, მცველნი გრაალისა, გერმანულიდან თარგმნა თამარ კოტრიკაძემ, თბ. 2012.
2. გრიგოლ რობაქიძე, ხუთტომეული, წიგნი IV, თბ. 2012.
3. გრიგოლ რობაქიძე, დრამები, თბ. 2003.
4. აკაკი ბაქრაძე, კარდუ ანუ გრიგოლ რობაქიძის ცხოვრება და ღვაწლი, თბ. 2003.
5. გრიგოლ რობაქიძე, ჩემთვის სიმართლე ყველაფერია, თბ. 1996.
6. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, 1992.
7. გრიგოლ რობაქიძე, ხუთტომეული, წ. III, თბ. 2012.
8. გრიგოლ რობაქიძე, ჩაკლული სული, თბ. 1991.
9. გრიგოლ რობაქიძე, გველის პერანგი, ფალესტრა, თბ. 1989.
10. ჟ. „განთიადი, 1990, №2.
11. ფრიდრიხ ნიცშე, ესე იტყოდა ზარატუსტრა, თარგმანი ერეკლე ტატიშვილის, თბ. 1991.
12. შერისხულნი 15 ტომად, ტ. II, თბ. 1994.
13. ათი საუკეთესო მოთხრობა, თბ. 1991.
14. გრიგოლ რობაქიძე, ლევ ტოლსტოი, რუსულიდან თარგმნა მანანა კვატაიამ, ჟ. ათინათი, 2013 №3.
15. ივანე ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, თბ. 1960.
16. ავთანდილ ნიკოლეიშვილი, XX ს. ქართული ლიტერატურა, ქუთაისი, 2002.
17. პეტრე იბერი (ფსევდო დიონისე არეოპაგელი), შრომები, ს. ენუქაშვილის რედაქციით, თბ. 1961.
18. გიორგი გურჯიევი, ჭეშმარიტების სამყაროში, გერმანულიდან თარგმნა ლაშა დადიანმა, თბ. 2000.
19. ზვიად გამსახურდია, „ვეფხისტყაოსნის“ სახისმეტყველება, თბ. 1990.
20. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II, თბ. 1990.
21. იოანე დამასკელი, მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა, ორი ძველი ქართული თარგმანი წმ. ეფრემ მცირისა და წმ. არსენ იყალთოელის, გამოსაცემად მოამზადეს რომან მიმინოშვილმა და მათა რაფაევამ, თბ. 2000.
22. გრიგოლ რობაქიძე, ცამეტი სონეტი, თბ. 2004.
23. გრიგოლ რობაქიძე, პორტრეტები, რუსულიდან თარგმნა მანანა კვატაიამ, თბ. 2012.
24. ვალერიან გაფრინდაშვილი, ერთტომეული, თბ. 1980.
25. ქართული საბჭოთა პოეზიის ანთოლოგია, თბ. 1980.
26. ვაჟა-ფშაველა, ხუთტომეული, ტ. III, თბ. 2011.
27. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ. 1977.
28. ტერენტი გრანელი, რჩეული, თბ. 2011.
29. ანა კალანდაძე, რჩეული, თბ. 1987.
30. გალაკტიონ ტაბიძე, ორ ტომად, ტ. I, თბ. 1988.
31. რუდოლფ შტაინერი, ვარდისა და ჯვრის საიდუმლოება, თბ. 1991.
32. დანტე, ღვთაებრივი კომედია, თარგმანი კ. გამსახურდიასი, თბ. 1941.
33. სიტყვა მართლისა სარწმუნოებასა, წ. II, თბ. 1990.

*Luara Sordia*  
*Sokhumi State University*  
**THE CONCEPT OF LAND IN THE WORKS OF GRIGOL ROBAKIDZE**  
**RESUME**

Grigol Robakidze considered key to the mystery of artistic expression attitude of the writer to the ground. He distinguished in love with the and, the land of hate wanting incineration land and creators fluidizing “new land and a new heaven”.

The author belongs to the category of masters extolling the ground.

Georgian writer felt the earth not as a physical matter but as flesh and blood, life, soul, source of national memory, the beginning of creativity and faith.

Writer seen in marriage the body to the ground historical significance of the nation, and the marriage of the earth and the sun felt intimacy with God, because the sun is the name of the divine.

Writer hearing breath of the earth, the fatherland, felt “plasma of the ground”, “aura of the ground”, conceptualized the whole cosmos, the earth curing power, a source of new ideas.

As a person apocalyptic Grigol Robakidze expected update of the universe, “a new earth and a new heaven”, also relied on the “land of immortals, the land of peace”.

*ნესტან სულავა*

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;  
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

**მზისა და ვარდის მეტაფორული ხატ-სახეების ტრანსფორმაცია, როგორც „ვეფხისტყაოსნის“  
კომპოზიციის ერთ-ერთი საფუძველი**

შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსანში“ მზისა და ვარდის მხატვრულ სახეებს მითოპოეტურ სახეთა შორის მრავალმხრივ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ. პოემის სიუჟეტს, სხვა მხატვრულ სახეებთან ერთად, წარმართავს დამჭნარი ვარდის ახალი ვარდით შეცვლის სიმბოლიკა, რაც სამყაროსა და საზოგადოებაში მიმდინარე ცვლილებებს მოასწავებს, და მზის მეტაფორა, რომლებიც პოემის კომპოზიციური სიმწყობრის მომწესრიგებლად გვევლინებიან. დასაწყისშივე როსტევან მეფის მიერ წარმოთქმული ბრძნული აზრი ცხოვრების წარმავლობისა და დაუდგომლობის თაობაზე ვარდის სიმბოლიკითა და მზის მხატვრული გააზრებითაა ნასაზრდოები („რა ვარდმან მისი ყვავილი...“; „მზე ჩაგვისვენდა...“), რაც პოემის დასასრულს პერსონაჟთა ცხოვრებაში ვარდის გაფურჩქვნის მეტაფორა-სიმბოლოა და მზის ეტლის ცვალების მხატვრული სახით ეპოქალური სიახლის მაუწყებელ მხატვრულ ასახვად წარმოგვიდგება („ვარდის ფურცლობის ნიშანი...“; „ეტლის ცვალება მზისაგან...“).

მზისა და ვარდის მხატვრული სახის, მეტაფორის, სიმბოლოს, ალეგორიის, ალუზიისა და ენიგმის გათვალისწინება გემართებს ცხოვრების სხვადასხვა საფეხურზე „ვეფხისტყაოსნის“ მთავარ პერსონაჟთა გარეგნობის, მათი შინაგანი სამყაროს, მძაფრი სულიერი განცდების სრულყოფილად გასააზრებლად. პოემის დასასრულს ვარდის მხატვრული ფუნქცია სრულიად განსაკუთრებულია, ვინაიდან გაზაფხულზე, ქვეყნით მწვანის ამოსვლის ჟამს ვარდის ფურცლობა ახალი სამყაროს დასაწყისადაა მოსააზრებელი, მის გაშლას უკავშირდება გარდატეხა პოემის გმირთა ცხოვრებაში, რომელიც ამიერიდან ბოროტისაგან განმარცვულია და სიკეთის დასაბამადაა მიჩნეული. ასევეა მზის მხატვრული სახეც ღრმა საზრისით დატვირთული, რომლის ეტლის ცვლა ეპოქალური სიახლის დასაბამადაა მიჩნეული. მთავრდება ძველი, პატრიარქალური ეპოქა და იწყება ახალი, მზით განათებული ეპოქა, ხოლო მზე ღმერთის სიმბოლოა; ვარდის მხატვრული სახის, მისი ტროპული მეტამორფოზის, მზის ცვალებადობის მეტაფორული არსის გამოყენებამ კიდევ ერთხელ წარმოაჩინა შოთა რუსთველის აზროვნების სიღრმე, მასშტაბურობა და მხატვრული ოსტატობა.

მზისა და ვარდის მეტაფორულმა და სიმბოლურმა გააზრებამ ქართულ მწერლობაში, ისევე როგორც ფოლკლორში, უმნიშვნელოვანესი ადგილი დაიკავა, მაგრამ განსაკუთრებულია მზისა და

ვარდის მეტაფორა, სიმბოლური გააზრება „ვეფხისტყაოსანში“, რომელშიც ირეკლება წინარე მითოლოგიური, ფოლკლორული, რელიგიური თუ ლიტერატურული ტრადიციები და რომელიც მომდევნო ხანის ქართული პოეზიისათვის თავად გვევლინება ამოურწყავ საუნჯედ. ამავე დროს მზისა და ვარდის მხატვრული სახეები პოემის კომპოზიციის ერთ-ერთ საფუძვლად მოიაზრება. მხატვრულ აზროვნებაში მზე და ვარდი ძირითადად მიჯნურს, სატრფოს უკავშირდება, მის გარეგნობას, ყველა იმ სულიერ განცდას ასახავს, რაც სიყვარულთან მიგვაახლებს: სიყვარულით გამოწვეულ სიხარულსა და ვნებას, გრძნობის მუდმივობას ან წარმავლობას, გრძნობისავე ცვალებადობას, თვით მიჯნურთა სიმორცხვესა და თავმოწონებას, სიამაყეს, სიმკაცრეს, მიუკარებლობას.

ვარდის მეტაფორული სახის შესახებ რუსთველის ესთეტიკური ფენომენის კვლევისას გ. ნადირაძემ აღნიშნა: „ვეფხისტყაოსანში ვარდის სიმბოლიკას დაკისრებული აქვს მაღალი იდეებისა და ემოციების გამოხატვა. ვარდში, ამ მინიატურულ ესთეტიკურ ფენომენში, ასახულია რუსთაველის მსოფლმხედველობა... ვეფხისტყაოსანში ვარდის სიმბოლიკას დავალებული აქვს გამოხატოს ხან სატრფოს მთლიანი მომხიბვლელი სახე, ხან მისი ქალწულებრივი სილამაზე, პირისახის, ბაგეებისა და ღაწვების სიტურფე, ხან ესა თუ ის სულიერი განცდა, ძლიერი ვნებათა ღელვა ან მაღალი იდეა. მთელი ეს მასალა რუსთაველის პოემას აქცევს მსოფლიო პოეზიის მიერ მოპოვებული ვარდის სიმბოლოების რეზერვუარად“ (ნადირაძე, 1956: 352-353). გ. ასათიანმა „ვეფხისტყაოსნის“ ვარდის სიმბოლიკა, ერთი მხრივ, აღმოსავლურ პოეტიკას დაუკავშირა, მეორე მხრივ, აღნიშნა, რომ ვარდის ალეგორიული გააზრება ტიპიური მოვლენაა აგრეთვე დასავლეთის რაინდული პოეზიისათვის (დაიმოწმა გიომ დე ლორისის „ვარდის რომანი“)“ (ასათიანი, 2002: 101). მზის მხატვრული სახის მრავალმხრივი გააზრებაა განხილული ვიკტორ ნოზამის მონოგრაფიაში „ვეფხისტყაოსანის მზისმეტყველება“. უნდა აღინიშნოს, რომ მზისა და ვარდის მხატვრულ სახეთა საფუძვლიანი განხილვის მიუხედავად, სამეცნიერო ლიტერატურაში „ვეფხისტყაოსნის“ კომპოზიციის წარმართვაში ამ სახეთა მხატვრული ღირებულება არაა განსაზღვრული.

მზისა და ვარდის მეტაფორების განხილვა წარმოაჩენს პოემის კომპოზიციის სიმეტრიულობას, რასაც დასაწყისში ძველი და ახალი თაობის საპირისპირო სახეები, მზის ჩასვენებისა და მზის ამობრწყინების სიმბოლური სახეები, დამკნარი ვარდისა და ახლად გაფურჩქნული ვარდის სიმბოლიკა, ხოლო პოემის დასასრულს მზისა და ვარდის სისრულე/სისავსე კი პერსონაჟთა ტანჯვის დასასრულსა და ბედნიერ მომავალს მიუთითებს. ამიტომ მზისა და ვარდის მხატვრული სახეები, რომელთა საშუალებით პოემის პერსონაჟები უკეთ წარმოჩნდებიან, კომპოზიციური თვალსაზრისითაცაა დატვირთული.

შოთა რუსთველი ვარდს აკისრებს ღრმა და რთული ფილოსოფიური აზრის გამოხატვის ფუნქციას, კერძოდ მშვენიერი ვარდის ყვავილის გახმობა-დაჭნობითა და ახალი ვარდის გაშლით „ვეფხისტყაოსანში“ აისახება სამყაროს, როგორც მთელის, ერთიანის, ისე მისი შემადგენელი ნაწილების, ელემენტების მარადმედინობა:

რა ვარდმან მისი ყვავილი, გაახმოს, დაამკნაროსა,  
იგი წახდების, სხვა მოვა ტურფასა საბადნაროსა (36/35).

შოთა რუსთველმა ეს სიტყვები, მართალია, კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით, როსტევან მეფის სურვილთან დაკავშირებით გამოთქვა, მაგრამ იგი პოლისემანტიკური მნიშვნელობისაა, ზოგადად თაობათა ცვლას შეეხება. ძველი თაობის წარმომადგენელი როსტევანი თავისი სამეფოს მომავალზე ზრუნავს და თავის ერთადერთ ასულს, თინათინს ამეფებს, ე. ი. იგი ახალ თაობას უთმობს გზას. ახალმა თაობამ კი სიახლე უნდა დაამკვიდროს, ახალ ზნეობაზე, ახალ თვისებრიობაზე დამყარებული საზოგადოება და ქვეყანა უნდა ჩამოაყალიბოს. ის, რაც არაბეთისათვის ჭეშმარიტებაა და რასაც როსტევანი ტრადიციის დაცვით, ამავე დროს, სიახლის მოლოდინით ამკვიდრებს, ინდოეთის სამეფო კარზე სხვაგვარად განისჯება, თაობათა ცვლა სხვაგვარად წარმოიდგინება, რადგან იქ არაა ის სიბრძნე დამკვიდრებული, რაც არაბეთშია, კერძოდ, „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია“ (40) და „მამა ყოველი ძისაგან ითავსებოდა“ (48). „ტურფასა საბადნაროსა“ სხვის მოსვლას, ახალი ვარდის გაშლას ეძღვნება მთელი „ვეფხისტყაოსანი“. მის სიუჟეტსა და კომპოზიციას, სხვა მრავალ ფაქტორთან, იდეასთან და მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებებთან ერთად, წარმართავს მზისა და ვარდის ურთულესი ტროპიკა, რომელშიც ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილი ზემოხსენებულ შეგონება-სიბრძნეს ენიჭება. „ვეფხისტყაოსანს“ საფუძვლად უდევს ადამიანის უსაზღვრო გონებრივ და სულიერ შესაძლებლობათა რწმენა, სამყაროსა და მის შემადგენელ ნაწილთა სრული ჰარმონია, წონასწორობა. ამიტომ პოემის დასაწყისში წარმოთქმული სიბრძნის დაფარულობა განცხადდება მის დასასრულს

მთელი სამყაროს ჰარმონიულად ჩამოყალიბებით: „შიგან მათთა საბრძანისთა თხა და მგელი ერთად სძოვდეს“ (1595).

ილია ჭავჭავაძე რუსთველის ამ სიტყვებს სხვადასხვა პრობლემის განხილვისას ხშირად მიმართავდა თავისი მოსაზრებების განსამტკიცებლად. უწინარეს ყოვლისა, ილია ჭავჭავაძემ შოთა რუსთველის ზემოხსენებული სიტყვები წაუშმდვარა „აჩრდილს“ ეპიგრაფად და პოემის დედააზრად დასახა, რითაც ის ნათელი, მზიანი ოპტიმიზმი გამოხატა, რა შინაარსიც თავად პოეტმა ჩააქსოვა და ჩააწნა მასში. წერილში „საქართველოს მოამბეზედ“ „ვეფხისტყაოსნის“ ზემოთ მოყვანილი სიტყვები შემდეგნაირად განმარტა: „გული სხვარიგად სცემს, როცა დედამიწაზედ ზამთრის შემდეგ მზე ამოხეთქავს მწვანე ბალახსა და უფრო სხვაგვარადა სცემს მამინ, როცა ცხოვრებაზედ ამოვა, თავს ამოჰყოფს ბრწყინვალე ყვავილი, ახალის აზრისა... მით უფრო მშვენიერია ეგ ყვავილი, თუ ცხოვრობს, მაინც ისე არ გაძუნწდება, რომ სხვა არ აღმოშობოს, იმ სხვამ კიდევ სხვა და ეგრეთ არ შეადგინოს ისტორიულ ყვავილთა გრეხილი, რომელშიაც მომდევარი წინადმსვლელზედ ყოველთვის უფრო სრულია, უკეთესი და მშვენიერი“ (ჭავჭავაძე, 1991: 121). მართალია, აქ ილია ჭავჭავაძეს საზოგადოებრივი აზროვნების განვითარება ჰქონდა მხედველობაში, მაგრამ მასში შეიძლება დავინახოთ ზოგადად დიალექტიკური მოძრაობის არსი, საზოგადოდ განვითარებადობა ბუნებასა და საზოგადოებაში, გარესამყაროსა და პიროვნებაში, ვინაიდან გრძნობადი სინამდვილის, ხილული სამყაროს „უთვალავი ფერის“ ყოველი ნაწილი, ყოველი წევრი მარადმედინობის უნივერსალურ კანონზომიერებას ექვემდებარება.

ამ უკვდავ მეტაფორაში ჩაქსოვილია დიდი სიბრძნე, რომ აქვეყნიური ცხოვრება არის ცვალებადი და წარმავალი, მაგრამ, ამავე დროს, მარადიული და უბერებელი, ვინაიდან სამყარო, ღვთისაგან შექმნილი, მარადიულად მიისწრაფვის სისრულისა და განახლებისაკენ, რათა მან ღმერთისაგან მინიჭებული მშვენიერება შეინარჩუნოს. სამყაროს მშვენიერება კი მის განახლებადობაშია, მარადიულ ცვალებადობაშია, ხოლო სამყაროს განახლებისათვის მცდელობა და სიახლისაკენ სწრაფვა ახალი ცხოვრებაა.

შოთა რუსთველის ეს სიტყვები მხოლოდ დიდაქტიკური ალეგორია არ არის. გ. ასათიანის სიტყვით, „ეს არის ამავე დროს უმძაფრესი პოეტური შთაგონებით მოპოვებული, შემოდგომის მზისა და ნაწვიმარი მიწის სუნთქვით გაჟღერებული ცოცხალი პოეტური სახე, რომელსაც გარდა გადატანითი მნიშვნელობისა, თავისი საკუთარი დამოუკიდებელი მხატვრული სიცოცხლეც გააჩნია“ (ასათიანი, 2002: 108).

მზისა და ვარდის მეტაფორას შოთა რუსთველი თავისი პოლიტიკურ-სოციალური მრწამსის გამოსახატავად იყენებს, რასაც როსტევეანის მიერ თინათინისათვის ნათქვამი სიტყვები მოწმობს:

ვარდთა და ნეხვთა ვინათგან მზე სწორად მოეფინების,  
დიდთა და წვრილთა წყალობა, შენმცა ნუ მოგეწყინების (50/49).

შოთა რუსთველის ეს სიტყვებიც ევანგელური სწავლების გამოძახილია: „მზე მისი აღმოვალს ბოროტთა ზედა და კეთილთა, და წვიმს მართალთა ზედა და ცრუთა“ (მ. 5, 45). ეს პარალელი მიუთითა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა კალისტრატე ეკაშვილმა ნაშრომში „ვეფხისტყაოსნის ავტორის მსოფლმხედველობისათვის“ (ვ. ეკაშვილი, 1966: 248).

„ვეფხისტყაოსანში“, ერთი მხრივ, ტარიელსა და ნესტან-დარეჯანს, მეორე მხრივ, ავთანდილსა და თინათინს თავიანთი ამბის დასაწყისში ავტორი სრულყოფილებით წარმოაჩენს, მათი ვარდი გაშლილია და თავს მზის ნათელი ადგათ. თინათინისა და ავთანდილის ქორწინებას არაფერი უშლის ხელს, მაგრამ ავთანდილი უნდა გამოიცადოს, რისთვისაც რთული საქმის აღსრულება და ამისთვის განკუთვნილი დროის უხინჯოდ გასვლაა საჭირო. რაც შეეხება ნესტან-დარეჯანისა და ტარიელის ქორწინებას, დიდი დრო დასჭირდა, ვიდრე ინდოეთიდან გადაკარგული მიჯნურები ერთმანეთს იპოვიდნენ და შეხვდებოდნენ. მათი ცხოვრების თანამდევია დამჭნარი ვარდისა და გაშლილი ვარდის მხატვრული სახეები, რითაც მათი ცხოვრებისეული პერიპეტებიცაა წარმოჩენილი. ასევეა მზის მეტაფორა და სიმბოლოც გასააზრებელი.

უბიწოების, უმანკოების, ქალწულებრივი სილამაზისა და მომხიბვლელობის სიმბოლო ვარდი „ვეფხისტყაოსანში“ თინათინის სრულყოფილ სახეს აჩვენებს:

კოკობი და უფურჭუნელი ვარდი დაგხვდე დაუმჭნარი (133).

ვარდი ჩემი არ დაჭნების, შუქი შენი იეფადა (136).

მიჯნურისაგან დავალების აღსასრულებლად წასული ვარდის სახით წარმოდგენილი ავთანდილი მზესთან გაყრის მეტაფორით წარმოჩნდება: „ვარდი მის მზისა გაყრილი უფრო და უფრო ჭნებოდა“ (181). ეს მეტაფორა არაერთგზის გამეორდება პოემაში და უმეტესად ტარიელის სახის უკეთ შესაცნობად:

ჰხედავთ, ვარდსა უმზეობა როგორ ადრე დააჩნდების! (719).

მზისა შუქთა ვერ მჭვრეტელი ია ხმების, ვარდი ჭნების (795).

მაგრა ვარდსა უმზეობა გაახმობს და ფერსა აკლებს (922).

უმზეო, დათრთვილულ, დამჭნარ ვარდს უპირისპირდება მზიანი და დაუმზრალი, სავსე და გამლილი, მზის შუქით გავსილი და დამშვენებული ვარდი:

მზე რა ვარდსა შემოადგეს, დაშვენდენ და შუქნი არნენ (1420).

ვარდი და მზე ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის სიმბოლურ სახეებად მოიაზრებიან; ეს სიტყვები ხომ ქაჯეთის ციხის აღების შემდეგ არის ნათქვამი ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის შესახებ, როდესაც მათი შეხვედრა შოთა რუსთველმა მუშთარ-ზუალის შეყრად და ვარდზე მზის სხივთა გარდაფენად წარმოაჩინა, რითაც სიყვარულის ღვთაებრიობა, უძლეველობა, მარადიულობა, სასოება იქადაგა. თვით ნესტან-დარეჯანის მიერ ზღვათა სამეფოში ნათქვამი – „მზემან შუქი შემომადგნა, ვარდი მით ვარ არ-დამზრალი“ (1435) – იშვიათი პლასტიურობით ხატავს პერსონაჟის გადატანილ მძაფრ განცდებს და მოპოვებულ სიმშვიდეს, სისავსეს, ბედნიერებას. და კომპოზიციაც შეკრულია, მზის შუქით გავსებული ვარდი სიმბოლურია და პერსონაჟთა ბედნიერ მომავალს განაპირობებს.

შოთა რუსთველი ვარდისა და ეკლის სიმბოლიკით ვარდის ღრმა მხატვრული და საღვთისმეტყველო გააზრების საშუალებას იძლევა. „ვეფხისტყაოსანში“ დასტურდება რამდენიმე შემთხვევა, როდესაც საღვთო სახელებით ან ჰაგიოგრაფიულ-ჰიმნოგრაფიული წმინდანის აღმნიშვნელი ხატიტ პოემის მთავარი გმირები ასახებიან (სულავა, 1977: 134). ერთ-ერთი ასეთია მეტაფორა-სიმბოლო „ვარდი ეკალთა შორის“, რომელიც ტარიელს, როგორც ცხოვრებისაგან გატანჯული, ნაწამები და საღვთო გზაზე დამდგარი პიროვნების დასახასიათებლად გამოყენებული. როდესაც როსტევანს არაბეთს მოზრუნებულმა ავთანდილმა ვეფხვის ტყავით მოსილი მოყმის შესახებ უამბო, ტარიელი წამებულის მეტაფორით შეამკო:

ვარდი დამჭნარი ეკალთა შუა, შორს მყოფი, ახ, ის ა! (690).

ტარიელის ყოფას, მდგომარეობას ავტორი თავის თხრობაში, სხვა პერსონაჟები – ფრიდონი და ავთანდილი თავიანთ საუბრებში ხშირად ადარებენ დამჭნარ, დამზრალ ვარდსა და შუქნაკლულ მზეს, თავადაც ასე უწოდებს საკუთარ თავს, საიდანაც მისი მძაფრი სულიერი განცდები, შინაგანი სამყაროს სირთულე, მძიმე და ტანჯული ყოფითის ცხოვრება გამოსჭვივის. მაგრამ, ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ ვარდი დამჭნარიც ვარდია, მზე დამზრალიც მნათობია და ესთეტიკურად ორივე მაინც მშვენიერია. ტარიელის წარმოსახვა როსტევანის წინაშე მეტაფორა-სიმბოლოთი „ვარდი დამჭნარი ეკალთა შუა“ ვეფხისტყაოსან მოყმეს წარადგენს ესთეტიკური სახით, რაც დროის პოეტიკასაც ითვალისწინებს, ვინაიდან მასში უპირველესად ტარიელის წარსული მშვენიერებაც იგულისხმება და ისიც, რამ მიიყვანა იმ მდგომარეობამდე, რომ იგი მიჩნეულ იქნას „ვარდად დამჭნარად ეკალთა შუა“. ტარიელის ამგვარი აღმქმელი ავთანდილიც უდიდესი ესთეტიკა, ვინაიდან მას საგანთა და მოვლენათა მიღმა შეუძლია ძირითადი არსის ჭვრეტა ისე, რომ მშვენიერების შეგრძნების უნარი შეინარჩუნოს. მკითხველს თვალწინ წარმოდგება თვალწარმტაცი მოყმე თავისი წარსულით, აწმყოთი და მომავლით, ვინაიდან ვარდში უთუოდ იხილვება მისი მომავალი ზეობაც.

ვარდის სიმბოლო ღრმა მხატვრულ დატვირთვას იძენს „ვეფხისტყაოსანში“ ახალი ეპოქის, ახალი დროის, ახალი ცხოვრების მოახლოების აღსანიშნავად. რუსთველმა ვარდი და ვარდის ფურცლობა მოიხმო ღრმა ფილოსოფიური აზრის ასახსნელად. გავიხსენოთ ავთანდილის ნათქვამი ტარიელთან საუბრისას გამოქვამულში, როდესაც ნესტან-დარეჯანის საძებრად მიმავალმა უკან დაბრუნების დრო დაუთქვა:

ამა ჟამსა ნიშნად მოგცემ, დროსა ამას ვარდ-იფესა;

ვარდთა ნახვა გაგაკრთობდეს, მართ ვითა-მცა ძალდი ყეფსა (937/936).

მითითებულია გაზაფხული, კერძოდ, ვარდის სიმრავლის დრო – „ვარდ-იფესა“.

ნესტან-დარეჯანის ამბის შეტყობის შემდეგ ავთანდილს ტარიელისთვის მიაქვს სატრფოს წერილი და რიდის გადანაკვეთი. შოთა რუსთველი გულანშაროდან, ანუ ვარდთა ქალაქიდან მომავალი ავთანდილის სახეს, მის მიერ უძნელესი საქმის აღსრულებას იშვიათი ლირიზმით აღსავსე სტრიქონებით ხატავს, სადაც ყოველი სიტყვა თავის პირველად მნიშვნელობასთან ერთად ახალი აზრითა და გაგებით, მხატვრული სიღრმითა და ფილოსოფიური ჭვრეტითაა დატვირთული. ავტორი, ერთი მხრივ, კონკრეტულ დროს – გაზაფხულის მიწურულს, ზაფხულის მოახლოებას მიუთითებს, მეორე მხრივ, აქ კონკრეტული დროის მიღმა ეპოქათა ცვალებადობა იხილვება; დრო აბსტრაქტულობას იძენს, რაც იშვიათი მეტაფორულობითა და ალეგორიულად გააზრებული სახეებით წარმოსახება:

მოწურვილ იყო ზაფხული, ქვეყნით ამოსლვა მწვანისა,

ვარდის ფურცლობის ნიშანი, დრო მათის პაემანისა,



ეტლის ცვალება მზისაგან, შეჯდომა სარატანისა.

სულთქვანა, რა ნახა ყვაილი მან, უნახავმან ხანისა (1328).

აქ წარმოსახულ სურათში ყოველი მხატვრული სახე დაფარულ აზრს მოიცავს, გადატანითი მნიშვნელობითაა გასააზრებელი. მასში ვარსკვლავთმეტყველებისა და ფერთამეტყველების სიმბოლოებით ახალი ეპოქის დასაწყისია მონიშნული. აქვე შევნიშნავთ, ამ ეპიზოდს თავისთავადი, დამოუკიდებელი, უშუალო მხატვრული ღირებულებაც ენიჭება, ვინაიდან ავთანდილი ცოცხალ ვარდებს ხედავს, ხოლო ვარდი, ერთი მხრივ, ტარიელთან შეხვედრის დათქმულ დროს შეახსენებს, და მეორე მხრივ, მას აგონებს მიჯნურს, რომელთან შეხვედრაც უკვე მოახლოებულია. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ავთანდილს, თავად სიცოცხლის მოყვარულსა და მოტრფიალეს, ახარებს ბუნების განახლება, გაზაფხულის შეგრძნება, აღორძინებული ბუნების ხილვა.

ყველაფერი, რაც ციტირებულ სტროფშია გადმოცემული და რომელიც მრავალმხრივი ანალიზის საფუძველს ქმნის, „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრულ ქსოვილში სიახლესა და ლხინის, ანუ „ტკბილის“ დავანებას მოასწავებს. ქაჯეთის ციხეში ნესტანის მიერ დაწერილი წერილის მიხედვით, ტარიელი მზის წილია. მზის წილი გმირები მათის წვიმით არიან განზანდილნი, ამიტომ „ვეფხისტყაოსანში“ „ვარდის ფურცლობის ნიშანი“ არის, ერთი მხრივ, ტარიელთან, ვითარცა მზის წილთან, შეხვედრის ნიშანი. მეორე მხრივ, „ვარდის ფურცლობის ნიშანი“ მიტევებაა ღმერთისაგან, ღმერთთან მოსალოდნელი შეხვედრის ნიშანი, რაც ადამიანის სულიერი აღორძინებით, გარდასახვით, პიროვნების ზნეობრივი განსრულებით, განწმენდითა და საბოლოოდ განღმერთობით გვირგვინდება. „ეტლის ცვალება მზისაგან, შეჯდომა სარატანისა“ ეპოქის ცვლას მიაწინებს, ძველი იცვლება ახლით, ტრადიციულზე დამყარებული ახალი ჰარმონია მყარდება. თავის მხრივ, მხატვრული აზრის გამოხატვა ზოდათქმულ ნიშნებზე აქცენტირებით რენესანსულია. ზაფხულის მოწურვა-მოახლოება, მიწით მწვანის ამოსვლა, ვარდის ფურცლობის დრო – ყოველივე ეს ახალი ეპოქის, ახალი დროის დასაწყისია ტარიელის, ავთანდილის, ნესტან-დარეჯანისა და თინათინის ცხოვრებაში; ესაა განახლებული სულიერი ცხოვრების დასაწყისი. ეს „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟთა ახალი თაობის სასიკეთო ქმედების დროის დადგომას მოასწავებს, ესაა ორად გახლეჩილი სამყაროს გამთლიანების მოახლოების დრო. ისინი ბუნების გამოღვიძება-განახლებას ემთხვევა, რაც უთუოდ სულიერი ქორწინებით უნდა დასრულდეს. იშვიათი მეტაფორული სახეები ამავე დროს სიმბოლურია, ალეგორიულია, ენიგმურია, ალუზიურია, რაც შამხნარში მყოფ ტარიელთან ავთანდილის საუბრისასაც იჩენს თავს:

ეტყოდა: „ვცანო ამბავი, შენ რომე გაამებოდა,

აწ გაახლდების ყვაილი, ვარდი აქამდის ჭნებოდა“ (1337).

უცხოდ ყოფნის, საფარველდადებულობის, ვეფხისტყაოსნობის პერიოდი მთავრდება და „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟი-გმირები ახალი მეობის მოპოვების შემდეგ, მარადიულ ღირებულებათა გათავისების შემდეგ სულიერი ქორწინებისა და ღმერთთან შერთვის, ღმერთთან ზიარების ღირსნი ხდებიან.

მზის შემობრუნება „ვეფხისტყაოსნის“ გმირებისაკენ მათი სულიერი მომავლის, ღვთაებრივი გზით სვლის დასაწყისია. ქრისტიანული მსოფლმხედველობის, ქრისტიანული სახისმეტყველების მიხედვით, მზე საღვთო სახელია, ღმერთის ერთ-ერთი მიუცილებელი ატრიბუტია (იხ. ფსევდო-დიონისე არეოპაგელის „სადმართოთა სახელთათვის“). საგანგებოდ შერჩეული დრო – „მოწურვილი იყო ზაფხული“, „ვარდის ფურცლობის ნიშანი“ და „ეტლის ცვალება მზისაგან“ მოწმობს იმას, რომ იგი არაა ოდენ კონკრეტული შინაარსის მომცველი, რადგან, რუსთველის სწავლებითა და მეტაფორული აზროვნების თანახმად:

ზამთარი ვარდსა გაახმობს, ფურცელნი შთამოსცვივიან,

ზაფხულის მზისა სიახლე, დასწვავს, გვალვასა ჩივიან,

მაგრა მას ზედა ბულბულნი ტურფასა ხმასა ყივიან, -

სიცხე სწვავს, ყინვა დააზრობს, წყლულნი ორჯერვე სტკივიან (1347).

ვარდი „ვეფხისტყაოსანში“ მზესთანაა დაკავშირებული. ვარდი უმზეოდაა, ვიდრე ნესტან-დარეჯანი და ტარიელი საწუთროსაგან გაყრილნი არიან; ასეთ შემთხვევებში იგი სატრფოსთან განშორების სიმბოლოა. „ჰხედავთ, ვარდსა უმზეობა რაგვარ ადრე დააჩნდების!“ (719/717); „მზისა შუქთა ვერ-მჭკრეტელი ია ხმების, ვარდი ჭნების“ (795/793); „მაგრა ვარდსა უმზეობა გაახმობს და ფერსა აკლებს“ (832/830). რუსთველი ავთანდილს ათქმევინებს – “მზისა შუქთა მომლოდინე ვარდი სამ დღე არ დაჭნების“ (904) – რომელშიც კვლავ სიმბოლური აზრია ჩადებული. ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის შეყრა მზისა და ვარდის შეყრასთანაა შედარებული და მეტაფორულად გადმოცემული, რაც, ამავე დროს, ღრმა სიმბოლურ და ალეგორიულ შინაარსსაც იძენს. „მზე რა ვარდსა შემოადგეს, დაშვენდენ და შუქნი არნენ“ (1420/1421): „მზემან შუქნი შემომადგნა, ვარდი მით

გზან არ-დამზრალი“ (1435/1436). უმზეო ვარდი და მზიანი ვარდი ისეთივე ბინარული ოპოზიციაა, როგორც ვარდი უეკლო და ვარდი ეკლიანი, ვარდი კოკობი და ვარდი დამჭნარი. მზისა და ვარდის შეხვედრა, როგორც ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის შეხვედრა, „ვეფხისტყაოსნის“ გმირთა სულიერი განახლების, განწმენდისა და ღვთის ნების აღსრულების გამოხატულებაა, რაც სიყვარულის ყოვლისმომცველობის, მარადიულობის, სიკვდილზე სიყვარულის გამარჯვების დასტურია. რაც მთავარია, მზისა და ვარდის მეტაფორით, სიმბოლოთი და ალეგორიით პოემის კომპოზიცია იკვრება.

ამრიგად, „ვეფხისტყაოსანში“ მზესა და ვარდს მხატვრულ სახეთა სისტემაში უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავთ. პოემის სიუჟეტს წარმართავს დამჭნარი ვარდის ახალი ვარდით შეცვლის, დამზრალი მზის ნათლით შეცვლის სიმბოლიკა, რაც სამყაროსა და საზოგადოებაში მიმდინარე ცვლილებებს შეესაბამება. ამიტომ მზისა და ვარდის მეტაფორით, სიმბოლოთი და ალეგორიით აისახება მთავარ პერსონაჟთა გარეგნობა ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე და მათი შინაგანი სამყარო, მძაფრი სულიერი განცდები. პოემის დასასრულს მზისა და ვარდის მხატვრული ფუნქცია სრულიად განსაკუთრებულია, ვინაიდან გაზაფხულზე, ქვეყნით მწვანის ამოსვლის ჟამს ვარდის ფურცლობა და მზის შესვლა ლომის ზოდიაქოში ახალი სამყაროს დასაწყისად მოიაზრება, მას გარდატეხა შეაქვს პოემის გმირთა ცხოვრებაში, რომელიც ამიერიდან ზოროტისაგან განმარცვლია და სიკეთის დასაბამადაა მიჩნეული. მთავრდება ძველი, პატრიარქალური ეპოქა და იწყება ახალი, მზით განათებული ეპოქა, ხოლო მზე ღმერთის სიმბოლოა; მზისა და ვარდის მხატვრული სახის, მისი ტროპული მეტამორფოზების გამოყენებამ კიდევ ერთხელ წარმოაჩინა შოთა რუსთაველის მასშტაბური აზროვნება და მხატვრული ოსტატობა.

#### ლიტერატურა:

შოთა რუსთაველი, 1966: შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, I, ტექსტი ძირითადი ვარიანტებით, კომენტარებით და ლექსიკონითურთ, ა. შანიძისა და ა. ბარამიძის რედაქციით. თბ., 1966.

ასათიანი, 2002: გ. ასათიანი, თხზულებანი, II, თბილისი, 2002.

კ. ეკაშვილი, 1966: კ. ეკაშვილი (კალისტრატე ცინცაძე), ვეფხისტყაოსნის ავტორის მსოფლმხედველობისათვის, კრებ.: შოთა რუსთაველი, ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი, ხელნაწერთა ინსტიტუტის გამოც., თბილისი, 1966.

ნადირაძე, 1956: გ. ნადირაძე, რუსთაველის ესთეტიკა, თბილისი, 1956.

სულავა, 1977: ნ. სულავა, რუსთაველი და ძველი ქართული სასულიერო პოეზია, დისერტაცია ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 1977 (ხელნაწერის უფლებით).

ჭავჭავაძე, 1991: ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, თბილისი, 1991.

*Nestan Sulava*

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University;*

*Samtskhe-Javakheti State University*

### **THE TRANSFORMATION OF THE METAPHORICAL ICONS OF THE ROSE AND THE SUN, AS ONE OF THE BASES OF THE COMPOSITION "KNIGHT IN THE PANTHER SKIN" RESUME**

Artistic images of the rose and sun occupy a significant place in Shota Rustaveli's "The Knight in the Panther's Skin". The story of the poem, along with other artistic images, leads to the symbolism of the replacement of a withered rose with a new one, which heralds ongoing changes in the world and the society, and the metaphor of the sun, which appears as a settler of the harmony of the composition of the poem.

At the beginning of Rustaveli's poem, the King Rostevan has a wide idea regarding the vanity of life, which is given by the symbol of Rose and the artistic comprehension of the sun as artistic image ("What made the rose stale its flower"... "the sun has gown down"...). The comprehension of the rose's metaphor, which is beginning to grow and blossom, and the sun changes its zodiac place in the sky, show that a new epoch has begun, that is, an epochal novelty, change, which brings happiness await the characters ("the sign of the rose's flowering"; wisdom at the end of the poem in the life of the characters is given by showing the symbol of blossoming the rose and changes of the sun's cab and it is given for the innovated epoch ("the sign of the rose flowering" "change the chariot from the sun").

The symbol, allegory, allusion and enigma should be considered throughout the different stages of life to understand completely the main characters in the "Knight in the Panther's Skin", their inner world, intense spiritual sense, the artistic images of the sun and the rose, as well as metaphor. At the end of the poem, the artistic function of a

rose is special, since in the spring, the emergence of the green in the country, the burst into leaf of the rose is considered the beginning; it brings the sudden change in the lives of the characters of the poem, who are now stripped of evil and are considered as the commencement of the good. The artistic image of the sun is similar, loaded with deep conception whose change of the chariot is considered as the commencement of the novelty. The old, patriarchal epoch ends and a new, sun-illuminated epoch begins, while the sun is a symbol of God; The use of the artistic image of the rose, its tropological metamorphosis, the metaphorical essence of the inconstancy of the sun has once again demonstrated the depth, range and artistic mastery of Shota Rustaveli's thinking, which requires the sixth sense in order to access it, see and realize.

*მარინე ტურავა, ნანა კუცია  
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

### **გოთურმანის თამაში**

*/ელგუჯა თავბერიძის „მარშალი და მარშლის შვილი“ (სვიმონ გიორგის ძე წერეთლის ცხოვრების ქრონიკა)/*

ელგუჯა თავბერიძის რომანი „მარშალი და მარშლის შვილი“ 2016 წელს გამოიცა. ეს არის პირწმინდად დოკუმენტური პროზა, ნონფიქშენი, სადაც მინიმუმამდეა დაყვანილი მხატვრული გამონაგონი. მხატვრული სინთეზი მხოლოდ ფაქტებისა და მოვლენების სწორად, თანმიმდევრულად, გააზრებულად დალაგებისას არის გამოყენებული, თანაც ისე, რომ დოკუმენტური მასალა თავად ქმნის ტიპურ სოციალურ თუ პოლიტიკურ გარემოს, აცოცხლებს რეალობას. მასალის შერჩევის ხარისხი და ესთეტიკური შეფასება აფართოებს დოკუმენტური ლიტერატურის ინფორმაციულ ხასიათს. შვეიცარიელი მკვლევრის ჟაკარის შეფასებით, ლიტერატურა ყოველთვის ავტორეფერენციაა – მასში ყოველთვის არის „დისკურსი საკუთარ თავზე“. დოკუმენტური პროზა ნაკლებად იყენებს ავტორეფერენციის მექანიზმს, ის უმთავრესად მუშაობს როგორც დოკუმენტი, ავტორისეული დისკურსი კი, მხოლოდ მოვლენების შეფასებით ამოიწურება.

ერთადერთი მარშალი, ვინც სალბუნად ედება ქართველთა მეხსიერებას და ეროვნულ იდეალებს ეწირება დიმიტრი ყიფიანია. თავადაზნაურთა საკრებულო იმპერიის შინაგან საქმეთა მინისტრს ექვემდებარებოდა, იგი ამტკიცებდა არჩეულ წინამძღოლსაც, ამიტომ ეროვნულად მოაზროვნე კაცის გამარშლება არ იყო ადვილი. თუმცა სვიმონ გიორგის ძე წერეთლის ცხოვრების ქრონიკა სწორედ იმის მაგალითია, რომ ადამიანი ქმნის თანამდებობას და ეროვნული იდეალებისათვის ბრძოლას გამორჩეული ქართველები მაინც ყოველთვის ახერხებდნენ. ეს კაცი ათ წელიწადს (1889-1899) ხელმძღვანელობდა ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობას. ელგუჯა თავბერიძე მისი ცხოვრების გაცოცხლებით მეცხრამეტე საუკუნის დასასრულის ქუთაისსაც გვიხატავს და მთელ დასავლეთ საქართველოსაც, ეპოქის სულისკვეთებას გვიჩვენებს. როგორც ნაწარმოების მინაწერში აღნიშნავს ავტორი, სოლომონ აშორდიაზე დაწერილ რომანში რამდენიმე ამბავი მხატვრულ ქარგაში ვერ მოუქცევია, ამიტომაც ძნელად, მაგრამ მაინც შელევია მათ. მეორე მხრივ, თავის მასწავლებელსა და მოძღვარს – პეტრე ვაჭრიძეს ურჩევია მწერლისთვის მარშალ სვიმონ გიორგის ძე წერეთლის ცხოვრებით დაინტერესებულყო. მარშლის ცხოვრების ქრონიკებმა ბუნებრივად დაიტია მწერლის მიერ ძნელად შელეული და დროებით მივიწყებული მასალები.

„აირევი ივერიაზეც“ უნდა ვთქვათ ორიოდ სიტყვა, 20 წლის წინ დაწერილი ეს რომანი ნიჭიერი თაღლითის სოლომონ აშორდიას ცხოვრებაზე მოგვითხრობს. ერთი საუკუნის წინათ სამეგრელოსა და იმერეთში ორი ათასამდე კაცი აშორდიას შემწეობით გათავადდა ან გააზნაურდა. ტერმინიც დამკვიდრდა – „აშორდიას აზნაური“. ქართველი ავანტურისტის, სოლომონ აშორდიას ამბავი ადვილად მოგაგონებს მსოფლიოში ცნობილ თაღლითებს: **ვიქტორ ლუსტიგს** */(1890-1947), ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი თაღლითი კაცობრიობის ისტორიაში. მან ეიფელის კოშკი რამდენჯერმე გაყიდა*; **ფრენკ აბიგნიელს** */მეტსახელი „დამიჭირე თუ შეგიძლია“, ამერიკელი იყო, მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში ცხოვრობდა. გადაწყვიტა მსოფლიო შემოევლო, ავიაკომპანია „ემერიკან ეარლაინზის“ პირადობის მოწმობა და*

უნიფორმა იშვიათად და თავი მფრინავად გაასაღა. 2 წლის მანძილზე სრულიად უფასოდ 26 ქვეყანა მოიარა. შემდეგ კოლუმბიის უნივერსიტეტის დიპლომი გააყალბა და 1 წელი მასწავლებლად მუშაობდა, როცა მასწავლებლობა მოსწყინდა, 2 წელი ექიმად მუშაობდა ჯორჯიის ერთ-ერთ კლინიკაში, ბოლოს ჰარვარდის უნივერსიტეტის დიპლომი გააყალბა და ლუიზიანაში პროკურორის თანაშემწედ 8 თვე იმუშავა. მასზე სტივენ სპილბერგმა გადაიღო ფილმი „დამიჭირე თუ შეგიძლია“, სადაც მთავარ როლს ლეონარდო დი კაპრიო ასრულებს, ფილმში თვითონაც მონაწილეობს პოლიციელის ეპიზოდურ როლში, რომელიც გმირს (დი კაპრიოს) აპატიმრებს და ფრენკ (ფერდინანდ) დემარას /ისიც ამერიკელია, მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში ცხოვრობდა, უდიდესი თვითმარქვია თაღლითის სახელით შევიდა ისტორიაში. შესანიშნავად გაართვა თავი სხვადასხვა პროფესიას: იყო მღვდელი, ქირურგი, სტომატოლოგი, ინჟინერი, ფსიქოლოგიის დოქტორი, ადვოკატი, ბავშვთა უფლებების დაცვის ექსპერტი, რედაქტორი, ციხის უფროსის მოადგილე კი. სოლომონ ამორდია გამოგონილი გვარებით (დაახლოებით 15-20 გვარზე მაინც ჰქონდა თავისივე ხელით დამზადებული ყალბი პასპორტი - ანანიევი, ზედგინიძე, ზახაროვი, თავზაროვი...) სხვადასხვა ქალაქში (სარატოვში, ყაზანში, ორენბურგში, კიევში) ცხოვრობდა. ამხაბადში ვინმე პორუჩიკ ანანიევის გვარით იყო ცნობილი. ამხაბადიდან ბაქოში წასულა, რომ იქიდან ირანში გამგზავრებულიყო, სადაც მრავლად ყოფილან ქართველები, რომლებიც პირველი „ამერიკული ტიპის“ კაპიტალისტ აკაკი ხომტარიასთან მუშაობდნენ. შუა აზიიდან წამოსვლის მიზეზი ის იყო, რომ იმ ქართველებიდან მას ზევრი იცნობდა.

თავადაზნაურობა, რომელიც საუკუნეების მანძილზე ქართველთა სახელმწიფოებრივი და ზნეობრივი სიმყარის გარანტად ითვლებოდა, ამორდიას წყალობით, სრულიად უნიათო, ძალაგამოცლილი და უზნეო გახდა. თუ მაღალი წოდების დასაგმობი ზნენი აქამდე თითზე ჩამოსათვლილი იყო და გაკიცხვას იმსახურებდა, ამორდიას გამოისობით - ნორმად, საზოგადო ჭირად იქცა. ამორდიასა და სვიმონ წერეთლის ბიოგრაფიები უცნაურად გადაეჯაჭვა ერთმანეთს, მარშალი სწორედ სოლომონის თაღლითურ სქემებს შეეწირა, მას გადააყოლა თანამდებობაც და ქონებაც.

ელგუჯა თავბერიძემ ამორდიაზე დაწერილი წიგნის სათაური გალაკტიონისაგან აიღო. პოეტის პალინდრომი: „აი რა მზის სიზმარია აირევი ივერია აი დროშა ამორდია აერების სიბერეა“, ერთი მხრივ, ოსტატურად მიგნებული მხატვრული ხერხია და წაღმა-უკუღმა იკითხება, მაგრამ, მეორე მხრივ, მასში ღრმა აზრია ჩადებული – ივერია „მართლაც აირია, აითქვიფა, აიდღვობა, ამორდიასა და მისი მეგობრების მეშვეობით თავადობა, აზნაურობა ადვილად მისაღწევი გახდა. ასეთად შეეძლო ქვეულიყო ყველას, ვისაც ფული ჰქონდა და სურვილი გააჩნდა, სენაკში, ზუგდიდსა ან ქუთაისში ჩასვლაც არ დასჭირდებოდა, ადგილზე მიუტანდნენ. თავადაზნაურობა – ერის ხერხემალი, ქვეყნისთვის ჰაერი, დაბერდა, ასაკი დაეტყო, ხმას ვეღარ იმაღლებდა, ქვეყანას ვეღარ უვლიდა, ამორდიას აზნაურები ყელყელაობდნენ, რაც სურდათ, იმას აკეთებდნენ, საითაც ეწადათ, იქით აბრუნებდნენ საჭეს, ნებისაებრ უშვებდნენ ღუზას“.

ვალერიან გაფრინდაშვილის სონეტი „ამორდიაც“ უნდა გავიხსენოთ:

კალიოსტროს ლანდს შესთავაზა მან პაემანი.  
წინაპრის ლანდით არის ახლა იგი ბურვილი.  
მეფურ სიუხვით ათავადა ყველა მსურველი.  
თვითონ ფრთიანი, უხილავი, როგორც დემონი.  
ხან მეომარი, ხან მოხელე, ხან ჩოხოსანი,  
ხანდისხან ლორდი – ის იგონებს საოცარ გრიმებს.

ახლა უშუალოდ წიგნზე: სათაური „მარშალი და მარშლის შვილი“, სულ ცოტა, სიზუსტეს მოკლებულია – ბიოგრაფიულ რომანს ერთი გმირი ჰყავს სვიმონ გიორგის ძე წერეთელი, მამამისი მხოლოდ ნახსენებია, როგორც შვილის ანტითეზა, რუსული იმპერიის მოერთგულე. უპრიანი იქნებოდა რომანს „მარშალი – მარშლის შვილი“ ან რაიმე მსგავსი დარქმეოდა. სვიმონ გიორგის ძე იშვიათი გარეგნობისა ყოფილა – მაღალი, მხარბეჭიანი, ლამაზი პირისახის პატრონი, საკმაოდ განათლებული, დიდი ფიზიკური ძალ-ღონეც და გულადობაც მოსდევდა. იგი თავისი წინაპრებისაგან რბილი ხასიათით, მიმნდობი, ლმობიერი დამყვავებული ბუნებით, ტკბილი მუსაიფით გამოირჩეოდა. სვიმონის ხასიათის სირბილეს ერთი ეპიზოდი ააშკარავებს: ბორჩალოში დიდი მამული ჰქონია, სადაც თავისი ძალებით გაუყვანია სარწყავი არხები, მოურავად ერთი რუსი ჰყოლია, თაღლითი და გაქეპილი, შემოსავალს ამცირებდა, მოგების მაგიერ ზარალს უჩვენებდა, ქუთაისში ფულის ჩამოტანის ნაცვლად, სვიმონს თავად სთხოვდა თანხასა და დახმარებას. ასე გრძელდებოდა კარგა ხანს, სანამ საქმეში სვიმონის ახლობლები არ ჩარეულან. ძნელია ამ ეპიზოდმა თეიმურაზ ხევისთავი არ გაგახსენოს, თუმცა, ლიტერატურული პერსონაჟისაგან განსხვავებით, მარშალი სვიმონ გიორგის ძე წერეთელი პრინციპული და მტკიცე იყო სახელმწიფოებრივ საკითხებში, რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ დამტკიცებული კაცი არაერთხელ დაპირისპირებია იმპერიას. ეს დაპირისპირება ჯერ კიდევ პეტერბურგში სწავლის დროს დაწყებულა, რევოლუციური გამოსვლებისას არაერთხელ დაუკითხავთ სხვა სტუდენტებთან ერთად,

მაგრამ ოსტატურად დაუმკრეპია თავი, თორემ ციხე არ ასცდებოდა. პეტერბურგიც, სავარაუდოდ, ამიტომ დაუტოვებია და ოდესაში (ნოვოროსიისკის საიმპერატორო უნივერსიტეტში) დაუცავს სამართლის კანდიდატის ხარისხი. როგორც ირკვევა, სიმონსა და მის მეგობრებს ჰქონიათ საიდუმლო ანბანი, შთამბეჭდავი სახელწოდებით – ქეთოს ანბანი. უნივერსიტეტის გასრულებისთანავე სვიმონმა ოდესის სასამართლოში დაიწყო მუშაობა, მალევე დატოვა ოდესა, მამის ავადმყოფობის გამო და თბილისის პალატაში გადმოვიდა, საიდანაც ერევნის საოლქო სასამართლოში მომრიგებელი მოსამართლის თანაშემწედ გაამწესეს, შემდეგ ახალციხისა და სიღნაღის მომრიგებელი მოსამართლეა. სავარაუდოდ, ამ დროს 1874 წელს შეერთო მარიამ ანდრონიკაშვილი (1913 წელს გარდაცვლილი ჩანს), 1882 წელს გაუჩნდა ვაჟი, რომელსაც სავარაუდოდ ტრადიციიდან გამომდინარე, გიორგი დაარქვა, მომდევნო წელს დაბადებულ ქალიშვილს ეკატერინე, ხოლო 1884 წელს მოვლენილ ვაჟს არჩილი. 1886 წელს დატოვა სამსახური, როგორც ჩანს, ახლის მოლოდინში და ავადმყოფობის მომიზეზებით.

1886-1889 წლებში თბილისის სათავადაზნაურო ბანკის საზედამხედველო კომიტეტის წევრი და საზოგადო კრებების თავმჯდომარეა. ილია შემთხვევით ვინმეს საერთო კრების თავმჯდომარეობას არ მიანდობდა, სვიმონის განსწავლულობას, პატიოსნებასა და მიმტევებლობას აფასებდა. პარალელურად სვიმონი „ნაფიც ვეკილთა დასში“ ჩარიცხულა. ის არ იყო იმპერიის დასაყრდენი კაცი. ახალი სამსახურის მომლოდინე სვიმონი უკანასკნელ გზაზე მიაცილებს დიმიტრი ყიფიანის კუბოს. პოლიციის მიერ შედგენილ სიაში ილიას, აკაკის, გიორგი შარვაშიძის, ანტონ ლორთქიფანიძისა და სხვათა გვერდით ისიც მოუყვებოდა ცხედარს.

განსაკუთრებული ადგილი ეთმობა წიგნში საარჩევნო ამბებს – ხმების ყიდვა-გაყიდვას, ვაჭრობას, ყველაზე დიდ განსაცდელს – ხმის დაკარგვას. თუ ვინმე მამულს გაყიდდა ან დაკარგავდა, უმიწაწყლოდ დარჩებოდა – „უცენზოებში ჩაირიცხებოდა, კენჭისყრა ხაზარდა, უიმათოდ ჩაივლიდა“. მამულისა და მდგომარეობის დაკარგვაზე მეტად ქართველ თავადებს სწორედ ხმის დაკარგვა აწინებდათ. არაერთ ამბავთან, შეხლა-შემოხლასთან არის დაკავშირებული სვიმონ წერეთლის მარშლად არჩევა. ფაქტია, რომ მაღლიერმა იმერლებმა იგი ღირსეული მსახურებისთვის, მოსამართლე-ვეკილობის დროს გამოვლენილი პროფესიონალიზმისა და მამულიშვილობის, გლეხებისადმი გამოვლენილი თანადგომის გამო აირჩიეს.

რომანი კონსტანტინე ოლდენბურგთან ქუთაისელი თავადაზნაურობის გამოთხოვებით იწყება, რუს თავადს ნიკოლოზ მეორისაგან პეტერბურგში დაბრუნების უფლება მიუღია, გამოსათხოვარ სადილს ტრადიციულად სვომონ წერეთელი უმღვებოდა, პირველი სიტყვაც მას წარმოუთქვამს. ეს არის პირველი ეპიზოდი, რომელშიც თვალნათლივ იკვეთება ქართველ თავადთა ბუნება: მლიქვნელურ-მამამებლური დამოკიდებულება დამპყრობლის მიმართ, თუმცა ყოველთვის აღმოჩნდებოდნენ ისეთებიც, მამულის ინტერესებს რომ არ გაწირავდნენ, ფეხქვეშ არ გათელავდნენ. პანეგირიკებს დროდადრო კოწია დადიანის მსგავსი თავადების წვიპურტი შეენაცვლებოდა – დიდხანს გაუგრძელდა პრინცს სტუმრობაო. კოწიას ერთი ისტორიის მოყოლა ყვარება – დიდი ხნის წინ ერთი თავადი სწვევია სტუმრად, რამდენიმე დღიანი ქეიფისა და დროსტარების მერეც კი, სიტყვა არ დაუძრავს წასვლაზე, მაშინ კოწიას შეუთავაზებია – გოთურმანი ვითამაშოთო. მე თავს დავღუნავ, წელში მოვიხრები, შენ გამოიქეცი და გადამახტი, რამდენჯერაც ფეხშეუხებლად გადამაფრინდები, იმდენჯერ გაიმარჯვებ-მეთქი. ასე ათამაშა სტუმარი ჭიშკრის მიმართულებით, მერე კი ჩაუკეტა კარი და თავიდანაც მოიშორა. ამ მოგონილი თუ ნამდვილი ამბის გაგრძელება იყო არანაკლებ საინტერესო – თათრებთანაც მათამაშა გოთურმანი, გამარეკინა კავკასიონის ქედს იქითო, თვალმომწკურული ისე ნატრობდა კოწია, ყველა ხვდებოდა, თათრებში რუსებს რომ გულისხმობდა. გასამგზავრებლად გამზადებულ პრინცს კი ასეთი სიტყვებით გამოთხოვებია: „ვერ მოგეხმარეთ, რამდენჯერ ბრძანდებოდნენ ჩვენი თავადები და აზნაურები ხელმწიფესთან, მაგრამ ერთხელაც არ უთხოვიათ, პრინცს სატახტო ქალაქში დაბრუნების ნება დართეთო, ვერ მოიფიქრეს, არადა წარმომიდგენია, რაოდენ მაღლიერი იქნებოდიო. რაც გააკეთეთ, ათჯერ მეტს გააკეთებდით, ბედოვლათები ვართ, ბედოვლათები“. თავად პლატონ წულუკიძეს თავისი სიტყვა ასე დაუსრულებია: „თქვენნი წასვლით საქართველო დაილუპებო“, მეორე თავადი ბეჟან ბერიძე შეპასუხებია: „არა, ჩემო პლატონ, პრინცის წასვლით საქართველო არ დაილუპება, ხოლო მე და შენ კი დავილუპებით.“ პლატონი და ბეჟანი, ბევრი არაფრის მქონენი, სხვებიც, ყოველდღე პრინცთან პურმარილობდნენ და ამით გაჰქონდათ თავი. არაერთი ასეთი ამბავია ჩართული რომანში, რომელიც აძლიერებს თხრობის დინამიკასა და ნაწარმოებით მიღებულ შთაბეჭდილებას, კრავს სიუჟეტურ ხაზს.

ვერც სიმონ წერეთლის, ვერც ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობის, ვერც ქალაქის თავის, ვერც სხვა ჩინოსნების, ვერც გამორჩეულ ქართველთა გულანთებულმა წადილმა ვერ მოიტანა შედეგი – ქუთაისი ურკინიგზოდ დარჩა. იუსტიციის მინისტრის თავმჯდომარეობით შექმნილმა კომისიამ მართლმსაჯულების ყველაზე ეფექტურ ფორმად ნაფიც მსაჯულთა სასამართლო აღიარა. სასამართლოს ნაფიც მსაჯულთა სხდომების რუსულ ენაზე წარმართვა იყო აუცილებელი მოთხოვნა. თავადაზნაურთა კრებამ მხარი დაუჭირა სპეციალური კომისიის გადაწყვეტილებას – სასამართლოს ერთ-ერთ წევრს მაინც

სცოდნოდა ადგილობრივი ენა, რადგან უამისობა მხარეებს არათანაბარ პირობებში ჩააყენებდა. გუბერნატორ გერშელმანს ცოფები უყრია, სასამართლოს მოხელეები აუყოლიებია და ურჩი თავადიშვილების გაციმბირება მოუთხოვია. ერმოლოზ გელოვანის მონათხრობიც საგულისხმო და მრავლისმთქმელი ამბავია, ნათლად რომ გვიჩვენებს იმპერიის ზრახვებსა და მიზნებს: ერთ ეკლესიაში რუსი დაუნიშნავთ მღვდლად, იმან ქართული არ იცოდა, მრევლმა რუსული, აიცრუა ხალხმა გული ეკლესიაზე. მღვდელს ასეთი ხერხი მოუფიქრებია – თარჯიმნის დახმარებით ხმამაღლა ამბობდა ცოდვას, აღმსარებელი მკლავზე მოჭერით უდასტურებდა – ჩამიდენიაო ეს ცოდვაო, თუ არ მოუჭერდა, უცოდველი იყო. ქრისტიანული ეკლესიის ერთ-ერთი უმთავრესი საიდუმლო ასე გაუმარყებია სულიერების უცხო მსახურსა თუ მის მომავლინებელს.

დიდი ადგილი ეთმობა წიგნში გიმნაზიისა და პროგიმნაზიის გახსნის საკითხებს, გუბერნიისთვის გამოყოფილი 20 ათასი მანეთის გონებრივად მოხმარებას. ნიკოლოზ მეორის კორონაციაზე მიემგზავრებიან, თუ მეფის გამოჯანმრთელებას მლიქვნელური წერილებით ეხმიანებიან, ყველაფერში ჩანს ქართველი თავადების მამულისადმი დამოკიდებულება, თუმცა ზოგიერთი მამულად სულაც რუსეთის იმპერიას მიიჩნევს.

რუსეთის იმპერია ქართველი თავადაზნაურების სიების დაზუსტებას მოითხოვდა, მართალია, ვადებს წევდა, მაგრამ მოთხოვნა კატეგორიული იყო – ითხოვდნენ მეფისა და მთავრისგან ნაბომებ სიგელებს, მეფობა რუსებმა კარგა ხნის წინ გააუქმეს, სამეგრელოს უკანასკნელი მთავარი დავით დადიანიც 40 წლის წინ გარდაიცვალა, დასავლეთ საქართველოს ეკლესიებში მხოლოდ ბოლო წლებში დაიწყეს მეტრიკული წიგნების შედგენა, სინოდალური კანტორიდან იქ არსებული საბუთის მიღებაც არ იყო ადვილი. ამანაც შეუწყო ხელი ამორდიასნაირი თაღლითისათვის შესაფერისი გარემოს შექმნას. ადგილობრივ გაზეთს დაუწერია („ივერია“ იგულისხმება) – თითქოს აზნაურობის მამიებლებს ყალბი საბუთები წარმოედგინოთ და ამ საქმეში დეპუტატთა საკრებულოც თანამოზიარე ყოფილიყოს. სამწუხაროდ, სვიმონ წერეთელს სათანადო ყურადღება არ მიუქცევია ამ წერილისთვის, რამაც ფატალურ შედეგამდე მიიყვანა. თავადაზნაურთა კრების მიერ არჩეული სიმონი მარშლად არ დაამტკიცეს, თანამდებობრივი დაუდევრობისა და საკრებულოში მომხდარი ამბებისათვის, მავანთა ყალბი საბუთებით გააზნაურებისა და გათავადებისათვის ბრალი წაუყენეს. გაირკვა, რომ ქუთაისში სვიმონის არყოფნისას ამორდიას დეპუტატთა საკრებულოდან რაღაც წიგნი გაუტანია, ადვილი წარმოსადგენია, რასაც ჩააკერებდა და დაამატებდა გაქეპილი სოლომონი ამ წიგნს?! პრობლემის მოგვარება, თავის დროზე, თავად სვიმონ წერეთელს შეეძლო, მაგრამ ვერ გათვალა. ახლა კი კონკრეტული ბრალდებით ქუთაისის თავადაზნაურთა მარშალს სრულიად ამკარა საფრთხე ემუქრებოდა. 8 წელი ამტკიცა თავისი უდანაშაულობა, ძირითადი ბრალეულობა მოუხსნეს, მხოლოდ დაუდევრობასა და იმ ადამიანების უპატივცემულობაში დაადანაშაულეს, რომლებმაც 5-ჯერ აირჩიეს გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლად. სასამართლოში ჩაბმულ სვიმონ წერეთელს, ბუნებრივია, ბევრი ფული სჭირდებოდა, არ ქონდა, სესხულობდა, ვერ ისტუმრებდა, ამას შეეწირა ბორჩალოს მამული, რომელიც ბაქოელ ნავთის მრეწველ არამიანცს მიჰყიდა.

ორი ადრესის შესახებაც უნდა ვთქვათ აუცილებლად, ამ დროს სვიმონ წერეთელი უკვე აღარ არის მარშალი. დავით მიქელაძემ მეხი დააყარა რუსებს, კალისტრატე ჩიკვაიძემ ისე შეაბრუნა სიტუაცია, სამადლობელ ადრესს უგზავნიან დამპყრობლებს. თითქოს წინა ადრესი სხვებს შეედგინოთ. ახლა უფრო მართებდათ პრინციპულობა, უნდა ეყვირათ დამსჯელმა რაზმებმა ააოხრეს საქართველო, გააუბედურეს ხალხიო, ამის ნაცვლად მადლობას უთვლიდნენ იმპერატორს. ილია გამოეხმაურა ამ სამარცხვინო ფაქტს და აღნიშნა, რომ რამდენიმე კაცთან ერთად სვიმონ წერეთელიც წინ აღუდგა ამ კომედიას და სამადლობელი წერილის შემთხვევითი კომისიის წევრობაზეც უარი განაცხადა. ყოველთვის აღმოჩნდებოდნენ მეველისა თუ ლადო მესხიშვილის მსგავსი მამულიშვილები, რომლებიც სათქმელს პირდაპირ, ჯიქურ ამბობდნენ და არავის ერიდებოდნენ, სვიმონი ასეთი კატეგორიულობით არ გამოირჩეოდა, მაგრამ როცა შეეძლო და როგორც შეეძლო, ისე გამოხატავდა პოზიციას, რაც ამ თანამდებობის კაცისთვის გმირობა თუ არა, დიდი ღირსება მაინც იყო. საინტერესოა აკაკის დამოკიდებულება სვიმონის მიმართ, თავიდან თითქოს უკმაყოფილო იყო, იწუნებდა, მაგრამ მარშლობის გასრულების შემდეგ აკაკიმ ობიექტურად და სამართლიანად შეაფასა თავისი მოგვარის ნამოღვაწარი, თუმცა ამ ორი ადამიანის დამოკიდებულება არასდროს ყოფილა მარტივი და ცალსახა. ჯერ კიდევ პეტერბურგში ყოფნისას, დედის თხოვნით, აკაკის წერილი მიუწერია მარშლის შვილისთვის, მას კი „საცინლად აუგდია“, თუმცა კონკრეტულად რა იგულისხმება დაცინვაში უცნობია: „მაგრამ სწორედ გული დამწყდა, რათა ვწერდი, თუ გიყი არ ვიყავი“, წერს სტუდენტი აკაკი დედას.

ხარკოვის უნივერსიტეტდამთავრებული უფროსი ვაჟი, სვიმონ წერეთლისა, გიორგი, ჭიათურაში 1924 წლის აჯანყების ერთ-ერთი ხელმძღვანელი, აჯანყების სისხლში ჩახშობას შეეწირა, მეორე არჩილი ბრძოლაში დაიღუპა, თავად სვიმონი 1915 წლამდე უნდა გარდაცვლილიყო, მაგრამ მისი სიკვდილის

ადგილი, ზუსტი დრო და დეტალები ისტორიამ არ შემოგვინახა. „ტრაგიკულად დასრულდა ერთი დიდებული თავადური ოჯახის ისტორია. სულით არისტოკრატი, ეროვნული იდეალების მეტრე, კაი თავადი, კაი მარშალი – სიმონ წერეთელი დროების არტახებიდან ვერ ამოხტებოდა, მაგრამ შემხუთველ გარემოშიც ბევრი რამ შეძლო, პრინციპულობით, ხასიათის სიმტკიცით, მოვლენების ღრმა ჭკრეტით დაამახსოვრა თანამედროვეებს თავი,“ გულისტკივილით წერს ბიოგრაფოსი.

დოკუმენტური პროზა შედარებით ახალი ჟანრია, ჟანრების ნომინალიზმის ეპოქაში იგი სულ უფრო იკრეფს ძალებს და ძლიერდება. ლიტერატურის კრიტიკოსები სულ უფრო მეტს დავობენ დოკუმენტური და მხატვრული პროზის საზღვრების შესახებ. დოკუმენტური ლიტერატურის იდეურ-ემოციური შინაარსი აახლოებს მას მემუარებთან, ჩანახატებთან, მეორე მხრივ, ბიოგრაფიული რომანი, ზოგადად დოკუმენტალისტიკა ძირითადად წყაროებს, საარქივო მასალების ავთენტურობას ემყარება. სწორედ ამიტომ დოკუმენტალისტი ავტორი ამ მასალების ტყვეობაშია, ფრთები აქვს მოკვეცილი. ეს ეტყობა ამ რომანსაც, როგორც მკითხველებს არაერთხელ გაგვიჩნდა სიმონის პიროვნული თვისებების, სიყვარულისა და ოჯახური ისტორიების გაგების სურვილი, მაგრამ, რაც საარქივო მასალებში არ მოიპოვება, იმას ელგუჯა თავბერიძე ვერ გამოიგონებდა.

უნდა ითქვას ისიც, რომ რომანს ძალიან დიდი მუშაობისა და ძიების კვალი ეტყობა, ამიტომაც ზოგჯერ გადატვირთულიც კია საარქივო მასალებით, დოკუმენტებით /ავტორი პატიოსნად მიუთითებს ყველა წყაროს: საარქივო მასალების გარდა, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, სეით იაშვილის, ს. დუმინის, ი. ჩიქოვანის, პროკოფი რატიანის, ილია ჭყონიას, მერაბ კერძევაძის ჩანაწერებს, „ცნობის ფურცლის“, „კვალის“, „ივერიის“, „დროების“, „მოსკოვსკი ვედემოსტის“ ქრონიკებს.../ რაც ტექსტის წაკითხვას, დინამიკას ანელებს. ამის შესახებ თავად მწერალიც არაერთხელ გვაფრთხილებს თავისი პოსტმოდერნისტული რემარკებით.

უდავოა, რომ ამ ეპოქით დაინტერესებული მკვლევრებისა და მკითხველებისთვის, მართლაც, ფასდაუდებელი განძია ელგუჯა თავბერიძის ახალი რომანი – „მარშალი და მარშლის შვილი“, რომელიც განსხვავდება მწერლის სხვა ნაწარმოებებისაგან და რომელიც მომავალში არაერთი მხატვრული რომანის ბიძგად, ინსპირაციად შეიძლება იქცეს.

ასეთი წიგნების მნიშვნელობა განუზომლად დიდია, სანამ მტერს ბოლომდე არ ვეთამაშებით გოთურმანს და კოწია დადიანის უნათლეს ნატვრას არ ავასრულებთ – კავკასიის ქედს მიღმა არ გადავრეკავთ თათრებს.

*Marina Turava, Nana Kutsia*

*Sokhumi State University*

### **THE GAME OF GOTHURMAN**

**„MARSHALL AND MARSHALL’S SON BY ELGUJA TAVBERIDZE**

**(LIFE CHRONIC OF SVIMON TSRETELI SON OF GEOGRE)**

### **RESUME**

The roman „Marshall and Marshall’s son” by Elguja Tavberidze, was published in 2016. This is entirely documentary pose, nonsense, where is minimum artistic flam. Elguja Tavberidze by telling us about life of Svimon Tsereteli son of George , shows us Western Georgia and Kutaisi in the end of 19<sup>th</sup> century-the soul of this epoch. As the author notice, in the postscript of work about Solomon Ashordia, some of the stories could not paste in the fig plot. For this , he hardly gave up them. On the other hand, his teacher and confessor-Petre Vachridze, advised him to be interested in Marshall Tsetereli’s life . The chronicles of Marshall’s life naturally contained hard gave up and temporary forgotten materials.

The novel seems to be a result of a great deal of work and search. That is why, it is full of archive materials and documents. The author honestly points all sources :except of archive materials. There are Iliia Chavchavadze, Akaki Tsreteli, Seit Iashvili, S.Dumini, I.Chikovani. Prokopi Ratinai, Iliia Chkonia, Merab Kerdzevadze notes, the chronics of „Tsnobis Furceli” „Kvali” „Iveria” „Droeba” „Moskovsky Vedemost” . It slows down the dynamic of reading. The writer warns us about this, with the post modernistic remarks.

It is indisputably , that new novel „Marshall and Marshall’s son” by Elguja Tavberidze, is the invaluable treasure for the researchers and readers who are interested in this epoch. It is different from other works of writer, which may become the stimulus and inspire for many novels.

## **პასიური საზოგადოების პრობლემა ილია ჭავჭავაძის შემოქმედების მიხედვით**

ლიტერატურის კრიტიკოსები ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში აქტუალურად თვლიან მამათა და შვილთა "ბრძოლას" თუ ილიას დროს ე.წ. გახლეჩილი საზოგადოების პრობლემას. როგორც ყველა დროში, მე-19 საუკუნის მეორე ნახევარსა თუ მე-20 საუკუნის დასაწყისშიც გარკვეული დაპირისპირება თუ განსხვავებული მოსაზრებები იყო ელიტარულ საზოგადოებაში, რაც ბუნებრივია! ვფიქრობ, ილიას შემოქმედების კონტექსტში უფრო არსებითია არა ე.წ. მამათა და შვილთა "ბრძოლის" თუ საზოგადოების "გახლეჩის" ჩვენება, არამედ მისი თანამედროვე ფართო საზოგადოების გააქტიურების თემა; კერძოდ, **საზოგადო თუ ეროვნული საქმის კონტექსტში ფართო საზოგადოების პასიურობა** ყველაზე მეტად ადარდებდა მე-19 საუკუნის მეორე ნახევარსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში მოღვაწე გამორჩეულ ქართველსა და ეროვნული ორიენტირების დამსახავ მოაზროვნეს. **ილიას გულისტკივილი აქტუალურია დღესაც.**

ილია ჭავჭავაძემ თავისი მხატვრული ნაწარმოებებით მიზნად დაისახა **სამი მთავარი ამოცანა:**

- თავისი თანამედროვე ქართველობის პასიურობის ჩვენებით საზოგადოების გააქტიურება და გარსშემოკრება **ეროვნულ-საზოგადოებრივი მეობის გადასარჩენად;**

- განათლების გზით ქართველთა ისტორიული **ენობრივ-კულტურული და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ერთიანობის აღორძინება;**

- სულისა და ხორცის ჭიდილში სულიერი საწყისის გამარჯვების აუცილებლობით **ადამიანობის ორიენტირების გააქტიურება.**

წარმოდგენილ მოხსენებაში პირველ საკითხს შევეხები.

აქტიურობის მიხედვით **ფართო საზოგადოება** (ისევე, როგორც ადამიანი) რამდენიმე სახის შეიძლება იყოს:

- "მძინარე" ხალხი;

- დეზორიენტირების გამო პასიური ხალხი;

- რაღაც მიმართულებით აქტიურებული აგრესიული ბრბო, რომელიც სხვასაც ანგრევს და საკუთარ თავსაც (ჰიუგოს "გემზე ამგებული ზარბაზანი");

- სწორად ორიენტირებული აქტიური საზოგადოება.

აქვე აღვნიშნავ, რომ საზოგადოების/სუბიექტის ოთხივე მდგომარეობას არსებითად განსაზღვრავს **ინფორმირებისა თუ განათლების ხასიათი/დონე**, რაც, თავის მხრივ, დამოკიდებულია მოცემული საზოგადოების ელიტასა თუ ლიდერებზე, ზოგადად, განათლების სისტემასა თუ პოლიტიკურ ხელმძღვანელობაზე.

თავისი თანამედროვე საზოგადოების **დემორალიზაცია** წმიდა ილია მართალმა ყველაზე შთამბეჭდავად დახატა „განდეგილში“; პოემაში "ბეთლემი" არის საქართველოს სახე, სადაც უწინდელ დროში ბევრი წმინდა ბერი ლოცულობდა ქვეყნისათვის; ცოტა ხნის წინ ქვეყნისათვის მლოცველი მხოლოდ ერთი წმინდა ბერი იყო დარჩენილი; ილიას დროს კი "ბეთლემში" ველურობაა გაბატონებული; შევადაროთ ნაწარმოების შესავალი და დასკვნა:

დასაწყისი:

**"უწინდელს დროში ღვთისა მოსავთა**

**გამოუქცაბავთ მუნ მონასტერი**

და იმ ყინულში შეთხრილს ღვთის ტაძარს

ბეთლემს უწოდებს დღესაცა ერი<sup>1</sup>.

დასასრული:

და იქ, სად წმინდანთ უდიდებიათ  
ღმერთი მსჯავრის და ჭეშმარიტების,

იქ, სად უწირავთ უფლისა მიმართ

მსხვერპლი ქებისა და ღალადების, -

**აწ შორის ნანგრევთ და ნატამალთა**

**მარტო ქარიღა დადის და ქშუის,**

<sup>1</sup> <http://www.aura.ge/311-klasika/5602-ilia-tchavtchavadze--gandegili--I-tavi.html>



## და გამომფრთხალი ჭექა-ქუხილით

### მუნ შეხვეწილი ნადირი ღმუის...<sup>1</sup>

დემორალიზებული საზოგადოება პასიურია, არა აქვს ორიენტირები, არ შეუძლია კონსოლიდაცია საზოგადოებრივი თუ ზოგადეროვნული პრობლემის გადასაჭრელად; პარალელურად, ვერ ხვდება, რომ ასეთ პირობებში ბევრი ადამიანი (იქნებ თავადაც!) დაიღუპება... ამ თვალსაზრისითაა გასააზრებელი "ბებერი პეტრეს" შინაგანი ტრაგედია ("სარჩობელაზე")<sup>2</sup> ჩამომხრჩვალ ბიჭის ძმის განაჩენის შემდეგ:

„...განა შენ კი ამხანაგი არა ხარ ჩემის მამინაცვლისა! განა შენ კი არ დამირჩე ერთად-ერთი ძმა! განა შენ კი არ მიიყვანე ის სარჩობელამდე!“

პასიური საზოგადოების წევრისათვის მთავარ საფიქრელად რჩება **ინდივიდუალური გადარჩენა**; მაქსიმუმ, ოჯახის დაცვა; ის ვერ ხვდება, რომ თუკი მისი მშობელი ერი გადაგვარდება, თავადაც დაიღუპება; არ იცის, რომ ადამიანი დედაენობრივ-ეროვნული მოვლენაა: **ადამიანის პიროვნული არსობა მოიცავს როგორც კერძო ადამიანურ, ასევე, ეროვნულ სიცოცხლეს!**

თავისი თანამედროვე საზოგადოების წევრთა დახასიათება ილიამ უფრო ვრცელი ტექსტით მოგვცა **"ბედნიერ ერში"**; თუმცა, ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში ილია ზუსტი არ არის, როცა "ერზე" ლაპარაკობს; კერძოდ, ილია არ აკონკრეტებს, რომ მისი საყვედური ეკუთვნის თავის თანამედროვე საზოგადოებას და არა - აიეტის, ქუჯის, ფარნავაზის, ვახტანგ გორგასალის, გრიგოლ ხანძთელის, დავით აღმაშენებლის, შოთა რუსთველის, ცოტნე დადიანის, გიორგი ბრწყინვალისა თუ მომავალი საუკუნეების ქართველობას... ვიგულისხმობთ, რომ ილია თავის თანამედროვე საზოგადოების უმრავლესობაზე (და არა - ყველაზე!) წერს და მოვისმინოთ შეფასება:

"ჩვენისთანა ბედნიერი  
განა არის სადმე ერი?!  
ყველა უნჯი,  
ყველა მუნჯი,  
გულჩვილი და ლმობიერი;  
თვალაბმული,  
თავაკრული,  
პირს ლაგამი ზომიერი;  
ყველა ყრუი,  
ყველა ცრუი,  
ჭკვადამჯდარი, გულხმიერი;  
მცირე, დიდი –  
ყველა ფლიდი,  
ცულლუტი და მანკიერი.  
ჩვენისთანა ბედნიერი  
განა არის სადმე ერი?!  
მტვერწაყრილი,  
თავდახრილი,  
ყოვლად უქმი, უდიერი;  
უზღუდონი,  
გზამრუდონი,  
არგამტანი და ცბიერი;  
მტრის არმცნობი,  
მოყვრის მგმობი,  
გარეთ მხდალი, შინ ძლიერი;  
არრის მქონე,  
არრის მცოდნე,  
უზრუნველი და მშვიერი.  
ჩვენისთანა ბედნიერი  
კიდევ არის სადმე ერი?"<sup>3</sup>

<sup>1</sup> <http://www.aura.ge/311-klasika/5602-ilia-tchavtchavadze--gandegili--I-tavi.html>

<sup>2</sup> <https://burusi.wordpress.com/2013/02/04/chavchavadze-6/>

<sup>3</sup> <https://burusi.wordpress.com/2009/06/10/%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%90-%E1%83%91%E1%83%94%E1%83%93%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%98/>

ილია ასევე შთამბეჭდავად ხატავს თავისი თანამედროვე პასიური საზოგადოების ერთ-ერთ ჩვეულებრივ წევრს, მრავალთაგან ერთ-ერთს, ლუარსაბ თათქარიძეს ("კაცია ადამიანი?!"); სწორედ ლუარსაბები ქმნიან ილიას თანამედროვეთა უმრავლესობას - საზოგადოების ძირითად ნაწილს. მოთხრობის დასასრულს ილია მკითხველს/საზოგადოებას ასე მიმართავს:

"იცი და თანაც გაჯავრდი ამ მოთხრობის დამწერზე და მამიგონე ჭორი — შენ ხომ ჭორების მოგონება გიყვარს — რომ მე ვითომც ქართველობას ვდღაღატობ, რადგანაც იმის სასაცილო ამბავს გიამბობ და არა ვმაღავ ზოგიერთ გულ-მოკლე პატრიოტივით. ვიცი, რომ, ჩვენდა საუბედუროდ, თქვენში, მკითხველო, ძნელად იპოვება იმისთანა კაცი, რომ მართაღს სიტყვას გონება გაუსწოროს. ვიცი ეს და მაინც კიდევ პირში — როგორც მოყვარე — გეტყვი, რომ ლუარსაბი და დარეჯანი შენს კალთაში დაბადებულან და შენის ძუძუთი გაზრდილან. გინდა მიწყინე, გინდა არა"<sup>1</sup>.

აქვე დავსვამ კითხვას:

რა ბედი აქვს ილიას თანამედროვე აქტიურ ადამიანს - ანტილუარსაბს, კაცს, რომელიც არ ეგუება პიროვნულ თუ ეროვნულ უსამართლობას, მხოლოდ საკუთარ ნაჭუჭში არ იკეტება და საზოგადო საქმეც თავის საქმედ მიაჩნია?

პასუხად ილიამ საკუთარი ბედი იწინასწარმეტყველა:

- ყველა დანარჩენისგან განსხვავებულობა მთავრდება ტყეში გავარდნით, გიჟად შერაცხვით, ან სიკვდილით<sup>2</sup>; სამაგალითოდ მოვიყვან ოთარაანთ გიორგის დახასიათებას:

"დედისავით, — თავისი იყო, თუ სხვისა, — თუ ცუდი რამ იყო, გამოეკიდებოდა. ბევრს ამისათვის არ მოსწონდა გიორგი. კაცო, რა უნდა, სხვის საქმეში რად ერევო? არა ერთი და ორი იძახდა ამას სოფელში. ამ ხასიათმა ბევრი ხიფათი შეამთხვია, მაგრამ არც თითონ იშლიდა, არც დედა უშლიდა"...

იხ., ასევე, გლეხების დიალოგი სასამართლოსთან:

— ბიჭო-და, ეს კაცი ან გიჟია, ან ღვთისაგან მოგზავნილი (ხაზი ჩემია - ტ.ფ.), — ეუბნებოდა გიორგიზედ ერთი იქ დამსწრეთაგანი მეორეს, როცა სასამართლოდამ ხალხი დაიშალა და შინისაკენ წავიდ-წამოვიდა. — რომ არ გაგონილა!..

— მე და ჩემმა ღმერთმა, მაგის გულში ან ღვთის მაღლი ჰტრიალებს, ან ერთი რაღაც უბედურებაა მაგის თავს, — დაჰკრა კვერი მეორემ. მოთხრობის ამ ნაწილს სახელად ჰქვია "გიჟია თუ რა!"<sup>3</sup>.

**ხალხისათვის ილიას პასუხი ცალსახაა: "მე გა მნიშნავს!"** იხ. ლექსი "პოეტი":

მისთვის არ ვმდერ, რომ ვიმდერო,  
ვით ფრინველმა გარეგანმა;  
არა მარტო ტკბილ ხმათათვის  
გამომგზავნა ქვეყნად ცამა.

**მე გა მნიშნავს და ერი მზრდის,  
მიწიერი ზეციერსა;  
ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ,  
რომ წარვუძღვე წინა ერსა.**

დიდის ღმერთის საკურთხეველის  
მისთვის ღვივის ცეცხლი გულში,  
რომ ერისა მომმედ ვიყო  
ჭმუნვასა და სიხარულში;

ერის წყლული მაჩნდეს წყლულად,  
მეწოდეს მის ტანჯვით სული,  
მის ბედით და უბედობით  
დამედაგოს მტკიცე გული...

მაშინ ციდან ნაპარწყალი  
თუ აღმიფეთქს გულში ცეცხლსა,  
მაშინ ვიმდერ, მხოლოდ მაშინ  
მოვსწმენდ ერსაც ტანჯვის ცრემლსა!<sup>1</sup>

<sup>1</sup> <http://poetry.ge/poets/ilia-chavchavadze/prose/9676.kacia-adamiani.htm>;

<sup>2</sup> იხ. ზაქროს ამბავი (კაკო კაჩალიდან). [http://www.nplg.gov.ge/ebooks/authors/ilia\\_chavchavadze/poemebi/kako%20kachagi.pdf](http://www.nplg.gov.ge/ebooks/authors/ilia_chavchavadze/poemebi/kako%20kachagi.pdf)

<sup>3</sup> [http://www.nplg.gov.ge/ebooks/authors/ilia\\_chavchavadze/motxrobedi/otaraant\\_kvrii\\_all.pdf](http://www.nplg.gov.ge/ebooks/authors/ilia_chavchavadze/motxrobedi/otaraant_kvrii_all.pdf)

**ამავე კონტექსტშია საინტერესო მამლისა და მეურმის მეტაფორა:**

"ურმის ქარავანი რომ წავა შორს მანძილზედ, ერთ-ერთს ურემზედ მამალს დასმენ ხოლმე, რომ მამლის ყივილმა გათენება შეატყობინოს ქარავანსა. მეურმეების საათი გზაზედ — მამალია. უფრო ხშირად ვისაც პირველობა აქვს ქარავანში, მამალიც იმას უხის ხოლმე. **ურმის ქარავანში პირველობა, ესე იგი წინა ურმის მეურმეობა, გლეხობაში სასახელოა, რადგანაც მარტო კარგს, გზის მცოდნეს, ფხიზელს, სანდო მეხრეს და კაი ხარ-კამერის პატრონს ანდობენ ხოლმე მაგ პირველობას**"<sup>2</sup>.

ილიას თაობამ ილიას ლიდერობით გამარჯვება ვერ იხეიმა: ფართო საზოგადოების პასიურობის ფონზე ილია სიცოცხლის ბოლოს თითქმის მარტო (რამდენიმე თანამებრძოლთან ერთად!) უმკლავდებოდა ქართველობისა და საქართველოს მტრებს, უორიენტრო თანამემამულეებსა თუ მტრის სამსახურში მყოფთ. ინდიფერენტული ფართო საზოგადოების შემხედვარე **ავტორის კვნესა** (მოთქმა) ასე გამოვლინდა კავკასიონის სილამაზის ფონზე:

"მკრთალი ნათელი სავსე მთვარისა  
მშობელს ქვეყანას ზედ მოჰფენოდა  
**და თეთრი ზოლი შორის მთებისა  
ლაჟვარდ სივრცეში დაინთქმებოდა.**  
არსაიდამ ხმა, არსით ძახილი!  
მშობელი შობილს არრას მეტყოდა,  
ზოგჯერ კი ტანჯვით ამოძახილი  
ქართველის ძილშია კვნესა ისმოდა!  
ვიდექ მარტოკა... და მთების ჩრდილი  
კვლავ ჩემს ქვეყნის ძილს ეალერსება.  
**ოხ, ღმერთო ჩემო! სულ ძილი, ძილი,  
როსლა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება?!.** (ელეგია)<sup>3</sup>.

ამ საყოველთაო "ძილის" ფონზე ამბობს ილია:

"...მაგრამ, მამულო, ჩემი ტანჯვა მხოლოდ ის არი,  
ის არის მხოლოდ სავალალო და სამწუხარო,  
რომ შენს მიწაზედ, ამდენ ხალხში კაცი არ არი,  
რომ ფიქრი ვანდო, გრძნობა ჩემი გაეუზიარო!..<sup>4</sup>

...არა აქვს მნიშვნელობა, როდის დაიწერა "ელეგია" თუ "მას აქეთ, რაკი შენდამი ვცან მე სიყვარული" - ილიას ახალგაზრობისას თუ მკვლევლობის წინა დღეს; ორივე პერიოდში გართულდა ფართო საზოგადოებამდე ილიას ორიენტირების მიტანა; ორივე დროში **ფართო საზოგადოება პასიური იყო როგორც ეროვნული, ასევე, საზოგადოებრივი სხვა პრობლემების მიმართულებით; კერძოდ:**

- მე-19 საუკუნის 60-იან წლებში ილიას **თანამედროვეთა პასიურობა** შეპირობებული იყო რუსეთის იმპერიის ზეწოლით ქართული ელიტის დიდი ნაწილის ორიენტირების შეცვლით: იმპერიის მესვეურნი ქართველთა ცნობიერების შეცვლას ცდილობდნენ დაშინებითა (ერმოლოვი, პასკევიჩი...) თუ ტკბილი ენით (ვორონცოვის პოლიტიკა); შესაბამისად, ხალხის დეზორიენტირებით;

- მე-20 საუკუნის დასაწყისში **ეროვნული იდენტობის გადარჩენის მიმართულებით** ილიას **თანამედროვეთა პასიურობა** თუ დეზორიენტირება შეპირობებული იყო სოციალ-დემოკრატიული დემაგოგიით: მე-20 საუკუნის დასაწყისში მეტ-ნაკლებად გამოღვიძებული ქართული საზოგადოება დიდწილად სოციალ-დემოკრატთა გავლენის ქვეშ მოექცა /მათ მიერ საინფორმაციო ომის მოგების გამო/. ამის შედეგი იყო ის, რომ მკვლევლობის წინა წლებში ილია თითქმის მარტო დარჩა და საკუთარ თავს ფსევდონიმებით ხელმოწერილი წერილებით იცავდა.

ილიას მკვლევლობით ქართველი ერის მტრებმა საქმე ბოლომდე მიიყვანეს: იმდროინდელი ფართო საზოგადოება ისევ დარჩა გამოკვეთილი ორიენტირების გარეშე<sup>5</sup>. **მაშინდელი საზოგადოება მხოლოდ ერთჯერადად გამოფხიზლდა ილიას საზარელი მკვლევლობის გამო;** ამ გამოფხიზლების საპირწონედ და ჩვენი მოსახლეობის ცნობიერების წასალეკად, ისტორიული ორიენტირების დასავიწყებლად, უფრო გააქტიურდნენ სოციალ-დემოკრატები (ასევე, სხვა ანტიქართული ჯგუფები).

<sup>1</sup> <http://geolit.ge/ilia/poezia/poeti.htm>

<sup>2</sup> <https://burusi.wordpress.com/2013/02/04/chavchavadze-6/>

<sup>3</sup> სამგლოვიარო ლექსი-კვნესა დაწერილია პეტერბურგში 1959 წელს, როცა ილია ჯერ კიდევ 22 წლისა იყო <http://kids.ge/poesy-verse?id=1312>

<sup>4</sup> "მას აქეთ, რაკი შენდამი ვცან მე სიყვარული" <http://litklubi.ge/biblioteka/view-nawarmoebi.php?id=10666>

<sup>5</sup> ანტიქართულმა ძალამ მოკლა მეორე დიდი ლიდერიც - პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია და გაანადგურა მისი მხარდამჭერი საზოგადოება თბილისში, სამეგრელოში, აფხაზეთსა და საქართველოს ყველა სხვა კუთხეში.

მე-19 საუკუნისა და მე-20 საუკუნის დასასაწყისის საქართველოში საზოგადოების ზოგადი სურათი ასეთია:

ისტორიულად ქართულ ეროვნულ ელიტას წარმოადგენდნენ სამეფო სახლი, საეკლესიო იერარქები და თავადაზნაურობა. ისინი გეგმავდნენ ერისა თუ ქვეყნის განვითარებას. მე-19 საუკუნესა და გასული საუკუნის დასაწყისში რუსულმა იმპერიამ ჯერ სამეფო დინასტია და ქართულენოვანი ეკლესია გაანადგურა, შემდეგ კი - საქართველოს ერთგული ეროვნული ელიტის დიდი ნაწილი; გადარჩენილთა უმეტესობა გალუარსაბდა; მცირე ნაწილი ვერ ქმნიდა ამინდს. თავადაზნაურობას დიდად ავნო ბატონყმობის გაუქმებამაც და ნოყიერი პირობები შეუქმნა მენშევიკურ-ბოლშევიკური სტილის კოსმოპოლიტიზმის გააქტიურებას. **ილია ჭავჭავაძემ პირველმა გააცნობიერა, რომ თითო-ოროლა მოაზროვნე ერს ვერ გადაარჩენს, თუკი ფართო საზოგადოება არ გააქტიურდება თავისი ისტორიულად ჩამოძვრნილი მეობის გადასარჩენად.**

### ამ თვალსაზრისით რა ხდება დღეს?

ორ მომენტს აღვნიშნავ:

- გასული საუკუნის 80-იან წლებში გამოიკვეთა არასაბჭოთა ეროვნული ელიტა, რომელიც დაუპირისპირდა კომუნისტთა მიერ გამოზრდილ ინტელექტუალურ, მაგრამ უეროვნულსულო ფსევდოელიტას. 80-იან წლებში ასპარეზზე გამოსული ეროვნული ინტელექტუალური ელიტის დიდი ნაწილი 90-იან წლებში ან ილიასავით ფიზიკურად გაანადგურეს /პოსტსაბჭოთა საქართველოში/, ანდა უცხოეთიდან დაფინანსებულ პარტიათა ლეღვის ფოთლებად აქციეს - გაანეიტრალეს.

- დღეს ფართო საზოგადოებისათვის დასანახ მანძილზე არ ჩანს საყოველთაოდ აღიარებული ორიენტირები, ანდა თუ ჩანს, ტელემედით უფრო მეტად "კაშკაშებს" იდეოლოგიზირებული კვალიფიკაციები, რომელთა არსია "გათიშე და იბატონე" (საინფორმაციო ომი!), ურავატრიოტული დეკლარაციები და მადეზორიენტირებელი ჭორები (!); **შესაბამისად:**

დღესაც საზოგადოების დიდი ნაწილი პასიურია; აქტიურია საზოგადოების მხოლოდ მცირე ნაწილი; ეს მცირე ნაწილი, თავის მხრივ, სამ ნაწილად შეიძლება დავყოთ:

- ფინანსური რესურსებითა და საინფორმაციო საშუალებებით აღჭურვილი ფსევდოლიბერალები;
- ფინანსური რესურსებითა და საინფორმაციო საშუალებებით აღჭურვილი ფსევდოპატრიოტები;
- ძირითადად პირად ინიციატივებსა და სოციალურ ქსელებზე დამოკიდებული პატიოსანი, გათითოკაცებული ინტელექტუალები, რომლებიც ჯერჯერობით სერიოზულ კონსოლიდაციას ვერ ახერხებენ, შესაბამისად, ანგარიშგასაწევ ძალად არ ჩანან.

დანაწევრებული თუ საქართველოს ერთგული სუსტი ინტელექტუალური (/პოლიტიკური) ელიტის არსებობის პირობებში ვერ ხერხდება საქართველოს **მოსახლეობის სწორი ინფორმირება და ორიენტირება**; უინფორმაციო და უორიენტირო ფართო საზოგადოება კი პასიურია. ფართო საზოგადოების გააქტიურება შეუძლია ავტორიტეტულ ლიდერს - ინტელექტუალურ, აქტიურ და მართალ ელიტას.

ავტორიტეტული ლიდერისა (ელიტის) და საზოგადოების ერთიანობა დამოკიდებულია სწორ ორიენტირებსა და დროულ ინფორმირებულობაზე:

თუკი ლიდერი (/პოლიტიკური სპექტრი/ ინტელექტუალური ელიტა) ქვეყნისათვის საჭირო მიმართულებით წასვლისაკენ დროულად მოუწოდებს ხალხს/ფართო საზოგადოებას და, ამავე დროს, ორიენტირს ხალხამდე მიიტანს, ხალხი მიჰყვება ლიდერს.

დღეს გაუორბეღ ინტელექტუალურ თუ პოლიტიკურ ელიტას არა აქვს საკმარისი ბერკეტები, ინფორმაციებითა თუ დეზინფორმაციებით დამძიმებულ "ეთერში" გამოკვეთოს თავისი კალაპოტი და თავისი აზრი მიიტანოს ფართო საზოგადოებამდე; ნუგეშისმომცემია მხოლოდ ის, რომ ამჟამად გაცილებით უკეთ ჩანს წმიდა ილია მართალის ორიენტირები, ვიდრე საუკუნის წინ: ჩვენ, საზოგადოების უმრავლესობას, იდეურად დღეს ილია გვაერთიანებს, თუმცა, აქტიური საზოგადოების ფორმირებამდე გზა ჯერ კიდევა დარჩენილი.

*Tariel Putkaradze*

*St. Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia*

## **THE PROBLEM OF PASSIVE SOCIETY ACCORDING TO ILIA CHAVCHAVADZE WORKS RESUME**

The modern literary critics find it relevant to research two problems; strive between the “sons” and “fathers” and the division of the society in the works of Ilia Chavchavadze. We think that the problem of the divided society is more fundamental than the strive between the “sons” and “fathers”; in particular, a public figure who designed the benchmarks for Georgian, national though, whose career lasted from the middle of the 19th century till the beginning of the 20th century thought that the passivity on behalf of the society towards the national-statehood issues was more relevant. Ilias’s charin is relevant nowadays.

Ilia was the first to realize that the nation could not be saved by couple of thinkers, if indeed the whole society would not play an active role in preserving its historical self. Ilia Chavchavadze dedicated several works to the passivity of the society, in particular: “Hermit”, “Is that a man”, “Poet”, “Elegy”, “Happy Nation”, etc.,

Even today, part of the society still experiences the same passivity; only a small part of the society is active. In wake of Georgia being dismembered, it became an utmost problem to correctly inform the society; disoriented society finds itself without any goals and therefore tends to become passive. A competent leader – intellectual, active and just elite could bring the society activity.

A unity of a leader (elite) and the society is completely depended on the precise goals and timely informing:

In case the leaders (political spectrum/political elite) informs the society in a timely manner regarding the right direction for a country to go, and will not fail to bring this goal to a society, society will follow the leader.

Nowadays, the intellectual or political elite does not have enough leverage to correctly form the fundamental platform, especially in an era of information and disinformation; however, it is comforting to see the orients drawn by Saint Ilia the Righteous nowadays rather than hundred years ago; we, the members of the society are united by the ideas of Ilia, however, there still remains a long road to the total unification of the society.

*მარიკა შერაზადიშვილი*

*გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი*

### **კომუნიკაციური ამოცანა და წინადადების ინფორმაციული სტრუქტურის კომპონენტები**

რა წარმოქმნის გამონათქვამის ინფორმაციულ სტრუქტურას? წინადადება, რომელიც არ არის ჩართული კონკრეტულ სიტუაციაში და რომელიც „ზოგადად“ ადრესატისთვისაა განკუთვნილი, არაფერს ინდივიდუალურს არ ასახავს, მაგრამ მაინც რაღაცას გვატყობინებს. ამდენად, წარმოადგენს კომუნიკაციურ ერთეულს, რომელიც რაღაც შინაარსს გამოხატავს. კონტექსტის უქონლობის მიუხედავად, ყოველთვისაა მითითებული შეტყობინების ამოსავალი წერტილი და აზრობრივი ცენტრი. რამდენადაც არსებობს წინადადება, იმდენადვე იგი რაღაცას გვამცნობს, ე.ი. მასში ხორციელდება რაღაც ზოგადი კომუნიკაციური ამოცანა, რომელიც საცნაური ხდება შესაძლო კონტექსტში.

კონტექსტის გარეშე აღებულ ფრაზაში „დღეს მე კინოში წავალ“, აზრობრივი ცენტრი – წავალ ადვილი გამოსაცნობია. უკონტექსტოდ აღებულ ნებისმიერ სწორად აგებულ წინადადებაში, გარდა ფორმალურ-გრამატიკული სტრუქტურისა, რაღაც სქემის არსებობა იგრძნობა, რომლის მიხედვითაც იშლება შინაარსი და რომლის მეშვეობითაც ხორციელდება კომუნიკაციური ამოცანა (აღიქმება აზრობრივი ცენტრი). შეტყობინების ამოსავალი პუნქტი და მისი აზრობრივი ცენტრი – ეს კომპონენტები კონტექსტის გარეშეც წარმოქმნიან წინადადების ინფორმაციულ სტრუქტურას.

გამონათქვამის წარმოქმნის ჩვეულებრივი აქტისას მას უჩნდება კონკრეტული კომუნიკაციური ამოცანა, შეპირობებული ისეთი ფაქტორებით, რომლებიც გამოწვეულია სწორედ მოცემული სამეტყველო სიტუაციით (გარკვეულ კონტექსტში ჩართვა, გარესინტაქსური კავშირების შექმნა, ექსპრესიული ამოცანის წამოჭრა, მოსაუბრის მიმართების გამოხატვა გამონათქვამთან და ა. შ.). ზოგად ამოცანაზე კონკრეტული, სიტუაციური კომუნიკაციური ამოცანის დამატებამ შეიძლება სრულიად არ იმოქმედოს გამონათქვამადექვეული წინადადების ფორმალურ-გრამატიკულსა და

ინფორმაციულ სტრუქტურებზე. ეს მოხდება მაშინ, როცა კონტექსტი დაემთხვევა იზოლირებული წინადადების შემთხვევაში ნავარაუდევ კონტექსტს, მაგალითად, „რას აპირებ დღეს?“ – „დღეს მე წავალ კინოში“.

მაგრამ კონკრეტულმა კომუნიკაციურმა ამოცანამ შეიძლება გამოიწვიოს ცვლილება ინფორმაციულ სტრუქტურაში, მაგალითად მაშინ, როცა კონტექსტში ჩნდება აუცილებლობა, ლოგიკურად ან ემოციურად გამოიყოს არა ის აზრობრივი ჯგუფი, რომელიც კონტექსტის გარეშე აზრობრივი ცენტრი ჩანდა. „გუშინ თქვენ ისვენებდით, დღეს მე წავალ კინოში“ (აზრობრივი ცენტრის გამოსაყოფად აქ გამოიყენება ინტონაცია, კონტრასტული მახვილი).

კონკრეტული კომუნიკაციური ამოცანის დამატებამ შეიძლება ცვლილება გამოიწვიოს ფორმალურ-გრამატიკულ სტრუქტურაშიც. „დღეს კინოში წავალ მე“ – აზრობრივი ცენტრი აქ სიტყვათა ინვერსიული რიგით გამოიყოფა.

გამოყოფა შეიძლება მოხდეს დამხმარე სიტყვების გამოყენებით, რომლებიც ლოგიკურ მახვილს გარკვეულ აზრობრივ ჯგუფზე მოახვედრებენ. „გუშინ თქვენ ისვენებდით, დღეს კი მე წავალ კინოში“, „დღეს, დიახაც, მე წავალ კინოში“. ამ წინადადებებში მოცემული ინფორმაცია დაკავშირებულია **გამონათქვამთან** და არა **არაენობრივ სინამდვილესთან**, ამიტომ იგი ნომინაციური არ არის. „კი“ და „დიახაც“ ნაწილაკებს არც სინტაქსური ინფორმაცია გააჩნიათ, რადგან ისინი არც წინადადებაში სიტყვათა ურთიერთმიმართებაზე მიუთითებენ და არც გამონათქვამში წინადადებათა ურთიერთკავშირზე. მათი ამოღებით არაფერი დააკლდება სინტაქსურ კავშირებს.

ინფორმაცია, რომელიც გადმოიცემა აღნიშნული ნაწილაკებით, ეხმარება მსმენელს, გაერკვეს გამონათქვამის ორგანიზაციაში. მათი ფუნქციები სინტაქსური ფუნქციების ანალოგიურია, მაგრამ ამ უკანასკნელთაგან განსხვავებით, ისინი **აქტუალური არიან გამონათქვამის და არა წინადადების დონეზე**. ამიტომ ამ ტიპის მნიშვნელობას **კომუნიკაციური ეწოდება**, რადგან იგი ხასიათდება პრაგმატული ინფორმაციით – ასახავს გამონათქვამის კომუნიკაციურ ორგანიზაციას (გ. კვარაცხელია, 1997).

ზოგად ამოცანაზე სიტუაციური კომუნიკაციური ამოცანის დამატებით გამოწვეული ცვლილება გამოიხატება როგორც იზოლირებულ წინადადებაში არსებული კომუნიკაციური დატვირთვის საშუალებით, ისე მრავალფეროვანი ენობრივი საშუალებებითაც. მაგალითად, კავშირებთან ერთად ნაწილაკებიც შეიძლება მიჩნეულ იქნეს ახალი ინფორმაციის შემოყვანის მარკერად.

გამლიერებითი ნაწილაკი „ც“ მიგვანიშნებს ახალი ინფორმაციის შემოსვლაზე:

რაც ქონება ჰქონდა, იგიც თან წაიღო (საბა, 1, 44);

ვინც სავსე ჯამში ხელს ჩაყოფს, გემოსაც ის გაიგებსო (ანდ.);

ვისაც ნემსის დაკარგვა არ დაენანება, იმას არც აქლემის დაკარგვა დაენანებაო (ანდ.).

ახალი ინფორმაციის შემოსვლაზე მიგვანიშნებს „კი“: ოფოფმა ჯავრი კი ამოიყარა, მაგრამ მამალსა და ძერას აღარ ეშველა რა (საბა, 1, 27);

წანწალი თუმცა კი მიყვარს, მაგრამ ჩემი ქვეყანა თავს მირჩევნია (დოჩ., 94);

დიმიტრის ტაძრის დანახვაზე რაღაც მშობლიური რეჩხი კი მიყო გულმა... მაგრამ ჩემი კვეტერა გამახსენდა და გულზე მომეშვა (დოჩ., 97);

არცა გამზარდა დედამა, არცრას მეტყოდა ნანასა („ამირანი“);

ნუმც გაჯავრდება პირიმზე,

ნუმც დამწყევლიან იანი,

ნუმც იმათ დედის ძუძუთი

ვსუქდები ცოდვილიანი (ვაჟა, 157).

ამრიგად, დამხმარე სიტყვები, მათ შორის ნაწილაკები, რომლებსაც არა აქვთ უნარი, გადმოგვცენ ნომინაციური ან სინტაქსური ინფორმაცია, ხასიათდებიან **პრაგმატული ინფორმაციით**; მათს **ლექსიკურ მნიშვნელობაში** აისახება **გამონათქვამის კომუნიკაციური ორგანიზაციის უნარი**, რაც **სწორედ მათ კომუნიკაციურ მნიშვნელობას განსაზღვრავს**.

#### ლიტერატურა:

1. კვარაცხელია, 1997 – გ. კვარაცხელია, გამონათქვამის ინფორმაციული სტრუქტურის ზოგიერთი კომპონენტისათვის, არნოლდ ჩიქობავას საკითხავები, VIII, თბ., 1997.
2. საბა – სულხან-საბა ორბელიანი, „ქართული მწერლობა“, VII, 1989.
3. ვაჟა – ვაჟა-ფშაველა, პოემები, თბ., 1990.
4. დოჩ. – გურამ დოჩანაშვილი, ორი მოთხრობა, თბ., 1984.
5. რუს. გრ., 1980 – , . I, II, ., 1980 –

**COMMUNICATION TASK AND INFORMATION STRUCTURE ELEMENTS OF A SENTENCE  
RESUME**

The sentence, which is not included in specific situation and which, generally, refers to an addressee, does not contain anything individual, but still provides a piece of information. Thus, it is a communication element, which conveys some information.

Adding a specific, situational communicative task to a general task may not influence the formal-grammatical and information structure of the fixed expression of a sentence. It happens when the context coincides with the supposed context in case of an isolated sentence. For example, “What are you going to do today?” – “I am going to the cinema today”. But a specific communicative task may cause the change in the information structure when there appears a need to emphasize logically or emotionally not the sense-group, which seemed to be the sense-center without the context: “Yesterday you had a rest, today I am going to the cinema”.

Adding a specific communicative task may cause the change in formal-grammatical structure as well. “Today I will go to the cinema” – the sense-center is emphasized by the inversion of words.

The change which is caused by adding situational communicative task to the general task is expressed both by means of communicative meaning in the isolated sentence and by other various linguistic devices. Together with conjunctions, particles can be considered as markers of introducing some new information.

Thus, additional words like particles that are not able to communicate nominative or syntactic information are characterized by **pragmatic information; a communicative organization skill of an expression is reflected in the lexical meaning of additional words, and it is the thing that defines their communicative meaning.**

*ზურაბ ჩხიკვაძე*

*გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი*

**აზრობრივი ჯგუფების ტონალური კვანძები და მათი სახეები ინგლისურ გამოთქმაში**

“ენათმეცნიერებაში ტრადიციულად სამეტყველო აქტივობის ძირითად სახეებად წერთი და ზეპირი მეტყველება ითვლება თავისი ორმხრივი პროცესით - ინფორმაციის გაგება-აღქმა და გადაცემა. ინფორმაციის გადაცემა წერთ მეტყველებაში წერთ ხორციელდება, ხოლო ზეპირმეტყველებაში ხდება ლაპარაკითა და საუბრით” (ა. შანიძე, „ქართული გრამატიკის საფუძვლები“, მორფოლოგია, გვ. 7). როგორც მოგეხსენებათ უცხო ენაზე, ამ შემთხვევაში კი ინგლისურად ზეპირი კომუნიკაციის დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება დახვეწილი სამეტყველო უნარ-ჩვევების თავისუფლად გამოყენებას ლაპარაკის პროცესში.

ენათმეცნიერთა უმეტესი ნაწილის აზრით წერთი მეტყველების ძირითად ერთეული წინადადებაა, ხოლო ზეპირი მეტყველების - გამოთქმა (utterance) / (სამეტყველო აზრობრივი ერთეული (Idea-unit). “ტერმინ „utterance“ აღნიშნავს სრულ საკომუნიკაციო ერთეულს, რომელიც შეიძლება შედგებოდეს ცალკეული სიტყვებისგან, ფრაზებისგან, რთული წინადადების შემადგენელი ‘მცირე წინადადებისაგან’ (clauses) და განსხვავდება წინადადებისაგან, რომელიც ყოველთვის დასრულებულ აზრს გამოხატავს, რომელიც წერაში ერთი მეორისაგან მუდამ პუნქტუაციის ნიშნებით გამოიყოფა” (R. Carter and M. McCarthy, “Cambridge Grammar of English”). ამ ერთეულის უმეტესობა შედგება სამი ნაწილისაგან: ”ა) სახელადი ნაწილი (Naming Part); ბ) აღწერილობითი ნაწილი (Descriptive part); გ) მოქმედებითი ნაწილი (Action Part)” (M. Saraswat. “Speak English fluently”, p 63-64). ამ „ნაწილებში“ არსებული მახვილიანი და უმახვილო მარცვლებისა და სიტყვების ერთობლიობის პროსოდიის ქმნის რიტმულ ჯგუფებს. “ეს ერთეული (სიტყვა ან სიტყვათა ჯგუფის ტონალური კვანძები) გამოითქმება „ერთი ამოსუნთქვით“ ყოველგვარი პაუზების გარეშე მიუხედავად მასში შემავალი სიტყვების რაოდენობისა. ე.ი ხდება სამეტყველო გამონათქვამში არსებულ სიტყვათა ერთ ნაკადად წარმოთქმა წინა სიტყვის დაბოლოებიდან მომდევნო სიტყვის დასაწყისზე „დაუბრკოლებლად გადასვლის“ საშუალებით. და ეს ვრცელდება ამ ერთეულში

არსებულ ყველა მომდევნო ერთეულზე. ამ გზით გამოთქმაში შემავალ სიტყვათა ჯგუფს წარმოვადგენთ როგორც მათში შემავალი ბგერების ფონეტიკურ ეთობლიობას და არა რამდენიმე სიტყვის ცალ-ცალკე გამონათქვამს“ (M. Saraswat. “Speak English fluently”, p. 76).

წარმოთქმაში სიტყვათა ამგვარი ფონეტიკური მოვლენების კვანძების ანალიზი, კლასიფიცირება და გათვალისწინება მეტად მნიშვნელოვანია უცხოური ენის შემსწავლელის სწორი, გაბმული მეტყველებისათვის, რაც მიიღწევა თითოეული გაერთიანების სახის სწორად გააზრება-გამოყენების დახვეწითა და სიტყვათა შორის „გადაბმულობის (კვანძების) ტექნიკის გამომუშავებით.“

როგორც თქვენთვის ცნობილია, ინგლისურ ენაში ოცდაექვსი ასოა (ხუთი ხმოვანი და ოცდაერთი თანხმოვანი), რომელთაც სხვადასხვა ორთოგრაფიულ კომბინაციაში ცალ-ცალკე სხვადასხვა ბგერა შეესაბამებათ. ახლა ჩვენ განვიხილოთ გაერთიანებების ტიპები სამეტყველო აზრობრივ ერთეულებში და “გადაბმის მექანიზმები“ სიტყვათაშორის კვანძებში შემავალი ასოებისა და მარგინალური ბგერების მიხედვით.

სანამ უშუალოდ სინტაგმათა სახეობებსა და მათი გადაბმის საშუალებებს განვიხილავთ, საჭიროა გავიხსენოთ ინგლისურ მეტყველებაში “ბგერათა დასუსტების შემდეგი ვარიანტები (reduction of sounds):

1. Quantitative reduction – ბგერათა რაოდენობრივი შესუსტება
2. Qualitative reduction – ბგერათა თვისობრივი შესუსტება
3. Complete reduction – ბგერათა მთლიანი შესუსტება ან ამოვარდნა “

(V. R. Meskhishvili, “An Introduction to the Pronunciation of English”)

პირველი ორი ვარიანტი ძირითადად ხმოვნებზე ვრცელდება, ხოლო მესამე ვარიანტი როგორც ხმოვნებზე, ისე თანხმოვნებზე.

*ტონალური კვანძები*

1. ორი სიტყვის თანხმოვნიანი გაერთიანება (Consonant-Consonant Junctions)

ეს ისეთი ტონალური კვანძია / გაერთიანებაა, როდესაც წინა სიტყვა ბოლოვდება თანხმოვანზე და მომდევნო სიტყვაც იწყება თანხმოვანზე. big house, red carpet, lion cage, perfect gift .....

ამ ტიპის გაერთიანებები შეიძლება დავეყოთ ორ ჯგუფად: ა) გაერთიანებები, სადაც წინა სიტყვაში ბოლოკიდურ თანხმოვანს წინ ხმოვანი უძღვის, ხოლო მომდევნო სიტყვის საწყის თანხმოვანს ხმოვანი მოსდევს (big house).

და ბ) გაერთიანებები, სადაც წინა სიტყვა ორ ან მეტ თანხმოვანზე ბოლოვდება, როგორცაა correct words, east side. ....

• აქ სინტაგმის წინა და მომდევნო წევრების „ct და w“, ასევე „st და s“ ბოლო და საწყისი თანხმოვნები ქმნიან ამ კატეგორიის გაერთიანებებს “correct words” და “east side” აზრობრივი წყვილების მსგავსად. ამ ტიპის გაერთიანების შუაში თითქმის ყოველთვის გვხვდება „t“ და „d“ თანხმოვნები. ასეთ შემთხვევაში წინა სიტყვის დაბოლოებიდან თავი უნდა ავარიდოთ „t“ და „d“ ბოლოკიდური თანხმოვნების წარმოთქმას ანუ ხდება [ t და d ] ბგერების მთლიანი რედუქცია/ამოვარდნა. ამასთანავე, პირველი თანხმოვანიც არასრული სიძლიერით წარმოითქმება, სამაგიეროდ მომდევნო სიტყვის საწყისი თანხმოვნის რეპროდუქცირება ხდება ძლიერ. მაგალითად, სიტყვათა წყვილი „fast bus“ წარმოითქმება როგორც [fAsbAs] ნაცვლად [fAst-bAs] ისა; „last game“ [la:sgeim]. ანუ ბგერა [t] ამოგდებულია სიტყვა “fast და last” -იდან.

ამ ტიპის სინტაგმათა ტონალური კვანძების მაგალითებია:

last visitor, left right, lowest rent, eldest son, most changes, modest lady, last person, best paint, interrupt them, fast bus, first job, eldest daughter, biggest zoo, best show, almost totally, last game, best coach and so on.

• როცა საქმე გვაქვს სიტყვათა ორთა თანხმოვნიანი გაერთიანების (ა) ვარიანტთან, როდესაც წინა სიტყვა ბოლოვდება [ b, d, g, k, p, ან t ] ბგერებზე, მომდევნო სიტყვის საწყის თანხმოვანზე გადასვლის დროს სიტყვათაშორისი გაბმულობის ნაკადი არ ირღვევა არც პაუზით, არც ბოლოკიდური თანხმოვანი ბგერის მკვეთრი წარმოთქმით და არც ისეთი ხმოვანი ბგერების „ჩარევით“, როგორცაა [a ან u].

• თუკი, გამოთქმის წინა და მომდევნო სიტყვები შესაბამისად ბოლოვდება და იწყება ერთი და იგივე თანხმოვნით, ამ შემთხვევაში მხოლოდ ერთი თანხმოვანი ბგერა წარმოითქმება. მაგალითად, „top portion“ სიტყვათ-გაერთიანება ჟღერს შემდეგნაირად [topo:fn], სადაც [p] ბგერა პირველ სიტყვაში ამოვარდნილია (Complete reduction), ხოლო არსებული - მეორე სიტყვისაა ([to-po:fn] ).

• ამ სიტყვათა ჯგუფებში / წყვილებში „ Receive visitors, one year, one chance, postpone learning, game was, flame may, come back, handsome fellow“, როგორც ვხედავთ პირველი ლექსიკური ერთეული მთავრდება „e“ ზე, და ამ პოზიციაში მას მუნჯ „ე“- ს ეძახიან, რადგანაც მხოლოდ სტრუქტურული დატვირთვა აქვს (მარცვალს ხსნის) და მეტყველებაში ბგერითი გამოხატულება არ აქვს. ამ კატეგორიის სიტყვათა ჯგუფებიც მათი ბგერითი დაბოლოებისა და საწყისის გამო განიხილება ზემოთ გაანალიზებული კლასიფიკაციის მიხედვით.



ქვემოთ მოცემული სინტაგმები წარმოადგენენ ზემოთ განხილული ტონალური კვანძების მაგალითებს:

stop singing, stop going, stop laughing, stop joking, stop running, stop writing.

ყოველთვის გასათვალისწინებელია, რომ ინგლისური სიტყვაში როდესაც “d” “ed” მოსდევს “ch, f, k, p, s და sh” თანხმოვნებს, “d” “ed” წარმოითქმება როგორც თანხმოვანი ბგერა [t]. მაგ: looked - [lukt]; Published - [pʌblɪft]

მაგალითები: looked new, looked marred, worked for, punished people, finished work, touched things, watched match, dressed child, replaced thing, shaped like, stopped move

სხვა შემთხვევებში “-d” “-ed” წარმოითქმება როგორც თანხმოვანი ბგერა [d]. bald, moved - [bould და mu:vd].

მაგალითები: told nothing, amused babies, advertized regularly, breathed with, received messages, robbed shop, changed view.

თუ სიტყვა ბოლოვდება “...ted და ded ასოთწყობაზე, მაშინ ისინი წარმოითქმებიან როგორც [tid და did]. მაგ. wanted, sounded, bounded [wontid, saundid და baundid].

2. ორი სიტყვის თანხმოვნ-ხმოვნიანი გაერთიანება (Consonant – Vowel Junctions)

სიტყვათა შემდეგი მნიშვნელოვანი ჯგუფია თანხმოვან-ხმოვნიანი გაერთიანება. ეს ისეთი გაერთიანებაა, სადაც წყვილის პირველი ერთეული მთავრდება თანხმოვანზე, ხოლო მომდევნო იწყება ხმოვნით. მაგალითად: cheap oil.

მოყვანილ მაგალითში პირველი სიტყვა მთავრდება თანხმოვან ბგერა [p] ზე, ხოლო მეორე სიტყვა იწყება ხმოვანი ბგერა დიფტონგი [oi] -ით.

სიტყვათა ეს გაერთიანება შეიძლება ცოტა რთულად მოგვეჩვენოს ტონალური კვანძის გაბმული რეპროდუქციისათვის პირველი ერთეულიდან მეორეზე „გლუვად გადასვლის“ თვალსაზრისით. ამ შემთხვევაში შეცდომა, რასაც ინგლისური ენის შემსწავლელები უშვებენ, ზოგადად არის ის, რომ პირველი სიტყვის წარმოთქმის შემდეგი ყოვნდებიან და ეს უადგილო პაუზა იწვევს მეტყველების ნაკადის შეწყვეტა - შეფერხებას.

რეალობაში კი, გამართულ ინგლისურ მეტყველებაში ეს ფონეტიკური შემთხვევა ტრანსკრიფციაში ასე გამოსახება მაგალითად: “cheap oil” ის ბგერითი გამოსახულება ტრანსკრიფციაში ასე იქნება [chi:-poil], სადაც ‘poil’ ცალკე ერთეულად გვევლინება. good idea – [gu:-daɪdɪd]; change it - [tʃeɪn - dʒɪt]. ანუ პირველი სიტყვის ბოლოკიდული თანხმოვანი გაერთიანებულია მომდევნო სიტყვის საწყის ხმოვანთან და წარმოითქმება როგორც ბგერათა ერთიანი ფონეტიკური ერთეული.

ამ ტიპის გაერთიანების მაგალითებია: keep every, hope either, develop it, cheap artist, dip eight, that age, cut even, what else, but it, teach all, such opportunities, much about, watch over, which items, rich actor ... and so on.

3. ორი სიტყვის ხმოვნიანი გაერთიანება (Vowel – Vowel Junctions)

სინტაგმათა ტონალური კვანძების შემდეგი მნიშვნელოვანი ჯგუფია ხმოვნიანი გაერთიანება. ამ ტიპის გაერთიანებაში წყვილის პირველი ერთეული მთავრდება ხმოვანზე და მომდევნო იწყება ხმოვნით. მაგალითად: “see us” “They organised” “may ask”

გვაქვს ასეთი გაერთიანების სამი სახე:

ა) როდესაც წინა სიტყვა ბოლოვდება ბგერა [i] ზე. თავის მხრივ აქაც შეიძლება სიტყვის [i] ზე დაბოლოების ხუთი ფორმა შეგვხვდეს; [i] as in “busy”, [i:] as in “see” [oi] as in “boy” [ai] as in “my” [ei] as in “they” .

ამ ბგერების მომდევნო სიტყვის ხმოვან ბგერასთან ერთად წარმოთქმის დროს არ არის საჭირო სწრაფი და მკვეთრი გამოკვეთა, პირიქით წინა სიტყვის ხუთივე დაბოლოების [i] ბგერა გრძელდება და მომდევნო სიტყვის საწყისი ხმოვანთან გადაბმის ადგილას ოდნავ გადადის [j ] ბგერაში. მაგალითად:

they asked [ðei- j -a:skt ]

she opens [ʃi: - j- ɔupənz]

try up [traɪ- j- ʌp]

the aim, see it, she added, say anything, we argued, be able, may open, buy oranges, free east, three armies, he answered, justify each, empty oil-can, many objects ... and so on.

ბ) თუ სინტაგმაში წინა სიტყვა მთავრდება [o, u, au , eu ან ue] ბგერებზე, ამ შემთხვევაში ტონალური კვანძის ცენტრში უნდა გამოვიყენოთ [w] ბგერის ძალიან რბილი და სუსტი ვარიანტი, როგორც შემდეგ მაგალითებშია:

Go after [gou -w-aft]

too eager [tu: -w-i:gə]

saw aged [so: -w- eidʒd]

saw each, saw altogether, raw eggs, saw officers, saw ugly, saw our, saw iron, saw oil, draw ears.

გ) ეს იმ სიტყვათა ჯგუფია, რომლის წინა ლექსიკური ერთეული ბოლოვდება [a] ხმოვან ბგერაზე ისევე როგორც ასო a ზე, მაგალითად სიტყვა drama. ამ კატეგორიის გაერთიანებაში წინა და მომდევნო სიტყვების „გლუვი“ კავშირისათვის კვლავ საჭიროა შუაში გამოვიყენოთ [j] ბგერის ძალიან რბილი ვარიანტი. მაგალითად,

extra income [ekstrə - j- incʌm]

umbrella is, era of, area increased, camera expert, idea isolate, data are ... and so on.

სიტყვები ასეთი დაბოლოებით ინგლისურში ძალიან ცოტაა.

4) ორი სიტყვის ხმოვან-თანხმოვნიანი გაერთიანება (Vowel-Consonant Junctions)

ეს ისეთი გაერთიანებაა, როდესაც წინა სიტყვა ბოლოვდება ხმოვანზე და მომდევნო სიტყვაც იწყება თანხმოვანზე. ამ ტიპის სიტყვათა ჯგუფის წარმოსათქმელად განსაკუთრებული ძალისხმევა საჭირო არ არის წინა სიტყვის ხმოვან-ბგერითი დაბოლოებიდან მომდევნო სიტყვის თანხმოვან-ბგერით დასაწყისზე შეუფერხებელივ გადასასვლელად. მაგალითად:

they came - [ðei keim],

see now - [si: nau]

true story - [tru: stori]

too much, who gave, fly down, no bus, go to, extra work, so that, we saw, destroy completely, how did, play game, true story ...

#### ლიტერატურა:

1. ა. შანიძე „ქართული გრამატიკის საფუძვლები“ მორფოლოგია - თბილისი 1953.
2. A.T. Iriskulov, “Theoretical Grammar of English” - Tashkent, 2006.
3. “An Introductory Course in Theoretical English Grammar.” Vilnius Pedagogical University, Department of English Philology, 2003.
4. . . . , “English Phonetics” - . . . . . , 1980.
5. Dr. Mahendra Saraswat, “Speak English fluently” – Upkar Prakashan, AGRA-2, 2010.
6. V. R. Meskhishvili, “An Introductory Course in English Phonetics” - Tbilisi, 1973.
7. V. R. Meskhishvili, “An Introduction to the Pronunciation of English” - Tbilisi, 1980.
8. M. A. Megrelishvili, “A Course in Theoretical English Grammar.” - Kutaisi, 2005.
9. N. Kirvalidze, “Theoretical Course of English Grammar.” Tbilisi, 2013.
10. P. R. Hahn and D. E. Hensley, Ph.D. Macmillan “Teach Yourself, Grammar and Style; Pearson Education Macmillan USA, 2000.
11. Ronald Carter and Michael McCarthy, Cambridge Grammar of English. Cambridge University Press, 2006.

*Zurab Chkhikvadze*

*Gori State Teaching University*

### **PROSODY OF TONAL JUNCTIONS IN UTTERANCE AND THEIR STYLES IN ENGLISH RESUME**

Tonal junction between the words in the utterance is core important in English speech fluency. Even flow a word into another word eliminates any gap of pause between the words of word-group. While acquiring the proper speaking skills, the issues studied in this article should be taken into consideration. Namely, the article deals with the categorization word sense groups in English utterance. They are classified into following styles and substyles of tonal junctions according to the ways of their pronunciation and peculiarities by their letteral composition: 1. Consonant-Consonant Junctions; 2. Consonant – Vowel Junctions; 3. Vowel – Vowel Junctions; 4. Vowel-Consonant Junctions.

Smooth flow from previous word to the next word in syntagma pairs provides ordinary speaking rhythm and tone which is natural for English speech. The categorization and certain study of each tonal junction style will be great help for English learners to brush up their speaking abilities and fluency.

### **როსტომ ჩხეიძე - „ქართული მწერლობა თვალის ერთი გადავლებით“**

დღეს ბევრი იწერება როსტომ ჩხეიძის ფენომენზე, რომ „ის აღემატება თავის თავს, რითაც უნდა აიხსნას მისი სწრაფვა გრანდიოზულობისაკენ“ [1, გვ. 215]. ადარებენ ბასილი დიდს, რომელიც იმდენად „დატვირთული ხომალდი“ იყო როგორც საღვთისმეტყველო, ისე საერო მეცნიერებათა სწავლულობით, რამდენადაც ეს კაცობრივმა ბუნებამ დაიტია. აკეთებს რა ამ სიტყვების პერიფრაზირებას, თეოლოგი და კრიტიკოსი აკაკი მინდიაშვილი მიიჩნევს, რომ „როსტომ ჩხეიძე, როგორც დიდი მეცნიერი და პირველხარისხოვანი მწერალი არა მარტო ქართულ, არამედ მსოფლიო ლიტერატურის უზარმაზარ ოკეანეში არაორდინალური (უჩვეულო) „ინტელექტუალური ხომალდია“, დატვირთული როგორც ძველი, ისე თანამედროვე ლიტერატურის ისეთი საკვირველი ცოდნითა და განსწავლულობით, რამდენიც კი შეიძლება საერთოდ დაიტოს ადამიანის ბუნებამ“ [1, გვ. 215].

„როსტომის ეპოქა“ - ასე უწოდებენ მიმდინარე ლიტერატურულ პროცესს. (მწერალი და ისტორიკოსი გიორგი სოსიაშვილი).

ამ ადამიანზე საუბრისას არ შეიძლება არ გავიხსენოთ რას წერს კორნელი კეკელიძე ანტონ კათალიკოსზე; „როდესაც ჩვენ ვითვალისწინებთ ანტონის ლიტერატურულ მოღვაწეობას, განცვიფრებაში მოვდივართ - როგორ შეძლო ერთმა კაცმა, რომელიც ამასთანავე პრაქტიკული საქმეებით იყო დატვირთული, ამდენ თხზულებათა თარგმნა და შეთხზვა“ [7, გვ. 348].

როსტომ ჩხეიძის შემოქმედებისადმი მიძღვნილი სტატიების კითხვისას ხშირად შეგვხვდებათ ავტორის, ერთგვარი, „თავის მართლება“ მკითხველის წინაშე, როცა კრიტიკოსმა არც შეიძლება არ აღნიშნოს ამ ადამიანის გამორჩეულობა და მისი დიდი ღვაწლი, მაგრამ ამავე დროს იცის, რომ ეს ვიღაცის გულისწყრომას მაინც გამოიწვევს. მაგრამ ეს არ არის მარტო ჩვენი დროის ნაკლი. თუ ისევ კორნელი კეკელიძეს მოვუსმენთ, აი, რას წერს ანტონ კათალიკოსზე, თურმე ამ ღვაწლმოსილ ადამიანის კულტურულ მოღვაწეობას საგრძნობლად აფერხებდა გარემოება, რომლის აღნიშვნა აქ საჭიროდ მიგვაჩნია: „ანტონის სამწერლო მოღვაწეობას, როგორც ჩანს, ბევრი მოწინააღმდეგე ჰყოლია ლიტერატურულსა და მოწინავე წრეებშიაც. ბევრი, შურით შეპყრობილი, მის ასეთ მოღვაწეობას ანგარებას უკავშირებდა“ [7, გვ. 345], ანტონ კათალიკოსი კი „თავს იმართლებს“, რომ მას ეს შრომები „მიზდისათვის“ უკისრია: „მიზდსა არარას მოველი თანამოქამეთაგან ჩემთა ქართველთა“ [7, გვ. 346]. მან კარგად იცის, რაც „მიზდი“ მიიღო სხვა შრომებისათვის, ახლაც იმასვე მიიღებს (ამ შემთხვევაში „მიზდი“ სასყიდელს ნიშნავს).

მოშურნეები და ხელისშემშლელეები ჩვენს დროშიაც უხვად არიან. ასეთი ტიპის „თავის მართლება“ გვხვდება არა მარტო კრიტიკოსების, არამედ თვით როსტომ ჩხეიძის წიგნების წინა თუ ბოლოსიტყვაობაში.

ამ კრიტერიუმით განვიხილოთ მისი ნაშრომი - „ქართული მწერლობა თვალის გადავლებით“, რომლის წაკითხვის შემდეგ აქაც უნებურად ჩნდება კითხვა - „როგორ მოახერხა ავტორმა ამ მცირე მონოგრაფიაში ჩაეტია ის, რაც შეიძლება ტომებმაც ვერ ამოწურონ“. მან კი, მოახერხა და წარმოადგინა როსტომ ჩხეიძის ვერსია - „დაწურული და სულაც ესთეტიკურ ფორმულებში მოქცეული უზარმაზარი მხატვრული სამყარო ათასგვარი ფერითა და დანაშრევით“, რომლის კითხვისას ბევრ საგულისხმოს აღმოვაჩენთ.

უპირველესად კი უაღრესად საინტერესოა წიგნის ბიოგრაფია. როსტომ ჩხეიძე ერთგან წერს: „დიახ, ბიოგრაფია მარტოდენ პიროვნებებს კი არა აქვთ, არამედ-თხზულებებსაც, ოღონდ რატომღაც ნაკლები ყურადღება ექცევა მათ ბიოგრაფიებს და ან უკვალოდ იკარგებიან და ან გაკვირით შეიძლება იელვონ მწერლის ავტობიოგრაფიულ ნაწარმოებებში“ [2, გვ. 3]. სხვაგან კი - „იმის ნათელ მაგალითად, რომ რომანის თავგადასავალი დამოუკიდებელი სიუჟეტი შეიძლება იყვეს, ლევან გოთუას „გმირთა ვარამიც“ საკმარისია“ [1, გვ. 132].

არანაკლებ საინტერესოა ჩვენს მიერ განსახილველი ნაშრომის (რომელიც 2015 წელს ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების მონდომებით წიგნად გამოდის) ბიოგრაფიაც.

სრულიად საქართველოს კთოლიკოს-პატრიარქმა ჩაიფიქრა ქართული მოდგმა და კულტურა სრულყოფილად წარმომდგარიყო დასავლეთის თვალში - თავისი ისტორიით, ლიტერატურით, ზეპირსიტყვაობით, მუსიკით, ქორეოგრაფიით, მხატვრობით, ხუროთმოძღვრებით, ფილოსოფიით, გეოგრაფიით, ეკონომიკით, სპორტით, ყოფა-ცხოვრებით. ამ მიზნით უნდა შექმნილიყო

ენციკლოპედიური ყაიდის ნაშრომები, - ასე 60-70 გვერდით შემოფარგლული, ქართულ და შემდეგ რუსულ და ინგლისურ ენებზეც. მთავარი კი ამ მართლაც გრანდიოზულ ჩანაფიქრში ის იყო, რომ „ყოველივე ეს უნდა გააზრებულყოფიერ მსოფლიო კულტურის ფონზე, უშუალოდ მასთან მიმართებაში“ [1, გვ. 123].

პროექტის განხორციელება ილია მეორემ ღირსეულ პიროვნებას, ვახტანგ სართანიას სთხოვა. მას უნდა შეეკრიბა „შესაფერისი ადამიანები“ ამ, მართლაცდა, გრანდიოზული პროექტის განსახორციელებლად.

თუ ვინ უნდა ყოფილიყო ლიტერატურის ისტორიის შემქმნელი ჯგუფის ხელმძღვანელი, ვახტანგ სართანია და პაატა ნაცვლიშვილი უსიტყვოდ შეთანხმდნენ - ეს იქნებოდა როსტომ ჩხეიძე. ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ რედაქციაში ეწვივნენ რედაქტორს, რომელიც ვერასოდეს იფიქრებდა, რომ ამ ყაიდის თხზულებაზე („ქართული ლიტერატურის ისტორია უძველესი ჟამიდან დღევანდლობამდე“) მოუწევდა მუშაობა, ილია მეორის ეს წამოწყება გააცნეს და უკანდასახვევი გზა აღარ დაუტოვეს.

საქმე მეტად საპასუხისმგებლო იყო, რადგან როსტომ ჩხეიძის აზრით ნაშრომი უნდა დამგვანებოდა სავიზიტო ბარათს, რომელიც ევროპა-ამერიკას დაარწმუნებდა, რომ „ქართული მწერლობის მონაპოვარის გარეშე გაძლება არ შეიძლებოდა და რაც მალე ჩავერთვებოდით მათ წრეში, მით უკეთესი მათთვისაც და ჩვენთვისაც“ [1, გვ. 124].

როსტომ ჩხეიძემ ერთიც სცადა უარი - არ არის ჩემი ჟანრი, მაგრამ მან უკვე იმდენ ჟანრში მოსინჯა თავისი შესაძლებლობები და წარმატებულადაც, რომ უარი აღარ გაუვიდა, იმაზეც შეთანხმდნენ, რომ არავითარი ჯგუფი არ იყო საჭირო, ეს ყველაფერი ერთ კაცს უნდა დაეწერა.

თუ პირველი რესპუბლიკის დროს ასეთი პროექტის შემსრულებლად პავლე ინგოროყვა გამოარჩიეს, დღეს შეიძლებოდა საყვარელი მოძღვრის მიერ განუხორციელებელი პროექტის განხორციელება და საქმის ბოლომდე მიყვანა, თუმცა საბჭოურ პერიოდში პავლე ინგოროყვამ მაინც განახორციელა ეს ჩანაფიქრი და ქართული ლიტერატურა განიხილა უძველესი ეპოქიდან მეოცე საუკუნემდე, (მეოცე საუკუნე „სხვამ წაახდინაო“, იხსენებს რ. ჩხეიძე) მაგრამ მთავარი სათქმელი მაინც ითქვა და კრემლის სვეტებიან დარბაზში „ვეფხისტყაოსნის“ შემოქმედებითი იუბილეთი დამთავრდა.

და დაიწყო ასეთი საპატიო მისიის შესრულების ურთულესი პერიოდი. ავტორმა გადაწყვიტა თავისი შრომა აეგო „იმ ღრმა, შთამბეჭდავ და მახვილგონივრულ მიგნებაზე“, პავლე ინგოროყვას რომ ერთ დროს არ გამოეყენებინა და ასე დაეტოვებინა ცაში გამოკიდებული. პავლე ინგოროყვამ ამოატრიალა ისტორიული ქრონოლოგია - ლიტერატურის ისტორია დააღაგა „შინაგანი კანონზომიერების კვალობაზე“. ამან კი სულ სხვა წიაღში მოაქცია გარეგნული ნაკადები: ამით შესაძლებელი ხდებოდა ვაჟა-ფშაველას საგმირო ეპოსი, რომელიც ხუთი პოემისგან შედგებოდა, გადატანილიყო ადრეულ ხანაში, ამას მოყვებოდა დავით გურამიშვილის „დავითიანი“ და მხოლოდ ამის შემდეგ „ვეფხისტყაოსანი“. თუ ისტორიული კანონზომიერება დაირღვეოდა, ლიტერატურის შინაგანი კანონზომიერება წარმოჩინდებოდა ხელშესახებად, ასე სჯიდა როსტომ ჩხეიძე და ამ იდეის მიგნების შემდეგ საქმე გაუადვილდა: „დაწერას დიდხანს აღარ მოვუნდებოდი, რადგან კომპოზიციური ქარგა და ჩარჩო უკვე ხელთ მქონდა“ [1, გვ. 129].

შრომამ შედეგი გამოიღო და დაიწერა ნაშრომი, რომელიც გაახარებდა პავლე ინგოროყვას, ასე ეიმედებოდა ვახტანგ სართანიას და რაც ყველაზე მთავარია, დაამშვენებდა მთელ პროექტს.

ნაშრომი რეცენზირებისათვის გადასცეს სოხუმის უნივერსიტეტის პროფესორს, მკვლევარს, კრიტიკოსს - ნანა კუციას, მან კი ჩვეული გულმოდგინებით და პროფესიონალიზმით დაწერა ვრცელი რეცენზია, რომელსაც „დამოუკიდებელი ესთეტიკური თხზულებაც“ კი უწოდეს, მაგრამ პროექტის ეს ნაწილი არ გამოიცა და მხოლოდ სამი წლის შემდეგ გაირკვა, რომ ის დაბლოკა „ქართული ენციკლოპედიის“ რედაქციამ, რომელსაც ირაკლი აბაშიძის ვაჟი - ზურაბ აბაშიძე თავმჯდომარეობდა. ეს პოსტი მას მამისგან მამკვიდრეობით მიეღო. წიგნი, ისევე, როგორც რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა „კარასინის ჩიხში“ მოექცა (როგორც ლიტერატურულ წრეებში იხუმრეს). ამის მიზეზი, კი ძალიან მოკლედ რომ ვთქვათ, იყო ის, რომ როსტომ ჩხეიძეს უსწორებდნენ ანგარიშს, რადგან მან აღადგინა სამართლიანობა და თავის ნაწერებში ამხილა ირაკლი აბაშიძის მეორე, სხვისთვის დაფარული სახე, იმ ირაკლი აბაშიძისა, გალაკტიონმა „ბერიასკუდიაშვილი“ რომ უწოდა, რომლის კისერზეც იყო ქართველი მწერლებისადმი უდიერი დამოკიდებულება (გალაკტიონი, გიორგი ლეონიძე, სიმონ ჩიქოვანი, პავლე ინგოროყვა), და რაც მთავარია, ლადო ასათიანის პირველი პოეტური კრებულის განადგურება, რამაც დააჩქრა პოეტის სიკვდილი. როსტომ ჩხეიძე ფიქრობდა, რომ ეს ყველაფერი უნდა გამოიშურებულყოფიერ და იტვირთა კიდევ. შვილმა „ქართული ენციკლოპედია“ კი მიიღო მემკვიდრეობით, მაგრამ მამისეული „ხერხიანობა და ქამელეონობა“ ვერა.

მან ვერ იმოქმედა მამისებურად: „ვითარების შესაფერისად... სად როგორ გამოვიდოდა“, ახლა კი, საბედნიეროდ, როგორც როსტომ ჩხეიძე ამბობს, არც 1942 წელი იყო და არც თვითონ იყო ავადმყოფი ლადო ასათიანი.

შრომა ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ ფურცლებზეც დაიბეჭდა და წიგნადაც გამოვიდა, სადაც ნაშრომთან, დაბეჭდილია ნანა კუციას სარეცენზიო წერილი „ხედროულობის კონტექსტში“.

როსტომ ჩხეიძე ასე მსჯელობს წიგნის ღირსებების შეფასებისას: „თუ ეს მართლა იმ ღირსების თხზულებაა, ვახტანგ სართანიას და ნანა კუციას როგორც ესახებათ, ვინ რა შეიძლება დააკლოს, ხოლო თუკი ისეთ სერიოზულ შენიშვნებს იმსახურებს, გათვალისწინება და საფუძვლიანი გადამუშავებაც რომ ვერაფერს უშველის, მე ვერაფერს წავეხმარები“ [1, გვ. 139].

მაინც რით არის გამორჩეული ეს შრომა, რა სიახლეა მასში, რა არის როსტომ ჩხეიძის დამსახურება? სანამ ამ კითხვებს ვუპასუხებთ და წიგნის შეფასებებზე ვისაუბრებთ, ჩვენ დავინტერესდით, როგორ მიმოიხილავს ამ საკითხებს „ქართული მწერლობის“ ოცდაათტომეულის წინასიტყვაობაში „მხატვრული სიტყვით გაცხადებული სული“ რევაზ თვარაძე. გავითვალისწინოთ ის მიზანიც, რომელიც დაისახა, 1987 წელს, „ქართული მწერლობის“ ოცდაათტომეულის სარედაქციო კოლეგიამ, რომ „მკითხველებს საბოლოოდ ხელთ უნდა ჰქონდეთ იმგვარი გამოცემა, რომელიც მოიცავს მთელ ჩვენს მწერლობას და ქმნის მის შეძლებისდაგვარად სრულ სურათს“ [4, გვ. 5]. შესავალ წერილში რევაზ თვარაძე წერს, რომ თუმცა ოცდაათტომეულს მხოლოდ იმიტომ წაუშემდვარეს „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“, რომ „ეს ნაწარმოები მიგვანიშნებს ჩვენი შორეული წინაპრების დამოკიდებულებას თავიანთი ენისადმი“ [4, გვ. 7], შემდგომ მსჯელობებში, იმის მიუხედავად, რომ მოკლედ მიმოიხილავს პავლე ინგოროყვას აღმოჩენილ ასოებს, მის მოსაზრებებს, წერს, რომ ქართული ანბანის ქრისტიანობამდელი წარმოშობა მეცნიერებს საგონებელში აგდებს, რადგან „მეხუთე საუკუნეზე ადრეულ ნიმუშები ქართული დამწერლობისა ჯერჯერობით ვერსად მიუკვლევიან - არც ხელნაწერი შემორჩენილა, არც ტამრის წარწერა, არქეოლოგიური გათხრების დროსაც ვერ აღმოაჩინეს რაიმე საგანი, თუნდაც რამდენიმე ქართული ასო რომ იყოს ზედ გამოყვანილი“ [4, გვ. 11]. ეს ფაქტი ზოგს სკეპტიკურადაც განაწყობსო, ამიტომ გამოითქვაო ასეთი მოსაზრება: „ქართული ანბანის ქრისტიანობამდელი ნიმუშები არც აღმოჩენილა და ვერც აღმოჩნდება, რადგან მისი შექმნა ქრისტიანობის მიღებას უკავშირდება, ისევე, როგორც მრავალ სხვა ქვეყანაში, დამწერლობა და წიგნის კულტურა საქართველოში ქრისტიანობამ მოიტანა“ [4, გვ. 12]. ამ მოსაზრებას რევაზ თვარაძე (და, ალბათ, მთელი სარედაქციო კოლეგია) ხელაღებით არ უარყოფს, მაგრამ იმასაც ითვალისწინებს, რომ „იმგვარი ჩამონაკვეთული, სრულყოფილი, ჰარმონიული ფორმები, როგორიც დღემდე ცნობილ უძველეს ქართულ ასოებს აქვს, ზეცით ვერ მოვევლინებოდათ ჩვენს წინაპრებს, ამნაირი სრულყოფილების მისაღწევად დამწერლობას ხანგრძლივი, მრავალსაუკუნოვანი გზა უნდა გაევილო“ [4, გვ. 12].

თუმცა, რევაზ თვარაძე იმასაც აღნიშნავს, რომ ისე ხომ არ გვემართება „რაიმე ნივთის მძებნელი კაცი მთელ ბინას რომ გადააქოთებს ხოლმე, ის ნივთი კი თურმე მის თვალწინ ყოფილა მდებარე“ [4, გვ. 11], როგორც სწამდა პავლე ინგოროყვასო, რომელმაც მის მიერ აღმოჩენილი ასოები ახალი წელთაღრიცხვის პირველ-მეორე საუკუნეებს მიაკუთვნაო - ამ საკითხების გადაწყვეტა მომავალი თაობის ხვედრიაო.

მომავალ თაობაში ალბათ პირველ რიგში როსტომ ჩხეიძე იგულისხმება. როგორც იქნა ნავსი გატყდაო - ამ სიტყვებით გამოხატა მერაბ ღაღანიძემ თავისი და ალბათ სხვა ბევრის სიხარული, შრომის წიგნად დაბეჭდვის შემდეგ, რადგან: „ჩვენ მაინც ტრადიციული საზოგადოება ვართ და მიგვაჩნია, რომ რაც ერთხელ დაიწერება და დაიდება, სხვამ აღარ უნდა შეჰბედოს. თაობები აღიზარდნენ ისე, და მათ შორის მეც, რომ კორნელი კეკელიძის მიერ შექმნილი ქართული ლიტერატურის ისტორია ხელშეუხებლად უნდა დარჩენილიყო“ [5, გვ. 3].

როსტომ ჩხეიძეს მტკიცედ სჯერა, რომ „პავლე ინგოროყვა ხეთურ-ქართველური სამყაროს გადმოსახედიდან გადაჰყურებს საუკუნეთა წყებას, ამ გადმოსახედიდან კი ჩვენი ლიტერატურის დასაწყისი სულაც არ უკავშირდება ორ ზღვას შუა მოქცეულ მიწა-წყალს“ [1, გვ. 3], რადგან პავლე ინგოროყვა ქართული ანბანის წარმოშობის მიჯნად სდებდა ქრისტეს დაბადებამდე მეხუთე-მეშვიდე საუკუნეებს და ქართული მწიგნობრობის შექმნის ცნობას კი განმარტავდა ანბანის რეფორმასა და ქართული წელთაღრიცხვის შემოღებაზე მინიშნებად. როსტომ ჩხეიძე თავის ნაშრომში საუბარს ამ დროის ნიმუშებით იწყებს და გვიჩვენებს ქართული ლიტერატურის ერთიან სურათს, ეს კი „მოქალაქეობრივი პოზიციის სიმტკიცეს გულისხმობს, რადგან გასული ორი საუკუნის მანძილზე, რუსულ/საბჭოური იმპერიული პოლიტიკის ზეწოლის შედეგად, ლიტერატურული პროცესი ცენზურით, რეპრესიებით, იდეოლოგიზაციით, პოლიტიკური და მორალური მანიპულაციებით იქნა დეფორმირებული. ქართული მწერლობისთვის თვალის გადავლება რუსული კოლონიზაციის

შეფასებასაც უკავშირდება და ეს შეფასება, ავტორის მოქალაქეობრივი/პატრიოტული პოზიციის თანახმად, ძალიან მკაცრია“ [5, გვ. 3].

ბელა წიფურიას მიაჩნია, რომ როსტომ ჩხეიძემ ოქსფორდის უნივერსიტეტის გამომცემლობის სერიის „ძალიან მოკლე შესავლების“ სათაური და იდეა კარგად მოარგო ქართულ სინამდვილეს და იდიომა „თვალის გადავლება“ კარგად მოარგო ჟანრს: „ვრცელ თემაზე შექმნილი მოკლე მიმოხილვა მსოფლიო აკადემიურ სივრცეში კარგად დამკვიდრებული ჟანრია. ამგვარ მიმოხილვებს დარგის ყველაზე ცნობილი ექსპერტები წერენ, რომელთაც, ერთი მხრივ, საგნის დეტალური ცოდნა, მეორე მხრივ კი ამ საგნის ფართო ხედვა საშუალებას აძლევთ, მკითხველს წარუდგინონ განზოგადებული, ჩადრმავებული და საჭირო აქცენტებით გამდიდრებული სურათი.... სწორედ ასეთი ექსპერტია ქართული ლიტერატურისა როსტომ ჩხეიძე და მისი „ქართული მწერლობა თვალის გადავლებით“ ქართულ სინამდვილეში ამ ჟანრის ნიმუშია“ [5, გვ. 3].

როსტომ ჩხეიძე წიგნის დასაწყისშივე აცხადებს, რომ „ის 1500 წლოვანი ლიტერატურა, რაც ქართულ ენაზე მოგვეპოვება და თავისთავად საკმაოდ ხანგრძლივადაც წარმოდგება, პავლე ინგოროყვას განსაზღვრებით, მარტოდენ ახალი ხანაა ქართული მწერლობისა“ [1, გვ. 4]. იზიარებს რა ამ ვერსიას ქართული ლიტერატურის წარმომავლობისა, როსტომ ჩხეიძე, თუ ისევე ბელა წიფურიას მოვუსმენთ, ამ ნაშრომში გვიჩვენებს ქართული ლიტერატურის ძირითად ნიშნულებს და ნიშანსვეტებს, მიუთითებს ავტორებს და ტექსტებს, გვამღვებს ტექსტების და მოვლენების შეფასებებს, გამოკვეთავს საუკუნეების განმავლობაში ლიტერატურული პროცესების განვითარების ლოგიკას და ტენდენციებს.

კრიტიკოსის აზრით ეს არის არა მოკლე შესავალი, არამედ დასკვნა, წიგნში რეზიუმირებული სახით მოცემული და რაც მთავარია, ერთ-ერთი მთავარი დასკვნა, რაც ქართული ლიტერატურის სურათის აღწერას გასდევს, არის ის, რომ „განვითარების მრავალსაუკუნოვანი ისტორიის განმავლობაში ქართული მწერლობა ტიპოლოგიურად დასავლური მოვლენაა, ის დასავლური ლიტერატურული კონტექსტის ნაწილია და თუ ამ კონტექსტს სხვადასხვა ისტორიულ-პოლიტიკური მიზეზით წყდებოდა, მას კვლავ აქვს მასთან გამთლიანების მისწრაფება. ქართული ლიტერატურა, როსტომ ჩხეიძის თვალით, „გაუზარაკვი“ მთლიანობაა“ [5, გვ. 3].

ბელა წიფურიას წიგნის დიდ ღირსებად მიაჩნია ის, რომ აქ მოცემულ დასკვნებს „ხშირ შემთხვევაში – ამირანის ეპოსიდან მოყოლებული, მეცხრამეტე საუკუნის კლასიკოსი მწერლების, ლიტერატურულ-ისტორიული თეორიების თუ ამ ისტორიის საკვანძო მომენტების შესახებ – თავად წიგნის ავტორის ვრცელი შრომები უდევს საფუძვლად. სხვა შემთხვევებში კი ეს არის ერთგვარი წინასწარი დასკვნები, რომლებიც მომავალი ნაშრომების იმპულსი უნდა გახდეს“ [5, გვ. 3].

ნანა კუციას რეცენზიამ, თუმცა პროექტში მოსახვედრად ვერ გაუხსნა გზა, წიგნში ღირსეულად დაუმშვენა გვერდი ავტორის შრომას. ის „ზედროულობის კონტექსტში“ განიხილავს როსტომ ჩხეიძის ნაშრომს, რომელიც მისი აზრით ჟანრობრივად ესეიდაც შეიძლება იქნეს გააზრებული, ნარკვევადაც და სამეცნიერო ნაშრომადაც, რადგანაც თითოეულის ნიშნებს ატარებს. კრიტიკოსს მიაჩნია, რომ ყოველი კულტურული ეპოქა თავიდან, ხელახლა კითხულობს კლასიკას, „რათა კონკრეტული ჟამის კონტექსტისა და ფასეულობათა სისტემის გათვალისწინებით, კიდევ ერთხელ გააცნობიეროს მისი მარადი ღირებულება“ [1, გვ. 141]. როსტომ ჩხეიძე ქმნის პანორამას, მოწოდებული ტილოს, ერთგვარ მოზაიკას, სადაც ყოველ დატალს არსებითი მნიშვნელობა აქვსო ერთიანი სურათის სრულყოფილად წარმოჩენისათვის, იმავდროულად, ერთგვარ დისტანცირებასაც გვთავაზობსო, რათა „პანო“ უკეთ იქნეს აღქმული. ამავე დროს მკითხველი თანამოაზრედ, თანაგამაზრებლადაც წარმოდგენილი და მთხრობელთან ერთად მიუყვება „ქართული ლიტერატურის მაგისტრალურ ხაზს „სათავეებიდან თანამედროვეობამდის“.

წიგნში ნაჩვენებია „ქართული ლიტერატურის ძირითადი ნიშნულები და ნიშანსვეტები, მითითებულია ავტორები და ტექსტები, მოცემულია ტექსტებისა და მოვლენების შეფასებანი, გამოკვეთილია საუკუნეების განმავლობაში ლიტერატურული პროცესების განვითარების ლოგიკა და ტენდენციები“ [5, გვ. 4], მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ ეს წიგნი გათვლილია მკითხველზე, რომელმაც ქართული ლიტერატურა კარგად იცის და რომ „ერთი თვალის გადავლება“ რთულ პანორამულ სურათად წარმოგვიდგება, რომელში გარკვევასაც დიდი გამოცდილება და შეჩვეული თვალი სჭირდებაო, ნიკოლოზ სანებლიძე ჩამოთვლის იმ საკითხებსაც, რომლებიც კითხვის დროს დააკლდა და რომლის გათვალისწინება უდავოდ საინტერესო იქნებოდა მკითხველისათვის, თუნდაც „ხალხოსნების არარსებობა“, ან თუნდაც საუბარი „ინტელექტუალური პროზის“ შესახებ, მაგრამ იმედოვნებს, რომ მალე გამოვა „ქართული მწერლობა თვალის მეორე გადავლებით“, არანაკლებ საინტერესო პირველზე, „რომელიც არის მცდელობა, ქართული ლიტერატურა განვიხილოთ ევროპული ლიტერატურის თვალთახედვით – რაც დაინტერესებდა ჩვეულებრივ, მომზადებულ ევროპულ მკითხველს ქართულ ლიტერატურაში“ [5, გვ. 4].

ასეთია როსტომ ჩხეიძის ნაშრომის „ქართული მწერლობა თვალის გადავლებით“ შეფასებათა ერთი ნაწილი. განსხვავებით „ქართული ენციკლოპედიის“ რედაქციისაგან, რომლის მესვეურებიც აცხადებდნენ: „სერიოზული შენიშვნები გვაქვს და ამ სახით არაფრისდიდებით არ შეიძლება“ დაბეჭდვად, წიგნი იწვევს მკითხველთა აღფრთოვანებას, რომ ბოლოს და ბოლოს არსებობს ასეთი სრულყოფილი შრომა - ქართული ლიტერატურის ისტორიის როსტომ ჩხეიძისეული ვერსია.

სტატია შეიძლება დავამთავროთ შეფასებით: „ამ წიგნში ქართული ლიტერატურა წარმოდგენილია როგორც მთლიანი, ერთიანი ნაკადი, პროცესი, რომელიც არ არის დაჩეხილი, სეგმენტირებული და ერთიანობაში დაგვანახებს ქართულ ლიტერატურას უხსოვარი დროიდან დღემდე.

- ამით როსტომ ჩხეიძემ გაარღვია იმ პროექტის ჩარჩოებიც, რომელიც ლიტერატურის ინსტიტუტის შენობაში დაიწყო, ვგულისხმობ ქართული ლიტერატურის ექვსტომეულს, მეხუთე ტომზე რომ შეწყდა და, ჩემი აზრით, არასწორი პრინციპით იყო შედგენილი“ [5, გვ. 4].

კრიტიკოსები მიიჩნევენ, რომ წიგნი დააინტერესებს ჩვეულებრივ, მომზადებულ ევროპელ მკითხველს ქართულ ლიტერატურაში, სადაც ქართული ლიტერატურა განხილულია ევროპული ლიტერატურის თვალსაზრისით. ეს ვარაუდი გამართლდა. წიგნით დაინტერესდა კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორი, ქართულ-ევროპული ურთიერთობების ოფისის დამფუძნებელი მანანა ხერგიანი, დაუკავშირდა ავტორს და სთხოვა გადაეგზავნა რამდენიმე ეგზემპლარი, რომელიც დაიდო არა მარტო კოლუმბიის, არამედ ნიუ-იორკის და სხვა ქალაქების ბიბლიოთეკებში. წიგნმა გადალახა საქართველოს საზღვრები და ამერიკელი მკითხველის ყურადღების შუაგულში მოექცა. ვიმედოვნებთ, რომ გაიმართება ამ წიგნის ისეთივე პრეზენტაცია, როგორც გაიმართა ქალაქ სტამბოლის „ქართული ენის ცენტრში“ წიგნისა „ბედი პავლე ინგოროყვასი“ (მესამე გამოცემა), როსტომ ჩხეიძეს კი პირადად მოუწევს ამერიკელ მკითხველთან შეხვედრა და არა ინტერნეტის საშუალებით, როგორც ეს თურქეთელ ქართველებთან შეხვედრის დროს მოხდა.

განვიხილოთ ნაშრომი „ქართული მწერლობა თვალის გადავლებით“. ეს არის ქართული ლიტერატურის ისტორიის „როსტომ ჩხეიძისეული ვერსია“, რომელშიც კარგად გამოჩნდა, რომ ავტორი „ღირსეული სულიერი მემკვიდრე, სულიერი ნათესავია იმ სასიქადულო ქართველი მამულიშვილებისა, რომელთა შესახებაც წერს ორიგინალურ რომანებსა და ნაშრომებს, ესეებსა და ლიტერატურულ წერილებს“ [1, გვ. 216].

#### ლიტერატურა:

1. როსტომ ჩხეიძე - „ქართული მწერლობა თვალის გადავლებით“, თბ., „ჩვენი მწერლობა“, 2015.
2. „ბიოგრაფიული რომანი ვაჟა-ფშაველაზე“ - სამეცნიერო სესია გორში, თბ., „ჩვენი მწერლობა“, 2017.
3. პავლე ინგოროყვა - ქართული დამწერლობის ძეგლები ანტიკური ხანისა, თბ., „ჩვენი მწერლობა“, 2015.
4. ქართული მწერლობა, ოცდაათ ტომად, ტ. 1. თბ., „ნაკადული“, 1987.
5. „ქართული სიტყვა“ - ჩიტის საფრენი სიმაღლიდან, #37, 2017.
6. „საქართველოს რესპუბლიკა“ -გასაქართველოებული წინაპარი, #34, 2016.
7. კორნელი კეკელიძე - ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტომი 2, თბ., 1956.

*Marine Tsertsvadze*  
*Gori State Teaching University*  
**ROSTOM CHKHEIDZE ‘GEORGIAN WRITING AT A GLANCE’**  
**RESUME**

In this research, we have discussed the book called ‘Georgian writing at a glance’.

This is the history of Georgian Literature by Rostom Chkheidze. The author is a worthy spiritual successor of those patriots about whom he writes novels, essays and literary letters.

## **საყოველთაოდ ხმარებული ლექსიკის სტილისტიკური ფუნქციისათვის**

მწერლის უმთავრეს ენობრივ მასალას საყოველთაოდ ხმარებული ენობრივი ლექსიკა წარმოადგენს. მისი ენის თავისებურებაც სწორედ ასეთი ლექსიკის მიზანშეწონილ შერჩევასა და გამოყენებაში ვლინდება.

ლექსიკის გამდიდრება ხდება არა მარტო ახალი სიტყვების შექმნით, არამედ უმთავრესად უკვე ენაში არსებული სიტყვების აზრობრივი შევსებითა და გაფართოებით.

საერთო-სახალხო ლექსიკის ფუნქციის შესწავლისათვის მწერლის ენაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სიტყვის პოლისემიას. სიტყვის პოლისემიად, როგორც სამართლიანად აღნიშნავს ფრანგი მეცნიერი ჟ. ვანდრიესი – უნდა ვიგულისხმოთ სიტყვის უნარი – მიიღოს ახალი ან დამატებითი მნიშვნელობა სხვადასხვაგვარ გამოყენებასთან დაკავშირებით და შეინახოს ეს შეძენილი მნიშვნელობა ენაში. სიტყვის მრავალმნიშვნელობა მისი სხვადასხვაგვარი გაგების შესაძლებლობას იძლევა. ერთი და იგივე სიტყვა განსხვავებულ კონტექსტში სხვადასხვა დამატებით აზრსა და მნიშვნელობას იღებს.

მაგალითად, სხვადასხვა კონტექსტში ავიღოთ საყოველთაოდ ხმარებული სიტყვა თავი.

შე ოხერო, აგიღია თავი და დაეხეტები სათხოვრად, ნამუსი აღარა გაქვს („ოთარაანთ ქვრივი“, ი. ჭ. 2006, გვ. 130).

ქვეყანას თავისი თავი კი შეუნახავს, რომ ეგ შენი ბრიყვი თავიც ინახოს (იქვე, გვ. 137).

ჩხუბს ასტეხდა, თავს გამოიდებდა. (იქვე, გვ. 138).

დაანება თავი მუშაობას და მივარდა ღილებს დამჩემებელს (იქვე, გვ. 144).

მაშ, არა და თავზედ დავისვამდი. მაგ ქეციან თავზედ ბევრს კი მოსძოვდნენ. (იქვე, გვ. 147).

მე ბოლოში ვარ, ის თავში (იქვე, გვ. 149).

აქ სიტყვა თავი თითოეულ კონტექსტში სხვადასხვა მნიშვნელობის და აზრის შემცველია.

შესაძლებელია სიტყვას კონტექსტმა დაუკარგოს თავისი ძირითადი ლოგიკური აზრი და სრულიად საწინააღმდეგო მნიშვნელობა მისცეს.

„ღმერთი მაინც მოჰკითხავს, ვინც მე ეს სიკეთე მიყო“ (გლახის ნაამბობი“, ილია ჭავჭავაძე, თხზ. ტ. მე-2, 1957, გვ. 193). აქ სიტყვა სიკეთე სიავისა და ბოროტების აზრითაა ნახმარი.

ამრიგად, კონტექსტი დიდ ზეგავლენას ახდენს სიტყვის სემანტიკაზე, მაგრამ აქ უმართებულო იქნებოდა ისეთი დასკვნის გაკეთება, თითქოს კონტექსტის გარეშე სიტყვა მხოლოდ მკვდარ პრეპარატს წარმოადგენს. იზოლირებული სიტყვა პირველადი ძირითადი მნიშვნელობის მატარებელია. კონტექსტში მას დამატებითი მნიშვნელობა და ელფერი ეძლევა.

დამატებითი მნიშვნელობა, ცხადია, იქმნება სიტყვის ძირითადი მნიშვნელობის საფუძველზე. სიტყვის ეს თვისება – პოლისემია ამდიდრებს ენისა და მწერლის ლექსიკონს. არცერთ მწერალს არ შეუძლია ამოწუროს ყველა ის ლექსიკური მარაგი, რომელიც ნაციონალურ ენას აქვს, მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ მწერალი ერთსა და იმავე ენას სხვადასხვაგვარი მნიშვნელობით ხმარობს, შეიძლება ითქვას, რომ მისი ლექსიკა გაცილებით უფრო მდიდარია, ვიდრე ნაწარმოების ცალკეულ სიტყვათა არითმეტიკული ჯამი.

ამრიგად, ნაწარმოების სტილისტიკური ანალიზის დროს საჭიროა მხედველობაში იქნეს მიღებული არა მარტო სიტყვათა რაოდენობა, არამედ მათი თვისებები და მრავალმნიშვნელობა კონტექსტში.

საყოველთაოდ ხმარებულ სიტყვებს იმიტომაც აქვს მხატვრულ ნაწარმოებში დიდი მნიშვნელობა, რომ სწორედ მათ მოეპოვებათ მეტი მრავალფეროვნება და სემანტიკური პროდუქტულობა, ვიდრე ექსპრესიულ ლექსიკას. საქმე ისაა, რომ ექსპრესიულობა სიტყვას იმთავითვე აძლევს გარკვეულ ხასიათსა და მიმართულებას და ზღუდავს მისი გამოყენების სფეროს.

ილია ჭავჭავაძის „კაცია ადამიანი“ წარმოადგენს სატირას გადაგვარებულ თავადაზნაურობაზე.

ამ ნაწარმოების ერთ–ერთი დამახასიათებელი თვისებაა კომიზმი. კომიზმის ერთ–ერთ არსებით ნიშანს მოვლენის გარეგანი ფორმისა და შინაარსის შეუსაბამობა და წინააღმდეგობა წარმოადგენს.

მოთხრობაში „კაცია ადამიანი“ მწერალი კომიკურ სურათს უმთავრესად ქმნის სიტყვების გადატანითი მნიშვნელობის გამოყენებით.

ავტორი რომელიმე სურათის ან სიტუაციის დეტალურად აღწერამდე იძლევა მის ზოგად დახასიათებას, შემდეგ კი დაწვრილებით შლის სურათს, რის შედეგად ვღებულობთ წინააღმდეგობას ზოგად დახასიათებასა და დეტალურ აღწერას შორის, რაც აძლიერებს მოცემული სურათის კომიკურ ხასიათს.



„კარგი რამ იყო თავად თათქარიძის სახლ-კარი“ – ასე იწყებს ილია ლუარსაბ თათქარიძის სახლ-კარის აღწერას. შემდეგ მწერალი თვალწინ გვიშლის თავადის სახლ-კარის საშინელსა და საძაგელ სურათს. აქ სიტყვა „კარგი“ გადატანითი მნიშვნელობითაა ნახმარი. მას დაკარგული აქვს ძირითადი, რეალური მნიშვნელობა და ცუდისა და უვარგისობის გამოძხატველია. ე. ი. სიტყვა „კარგი“ ცუდის სინონიმად გვევლინება. ლუარსაბის სახლ-კარის საერთო სურათის აღწერა თავისთავადაც იწვევს კომიკურ შთაბეჭდილებას, მაგრამ სიტყვა „კარგის“ გადატანითი მნიშვნელობით ხმარება ასეთ შთაბეჭდილებას უფრო აძლიერებს.

ასეთივე ხერხს მიმართავს მწერალი საღამო ხანს ჩრდილში მოსასვენებლად გამოსული ლუარსაბის ოჯახის აღწერისას. „მშვენიერ სურათს წარმოადგენდა ეს კრება (გვ. 93), – აზობს ავტორი და ეს მშვენიერი სურათი იწყება „ერთი უმნოდ ჩასუქებული, ჯმუხი, ჭუჭყიანი“ მოსამსახურე გოგოს – ლამაზისეულის აღწერით და თავდება ისეთივე ჭუჭყიანი და ტანსაცმელდაგლეჯილი პატარა ბიჭის სურათის დახატვით. აქაც მშვენიერი სურათი მის საწინააღმდეგო მნიშვნელობას შეიცავს. უფრო სასაცილო რომ გახადოს ეს სურათი, ილია უპირისპირებს მას ბუნების სიმშვენიერეს. „ეს საძაგელი სურათი საძაგელის მიწისა, სასაცილოდ ახამებდა ამ დიდებულ სამხრეთის ცასა. მის ერთნაირად ღრმასა და ციაგსა კამარასა, რომელზედაც სარტყელივით მიიგრებოდა ერთ განუწყვეტელ ზოლად მთების ლაჟვარდი გრებილი“ (გვ. 89).

ლუარსაბის გარეგნობის აღწერას მწერალი ასე იწყებს: „დარბაისელის კაცის შეხედულება ჰქონდა მის ბრწყინვალეობას“ (გვ. 65) შემდეგ კი ირკვევა, რომ ეს დარბაისლობა მორგვევით სქელ კისერსა, გაბერილ ღიძსა და სხვა ამგვარ სამკაულში გამოიხატება.

ბუზების თვლასა და საუბარს გლეხების დაწიოკების შესახებ წამძღვარებული აქვს ავტორის შემდეგი შენიშვნა: „ერთხელ ფრიად ღირსაცნობი სჯა და ბაასი გამართეს“ (გვ. 66).

ასეთი დაპირისპირების ხერხით და სიტყვების გადატანითი მნიშვნელობის ხმარებით მწერალი ამძაფრებს და ამახვილებს სატირას.

„კაცია ადამიანში“ ავტორი კომიკურსა და სატირულ ეფექტს უმთავრესად იმით აღწევს, რომ სიტყვებს ძირითადი მნიშვნელობის საწინააღმდეგო აზრით ხმარობს. ისეთი სიტყვებიც კი, რომლებიც ჩვეულებრივად ანტონიმებს წარმოადგენენ, კონტექსტში ისე იცვლის შინაარსს, რომ სინონიმებად გვევლინება.

ლუარსაბის სახლში „ფანჯრის ჩარჩოებზე მინის მაგივრად მეტად გამჭრიახ გონებას გაქონილი ქალაქი გაუკრავს“ (გვ. 63). ამ ტექსტში გამჭრიახის მაგივრად ჩლუნგი რომ ვინმართ, აზრის ლოგიკური შინაარსი არ დაირღვევა, მაგრამ მაშინ ნათქვამში მხოლოდ ფაქტის აღნიშვნა იქნებოდა მოცემული და ტექსტს მოაკლდებოდა ის ირონია, დაცინვა, ემოციურობა, რომელიც კომიკურ შთაბეჭდილებას ტოვებს. აქ „გამჭრიახი“ სიჩლუნგის სინონიმად გამხდარა.

ასეთივე გადატანითი მნიშვნელობითაა ნახმარი შემდეგი გამოთქმები: ფაქიზი (უსუფთაო) „ქეჩა და ხალიჩა“ (გვ. 63) ავტორი ლუარსაბსა და დარეჯანს ორ ტურფა გვრიტს უწოდებს. გვრიტი სინაზის, სისპეტაკისა და სილამაზის მაჩვენებელია და მისი შედარება ლუარსაბსა და დარეჯანთან უფრო მკვეთრად ამჟღავნებს მათ სიმახინჯეს.

აი როგორ ახასიათებს ავტორი ლუარსაბს: „მისი ბრწყინვალეობა თავის თავზედ ჰხედავდა თავის ბრწყინვალე გონიერებით“ და სხვ. „უნდა გენახათ, რა ლამაზი იყო ჩვენი ლუარსაბი“, „ჭკუის გონიერი ვარჯიშობა“, ხაზგასმულ სიტყვებს დაკარგული აქვთ მათი ძირითადი აზრი და სრულიად საწინააღმდეგო მნიშვნელობითაა ნახმარი. სიტყვებისა და გამოთქმების ასეთი კონტრასტული მნიშვნელობით ხმარების საფუძველზე ქმნის ავტორი კომიკურ სახეებს.

კომიკურ სახეებს აძლიერებს აგრეთვე გამოთქმის ფორმისა და შინაარსის შეუსაბამობა. ლუარსაბი განკარგულებას იძლევა: „ჩემი ნათლიდედის კამეჩი ახლავ გამოუმვას, თორემ აქაურობას მტვერს ავადენ“ (გვ. 75). აქ ასეთი მუქარა (განსაკუთრებით მაშინ, როცა მკითხველმა უკვე იცის, რა მტერის ამდენია ლუარსაბი) კომიკურ შთაბეჭდილებას ტოვებს, რადგან შინაარსი ამ ბრძანებისა ისეთი უბრალოა, რომ ასეთ სასტიკ ფორმას არ მოითხოვდა.

საყოველთაოდ ხმარებული სიტყვების კონტექსტით გამოწვეული სემანტიკური ცვლილებები ამდიდრებს ლექსიკას და საშუალებას აძლევს მწერალს ერთი და იგივე სიტყვა სხვადასხვა მნიშვნელობით და ექსპრესიულობით იხმაროს.

მაგალითისათვის, რომ ავიღოთ სიტყვა „საქმე“, ნაწარმოებში ის სხვადასხვაგვარი მნიშვნელობითაა ნახმარი. „ლუარსაბმა არ იცოდა, როგორ მოეხდინა საქმე. აქ საქმე ცოლის შერთვას ნიშნავს. „...რაკი იკისრებდა საქმეს ბოლოსაც მოუღებდა“. აქ საქმე „მაჭანკლობას“ გულისხმობს. ხერხი კიდევ თქვენი საქმეა. – ეუბნება ლუარსაბი სუტ-კნენიანს. „საქმე“ აქ ხელობას ნიშნავს. „ჩემი საქმე მაშინ გათავებული იქნება“. აქ საქმე მოვალეობის მნიშვნელობითაა ნახმარი.“ ოღონდ საქმე არ გამოაშკარავდეს. – ფიქრობს სუტ-კნენიან, ე. ი. ოინები არ გამოძღვანდეს. სიტყვა „საქმე“ ნაწარმოებში ისეთი სიტყვების სინონიმად

გვევლინება, რომლებიც ჩვეულებრივ სინონიმებს არ წარმოადგენენ: ერთგან სუტ-კნენა ეუბნება ლუარსაბს: “ჩემის სულის საცხონებლად მინდა მოვახდინო ეგ საქმე, თორემ მოსე გძელაძე მე არას მომცემს. ნეტავი დავიყოლიო და დედიშენის შვილის ბედნიერება მოვახდინო“ (გვ. 88). აქ საქმე და ბედნიერება ქორწინების მნიშვნელობითაა ნახმარი, ე. ი. ამ კონტექსტში სინონიმებია.

ნაწარმოებში ხშირად ერთი და იგივე სიტყვა, როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობითაა ნახმარი.

„ერთ მსუქან ბოზბაშში ამოვლებული ლუკმა,“ – ამბობს ლუარსაბი. აქ „ლუკმა“ პირდაპირი მნიშვნელობის მქონეა. „ეს ქონება ყმებიდან დაწყებული ცხენამდინა და მიწამდინა იმის ხელში, – ვინც გამოყენება იცის, – კაი ლუკმა არის“, – შენიშნავს ავტორი ლუარსაბის ქონების შესახებ. აქ „ლუკმა“ „სარჩოს, ქონებას ნიშნავს. „კარგი მსუქანის ლუკმის ამოვლება უყვარდა, რაკი ქვაბში ხელს ჩაჰყოფდა ხოლმე.“ „ლუკმა“ აქ გამორჩენის მიზნით იხმარება. ერთი და იმავე სიტყვის ასეთი სხვადასხვაგვარი აზრით გამოყენებას საერთოდ დიდი მნიშვნელობა აქვს სტილის ერთგვარობის თავიდან ასაცილებლად.

ავტორი ერთი და იმავე ცნებას სხვადასხვა სიტყვებით გამოხატავს გარკვეულ სიტუაციასთან შეფარდებით.

ცნება „სიკვდილის“ გადმოსაცემად ავტორი მრავალ სხვადასხვა გამოთქმას ხმარობს: ჩაძალღება („როდის იქნება ჩაძალღდეს“) სულის ჩაბარება („ღმერთს რომ კაცი უმანკო სულს აბარებდა“), სულისგატევება („მერე ხომ განუტევა ის ანგელოზის სული“). დაკარგვა („ქმარი დაკვარგე“), ფეხის გაჭიმვა (აქიმმა „დარეჯანს ფეხი გააჭიმინა“), წასვლა („რისთვის მოვიდნენ და რისთვის წავიდნენ“ და სხვ.).

კომიკურ სურათს ილია ხშირად აღწევს ხალხური გამოთქმებისა და ანდაზების საწინააღმდეგო მნიშვნელობით გამოყენებითაც: „ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსა“. ეს ანდაზა გონებამახვილობასა და გამჭრიახობას გულისხმობს. ხალხური თქმა ილიას მოყვანილი აქვს ლუარსაბის ოთახის ფანჯრის“ სასაცილო სამკაულის გამო“ (გვ. 167).

სახელი „ლამაზისეულიც“ მისი გარეგანი შეხედულების სრულ წინააღმდეგობას წარმოადგენს. აქაც კონტრასტულ ხერხს იყენებს ილია, რომ წარმოაჩინოს მოსამსახურე გოგოს დაბეჩავებული მდგომარეობა.

სიტყვების გადატანითი მნიშვნელობის ხასიათი დამოკიდებულია მათ სინტაქსურ კავშირზე. ასეთი კავშირი შესაძლებელია შემთხვევითი, არაჩვეულებრივი იყოს, ე. ი. გამართლებული იყოს მხოლოდ კონკრეტულ ტექსტში. სიტყვების არაჩვეულებრივი გამოყენების სფერო არაა ფართო, მაგრამ სამაგიეროდ სემანტიკურად უფრო მდიდარია და მეტი სახიფათო და გამომეტყველება აქვს. ლუარსაბის ოთახში ორ ტახტს შუა მოჩანდა „მწუხარე და დაღრეჯილი ბუხარი“ (გვ. 134). „მწუხარე და დაღრეჯილი“ გადატანითი მნიშვნელობითაა ნახმარი; ეს სიტყვები ბუხრის საერთო დანიშნულებასა და შინაარსს არ გამოხატავს. მათ მხოლოდ ამ კონტექსტში აქვთ აზრი და მნიშვნელობა ლუარსაბის ოთახის კოლორიტის წარმოსახვისათვის.

საერთოდ ლუარსაბის სახლ-კარის აღწერაში ფართოდაა გამოყენებული სიტყვები გადატანითი მნიშვნელობით: „სასიმინდე ერთი უბადრუკი რამ და მგლოვიარე“ (გვ. 145). „მეტად გონიერად გადმოგდებული, დიდად პატივსაცემი და პატივცემული ღიპი“ (გვ. 152). „ქვეყნის უგემური ყაყანი“ (გვ. 146) და სხვა მრავალი. სიტყვების ასეთი არაჩვეულებრივი და მოულოდნელი შეერთებით მწერალი სახის უაღრეს კონკრეტულობასა და გამოკვეთილობას აღწევს.

ოთარაანთ ქვრივზე ილია ამბობს: „თავისებური პილპილიც მოაყარა ზედ“. ავტორი სხვა მნიშვნელობით ხმარობს პილპილს კესოს გაბრაზებაზე: „კესომაც შეიტყო და აპილპილდა.“

სიტყვა **ხელი** „ოთარაანთ ქვრივში“: სხვადასხვა მნიშვნელობითაა ნახმარი: „დედამ შვილს ჩაულაგა ერთი ხელი უკეთესი ქვეშაგები“; „ქალი რომ იყო, ეგრე ვერ გამიფრინდებოდი ხელიდან“ (გვ. 137); „ხელმა თავისთავად დაასწრო. . . თითქო ხელი არ დაეკითხა გულს“ (გვ. 137).

თვალი: „დედამ შვილობაში ორი თვალი რად უნდა იყოს“ (გვ. 138); „მე ჩემისად მაყურებელს თვალს დავიბრმავებ და შენისად მაყურებელით-ღა ვივლი“ (გვ. 139).

ამდენად, სიტყვის პოლისემია მწერლის სათქმელს უკეთ გადმოსცემს. სტილისტიკური თვალსაზრისით სიტყვა განხილული უნდა იქნეს არა იზოლირებულად, არამედ იმ დანიშნულებისა და მიმართულების მიხედვით, რომელიც მას კონტექსტში აქვს. ამ აზრით ყველა სიტყვას მოეპოვება წარმოსახვითი უნარი, რაც ნათლად არის წარმოჩენილი ნაშრომში.

#### ლიტერატურა:

1. ილია ჭავჭავაძე, 2006 – ილია ჭავჭავაძე, ლექსები, პოემები, მოთხრობები, თბილისი.
2. ჭუმბურიძე, 1962 – ზ. ჭუმბურიძე, სალიტერატურო ენა და მწერლობა, თბილისი.
3. ქეგლი, 1958 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბილისი.

*Juleta Dzagzua*  
*Sokhumi State University*  
**COMMON VOCABULARY FOR STYLISTIC FUNCTION**  
**RESUME**

Semantic changes, which caused by common words context, enrich vocabulary and allow the writers to use the same words in different means.

Word polysemy expresses writer's positions better. Stylistic point of view, the word should not be considered in isolation, but with purposes connected with the context. Every word in this opinion has some imaginative capacity, which is clearly presented in this paper.

*ნელი ჭამპურიძე*  
*გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი*

**სარწმუნოებისა და მეცნიერების ურთიერთმიმართების საკითხისათვის ქართულ  
სამოციანელთა შემოქმედებასა და სამეცნიერო-პუბლიცისტურ ნააზრევში**

საგანმანათლებლო სისტემის განახლების თანამედროვე ეტაპზე ქართულ კლასიკოსთა შემოქმედებითი ნააზრევის, როგორც ეროვნული ცნობიერების ძირითადი წყაროს მნიშვნელობა, შესწავლა და შენარჩუნება კიდევ უფრო მეტ აქტუალურობას იძენს. მეცხრამეტე საუკუნეში სამოციანელთა შემოქმედებითა ნააზრევმა საფუძველი ჩაუყარა ქართველი მოქალაქის სწორი ღირებულებებით აღზრდის საქმეს, სწორედ თერგდალეულებმა იხსნეს თავიანთი საუკუნე, ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლის სული შთაბერეს „თითქოს უიმედოდ მიძინებულ და ამაღლეზელ ვნებათაგან კასტრირებულ ერს“. [1-8]. მათი გენიალური ნააზრევი პიროვნებისა და ერის მხსნელ მოძღვრებადაა მიჩნეული. ერის კულტურის საგანძურად ქცეული მათი მხატვრული თუ პუბლიცისტური ნააზრევი თუნდაც „მოკლე, მაგრამ ღრმად გაბრძნობილი სიტყვა“ მომცველია უდიდესი სიბრძნისა, როგორც თვით ილია იტყოდა მათი „ზაგიდან თვით ღმერთი მეტყველებს“. (წმინდა ილია მართალი)

რელიგიური აღმსარებლობისადმი დიდი ყურადღება ნათლად ჩანს ქართულ სამოციანელთა რელიგიური მორალით დამოძღვრილ თხზულებებში და განსაკუთრებით მეცნიერულ-პოპულარულ ნაშრომებში. ამის შესახებ უკვე არაერთი ნაშრომია შექმნილი ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში და კიდევ ბევრი დაიწერება, რადგან ამოუწურავია მათი შემოქმედებითი აზროვნება და მხატვრულ-გამომსახველობითი სამყარო. დღეს რთულია ილაპარაკო კლასიკოსთა შემოქმედებაზე და არ გაითვალისწინო, რომ "კრიტიკას მაშინ აქვს ფასი, თუ კრიტიკოსმა მხატვრულ ნაწარმოებში წაიკითხა ის, რაც სხვამ ვერ წაიკითხა, "(აკაკი ბაქრაძე) [2- 25]. აღნიშნული ნაშრომით გვსურს ჩვენეული ხედვა შევხედოთ კლასიკოსთა ნააზრევს (ილია მართალი, იაკობ გოგებაშვილი) და თანამონაწილე გავხედოთ იმ დიდი სულიერი ამაღლების პროცესისა, რასაც ლიტერატურული დისკუსი ჰქვია, მით უფრო, როცა საქმე ქართულ კლასიკოსთა შემოქმედებას ეხება. ყველა ქვეყანას ჰყავს გამორჩეული ლიტერატორები, რომელთა დანიშნულებაც გაცილებით დიდია, ვიდრე მწერლობაა, ანდა საზოგადო მოღვაწეობა "ისინი, გამორჩეულნი, გვიღვიძებენ ჩვენ, დანარჩენებს, სწავლის სურვილს, განგვაწყობენ სამოქმედოდ, გვიმდაფრებენ შექმნის ჟინს და გვიდასტურებენ „უკეთესი ქვეყნის“ არსებობას, დროსა და სივრცეზე გამარჯვების შესაძლებლობას“. (ოთარ ჭილაძე)[3] ქართულ მწერალთა შემოქმედებას დაფასება „შთამომავლობისთვის ანდერძად გადაცემა სჭირდება. ოღონდ უწინარესად შესწავლასა და შესატყვისი სიღრმით წვდომას საჭიროებს“ (რევაზ თვარაძე) [4-8] ნაშრომში განხილულია ერთი ეპოქის ორი გამორჩეული მოღვაწის პუბლიცისტურ-მეცნიერული ნაშრომების მეთოდოლოგიური მრწამსი, რომლის გათვალისწინების გარეშე ფაქტობრივად შეუძლებელია მწერლის შემოქმედების სრულყოფილი ანალიზი. ილია ჭავჭავაძემ და იაკობ გოგებაშვილმა, ერთი მრწამსის ორმა ბუმბერაზმა ქვეყნის პოლიტიკური და პედაგოგიური ცხოვრების მესაჭის როლი იტვირთა საკუთარი ქვეყნის გადასარჩენად და ამით საკუთარი ხელწერა დატოვეს ერის „გამეციერებისა და გასარწმუნოების“ (ილია მართალი)

მნიშვნელოვან საქმეში. მეცნიერებისა და სარწმუნოების აუცილებლობა ნათლად იკითხება ქართველ სამოციანელთა პუბლიცისტიკასა და მხატვრულ შემოქმედებაში. ქართული სულიერების ისტორიის "თხუთმეტსაუკუნოვანი მთლიანობა" აღბეჭდილია ცოდნისა და რწმენის ერთიანობით. უწმიდესი და უნეტარესი ბრძანებს: "განა შეიძლება მეცნიერება და რწმენა დაუპირისპირდეს ერთმანეთს, როცა ისინი ადამიანის შემოქმედებითი აზროვნების სრულიად განსხვავებულ სფეროებს მიეკუთვნებიან: ერთი ფიზიკურს, ხოლო მეორე - სულიერს?! ისინი კი არ უპირისპირდებიან, არამედ ავსებენ ერთმანეთს. მეცნიერება ღვთისგან ნაკურთხია, იგი ადამიანის ინტელექტის, როგორც ღვთის ხატების, მიღწევაა." [5-373]. პავლე მოციქულის მიხედვით, ქრისტიანებს მართებთ "რათამცა აქუნდა ღმერთი, მეცნიერებით" (რომ. 1,28) სწორედ პავლე მოციქული მოუწოდებდა "გონების განახლებისაკენ". ქრისტიანული ფილოსოფია რწმენასა და ცოდნას ერთიანობაში განიხილავს: „რწმენისა და ცოდნის ერთიანობა ჩვენ მოცემული კი არა, არამედ - დასახული გვაქვს. სულის ეს ორივე სტიქია თავისუფალია, შეიძლება ზოგჯერ დასცილდნენ კიდევ ერთმანეთს და ხშირად სულიერი ძალდატანება გახდეს საჭირო ამ ერთობის აღსადგენად. ამიტომაც გონების, როგორც შემეცნებითი ძალის, ბუნება არ შეიცავს თავის თავში რწმენისა და ცოდნის ერთიანობის მიღწევის არავითარ სირთულეს." [6-33.] ნეტარი ავგუსტინე ბრძანებს, მეცნიერება არსებული ჭეშმარიტების აღმოჩენაა, მაგრამ ჭეშმარიტების კანონიერი მფლობელი ქრისტიანული სარწმუნოებაა. წმინდა ირინეოსიც ამტკიცებს, რომ ცოდნა გვეხმარება სრულყოფაში, მაგრამ მასზე მაღლა დგას რწმენა და ჩვენ ღმერთთან მხოლოდ რწმენით მივდივართ. ცოდნის ღირებულება რწმენის სიმტკიცით განისაზღვრება. "ნეტარ იყვნენ წმინდანი გულითა, რამეთუ მათ ღმერთი იხილონ" (მათე 5,8). ქართული ტერმინი - გულისხმა გონებას უკავშირდება. გონება, სულხან-საბას განმარტებით, არის სიტყვიერი მხედველობითი, საცნაურისა და უკვდავისა სულისა. გულისხმა კიდევ უფრო მეტია, ვიდრე ზოგადი გაცნობიერება, გონითი წვდომა საგნისა თუ არსისა და რადგან ამ ტერმინში სმენადობაც ფიგურირებს, ჩნდება მეორე ტერმინიც - გულის ყური, რომელიც ჭეშმარიტების წვდომის ერთ-ერთი უმთავრესი იარაღია. "მოსცა მათ ღმერთმან გულისხმისყოფა და ცნობა ყოველსა შინა ღრმატიკოსობასა და სიბრძნესა" (დან. 1,17).

"გული, ცნობა და გონება ერთმანეთზედა ჰკიდიათ" - რუსთაველის ეს მეტაფორული ტრიადა მომდინარეობს გონების სამსახურებიდან. სამ სახედ ითქმის გონება: გონება ღმერთი, გონება ანგელოზი და გონებაცა ჩვენი. ეს იერარქიული სამებაც ერთსახეობითად წარმოადგენს განუყოფელს და მტკიცე ჭეშმარიტებას. "ჭეშმარიტი განათლება გონების და გაწვრთნილის ზნე-ხასიათის ერთმანეთთან შეუღლებაა განუყრელად"- განმარტავს ილია მართალი (ჭავჭავაძე). ცოდნას წმინდა ილია მართალი სანატრელ განმად სახავდა, ადარებდა სანთელს, ერთიანობას და დანთებულს, რომელიც გააბრწყინებდა მის სათაყვანებელ მამულს. ზნობრივი და სულიერი ცხოვრების ერთიანობა არის საძირკველი ჭეშმარიტი "კაცობისა, ადამიანობისა" ილიას რწმენით „სავსება ერთობ ადამიანისა იმაშია, რომ მის გონების აღმატებულებას შეწონილ ჰქონდეს აღმატებულება ზნე-ხასიათისა. საჭიროა ზნე გაწმენდილი და გაფაქიზებული ჰქონდეს პატიოსნებითა, ნამუსიანობითა, კაცთმოყვარეობითა და სამართლიანობის გრძობითა. უამისოდ მისი მსჯელობა და ყოფა-ქცევა ერთმანეთს გადუდგება, ერთმანეთს არ შეეთანხმება, მისი აზრი სხვა იქნება და ყოფა-ქცევა სხვა, გონება ერთს ეტყვის და გული სხვას აქმნევინებს. უზნეობა, უხასიათობაც ეს არის და ამ უზნეობითა და უხასიათობით არის ავი, ზნეუწვრთნელი სწავლული კაცი.“ [7-10] მეცნიერებისა და რელიგიის ერთიანობის საკითხებს თავის ქადაგებებში არაერთგზის ეხებოდა მე-19 საუკუნის გამორჩეული საეკლესიო მოღვაწე გაბრიელ ეპისკოპოსი. „ღრმადმიწვენილი მეცნიერი“ გაბრიელ ეპისკოპოსი (ქიქოძე) იყო ამავე დროს ღრმადმორწმუნე, რომლის გულშიც, ქადაგებსა და საქმიანობაში ერთად დიდბუნოვნად, მშვიდობით და შეთანხმებით შერწყმულიყო მეცნიერება და სარწმუნოება. მეცნიერების და სარწმუნოების ერთმანეთში მორიგების, ერთმანეთის შეუბღალავად და დაუმონებლად „სიბრძნეს სწვდებოდნენ“ მხოლოდ გენიოსები - ამბობს ილია მართალი (ილია ჭავჭავაძე - „სიტყვა თქმული გელათის მონასტერში გაბრიელ ეპისკოპოსის დასაფლავების დღეს“) უდიდეს შეფასებას აძლევდა ილია ჭავჭავაძე გაბრიელ ეპისკოპოსის მოღვაწეობას: „შენ ხარ, რომ სარწმუნოება გაამეცნიერე და მეცნიერება გაასარწმუნო“. სიტყვა ქართულ საზოგადოებაში ინტერპრეტირებულ იქნა როგორც მოწოდება მეცნიერულ და რელიგიურ შეხედულებათა შერწყმის საჭიროების შესახებ. ილია ჭავჭავაძის სიტყვაში ნათლადაა მითითებული შეთანხმების ხასიათზე „ერთმანეთის შეუბღალავად და დაუმონებლად“. ეს ნიშნავს შეთანხმებას დათმობების გარეშე, როდესაც ორივე მხარე ერთმანეთს სცნობს ისეთებად, როგორებიც არიან. შეთანხმება ყოველგვარი გაწირვის, შეთანხმება ორივე პოზიციის მაღალი ღირებულების აღიარებით, მათ შეთანხმებას პარიტეტულ საფუძველზე. ილია აღნიშნულ წერილში აფასებს ეპისკოპოსის ღვაწლს და ამით ერთგვარად ახდენს საკუთარი მრწამსის, ვალდებულებების, პასუხისმგებლობისა და ხალხისათვის უანგარო სამსახურს .....“ თვითვეული წამი მისის ცხოვრებისა \_ მოძღვრებაა, მაგალითია,

ანდერძია ჩვენთვის და ჩვენის ქვეყნისათვის. ერთად კი მთელი მისი ცხოვრება ერთი დიდი სკოლაა მაღალსათნოებისა და სიყვარულისა, მართლისა და ჭეშმარიტებისა, მაღლისა და მოწყალებისა“ [8-15]

ილიას ეპოქის თვალსაჩინო მოღვაწე, მისი მსოფლმხედველობის თანამოსაყდრე ქართული საბავშვო ლიტერატურისა და პედაგოგიკის ფუძემდებელი იაკობ გოგებაშვილი ხალხის არსებობის და წარმატების ორ ბურჯს ასახელებს: პირველი ბურჯი - „სარწმუნოება და ცოდნა“, მეორე ბურჯი - „ეკლესია და სკოლა“. „ერს ზნეობრივი გახრწნილობა მაშინ მოელის, თუ “სკოლა და ეკლესია არ ჩავარდნენ თავის კალაპოტში, არ გახდნენ სავსებით ღირსნი თავის მაღალის დანიშნულებისა” [9-248] - აღნიშნავს იაკობ გოგებაშვილი. იგი ქრისტიანულ სარწმუნოებას მიიჩნევს “ზნეობრივი ცხოვრების საფუძვლად”, ხოლო ეკლესია-მონასტრებს “ქვეყნის ფართო წარმატების ერთ-ერთ მთავარ ფაქტორად, ზნეობის სათავედ”. პროგრესული იდეებით შთაგონებული მწერალი სარწმუნოებას შემდეგნაირედ მოიაზრებს: “სარწმუნოება, მოკლებული განათლებას, ხშირად იქცევა ვიწრო ფანატიკოსობად, ან აღმერთებს გარეგანს, დროებითს ფორმებს ეკლესიისა და იგიწყებს შინაგან მხარეს, ცხოველმყოფელ ზნეობრივ პრინციპებს დედა-არსს სახარებისას. მეორე მხრივ, მეცნიერება, მოკლებული ჭეშმარიტ სარწმუნოებას, როდი უშლის თავის მექონს, მესაკუთრეს, იყოს იგი იმდენადვე დიდი არამზადა, რამდენადვე იგი დიდი მეცნიერია”. [იქვე, 9-509] იაკობ გოგებაშვილის აზრით, ჰუმანიზმის, მორალისა და ეთიკის აღზრდა რელიგიის გარეშე შეუძლებელია. ხოლო სახელმძღვანელოების აგების პრინციპებს (“ზუნების კარის” მე-10 გამოც. წინასიტყვაობიდან) შემდეგნაირად მოიაზრებს: “ჩვენ მოწოდებული ვიყავით მიგვეცა ჩვენი სკოლისა და ოჯახისათვის იმისთანა სახელმძღვანელო, რომელიც ეხმარება ერთსა და იმავე დროს გონების განვითარებასაც, გულის გაკეთილშობილებასაც, . . .” [იქვე, 9-509] ერის აღმავლობის, ადამიანთა ჰარმონიული აღზრდისა და განვითარების ერთ-ერთ საშუალებად იაკობ გოგებაშვილს მიაჩნია ეკლესია, რომელმაც ჩვენს ერში დანერგა ძლიერი სარწმუნოებრივი და მამაშვილური გრძნობა, შექმნა მრავალფეროვანი სასულიერო ლიტერატურა, საქართველო დაამშვენა მდიდარი ტაძრებითა და მონასტრებით, ქართველებში ერთად შეაერთა მაცხოვრისა და მამულის მხურვალე სიყვარული და წრფელად ემსახურა ერის ზნეობის საქმეს. “მეოთხე ბურჯი ერის წარმატების არის ეკლესია”- ამბობს დიდი იაკობი და აქვე დასძენს, რომ ეკლესია და სკოლა არის სათავე ხალხის ზნეობისა, ეთიკისა, ხოლო თვითონ ეთიკა, სპეტაკი ზნე საძირკველია ხალხის არსებობისა, სიმტკიცისა, კეთილდღეობისა, წარმატებისა. „ზნედაცემული ხალხი მაშინაც კი წააგებს ბრძოლას არსებობისათვის, როდესაც იგი ცოდნას არ არის მოკლებული”. (10-154) საღვთო რჯულზე აღზრდილი თაობის აუცილებელ მოთხოვნილებად დიდ პედაგოგს მიაჩნია მოზარდებში სწავლისა და შრომის სიყვარულის გაღრმავება. ქრისტიანულ სწავლებათა ფონზე იაკობ გოგებაშვილი ჩვენ წინ წარმოდგა, როგორც რელიგიური მსოფლმხედველობის მწერალი, რომლის ინტერესები ბიბლიისადმი მხოლოდ შემოქმედებითი მიზნით კი არ აიხსნება, არამედ-აღმსარებლობითი მრწამსით. მისი მთელი შემოქმედება ეძღვნება რწმენის და ცოდნის ერთიანობის საკითხებს. იაკობის ყველა სახელმძღვანელო თუ საკითხავი წიგნი, მის მიერ დაწერილი მოთხრობა თუ სტატია გონებრივი და ზნეობრივი აღზრდის ერთ პროცესად შეერთების, ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში განხორციელების მიზანს ემსახურება. უწმიდესი და უნეტარესი მიიჩნევს, რომ საქართველოს კარგი მომავალი საზოგადოების განათლებასა და ცოდნაზეა დამოკიდებული. “საქართველომ ჯერ კიდევ უძველესი დროიდან შეითვისა მაღალი კულტურის სხვადასხვა ნაკადი. მისთვის ახალი არ იყო კაცობრიობის სულის ყველაზე მტკივნეული და ამაღლებული პრობლემები: სულის სრულყოფისა და ადამიანის განდმრთობისა სარწმუნოებისა და სიყვარულის საშუალებით.“ [11- 144] განათლების აპოლოგებად წოდებული ქართველ 60-იანელთა შემოქმედებით ნააზრევი სარწმუნოებისა და მეცნიერების ურთიერთმიმართების შესახებ ერთგვარი სწავლება “გონების განახლებაზე” (პავლე მოციქული, რომ. 12,2), რომელიც გვათავისუფლებს “წუთისოფლის” მიდრეკილებებისაგან და ჩვენი “ფერისცვალების” დასაწყისს წარმოადგენს.

#### ლიტერატურა:

1. ბენაშვილი გ., კრიტიკური, რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის „ლიტერატურული ძიებანის“ პერიოდული დამატება, თბ. 2000 ;
2. „აკაკი ბაქრაძე სკოლას“ თბ., 2004;
3. ოთარ ჭილაძე, სხვა ვარსკვლავი, 1998;
4. ქართული მწერლობა, I ტ., თბ. 1986;
5. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II. "ეპისტოლენი, სიტყვანი, ქადაგებანი", ორ ტომად, თბილისი, 1997.
6. [ჟურნალი]ზენკოვსკი ვ., თბ., 4/2000-2001, "ქრისტიანული ფილოსოფიის იდეა", მთარგმნ: გოგილაშვილი, მ., ცოდნა და რწმენა;
7. ილია ჭავჭავაძე, აზრები, შემდ. გ. კალანდარიშვილი, თბ., 1989

8. <https://burusi.wordpress.com/2010/02/16/ilia-chavchavadze-15>
9. იაკობ გოგებაშვილი, რჩ. თხზ., ტ. IV, თბ., 1990.
10. გოგებაშვილი ი., თხზ., ტ. III, თბ., 1954.
11. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II “ეპისტოლენი, სიტყვანი, ქადაგებანი“, ორ ტომად, თბ., 1997.
12. <http://www.orthodoxy.ge/tserilebi/ilia/gabriel.htm>

*Neli Champuridze*

*Gori State Teaching University*

**FOR THE ISSUE OF RELATIONSHIP BETWEEN RELIGION AND SCIENCE IN THE WORKS  
OF GEORGIAN SIXTIERS AND SCIENTIFIC-PUBLICISTIC VIEW  
RESUME**

In the nineteenth century, the creativity of the sixties has founded to bring up the right value of the Georgian citizen, their genius is thought to be the personality and salvation of the people. The author's outlook is a very important axis where the creative intent of the work is based. The great attention to religious beliefs is clearly shown in the works of the sixties in religious literature and especially in scientific-popular works. There are already done a lot of works in Georgian scientific literature and much more will be written because their creative thinking and artistic - expressive world is inexhaustible. In the publications of Iakob Gogebashvili and Ilia Chavchavadze, relationship with science and faith is a whole methodological basis. Iakob Gogebashvili considers faith and the living with national school as the main pillar of life. Ilia Chavchavadze's Christian-moral belief is enshrined in the idea of "science" of faith and "conviction" of science.

*გიორგი ხორბალაძე*

*გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი*

**დასასრულისა და დასაწყისის ძიება მწერლის შემოქმედებაში  
(გიორგი სოსიაშვილის წიგნის - „წითელი უდაბნო“-ს მიხედვით)**

გიორგი სოსიაშვილის შემოქმედება თანამედროვე ქართული სალიტერატურო პროცესის მკვლევართათვის უთუოდ არის საუკეთესო მასალათაგანი, რამდენადაც, მწერლის საინტერესო შემოქმედებიდან გამომდინარე, არაერთი მნიშვნელოვანი და ყურადსაღები საკითხი თუ ტენდენცია შეიძლება იქნეს გამოკვეთილი. ამჯერად ყურადღებას გავამახვილებთ, 2016 წელს გამოქვეყნებული კრებულის - „წითელი უდაბნო“ ირგვლივ, სადაც თვრამეტი მოთხრობა და ერთი პიესაა შეტანილი, კონკრეტულად კი ჩვენი კვლევის საგანია დასახელებულ წიგნში, რეფრენივით გამავალი, დასასრულისა და დასაწყისის ძიების პროცესი, რაც მეტად ორიგინალურად არის წარმოჩენილი და ამკარად ტენდენციის სახეს იღებს კრებულის წილში. ვითვალისწინებთ იმასაც, რომ მიმდინარე სალიტერატურო პროცესის შესწავლა მნიშვნელოვანი პრობლემაა და, ჩვენი აზრით, დროული შენიშვნა და მკითხველამდე მიტანა აუცილებელიც კი გახლავთ იმ პირობებში, რა პირობებიც მოიტანა თანამედროვე ეპოქამ. ვგულისხმობთ იმას, რომ პრაქტიკულად პირობითია რედაქტირების პრინციპი, ნებისმიერი ხარისხის ლიტერატურას - მათ შორის უმდარესსაც, სრულიად აქვს გზა გახსნილი მკითხველისკენ და ეს უკვე არა მხოლოდ ბეჭდური, არამედ კიდევ უფრო სწრაფი ვირტუალურ-სოციალური ქსელების მეშვეობითაც არის შესაძლებელი, რაც კიდევ უფრო სწრაფი და შეუზღუდავი საშუალებაა მკითხველის ყურადღების მიპყრობისა, ამიტომ უმნიშვნელოვანესი საკითხია, ჩვენი აზრით, კრიტიკის გააქტიურება, მით უფრო, თანამედროვე ლიტერატურასთან მიმართებით, რამდენადაც ამაზე უთუოდ არის დამოკიდებული სწორი ორიენტირების განსაზღვრა და გამიჯვნა ჭეშმარიტი ლიტერატურისა ფსევდო-ლიტერატურისაგან. ჩვენი კვლევის მასტიმულირებელია ის გარემოებაც, რომ უკანასკნელი წლების განმავლობაში გამოქვეყნებულ გიორგი სოსიაშვილის ყოველ მორიგ კრებულს, ახლავს ერთი, მეტად მნიშვნელოვანი ნიუანსი - თითქმის

ყოველი მათგანი, გარდა საინტერესო პრობლემატიკისა, უთუოდ შეიცავს ხოლმე რაღაც მწერლისმიერ სიახლეს, ავტორის მიერ მოვლენათა ახლებურად გამოხატვის ტენდენციას, რაც მწერალს განსხვავებული რაკურსით წარმოაჩენს და მის შემოქმედებასაც მეტად ხდის მიმზიდველსა და აქტუალურს.

მაგალითად, ერთ-ერთი ბოლო კრებული - „გამორთული მთვარე“, რომელშიც მოთხრობები შეტანილია თემატურ-ციკლური შერჩევის პრინციპით, ქართულ-რუსული კონფლიქტისა და 2008 წლის აგვისტოს მოვლენების თემაზე შექმნილ მოთხრობებს აერთიანებს და ჩვენი აზრით, ეს არის წიგნი, რომელიც ამ კონფლიქტის სრულიად განსხვავებული მატრიანეა, რადგან იგი, დოკუმენტალიზმთან მჭიდრო სიახლოვის გარდა, თავისუფლად შეიძლება მივიჩნიოთ, როგორც განცდების მატრიანე, იმ ადამიანების განცდების მატრიანე, რომლებიც კონფლიქტის არეალში ცხოვრობენ და ფიზიკურად და სულიერად ეწირებიან ომსა და ომის წინარე თუ თანმდევ პროცესებს.

გავიხსენოთ, ასევე „გამორთული მთვარის“ წინამორბედი წიგნიც - „ვერცხლის ყვავილები“, რომელიც ფერეიდანში მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებს და მათ შინაგან სამყაროში შენახულ საქართველოს მიუძღვნა ავტორმა, რითაც შემოგვთავაზა მხატვრულ-დოკუმენტალურ-ისტორიული ნაკადი და მისი შემოქმედებისთვის, კიდევ ერთი ახალი, ორიგინალური რაკურსით წარმოჩინდა ლიტერატურულ ასპარეზზე.

შორს აღარ გავყვებით, მით უმეტეს, რომ სათქმელი წინამდებარე კრებულის შესახებაც ბევრი გვაქვს. ეს წიგნი ჟანრული მრავალფეროვნების ნაკრებს წარმოადგენს, რაც ასევე ერთგვარი სიახლეა და ასევე რამდენიმე ახალი რაკურსით წარმოაჩენს მწერალს. წიგნი ჟანრობრივად იმდენ ნაირსახეობას მოიცავს (მოთხრობა, ნოველა, პიესა, პოეზია და ა. შ.), რომ გიორგი სოსიაშვილი აღარ გვიტოვებს უფლებას, მისი ნაწარმოებები რომელიმე ჟანრით მარტივად შემოვსაზღვროთ, რადგან იგი არა მხოლოდ ნოველისტი, პროზაიკოსი, დრამატურგი, პუბლიცისტი ან კრიტიკოსია, არამედ გიორგი სოსიაშვილის შემოქმედების სახით, საქმე გვაქვს ჟანრთა ფართო ლიტერატურულ პალიტრასთან.

კრებული - „წითელი უდაბნო“ იწყება მოთხრობით „დასასრული და დასაწყისი“, ეს კიდევ ერთი დამატებითი არგუმენტია ჩვენი შემჩნევის დასადასტურებლად, რომ მწერალი ამ ორი პირობითი საზღვრის - დასასრულისა და დასაწყისის ძიებას ღრმად ჩაჰყოლია. იქნებ არც არის გასაკვირი, რომ რეალურ და, ამავდროულად, აბსურდულ, ძალით გავლემულ სამანთან მცხოვრებმა მწერალმა საზღვართა ნაირსახეობაზე მეტად იფიქროს და მეტად დაგვაფიქროს, იქნებ სწორედ მავთულხლართებიანი საზღვრის თვალწინ აფარებამ და ყოველდღიურმა ხილვამ დააწყებინა ამ აბსტრაქტულ საზღვარზე ფიქრი მწერალს? ბუნებრივია ჩვენ ამას ვერ დავამტკიცებთ, თუმცა ნამდვილად ასე გგონია და ვფიქრობთ სრული უფლება გვაქვს ასე ვვარაუდობდეთ. „ანა ახმატოვა კრიტიკოსების გასაგონად ამბობდა თურმე, იმის ამოცნობას კი ნუ ცდილობთ, მე რა მინდოდა მეთქვა, არამედ ის თქვით, თქვენ როგორ წაიკითხეთო“. [2; 50] შესაბამისად მწერლისეული თვალსაწიერი, მისი განწყობების შინაარსი თუ ამ განწყობათა საფუძვლები ჩვენი საძიებელია. რომანის „მთვარის მოტაცება“ ერთ პასაჟში ვახტანგ იამანიძეს კითხვაზე - „რა უნდოდა ეთქვა ახლა ამ ქანდაკების გამკეთებელს?“ თარაშ ემხვარი ასე პასუხობს: „ხელოვანმა ხანდახან არც კი იცის, რა უნდა ეთქვას, რადგან იგი არას „ამბობს“, არამედ ჰქმნის, ჩემო ვახტანგ. ხელოვნური ნაწარმოები ისევე მოულოდნელად იზადება, როგორც მეტეორის ქვა ეცემა ციდან. მერმე ჩვენ მას შევხედავთ და ჩვენს გულისთქმას ამოვიკითხავთ მასში. ხელოვნური ქმნილება ალგებრულ ფორმულასა ჰგავს. იგი უამრავ ალეგორიების ჩამტევეია. და რამდენადაც ეს „რა უნდა ეთქვა“ მკაფიოდ არა სჩანს, მით უფრო გამძლეა იგი. როცა ხელოვნურ ნაწარმოებში ტენდენცია აშკარად გამოკრთის, იგი ისევე უშნოა, როგორც ლამაზი ქალის სხეულში გამოჩენილი ძვლის თავები“ [1; 308]. ამიტომ ის, რაც მწერალმა შეიძლება ზედმეტი განსჯის გარეშე, სულაც იმპულსებით გადაიტანოს მხატვრულ ტილოზე, სწორედ კრიტიკამ უნდა გახსნას. თუმცა, ამ შემთხვევაში, ჩვენი ძირითადი მიზანი ნამდვილად არ არის მწერლის ინტერესის წარმომავლობა და მისი ამ ძიების წყურვილის ჩასახვის მიზეზების გამორკვევა. წინამდებარე კვლევაში მთავარი იმ ერთგვარი ფილოსოფიური ძიების ფორმები და რეზულტატია, რომელიც განსაკუთრებულად საინტერესო სახით არის შემოთავაზებული კრებულში „წითელი უდაბნო“.

მწერალი ხედავს, რომ დასასრული სწორედ ის ფაზაა, რომლის მიღმაც, უთუოდ, ისევ არის რაღაცის დასაწყისი, მიუხედავად იმისა, რომ ყველა დასასრულის უკან, პირველ ყოვლისა, ბუნდოვანება იმალება; და, ვინაიდან, ბუნდოვანება ცნობისმოყვარეობის წყაროს წარმოადგენს, ავტორი ხან ბავშვობის დასასრულს ეძიებს, ხან სიცოცხლის, ხან ომის, ხან იმ მოჯადოებული წრის, რომელსაც ჩვენი ქვეყანა უვლის გარს საუკუნეების განმავლობაში - გაუთავებელი შიდა ურთიერთდაპირისპირებებითა თუ გარეშე მტერთა გამოისობით.

მოთხრობაში „ბავშვობის ბოლო დღე“, მწერალი, რომელიც ამავდროულად ლირიკული გმირიცაა, ეძიებს იმ დღეს, როდესაც ბავშვობა დამთავრდა (შესაბამისად, „დიდობა“ დაიწყო) და მიდის დასკვნამდე, რომ მისთვის ეს დღე მისი პირველი კლასის მასწავლებლის გარდაცვალების დღესთან ასოცირდება.

შენიშნავთ, რომ ეს მხოლოდ ძიების ყველაზე შთამბეჭქდავი რეზულტატია, სინამდვილეში კი იმ ფაქტში, რომ ავტორი ბავშვობის დასრულების კონკრეტულ მომენტს, კონკრეტულ დღეს, ასეთი შინაგანი ტრაგიზმით ეძიებს, იკითხება კონტექსტი, რომ ბავშვობა სულაც არ არის დასრულებადი, იგი გარკვეული დოზით, სამუდამოდ რჩება ადამიანში. ავი ასეთი ფიქრები აქვს თავად ავტორ-პერსონაჟს: „ერთ პატარა სიზმარში ჩატყულა საუკუნის მესამედი, ბავშვობა, კლასელები, ჩემი პირველი მასწავლებელი. ერთი პატარა სიზმარი ყოფილა...”

...რა მნიშვნელობა აქვს რამდენი წელი გაგრძელდება დარჩენილი გზა, ისიც ერთი სიზმარი იქნება.“ [3; 55]

ავტორი ღრმად ჩასდევს ბავშვობის დასასრულის ძიებას, მძაფრი ნოსტალგიით ეძებს ბავშვობასთან დამაკავშირებელ თითოეულ ძაფს და ეს ძიება ამავე კრებულის სხვა მოთხრობებსაც გადასდევს, რაც, სწორედ იმაზე უნდა მეტყველებდეს, რომ ავტორის პოზიციით - ყოველი ზრდასრული ადამიანი, ეგზიუპერის არ იყოს, არა თუ „ბავშვობიდან მოდის“, არამედ, კიდევ უფრო მეტიც, იგი საკუთარი ბავშვობისგან გაუმიჯნავად უნდა აღიქმებოდეს, რადგან ის საკუთარ ბავშვობას თავად შეიცავს ნებისმიერ ასაკში. სინამდვილეში მწერალმა ზუსტად უწყის, რომ ბავშვობის დასასრულს ძიება ბნელ ოთახში კატის ძებნაა, თუმცა ამავდროულად შესანიშნავად მოფიქრებული ხერხი, ძირითად სათქმელისთვის მძაფრი ემოციური დატვირთვის მისანიჭებლად.

ამავე იდეოლოგიურ ხაზს მიყვება კიდევ რამდენიმე მოთხრობა. მაგალითად, მოთხრობაში „სალამანდერ“, მთავარი პერსონაჟის ბავშვობის ოცნება და ზრდასრულობისას ამ ოცნების უცნაური ახდენის ამბავია მოთხრობილი. „არაფერი არ ქრება, არაფერი არ იკარგება, განვლილი გზა, თავის ბავშვობიანად თითქოს აკეცილია და სადღაც გაქვს შენახული“ [3; 66], ამბობს „სალამანდერ“-ის პერსონაჟი - გოჩა და, რა თქმა უნდა, ეს ავტორისეული მოსაზრებაა, რაც აშკარად ამყარებს ჩვენეულ შეფასებას.

ბავშვობის დასასრულის ძიება გრძელდება მოთხრობაში „დაისვენე“, სადაც მწერალი თითქოს შვილის სიცელქის თანამონაწილეა და მის ბავშვურ აღტყინებაში საკუთარსაც განიცდის და აღიქვავს. შვილი ცდილობს ბავშვობაში მცირედ მაინც ჩაითრიოს მამა, რომელსაც არ აქვს საკუთარი ბავშვური „მე“ გარეგნული დემონსტრირების შესაძლებლობა, ამიტომ შვილთან არსებული იდენტურობით ივსებს ბავშვობის ნოსტალგიას. ამავე ხაზს აგრძელებს „წერილი“, იგი ესეს სტილშია დაწერილი და ერთგვარად ეპასუხება „დაისვენე“-ს, რამდენადაც, აქ დედის მზრუნველობაში დანახული საკუთარი ბავშვობის შეგრძნებაა დახატული. მოთხრობაში „ჩვენი ძველი მესურათე“ კი, გმირი, რომელიც ავტორის პროტაგონისტია, მადლობას უხდის ძველ მესურათეს, რომ მისი „დესნადვის“ და შესაბამისად, მისი ბავშვობის სიმბოლოს ფოტო შემოუნახა.

ამავე კონტექსტში, მეტად საინტერესო მოთხრობაა „ათასკლიტული“, იგი თითქოს კრებულის ორ ძირითად თემას ერთდროულად პასუხობს - მასში სიცოცხლის არსის, საწყისისა და სასრულის ძიებაცაა და ბავშვობის დასასრულის ძიების გაგრძელებაც: „ვერ მოვიცილე ეს ბავშვობა თავიდან. მემატება წლები, თან მემატება, თან მაკლდება. აი, ეს ბავშვობა კი, როგორ გითხრა, ისევ იქა ვარ რა. ვერ გამოვდივარ. ათასკლიტულივით არის“ [3; 152] - ამბობს მწერალი.

მოთხრობაში - „დასასრული და დასაწყისი“, ავტორი ფსიქოლოგიურ ასპექტში განიხილავს ადამიანის მისიას და რელიგიური გააზრების თანხლებით, აყენებს საკითხს - სიკეთის ქმნადობის გზის უპირატესობაზე. რაშია ადამიანის ბედნიერება? არის ეს ფული, თანამდებობრივი მდგომარეობა, ან სხვა ნებისმიერი მატერიალური სიკეთე, რომელიც უზნეობის საშუალებით მოიპოვება? თუ ზნეობრივი გზაა რეალური ბედნიერების წყარო? „სულაც სიზმარი არ არის ყველაფერი? იქნებ სიზმარია ცხადი და ცხადია სიზმარი“ - ასე სვამს კითხვას გაურკვეველობაში ჩავარდნილი მთავარი პერსონაჟი, რომელსაც ბედნიერება სულ სხვაგან ეგულებოდა. დამოწმებულ ფრაზაში სიზმრის დასასრულსა და ცხადის დასაწყისს ეძიებს ავტორი, თუმცა ძიების ობიექტი, უთუოდ, არა ფიზიოლოგიური, ძილისმიერი სიზმარია არამედ უფრო ფართო, არსებობის განზომილებათა ფიზიკურ და მეტაფიზიკურ სამყაროთა მიჯნას მიუყვება მწერლის ფილოსოფიური თვალსაწიერი.

ცოდვილის გზა ტანჯვის გზაა, ტანჯვის გზა კი მძიმე და დამღლეელი... ამიტომ, რომ ამ გზაზე შემდგარი კოტე თავადაც ველარ არკვევს - ცოცხალია თუ მკვდარი, სიზმარშია თუ ცხადში. და მაინც, სად ვითარდება მოვლენები? სად ახსენდება ნარაიკომისმდივნალს საკუთარი წარსული? სად მიიწევს ასეთი ტანჯვით? ავტორის ქვეტექსტი ასე შეიძლება გავიაზროთ, ეს ერთი კაცის საიქიოა, სადაც იგი ტანჯვის გზას გადის მონანიებიდან - შენდობამდე!

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სიცოცხლის არსის, „დასასრულისა და დასაწყისის“ ძიებაა მოთხრობის - „დასასრული და დასაწყისი“, უმთავრესი იდეა და, ეს ძიება გრძელდება კრებულში წარმოდგენილ სხვა მოთხრობებშიც: მთავრდება ეს უხეირო როლი, მთავრდება, თითქო არც დაწყებულა, ისე მთავრდება“ [3; 76] ამბობს ავტორი მოთხრობაში „დამი(ან)გელოზი“ და აგრძელებს სამყაროს ფილოსოფიურ ჭრილში



აღქმის აუცილებლობაზე ლიტერატურული ხერხებით „შენიღბულ“ მსჯელობას. მწერალი მრავალგვარ ასპექტში გადაანაცვლებს ძიების პროცესს და მოთხრობაში - „ზესუნელის ბინადრები“, სვამს საკითხს - იქნებ ზოგჯერ სწორედ ისაა არანორმალური, რაც საზოგადოებას ნორმად დაუკანონებია? ხოლო არანორმალურად, არაორდინალურად მომართული გონება გართულებულ საკითხებზე პასუხების გასაღების მოსაძიებელ მინიშნებებს შეიცავს? ეს ძიებაც, მწერლის მიერ დასაწყისის, დაბადებამდე არსებული სამყაროს ძიებაა, ოღონდ ორიგინალურ, არასტანდარტულ სივრცესა და გარემოში, ფსიქიატრიული საავადმყოფო სხვა შემთხვევაში რატომ უნდა ასოცირდებოდეს ზესუნელთან? სწორედ ასე ათქმევინებს დაწესებულების ერთ ბინადარს ავტორი: „იქ დავბრუნდი მე, მაგალითად, სანამ დაბადებამდე ვიყა... ბავშვობაზე დაბლა ჩავედი, ქვესუნელში და სანამ ხორციელი გავხდებოდი, ისევ ის არსება ვარ“ ავტორის პროტაგონისტს, რომელიც ამ სამყაროს შესასწავლად არის შესული საავადმყოფოში, ერთ-ერთი პაციენტი, თითქოსდა, წინა ცხოვრების ეპიზოდს შეახსენებს, რითაც მართალია მის გაოცებას იწვევს, თუმცა, ამ არაორდინალური გარემოს მოშველიებით იგი მკითხველისთვის სწორედ წინა ცხოვრების დასაშვებობას გააღვიძებს ცნობიერებაში, რაც კვლავ დასასრულისა და დასაწყისის ძიებაა სწორედ.

გიორგი სოსიაშვილი ერთიან კონტექსტში წარმოაჩენს ფიზიკურსა და მეტაფიზიკურ სამყაროებს და ორიგინალური დამაჯერებლობით აგრძელებს ხაზს ამ ორი სამყაროს თანაარსებობის თაობაზე. თუ „დასასრული და დასაწყისი“-ს შემთხვევაში ავტორი უფროოდენ ფანტასმაგორიული ელემენტებით აყალიბებს ამ პოზიციას, სრულიად რეალური სურათით არის იგივე აზრი გამოხატული ნოველაში „მოკითხვა საიქიოდან“. ერთი შეხედვით, ამბავი იუმორის ქარგამია მოქცეული, თუმცა, არ შეიძლება ხაზი არ გაესვას ავტორის მარტივ, მაგრამ ამავდროულად მეტად ორიგინალურ მიგნებას, რაც სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ აქცენტი მარტივზე და დამაჯერებელზე იყოს აღებული: გარდაცვლილი ადამიანი ვიდეოჩანაწერში საუბრობს საიქიოს შესახებ, მართალია ჩანაწერი წინსწრებითაა გაკეთებული, მასში ფსიქოლოგიური ფაქტორი იმდენად დიდია, რომ მსმენელი თანასოფლელების გაოცებასაც იწვევს და მკითხველის წარმოდგენაშიც „ზღვარს“ აფერმკრთალებს. ავტორი კი თითქოს ნიშნის მოგებით მოგვძახის: თუ ერთი უბრალო ადამიანის უცნაურ ხუმრობას ამხელა ფსიქოლოგიური ძალა შეიძლება გააჩნდეს, რატომ არ შეიძლება რომ ვიდეოფაილზე უფრო მნიშვნელოვანი მეტაფიზიკური სამყარო ვირწმუნოთ? სამყარო ხომ ვიდეოტექნიკაზე ბევრად ადრე შეიქმნა? ხსოვნა, რომელსაც თავად ვქმნით, და რომელიც ისევ ზნეობრივ გზამდე მიდის, ესეც ხომ არის ორი სამყაროს ერთიანობის ერთგვარი დემონსტრირება? რაც უფრო ზნეობრივია გზა - უფრო ნათელია ხსოვნა, რაც უფრო ნათელია ხსოვნა - უფრო იოლად სავალია გზა მონანიებიდან - შენდობამდე!

დასახელებულ წიგნშია შესული გიორგი სოსიაშვილის პირველი პიესა „წითელი უდაბნო“, სადაც იუველირის სიზუსტით არის აღწერილი იმ ტიპაჟთა მრავალფეროვნება, რომელთაც მეოცე და ოცდამეერთე საუკუნის მიჯნაზე მეტად სახასიათო საზოგადოების ორი პოლუსი შეჰქმნეს. ერთი მხრივ, ძველის ნოსტალგიითა და სიახლის შეუფუებლობით, ხოლო მეორე მხრივ, ყოველგვარი ძველის უარყოფითა და ყველაფრის გადაკეთება-გახლების მანიით. საზოგადოების ორ ნაწილად გახლეჩა პიესაში, ძირითადად, სტალინის პერსონის ირგვლივ დემონსტრირდება; ავტორი, კონკრეტული თემის მაგალითზე, სასტიკი სარკაზმით აცამტვერებს რადიკალიზმს, როგორც გონებრივი შეზღუდვის ერთგვარ ნიშანსა და მენტალურ კომპლექსს. ეს არის დოგმებით მოაზროვნე საზოგადოების სურათი, სადაც თითოეული პერსონაჟი საკუთარ ვიწრო თვალსაწიერშია „გაჭედილი“, რომლის მიღმაც ვერაფრით ვერ იმზირება. პიესაში თითქოს უშუალოდ დასასრულსა და დასაწყისზე მსჯელობა არ მიმდინარეობს, მაგრამ თუ ნაწარმოების მთლიან კონტექსტს ამ მხრივ ჩავუღრმავებთ, ვფიქრობთ, რომ შესამჩნევად გამოიკვეთება მწერლის მიერ სასრულ-საწყისის ძიების გაგრძელება, რამდენადაც, პიესაში დახატული საზოგადოება, ამკარად ერთ წრეზე ტრიალებს და ამ წრეს ვერ უძებნის ვერც დასასრულსა და ვერც დასაწყისს.

რაოდენ უცნაურადაც არ უნდა გამოიყურებოდეს, ვასილი დიდ მადლიერებას გამოთქვამს „ბელადის“ მისამართით, რომლის იდეოლოგიითაც ჯერ მშობლები გადაუსახლეს და მერე გვარიანადაც სცემეს. მას მაინც სწამს, რომ „ბელადმა“ „გადაარჩინა“, თორემ უარესი მოუვიდოდა. სად არის ასეთი აზროვნების სათავე? სწორედ იქ ხომ არა, რომ ახლის შემეცნების, ახალი განვითარების დასაწყისს და, შესაბამისად, ძველის დასასრულს ვერ პოულობენ ჩაკეტილ სივრცეში მოწრიალე პერსონები? რატომ არის ასეთი შთამბეჭდავად დახატული „მუდმივი რევოლუციონერის“ სახე, რომელიც ასევე სხვა ნაწარმოებებშიც ნახულობს გამოძახილს? „წითელ ტყეში“ თუ ვინმე დევი ითავისებს ამ დატვირთვას, იგივე ხასიათს, მცირე სახეცვლილებით, „კერენსკი“-ს მთავარი პერსონაჟი - მეტსახელად კერენსკი და „გადაქართულების“ პერსონაჟი როსტომაც დაბეჯითებით იმეორებენ. საინტერესოა, რაში დასჭირდა ავტორს განხილული ხასიათის პერსონაჟთა სახის წინა პლანზე წამოწევა? იმიტომ ხომ არა, რომ რეალურად, მსგავსი პერსონაჟების სიმრავლეა ქვეყნის ბედის ერთ წრეზე ტრიალის მიზეზი, და სწორედ

ამას ხატავს მწერალი, რითაც, ამჯერად, ამ წრის დასასრულს ეძიებს? ვფიქრობთ, ეს კონტექსტი სწორედ ასე უნდა აღვიქვათ, რადგან გვგონია, რომ საკითხის ამდაგვარი წარმოჩენით ავტორი ცდილობს გამომავლიზებული ზარი აუხმიანოს საზოგადოებას და შეძლებისდაგვარად შეაშველოს ხელი „წრიდან“ გამოსასვლელის ძებნის საერთო საქმეს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, კრებული „წითელი უდაბნო“, მიუხედავად იმისა, რომ განსხვავებული სიუჟეტებით აგებული ორიგინალური და ინდივიდუალური თვრამეტი ნაწარმოებისგან შედგება, მთლიანობაში ერთი საერთო ნიშნით, საერთო მწერლისეული ძიებით ხასიათდება, რაც ამ შემთხვევაში სწორედ დასასრულისა და დასაწყისის ძიებასთანაა დაკავშირებული. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ ძიების პროცესში, მწერალი ირჩევს რთულ და საინტერესო თემებს, რომელთაც სასრულ-საწყისის საზღვრის ძიებისას ფილოსოფიურ ჭრილში გადაიტანს და ერთი შეხედვით ნაკლებად აქტუალურ საკითხებს, დამავიწყებელი რაკურსით წარუდგენს მკითხველს.

#### **ლიტერატურა:**

1. გამსახურდია კონსტანტინე, რჩეული თხზულებები, ტ. 1, თბილისი, 1958.
2. ნიშნიანიძე რუსუდან, „სამანს აქეთ“, თბილისი, 2005.
3. სოსიაშვილი გიორგი, „წითელი უდაბნო“, თბილისი, 2016.
4. სოსიაშვილი გიორგი, „გამორთული მთვარე“, თბილისი, 2016.
5. სოსიაშვილი გიორგი, „ვერცხლის ყვავილები“, თბილისი, 2015.

*Giorgi Khorbaladze*

*Gori State Teaching University*

### **SEARCHING FOR THE END AND THE BEGINNING IN THE WRITER'S WORK /ACCORDING TO GIORGI SOSIASHVILI'S BOOK-“THE RED DESERT”/ RESUME**

Due to Giorgi Sosiashvili's extremely interesting work as a writer, his books definitely are the best material for the contemporary Georgian literary process researchers, who can always find a lot of essentially interesting and most important tendencies or issues in them.

This time the object of our attention is a book of short stories under the name of “THE RED DESERT”/“წითელი უდაბნო”/ published in 2016 and including 18 short stories and one play. The topic of our research in particular is the process of searching for the end and the beginning in the writer's work, which is so originally presented there, running like a refrain throughout the whole book and becoming a kind of certain tendency. The fact that studying the current literary process is a significant problem - must be taken into consideration too. Timely observing the valuable literary works and bringing them to the attention of the readers is extremely necessary and vitally important, especially in the process of contemporary editing conditions created by present day reality. What we mean, is that the editing principles are no longer under control and any kind of literary work, even the weakest one, has the way open to the reader, and not only paper based, printed materials. The fastest ways of virtual-social nets are practically unlimited means for attracting readers' attention. Unless there is active criticism and fair judgment of modern literature, we will not be able to determine the literary orientation or drop a clear boundary between true and pseudo-literature.

“The Red Desert” starts with a short story named “The End and the Beginning”, and it is just one more evidence to prove our judgment that the writer is deeply interested to find the conditional boundary between the end and the beginning. It may not be surprising at all, that the author himself, living in the village near the real and at the same time absurd wire entanglement border, is tend to more then others think about the borders in general. Seeing the wire obstacle every day must have encouraged him to start writing about the abstract boundaries. Of course, it is not possible to prove weather it is so or not, but it is the way we think about it and we are absolutely free to have our own opinion.

To draw the conclusion from what was above mentioned, we think that though “The Red Desert” consists of 18 original and individually different stories, it still characterizes as one whole searching process, looking for the beginning and the end of anything and everything in general. It must also be mentioned that in the process of seeking for the answers to his question, the author usually chooses quite sophisticated and complicated issues discussing them through the philosophical point of view, thus, offering us less urgent and actual issues as to be more essential ones.